შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

„საქართველოში აგრარული პოლიტიკისა და
სამართლებრივი რეგულირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე"

შრომების კრებული

გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
ბათუმი – 2011

UDK (უაკ) 332.2.021+338.43.02+346.9](479.22)
რ-465

წინამდებარე სამეცნიერო შრომაოა კრებულში შესულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლის 2 ივლისს ჩატარებულ პირველ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე საქართველოს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტების აკადემიური პერსონალის, მეცნიერ-თანამშრომელთა, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა მოხსენებები.

სტატიები იბეჭდება ავტორისეული რედაქციით.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:
ვაჟა ვერულიძე – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ნუგზარ ფუტკარაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ადამ მახარაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი
პაატა არაშიძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ბადრი გეჩბაია - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
დავით ქათამაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ბესიკ ბაუჩაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რედაქტორი: **პაატა კოლუაშვილი** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიოსი

სარედაქციო კოლეგია:
ვაჟა ვერულიძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ნუგზარ ფუტკარაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
პაატა არაშიძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ალექსანდრე თურმანიძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
რამაზ აბესაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
ლარისა ყორდანაშვილი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი ბუცხრიკიძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ნინო ლიპარტელიანი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ISBN 978-9941-412-88-2
© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2011

ს ა რ ჩ ე ვ ი

პაატა კოღუაშვილი
Qui tacuit, cum loqui debuit et potuit, consentire videtur! 6

ანზორ მესხიშვილი
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების (ურბანული) მიწის მესაკუთრეობა 9

ნუგზარ ფუტკარაძე
მიწის რეფორმის სამართლებრივი რეგულირება და მისი განხორციელების თავისებურებანი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 15

დავით ქათამაძე
ნეოკოლონიალიზმის განეიოთარების საშიშროება და მისი დაძლეეის გზები საქართველოში 21

ნინო ლიპარტელიანი, ნანა ახალაია
ნეოკოლონიალიზმის საფრთხე თანამედროვე მსოფლიოში 25

ალექსანდრე სიგინავა, შოთა ვეშაპიძე
უძრავი ქონების - მიწის მფლობელის უფლებების დაცვა 27

ცისკარა ზარანდია, გიორგი ბუცხრიკიძე, ჯუმბერ ფანჩულიძე
საქართველოს მიწის რესურსების ადმინისტრირების პრობლემები 31

გიორგი ჭილაძე
მიწის ნაკეეთზე საკუთრების უფლება და მისი მართვა: სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები 36

გიორგი ჭილაძე
სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკეეთით შეზღუდული სარგებლობა: ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები 40

მურმან ცეცხლაძე
საქართველოს მიწის რესურსების ეფექტურად გამოყენების ზოგიერთი ასპექტი 43

ნატო ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე
მიწის რესურსების მდგრადი განეითარების პრობლემები და მათი გადაწყეეტის გზები 46

რომან მარგალიტაძე
საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ფერმერული მეურნეობების განვითარების ზოგიერთი საკითხები 50

თინა გელაშვილი, მაია გელაშვილი
მიწის რესურსების დეგრადაციის და მართვის პრობლემები 55

ვაჟა ზეიკიძე, დალი ზეიკიძე
საქართველოს მიწის ბაზრის რეგულირების საფუძვლები 62

ზურაბ რევიშვილი
სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილების საერთაშორისო გამოცდილება და მდგომარეობა საქართველოში 64

მერაბ სმალაძე, ნანა ახალაია
მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენება საქართველოში 70

ლაშა გოცირიძე, მერაბ ვანიშვილი
სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები 73

ნიკოლოზ ბაკაშვილი, დარეჯან მესხიშვილი
სახელმწიფოს როლი გლობალური სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყეეტაში 85

თამარ ვანიშვილი, მერაბ ვანიშვილი
საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია და მისი საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა 91

მერაბ ვანიშვილი, ქეთევან ვანიშვილი
სურსათით უზრუნველყოფის სტაბილიზაციური პოლიტიკა და სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი 101

დავით ბიბიჩაძე, ნინო ვანიშვილი
საბაზრო რეფორმები და სურსათით უზრუნველყოფის ზოგადი ტენდენციები საქართველოში 107

რამაზ ოთინაშვილი, ნინო ვანიშვილი
საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაცია და ერიუნული სასურსათო უსაფრთხოება 113

თამარ ვანიშვილი, ნაზი ჭიკაიძე, მერაბ ვანიშვილი
სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე დონის მაჩვენებელთა ფაქტორული ანალიზი და შეფასება საქართველოში 119

დალი ცინცაძილაძე, გიორგი ბექაური
საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება 125

დავით ბიძინაშვილი, ნინო ორჯონიკიძე
გლობალური მოუსავლიანობის პირობებში სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერის გზები საქართველოს აგრარულ სექტორში 130

თამარ დუდაური
საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები 133

ცირა ჟორჟოლიანი, ემზარი გორდაძე
კვების პროდუქტების ეკოლოგიური უსაფრთხოება საქართველოში 137

თამარ ბერიძე, ქეთევან ვანიშვილი
ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება: არსი, მიზანი, ამოცანები 140

გულიკო ქათამაძე
ქართულ ბაზარზე არსებული სასურსათო პროდუქტების უსაფრთხოება 145

რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული
სასოფლო სამეურნეო წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა მისი გამოცოცხლების და მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა 149

ლარისა ყორღანაშვილი
აგროტურიზმის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში 153

ნინო ვანიშვილი, მერაბ ვანიშვილი
აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და სასურსათო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური რეგულირება ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში 158

ალექსანდრე თურმანიძე
აგრარული წარმოების თავისებურებები და აგრობიზნესსაქმიანობის შეფასების ზოგიერთი საკითხი საქართველოში 166

აგთანდილ ლაფაჩი, ივანე ოქრომჭედლიშვილი
დაზღვევა, როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობა 169

დავით ბიძინაშვილი
სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული მიზანი დარგის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაა 173

დალი სეხნიაშვილი, ნაზი ჭიკაიძე
ახალი სასურსათო გეოპოლიტიკა 176

ლინა დათუნაშვილი
სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქაროველოში 180

თამაზ გამსახურდია, თეიმურაზ ფესტვენიძე
მევენახეობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში 183

გიული გიგუაშვილი, ვლადიმერ ციცაგი, ამირან ხაბაზიშვილი
სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები საქართველოში 188

მირანდა წეროძე, ნიკოლოზ მესხი
სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 192

ნიკოლოზ კიკნაველიძე, ნათია კვეტინაძე
სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებანი საქართველოში 195

ნიკოლოზ კიკნაველიძე, მირანდა წეროძე
სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ზოგიერთი ღონისძიებები 200

ნუნუ ქისტაური, მედეა მელაშვილი
ინოვაციების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში 205

თათია გუგუტიშვილი, ნინო ტრამაკიძე
სოფლის მეურნეობა და ტყის ეკოლოგიური პრობლემები 209

გიული გიგუაშვილი, თამარ ბედოშვილი, ქეთევან ფაცინაშვილი
სოფლის მეურნეობის სტრატეგიული საექსპორტო პროდუქტები საქართველოში 212

თენგიზ ქავთარაძე
სასოფლო წარმოების ოპტიმიზაციისა და დასაქმების დონის ზრდის საკითხები
შიდა ქართლის მეხილეობის ზონის საწარმოებში 217

ვაჟა ზეიკიძე, დალი ზეიკიძე
საქართველო საერთაშორისო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო
ორგანიზაციების საქმიანობაში 220

ბესიკ ბაუჩაძე
აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის პრობლემური საკითხები 224

ტიტე არაშიძე, პაატა არაშიძე
მიწის რეფორმის გაელენა აგროსამრეწველო სექტორის განვითარებაზე 226

თინა ჩხეიძე, ქეთევან ქველაძე
მიწის რეფორმის შედეგი საქართველოში 229

ანზორ მესხიშვილი, პაატა კოლუაშვილი
საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა და მისი შედეგები 235

მზია ფუტკარაძე
საკუთრების უფლების, როგორც ძირითადი უფლების დაცული სფერო და
მასში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება 249

თამარ ბერიძე, თამარ როსტიაშვილი
ტყის მიწების მნიშვნელობა და ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში 256

მიხეილ ჩიქოვანი, მარიამ სოსელია, თამარ როსტიაშვილი
ტყის მიწების გამოყენების პროცესის რეგულირება, როგორც ბუნებათსარგებლობის
სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი 261

თამარ როსტიაშვილი, თამარ ბერიძე
ტყის მიწების ეფექტურად გამოყენების შეფასების კრიტერიუმები 266

მარიამ სოსელია, ჩიქოვანი მიხეილ, თამარ ბერიძე
აგრო-ეკო-სატყეო ტურიზმის განვითარების როლი ტყის მიწების გამოყენების საქმეში 270

თამარ ლაზარიაშვილი
მიწის რეფორმის შედეგები კახეთის რეგიონში 273

ნინო სამგკუაშვილი
სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 276

პაატა ჯოლუაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
სტუ სრული პროფესორი,

Qui tacuit, cum loqui debuit et potuit, consentire videtur![*]

საქართველოს სიჯანსაღის საძირკველი, ერის მიწასთან მარადიულ ურთიერთობასა და ულალატო კავშირშია

ილია ჭავჭავაძე

რომაული სამართლის ეს სენტენცია საგანგებოდ გამოვიტანეთ სათაურში, რითაც გვინდა ხაზი გავუსვიო შექმნილი ვითარების უკიდურეს სიმწვავეს. სადღეისოდ საქართველოში მიმდინარე სასოფლო დანიშნულების მიწის უცხოელებზე გასხვისების დამღუპველი პროცესის აპოლოგეტობას ცოტა თუ ბედავს, უმრავლესობა დუმს და ჰგონია, რომ პილატეს პოზიციაში ყოფნით თავს დაიძვრენს, სწორედ მათ გასაგონად ითქვა თავის დროზე: "ეინც დადუმდა, როდესაც შეეძლო და უნდა ელაპარაკა, ის განიხილება მომხრედ!" (ანუ თანამონაწილედ - პ.ჯ.).

მიწა ადამიანის ყველა სახის საქმიანობის საწყისი და საფუძველია, მისგან ვიღებთ საკვებს, თავშესაფარს, ადგილს სამუშაოდ. მიწას განსაკუთრებული მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბუნებრივ რესურსებს შორის. ის წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის უმთავრეს მატერიალურ წინაპირობას. გონივრულად და დაკვირვებით მიწის მართვის აუცილებლობა და მიწის რესურსების ინტენსიურად გამოყენების სირთულე ქმნის ერთიან საერთო გლობალურ საზრუნავს.

მიწა ერისთვის მისი სახელმწიფო ტერიტორიაა, სასიცოცხლოდ აუცილებელი სივრცე (ბაზა), რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, მაქსიმალური უკუგებით გამოყენების აგრარული პოლიტიკა, როგორც წესი, გადაწყვეტილი აქვთ საკუთარი ქვეყნის სასურსათო უშიშროების პრობლემა. მათ რიცხვშია აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, კანადა, ავსტრალია და სხვა, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სურსათის მსოფლიო ბაზრის ფორმირებაში და კონიუნქტურის განსაზღვრაში.

ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი, უფრო მეტიც, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა. ზოგჯერ ომი მიმდინარეობს სულ რამდენიმე კვადრატული კილომეტრის (მაგალითად, ახლახან ამტყდარი კონფლიქტი ტაილანდსა და კამბოჯას შორის) გამო. ვითარებას ართულებს ნიადაგის ეროზიის პროცესიც, რაც ანთროპოგენური ექსპანსიის და კლიმატური ცვლილებების ფონზე უკანასკნელ პერიოდში კრიტიკულ ფაზაში შევიდა. ფაქტია რომ სასოფლო-სამეურნეო საკარგულები რაოდენობრიეი თვალსაზრისით სულ უფრო მცირდება სხვადასხვა მიზეზთა გამო, და თუ ამას დაეუმატებთ ენერგეტიკული პრობლემის სოფლის მეურნეობის მეშვეობით (მხედველობაში გვაქვს კალორიატევადი კულტურების შაქრის ლერწმის და მარცვლეულის გადასროლა ბიოსაწვავის წარმოებისათვის) მოგვარების მზარდ ტენდენციას, შეიძლება ცალსახად ითქვას, მსოფლიო მასშტაბით სურსათის ფასების პერმანენტული ზრდის პირობებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მოთხოვნა ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ეს ორი მოვლენა ურთიერთფორსირების ეფექტით ხასიათდება, ეჭვი არაა, რომ გეომეტრიული პროგრესიის შესაბამისად ძაბავს ვითარებას. უახლოეს წლებში სასოფლო-სამეურნეო საკარგულები კაცობრიობის არსებობის უმთავრეს რესურსად იქცევა, განსაკუთრებით

[*] ვინც დადუმდა როდესაც შეეძლო და უნდა ელაპარაკა ის განიხილება მომხმრედ!

იქ, სადაც ის სრულყოფილად უზრუნველყოფილია სარწყავი წყლით და მზის ენერგიით (სწორედ ამგვარ რესურსს ფლობს საქართველო). სამწუხაროა, რომ ასეთ ვითარებაში უმოწყალოდ მიმდინარეობს ქართული მიწის გაჩიავება, რაც მიწის პროვატიზაციის ნიღაბსაა ამოფარებული. რეალურად, იმას, რაც ხდება, არაფერი აქვს საერთო პრივატიზაციასთან.

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი სიღარიბე სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდეს, ამასთან, ყურადსაღებია, რომ ქვეყნები (ინდოეთი, ჩინეთი, ისრაელი, რიგი არაბული სახელმწიფოები), რომლებიც უკვე ღიად გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. საზოგადოების თვალის ახვევის მიზნით, ხელისუფლება ცდილობს ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლოს, ამ მი'ხნით ხ'შირად გაისმის, რა მოხდა, "მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ" – რა თქმა უნდა, ვერ მოიკიდებენ, მაგრამ ქართულ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედით გონს. მიწის შესყიდვით დაინტერესებული ქვეყნების დემოგრაფიული მდგომარეობა და ეკონომიკური პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში მკვეთრად **შეცვლის პროგნოზს.** მოქმედება კი უსწრაფესად მართებს საქართველოს საზოგადოებას, რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს. შესაძლებელია, ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის გარდუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისოვის (სახელდობრ, ნაკლებმცოდნეთათვის), მაგრამ საკმარისია ჩვენ'ში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისათვის საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ასეულ ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება.

აღსანი'შნავია ის გარემოება, რომ თანამედროვე მსოფლიო'ში ყველა ქვეყანა უკიდურესად მძაფრად იკავს საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს, მაგალითისათვის კმარა ისიც, თუ რა პრობლემები შეუქმნა ისრაელმა საქართველოს მეტად საეჭვო ეკონომიკური გარიგების გამო. ახლა წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, თუ ერთხელაც მოვინდომებთ და შევეზღუდაეთ ჩინელი, არაბი ან ინდოელი მესაკუთრის უფლებებს. მათ დასაცავად დადგება სახელმწიფოები, სადაც 3 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ამ ქვეყნების პრობლემები სასიცოცხლო სივრცესთან დაკავშირებით: 2011 წლისათვის მოსახლეობის სიმჭიდროვე ჩინეთში შეადგენს 139-ს, ხოლო ინდოეთში 400 ადამიანს კმ²-ზე, ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ტერიტორიის 2/3 უდაბნო ან მთიანეთია, ანუ ნაკლებად გამოსადეგი ადამიანის ცხოვრებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას არაბეოის სახელმწიფოებზე და ისრაელზეც, სადაც მცირე გამონაკლისის გარდა მოსახლეობის მაღალი ტემპებით ზრდა ძირითადად უდაბნოს უვარგისი მიწების ფონზე მიმდინარეობს. ყველა ეს ქვეყანა ფლობს მზარდ საფინანსო რესურსებს და უკვე ეწევა მსოფლიოს მასშტაბით მიწების, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესყიდვას, ცხადია, არა იმისათვის, რომ იქ მეურნეობა განაეითარონ და მერე ადგილობრივ მოსახლეობას დაუბრუნონ!

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაყიდვის გამართლება ინვესტიციების მოზიდვით, რბილად რომ ეთქვათ, არაკომპეტენტურობის და ახლომხედველობის შედეგია, რადგან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, განსხვავებით ურბანული მიწისაგან, არ არის ინვესტიცია-ტევადი. 2004 წლის მონაცემებით, საქართველოში სულ, დაახლოებით 3,025 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული იყო (სამწუხაროდ, დღეს უფრო ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია, რადგან 2004 წლის შემდეგ ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო მიწის რაოდენობრივი აღრიცხვა ქვეყანაში აღარ ჩატარებულა). აქედან დაახლოებით 1,9 მილიონი ჰექტარი ბუნებრივ საძოვრებზე და სათიბებზე მოდიოდა, ანუ იმ სავარგულებზე, რომლებსაც ინვესტიციები კი არა, უფრო მართებული, რაციონალური გამოყენება სჭირდება. დანარჩენი 1.1 მლნ ჰა ინტენსიური სავარგულია, საიდანაც დაახლოებით 800 ათასი ჰექტარი სახნავია, ხოლო დანარჩენი (300 ათასი ჰექტარი) მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული ყველაზე ფონდ-ტევადი სავარგულია. ეს არის ჩვენი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდი, რომელიც იმდენად მცირეა ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, რომ თვალისჩინეოით გაფრთხილება ესაჭიროება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა განსაკუთრებული სიფრთხი-

ლით ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის (თავისი მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის) მიყიდვის საკითხს. ამავე დროს, მთელი პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, უმცირესი გამონაკლისის გარდა, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (jus utendi et abutendi*) და ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. მაგალითად, ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, საფრანგეთში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში. აშშ-ში, კანადაში და ავსტრალიაში მსგავსი შეზღუდვები ძირითადად რეგიონულ დონეზე ხდება. მაგალითად, აშშ-ს ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციაში და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონომიკურ თვალსაზრისით თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მის შეძენას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰექტარზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო იმისათვის, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი) და განსაკუთრებით დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიიღეს ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ, მართალია, მისი მიხედვით დაშვებულია სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში, სასოფლო–სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატების დონეზე არის დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული, ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე. ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1 %-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელად მიგვაჩნია გამოცხადდეს მიწის რეესტრის მონაცემები და საჯაროდ დაზუსტდეს, თუ რა ფართობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია გასხვისებული უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. სასწრაფოდ უნდა შეეიდეს საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები და აიკრძალოს უცხო ქვეყნის რეზიდენტ, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადაცემა, ასევე, იმ იურიდიულ პირებზეც, რომლებიც საქართველოში არარეზიდენტი იურიდიული თუ ფიზიკური პირების მონაწილეობითაა დაფუძნებული. ამ მოთხოვნების შესრულება ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, სამაგიეროდ, უდიდეს საფრთხეებს ააცილებს ჩვენს ქვეყანას.

---

* საკუთრების რეგისტრაციერი, სრული ფლობის და სარგებლობის უფლება მის განადგურებამდე ან საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენებამდე

ანზორ მესხიშვილი
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, აგრარულ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი,
ბიზნეს უნივერსიტეტის სრული პროფესორი

არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების (ურბანული) მიწის მესაკუთრეობა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად მიჩნეულია მიწა, რომელიც არ გამოიყენება სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით.

მოკლე ისტორიული ექსკურსი

საქართველოში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობას წინ უსწრებდა შენობა-ნაგებობების პრივატიზაციის საკითხები. რის შედეგადაც შენობა-ნაგებობები პრივატიზაციის გზით გადავიდნენ კერძო საკუთრებაში მიწის ნაკვეთის გარეშე.

საქართველოს მოქალაქეთა ბინის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის დაჩქარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, 1992 წლის 1 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება № 107 "საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ". ამ დადგენილებით საქართველოს მოქალაქეებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები (ბინა) უსასყიდლოთ გადაეცათ, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) სახელმწიფოსგან დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები იყვნენ. მოქალაქეებს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაში გადაეცემოდა მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით. უნდა აღინიშნოს, რომ ბინების პრივატიზაციისას ძირითადად არ ხდებოდა საპრივატიზაციო მრავალბინიანი შენობა-ნაგებობებისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართობისა და საზღვრების დადგენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან (1997 წლის 25 ნოემბერი), რომელმაც მიწის ნაკვეთი და მასზედ მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობები ერთიან ნივთის ცნებაში გააერთიანა და დაუშვებლად ცნო, რომ მიწის ნაკვეთი და მასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობა სხვადასხვა უფლების ობიექტებს განეკუთვნებოდნენ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 150), დღის წესრიგში დადგა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაწილზე კერძო საკუთრება გამოცხადდა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან, კერძოდ 1997 წლის 25 ნოემბრიდან. 1998 წლის 28 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს ორი კანონი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ" და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასაოფლო-სამეურნეო დანიშნელების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ". ეს კანონები ძალაში შევიდა 1998 წლის 12 ნოემბერს. ამ კანონებმა ხელი შეუწყო ურბანული მიწების ბაზრის განვითარებას.

„ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები 1998 წლის 12 ნოემბრამდე კანონიერად სარგებლობდნენ მიწის ნაკვეთით, ეს მიწები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად სათანადო საფასურის გადახდის შემდეგ. ეს საფასური შეადგენდა 1999 წლის 1 იანვრამდე ერთი წლის მიწის გადასახადს (1998 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის წლიური გადასახადის ოდენობით), ხოლო 1999 წლიდან ერთი წლის მიწის გადასახადის ორმაგ ოდენობას. 2007 წლის 11 ივლის მიღებული იქნა საქართველოს კანონი: „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული

მიწის ნაკვეთზე საკუთრების აღიარების შესახებ", რომლის საფუძველზე გაუქმებული იქნა ზემოთ აღნიშნული კანონი და მიწის ფაროობის რეგისტრაცია ამ კანონით დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და საკუთრების უფლების აღიარების საფასური ერთ კვადრატულ მეტრზე შეადგენს, საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ხუთმაგ ოდენობას.

ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, 1997 წლის 25 ნოემბრიდან გამოცხადდა ამ პირთა საკუთრებად და მათზე გავრცელდა სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები (სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1513)

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზებაზე დღესაც დიდი მოთხოვნაა და პროცესი საკმაოდ გამჭირვალეა.

2010 წლის 21 ივლის მიღებული იქნა საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონები შესახებ" ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ძალდაკარგულად გამოცხადდა საქართველოს 2005 წლის 8 ივლისის კანონი " სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ", საქართველოს 1997 წლის 30 მაისის კანონი "სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ", საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი "სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის შესახებ" და საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ".

საქართველოში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განკარგვა ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა დამდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ადგილობრივი თითმმართველობის ორგანოების მიერ, ქ. თბილისში ასევე, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ. შესაბამისად ქ. თბილისში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკუთრების უფლების დამადასტურებელ ამონაწერებში მესაკუთრის გრაფაში ვხედებით შემდეგ ჩანაწერებს: "სახელმწიფო საკუთრება" და "ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრება". ეს ჩანაწერები მიანიშნებენ მოქალაქეებს ან კონკრეტული ნაკვეთის პრივატიზებით დაინტერესებულ პირებს თუ რომელ ორგანოს უნდა მიმართონ პრივატიზაციის მოთხოვნით.

თუ სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზების შემდეგ დადგინდება რაიმე სახის ცვლილება (გარდა საევალდებულო სერვიტუტისა), რომელიც არ იყო დაწესებული პრივატიზების დროს, მესაკუთრე (თუ ამ ცვლილებების განხორციელების წინააღმდეგია) უფლებამოსილია, აღნიშნული ცვლილების სანაცვლოდ მოითხოვოს კომპენსაცია. სახელმწიფო ან შესაბამისი თვითმმართველი ერთეული ეალდებულია, დააკმაყოფილოს მესაკუთრის მოთხოვნა.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის ფორმები

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის) პრივატიზების ფორმებია: ა) აუქციონი; ბ) პირდაპირი მიყიდვა და გ) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე.

იჯარით გაცემული უძრავი ქონების/მიწის პრივატიზაცია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლება აქვს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, 2007 წლის 1 იანვრამდე იჯარით გაცემული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება განახორციელოს შესაბამის მოიჯარეზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული უძრავი ქონების საფასური შეადგენს მისი ყოველწლიური საბაზრო საიჯარო ფასის ხუთმაგ ოდენობას. ქონების ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ფასს ადგენს საქართველოს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერთიფიცირებული შემფასებელი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის

ფორმით პრივატიზებისათვის აუცილებელი პირობაა სახელმწიფოსა და მოიჯარეს შორის გაფორმებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საიჯარო ხელშეკრულების არსებობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის მართველობაში შემავალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვა

ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის მმართველობის სფეროში შემავალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვას აუქციონის ფორმით ახორციელებს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი– ქონების მართვის სააგენტო. ეს პროცედურა ძალზედ გამარტივებული და ხელმისაწვდომია არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შეძენის მსურველთათვის. მაგალითად ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შეძენით დაინტერესებულ პირს შეუძლია ამ მიწის ნაკვეთზე სრული ინფორმაცია მოიპოვოს ონლაინ რეჟიმში, რომელიც განთავსებულია ქონების მართვის სააგენტოს ვებ გვერდზე. შესაბამისი მიწის ნაკვეთის შერჩევის შემდეგ დაინტერესებული პირი ნიშნავს მიწის ნაკვეთს და ავსებს განაცხადს ასევე ონლაინ რეჟიმში. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს ინსტრუქციით გათვალისწინებულ ყველა შიდა პროცედურას და ამზადებს ნაკვეთს აუქციონზე გასატანად აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ აუქციონატორი აუქციონის ჩატარებამდე 15 დღით ადრე ინტერნეტსაიტისა და პრესის მეშვეობით აცხადებს აუქციონს. დაინტერესებულ პირს ელ-ფოსტის მეშვეობით ეცნობება აუქციონის გამოცხადების შესახებ. აუქციონის გამოცხადების დღიდან განაცხადის მიღების ბოლო ეადამდე დაინტერესებულ პირს უფლება აქვს შეიტანოს განაცხადი შესაბამისი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადასაცემად გამართულ აუქციონში მონაწილეობის მიღებაზე, რომელიც უნდა შეივსოს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში. აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში აუქციონატორსა და გამარჯვებულ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

ტყის მართვა

შესავალი

ტყე გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილია, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით ტყისათვის მიკუთვნებულ ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე.

საქართველოს ტყის ფონდი შედგება სახელმწიფო ტყის ფონდისა და საქართველოში საკუთრების სხვა ფორმით არსებული ტყეების და მათი რესურსების ერთობლიობისაგან.

სახელმწიფო ტყის ფონდი შედგება საქართველოს სახელმწიფო ტყის, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების ერთობლიობისაგან. სახელმწიფო ტყის ფონდი პრივატიზაციას არ ექვემდებარება.

სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი არის სახელმწიფო ტყის ფონდი, სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების გარდა.

ადგილობრივი ტყის ფონდი სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილია, რომელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

ადგილობრივ ტყის ფონდს მიეკუთვნება ტყის მიწა, რომელიც არის ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყის ფართობები, ტყით დაფარული ან მის გარეშე, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის დამხმარე საქმიანობაში.

საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გამოყენების პრინციპები ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, "გარემოს დაცვის შესახებ", "დაცული ტერიტორიების შესახებ", ცხოველთა სამყაროს შესახებ", „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებს, მიწის კანონმდებლობას, საქართველოს ტყის კოდექსს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაციას "მდგრადი განვითა-

რების სატყეო პრინციპების შესახებ“ და “გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს.

საქართველოს ტყის ფონდი შეადგენს 3,005.3 ათას ჰექტარს, რაც საქართველოს საერთო ფართობის 39.3 პროცენტია. ბუჩქნარი შეადგენს 154.7 ათას ჰექტარს, რაც საეროო ფართობის 2.03 პროცენტია.

საქართველოს ტყის მიწა



სატყეო ურთიერთობის ობიექტი და სუბიექტები

სატყეო ურთიერთობის ობიექტს წამოადგენს საქართველოს ტყის ფონდი და მისი რესურსები.

სატყეო ურთიერთობის სუბიექტია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სატყეო სააგენტო, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო, რომელიც, მიმდინარე წლის 17 მარტამდე სახელმწიფოს სახელით მონაწილეობდა საქართველოს ტყის ფონდთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში. პროექტზე მუშაობის პერიოდში მოხდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ენერგეტიკის სამინისტროების რეორგანიზაცია, შეეიდა შესაბამისი ცვლილებები საკანონმდებლო აქტებში. დღეს უკვე ტყის ფონდთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს სახელით გამოდიან საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ამავე სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბუნებრივი რესურსების სააგენტო და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცული ტერიტორიების სააგენტო (“საქართველოს ტყის კოდექსი“ მუხლი7, ნაწილი1.)

სატყეო ურთიერთობების სხვა სუბიექტები არიან საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე, საქართველოს საპატრიარქო და ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სარგებლობენ საქართველოს ტყის ფონდითა და მისი რესურსებით ან ახორციელებენ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებს (“საქართველოს ტყის კოდექსი“ მუხლი 8).

საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქართველოს საპატრიარქოს უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს ტყის კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის.

სახელმწიფო ტყის ფონდის სარგებლობის უფლებით გადაცემა და მერქნული რესურსის საკუთრების უფლებით გაცემა

საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი და მისი რესურსები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს საკუთრებას შესაძლებელია ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაეცეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

სახელმწიფო ტყის ფონდის სარგებლობის უფლებით გაცემა და მერქნული რესურსის საკუთრების უფლებით გაცემა ხორციელდება 2010 წლის 20 აგვისტოს №242 მთავრობის დადგენილების „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად.

ბუნებრივი რესურსების მიერ ტყის ფონდი სარგებლობის უფლებით გაიცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ხოლო სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხმობით. ბუნებრივი რესურსების სააგენტო სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს გაცემს სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის უფლებით არა უმეტეს 10 წლის ვადით, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის უფლებით არა უმეტეს 49 წლის ვადით.

ელექტრონული აუქციონი

ტყის ფონდის სარგებლობაში გადაცემა და მერქნული რესურსის საკუთრების უფლებით გადაცემა ხდება ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის წესით. ელექტრონული აუქციონი შეიძლება გამოცხადდეს ტყის ფონდის სარგებლობის უფლებით გაცემის შემთხვევაში – სააგენტოს ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ტყის ფონდის შესაბამისი მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემის შემთხვევაში ელექტრონული აუქციონი ცხადდება ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ინიციატივით (№242 დადგენილება "ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" მუხლი 46). ელექტრონული აუქციონი ცხადდება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით და ინფორმაცია ქვეყნდება ეებგვერდზე. სააგენტო ელექტრონულ აუქციონს ატარებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტოს მეშვეობით.

სახელმწიფო ტყის ფონდის ინსტიტუციური მართვა

სახელმწიფო ტყის ფონდი ინსტიტუციური მართვის მიხედვით იყოფა ა) სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად და ბ) სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდად, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ტყის ფონდსაც.

სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებს და მათ რესურსებს მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო. სახელმწიფო ტყის ფონდს, გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდისა და დაცული ტერიტორიებისა, ასევე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდისა - მართავს ბუნებრივი რესურსების სააგენტო. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისი სამსახურის მეშვეობით მართავს თვითმმართველი ერთეული.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ტყეებში არ ჩატარებულა ტყეთმოწყობის სამუშაოები(ადრე ტარდებოდა ათ წელიწადში ერთხელ). არ არის დადგენილი-დასუსტებული ტყის მერქნის მარაგი. არ ვიცით რამდენი კუბატურის მოჭრა შეიძლება, რამდენი ტყის ფართობები არის მომწიფებული და შეიძლება თუ არა ჩატარდეს მთავარი სარგებლობის ჭრები. ხშირად ისმის კრიტიკა ტყეები იჩეხება და ისპობა, მაგრამ კონკრეტულად რამდენის მოჭრა შეიძლებოდა და რამდენი მოიჭრა ფაქტიურად ვერავინ ვერ პასუხობს.

სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის მართვა

მიჩენილია სახელმწიფო ტყის ფონდის უბანი, რომელსაც, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან (დაცული ტერიტორიების სააგენტო; ბუნებრივი რესურსების სააგენტო) ერთად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მართავს საქართველოს საპატრიარქო ან სახელმწიფო დაწესებულება.

სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილ უბანს გამოყოფს და საქართველოს საპატრიარქოს ან ამ უბნის მართვით დაინტერესებილი სახელმწიფო დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილებას აღგენს საქართველოს პრეზიდენტი, დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულების ან/და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს (ბუნებრივი რესურსების სააგენტო; დაცული ტერიტორიების სააგენტო) მოტივირებული წინადადების საფუძველზე (საქართველოს ტყის კოდექსი მუხლი 17). საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ტყის ფონდი მიჩენილ უბანზე შეიძლება შეიზღუდოს ან მთლიანად აიკრძალოს ტყითსარგებლობა და მოქალაქეთა ტყეში ყოფნა, თუ ეს მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზანთან შეუთავსებელია.

მიჩენილი უბნის გამოყენება იმ პირის მიერ, ვისთვისაც გადაცემულია ეს უბანი, დაიშვება მხოლოდ მიჩენის მიზნისა და სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და მოვლის ღონისძიებების განსახორციელებლად (საქართველოს ტყის კოდექსი მუხლი 17, ნაწილი 5).

სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენა

სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს საქართველოს მთავრობა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ წინადადებას წარუდგენს სამინისტრო. პროექტზე მუშაობის პროცესში საქართველოს ტყის კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად ეს წესი შეიცვალა და 2011 წლის 17 მარტიდან კანონი არეგულირებს მხოლოდ სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენას, რომლის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

სახელმწიფო ტყის ფონდი იყოფა: 1. ტყით დაფარულ ტერიტორიად და 2. ტყით დაუფარავ ტერიტორიად.

ადგილობრივი ტყის ფონდი

ადგილობრივ ტყის ფონდს, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს ტყის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, შესაბამისი სამსახურის მეშვეობით მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროშია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება. მათი პრივატიზირება ხდება საჯარო აუქციონის ფორმით. ტყის გასაყიდი საწყისი ნორმატიული ფასი 1 ჰექტარზე შეადგენს 200 ლარს. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის – დასახლების (სოფლის, დაბის, ქალაქის), დასახლებათა გაერთიანების (თემის) მცხოვრებს.

მოსახლეობის უფლებები

ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ტყის გარემოთი. მოსახლეობას უფლება აქვს იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდებოდეს ტყეში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი (შესაძლებელია შეიზღუდოს სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილ უბანზე); პირადი მოხმარების მიზნით შეაგროვოს ტყის არა მერქნული რესურსები და ხის მეორეხარისხოვანი მასალები; ტყის ბუნებრივი თვისებები გამოიყენოს დასვენების, ტურიზმისა და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით.

ტყითსარგებლობის უფლება

ტყითსარგებლობა ხორციელდება გენერალური ლიცენზიის საფუძველზე, სამონადირეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიებით, ასევე ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის საფუძველზე, გარდა საქართველოს ტყის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა (საქართველოს ტყის კოდექსი მუხლი 53).

საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად ლიცენზირებას არ ექვემდებარება:

1. სოციალური ჭრების განხორციელება;
2. სპეციალური ჭრების განხორციელება;
3. მოვლითი ჭრების განხორციელება.

ტყითსარგებლობა შესაძლებელია ასევე განხორციელდეს ტყითსარგებლობის ხელშეკრულებით; ხე-ტყის დამზადების ბილეთით და ტყის რესურსით სარგებლობის ბილეთით.

ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიურ საბაზისო განაკვეთს ლარებში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ადგენს საქართველოს მთავრობა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 20 ლარიდან 50 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ წლიური საბაზისო განაკვეთის 50 პროცენტს.

ნუგზარ ფუტკარაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მიწის რეფორმის სამართლებრივი რეგულირება და მისი განხორციელების თავისებურებანი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

მიწის რეფორმა, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ ეკონომიკური მნიშვნელობის ღონისძიება, საქართველოში დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის, 7 თებერვლისა და 10 მარტის დადგენილებით "საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ". საქართველოს საოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გაიყო ორ ნაწილად: ერთი ნაწილი გადაეცა რეფორმის ფონდს და კომლებს (ოჯახებს) დაურიგდა უფასოდ კერძო საკუთრებად, ხოლო მიწის მეორე ნაწილი სახელმწიფომ თავად დაიტოვა საკუთრებაში და მისი იჯარით გაცემა დაიწყო.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოების დასაწყისად შეიძლება განხილულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წლის 11 თებერვლის დადგენილება "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მიწის და სასოფლო-სამეურნეო საშუალებათა ინვენტარიზაციის შესახებ" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წლის 11 მაისის დადგენილება "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მიწის რეფორმასთან დაკავშირებით ჩასატარებელ სამუშაოების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ".

ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე, რაიონებსა და სოფლებში ჩამოყალიბდა მიწის რეფორმის კომისიები, კონკრეტული სოფლების მიხედვით შეირჩა მიწის სარეფორმო ფონდები, დადგინდა მიწის მიმღებ კომლთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით და კომლზე გასაცემი მიწის ფართობის ზღვრული ნორმები. სადაბო და სასოფლო საკრებულოებში ჩამოყალიბდა მიწათმოწყობის სამსახურები, შეიქმნა მიწის რეფორმის რესპუბლიკური კომისია.

მიუხედავად იმისა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწის რეფორმის ჩატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები დაგვიანებით დაიწყო (1995-1999 წწ), იგი ხულოს, ქედისა და შუახევის რაიონებში ძირითადად დასრულებული იქნა.

მიწის რეფორმის პერიოდში კომლები (ოჯახები) დაიყო მიწის მიმღებთა 3 კატეგორიად და განისაზღვრა მიწის ზღვრული მაქსიმალური ნორმა. მიწის მიმღებთა პირველ კატეგორიას მიეკუთვნენ სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები და სოფლად მუდმივად მცხოვრები სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მათთვის მიწის გასაცემი ფართობი განისაზღვრა ბარისა და ზეგნის რაიონებში 1 ჰექტარამდე, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო – 1,25 ჰექტარამდე, მთის რეგიონებში – 5 ჰექტარამდე.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნენ სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეები. მათ განესაზღვრათ გასაცემი მიწის ფართობი ბარის და ზეგნის რაიონებში 0,75 ჰექტარამდე, ხოლო მთის რაიონში 5 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები 0,75 ჰექტარამდე)

მესამე კატეგორიას მიეკუთვნენ ქალაქად და დაბად მცხოვრებნი, რომელთაც საკუთრების უფლებით მიღებული ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი და ქალაქად და დაბაში მცხოვრები ის მოქალაქეები, რომელთაც სურდათ სოფლად მიეღოთ საკარმიდამო მიის ნაკვეთები მათ განესაზღვრათ 0,25 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უფასო გადაცემა (მიწის რეფორმის პერიოდი) დამთავრდა 1998 წლის 31 დეკემბერს. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ კომლებს (ოჯახებს), რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკუთვნოდა

მიწის ნაკვეთი, მაგრამ არ გადასცემიათ, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემის ვადა 2006 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა.

მიწის რეფორმის განხორციელების ხელოვნურად გაჭიანურების გამო მიწათსარგებლობის საქმეში თანდათანობით ჩამოყალიბდა საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებული მდგომარეობა, განსაკუთრებით, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში.

მათ შორის:

- არ დასრულებულა 1999 წლამდე დამტკიცებული მიწის სარეფორმო ფონდების კერძო საკუთრებაში გაცემა. (ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში დამტკიცებული შესაბამისად 821,84 და 1537,3 ჰა-დან კერძო საკუთრებაში გაცემული იქნა ქობულეთისა მუნიციპალიტეტში 286-ჰა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 1000 ჰა-მდე.)
- კოოპერაციულ მეურნეობებზე რიცხული (ყოფილი კოლმეურნეობები) სავარგულების ძირითადი ნაწილი ათეული წლების განმავლობაში თვითნებურად დაკავებული ჰქონდათ ცალკეულ კომლებს.
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (ყოფილი სახელმწიფო მეურნეობების) სავარგულები ფაქტიურად გაცემული იყო ქვეიჯარით ან იჯარით.
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცემული იყო საიჯარო ხელშეკრულებით სხვადასხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე. (საიჯარო და საქვეიჯარო გადასახადის ამოღებაზე დაწესებული იქნა მკაცრი კონტროლი, რადგანაც იგი აგრარული სექტორიდან ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა).
- მოიჯარეთა და ქვემოიჯარეთა აბსოლუტური უმრავლესობას გადახდილი ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო და საქვეიჯარო ერთი ან რამდენიმე წლის გადასახადი (ამასთან, მოიჯარეთა და ქვემოიჯარეთა მნიშვნელოვან ნაწილს ჰქონდა საიჯარო და საქვეიჯარო გადასახადების სხვადასხვა წლების დავალიანება).
- 90-იან წლებში შექმნილი ურთულესი ეკონომიკური პირობების გამო ქალაქად მცხოვრებთა ნაწილმა დაიწყო მამისეულ სოფლებში მიწების თვითნებურად დაკავება ან ქვეიჯარით აღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსაყვანად და სხვა (განსაკუთრებით ქ. ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მიმდებარე სოფლებსა და დაბებში).
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობის და ყოფილი სახელმწიფო მეურნეობების მუშების აბსოლუტურ უმრავლესობას 10-15 წლის განმავლობაში თვითნებურად დაკავებული ჰქონდა და სარგებლობდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილით.

2007 წლის დეკემბრიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში დაიწყო საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის დამკვიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი - მიწაზე კერძო საკუთრების დამადასტურებელი შესაბამისი მოწმობის გაცემა და ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მიწის რეფორმის თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გაჭიანურების გამო წარმოშობილი პრობლემების დაძლევის ეტაპი, რასაც თავისი მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით განსაკუთრებული სოციალურ ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

იმის გათვალისწინებით, რომ ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრებ კანონიერად წარმოშობილ კომლებს (ოჯახებს), რომლებსაც მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მიწის რეფორმის გაჭიანურების შედეგად მიწის ნაკვეთები კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში არ გადასცემიათ, დაუწესდეთ გარკვეული შეღავათები. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლად მცხოვრებ კომლებს (ოჯახებს), რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში არ გადასცემიათ მიწის ნაკვეთები, მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან ერთად თვითნებურად დაკავებული სასოფლო-სამეურნეო დანიშ-

ნულების მიწის ნაკვეთებიდან 0,30 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთები საკუთრებაში გადაეცეთ უსასყიდლოდ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების საკრებულოსთან არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიები შეიქმნა შესაბამისი საკრებულოების განკარგულების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულება "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა შესაბამისად.

მუნიციპალიტეტების საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ 2007 წლის დეკემბრიდან 2009 წლის ნოემბრამდე მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე განცხადებით მიმართა 31873 დაინტერესებულმა პირმა.

მუნიციპალიტეტების საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ 2007 წლის დეკემბრიდან 2009 ნოემბრამდე გაცემული იქნა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების სულ 23812 მოწმობა. აქედან: ქობულეთის მუნიციპალიტეტში 13898 მოწმობა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 9496, ხულოს მუნიციპალიტეტში 171, შუახევის მუნიციპალიტეტში 92 მოწმობა, ქედის მუნიციპალიტეტში 155 მოწმობა.

ამასთან, მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ 2007 წლის დეკემბრიდან 2009 წლის ნოემბრამდე მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ ბათილად იქნა ცნობილი უკვე გაცემული საკუთრების უფლების დამადასტურებელი 1082 მოწმობა. აქედან: ქობულეთის მუნიციპალიტეტში 238, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 839, ქედის მუნიციპალიტეტში 5 მოწმობა. ამასთან, საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი ეთქვა სულ 4435 დაინტერესებულ პირს სხვადასხვა მიზეზის გამო, რასაც დაინტერესებული პირების გარკვეულ კატეგორიაზე კანონით მინიჭებული უფლების დარღვევა და სხვა მნიშვნელოვანი უარყოფითი გამოვლინებები მოჰყვა;

დაინტერესებული პირების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით კომისიებს განცხადებით მიმართეს საქართველოს კანონში "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" 2008 წლის 5 დეკემბერს №614 შესულ ცვლილებამდე, რომლის მიხედვით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კანონის მე-2 მუხლის გ) პუნქტი:

„თვითნებურად დაკავებული მიწა – ფიზიკური პირის მიერ ამ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, **რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი** (აშენებული ან დანგრეული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან **მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე**, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე), რომლის ფართობი ნაკლებია საკუთრებაში მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული") მაითგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ფაქტიურად დაკარგეს მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების უფლება.

მათ შორის:

– იმ დაინტერესებული პირების ნაწილმა, რომლებმაც უარი მიიღეს განცხადებების განხილვაზე, განცხადებების განხილვის ვადის გასვლის გამო,

– იმ დაინტერესებული პირების ნაწილმა, რომლებმაც უარი მიიღეს განცხადების განხილვაზე, განცხადების ნიმუშის შევსებაში დაშვებული შეცდომის გამო.

– იმ დაინტერესებული პირების ნაწილმა, რომლებმაც უარი მიიღეს კომისიისათვის წარდგენილი მასალებში არსებული ხარვეზების გამო (მათ შორის: საკუთრების აღიარების საფასურის გადაუხდელობის გამო მიუხედავად იმისა, რომ კომისიას აღნიშნულის შესახებ დაინტერესებულ პირზე არ უცნობებია) საკუთრების უფლების აღიარებაზე.

– იმ დაინტერესებული პირების ნაწილმა, რომლებსაც სარგებლობაში ან თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე არ გაჩნდათ საცხოვრებელი სახლი.

– იმ დაინტერესებული პირების ნაწილმა, რომელთა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენდა მათ მართლზომიერ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთს და იგი გაყოფილია სასოფლო გზით, ღელით, ხევით და სხვა.

– იმ დაინტერესებული პირების ნაწილმა, რომელთა მართზომიერ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (0.15 - 0,25 - ჰა) წარმოდგენილია სხვადასხვა ადგილას მდებარე რამდენიმე ნაკვეთის სახით, რომელთა ფართობი არ აღემატება 0,03 – 0.1 ჰა და აქედან მხოლოდ ერთ მიწის ნაკვეთზე აქვს საცხოვრებელი სახლი და თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი არ მდებარეობდა მიწის იმ ნაკვეთს მომიჯნავედ, რომელზეც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი.

– იმ დაინტერესებული პირების ნაწილმა, რომლებმაც მართლზომიერი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მიუხედავად, უარი მიიღეს მართლზომიერი საკუთრების დაუდასტურებლობის გამო საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

კომისიებში შესული განცხადებების გარკვეული ნაწილის არასრული მასალების წარდგენის, განცხადების ნიმუშის შევსებაში დაშვებული უნებლიე შეცდომის და სხვადასხვა ხარვეზის გამო, რომლის გამოსწორება უშუალოდ განცხადების განხილვისას პერიოდში შეიძლებოდა, მასიურად განცხადებების განხილვის ან/და განხილვის გარეშე უკან დაბრუნება ან/და აღნიშნული მოტივით მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების არაერთი ფაქტია დაფიქსირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ განხილული არ იყო ასობით ადრე შეტანილი განცხადებები, განცხადებების მეორე ნაწილი განხილულია შეტანიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ მე-12 მუხლი 4, 5, 6 პუნქტების მოთხოვნის „ - კომისია ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა" და სხვა. მოთხოვნის გაუთვალისწინებლობის გამო საკუთრების აღიარების კომისიებმა მიიღეს არაერთი გადაწყვეტილება, რომელთა ნაწილი რამდენიმე თვეში მათ მიერ ბათილად იქნა ცნობილი. ასე მაგალითად :

– საქართველოს ,ანონის „ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების უფლების აღიარების შესახებ" მე-5[1] მუხლის მე-2-ე პუნქტის და "საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულება „ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლი 2 პუნქტით" გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით, კომისიების მიერ მიწის იმ ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელზეც საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარებოდა და შემდგომ სხვადასხვა მოტივით მიღებული ასეთი გადაწყვეტილებების მხოლოდ ნაწილი იქნა გაუქმებული (დაბა ჩაქვი, მახინჯაური, გონიო და სხვა).

– "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5[1] მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნის "თვითნებურად დაკავებულ მიწაზე აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნას მოთხოვნის შესაბამისობა სივრცითი – ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიული გეგმასთან ». აღნიშნულის გათვალისწინების გარეშე მიღებულია არა ერთი გადაწყვეტილება და მათგან მხოლოდ ნაწილია შემდგომ გაუქმებული.

– ცალკეული დაინტერესებული პირების მიერ კომისიებზე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგე-

ნის მიუხედავად (კომისიამ აღიარა დოკუმენტების მართლზომიერება და აღნიშნულის შესახებ აცნობა დაინტერესებული პირებს, მიუთითა დადგენილი თანხის გადახდის შესახებ, ოქმებს თან ერთვის გადახდის ქვითარი) საკუთრების უფლების აღიარების შესახებ უკვე მიღებული ასეთი გადაწყვეტილებების სხვადასხვა მოტივით გაუქმება.

- კომისიების მიერ ცალკეული დაინტერესებული პირების მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებით ან მოწმეების ჩვენებით საკუთრების უფლების აღიარების და მის მიმდებარედ პრაქტიკულად იგივე მდგომარეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სხვა დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმა სხვადასხვა დაუსაბუთებელი მოტივით.

— ჩაის მასიური პლანტაციით დაკავებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არა ერთი გადაწყვეტილების მიღება, რომლის თვითნებურად დაკავების ფაქტი დადასტურება სერიოზულ ეჭვს იწვევს და შემდგომ უკვე მიღებული ასეთი გადაწყვეტილების მხოლოდ ნაწილის გაუქმება.

— კომისიების მიერ საკითხთან დაკავშირებით არსებით გარემოებების შესწავლის გარეშე გადაწყვეტილების მიღების, ერთ და იგივე ნაკვეთის სხვადასხვა დაინტერესებულ პირებზე გაცემის და .ე.წ. "გადაფარვების" ფაქტების თავიდან აცილების მიზნით გაწეული არასაკმარისი საქმიანობის შედეგად მიღებული არაერთი გადაწყვეტილების მიღება.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული მოწმობის ნომრებსა და დაინტერესებულ პირების სიას შორის მნიშვნელოვანი სხვაობა. სულ განხილულია 13494 საკითხი. ხოლო გაცემული მოწმობების რიგითი ნომრის რიცხვითი მაჩვენებელი აღემატება 16 ათასს.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ძირითად ოქმებთან ერთად წარმოებულია ეგრეთწოდებული პარალელური პრიმა ოქმები.

კომისიების მიერ 2007-2009 წლებში 4435 დაინტერესებულ პირზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და კომისიების მიერ საკუთრების უფლების აღიარების შესახებ უკვე გაცემული 1077 მიწმობის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება მიღების ფაქტები აშკარად მიუთითებენ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების პროცესის არაორგანიზებულად წარმართვისა და არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია კომისიების საქმიანობაში დამკვიდრებული პრაქტიკა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ უკვე მიღებული საკუთარი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, რითაც კომისიამ დარღვია საქართველოს კონსტიტუციით 21-ე მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები, როგორიცა:

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს შედეგად მოჰყვა დაინტერესებული პირების მნიშვნელოვანი ნაწილის კანონიერი უფლების შელახვა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით რაც ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ 2008 წლიდან ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების საკუთრების უფლების აღიარების კომისიები პერიოდულად აუქმებდნენ მოქალაქეებზე მათ მიერვე გაცემულ საკუთრების მოწმობებს, რამაც ასეული ადგილობრივი ოჯახი დააზარალა. კომისიამ სრულიად უგულებელყო ჩამორთმეული მიწების სანაცვლოდ რაიმე სახის კომპენსაციის (ფულადი, სანაცვლო მიწის ნაკვეთი) გაცემის ვალდებულება.

ტურიზმის განვითარების სხვა პერსპექტიულ და ინვესტორებისათვის მიმზიდველ ადგილებს შორის ხელვაჩაურისა და ქობულეთის შემთხვევა არის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ ეწირება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები ინფრასტრუქტურული თუ ტურისტული განვითარების პროექტს. გარდა იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ზარალდება, განვითარების პროექტის განხორციელებასაც სერიოზული საფრთხე ექმნება – იზრდება უკმაყოფილო ადამიანთა ჯგუფი, რომელიც როგორც წესი პროექტის წარმატებულად განხორციელებას უქმნის საფრთხეს.

საკუთრების უფლების დაცვის სუსტი საკანონმდებლო მექანიზმი, რასაც ემატება სასამართლო დამოუკიდებლობის არასაკმაოდ ხარისხი და ქვეყანაში განსახლების პოლიტიკის არქონა, საკმაოდ ამცირებს დაზარალებული მოქალაქეების შესაძლებლობებს – დაიცვან საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სხვა უფლებები.

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლების მიერ წამოყენებულმა კამპანიამ „რაც შენია, შენია" რომელიც მიწის დაკანონების სიადვილის და ამ მიწის სარგებლობით მოტანილი სიკეთეების თვალსაზრისით გამორჩეული უნდა ყოფილიყო, ვერ გაამართლა. ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში ეს პროგრამა მიწათმესაკუთრეებისათვის რაიმე სიკეთის მომტანი ვერ აღმოჩნდა, ხოლო მათი ძალისხმევა – კანონის შესაბამისად ემოქმედათ და აოწლეულების განმავლობაში მათ მიერ გამოყენებული მიწები კანონიერად დაერეგისტრირებინათ, უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ზარალის მომტანი აღმოჩნდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

საქართველოს კანონის "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შესახებ" მე-3 მუხლით და მე-5[1] მუხლის 2 პუნქტით გათვალისწინებული ტერიტორიების საზღვრების, სანიტარიული ზონების, გასხვისების ზოლების გეომორფოლოგიურად საშიში (მეწყერი საშიში) ზონების შესახებ ერთიანი გეოინფორმაციული ბაზის შექმნა და მისი მუნიციპალიტეტების საკრებულოზე გადაცემა;

ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტების მიწის რეფორმის შედეგად კომლებზე გადაცემული მიწის ნაკვეთების შესახებ საკადასტრო ნახაზების და საკუთრების უფლების აღიარების სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადასახადისაგან განთავისუფლების თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის საქართველოს პარლამენტში წარდგენა.

იმისათვის, რომ საკუთრების უფლება სრულიად იყოს დაცული, აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე დაწესდეს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის, ხანდაზმულობის ვადები, ხოლო გაცემული საკუთრების მოწმობის შემდგომი გაუქმების შემთხვევაში იმავე გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს ზიანის ანაზღაურება და ამ ანაზღაურების შესრულების ვადები.

იმ მოქალაქეებს, რომლებსაც საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ გაუუქმა საკუთრების მოწმობები, უნდა აუნაზღაურდეთ ამ საკუთრების სარგებლობისას გაწეული ხარჯები, როგორც მინიმუმ საკუთრების უფლების აღიარებისა და რეგისტრაციისათვის გაწეული ფინანსური დანახარჯების გამო.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელების თავისებურებებიდან გამომდინარე საჭიროა გატარდეს სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკა მათ შორის მოსახლეობის განსახლებისა და მიგრაციული პროცესების მართვის სფეროში, რაცა დაზარალებულ მოსახლეობას დაუბრუნდეთ სამართლიანობისა და ობიექტურობის განცდა.

დავით ქათამაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ნეოკოლონიალიზმის განვითარების საშიშროება და მისი დაძლევის გზები საქართველოში

კოლონიალიზმის ეპოქა XX საუკუნის 50-იან წლებში დასრულდა. II მსოფლიო ომმა იმპერიალისტური ზრახვების მქონე ქვეყნები აიძულა გადაეხედათ მათ მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკისათვის და ეროვნული დამოუკიდებლობა მიეცათ მოსახლეობისთვის, მანამდე დაპყრობილი ქვეყნებისათვის, მაგრამ ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებით მიღებული "სიამოვნება" დიდხანს არ გაგრძელებულა: დამოუკიდებელი ეკონომიკის გაძღოლის მხრივ გამოუცდელმა ქვეყნებმა საკუთარი კაპიტალის უქონლობის გამო, ვერ მოახერხეს თავიანთი მეურნეობის ადგილობრივი ფინანსებით უზრუნველყოფა. ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაში მათ 10 წელსაც ვერ გაძლეს, რის გამოც ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ამ ქვეყნებმა "მუხლმოდრეკილი" თხოვნით მიუბრუნდნენ თავიანთ მოსაზღვრე, "კეთილისმყოფელ", ყოფილ დამპყრობ სახელმწიფოებს, რათა მათ "გაემეტებინათ" ფინანსური სახსრები ახლად ფორმირებადი ეკონომიკის დაფინანსებისათვის. სწორედ აქედან იწყებს სათავეს ნეოკოლონიალიზმის განვითარების ეპოქა, რომელიც დღესაც გრძელდება.

ამ პროცესების შენიღბვისა და საერთაშორისო სამართლებრივი სარჩულით მისი "შეფუთვის" მიზნით, მაღალგანვითარებულმა (შემდგომში დონორ სახელმწიფოებად წოდებულმა) ქვეყნებმა ჩამოაყალიბეს საერთაშორისო საფალუტო, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები (საერთაშორისო საფალუტო ფონდი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკი, აფრიკის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ა. შ.). ამ ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალი შეიქმნა დონორი ქვეყნების მიერ, საპაიო წილის მოპოვების მიზნით, გადახდილი ფინანსური შენატანებით. მაგალითად, საერთაშორისო საფალუტო ფონდში ყოველი 100 ათასი დოლარის შეტანით ქვეყანა იღებს ერთი ხმის უფლებას. ასეთი მექანიზმით აკუმულირებული თანხები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის დასაფინანსებლად გამოიყენებოდა მხოლოდ დონორი ქვეყნის მიერ გამოხატული პოლიტიკური ნების შემთხვევაში. დონორ ქვეყნებს კი ამის სურვილი გაუჩნდებოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ესა თუ ის განვითარებადი ქვეყანა, გირაოს სახით, დათმობდა ან გაყიდდა სასურველი თანხის ადექვატური ღირებულების მქონე ქონებას (ხე-ტყეს, მდინარეს, საბადოს, პორტს, ტერიტორიას და ა. შ.), ან დონორი ქვეყნის სასარგებლოდ გამოცალიდა საგარეო პოლიტიკას (თუ ამის ინტერესი ჰქონდა დამფინანსებელ მხარეს). ასეთნაირად დონორი ქვეყნების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნების მთელი რიგი, სხვადასხვა სახის მატერიალური ფასეულობანი, პორტები, მომპოვებელი დარგები და შემოსავლების მომტანი სხვა აქტივები.

სწორედ ამ მიზნების მიღწევის მიზნით შექმნეს მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა ტრანსნაციონალური კორპორაციები. თუ საერთაშორისო საფალუტო-საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციების შექმნის რეალური მიზეზი, ფინანსური ნაკადების მანიპულირებით, სახელმწიფო დონეზე პოლიტიკის გამოცალა იყო, ტრანსნაციონალური კორპორაციების დაარსების რეალური მიზანი იყო მოეხდინათ სხვა ქვეყნების აქტივების მიზერულ ფასად ხელში ჩაგდება. სწორედ ამიტომ თუ 1960-70-იან წლებში საერთაშორისო დაკრედიტებას ძირითადად პორტფელური (ანუ სარგებლის განაკვეთის სახით მოგების მიღებაზე ორიენტირებული) სახე ჰქონდა, 1970-იანი წლების შემდეგ საზღვარგარეთის განვითარებადი ქვეყნების აქტივებზე კონტროლის მოპოვების მიზნით მან მიიღო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახე, რაც იმას გულისხმობს, რომ შემოსავლების განკარგვასთან ერთად, აქტივებს ახალი მეპატრონე ჰყავს, რომელიც სარგებლობს ამ აქტივების საკუთრების განკარგვის უფლებითაც, ანუ არის მისი მესაკუთრე.

1990-იან წლებში სწორედ ასეთ პირობებში დაიშალა საბჭოთა კავშირი და ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლად მართვის სფეროში გამოუცდელი საქართველო აღმოჩნდა საბაზრო

ეკონომიკის დამოუკიდებლად განვითარების გზაზე. თუ დავაკვირდებით ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის ფინანსურ ნაწილს, სურათი კატასტროფული და მართლაც შემაშფოთებელია. საქართველოში ამ 20 წლის განმავლობაში პორტფელური ინვესტიციის სახით კაპიტალი საერთოდ არ შემოსულა. შესაბამისად, პორტფელური ინვესტიციების როგორც დებეტში, ისე კრედიტში, მისი მაჩვენებელი უდრის 0-ს, ეს მაშინ, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსის დებეტის მუხლი აშკარად ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ: 2004 წელს თუ იგი შეადგენდა 499,1 მლნ აშშ. დოლარს, 2005 წელს ამ მაჩვენებელმა 449,8 მლნ დოლარი შეადგინა, 2006 წელს – 1190,4 მლნ აშშ. დოლარი, 2007 წელს – 2014,8 მლნ აშშ. დოლარი, 2008 წელს –1564,0 მლნ. დოლარი, 2009 წელს – 658,4 მლნ დოლარი, ხოლო 2010 წელს კი – 553,1 მლნ დოლარი.[1]

ზემოთ მოყვანილი მონაცემების გარდა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დაბანდებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით არის წარმოდგენილი, საქართველოს აღებული აქვს 4,5 მლრდ დოლარის ოდენობის საგარეო ვალი, რომლის გადახდის ვადაც 2013 წლიდან დაიწყება. ამ დროიდან საგარეო ვალის დასაფარავად საბიუჯეტო დანახარჯების მეოთხედი საგარეო ვალის მომსახურებისა და ვადაგადაცილებული თანხების დასაფარაცად უნდა დაიხარჯოს.

როგორც აქ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, გამოუცდელი საქართველო ადვილად "წამოეგო" ქრონიკული საგარეო დავალიანებისა და ნეოკოლონიალიზმის მეტად საშიშ მარყუჟს. ჩვენს ქვეყანას უკვე უცხოელ ინვესტორებზე გასხვისებული აქვს ჩვენი ქვეყნისათვის პრიორიტეტული, თითქმის ყველა დარგი და აქტივი: კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, პორტები და ა. შ. მოტივი ყოველთვის მარტივი და ერთიდაიგივეა: ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას და სახელმწიფო ბიუჯეტს არ გააჩნია საკმარისი თანხები მათი რეაბილიტაციისათვის და ახალი ტექნოლოგიების შესაძენად, ამიტომ მათ უქმად მოცდენას, სჯობია ისინი აამოქმედონ მათ, ვისაც ამისათვის საჭირო თანხა და მართვის შესაბამისი გამოცდილება აქვთ. ასეთნაირად ჩვენი ქვეყნის აქტივების უმრავლესობა აღმოჩნდა უცხოეთის მოქალაქეთა საკუთრებისა და კონტროლის ქვეშ.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში იწყება ნეოკოლონიალიზმის განვითარების ახალი, ბევრად უფრო საშიში ფაზა: მას შემდეგ, როდესაც გაიყიდა ჩვენი ქვეყნის აქტივების უმეტესი ნაწილი, ახლა ჯერი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულებზე მიდგა. მოტივი აქაც იგივეა: თუ საკუთარ მოსახლეობას არსებული საბაზრო ფასების პირობებში, სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალმწარმოებლურობის გამო, არ უღირს სახნავ-სათესი მიწების დამუშავება, მათი დაუმუშავებლობისათვის დაუწესდებათ საჯარიმო სანქციები. მათი არგადახდის შეთხვევაში მიწა ჩამოერთმევა ყოფილ მესაკუთრეს და გამოცხადდება ტენდერი, ახალ მესაკუთრეზე მისი გადაცემის მიზნით. შედეგად, ახალი მესაკუთრეები არა საქართველოს მოქალაქეები, არამედ უცხოელები აღმოჩნდებიან, ეს იმ ფონზე, როცა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე ძალიან დაბალია. მოხმარებული სასურსათო პროდუქციის 80% იმპორტით კმაყოფილდება. ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას, მისი მიწის ფონდის და სხვა რესურსების გათვალისწინებით, შეუძლია 50 მლნ ადამიანის კვება.

მაშ რაშია საქმე? ქართველებია ბუნებით ზარმაცი, თუ ბიზნესს არა აქვს ხელსაყრელი გარემო განვითარებისათვის. უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც მოგების მიღების შანსი არსებობს, ბიზნესი არ გაჩერდება მანამდე, სანამ არ ამოიწურება ამ მოგების მიღების შანსი. ჩვენს ქვეყანაში თუ არ იწარმოება სოფლის მეურნეობის პროდუქცია სრული დატვირთვით (მისი პოტენციალის მხოლოდ 8 %-ია ათვისებული), ეს ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული არაადექვატური აგრარული პოლიტიკით არის გამოწვეული და არა ქართველი გლეხის სიზარმაცით. თუ საბჭოურ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობა იმდენს აწარმოებდა, რომ იგი (გაცვლის გათვალისწინებით) სავსებით საკმარისი იყო ადგილობრივი მოსახლეობის გამოსაკვებად, რა მოხდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში? გამდიდრდა და განებივრდა მოსახლეობა? არა. მათ უბრალოდ არა აქვთ შექმნილი აგრარული ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელი გარემო. ე.ი. შედეგად რა მოხდა? ხელისუფლებამ არ შეუქმნა სოფლის მეურნეობას განვითარების ნოყიერი ნიადაგი და ახლა აპირებს მიწის უცხოელებზე გასხვისებას.

---

[1] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ"); თბილისი, 2011 წ; გვ.-17.

თანამედროვე ეტაპზე სხვა ქვეყნების ეკონომიკური ექსპანსია ომით, შეიარაღებული თავდასხმებითა და საჯარისო ფორმირებებით კი არ ხდება, არამედ ეკონომიკური მექანიზმებით. აქტივების ყიდვა-გაყიდვის საერთაშორისო ბაზარი სწორედ მოდიფიცირებულ ომის ველს წარმოადგენს, სადაც ინვესტიციებით "შეიარაღებული" დონორი ქვეყნები "სანგრებში" ჩასაფრებულნი ელოდებიან, როდის დაღარიბდება რომელიმე ქვეყანა და ხელს გაიშვერს მათკენ დასახმარებლად. ჭარბი კაპიტალის მქონე სახელმწიფოებიც, "სოციალური განცდებით აცრემლებულნი", "თავიანთი სანგრებიდან" მაშინვე გამოემართებიან დასახმარებლად. ამ დროს იწყება ერთმანეთისათვის დასწრება აქტივების მიზერულ ფასად ხელში ჩაგდების მიზნით. სწორედ ეს არის თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ნეოკოლონიალიზმის გამოხატულება.

ამ მხრივ გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც პირველ ადგილზეა მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის მხრივ, სიაში მას მოჰყვება ევროკავშირი და იაპონია. მსოფლიო მასშტაბით მიწის ფონდების შესყიდვის მიმართ მზარდ დაინტერესებას იჩენენ ის სახელმწიფოები, რომელთაც საკუთარი მიწის მცირე რესურსები აქვთ. ისინი გამოირჩევიან მცირემიწიანობითა და მოსახლეობის სიჭარბით. ესენია ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია და სხვები. სწორედ ამ მიზნით აქვს შექმნილი იაპონიას სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დაბალი სარგებლის განაკვეთის მქონე სესხებს იძლევა სხვადასხვა ქვეყნის აგრარული სფეროს დასაფინანსებლად. ინდოელებმა და ჩინელებმა უკვე საკმაო მასშტაბით შეისყიდეს მსოფლიოში უხვმოსავლიანობით ცნობილი მრავალი ათასობით ჰექტარი მიწა და დაიწყეს მათი აგრესიული დამუშავება. ამდენად, თანამედროვე ეტაპზე სხვისი მიწების დაპყრობა არა იარაღით, არამედ ფულით, ინვესტიციებით ხდება. ამ მიწებზე მოყვანილი აგრარული პროდუქცია იყიდება არა შიდა ბაზარზე არამედ იგი გადის ექსპორტზე მხოლოდ იმ ქვეყნებში, საიდანაც არიან წარმოდგენილნი მიწების შემსყიდველი ინვესტორები, თავიანთი მოსახლეობის გამოსაკვებად. იმავდროულად, ეს ექსპორტი ხდება არა მაკომპენსირებელი საგალუტო შემოსავლების გადახდის ხარჯზე, არამედ უსასყიდლოდ, რადგანაც მოყვანილი დოვლათი მისი კერძო საკუთრებაა და თუ მან ეს პროდუქცია თავის ქვეყანაში გაყიდა, ეს შემოსავლები მიწის გამყიდველ ქვეყანაში კი არ შედის, არამედ რჩება ინვესტორის ქვეყანაში. ინვესტორი მიწის გამყიდველ ქვეყანაში შემოიტანს მხოლოდ იმდენ ფულს, რამდენიც საჭიროა მიწის დასამუშავებლად.

ასეთ პირობებში მიწის რესურსებით მდიდარმა, მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ "გამოიმუშავა იმუნიტეტი" და აკრძალა მიწების უცხოელებზე გაყიდვა. ამ ფონზე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა სწორედ ახლა აპირებს მიწების დამუშავების მოტივით, მის სხვებზე მიყიდვას. შედეგებს ახლო მომავალში მივიღებთ, როცა ქვეყანა აყვავებული იქნება სოფლის მეურნეობის სავარგულებით, საკუთარი მოსახლეობა კი შიმშილის კატასტროფის წინაშე დადგება. ამ შემთხვევაშიც მიზესი სახელმწიფოს მიერ გატარებული აგრარული პოლიტიკა იქნება. იმისათვის, რომ მართალი ვიყოთ მომავალი თაობის წინაშე, ვიდრე არ დაემდგარვართ ამ კატასტროფის პირისპირ და შეგვიძლია ვითარების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოსწორება, განზე გადგომა და მოვლენების შორიდან თვალთვალი ქვეყნის ღალატის ტოლფასია და საჭიროა დავირაზმოთ, ყოველმხრივი ძალისხმევა სახელმწიფო პოლიტიკის გამოსაცვლელად. ხვალ უკვე გვიან იქნება. საქართველოს ნეოკოლონიალიზმის მარყუჟიდან გადასარჩენად და ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად, ამ სფეროში არსებული პრობლემების დადაჭრის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. საჭიროა ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა გადახედილ იქნეს არა სარგებლიანობის მოტივზე დაყრდნობით, არამედ ეროვნული ინტერესების სათანადო დონეზე წარმოჩენისა და დაცვის კუთხით;

2. ხელისუფლებამ ადეკვატური და დროული ღონისძიებები უნდა გაატაროს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის: საჭიროა მოხდეს სოფლის მეურნეობის სუბსიდირება, რისთვისაც საკმარისია ბიუჯეტის 1/3 ნაწილი- 2,5 მლრდ ლარით შესაძლებელია საქართველოს ფერმერების მიერ წარმოებული აგრარული პროდუქციის საბაზრო ფასად შესყიდვა და მათი გადამუშავება ადგილობრივ აგრო-სამრეწველო კომპლექსში;

3. თუ ხელისუფლება ეროვნულ ბიზნესმენებს მისცემს მწვანე შუქს, ისინი ჩამოაყალიბებენ აგრო-სამრეწველო კომპლექსს, სადაც დამზადებული აგრო-სამრეწველო პროდუქცია, სუბსიდირებულად, იაფად წარმოების ხარჯზე, გააძევებს ადგილობრივი ბაზრიდან იმპორტულ სასურ-

საოო პროდუქციას. შედეგად კი ამაღლდება საქართველოს მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე;

4.რეალური ეროვნული დამოუკიდებლობის მიღებისა და დასავლური, თავსმოხვეული ე. წ. "კრიზისიდან გამოსვლის' რეკომენდაციებისაგან თავის დაღწევის მიზნით საჭიროა ქვეყნის ხელისუფლებამ გაზარდოს საბიუჯეტო ხარჯვის მიზნობრიობა, ატრაქციონების, შადრევნებისა და არამწარმოებლური ინფრასტრუქტურის მშენებლობის ნაცვლად, დააფინანსოს ის მწარმოებლური დარგები, რომლის ასამოქმედებლად, ინვესტიციების უკმარისობის მოტივზე დაყრდნობით, იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს აქტივების გრძელვადიან სარგებლობაში (49 – 99 წლიანი ვადით) გადაცემის, მიზერულ თანხად (1 ლარად) პირდაპირი წესით მიყიდვის ან საკუთრებაში გადაცემის გზით;

5. საბიუჯეტო თანხების მიზნობრივი ხარჯვა საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას გახდეს სურსათის ექსპორტიორი და მიიღოს მნიშვნელოვანი სავალუტო შემოსავლები მსოფლიო სასურსათო კრიზისის ფონზე, როცა სურსათის მსოფლიო ფასები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ნაცვლად იმისა, რომ სამამულო აგრარული პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები და შესაბამისად, გამდიდრების შანსი გადააბაროს უცხოელებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლინდერტი პ. ჰ. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა "სიახლე" თბილისი 2009 წ. გვ. – 365;
2. ქათამაძე დ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ბათუმი 2008 წ. გვ. – 400;.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ"). თბ. 2011 წ;
4. საქართველოს ეროვნული ბანკის მასალები. თბ. 2011 წ;

ნინო ლიპარტელიანი
გორის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ნანა ახალაია
გორის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნეოკოლონიალიზმის საფრთხე თანამედროვე მსოფლიოში

კაცობრიობის ისტორიაში მისი წარსული, აწმყო და მომავალი მჭიდროდაა დაკავშირებული. ჩვენი კვლევის თემაა ნეოკოლონიალიზმი, როგორც არათანასწორი, არათანაბარუფლებიანი ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემა ინდუსტრიალურად განვითარებულ, წამყვან სახელმწიფოებსა და აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებს შორის. ნეოკოლონიალიზმი ჩამოყალიბდა კოლონიალიზმის, როგორც სისტემის რღვევის პროცესში და მიზნად ისახავს იმას, რომ, წამყვანმა, განვითარებულმა სახელმწიფოებმა ახალი, უფრო დახვეწილი და მოქნილი მეთოდებით შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა და ზეგავლენა ყოფილ კოლონიებსა და სხვა განვითარებად ქვეყნებზე. განთავისუფლებული ქვეყნების უმრავლესობა ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის თანამიმდევრული გატარების შედეგად სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ყოფილ მეტროპოლიაზე. კლასიკური კოლონიალიზმისაგან განსხვავებით ნეოკოლონიალიზმი გარეგნულად ოითქოს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ნებაყოფლობითი კავშირია, სადაც საერთაშორისო სამართლის პრინციპები ფორმალურად დაცულია. განვითარებადი ქვეყნები განვითარებულ ქვეყნებთან დებენ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც ფაქტობრივად განვითარებად სახელმწიფოებს დამოკიდებულ მდგომარეობაში აყენებს ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც.

ნეოკოლონიალიზმის მაგალითად თანამედროვე მსოფლიოში ასახელებენ აფრიკულ სახელმწიფოებს. აფრიკის კონტინენტი საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა ევროპის გავლენის ქვეშ, ხოლოდ 1960-იან წლებში აფრიკის ქვეყნების უმრავლესობამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. სავსებით ბუნებრივია, რომ საწყის ეტაპზე ახლად წარმოშობილი დამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოები ეკონომიკურად ძლიერები ვერ იქნებოდნენ, ამიტომ მათი უდიდესი ნაწილი ითხოვდა დახმარებას, თუნდაც იმისათვის, რომ წარმატებულად აეთვისებინათ კონტინენტის რესურსები. ამ სიტუაციიდან გამომდინარე ისინი აღმოჩდნენ სეარიოზული საფრთხის წინაშე და მას ნეოკოლონიალიზმის საფრთხე ერქვა.

საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ნეოკოლონიალიზმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად აფრიკამ დამოუკიდებლად უნდა იპოვოს თავისი პრობლემების მოგვარების გზები. თუ გადაეხედავთ კონტინენტის რესურსებს, იგი ღარიბად სულაც არ მოგვეჩვენება. აფრიკის კონტინენტზე თავმოყრილია წიაღისეულის უდიდესი მარაგები, აქ მოიპოვება ოქრო, ალმასი, ნავთობი და ა.შ. აფრიკა ფლობს:

- სამხრეთ ამერიკის ჰიდროელექტროენერგიის 13%;
- ევროპის ჰიდროელექტროენერგიის 10%
- მსოფლიო ჰიდროელექტროენერგიის 40%

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ კონტინენტი მოიხმარს ამ რესურსის მხოლოდ 3%. ეს ფაქტორი და კიდევ უამრავი სხვა განაპირობებს, რომ აფრიკის სახელმწიფოებში პარადოქსული მდგომარეობაა და უკიდურესი სიღარიბეა გამეფებული.

აფრიკის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობენ მონოპოლიები და ტრანსნაციონალური კორპორაციები. აფრიკული ქვეყნებიდან ექსპორტს მთლიანად აკონტროლებს 15 მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაცია, კერძოდ:

- რკინის მადნის 90-95%
- თამბაქოს, ხორბლის, ყავის, კაკაოს, ბამბის, ბურღულის 80-90%
- ბოქსიტების, ჩაის, წიაღისეულის, კალის 80-85%
- ნავთობის 75%

- ბრინჯის 70%

აფრიკის განვითარებადი ქვეყნებისათვის განკუთვნილი ნედლეულის 70% ამ ქვეყნებში ტრანსნაციონალური კორპორაციების გზებით ხვდება. აფრიკის განვითრებადი სახელმწიფოების წილი აზიაში პირდაპირი ინვესტირების საერთო მოცულობის 25% შეადგენს (დაახლოებით 148 მილიარდი აშშ $) თანაც ეს დახმარება აფრიკის მხოლოდ 20 ქვეყანაზე მოდის. ამის პარალელურად აფრიკის ქვეყნების შიდა ეალი დღითიდღე იზრდება. ტრანსნაციონალური კორპორაციების და ტრანსნაციონალური ბანკების უდიდესი ნაწილი იმ აფრიკულ ქვეყნებზე მოდის, რომლებსაც დღეს "ცხელ წერტილებს" ვეძახით. ესენი ბუნებრივი რესურსებით შედარებით მდიდარი რეგიონებია.

მთელი მსოფლიოს ყურადღება აფრიკისკენაა მიქცეული, მაგრამ ნეოკოლონიალიზმის საფრთხეს აზიაშიც ხედავენ. მსოფლიოს ახალი მოთამაშეები ჰყავს, მათ შორისაა ჩინეთი. მისი გეოსტრატეგია ფიქსირდება იმაზე, რომ იყოს დომინანტი წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში, სურვილი აქვს გააკონტროლოს აზიიდან ევროპაში მიმავალი ყველა მარშრუტი. ამ პოზიციაში კი გამორიცხული არაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე, როგორებიცაა ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა და სხვები, ზეგავლენის გაძლიერება ნებისმიერი ფორმით და ეს უკვე აშკარად ნეოკოლონიალიზმის საფრთხეა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ქვეყნებში თავმოყრილია ამერიკული და ევროპული პროდუქციის შეადრებით იაფი წარმოების ცენტრები, სავსებით შესაძლებელია კონფლიქტის ახალი კერის წარმოშობაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აშშ-ის სამხედრო სტრატეგიისა და ნატოს კოალიციური სტრატეგიის განვითარება 1950-იანი წლებიდან 80-იანების დასაწყისამდე. Defence and history. 2011.
2. ბესო ალადაშვილი – ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ერთიანი სისტემის ფორმირების პარადიგმები, თბ ეკონ. ურთ. სახ. უნივერს. 2008.

ინტერნეტრესურსები:

www.wordpress.com; www.wikipedia.org; www.dictionary.reference.com; www.science.jrank.org

www.marxists.org; www.afbis.com

ალექსანდრე სიჭინავა
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

უძრავი ქონების - მიწის მფლობელის უფლებების დაცვა

მიწა ეკონომიკის ყველაზე ძირითადი რესურსია. სწორედ ეს განაპირობებს, რომ მიწაზე ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების რაციონალურ მართვას, მისი მფლობელის უფლებების დაცვას და რეგულირებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება, რაც ყოველთვის სახელმწიფოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა, ამჟამად კი მისი აქტუალობა კიდევ უფრო გაიზარდა. მიწის ფლობა და მოხმარება საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს აქვს უფლება დაარეგულიროს მიწის ურთიერთობა, რადგან იგი ფლობს სუვერენულ ხელისუფლებას მის მთელ ტერიტორიაზე და წარმოადგენს თავისი ხალხის აღმასრულებელ ორგანოს. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად საკუთრება ხელუხლებელია. მიწის უფლებები მოიცავს მფლობელობას, შეძენას, გადაცემას, მემკვიდრეობას. მიწასთან დაკავშირებით კანონმდებლობას, მის ინსტიტუციურ მოწესრიგებას დიდი ყურადღება ექცევა და ამიტომაც ეს სფერო საქართველოში სწრაფად განვითარდა, უკვე მიღებულია ერთ ათეულზე მეტი კანონი და კანონქვემდებარე აქტი აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად, მიწის რეგისტრაცია კი იმართება სამოქალაქო კოდექსით და "საჯარო რეესტრის შესახებ" კანონით, რომლის თანახმად, საკუთრების უფლებები აღიარებულია მას შემდეგ, რაც ეს უფლებები დარეგისტრირებულია. ამის შემდეგ უძრავი ქონება, მიწა შეიძლება ოფიციალურად გაიყიდოს, საიჯარო ხელშეკრულების თანახმად გაიცეს ან გამოყენებულ იქნეს გირაოს სახით.

რამდენადაც მიწა ერთდროულად არის ტერიტორია, განსზომილების საზღვარი და მეურნეობის ობიექტი, განსაზღვრავენ მიწის ურთიერთობის რეგულირების ორ სახეს:

1. სახელმწიფო რეგულირება, რომელიც ფლობს ტერიტორიულ უზენაესობას ყველა მიწებთან მიმართებაში საკუთრების ფორმის მიუხედავად; 2. სამეურნეო რეგულირება.

საერთო სახელმწიფო რეგულირება არის სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებადი საერთო და სპეციალურ კომპეტენცია, რომელიც ერცელდება მიწის ყველა სახეობაზე – მიწის რეგულირება (სამაუწყებლო), რომელიც ხორციელდება სამინისტროს მიერ კომიტეტებით და რეგიონული სამსახურებით ეწყობა სამაუწყებლო საწარმოების და ორგანიზაციის პრინციპით.

შიდასამეურნეო მაუწყებლობას ახორციელებენ თვითონ მიწის მესაკუთრეები, არენდატორები და მიწათმფლობელები შიდა სამეურნეო ორგანიზაციის გზით. მიწის ურთიერთობის რეგულირება ხდება განსაკუთრებული მიზნით და განხორციელების წესით.

სახელმწიფოს მიერ მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ორგანიზების მიზანია: სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება; ქვეყნის უსაფრთხოება და თავდაცვის უზრუველყოფა; მიწების რაციონალური გამოყენება; მეწარმეობის და კონკურენციის თავისუფლების რეალიზაცია; მოსახლეობის დასაქმების უზრულველყოფა; საქართველოს სუვენერიტეტის განხორციელება; სახელმწიფო და სხვა სახის საკუთრების უფლებების დაცვა; სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობა; თავისი ხალხის ნების აღსრულება; დაზღვევა და იპოთეკური სესხის ფორმირება; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მწარმოებლების ჩამოყალიბება; სასამართლო დაცვა; სამართლებრივი რეგულირების ფორმირება და მეთოდების დადგენა; მიწის ნორმატიუ-

ლი ფასის განსაზღვრა; მიწაზე გადასახადის დაწესება; მიწის განოყიერების წახალისება; მიწის ბაზრის გაფართოებისა და მიწათმოწყობის ნორმების დადგენა; მიწათსარგებლობის ლიცენზირება.

მიწის ურთიერთობების სამართლიანი რეგულირების კონსტიტუციური საფუძველია: მიწის ძირითადი მდგომარეობა; პირობებისა და წესების განსაზღვრა კანონის საფუძველზე; სამართლებრივი საფუძველის გამყარება კანონით; მოქალაქეებს და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ მიწა ჰქონდეთ საკუთრებაში; მიწის საკუთრება, გამოყენების და განკარგვის საკითხები განისაზღვრება კანონით; მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები; საკუთრების ფორმები; საკუთრების სუბიექტები; მიწა,როგორც ადამიანების სიცოცხლის საფუძველი, რომლებიც ცხოვრობენ მოცემულ ტერიტორიაზე; ქონების და მიწის განკარგვა მფლობელის მიერ ხორციელდება თავისუფლად; საკუთრების ყველა ფორმა აღიარებულია და დაცულია თანასწორად.

მიწის ფონდის მფლობელობის და გამოყენების სახელმწიფო რეგულირების ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: მიწის გამოყენების დაგეგმვა და პროგნოზირება; მიწების ზონებად დაყოფა; მიწების განაწილება და გადანაწილება; სახელმწიფო მიწის კადასტრის შემოღება; მიწათმოწყობა და შიდასამეურნეო მიწათმფლობელობის ორგანიზება; მიწების მონიტორინგი და მათი სწორად გამოყენების კონტროლი; მიწაზე უთანხმოებების მოგვარება.

მიწასთან მიმართებაში რეგულებისას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციაში შედის: მიწის კოდექსის და სხვა კანონების მიღება, რომლებიც არეგულირებენ მიწის ურთიერთობას; მიწის გადასახადების ერთიანი პრინციპების დადგენა; მიწის ნაკვეთზე და მათზე განლაგებული ქონების რეგისტრაციაზე წესების დადგენა; მიწების მართვის წესის დამტკიცება; მიწათმოწყობის ორგანიზაციების წესის დამტკიცება;სახელმწიფო კანონმდებლობის შესრულების კონტროლის განხორციელება; განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ერთად მიწის რაციონალური გამოყენების ფედერალური პროგრამების შემუშავება და დამტკიცება; იმ მიწის ნაკვეთების განკარგვა, რომელიც იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში; სახელმწიფო საჭიროებისთვის მიწების გამოსყიდვა; სახელმწიფო მნიშვნელობის ქონების მქონე მიწის საზღვრების დამტკიცება.

მიწის მფლობელობა-გამოყენების და განკარგვის რეგულირებაში ფართო უფლებამოსილება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. მათ კომპეტენციაში შედის: კანონების და სხვა სამართლებლივი ნორმატიული აქტების მიღება საქართველოს კანონმდებლობლობასთან, მიწის კოდექსთან და სხვა სახელმწიფო კანონებთან შესაბამისობაში; განსაკუთრებულ რეჟიმში გამოყენების მიწების ტერიტორიის დადგენა, მათ საზღვრების განსაზღვრა და შეცვლა; მიწის განკარგვის წესების დამტკიცება, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო საკუთრებაში, ასევე მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლა; საქალაქო და სასოფლო ხახების დამტკიცება; ადგილობრივი პირობების გამოყენების და კონტროლის დამყარება; კანონის შესაბამისად მიწის გადასახადებზე შეღავათების დამტკიცება; მიწის გამოყენებზე და მოხმარებაზე სახელმწიფო კონტროლის ორგანიზება; იმ მიწის ნაკვეთების განკარგვა, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო სუბიექტების საკუთრებაში; მიწების მიზნობრივი დანიშნულებების შეცვლა; სახელმწიფო საჭიროებისთვის მიწების წართმევის გადაწყვეტილების მიღება.

მიწის რესურსების სახელმწიფო ორგანო კანონთან შესაბამისობაში ატარებს შემდეგ ღონისძიებებს: შეიმუშავებს წინადადებებს მიწის მართვის ორგანიზების მიზნით; აჩერებს არაკანონიერი გადაწყვეტილებების შესრულებას; წარადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის წინაშე პირებს, რომლებიც დამნაშავენი არიან მიწის კანონმდებლობის დარღვევის გამო; დადგენილი წესით გასცემს ნებართვას მიწათმოწყობაზე და სხვა პროექტების განხორციელებაზე; აანალიზებს მიწის ბაზრის მდგომარეობას; აწარმოებს მიწის მონიტორინგს.

მიწის ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: სააღრიცხვო; ელექტრონული მონიტორინგი; მიწის კადასტრის შემოღება; აღრიცხვიანობის სისტემურობის მიღწევა; მიწების აღრიცხვის დიფერენცირება; აღრიცხვის უტყუარობა; აღრიცხვის მეთოდების ერთიანობა; აღრიცხვის გარანტირება; განმანაწილებელი მიწათმოწყობის სამუშაოების ჩატარება; მიწების ჩამორთმევა, რომელიც გამოიყენება კანონის დარღვევით; საზოგადოებრივი საჭიროებისთვის მიწების იძულებით წართმევა; მიწების გადაცემა საკუთრებაში, არენდით მოხმარებისთვის; განსაკუთრებული მოხმარების ტერიტორიის გამოყოფა.

მიწების რაციონალური გამოყენების განხორციელება მოიცავს: ეკონომიკურ და საგადასახადო სტიმულირებას; მიწის კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას; მიწის ნაკვეთებზე ნორმატივების შემოღებას; მიწათმფლობელობის ვალდებულებებისა და უფლებების დაცვას.

მიწების გამოყენების და დაცვის კონტროლი ნიშნავს: შემოწმებული პროექტების ექსპერტიზას მიწის გამოყენებაზე; მიწების გამოყენების მონიტორინგს; მიწის გამოყენების მიზნობრივი ხასიათის დაცვას; მიწის კანონმდებლობის დარღვევების აცილებას.

მიწის მფლობელის უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის გადასაჭრელად საქართველოს პარლამენტის და მთავრობის ინიციატიით, საკმაოდ დახვეწილი საკანონმდებლო ბაზაა შემუშავებული. მიღებულია კანონები: "სახელმწიფო ქონების შესახებ"; "სასოფლ-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ"; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ"; ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ"; "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ". ამავე საკითხებს არეგულირებს: საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 11 დეკემბრის №525 ბრძანებულება: "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე – საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწყობის ფორმის დამტკიცების შესახებ"; საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის №603 ბრძანებულება: "სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ"; საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 აგვისტოს №650 ბრძანებულება: "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ". მიწის უფლებრივი საკითხების დარეგულირება ყოველთვის იყო და ღღესაც რჩება პრობლემურ საკითხად, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს არსებული კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილებები.

მიწის ურთიერთობის რეგულირების ფუნქციები და სახეები განისაზღვრება კონსტიტუციით, მიწის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით, ეკონომიკურ, სოციალურ და სპეციალურ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

საქართველოში მიწის მფლობელობის ყველა ფორმები დაცულია ერთნაირად. მიწის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს თავისი მიწა სხვა უკანონო მფლობელისგან. მას აქვს საკანონმდებლო გარანტიები სახელმწიფო და ადმინისტრაციული საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის წართმევის დროს. მიწის უფლებების დაცვა ხორციელდება ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით – საერთო კომპეტენციის სასამართლოში, საარბიტრაჟო და სხვა სასამართლოებში.

მიწის უფლებების დაცვის ფორმები შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად: ადმინისტრაციული წესით; მოწოდებული განცხადებებით; სახელმწიფო საწარმოებს შორის შეთანხმებით; მოქალაქეების განცხადების ან საჩივრის საფუძველზე; გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების საფუძველზე; დანაკარგების ამოღების მიხედვით პირებისაგან, რომლებმაც დაარღვიეს კანონი; მიწაზე უთანხმოების გადაწყვეტა სასამართლოს გზით; მიწაზე უფლების აღიარებით; მიწის გაყოფაზე ყოფილ მეუღლეებს შორის შესყიდვაზე უარის თქმით; ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ უარის თქმით მიწაზე, რომელიც იქნებოდა გამოყენებული ან საფერმერო მეურნეობისთვის ან საცხოვრებელის ასაშენებლად; ადმინისტრაციის მიერ მიწაზე უფლების არაკანონიერად შეჩერების დროს; ხელშეკრულების პირობების შეცვლის ან დარღვევის დროს; სახელმწიფო აქტების არასწორად აღიარების დროს, როცა ირღვევა უფლება მიწაზე; სხვა უთანხმოებების გამო იმ მოქმედების შესაჩერებლად, რომელიც არღვევენ მიწაზე თავდაპირველ უფლებებს.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ხასიათდება დანაკარგებით. ამიტომ მიწის მესაკუთრეების დანაკარგების აღდგენისა და ანაზღაურების მექანიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგები შეიძლება გამოწვეული იყოს: სოფლის მეურნეობის საჭიროებისთვის წართმეული მიწების ანაზღაურებით; გამოყენებული ფართის თანხის

ანაზღაურებით მიწის წართმევამდე; დანაკარგების ანაზღაურებლობით, როცა დანაკარგების ბასწორება თანხმდება მხარეებს შორის და ფორმდება აქტით; მიწის გამოყოფისას ინდივიდუალური საცხოვრებლის მშენებლობისთვის დასახლებული პუნქტების საზღვრებზე; დეგრადირებული გაჯუჯყიანებული მიწების კონსერვაციის დროს; მიწების წართმევის დროს, რომლებიც განეკუთვნებიან ბუნების დაცვას, გამაჯანსაღებელ და საკურორტო ისტორიულ სახეებს; სისტემის მშენებლობის დროს; თეეზსაჭერი მეურნეობის, ტბების მშენებლობის დროს; მიწის გამოყენების შეზღუდვისას; მიწის ნაკვეთის ირგვლივ დამცავი ზონების დაყენებისას; ერთი სახის სარგებლობის სხვა სახეზე გადაყვანისას.

მიწის მესაკუთრეების დანაკარგები ანაზღაურდება, როცა მესაკუთრეს მიწა ჩამოერთმევა სახელმწიფო საჭიროებისთვის; როცა იზღუდება მიწის მომხმარებლის უფლებები; მიწის ხარისხის გაუარესების დროს; როდესაც ტოლი ნაკვეთის მიცემის შემდეგ, ხდება ყველა დანაკარგის ანაზღაურება, დაკარგული მოგების ჩათვლით; წართმეული მიწის მაგივრად შენობების მშენებლობის შემდეგ წარმოქმნილი დავების გამო; გაფუჭებული მიწების აღდგენის აუცილებლობის გამო; მოსაელიანი ნარგაევების აღდგენის დროს.

მიწის გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, უცხოური იურიდიული პირები, რომლებსაც აქვთ მიწა საკუთრებაში. გადასახადი მიწაზე იყოფა ორ ჯგუფად, გადასახადებად სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე. მიწის გადასახადი დგინდება ხელისუფლების ორგანიების მიერ, მიწაზე საკუთრების მოწმობის საფუძველზე, საშუალო ზომის გადასახადის სახით 1 ჰა-ზე ან 1 კვ.მ-ზე და არ არის დამოკიდებული მიწაზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, რომელიც დიფერენცირებულია მიწის კატეგორიების მიხედვით. კანონის შესაბამისად ხელისუფლების ორგანოები იძლევიან შეღავათებსაც. მიწის საშუალო ფასებს ადგენს პარლამენტი ქალაქების კატაგორიების, ასევე ქალაქის სოციალური პოტენციალის, ტერიტორიის ისტორიული ფასეულობის, მშენებლობის სხვადასხვა ზონებად დაყოფის, მიწის ადგილმდებარეობის და სხვათა მიხედვით.

მიწაზე უფლებათა წარმოშობის, შეჩერების, შეწყვეტის და გადაცემის პროცესი მიმდინარეობს კანონის შესაბამისად. ამისათვის კი უნდა არსებობდეს ზუსტად განსაზღვრული იურიდიული პროცედურები და სააპელაციო მექანიზმები, რომ საზოგადოება დარწმუნებული და გარანტირებული იყოს მათი უსწავ ქონებაზე – მიწაზე საკუთრების უსაფრთხოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მესხიშვილი ა. უძრავი ქონება, თბ., 2011;
2. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2011;
3. სიჭინაცა ა., ტატიშვილი ლ. უძრავი ქონების სამართლებრივი საფუძველები. სოციალური ეკონომიკა", სპეციალური ნომერი, მარტი, 2011;
4. ფანჩულიძე ჯ. უძრავი ქონების (მიწის) ადმინისტრირების საფუძველები. თბ.., 2010.

ცისკარა ზარანდია
ეკონომიკის დოქტორი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი.

გიორგი ბუცხრიკიძე
ეკონომიკის დოქტორი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სრული პროფესორი.

ჯუმბერ ფანჩულიძე
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ახალციხის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.

საქართველოს მიწის რესურსების ადმინისტრირების პრობლემები

თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქვეყანაში რესურსების გონივრული გამოყენების, საწარმოო ძალთა განვითარება - დასაქმების თავისებურებების შეფასება და ზოგადად, რესურსების მართვის სოციალურ-ეკონომიკურ პრომლემების კვლევა რეგიონულ ჭრილში უფრო მეტ აქტუალობას იძენს.

მიწის რესურსების რაციონალური და ეფექტური გამოყენების პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. მისი სრულად ეფექტურად და რაციონალურად გამოყენება ქვეყნის წინსვლის ძირითადი საკითხია. მიწა (უძრავი ქონება) ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძველთა საფუძველია. იურიდიული თვალსაზრისით მიწა ერცელდება დედამიწის ცენტრიდან კოსმოსისაკენ, უსასრულობაში, მიუხედავად იმისა, რომ ფოკუსირება ხდება სივრცეზე, რომელიც დედამიწის ზედაპირს ეკვრის, განიხილება ყველა საგანი, რაც მასზეა მიმაგრებული, ასევე კლდეები, წიაღისეული საბადოები, რომლებიც მის წიაღში მდებარეობს. მიწა მოიცავს წყლით დაფარულ ფართობსაც (ოკეანეებს, ზღვებს, ტბებს, მდინარეებს), ასევე მცენარეებსა და შენობა-ნაგებობებს. მიწას, როგორც სპეციფიკური თავისებურებების მქონე წარმოების ძირითად საშუალებას, საბაზრო ურთიერთობებში მონაწილეობისას მრავალი განსხვავებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისება გააჩნია საქონელბრუნვაში მონაწილე სხვა ნივთებთან შედარებით, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი, როგორც საქონლის, გასხვისების პირობებსა და ხელსაყრელობაზე, რომელიც ნაწილობრივ ზღუდავს კიდეც მისი თავისუფალი ყიდვა-გაყიდვისა და განფასების შესაძლებლობებს. პირველ რიგში აღსანიშნავია მიწის ნაკვეთის უძრავი მდგომარეობა. ის გამოყენებული უნდა იქნეს იქ, სადაც არის. შეუძლებელია მისი გადაადგილება, რაც, თავის მხრივ, არაერთ მყიდველს აიძულებს თავი შეიკავოს მიწის ნაკვეთის შეძენის ან სარგებლობის უფლების მიღებისგან, საქმეში საინვესტიციო თანხების ჩადებისა და რისკისგან, იზღუდება მიწის ბაზრის ფუნქციონირება და ფასწარმოქმნის ლიბერალიზაცია. სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული საქონელბრუნვაში მისი დაბალი ხვედრითი წილი როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე. აკრძალულია სპეციფიკური დანიშნულების მიწების საქონელბრუნვაში ჩართვა. მიწის ბაზრის ფუნქციონირების დარეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო – ის განსაზღვრავს გადასახადის განაკვეთს, ერევა ფასების განსაზღვრაში და შეუძლია დაბლოკოს ფასწარმოქმნა, ახორციელებს კონტროლს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ფასების კონტროლი წარმოქმნის ჩრდილოვან ეკონომიკას. წარმოების სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, მიწის, როგორც წარმოების ფაქტორის, მითვისება, განაწილება და გამოყენება უფრო ღრმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხება, მოითხოვს სპეციალურ საკანონმდებლო რეგულირებას. მისი საბაზრო ბრუნვაში ჩართვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპზე, როდესაც მოხდა ეროვნული მეურნეობის დარგების ძირეული გარდაქმნა, სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია, საკუთრების სხვადასხვა ფორმების განვითარება, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საადგილმამულო ურ-

თიერთობის სრულყოფის ამოცანის გადაწყვეტამ, რამდენადაც ჩამოყალიბებულმა მიწათსარგებლობის სისტემამ, რომელიც ემყარებოდა უფასო მიწათსარგებლობას მწარმოებლის ეკონომიკური დაუინტერესებლობას, მიწების გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური მექანიზმის უქონლობას და ადმინისტრაციული მეთოდებით მართვას, ვერ უზრუნველყო მიწების ეფექტური გამოყენება. ყველა ამ გარემოებამ განაპირობა არსებული მიწათსარგებლობის სისტემის შეცვლის და მიწის რეფორმის ჩატარების აუცილებლობა.

საქართველოში მიწის რეფორმის შედეგად მიწა საკუთრებაში მიიღო 1015,7 ათასმა კომლმა (ოჯახმა), ანუ 4 მილიონამდე მოქალაქემ – საშუალოდ ერთმა კომლმა 0,86 ჰექტარი; აქედან:

ყოფილ კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში დასაქმებულ 630.8 ათას კომლს საკუთრებაში გადაეცა 640.3 ათასი ჰექტარი-საშუალოდ, კომლს 1.1 ჰექტარი.

ქალაქად (ობილისი, ქუთაისი, რუსთავი და სხვა) მცხოვრებმა 326 ათასმა ოჯახმა მიიღო 72.4 ათასი ჰექტარი-საშუალოდ, ოჯახმა 0.22 ჰექტარი.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში გადაცემის გზით ქვეყანაში განხორციელდა მიწაზე სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების ფორმის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრებით შეცვლა. თუმცა, როგორც შემდგომში ცხოვრებამ გვიჩვენა, პოლიტიკური თვალსაზრისით ეს უდავოდ პოზიტიური პროცესი, წარიმართა გაუთვალისწინებელი შეცდომებით-რასაც მოჰყვა მიწების დანაწევრების უაღრესად არასასურველი შედეგი. ზემოთ აღნიშნული 873 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული განაწილებულია 4 მილიონზე მეტ ნაკვეთად, ანუ, თითოეული ცალკე მდებარე ნაკვეთი არ აღემატება 0.22 ჰექტარს, რაც იწვევს დამუშავებაში არსებული მიწის ფართობის შემცირებას, იკარგება ნაყოფიერი მიწები, ირღვევა გარემოს დაცვის მოთხოვნები და სხვა.

პრივატიზაციის მიღწევებმა, ისევე როგორც დანერგილმა საკანონმდებლო ბაზამ ვერ შექმნა მნიშვნელოვანი საფუძველი მიწის მართვის გასაუმჯობესებელი შემდგომი საქმიანობისათვის. საქართველოს მთავრობის მხრიდან შეიმჩნევა შემდგომი ნაბიჯების განხორციელებისა და მათი ფორმის განსაზღვრის სტრატეგიისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების ნაკლებობა, რასაც შედეგად მოჰყვა რეფორმის დაწყებამდე არსებული საადგილმამულო ურთიერთობათა სისტემის ლიკვიდაცია, რომელიც უზრუნველყოფდა: ოესლბრუნვის სისტემის დანერგვას, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას, სარწყავი ქსელის მოწყობას, მიწების ხარისხის გაუმჯობესებას, ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების დანერგვას და სხვა.

როგორც განვითარებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, გამოსავალი მხოლოდ მიწების კონსოლიდაციაში მდგომარეობს. თუ რა გზები უნდა დაისახოს მისი განხორციელებისათვის, დიდი კვლევებია საჭირო-პრივატიზაციის შემდგომ სამომავლო სტრატეგიასთან დაკავშირებით.

მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის დროული განხორციელება პირდაპირ დამოკიდებულებაში იქნება წინასწარი შესწავლიდან გამომდინარე დროულ და ეფექტურ დასკვნებზე, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა და სახელმზიფომ უნდა განახორციელოს.

სოფლის მეურნეობის რესურსული პოტენციალი წარმოადგენს ბუნებრივი, შრომითი და მატერიალური რესურსების ერთობლიობას, რომელთა რაციონალურ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ცნობილია, რომ დედამიწაზე მოსახლეობა მუდმივად იზრდება და შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა საკვებ პროდუქტებზე. მათი წარმოება კი მხოლოდ მიწაზე შეიძლება, რომელიც უცველი რჩება. ეს განსაკუთრებით ეხება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. მათი ზრდა თანამედროვე ეტაპზე ძალზე შეზღუდულია და არასასოფლო-სამეურნეო მიწებიდან უმნიშვნელო ფართობების ათვისებაც კი დიდ კაპიტალდაბანდებებთან არის დაკავშირებული, რომლის შესაძლებლობა ჯერჯერობით არ არსებობს. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა და მაღალი ეფექტით გამოყენებაა.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და ხასიათდება არახელსაყრელი რელიეფური, პირობებით, მცირემიწიანობით. ქვეყნის ტერიტორია ადმინისტრაციულ საზღვრებში შეადგენს 6949,4 ათას ჰექტარს. მთლიანი ფართობიდან 54% უჭირავს მთებს, 33% მთისწინებს და 13% ვაკე ადგილებს, ქვეყნის ტერიტორიის ვერტიკალურ-ზონალური განვითარება განაპირობებს მისი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებას. რთული რელიეფური და კლიმატური პირობები, ზოგჯერ კი ადამიანთა არასწორი საქმიანობა, იწვევს მიწების ძლიერ დამაზიანებელ პროცედურებს, გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო კულტურაია გადაადგილებასა და სასოფლო-

სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაზე, აძვირებს წარმოებული პროდუქციის ღირებულებას და საერთოდ ხელს უშლის მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებას.

ინტენსიური ეროზიული, მეწყერული, ღვარცოფული და ზვავსაშიში მოვლენები აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს ქვეყანას, დიდ მასივებზე მოლიანად ნადგურდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ზოგჯერ ინგრევა სოფლები, სხვადასხვა საინჟინრო კომუნიკაციები, რასაც თან ახლავს ადამიანთა მსხვერპლი. ამის მაგალითები გვქონდა აჭარის არ-ში, სვანეთის, რაჭის, ყაზბეგის, დუშეთის და სხვა რეგიონებში.

დაზიანებული მიწების აღდგენის და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის ადრინდელ პერიოდში რიგი ღონისძიებები იქნა გატარებული – ჩატარდა დაზიანებული მიწების ინვენტარიზაცია, გამოვლინდა 19 ათასი ჰექტარი სავარგული, ეროზიას განიცდის მილიონ ჰექტარზე მეტი სავარგული, რაც მთელ სავარგულის 33% შეადგენს (აქედან 310 ათასი ჰექტარი სახნავია). 1981 წლამდე რეკულტივაცია ჩაუტარდა 12 ათას ჰექტარს (6.6 ათას ჰექტარ სახნავს). ამის შემდეგ მიწების რეკულტივაციასთან დაკავშირებით არაფერი გაკეთებულა.

საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 26 ნოემბრის დადგენილების "მიწის რეფორმის თაობაზე მიღებული საქართველოს კანონების პრაქტიკული განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ", შესაბამისად, "დაზიანებული მიწების რეკულტივაციის ღონისძიებები უნდა დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე".

მიუხედავად აღნიშნული დადგენილებისა, ამ მიზნით ადილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა არსად არ მიმდინარეობს.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 აგვისტოს №493 ბრძანებულებაში "ნიადაგის საფარის ეროზიისაგან დაცვის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ" აღნიშნულია, რომ „ეროვნული მეურნეობის შემდგომ განვითარებაში, ეროზიული მოვლენებისაგან ნიადაგის საფარის, მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელოს გამო, ეროზიული პროცესებისაგან ნიადაგმცველი ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე".

შემუშავდა საქართველოს ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის 1999-2005 წლების სახელმწიფო მისნობრივი პროგრამა. რიგი სამუშაოების ჩატარება: მდინარეთა ნაპირგამაგრება, სამთო არხების მოწყობა, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება, ტერასების მოწყობა, სათიბ-საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესება, ეროზიული მიწების გატყევება.

აღნიშნული პროგრამის დაფინანსება ჯერაც არ განხორციელებულა, თუ ასე გაგრძელდა ქვეყანაში ყარგისი ფართობების უმეტესი ნაწილი გამოუსადეგარი გახდება. მათი აღდგენისათვის კი მეტი სახსრები იქნება საჭირო, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლს მიწების დაცვასა და გამოყენებაზე უნდა ახორციელებდეს უპირველესად მიწის უსუნაესი მესაკუთრე–სახელმწიფო. მის კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს ქვეყნის მიწის ფონდი მთლიანად.

მიწის რესურსების აღრიცხვა, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის ცოდნა და მიწის ფონდის მართვის პროცედურაში გათვალისწინება ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებაა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა და რომელიც ქვეყნის რაციონალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის გარანტია.

პოსტსაბჭოთა პერიოდის მოვლენების თანდათანობით განვითარებამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მიგვიყვანა მოცემული საკითხის უარყოფამდე და მიწის ფონდის უკონტროლობის საეალალო შედეგებამდე – მიწასთან დაკავშირებული საკითხები გადანაწილდა სხვადასხვა დარგობრივ სამინისტროებზე, რომლებსაც ხშირად აქვთ საკუთარი პრიორიტეტები და ნაკლებად არიან დაინტერესებული სხვა პრობლემატურ საკითხებზე.

დარგობრივ სამინისტროებს შორის არ ხორციელდება კოორდინაცია და თანამშრომლობა მიწის რესურსების ეფექტურად და რაციონალურად გამოყენებისათვის, იწვევს მიწასთან დაკავშირებულ საკითხებში საქმიანობის დუბლირებას, მონაცემთა უსუსტობას და ინფორმაციის აღრევას, რაც თავის მხრივ განაპირობებს არასწორი, მცდარი გადაწყვეტილებების მიღებას, სახელმწიფოს მიერ მიწის ერთიანი პოლიტიკის გატარების დროს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისისათვის მდგომარეობა არც თუ საეალალო იყო სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში გადაცემის გზით ქვეყანაში განხორციელდა მიწაზე სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების ფორმის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრებით

შეცვალა; საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 6 თებერვლის №160 ბრძანებულებით შეიქმნა "მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია"- "მიწათსარგებლობის წესების, მიწის რეფორმის მიწების დაცვისა და ეფექტიანი გამოყენების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით"; საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ნოემბრის №488 დადგენილებით შეიქმნა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა მიწის მიზნობრივი გამოყენების და დაცვის სახელმწიფო კონტროლი, მიწის სახელმწიფო კადასტრის და რეგისტრაციის წარმოება, ნიადაგის დაცვა.

კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში ახორციელებდა: სახელმწიფო მიმართულებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და სახელმწიფოებრივ ზემოქმედებას-საადგილმამულო ურთიერთობების (მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების), მიწის ფონდის გამოყენების კორდინაციის სფეროში; მიწის რესურსების მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ეროვნული ბანკის შექმნას და ყოველწლიური სახელმწიფო ანგარიშის მომზადებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფუნქციის მოგვარებას სახელმწიფო ცდილობს შესაბამისი ნორმატიული აქტების მეშვეობით, როგორიცაა კოდექსი, კანონი, ბრძანებები და მეთოდური დებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუციიდან. მიწის (უძრავი ქონების) ადმინისტრირების სახელმწიფო სისტემა დაყოფილია ორ ნაწილად: საერთო და დარგობრივი მმართველობა. საერთო სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამმართველო სახელისუფლებო ორგანოების მიერ. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ მიწის ფონდის პრაქტიკულად მართვას საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებისა და ქვეაქტების საფუძველზე. მართვაში მონაწილეობენ სამინისტროები თავიანთი დანაყოფებით, როგორც სამთავრობო, ასევე ადგილობრივი-საქალაქო და რაიონულ ჭრილში. მიწის ადმინისტრირების პროცესში ჩართულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეკონომიკის და განვითარების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი განყოფილებები.

პრივატიზაციის მიღწევებმა, ისევე, როგორც დანერგილმა საკანონმდებლო ბაზამ, მათი შემდგომი ტრანსფორმირების გამო ვერ შექმნა მნიშვნელოვანი საფუძველი მიწის მართვის გასაუმჯობესებელი შემდგომი საქმიანობისათვის და პირიქით, საქართველოს მთავრობის მხრიდან შეიმჩნევა შემდგომი ნაბიჯების განხორციელების და მათი ფორმის განსაზღვრის სტრატეგიისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება-გახლეჩვა, კერძოდ:

2004 წლის 11 თებერვლის "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლება მოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, 3) ქვეპუნქტის შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში გადაეცა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი; ხოლო მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის, ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების, ნაყოფიერების აღდგენისა და შენარჩუნების, მიწის მიზნობრივი გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, მიწის რესურსების მდგომარეობის თაობაზე მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნა გადაეცეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის გაუქმება-დანაწევრების შემდგომ, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში 2011 წლის 3 ოქტომბერს ცვლილების შეტანის შედეგად

მუხლი-2. პუნქტი 1. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაეცა:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილებანი, რომლების უკავშირდება ბუნებრივი რესურსების მართვასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ პოლიტიკის განხორციელებას.

პუნქტი-5. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს გადაეცა:

ა) ბუნებრივი რესურსების მართვასთან და სარგებლობასთან, მათ შორის, თევზჭერასთან და ნადირობასთან დაკავშირებული საკითხები;

ბ) ბუნებრივი რესურსების კვოტებისა და მარაგების დამტკიცება.

პუნქტი-6. საქართველოს სოფლის-მეურნეობის სამინისტროს გადაეცა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი, რომლებიც უკავშირდება:

ა) პესტიციდებთან და აგროქიმიკატებთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) ნიადაგის კონსერვაციასთან და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პუნქტი-8. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ფუნქციები, რომლებიც უკავშირდება:

ა) მიწის მიზნობრივობის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენასთან, გაზრდასთან ან შემცირებასთან (ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდში ჩარიცხვა და ფონდიდან ამორიცხვა) დაკავშირებულ საკითხებს.

პუნქტი-10. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში გადაეცა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სატყეო საბაზისო-სანერგე მეურნეობა.

პუნქტი-11. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოს ნაწილი ფუნქციები გადაეცა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს, ხოლო ნაპირდაცვის საკითხებთან დაკავშირებული ფუნქცია გადაეცა საქართველოს რეგიონალურ განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

პუნქტი-12. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში გადაეცა გარემოს დაცვის ინსპექცია".

ასე თანდათანობით მივედით იმ სავალალო შედეგამდე, რომელსაც ჰქვია სახელმწიფოს მიერ მიწის რესურსებზე ერთიანი კონტროლის დაკარგვა მიწის ფონდის გამოყენების სახელმწიფო რეგულირებისა და დარგთაშორისი კოორდინაციის სფეროში. ამას ემატება მიწის რესურსების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურ მონაცემთა ერთიანი ბანკის აღარ არსებობა, ბოლო წლებში მიწის ბალანსთან დაკავშირებული მონაცემების უქონლობის გამო.

მიწის კანონმდებლობისა და ადმინისტრირების დღევანდელი სავალალო მდგომარეობა საფუძველს გვაძლევს, ფაქტების გაშუქებისა და ანალიზის შედეგად გადმოგვეცა ავტორთა მოსაზრებანი-მთავრობის დროულად რეაგირებისა და საქმიანი მოქმედებისათვის – საქართველოს მიწის ფონდს აუცილებლად სჭირდება ერთიანი სახელმწიფო კონტროლი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუცხრიკიძე გ. "მიწის რეფორმა და მისი მიმდინარეობა საქართველოში", სსიპ ახალციხის ინსტიტუტი, შრომები I, 2008 წ.
2. ბუცხრიკიძე გ. "უძრავი ქონების ადმინისტრაციული მართვის პრინციპები", სახელმძღვანელო, თბ. "უნივერსალი", 2010წ.
3. ფანჩულიძე ჯ. „უძრავი ქონების(მიწის) ადმინისტრირების საფუძვლები", თბ. 2010წ.
4. ტურაბელიძე ნ. საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები, თბ. 2009

გიორგი ჭილაძე
სამართლის დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და მისი მართვა: სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები

მიწა წარმოადგენს საქართველოს უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მონაპოვარს. უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის სახელმწიფო სისტემა და მასთან დაკავშირებულ გარიგებათა მარეგისტრირებელი სტრუქტურები მოწოდებულნი არიან უსრულველყონ სახელმწიფო ზემოქმედების ეფექტური მექანიზმების ფორმირება მიწის ბაზარზე იმ მიზნით, რომ დაცული იქნეს მესაკუთრეთა და სხვა უფლებამფლობელთა კონსტიტუციური უფლებები უძრავ ობიექტებზე.

მიწის ნაკვეთზე უფლებათა და მათთან დაკავშირებული გარიგებათა რეგისტრაციის სახელმწიფო სისტემა ხელს უნდა უწყობდეს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გადასახადების ამოღების საკითხის მოწესრიგებას, საქართველოს ეკონომიკაში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას, სამეწარმეო საქმიანობის დაინტერესებულ მონაწილეთათვის მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირებულ უფლებათა შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას.

არსებული სტატისტიკის მიხედვით, განმცხადებელთა, აგრეთვე მათი მონაწილეობით დადებულ რეგისტრირებულ გარიგებათა უდიდეს რაოდენობას წარმოადგენენ მოქალაქეები (90%-ზე მეტი). იმავდროულად, თითქმის ყოველი მეექვსე რეგისტრირებული გარიგება დაკავშირებულია მიწის ნაკვეთზე უფლებათა რეგისტრაციასთან, მასთან დაკავშირებულ გარიგებებთან და/ან ასეთ უფლებათა შეზღუდვებთან.

ჩემი აზრით, აღნიშნულ საკითხთა მოსაწესრიგებლად სახელმწიფო პროგრამამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ძირითადი ამოცანები: 1) მიწის ნაკვეთზე უფლებათა და მათთან დაკავშირებულ გარიგებათა სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ კანონმდებლობის განვითარება და სრულყოფა; 2) უძრავი ქონების ობიექტების აღწერის ერთიანი მოთხოვნების შემოტანა; 3) მიწის ნაკვეთზე უფლებათა რეგისტრაციის სახელმწიფო სისტემის ურთიერთქმედების პროცედურების უზრუნველყოფა ისეთ ორგანოებთან, როგორიცაა სახელმწიფო აღრიცხვის, საჯარო რეესტრის სამსახურები, აგრეთვე სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოები.

მიწის ნაკვეთი ხშირად შედის ქონებრივი კომპლექსების შემადგენლობაში. არსებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებათა ობიექტებისათვის შეიძლება ვისაუბროთ მათ მიკუთვნებაზე უძრავ ქონებაზე, რომელთა მიხედვითაც ყველა უძრავი ობიექტი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: 1) პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ობიექტები, რომლებიც წარმოადგენენ უძრავ ნივთებს თავისი ბუნებიდან გამომდინარე – მიწის ნაკვეთები, მასში არსებული წიაღისეულით, წყლის განკერძოებული ობიექტები; 2) მეორე ჯგუფისთვის ობიექტების მისაკუთვნებელ კრიტერიუმს წარმოადგენს მიწასთან მყარი კავშირი, მათი გადაადგილების შეუძლებლობა იმგვარად, რომ არ მიადგეთ არსებითი ზიანი. ობიექტებს, რომლებიც უძრავნი არიან თავისი ფიზიკური თვისებების გამო, განეკუთვნება: ტყე, მრავალწლიანი ნარგავები, შენობა-ნაგებობანი და სხვა შესაბამისი ობიექტები; 3) თუკი ნივთები, თავისი ფიზიკური ბუნების გამო, წარმოადგენენ მოძრავ ნივთებს, მაგრამ კანონის შესაბამისად განეკუთვნებიან უძრავ ნივთებს (უძრავი ნივთები კანონის მიხედვით), მაშინ სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარე, ისინი წარმოადგენენ უძრავ ქონებას. ისინი წარმოადგენენ "ტერიტორიის მოძრავ ნივთებს", რომლებიც იმყოფებიან საქართველოს იურისდიქციის ქვეშ.

უძრავ ნივთს განეკუთვნება აგრეთვე სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული ობიექტი - საწარმო, როგორც ქონებრივი კომპლექსი. სწორედ ქონების ცნების შესაბამისად, საწარმოს შემადგენლობაში ჩაირთვება: 1) ნივთები (უპირველეს ყოვლისა, მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა, ინვენტარი, ნედლეული და პროდუქცია); 2) ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან; 3) სხვა არამატერიალური ობიექტები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის მიზანს უნდა წარმოადგენს ის, რომ: ა) სამართლებრივად უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და გააუმჯობესოს აგრარული ინფრასტრუქტურა; ბ) თავიდან აიცილოს მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება და არარაციონალური გამოყენება. მხოლოდ კანონის საფუძველზე უნდა განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შეძენისა და გასხვისების წესი, აგრეთვე სახელმწიფოს მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგებაში.

დადგენილი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კანონთა მოქმედება ერცელდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, აგრეთვე ნაკვეთებზე და ნაკვეთის ნაწილებზე (თუ ისინი მდებარეობენ დასახლებულ პუნქტებში და გამოიყენებიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად); განაშენიანების ზონაში მდებარე ნაკვეთებზე, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ შეცვლილა; ტყის ფონდის იმ მიწებზე, რომლებითაც შეივსო სოფლის მოსახლეობის მიწის ნაკვეთები.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის - მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება ასევე: ა)კომლის საკუთრების წილი სოფლის, თემის, იურიდიული პირების საძოვრების, სათიბების, ტყეების ტერიტორიებზე; ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

საკუთრების უფლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ასევე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ითვალისწინებენ სხვადასხვა მიდგომებს უცხოელისა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე მიწის როგორც სარგებლობაში, ისე საკუთრებაში გადაცემის დროს. თუმცა, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ასეთი უფლებები მკვეთრად არის შეზღუდული.

ჩემი აზრით, გასაზიარებელი არის მიდგომა, როდესაც უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს – აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც ქვეყნის მოქალაქე.

იმავდროულად, უცხოელი და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებულნი არიან საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან კანონით განსაზღვრულ ვადაში გაასხვისონ ქვეყნის მოქალაქეზე, კომლზე ან/და ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე. აღსანიშნავია, რომ ასეთ ვადად დადგენილია ექვსთვიანი პერიოდი რაც, ჩემი აზრით, წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო პრაქტიკასთან. ამიტომ, საუბარი შეიძლება იყოს აღნიშნული ვადის გახანგრძლივებაზე, სულ მცირე, ერთი წლით მაინც. ხოლო, გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლო გადაწყვეტილებით და სათანადო საკომპენსაციო თანხის გადახდით სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ჩამოერთვათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. მიწის ნაკვეთის ჩამორთმევისას შეიძლება იქნეს გამოყენებული „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები, სხვა ნორმატიული აქტები.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი შედის საკომლო მეურნეობაში. იგი წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. საკომლო მეურნეობა რეგისტრირებულია საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეეს-

ტრში). მესამე პირებთან ურთიერთობაში საკომლო მეურნეობის სახელით გამოდის ერთ-ერთი თანამესაკუთრე.

ჩემი აზრით, სადავოა ნორმა იმის შესახებ, რომ მესაკუთრეს, რომელიც საადგილმამულო მეურნეობას უძღვება მეუღლესთან ან ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, შეუძლია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან საადგილმამულო მეურნეობა გაასხვისოს მხოლოდ მისი (მათი) თანხმობით. პრაქტიკულად, ეს ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ კონსენსუსით. ცხადია, რომ ეს ხელს არ უწყობს სამოქალაქო-ეკონომიკური ბრუნვის განვითარებას, ქვეყანაში მიწის ბაზრის ფორმირებას. ამ ფონზე დეკლარაციულად ეღერს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ თანხმობის მიღებაზე უარი შეიძლება ითქვას მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას. თუ მესაკუთრე ვერ მიიღებს თანხმობას, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი არ იძლევა ასეთ "საპატიო მიზეზთა" ჩამონათვალს. აქედან გამომდინარე, მათი შეფასება ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და კონკრეტული მოსამართლის შეხედულებაზეა დამოკიდებული – მიიჩნევს თუ არა იგი პროცესში მონაწილე მხარის მიზეზს პატივსადებად.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს სინამდვილეში ძალზედ ცოტაა ასეთი სარჩელებით სასამართლოსთვის მიმართვის ფაქტები. რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ხელოვნურად ხდება საკომლო მეურნეობის შენარჩუნება და რეალურად მუხრუჭდება ის პროცესები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ქვეყანაში მიწის ბაზრის ფორმირებას.

მიწის ნაკვეთის გასხვისებისას გამსხვისებელს შეუძლია შეუთანხმდეს შემძენს მის გამოსყიდვაზე იმ შემთხვევისათვის, როცა შემძენი თავს დაანებებს მიწის დამუშავებას. თუ შემძენმა მიწის დამუშავებას თავი გამსხვისებლის გარდაცვალების შემდეგ დაანება, გამოსყიდვის უფლებით დამოუკიდებლად სარგებლობა შეუძლია გამსხვისებლის იმ მემკვიდრეს, რომელსაც სურს თვითონ დაამუშაოს მიწა. ჩემი აზრით, ასეთი ჩანაწერი სამართლებრივად ზღუდავს მიწის ნაკვეთის შემძენს და ამცირებს ნაკვეთის შეძენის პოტენციურ მყიდველთა წრეს. ეს ეწინააღმდეგება ხელშეკრულების თავისუფლების ზოგად პრინციპს.

ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მიწის უპირატესი გამოსყიდვის უფლება. ეს აუცილებელია მიწის ბაზრის ზოგადი რეგულირების, მიწების გამოყენებისა და დაცვის, მათი ნაყოფიერების აღდგენისა და შენარჩუნებისათვის. თუმცა, იმავდროულად, მიწის თავისუფალი ბაზრის ფორმირებისათვის სახელმწიფოს როლი უმჯობესია, შემოიფარგლოს უპირატესად მხოლოდ მიწების ნაყოფიერების აღდგენისა და შენარჩუნების ფუნქციით.

მოქმედი ნორმებით, მიწის ნაკვეთის უპირატესი შესყიდვის უფლება უქმდება ორი კვირის ვადაში იმ დღიდან, როცა უფლებამოსილმა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო, რომ მესაკუთრე თავს ანებებს მეურნეობის გაძღოლას.

ჩემი აზრით, ასეთი ხანმოკლე ვადის დაწესება ხელს ნამდვილად არ უწყობს მიწის რეალური ბაზრის ფორმირების პროცესს, ვინაიდან ორკვირიან ვადაში ერთობ რთულია, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს პოტენციურ მყიდველთა უმრავლესობისათვის. ასეთ შემთხვევებში მკვეთრად მცირდება დაინტერესებულ პირთა წრე და სახელმწიფოს უჩნდება რეალური შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს კანონით მინიჭებული უპირატესი შესყიდვის უფლება, რათა სხვა პირებზე არ გასხვისდეს მიწის ნაკვეთი.

მიწის ნაკვეთზე უფლებათა გაფორმების პროცედურების განსაზღვრის დროს არ შეიძლება, რომ არ გავითვალისწინოთ უფლებამფლობელთა ის ხარჯები, რაც უკავშირდება სახელმწიფო რეგისტრაციის მიზნით გადახდილ ფულად თანხას.

საერთაშორისო პრაქტიკაში მეწარმე სუბიექტები, ითვალისწინებენ რა ცალკეული ობიექტების რეგისტრაციის დროს წარმოშობილ სიძნელეებს და მათი ცალ-ცალკე რეგისტრაციის შემთხვევაში გაზრდილ ჯამურ დანახარჯებს, სულ უფრო მეტად მიმართავენ ქონებრივი კომპლექსის ფარგლებში უფლებათა რეგისტრაციას, რომლის შემადგენლობაშიც შედის ცალკეული მიწის ნაკვეთები და სხვა უძრავი ნივთები. ეს განსაკუთრებით გამართლებულია იმ შემთხვევებში, როდესაც რეგისტრაციაში არის გასატარებელი საწარმოს საკუთრებაში მყოფი რამდენიმე განცალკევებული მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ნივთები. ასეთ დროს სახელმწიფო მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გაიცემა ერთი მოწმობა, რომელშიც "იშიფრება" უძრავი ქონების თითოეული ობიექტი.

ცხადია, რომ უძრავ ქონებაზე, უპირველეს ყოვლისა მიწის ნაკვეთზე, უფლებამფლობელისათვის კანონით დადგენილ უფლებათა დადასტურება სახელმწიფოს მხრიდან დამამძიმებელი არ უნდა იყოს. ეს პრობლემა აქტუალურია ქართველი მეწარმეებისათვის. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, თუკი მის გადასაწყვეტად განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები მოქმედ საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო რეგისტრაციისათვის დადგენილი თანხის ოდენობას. ამ დროს საჭიროა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამოქალაქო სამართალურთიერთობათა ყველა მონაწილის თანასწორობის პრინციპით. ჩემი აზრით, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი უფლებადამდგენი დოკუმენტის საფუძველზე ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, რომელიც შედის სამრეწველო-ტექნოლოგიური კომპლექსის შემადგენლობაში და რომელიც განთავსებულია ერთ ან რამდენიმე მიწის ნაკვეთზე, სახელმწიფო რეგისტრაციისათვის დაწესებული უნდა იყოს შესაბამისი შეღავათები და შემცირებული ტარიფები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2010
3. საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ". თბ., 1997 № 900-I ს.
4. საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", თბ., 1996
5. ჭილაძე გ. რეგიონალური სასტუმრო ბიზნესი: სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები //საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "კულტურათაშორისო დიალოგები". თელავი, 2011
6. Чиладзе Г.Б. (2011): НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ КОРПОРАТИВНОГО УПРАВЛЕНИЯ И ПРАВОВОЙ РЕГЛАМЕНТАЦИИ ПРИ ФИНАНСИРОВАНИИ ФИРМ (Часть 1) // Международная конференция, рубрикатор ГРНТИ, Москва.
7. www.zemkodeks.ru/kodeks/zemkodeksru/zemkodeks-glava4.html
8. absolute-shop.com/5/ground-area/4060
9. www.menes.ru/capabilities/real_estate/score_land

გიორგი ჭილაძე
სამართლის დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით შეზღუდული სარგებლობა: ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა სასოფლო-სამერნეო მიწის ნაკვეთით შეზღუდულ სარგებლობასთან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი ასპექტები. თუმცა, ბოლო წლების მანძილზე აღნიშნულ სფეროში ჩამოყალიბებულმა პრაქტიკამ, კანონის ტექსტის ანალიზმა აშკარად დაგვანახა კოდექსში არსებული ხარვეზები. ქვეყნის განვითარების მსარდი ტემპები, საბაზრო ურთიერთობათა განვითარების არსებული დინამიკა მოითხოვს საკანონმდებლო დონეზე საკითხის ადეკვატურ და უსწრაფეს მოწესრიგებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნით წესრიგდება სანივთო (ქონებრივი) სამართლებრივი ურთიერთობები. კერძოდ, კოდექსის 147-ე მუხლით, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

უძრავ ნივთებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, აგრეთვე მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

მიწის ნაკვეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული არსებითი შემადგენელი ნაწილი და საკუთვნებელი. ისინი ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენენ ეფექტური და მოგებაზე ორიენტირებულ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის. მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. რაც შეეხება საკუთვნებელს, იგი მოძრავი ნივთია, რომელიც თუმცა არ არის მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მისი სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სიერცობრივ კავშირშია მიწის ნაკვეთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად. ნივთი, რომელიც მიწასთან არის დაკავშირებული და რომლის მოცილებაც მიწიდან შეუძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე, ასევე მიიჩნევა საკუთვნებლად.

მიწის ნაკვეთზე მფლობელობა წარმოიშობა მასზე ფაქტობრიეი ბატონობის ნებითი მოპოვებით. მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას მიწის ნაკვეთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, და რომელსაც მიწის ნაკვეთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი. თუ პირი მიწის ნაკვეთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ამ ნაკვეთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს მიწის ნაკვეთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად. საქართველოს სინამდვილეში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც რამდენიმე მეწარმე სუბიექტი ერთ მიწის ნაკვეთს ერთობლივად ფლობს. ამ შემთხვევაში ისინი ითვლებიან თანამფლობელებად. პრაქტიკაში გხვდება შემთხვევები, როდესაც ერთი მიწის ნაკვეთის ნაწილებს რამდენიმე პირი ფლობს. ამ დროს ისინი ითვლებიან ცალკეული ნაწილების მფლობელებად.

მიწის ნაკვეთზე, როგორც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენა შესაძლებელია ხანდაზმულობითაც. კერძოდ, კოდექსის 167-ე მუხლით, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანი-

ლია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს.

ჩემი აზრით, ზემოაღნიშნულ ფორმულირებას აქვს დეკლარაციული ხასიათი, ვინაიდან ნაკლებ საალბათოა ასეთ გარემოებათა თანხვედრა, თანაც ფიზიკური პირის ინიციატივით. აქ საუბარი უფრო შეიძლება იყოს იმ ხარვეზებზე, რომლებსაც ადგილი აქვს სახელმწიფო მარეგისტრირებელ ორგანოთა მხრიდან.

საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ზოგადად, აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მე-3 კარი. კერძოდ, თუ განვავრცობთ კოდექსის 170-ე მუხლის მოქმედებას მიწის ნაკვეთზე, მაშინ მისი ძალით მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ამ ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ მოცემული ნაკვეთით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. თუმცა, ჩემი აზრით, აქ არ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი მიწის ნაკვეთით, ვინაიდან კანონით არის დაწესებული სარგებლობის და მოვლის ვალდებულება, თუკი ამ ნაკვეთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს ან თვითონ დაეკისრება ვალდებულების შესრულება, ან მან შესაბამისი სასყიდლით მიწის ნაკვეთი უნდა გადასცეს სხვა პირს სარგებლობაში. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ერცელდება ასევე ამ ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც.

ბიზნეს პარტნიორები მიწის ნაკვეთს ხშირად იყენებენ საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრების ფორმით, გარიგების საფუძველზე. თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამო. იგი შეიძლება დაგირავდეს ან უფლებრივად სხვაგვარად დაიტვირთოს ერთ-ერთი მესაკუთრის სასარგებლოდ და მისი ინტერესებისათვის. პრაქტიკაში ხშირია ისეთი ხელშეკრულებების რიცხვი, როდესაც საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მოვლისა და შენახვის ხარჯები თანამესაკუთრეებს არ ეკისრებათ თანაბრად. ხელშეკრულებით რეგულირდება აგრეთვე საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

ანუ, შეიძლება ითქვას, რომ საკომლო მეურნეობისაგან განსხვავებით, კანონი ამ შემთხვევაში უფრო ლიბერალურია, ვინაიდან არ აწესებს უპირატესი შესყიდვისათვის წინასწარ დათქმულ ვადებს (კომლისგან განსხვავებით, როდესაც იგი ითვალისწინებს ორკვირიან ვადას) და თანამესაკუთრეები თვითონ თანხმდებიან ხელშეკრულების არსებით დეტალებზე.

მიწის ნაკვეთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენის შემთხვევაში აუცილებელია, რომ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გადახდა განხორციელდეს საბანკო დაწესებულების მეშვეობით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს ნასყიდობის საფასურის ფულადი თანხით გადახდისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება ფასის ეტაპობრივი გადახდა.

ეფიქრობ, ეს ნორმა სადავოა, ვინაიდან სამოქალაქო ბრუნვის განხორციელების პრაქტიკაში რეალურად დამკვიდრებულია თანხის გადახდის სხვა ოფიციალურად დადგენილი ფორმებიც.

მიწის ნაკვეთის შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია სხვისი საკუთრებით - მიწის ნაკვეთით შეზღუდული სარგებლობა. ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეო-

ბით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება. უფლების ეადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაცხრამეტ წელს.

ცხადია, რომ ასეთი ხანგრძლივი ვადით მიწის ნაკვეთის შეზღუდული სარგებლობის უფლებით გადაცემის დროს უფლების შემძენს ნაკვეთზე ან მის ქვეშ, როგორც წესი, დასჭირდება რაიმე ნაგებობის აღმართვა. თუმცა, კანონის საფუძველზე ამ უფლებას იძლევა მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მას შეუძლია აკრძალოს ამგვარი მოქმედების განხორციელება. შედეგად კი იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც ნაკვეთით მოსარგებლეს რეალურად ხელი ეშლება უფლებათა სრული სახით განხორციელებასა და ეკონომიკური სარგებლის მიღებაში. სწორედ ამიტომ, დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ მოსარგებლეს ეძლევა ნაგებობის აღმართვის უფლება, ამის სანაცვლოდ კი იჯარის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ იგი მესაკუთრეს უტოვებს აშენებულ ნაგებობას და სანაცვლოდ არც კი ითხოვს მისგან რაიმე საზღაურის გადახდას. საქართველოს სინამდვილეში სწორედ ასეთი სტანდარტის დამკვიდრების ტენდენციასთან გვაქვს საქმე.

სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთით შეზღუდული სარგებლობის უფლების წარმოშობისა და შეძენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება უძრავი ნივთის შეძენის წესები. მიწის ნაკვეთით შეზღუდული სარგებლობის უფლების საფუძველზე აშენებული ნაგებობა იოვლება უფლების არსებით შემადგენელ ნაწილად და რეგისტრირდება ამ უფლების მქონე პირის საკუთრებად. მიწის ნაკვეთით შეზღუდული სარგებლობის უფლების შეწყვეტისას ამ უფლების საფუძველზე აშენებული ნაგებობა ხდება მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 239-ე მუხლით მიწის ნაკვეთით შეზღუდული სარგებლობის უფლების შეწყვეტისას აღნაგობის უფლების მქონეს არა აქვს უფლება წაიღოს ნაგებობა ან მისი შემადგენელი ნაწილები.

ჩემი აზრით, ეს ნორმა აშკარად შეიცავს ხარეეზს. კერძოდ, თუკი წარმოვიდგენთ შემთხვევას, როდესაც ნაგებობა არ წარმოადგენს მდგრად კონსტრუქციას და თავისუფლად, მისი დაზიანების გარეშე, არის შესაძლებელი როგორც მონტაჟი, ისე დემონტაჟი. ასეთ დროს გაუგებარია, თუ რატომ უნდა შეიზღუდოს მსგავსი ნაგებობის მესაკუთრის უფლება, რომ იგი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ფლობდეს და სარგებლობდეს საკუთარი ქონებით, ხოლო საჭირო შემთხვევაში შეეძლოს მისი თავისუფლად განკარგვა?

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2010
3. საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ". თბ., 1997 № 900-I ს.
4. საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", თბ., 1996
5. ჭილაძე გ. რეგიონალური სასტუმრო ბიზნესი: სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები //საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "კულტურათაშორისო დიალოგები". თელავი, 2011
6. Чиладзе Г.Б. (2011): НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ КОРПОРАТИВНОГО УПРАВЛЕНИЯ И ПРАВОВОЙ РЕГЛАМЕНТАЦИИ ПРИ ФИНАНСИРОВАНИИ ФИРМ (Часть 1) // Международная конференция, рубрикатор ГРНТИ, Москва.
7. www.zemkodeks.ru/kodeks/zemkodeksru/zemkodeks-glava4.html
8. absolute-shop.com/5/ground-area/4060
9. www.menes.ru/capabilities/real_estate/score_land

მურმან ცეცხლაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საქართველოს მიწის რესურსების ეფექტურად გამოყენების ზოგიერთი ასპექტი

ადამიანი ღმერთმა მიწისაგან შექმნა, მიწაზე დაასახლა და პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიწასთანაა დაკავშირებული მისი არსებობისათვის აუცილებელი ყველა, არა მხოლოდ უშუალოდ მიწის, არამედ მცენარეული, ცხოველური, წიაღისეული, ენერგეტიკული, ატმოსფერული რესურსი. როგორც უილიამ პეტი ამბობს: შრომა სიმდიდრის მამაა, მიწა — მისი დედა.

მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგია დედამიწის საერთო ფართობის მხოლოდ 30-40%, დანარჩენი კი დაბალპროდუქტიული ან უყარგისია თავისი კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გამო. სამეურნეოდ ვარგისი ფონდიდან 55% ათვისებულია, 40% ძნელად ასათვისებელ მიწებად ითვლება, რეზერვის სახით დარჩენილია მხოლოდ 5%.

გარდა ამისა, ყოველწლიურად ხმარებიდან გამოდის 5-7 მლნ ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული (ქალაქებსა და დაბებზე; წარმოება-დაწესებულებების, შახტების, ნავთობსარეწების, გზების და სხვა კომუნიკაციებზე. აგრეთვე ეროზიით, დამლაშებით და სხვა პროცესებით დანაკარგებზე).

ოპტიმისტურად განწყობილი ეკონომისტების გათვლებით, თუ მხოლოდ საკვებს გავითვალისწინებთ, ფოტოსინთეზის არსებული შესაძლებლობის სწორი და რაციონალური გამოყენებით ერთი ადამიანის დასაკმაყოფილებლად საკმარისია 10 კვ. მ ფართი ანუ მხოლოდ ხმელეთოვანი რესურსებით 40 მლრდ-ზე მეტი ადამიანის გამოკვებაა შესაძლებელი, ხოლო ოკეანის რესურსების ჩათვლით 100 მლრდ-ის. მაგრამ ეს მხოლოდ თეორიული გათვლებია. ფაქტი კი ის არის, რომ ამჟამად გაეროს მონაცემებით არასაკმარისად იკვებება 450 მლნ, ხოლო შიმშილობს 75 მლნ ადამიანი.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ საქართველოში.

საქართველო გამოირჩევა კლიმატური ზონის მრავალგვარობით. ბუნების ასეთი მრავალფეროვნების გამო თითქმის ყველა ტიპის ნიადაგს ვხვდებით.

2004 წლის მონაცემებით საქართველოს მთელი ტერიტორიის (ტერიტორიული წყლების ჩათვლით 7628,4 ათასი ჰექტარი) 39,7% (3025,8 ათასი ჰექტარი) სასოფლო-სამეურნეო სავარგულია. 60,3% (4602,6 ათასი ჰა) დაკავებულია ტყე-ბუჩქებით, წყლით, გზებით, შენობა-ნაგებობებით და სხვა გამოუყენებელი (კლდეები, ხრამები, ქვიშრობები, ეროზირებული, დამეწყრილი, მყინვარები, სასაფლაოები) ფართობებით.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 26,5% (802,1 ათასი ჰა) სახნავია, 8,7% (263,5 ათასი ჰა) — მრავალწლიანი ნარგავები, 4,7% (143,5 ათასი ჰა) სათიბი, 59,4% (1796,6 ათასი ჰა) — საძოვარი. ამასთან, ზედაპირის ბუნებრივი თუ ხელოვნური დანაწევრება-დანაკვეთების და სხვა მიზეზების გამო სახნავი მიწების გამოყენების კოეფიციენტი 0,8-0,85-ია.

ასე რომ, საქართველო, მართალია, მდიდარი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, მაგრამ იგი მცირემიწიანი ქვეყანაა. ამას ემატება ისიც, რომ ვაკე მცირე ნაწილია (13%). მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი მთებსა (54%) და მთისწინებზე (33%) მოდის, რომელიც მიწათმოქმედებისათვის ან უვარგისია, ან - არახელსაყრელი, ან - არარენტაბელური.

ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე რესურსული პოტენციალის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული. მიჩნეულია, რომ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს ნივთობრივ-მატერიალური სიმდიდრის დაახლოებით ერთი მესამედის მშპ.

საქართველოში, გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს 275 მლრდ აშშ-ის დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა. მაშასადამე საქართველოს ამ დროისათვის გააჩნდა დაახლოებით 92 მლრდ დოლარის ღირებულების მშპ-ის წარმოების ეკონომიური პოტენციალი, მათ შორის, მხოლოდ მიწის რესურსებით - 50 მლრდ-ის.

ფაქტი კი ასეთია: ადგილობრივი აგროპროდუქციის წილი ქვეყნის მშპ-ში 8 პროცენტია და შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12 პროცენტს აკმაყოფილებს.

ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს გააჩნია 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად საჭირო სურსათის წარმოების შესაძლებლობა, მიუხედავად ამისა, სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი საქართველოში კრიტიკულ ზღვარზე (0.5) ბევრად ქვემოთაა და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების დონე შემცირების ნაცვლად, პერმანენტულად იზრდება.

ეს სრულიადაც არ არის გასაკვირი, თუ ვნახავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში, ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,24 ჰა დამუშავებადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (გაცილებით ნაკლები, ვიდრე რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში და ა.შ.) და დამუშავებადი მიწების დაახლოებით 1/3 ანუ საშუალოდ 300,0 ათასი ჰა, ბოლო წლებში საერთოდ არ გამოიყენება.

ამას ემატება ისიც, რომ ბოლო წლებში, ფინანსური პრობლემების გამო, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები თითქმის არ ტარდება და სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 35% (1 მლნ ჰა-ზე მეტი) გარკვეულ დონემდე დეგრადირებულია.

მაშასადამე, ამჟამად საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების პრობლემა ორი უმთავრესი მიმართულებითაა გადასაწყვეტი: პირველი - ნიადაგის დაცვა და მეორე - მისი რაციონალური გამოყენება.

მიწების დაცვისა და მისნობრივი გამოყენების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით შექმნილია მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია, რომელსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ხელმძღვანელობს. იმედია, ამ მხრივ გატარდება ქმედითი ღონისძიებები.

კიდევ უფრო რთული და მრავალმხრივია მიწის რაციონალური გამოყენების პრობლემა. ამ მიმართულებით დღის წესრიგში დგას მიწის არა მხოლოდ რაციონალური გამოყენების, არამედ მისი დამუშავების საკითხიც. ეს კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაკლებმომგებიანობის გამო, ნაკლები მოტივაციის გარდა, სხვა უამრავ პრობლემათა ჯაჭვთან არის დაკავშირებული. ჯაჭვის სიმტკიცე კი განისაზღვრება არა მისი ძლიერი, არამედ სუსტი რგოლის სიმტკიცით.

მიწების დინამიკის ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს მიწის ფონდი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 1950 წელთან შედარებით, 2003 წელს იგი შემცირდა 3447,2 ათ. ჰა-დან 3025,8 ათ. ჰა-მდე. განსაკუთრებით შემცირდა სახნავი მიწები (264,9 ათ. ჰა-ით). მიწების ეს კატეგორია ყველაზე ინტენსიურად მცირდებოდა 60-80-იან წლებში, რაც ქვეყნის არასწორი აგრარული პოლიტიკით იყო განპირობებული, როცა მარცვლეულის წარმოება სუბტროპიკული კულტურების წარმოებით ჩაანაცვლეს. ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა სათიბ-საძოვრები (360,7 ათ. ჰა-თი) – უმთავრესად მიტოვებული სახნავის ხარჯზე, რაც „გაუდაბნოების" პროცესის გარკვეულ გამოვლინებას წარმოადგენს. ამ პერიოდში ორჯერ შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დამუშავებული მიწის ფართობი, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, მოსახლეობის ზრდით (გაიზარდა დაახლოებით 12,2%-ით), მეორე მხრივ, ამავე პერიოდში დამუშავებული მიწების ფართობის შემცირებით (შემცირდა 25,3%-ით).

საბოლოოდ მივიღეთ შემდეგი სურათი: დამუშავებული მიწების დიდი ნაწილი გადაყვანილია ნაკლებად ინტენსიურ სავარგულებში – მოუვლელ და დაბალპროდუქტიულ საძოვრებში, ხოლო ნაწილი კი საერთოდ გამოითიშა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან.

ქვეყანაში დაწყებულმა დეკოლექტივიზაციის სტიქიურმა პროცესმა კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა. შედეგად მივიღეთ აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის გამოყენებისა და სურსათით თვითუზრუნველყოფის მეტად დაბალი დონე, სამომხმარებლო ბაზარზე სამამულო და უცხოური წარმოების სასურსათო პროდუქციის დარღვეული თანაფარდობა (დაახლოებით 1:3-თან).

მსოფლიოში ბოლო ათწლეულთა ტენდენცია იყო საკვების ფასის შემცირება. 1985-2005 წლებში იგი სამი მეოთხედით შემცირდა, ახლა კი განუხრელად იზრდება. მაგალითად, ხორბლის ფასი 2010 წლის გაზაფხულიდან 2011 წლის გაზაფხულამდე გაორმაგდა. სახელდება ამ მოვლენის ორი ძირითადი მიზეზი: ერთია ცვლილება მოხმარებაში: რიგმა ქვეყნებმა (ჩინეთი, ინდოეთი) თავისი ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის წყალობით, მეტის და მეტის მოხმარება დაიწყეს. მაგრამ წამყვანი მიზეზია მეორე – საკვების გამოყენება ენერგეტიკული მიზნით. მაგალითად, ამერიკელები მზარდი ტემპით მოიხმარენ სიმინდს – საწვავის (ეთანოლის)

დასამზადებლად, რომელიც ბენზინს ცელის. (2000 წელს მოიხმარეს 15 მილიონი ტონა სიმინდი, ბოლო წლებში – 85 მილიონზე მეტი). იგივე ხდება ლერწმის შაქრის მიმართ ბრაზილიაში. სიმინდის ფასის ზრდა იწვევს სხვა მარცვლეულის, აგრეთვე ხორცის გაძვირებასაც (1 კგ საქონლის ხორცის მიღებას სჭირდება 8 კგ მარცვალი, ღორის ხორცისას – 3 კგ) და ა.შ.

საკვების გაძვირების მსოფლიო პროცესი შეუქცევადია სამომავლოდაც, რასაც ბოლო წლების ტენდენციაც ადასტურებს.

ჩვენი ქვეყნისთვის არსებითია კიდევ ერთი პარამეტრიც: ამერიკული ოჯახის ხარჯში საკვებს უკავია ერთი მეშვიდედი, ღარიბი ქვეყნების მოსახლეობაში – ნახევარზე მეტი. საქართველოში 60-70%.

ღარიბ ფენაზე ამ დარტყმის შესუსტება მხოლოდ მთავრობას ძალუძს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა მიწის რესურსების ეფექტურად გამოყენების სტრატეგიული ღონისძიებების გეგმა, სადაც აქცენტი გაკეთებულია: სოფლად ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნაზე; ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე; ინფრასტრუქტურის განვითარებაზე; კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის წარმოებისა და მისი ექსპორტირების ხელშეწყობაზე; არასაექსპორტო, მაგრამ იმპორტჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობაზე; მიწის რესურსების მენეჯმენტის სრულყოფაზე; ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობაზე; ირიგაციაზე და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე. ვფიქრობთ, საკმაოდ დროული ღონისძიებებია, მთავარია მისი ხორცშესხმა.

ზემოთჩამოთვლილის გარდა, ვფიქრობთ, გასატარებელია სხვა ღონისძიებებიც. კერძოდ: 1. შესწავლილი უნდა იქნეს სოფლის მეურნეობასში დასაქმებულთა დამოკიდებულება სოფლის მეუნეობაში არსებული პრობლემისადმი, ამ პრობლემების გადაჭრისადმი, რამეთუ, გარკვეულწილად, „ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას"; 2. ქართულ საზოგადოებასთან ერთად უნდა შეეძლოთ ის, რომ ფერმერმა, გლეხმა თავი იგრძნოს ქართული საზოგადოების მეტად საჭირო ფენად. 3. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა არა მხოლოდ თეორიული, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკულად გამოყენების ცოდნა უნდა ამაღლდეს თანამედროვე გამოწვევების დონემდე. სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი ამის მიღწევას სხვადასხვა მეთოდებით. მათ შორის, შესაბამისი სპეციალისტების უცხოეთში ხანმოკლე მივლინებით ან უცხოელი სპეციალისტების მოწვევით. 4. სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე გლეხურ მეურნეობათა საჭირო კრედიტებით უზრუნველყოფა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგება, წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა და სხვ.

საქართველო უნდა გარდაიქმნას მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელიც თვითონ დაიკმაყოფილებს თავის სასურსათო მოთხოვნილებებს, ექნება დადებითი სალდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტზე გაიტანს მაღალი ხარისხის (ეკოლოგიურად სუფთა) სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოღუაშვილი პ., საქართველომ მდგრადი განვითარების გზით უნდა იაროს, 2007. http://iberiana.wordpress.com/saqartvelo/mdgradi-anvitareba/
2. ლემონჯავა პ., ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბ., 1993.
3. ოქროცვარიძე ზ., სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პირობებში, დისერტაცია, თბ., 2006.
4. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბ., №6. 1998.
5. ტურაბელიძე ნ. საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების პრობლემები საადგილმამულო ურთიერთობათა ახალ პირობებში და მათი გადაწყვეტის გზები; ავტორეფერატი; თბ. 1999.
6. ყამარაული ს., მარკეტინგი, თბ., 2002.
7. http://www.garemo.itdc.ge/index.php?site-id=101

ნატო ჯაბნიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

რეზო ჯაბნიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

მიწის რესურსების მდგრადი განვითარების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

XX საუკუნის მეორე ნახევარს ახასიათებს სერიოზული ცვლილებები როგორც ეკონომიკაში, ისე ეკოლოგიაში. ძალზე გამძაფრდა მათი ურთიერთქმედების პრობლემები. მიწის რესურსების გონიერულ გამოყენებაზეა დამოკიდებული მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით, ნედლეულით. თანამედროვე კაცობრიობის კვებითი ენერგიის 88%-ს დამუშავებული მიწები იძლევა, 10%-ს ღებულობენ ბუნებრივი საძოვრებიდან და ტყის საკვარგულებიდან და მხოლოდ 2%-ს მსოფლიო ოკეანის რესურსებიდან. მიწა ძნელად განახლებად რესურსს მიეკუთვნება, რომელიც უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე ათასწლეულობით იქმნებოდა და მას გონიერულად უნდა გამოყენება.

ბუნებრივი რესურსების გამოყენების თანამედროვე პრობლემები მოითხოვს მთლიანად გადაისინჯოს ჩვენს განკარგულებაში არსებული რესურსთა მოხმარების პოლიტიკა და დაისახოს ამ მიმართულებით განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. ეს პროცესები სპეციფიურია რესურსების ბუნებიდან, მისი კომპონენტების მნიშვნელობისა და მათი გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე. მიწის რესურსთან დაკავშირებით შეიძლება დავადგინოთ ფაქტორთა მთელი სისტემა, რომელიც დაკავშირებულია მიწათსარგებლობასთან. მიწათსარგებლობის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს სახნავი მიწების ფართობების ზღვარგადასული გაფართოება მთელ მსოფლიოში, რაც მოსახლეობის შეუჩერებელი ზრდის ზემოქმედებითაა გამოწვეული. აღნიშნული პრობლემა ნეგატიურად აისახება მიწის რესურსების შენარჩუნებასა და სტაბილურ აღწარმოებაზე.

საქართველოში სისტემური ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მიწის რესურსების ეკოლოგიური პრობლემა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს. ეკონომიკური კრიზისის ფონზე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საკვარგულების დიდი ნაწილი განიცდის დეფლაციას, სარწყავი მიწები მოითხოვს სერიოზულ რეკონსტრუქციას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დეჰუმინიზებულია, დარღვეულია თესლბრუნვის სისტემა, არ ტარდება აგროტექნიკური ღონისძიებები, ორგანული და მინერალური სასუქები მინიმალურად და ვადების დარღვევით გამოიყენება, არ წარმოებს სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი სუბსიდირება.

ახალი მიწების ბრუნვაში ჩართვის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის საკვარგულების ფართობები თანდათან მცირდება. ამის მთავარი მიზეზია სოფლის მეურნეობის დანიშნულების საკვარგულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება. მიწების ეროზია, დაჭაობება, დამლაშება (საქართველოს 218 ათასი ჰა სოფლის მეურნეობის საკვარგული დამლაშებული და ბიცობიანია) და ა.შ. გარდა ამისა, საკვარგულების შემცირებას განაპირობებს ღია კარიერული წესით წიაღისეულის მოპოვება, განსაკუთრებით საბაზრო სისტემის პირობებში, მოგების მიღების მიზნით, გახშირდა მიწის ნაყოფიერი, ჰუმუსით მდიდარი ფენის მოჭრა და საზღვარგარეთ გატანა. ამ პროცესს ხელი შეუწყო მიწების პროვატიზაციამ. მიწის მეპატრონეები, რომლებსაც არ შეუძლიათ, ან არ სურთ მიწა დაამუშაონ, ყიდიან ნიადაგის ჰუმუსიან ფენას, რითაც მწყობრიდან გამოდის ასობით ჰა საკვარგული.

არსებული მონაცემების მიხედვით, ეროზიას განიცდის საქართველოს სოფლის მეურნეობის საკვარგულების 33%. ყოველწლიურად, აღმოსავლეთ საქართველოს საკვარგულების ყოველი ჰა-დან ირეცხება 100-300 ტონა ნიადაგი, ხოლო დასავლეთ საქართველოში 150-200 ტონა, რის

გამოც დაბალინტენსიურ სავარგულებად იქცა 25 ათასი ჰა, 20 ათასი ჰა მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან, მის აღსადგენად კი არავითარი ღონისძიება არ ტარდება.

გარდა ანთროპოგენური ფაქტორებისა, ნიადაგზე მუდმივად ზემოქმედებს ფიზიკური, ქიმიური და გეოლოგიური პროცესები. ეროზიის, გაეწრების და სხვა მიზეზების გამო ნიადაგის ყოველწლიური დანაკარგი მსოფლიოში შეადგენს 5-6 მლნ. ჰა-ს, სულ XX საუკუნის ბოლოს მიაღწია 10 მლნ. ჰა-ს. ამიტომ არის, რომ უკანასკნელ ათწლეულში მიწათმოქმედების პრობლემას ეთმობა მეტი ყურადღება საერთაშორისო ფორუმებზე. უფრო მეტად ეს ეხება ნიადაგის ეროზიისა და დეგრადაციის დაძლევის პრობლემებს.

გვალვა და გაუდაბნოება სიღარიბის და შიმშილის მიზეზებია. დედამიწის 70%-მა – 3,6 მლრდ. ჰა-მ უკვე განიცადა ნიადაგის დეგრადაცია. შემდგომი გაუდაბნოების თავიდან ასაცილებლად მიწათსარგებლობა, მათ შორის ფერმერული, უნდა იყოს გარემოს დაცვის თვალსაზრისით უსაფრთხო.

უკანასკნელი 100 წლის მანძილზე მხოლოდ ეროზიამ გაანადგურა 20 მლნ. კმ ნიადაგი, რაც დღეს არსებული პროდუქტიული მიწების 22%-ს შეადგენს.

ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიას ბუნებაში შეაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს ეკონომიკას, ამიტომ, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება.

სოფლის მეურნეობაში დიდია ქიმიური საშუალებების როლი და მნიშვნელობა. მინერალური სასუქები გამოიყენება ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასაზრდელად, პესტიციდები – კი მცენარეთა დასაცავად მავნებლებისაგან, დაავადებებისაგან, სარეველებისაგან. ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა სახის მინერალური სასუქების, პესტიციდების არასწორად, აგრეთვე უხარისხო ქიმიური საშუალებების გამოყენება საზიანოა ნიადაგისათვის, სასოფლო-სამურნეო კულტურებისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვინაიდან აგროქიმიკატების შემადგენლობაში არსებული მძიმე და ტოქსიკური მეტალები მოხვდებიან რა ნიადაგიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტებში, მოსავალში, ხოლო შემდეგ ადამიანის ორგანიზმში, იწვევენ მთელ რიგ პათოლოგიურ ცვლილებებს, დაავადებებს. ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობაში ქიმიური საშუალებების არარაციონალურად, უკონტროლოდ გამოყენება საზიანოა ობიექტებისათვისაც, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსათვის, ატმოსფერული ჰაერისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში გამოიყენება ერთ მილიონ ტონამდე 900 დასახელების შხამქიმიკატი. მას მოსდევს პესტიციდების დაგროვება გარემოში, ბიოსფეროს ქიმიური სტრუქტურის შეცვლა და ეკოლოგიურად სახიფათო სხვა ცვლილებები. ისინი გროვდება წყლებში, ნიადაგსა და საკვებ პროდუქტებში, ადამიანში იწვევს ნერვულ დაავადებებს, ჰორმონალური პროცესების და რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევას, ავთვისებიან სიმსივნეთა და გენეტიკურად განპირობებულ დაავადებათა განვითარებას ემბრიონალურ და სხვა პერიოდში. იმავე ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად შხამქიმიკატებით მოწამვლის 60000 შემთხვევა აღირიცხება, მათგან 1%-ზე მეტი სიკვდილიანობით მთავრდება. მოწამვლის მიზეზთა შორის მითითებულია შხამ – ქიმიკატების არასწორად, გაუმართლებლად ან დაუდევრად გამოყენება, შენახვის წესების უგულებელყოფა და ა.შ. 2010 წლის მონაცემებით, მსოფლიოში პესტიციდების მოწამვლის 35%-ზე მეტი დაკავშირებული იყო უბედურ შემთხვევებთან. ამიტომ საჭიროა პესტიციდების მოხმარების დროს დავიცვათ სანიტარულ-ჰიგიენური წესები და დოზები, რათა თავიდან ავიცილოთ პესტიციდებით გამოწვეული ინტოქსიკაციები.

ოტენვიური ანუ ბუნებრივი ნაყოფიერება (მასში ჰუმუსის შემცველობა) წლების განმავლობაში არასწორი ექსპლუატაციისა და ეროზიული პროცესების გამო სულ უფრო მცირდება, რომელთა აღდგენას შემდგომში დიდი დრო და ხარჯები სჭირდება. ამ მხრივ ჩვენს სავარგულებს სათანადო ყურადღება ნამდვილად აკლია. მიზეზი სხვადასხვაა – ფინანსური სიძნელეებიდან დაწყებული, კადრებისა და მეწარმეების არაკომპეტენტურობით დამთავრებული. ასეთ პირობებში თანამედროვე ფერმერული ან თუნდაც საკარმიდამო მეურნეობა მაღალმწარმოებლური და მომგებიანი ვერ იქნება, მიღებული პროდუქცია კი მაღალხარისხოვანი და კონკურენტუნარიანი.

ჩვენთან გავრცელებული ნიადაგების ნაყოფიერება ისედაც დაბალია და მასში ჰუმუსის შემცველობა 2.8-3 პროცენტს არ აღემატება. წლების განმავლობაში ნიადაგის არასწორმა ექსპლუატაციამ (ხვნა, კულტივაცია, სარეველებთან ბრძოლა და სხვა) და მცენარეთა მინერალური სასუქებით ცალმხრივმა გამოკვებამ მასში მჟავიანობა გაზარდა, შემცირდა სასარგებლო მიკროორგანიზმების, მაკრო და მიკროელემენტების შემცველობა, ხოლო მოჭარბებულმა ეროზიულმა მოვლენებმა გამოიწვია ყველაზე ნოყიერი (ჰუმუსოვანი) ზედაპირის გადარეცხვა. მის შედეგად გაუარესდა მისი ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური და სტრუქტურული შემადგენლობა. ასეთ მიწაზე, ცხადია, უხვ და მაღალხარისხიან მოსავალს ვერ მოიწევ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნიადაგებს, როგორც ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, სისტემატიური გამოკვლევა სჭირდება. დღეს მეურნე, ფერმერი და მეწარმე, რომლებსაც სათანადო შესაძლებლობა არ აქვთ, მაქსიმალური მოსავლის მიღების მიზნით, მიწას კი არ უვლიან და ანიყიერებენ, არამედ, ფაქტობრივად, ზედმეტ ექსპლუატაციას უწევენ, რაც აუარესებს მის მდგომარეობას. ეს იმიტომ კი არა, რომ მიწის ყადრი არ იციან, უბრალოდ, ბევრ შემთხვევაში არ ყოფნით ცოდნა და კომპეტენცია, როგორ მოუარონ მას. არადა, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება (ოუნდაც შენარჩუნება), პრაქტიკაში მეტად მარტივი საშუალებებით შეიძლება. ამისათვის ნიადაგის ძირითადი დამუშავების (ხვნა-ბარვა) წინ მასში უნდა შევიტანოთ ორგანული სასუქი (ნაკელი, ტორფი, წუნწუხა, ნებისმიერი კომპოსტი), დავთესოთ შუალედური კულტურები და სიდერატები, მეტი ყურადღება მივაქციოთ თესლბრუნვას და მასში მრავალწლიანი და ერთწლიანი პარკოსანი კულტურების გამოყენებას, ნაკვეთების დასვენების პრაქტიკას, მაგრამ ეს ნიადაგის დაუმუშავებლად დატოვებასა და უპატრონოდ მიგდებას არ უნდა ნიშნავდეს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. პირიქით, ასეთ ნიადაგებზე სასურველია დავთესოთ მრავალწლიანი პარკოსანი საკვები კულტურები (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი) სიდერატები და ვებრძოლოთ სარეველებს.

დღეს საერთაშორისო ბაზარზე გასვლის აუცილებლობა ქართულ სოფელს აიძულებს ნიადაგისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების უფრო აქტიურ, სწრაფ და თანამედროვე საშუალებებსაც მიმართოს. ზემოთ აღნიშნულ მეთოდებთან ერთად გამოიყენოს თანამედროვე მინერალური, მაკრო, მიკრო და ორგანული სასუქები, ზრდის სტიმულატორები, მცენარეთა მავნებელ – დაავადებათა დაცვისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებები. აგროწესების, შეტანის ვადების, ნორმებისა და წესების დაცვით. ყველაფერი ეს, რომ კვალიფიციურად და სწორად გაკეთდეს, ამისათვის საჭიროა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ჩაატაროთ ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევა, რათა დადგინდეს, რას წარმოადგენს მოცემული მიწის ნაკვეთი, როგორია მისი უსრუნველყოფა საკვები ელემენტებით, როგორია მჟავიანობა, სტრუქტურა და ა. შ. ეს დაგვეხმარება სწორად განესაზღვროთ ნიადაგის შესაძლებლობები ამა თუ იმ კულტურის მოსაყვანად, მისი ნაყოფიერების დონე და რას საჭიროებს კიდევ უფრო გაკეთილშობილებისათვის. გროქიმიური გამოკვლევის საფუძველზე მოცემულ ნიადაგში აგროქიმიური გამოკვლევის საფუძველზე მოცემულ ნიადაში აგროქიმიური კარტოგრამა-რეკომენდაციების საფუძველზე უნდა შევიტანოთ სასუქების ის სახეობა და რაოდენობა, რასაც ანალიზების შედეგები მოითხოვს. გარდა ამისა ჩავატაროთ კომპლექს-აგროტექნიკურ ღონისძიებათა სამუშაოები მყარი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად. ამაში კვალიფიციური სპეციალისტებისა და კადრების დახმარებაა საჭირო.

მიწის ერთ-ერთი უნიკალური თვისებაა მისი სწორად გამოყენებით ბუნებრივი ნაყოფიერების გაფართოებული აღწარმოების შესაძლებლობა. ჭარმოების ყველა სხვა საშუალება, პირიქით, ცვეთება, იმტვრევა და დროდადრო საჭიროებს შეცვლას.

მიწის ნაყოფიერება სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში სხვადასხვანაირია. მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა, ასევე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსავლის სიდიდეზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიწა საქონელბრუნვის სტაბილური, საიმედო და ძვირად ღირებული ობიექტია. როგორც უძრავმა ქონებამ, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ოპერაციაში (ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა, დაგირავება, გაჩუქება, მემკვიდრეობა და ა. შ.), რაც მისი ფასის სწორად განსაზღვრის აუცილებლობაზე მიუთითებს. მიწას საქონლის სხვა ჯგუფებისაგან განასხვავებენ ორი არსებითი მომენტით:

პირველი – მიწის ნაკვეთი, სხვა სახის საქონლისაგან განსხვავებით, არ შეიძლება გადაადგილდეს სივრცეში, გადამუშავდეს სხვა პროდუქტად, გამოიყენო გაკეთილშობილების გარეშე.

ამიტომ მიწის მესაკუთრის უფლება ობიექტურად უფრო შეზღუდულია, ვიდრე სხვა სახის საკუთრების მფლობელის, მაგ. შორის, უძრავი ქონების. მაშასადამე, საზოგადოება მთლიანად რჩება მიწის ტერიტორიული რესურსის მთავარ "მესაკუთრედ". ისინი საკუთრების უფლების საზღვრებში განაწილებული და სხვა ფუნქციების მიხედვით, დელეგირებას უწევენ კონკრეტულ მიწათმესაკუთრეებს, მიწათმფლობელებს და მიწათმოსარგებლეებს. ამიტომ საბაზრო ოპერაციების მთელი სისტემა მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით ატარებს შეზღუდულ ხასიათს. მესაკუთრეს უტოვებს მიწის ფლობისა და განკარგვის უფლებას არა მარტო კონკრეტული მიწის ნაკვეთზე, არამედ მხოლოდ მისი გამოყენების უფლებაზე;

მეორეც – მიწა, როგორც საქონელი, არის საზოგადოებრივი ინტერესებისა და ურთიერთობების საბაზო ობიექტი. საადგილმამულო ურთიერთობა არის საზოგადოებრივი ინტერესების მოლიანი ერთობის რეგულატორი. იგი მოიცავს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ-დემოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ და ადამიანური ცხოვრების სხვა სფეროებს.

ეს მდგომარეობა იძულებულს ხდის სახელმწიფოს დააარსოს მიწების გამოყენებაზე განსაკუთრებული წესებისა და შეზღუდვების მთელი სისტემა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთი შეიძლება მეპატრონეს ჩამოერთვას (სათანადო ანაზღაურებით) ნებისმიერ დროს. სახელმწიფოს უფლება აქვს ჩაერიოს იმ პირთა საქმიანობაში, რომლებიც მიწას იყენებენ ისეთი ხერხებით, რაც აუარესებს მიწის ნაკვეთის მდგომარეობას, მიიღოს სხვადასხვა სანქცია მიწათმესაკუთრეების, მიწათმფლობელების და მიწათსარგებლობის მიმართ.

კანონით დადგენილი მიწის გამოყენების წესი ითვალისწინებს მიწის მკაცრად, მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით გამოყენებას. მაგალითად, ნაკვეთი, რომლის გამოყენება გამიზნულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესად, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მშენებლობისათვის და ა.შ.

იმისათვის, რომ მიწის თითოეული ნაკვეთის სიდიდე განსაზღვრული და ფიქსირებული იყოს დოკუმენტურად და არ მოხდეს მიწის ფონდის უქმად ხარჯვა-განიავება, სახელმწიფო ატარებს მიწების რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღრიცხვას. ქვეყანაში არსებული მიწების აღრიცხვის სისტემა სრულყოფილია და უზრუნველყოფს თითოეული მიწის ნაკვეთის ზომისა და ხარისხის ცოდნას. შედეგების დასადგენად ტარდება მიწების მონიტორინგი. მონიტორინგის მონაცემები გამოიყენება მიწის ფონდის რაციონალურად მართვისა და საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების მიზნით.

ამდენად, მიწის დაცვისა და გამოყენების თეორიული ასპექტების ცოდნა საჭიროა ქვეყნის მიწის ფონდის შენარჩუნების, გაუმჯობესების და პროდუქტიულობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

რომან მარგალიტაძე
აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ფერმერული მეურნეობების განვითარების ზოგიერთი საკითხები

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონზე სუბტროპიკული სოფლის მეურნება განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა.

სუბტროპიკულ ზონაში, თავის დროზე მოგებიანი მონოკულტურების: ჩაის და ციტრუსების მზარდმა წარმოებამ პერმანენტულად განდევნა სოფლად ადრე არსებული ტრადიციული და არა ტრადიციული დარგები (მებოსტნეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა და სხვა), რომელმაც თავისებური გავლენა იქონია რეგიონის მოსახლეობის საქმიანობაზე.

ჩაის ბაზრის დაკარგვამ, ციტრუსების არასაიმედოობამ და ადამიანებში ძველი სოციალისტური აზროვნების თითქოსდა შეუცვლელობამ, მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა. დღეს, როცა გლეხი მიწის მესაკუთრე და დამოუკიდებელი მეურნე გახდა, ძნელი შეიქმნა მისი ცნობიერების შეცვლა. ბევრმა ინერციით, ჩვეული წესით გააგრძელა საქმიანობა და ვერ გაითვითცნობიერა, რომ ის უკვე მეწარმეა და თვითონ არის მთელი საქმიანობის შემსრულებელი და განმკარგავი.

სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მთავარ და გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს სასოფლო სარგებლობაში არსებული მიწების და სავარგულების მაქსიმალური და ოპტიმალური გამოყენება. ბოლო წლების განმავლობაში აგრარულ სექტორში მომხდარმა ცვლილებებმა, რაც გამოიხატება სას. სამეურნეო საწარმოთა რეფორმითა (მიწების პრივატიზაცია და სხვა) და სახელმწიფო მხარდაჭერაზე უარის თქმით, მკვეთრად შეაფერხა სავარგულების მაქსიმალურად გამოყენება და ზოგიერთი სას. სამეურნეო კულტურების პროდუქციის წარმოება. რაც ნათლად სჩანს წარმოდგენილი (1.1 1.2) ცხრილებიდან:

სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული საოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენება 2006 წელს (ათასი ჰექტარი)
(სტატისტიკური მონაცემები)

ცხრილი 1

რეგიონები	სავარგულები, სულ	მათ შორის:			
		სახნავი		სათიბები და საძოვრებ.	მრავალწლიანი ნარგავები
		დაუმუშავებული	დამუშავებული		
საქართველო, სულ	865	132	330	287	116
აჭარის არ	24	0	7	9	8
იმერეთი	87	14	52	8	13
სამეგრელო და ზემო სვანეთი	79	4	39	10	26
შიდა ქართლი	64	23	25	4	12
კახეთი	344	60	95	152	37
ქვემო ქართლი	137	9	56	68	4
სამცხე-ჯავახეთი	54	6	33	14	1
დანარჩენი რეგიონები	76	13	23	22	15

ერთწლიანი კულტურების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი ტონა) (სტატისტიკური მონაცემები)

ცხრილი 2

კულტურები	წლები								
	1985	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
მარცველეული, სულ	622.2	666.3	420.5	713.6	672.2	754.1	679.3	702.9	326.8
მათ შორის:									
ხორბალი	174.2	257.7	89.4	306.5	199.7	225.4	185.8	190.1	69.7
ქერი	96.7	117.8	30.2	98.9	57.5	48.3	61.3	65.4	30.6
ჭვავი	1.6	1.6	0.3	-	-	-	0.2	0.3	0.0
შერია	12.1	11.7	2.0	9.5	4.2	6.2	4.8	2.8	1.3
სიმინდი	321.5	270.2	295.9	288.6	400.1	461.9	410.6	421.3	217.4
პარკოსნები	16.1	7.3	2.7	10.0	10.7	12.2	16.6	23.0	7.8
მზესუმზირა	9.3	7.7	2.6	41.8	21.2	25.5	22.3	22.3	12.3
არაქისი	-	-	0.6	0.4	-	0.1	0.7	0.4	0.1
სოია	6.0	3.4	2.5	1.4	1.9	3.7	2.2	10.7	3.7
თამბაქო	20.4	8.1	1.9	1.6	2.1	1.4	1.5	1.1	0.3
კარტოფილი	393.8	293.8	302.0	422.2	415.	425.2	419.5	432.2	168.7
ბოსტნეული	604.3	443.2	354.2	396.0	3405.6	430.1	400.5	436.7	179.7
ბაღჩეული	42.5	38.8	80.0	83.9	125.1	125.0	109.5	119.6	37.8
საკვები ძირხვენები	95.7	56.2	-	1.2	-	-	4.4	2.9	1.5
მრავალწლ. ბალახების თივა	130.9	128.2	32.4	110.3	86.1	130.8	103.8	100.7	25.8
ერთწლიანი ბალახების თივა	196.2	185.2	19.1	43.9	48.8	48.6	46.6	37.4	26.5

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ არსებული რესურსები არასრულყოფილადაა გამოყენებული. საქართველოს აგრარულ სექტორს განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რეზერვები გააჩნია მიწის, შრომითი, ბუნებრივი რესურსების სახით. ქვეყნის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს მისი ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რეგიონალური მრავალფეროვნება და არსებული ტრადიციები, რომლებიც საშუალებას იძლევიან წარმოებულ იქნას მრავალფეროვანი და ეკოლოგიურად მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის მსოფლიო ბაზრის საიმედო სეგმენტის დაკავება შესაძლებელია ქვეყანაში ისეთი სასოფლო-სამეურნეო დარგების დაჩქარებული ტემპით განვითარებით როგორიცაა მეჩიიეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოება, მეხილეობა და მევენახეობა. განსაკუთრებით მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, რომელთა მოვლა-მოყვანა განსაკუთრებულ კლიმატურ ზონებზეა დამოკიდებული და დედამიწის ბევრ სხა კლიმატურ ზონებში ეს შეუძლებელია.

მიწის პრივატიზაციის შედეგად მიღებული, საშუალოდ ერთ ჰექტრიანი მიწის ნაკვეთები დღეისათვის არარენტაბელურია და გამოყენებულია არა ფულადი შემოსავლებისათვის, როგორც წესი, არამედ, სამწუხაროდ, მხოლოდ თვითგამოკვებისათვის.

სტატისტიკური სამსახურების მონაცემებით სარგებლობაში არსებული სავარგულების საკუთრების, სარგებლობის, ფორმებისა და ზომების მიხედვით რეგიონის მოსახლეობა შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

1. მიწის მესაკუთრე კომლთა და ოჯახთა მეურნეობები, რომლებსაც კერძო საკუთრებაში აქვთ საშუალოდ 0.8 ჰა სავარგული – 95 %;
2. ფიზიკურ პირთა ფერმერული მეურნეობები, რომლებიც იჯარით სარგებლობენ საშუალოდ 5 ჰა-მდე სავარგულს – 4 %;

3. მიწის მოიჯარე იურიდიულ პირთა ფერმერული მეურნეობები, რომლებიც სარგებლობენ 5 ჰა-დან ზევით სასოფლო-სამეურნეო საკარგულით – 1 %.

რეგიონის აგროსექტორში წარმოებული მთლიანი პროდუქციის 80%-ზე მეტი ზემოაღნიშნული პირველი ორი ჯგუფის ფერმერულ მეურნეობებზე მოდის, ხოლო დანარჩენი 20% კი მესამე ჯგუფის მიწის მოიჯარე იურიდიულ პირთა ფერმერულ მეურნეობებზე.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ყველაზე საუკეთესო ფორმას ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება და სოფლად ფერმერთა, როგორც კლასის შექმნა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი აქცენტი სწორედ პირველი ორი ჯგუფის ფერმერული მეურნეობების განვითარებაზე და მათ ხელშეწყობაზე უნდა გაკეთდეს.

მცირემიწიანი ნაკვეთების თავისებურებას პროდუქციის თვითღირებულების ზრდა და მათი არარენტაბელობა წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივად დგება მათი გამსხვილების საკითხი და ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ნახევარზე მეტი ათვისებულია ჩაის და სუბტროპიკული კულტურების პლანტაციების ქვეშ. ადრე არსებული სამრეწველო 45 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციებიდან, ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მონაცემებით დარჩენილია 36 ათასი ჰექტარი, რომელზედაც კაპიტალური აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, შესაძლებელია ჩაის ფოთლის კრეფა.

პლანტაციების რეაბილიტაციას აფერხებს გარკვეული ობიექტური და სუბიექტური პრობლემები, არსებული პლანტაციები პრივატიზებულია, გამოსულია სახელმწიფო დაქვემდებარებიდან და რომელთა აღდგენას და ფინანსირებას ფერმერები და გლეხები შეჯირვების პირობებში ვერ ახერხებენ.

რეგიონში მიმდინარე აგრარული რეფორმის მთავარი შედეგი უნდა ყოფილიყო ამ სექტორის რაციონალური სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფა, რომელიც ითვალისწინებს სამ ძირითად მიმართულებას: განვითარების პროგნოზირებას, რაციონალურ დაგეგმვას და ფერმერების ხელშეწყობა-ინფორმირება როგორც გასაღების ბაზრის რაოდენობაზე ისე საქონლის მიწოდების თაობაზე. სამწუხაროდ, დღეისათვის სახელმწიფო ვერც ერთ ფუნქციას ვერ ასრულებს.

რეგიონალური მიწის მართვის სამსახურის მონაცემებით გურიის რეგიონში შეწყვეტა ფუნქციონირება ადრე არსებულმა 140 სოფლის მეურნეობის საწარმომ, რის ბაზაზეც წარმოიშვა 3000-ზე მეტი წვრილ-გლეხური ნატურალური და ნახევრადნატურალური მეურნეობა საშუალოდ 0.8 ჰა მიწის ფაროობით, დაბალი რენტაბელობითა და შემოსავლების დონით. დაბალია მექანიზაციის, მელიორაციის, აგროქიმიური, ზოოვეტერინალური და სხვა სამსახურების დონე და რაც მთავარია რეგიონში არ არსებობს აგროსერვისისა და აგროსაკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც აგრარული სექტორის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ.

თავიდანვე მცდარად შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება საქართველოს მცირემიწიანობიდან გამომდინარე რეგიონში მსხვილი კლასიკური ფერმერული მეურნეობების შექმნის შეუძლებლობის თაობაზე. რაზეც მეტყველებს იმ ქვეყნების მაგალითებიც, რომლებიც ერთ სულ მოსახლეზე ფართობის მიხედვით საქართველოს მსგავს ან უარეს მდგომარეობაში არიან; მათი კლიმატური პირობები უმეტეს შემთხვევაში საქართველოსთან შედარებით არასახარბიელოა, მაგრამ ამ ქვეყნებს აქვთ მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა. აქ არ უნდა გავაკეთოთ აქცენტი იმაზე, რომ ყველა გლეხმა მიიღოს ათეულობით ჰა მიწის ფართობები და შეიქმნას მსხვილი მეურნეობები. ეს ყველგან ვერ მოხერხდება (მაღალმთიან სოფლებში). აქ ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა სახის კულტურები უნდა მოიყვანონ, რომ მცირე ფართის ნაკვეთები მომგებიანი გახდნენ.

მცირემიწიანი ნაკვეთების თავისებურებას პროდუქციის თვითღირებულების ზრდა და მათი არარენტაბელობა წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივად დგება მათი გამსხვილების საკითხი. ფერმერები უკვე ყიდულობენ მიმდებარე ნაკვეთებს, მაგრამ ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე ეს პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფერმერთა დახმარების, საინფორმაციო მომსახურების სწავლება-კონსულტირების, ახალი ტექნოლოგიების, ბაზრის მოძიების და სხვა სა-

კითხებს.. საჭიროა შეიქმნას რეგიონის ყველა არსებული რესურსის და პოტენციალის საინფორმაციო ბანკი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების შეკრება და გადამუშავება ინფორმაციულ ტექნოლოგიებად.

მას შემდეგ რაც დგება საკითხი ფერმერული მეურნეობების განვითარების საკითხში სახელმწიფოს უშუალოდ ჩარევის და ხელშეწყობის გარდაუვალობის შესახებ, მიზანშეწონილია მაგალითისათვის ერთ-ერთი კონკრეტული მიმართულების განხილვა:

სახელმწიფოს დახმარებით რეგიონში იქმნება აგრარული სექტორის განვითარების საკოორდინაციო სამსახური, რომლის ბაზაზეც უნდა შეიქმნას სესხის საგარანტიო ფონდი, სადაც ფინანსები მოიზიდება, როგორც ბიუჯეტიდან ისე დონორი და კომერციული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხებით. აღნიშნული ფონდი იქნება გარანტი საბანკო სექტორისათვის მათი სტიმულირებისა და სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შემცირების ერთ ერთი ყველაზე საუკეთესო საშუალება.

საკოორდინაციო სამსახურთან იქმნება მრავალდარგობრივი (აგრონომი, ზოოტექნიკოსი, მელიორატორი, ეკონომისტი და სხვა) სპეციალისტებისგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შეასრულებს ფერმერთა უშუალო დახმარების (დაგეგმვის, სას-სამეურნეო ტექნოლოგიების და ფინანსირების განსაზღვრის და სხვა) და მთელი ტექნოლოგიური ციკლის მონიტორინგის ფუნქციას. ჯგუფი განსაზღრავს კონკრეტულ შემთხვევაში ფერმერისთვის საჭირო სესხის საჭირო რაოდენობას და პასუხისმგებლობას იღებს მისი სწორად განკარგვის (მოხმარების) და დროულად დაბრუნების თაობაზე.

რაიონის ვერტიკალურ ჭრილში კლიმატური, გეოგრაფიული და დარგის გავრცელების დამახასიათებელი ზონის მიხედვით, ფერმერთან (გლეხთან) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეირჩევა სხვადასხვა ზომის ფართობების მქონე, რამდენიმე არარენტაბელური საპილოტე მეურნეობა, რომლებსაც საკონსულტაციო ჯგუფი შეისწავლის, დაგეგმავს, შეარჩევს მომგებიან ტექნოლოგიურ მიმართულებებს, შედგენილი ბიზნეს-გეგმის თანახმად განსაზღვრავს საჭიროების შემთხვევაში კრედიტის მოცულობას და მისი დაფარვის პირობებს. წარუდგენს დასამტკიცებლად სესხების საგარანტიო ფონდს და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში იწყებს მუშაობას. ფერმერი დეტალურად გაწერილი ტექნოლოგიური სქემით თვითონ აწარმოებს სამუშაოებს იმ იმედით, რომ გარკვეული პროცენტის გარდა, შემოსავალი მთლიანად მასთან რჩება. ამასთან საკონსულტაციო ჯგუფი ზრუნავს დახმარება გაუწიოს მათ, მიღებული პროდუქციის რეალიზაციაში.

ასეთი საპილოტე მეურნეობების შექმნის აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ ისინი გადაიქცევიან სადემონსტრაციო-საკონსულტაციო ობიექტებად სოფლის დანარჩენი მოსახლეობისათვის. მათი სოციალური პირობების გაუმჯობესების და სიღარიბის დაძლევის დროს გაცილებით დიდ მნიშვნელობას იძენს სადემონსტრაციო- საკონსულტაციო ნაკვეთებზე განხორციელებულ ახალ ტექნოლოგიებთან უშუალო კონტაქტი, ვიდრე სხვა წარმატებული სამეცნიერო მიღწევების და რჩევების მიწოდება სატელევიზიო თუ ბეჭდვითი საშუალებებით. ამ შემთხვევაში გაცილებით ადვილად ხდება მოსახლეობის ძველი მენტალიტეტისგან (სოციალისტური წესის შეუცვლელობა) დაცლა.

საკოორდინაციო სამსახურის სწორი, წარმატებული მენეჯმენტი და მოგებიანი საპილოტე სადემონსტრაციო-საკონსულტაციო მეურნეობები გამოიწვევს მოსახლეობის დაინტერესებას თავიანთი მეურნეობების ახალი, თანამედროვე სტილით წარმართვისათვის და ნამდვილად გაუჩნდებათ სურვილი საკოორდინაციო სამსახურთან სახელშეკრულებო პირობებით ურთიერთობისა, ამით სესხის საგარანტიო ფონდი თავად დაფარავს საკუთარ ხარჯებს (ხელფასი, ოფისის შენახვა და სხვა) და შეავსებს ფინანსურ შესაძლო დანაკარგებს.

თანამედროვე ტიპის სოფლის საწარმოთა დაგეგმვის და მართვის საკითხებში ერთ-ერთ აქტუალურ და მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორად მეწარმეთა განათლების დეფიციტი რჩება. წარმატებულია ფერმერი, როცა მას აქვს ის აუცილებელი განათლება, რომელიც საჭიროა ბაზარზე სწორი ორიენტაციის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების და ტრადიციული თუ არატრადიციული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისათვის.

რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე, აგრარული განათლების გარეშე წარმოუდგენელია ფერმერული მეურნეობების და საბოლოო ჯამში, აგრარული სექტორის განვითარება.

განათლება უნდა მიიღოს, როგორც ახალგაზრდა თაობამ ისე სოფლის ზრდასულმა მოსახლეობამ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ რეგიონის აგრარულმა სასწავლო ორგანიზაციებმა და მათ ბაზაზე შექმნილმა მოზარდთა გადამზადების ცენტრებმა.

დასკვნა.

აუცილებელია ფერმერის საქმიანობაში ჩაერიოს სახელმწიფო, შექმნას რეგიონალურ დონეზე სახელმწიფო რეგულირების და კოორდინაციის ცენტრები ყველა ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურით. ფერმერს უნდა გაუღვიეიდეს ინტერესი მოგებისადმი, ეს კი რეგიონის აგრარული სექტორის ეტაპობრივი განვითარების დასაწყისი იქნება.

რეკომენდაციები:

აუცილებელია რეგიონალურ და რაიონულ დონეზე შეიქმნას სტრუქტურა, რომელიც შეასრულებს სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფის ფუნქციას:

– რაიონებში შექმნის სესხების საგარანტიო ფონდს, რომელიც შესაძლებელია როგორც საბიუჯეტო ისე დონორი და კომერციული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხებით;

– მან უნდა შექმნას ისეთი ეკონომიკური გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერებს გააერთიანონ ერთმანეთთან მიმდებარე ნაკვეთები და ჩამოაყალიბონ ერთიანი კოოპერაციული (ამხანაგობები) მეურნეობები.

– შექმნას ფერმერთა საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები;

– ჩაერიოს ფერმერების საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ ის მესაკუთრეა და თვითონ წარმართავს თავის საქმიანობას. რეკომენდაციას მისცემს მეურნეობის მიმართულებაზე და გაუწევს დახმარებას მის განხორციელებაში;

თინა გელაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ახალციხის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი,
სრული პროფესორი;

მაია გელაშვილი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

მიწის რესურსების დეგრადაციის და მართვის პრობლემები

XX საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება სერიოზული ცვლილებებით როგორც ეკონომიკაში, ისე ეკოლოგიაში. ძალზე გამძაფრდა მათი ურთიერთქმედების პრობლემები.

მიწის რესურსების გონივრულ გამოყენებაზეა დამოკიდებული მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით, ნედლეულით. თანამედროვე კაცობრიობის კვებითი ენერგიის 88%-ს დამუშავებული მწები იძლევა, 10%-ს ღებულობენ ბუნებრივი საძოვრებიდან და ტყის საკარგულებიდან, და მხოლოდ 2%-ს მსოფლიო ოკეანის რესურსებიდან. მიწა ძვირად განახლებად რესურს მიეკუთვნება. საუკუნეობით, ათასწლეულობით იქმნებოდა ეს უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე და მას გონივრულად უნდა გამოყენება.

დედამიწის ზედაპირის მთელი ფართობის მესამედი (149 მლნ კმ) ხმელეთს უკავია. მთელი მიწის ფონდი შეადგენს 129 მლნ კმ-ს.

მიწის ფონდებს პროდუქტიულობის მიხედვით ყოფენ სამ ნაწილად: პროდუქტიულ, ნაკლებადპროდუქტიულ და არაპროდუქტიულ მიწებად. რომლებიც შემდეგნაირად არის დანაწევრებული: ტყეები–40,9 მლნ კმ (30,6%), სასოფლო-სამეურნეო მიწები 46,4 მლნ. კმ (33,4%), მათგან სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები–14,7 კმ (11%), სათიბ-საძოვარი–31,6 კმ (23,6%), მყინვარები, მაღალმთიანი უდაბნოები–8,8%, ტუნდრა და ტყე-ტუნრა-5,5%, დასახლებული პუნქტის მიწები 3,3%, ანთროპოგენული მიწები–3,4%, ტბები, მდინარეები, წყალსაცავები–5%, ხრამები–2% (1).

ანთროპოგენულმა ჩარევამ ბუნებაში და ნიადაგისადმი უყაირათო დამოკიდებულებამ მიწის რესურსების დაცვა მოაქცია მსოფლიო გლობალურ პრობლემათა რიცხვში. გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტი–„დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის" სწორედ ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას მიეძღვნა, სადაც მიღებულია პროგრამა, როგორ ეაქციოთ განვითარება მდგრადად სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. ამ პროგრამით ყველა ქვეყნის მმართველობას სთავაზობენ მიიღონ მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია (2).

ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც რიოს კონფერენციაზე იყო მიღებული, არის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება.

უკანასკნელ პერიოდში კაცობრიობის არსებობისათვის ეს მნიშვნელოვანი დარგი პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ კეთილდღეობაზე და საერთოდ მთელს საზოგადოებაზე. გამწვავდა აგრობიომრავალფეროვნების პრობლემა, დეგრადაციას განიცდის მიწის ნიადაგის საფარველი, ადგილი აქვს წყლის, ჰაერის დაბინძურებას.

მოცემულ კონტექსტში უმთავრესი გლობალური პრობლემაა აგროსფეროს ეკოლოგიურ-ეკონომიკური მდგრადობის დადგენა, ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების ბალანსის მიღწევა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ნიადაგის საფარი სწრაფ დეგრადაციას განიცდის, მეტყველებს იმაზე, რომ სერიოზული კორექტივებია შესატანი სოფლის მეურნეობის მართვის მეთოდებში. მხოლოდ 20 წელიწადში 1970-1990 წლებში სოფლის მეურნეობის მიწებზე მსოფლიო მასშტაბით დაკარგულია 480 მილიარდი ტონა მიწის მყარი ზემოთა შრე, რაც ეკვივალენტურია ინდოეთში არსებული დამუშავებისთვის განკუთვნილი ყველა ტერიტორიებისა. პრაქტიკულად ყველა დასამუშაებელი მიწა და უმეტესი ნაწილი საძოვრებისა, ასე თუ ისე, განიცდის დეგრადაციას.

გაეროს მონაცემებით, უდაბნოები გაფართოვდა 120 მილიონ ჰექტარზე. 1500 მლნ ჰა საძოვრებისა ნელ გაუდაბნოებას განიცდის. ხმელეთის 60 %-ზე, რომლებზეც მიმდინარეობს მიწათმოქმედება, ხდება ნიადაგის აქტიური ცვლილებები. ხმელეთის ზოგიერთ მონაკვეთზე ნიადაგი განიცდის ანთროპოგენულ ზემოქმედებას (3).

გარდა ანთროპოგენული ფაქტორებისა, ნიადაგზე მუდმივად ზემოქმედებს ფიზიკური, ქიმიური და გეოლოგიური პროცესები. ეროზიის, დეფლაციის, გაეწერების და სხვა მიზეზებით ნიადაგის ყოველწლიური დანაკარგი მსოფლიოში შეადგენს 5-6 მლნ. ჰექტარს, სულ XX საუკუნის ბოლოს მიაღწია 10 მლნ. ჰექტარს, ამიტომ არის, რომ უკანასკნელ ათწლეულში მიწათმოქმედების პრობლემას ეთმობა მეტი ყურადრება საერთაშორისო ფორუმზე. უფრო მეტად ეს ეხება ნიადაგის ეროზიის და დეგრადაციის დაძლეევის პრობლემებს.

გეალვა და გაუდაბნოება სიღარიბის და შიმშილის მიზეზებია. დედამიწის 70 % -3,6 მილიარდმა ჰექტარმა უკვე განიცადა ნიადაგის დეგრადაცია. შემდგომი გაუდაბნოების თავიდან ასაცილებლად მიწათსარგებლობა, მათ შორის ფერმერული, უნდა იყოს გარემოსდაცვის თვალსაზრისით უსაფრთხო.

ბრძოლის მთავარი ერთ-ერთი ხერხია ხეებისა და მცენარეების დარგვა, რომელიც უნარჩუნებს წყალსა და ნიადაგის ხარისხს.

უკანასკნელი 100 წლის მანძილზე მხოლოდ ეროზიამ გაანადგურა 20 მლნ კმ² ნიადაგი, რაც დღეს არსებული პროდუქტიული მიწების 22 %-ს შეადგენს.

60-იან წლებში ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში მოდიოდა 1,03 ჰა მიწა, 90-იან წლებში–კი 0,81 ჰა. ამავე პერიოდში შემცირდა ნიადაგის ნაყოფიერება. გაეწერების შედეგად ყოფილ სსრკ-ში ევროპული ნაწილიდან მოსავლიანობას აკლდება 14 მილიონი ტონა მარცვლეული და ნიადაგის ნაყოფიერება 2-3-ჯერ ეცემა. მსოფლიოს უმთავრეს ქვეყნებში მცირდება სათიბების და საძოვრების ფართობები. 1987 წელს 1970 წელთან შედარებით აშშ-ში მიწის ფართობი

შემცირდა 364 მლნ ჰექტარიდან 325 მლნ.ჰა-მდე, ავსტრიაში შესაბამისად–480-

466, მონღოლეთში–140-124, საფრანგეთში–13,9-12,0; ინგლისში–13,4-13,0; ესპანეთში–21,2-19,4; გერმანიაში–6,5-4,7; ინდოეთში–13,0-11,8მლნ. ჰექტარი და ა.შ (3).

ნიადაგის დეგრადაციის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე მწვავედ ეს პრობლემა აზიის და აფრიკის ქვეყნებში დგას, სადაც მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის 2/3 ცხოვრობს. ექსპერტთა აზრით ამ ქვეყნებში 40 წელიწადში

ერთ სულ მოსახლეზე საკარგულები განახევრდება (ამჟამად ერთ სულ მოსახლეზე ამ ქვეყნებში მოდის 0,27 ჰა), ხოლო 2050 წლისათვის 2 მილიარდზე მეტი კაცი იცხოვრებს ისეთ ადგილებში, სადაც საკარგულების ნაკლებობა იქნება (4).

ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიას ბუნებაში შეაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს ეკოსისტემას, ამიტომ, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება.

სოფლის მეურნეობაში დიდია ქიმიური საშუალებების როლი და მნიშვნელობა. მინერალური სასუქები გამოიყენება ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასაზრდელად, პესტიციდები-ი მცენარეთა დასაცავად მავნებლებისაგან, დაავადებებისაგან, სარეველებისაგან. ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა სახის მინერალური სასუქების, პესტიციდების არასწორად, აგრეთვე უხარისხო ქიმიური საშუალებების გამოყენება საზიანოა ნიადაგისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვინაიდან აგროქიმიკატების შემადგენლობაში არსებული მძიმე და ტოქსიკური მეტალები მოხვდებიან რა ნიადაგიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტებში, მოსავალში, ხოლო შემდეგ ადამიანის ორგანიზმში, იწვევენ მთელ რიგ პათოლოგიურ ცვლილებებს, დაავადებებს. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობაში ქიმიური საშუალებების არარაციონალურად, უკონტროლოდ გამოყენება საზიანოა წყლის ობიექტებისთვისაც, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსათვის, ატმოსფერული ჰაერისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად მთელს მსოფლიოში გამოიყენება ერთ მილიონ ტონამდე 900 დასახელების შხამქიმიკატი. მას მოსდევს პესტიციდების დაგროვება გარემოში, ბიოსფეროს ქიმიური სტრუქტურის შეცვლა და ეკოლოგიურად სახიფათო სხვა ცვლილებები. იგი გროვდება წყალში, ნიადაგსა და საკვებ პროდუქტებში, ადამიანებში იწვევს ნერვიულ დაავადებებს ჰორმონალური პროცესების და რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევას, ავთვისებიან სიმსივნეთა და გენეტიკურად განპირობებულ დაავადებათა განვითარებას ემბრიონალურ და სხვა პერიოდებში. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად შხამქიმიკატებით მოწამლვის 50000 შემთხვევა აღირიცხება, მათგან 1 %-ზე მეტი სიკვდილიანობით მთავრდება. მოწამლვის მიზეზთა შორის მითითებულია

შხამ-ქიმიკატების არასწორი, გაუმართლებელი ან სიფრთხილეს მოკლებული გამოყენება, შენახვის წესების უგულებელყოფა, და ა. შ. 1996 წ. მონაცემებით მსოფლიოში პესტიციდების მოწამლვის 30%- ზე მეტი დაკავშირებული იყო უბედურ შემთხვევებთან, 50 %-კი განპირობებული იყო პესტიციდებთან პროფესიული კონტაქტით. ამიტომ საჭიროა დაცული იქნეს პესტიციდების მოხმარების დროს სანიტარულ-ჰიგიენური წესები და დოზები, რათა თავიდან იქნეს აცილებული პესტიციდებით გამოწვეული ინტოქსიკაციები.

ყველა აღნიშნული პროცედურა დაკავშირებული ქიმიურ სასუქებთან და პესტიციდებთან რეგლამენტირებულია „პესტიციდების და აგროქიმიკატების შესახებ" საქართველოს 1998 წლის კანონით, რომლის 10-ე მუხლის მიხედვით–პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოებამდე ხდება მათი სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდები, რომელიც მოიცავს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების ეფექტურობის დადგენის ნორმებს, ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო ნეგატიურ ზემოქმედებას და შეფასებას. გამოცდაგავლილ პესტიციდებს და აგროქიმიკატებს ამის შემდეგ ატარებენ რეგისტრაციაში. მიუხედავად ამისა, ხშირად არარეკომენდირებული ქიმიური საშუალებები შეაქვთ ნიადაგში, რაც იწვევს ზემოაღნიშნულ უარყოფით მოელენებს (5).

ზემოაღნიშნულს ემატება დამლაშების პრობლემაც, რომელიც უფრო მეტად დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვის. ეს მოვლენა ძირითადად

გამოწვეულია არასწორად დაგეგმილი ირიგაციული და სადრენაჟო სისტემით. ამჟამად ძლიერ დამლაშებულია 59220 ჰა მიწა, ხოლო საშუალოდ დამლაშებულია 54340 ჰა.

საქართველო მთიანი ქვეყანაა, დაბლობებით დაფარულია ქვეყნის ტერიტორიის 46%, სადაც ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის თითქმის 85% და სადაც განლაგებულია მრეწველობა, ინფრასტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო საკარგულები. აღნიშნული რელიეფის გამო სასოფლო სამეურნეო საკარგულების უმეტეს ნაწილს სათიბ-საძოვრები შეადგენენ. ნიადაგი ნაყოფიერების შესანარჩუნებლად ხშირად საჭიროებს მელიორაციული ღონისძიებების ჩატარებას.

დღეს საქართველოს აგრარულ სექტორში არ ხდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. პროდუქციის წარმოება გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებში ძირითადად ხელით შრომაზეა დაფუძნებული, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის წარმოების მასშტაბებსა და ეფექტიანობაზე. ამასთანავე, სექტორში არ მოქმედებს დაზღვევის სისტემა, რაც განსაკუთრებით უარყოფითი შედეგების მომტანია კლიმატური შოკების ფონზე.

2003 წლის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო საკარგულები შეადგენს საქართველოს მთლიანი ფაროობების 43,4 %-ს, სადაც 26,2% სახნავს უკავია, 8,9 %–მრავალწლიან ნარგავებს, 64,2 % –სათიბ-საძოვრებს და 40,5 % ტყის ფართობია. წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებისა და სხვა ანთროპოგენური და ბუნებრივი პროცესების გამო დეგრადირებულია სასოფლო-სამეურნეო მიწების 35%. მწირი სახნავი ფართობების პირობებში ნიადაგის ეროზია ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ეროზირებულია სახნავი მიწების 380 ათასი ჰექტარი, საძოვრებისა და სათიბების 570 ათასი ჰექტარი, შავი ზღვის სანაპირო ზოლის 87 ათასი ჰა. ეროზიის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მთიან რეგიონებში. რასაც ბუნებრივ პროცესებთან ერთად ხელს უწყობს დამრეც (20-30 გრადუსი დაქანების) ფერდობებზე ხვნა-თესვა დატერასების გარეშე, ჭარბი ძოვება, ტყის უკონტროლო ჭრა. უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთ საქართველოში გაუდაბნოებულია დაახლოებით 3 ათასი ჰა, ეროზირებულია სახნავი მწების 62 % მ.შ. აღმოსავლეთ საქართველოში 29%, დასავლეთ საქართველოში-კი 33% (7).

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადდა მდგრადი განვითარების ეროვნული შეფასების ანგარიში „რიო +10", რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ქვეყნის სტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას და რომელთა აღმოფხვრაც მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მისი მეთოდოლოგია, დაგეგმვა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმაში გათვალისწინება.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" (1996 წ. 15 ოქტომბერი, №424-Iს) მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს გარემოს და ბუნებრივი

რესურსების დაცვას შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან და მი-
რაციონალურ გამოყენებას. კანონის თანახმად მიწასთან დაკავშირებული საქმიანობა იყოფ-
ოთ კატეგორიად, რომლის მიხედვითაც გაიცემა მიწის ფართობები. არ გაიცემა ნებართვა, თუ
ირღვევა საქართველოში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური წესები და ნორმები და საფრთხე ექ-
მნება ადამიანის ჯანმრთელობას (08.05.2003 №2290).

დღეისათვის მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე
მისი მოთხოვნილების ამაღლება მოითხოვს იმ პროდუქტების წარმოების გადიდებას, რომელიც
ხორციელდება სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი საშუალების–მიწების უფრო ინ-
ტენსიურად გამოყენებით, ახალი რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მეშვეობით, წარმოე-
ბის მექანიზაციის, ქიმიზაციის, მელიორაციის განხორციელების საფუძველზე. აღნიშნულ ღო-
ნისძიებების დადებით შედეგებთან (მოსავლიანობის ზრდა), იწვევენ უარყოფითი პროცესების
წარმოშობასაც, კერძოდ, ნიადაგის ეროზიას, დამლაშებას, დაჭაობებას, დაბინძურებას და სხვა.

საქართველოს მიწის კოდექსის 29-ე მუხლის მიხედვით მიწათმოსარგებლენი ვალდებულნი
არიან განახორციელონ ეფექტური ღონისძიებანი მიწების დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების
ასამაღლებლად, განახორციელონ ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო სამე-
ლიორაციო და ჰიდროტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსი, არ დაუშვან მიწების გაჭუჭყიანე-
ბა, დამლაშება, დაჭაობება, და სხვა პროცესები, რომლებიც აუარესებენ მიწების მდგომარეო-
ბას.

ცენტრალურ გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ერთ-
ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრების
დამკვიდრება. თუ საბჭოთა კავშირის დროს მიწა საერთო-სახალხო საკუთრებად ითვლებოდა,
დამოუკიდებლობის აღდგენის მოპოვების შემდეგ, მიწის რეფორმის პირველი ეტაპის ჩატარების
შედეგად მიწა კერძო საკუთრებაში გადაეცათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს მიწის ორ კატეგორიას–სასოფლო-სა-
მეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს,
რომ გარკვეული ინერციით კვლავ გამოიყენება საბჭოთა კანონმდებლობით კერძოდ 1971 წელს
მიწის კოდექსით დადგენილი სახელმწიფო მიწის ფონდის კატეგორიები (სასოფლო-სამეურნეო
მიწები, დასახლებული პუნქტის მიწები, სამრეწველო და სატრანსპორტო ნაგებობების, კურორ-
ტების, ნაკრძალების და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, სახელმწიფო
რეზერვის მიწები).

1992-96 წლებში სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაწილი სპონტანურად იქნა პრივატიზირებუ-
ლი, მაშინ, როდესაც მიწაზე საკუთრების ფორმალური უფლება კვლავ სახელმწიფოს ხელში
რჩებოდა. ამ ნაწილობრივმა პრივატიზაციამ გარკვეული პრობლემები შექმნა სასოფლო-სამეურ-
ნეო სექტორში, ვინაიდან მიწის კერძო მფლობელებს არ გააჩნდათ ფორმალური უფლება მიწა-
ზე. მათ არ შეეძლოთ სრულყოფილად გამოეყენებინათ თავიანთი უფლებები (ყიდვა-გაყიდვა,
იჯარით გაცემა, დაგირავება და სხვა). ამ ფაქტორებმა მნიშვნელოვანი უარყოფითი როლი ითა-
მაშა სოფლის მეურნეობის განვითარებაში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

2000 წლის 1-ლი აპრილის მდგომარეობით, სასოფლო-სამეურნეო მიწების 25,2 % გაცემული
იქნა კერძო საკუთრებაში, აქედან 56,9 % სახნავ-სათესი მიწაა, 23,9% მრავალწლიან ნარგავებს
ეკავა, 16,6 %-კი სათიბ-საძოვრებს. საშუალოდ ერთ კომლზე მოდის 0,9 ჰა მიწა. მიწის ნაკვეთ-
ების ფართობების სიმცირე და სასოფლო-სამეურნეო მიწების დაქუცმაცება ხელს უშლის მიწის
ეფექტურ გამოყენებას. აღნიშნულმა დღის წესრიგში დააყენა პრივატიზირებული მიწის ნაკვე-
თების გამსხვილების საკითხი.

დღეისათვის სახელმწიფოს საკუთრებაშია სას. სამ. დანიშნულების მიწების 75%. აქედან
იჯარითაა გაცემული 975,5 ათასი ჰა, სას. სამ. სავარგულების 31,7%. გაუცემელი დარჩა 1298,9
ათასი ჰა მიწა, საიდანაც 1115,9 ათასი ჰა საძოვარია, ხოლო დანარჩენი 183 ათასი ჰა-დან სახნა-
ვია 86,1 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგაევებს უჭირავს 55,0 ათასი ჰა, სათიბებს კი 41,9 ათასი
ჰა (8).

მიწების საკუთრებაში და იჯარით გაუცემლობის მიზეზად შეიძლება დასახელებული იქნეს
იმგვარი ფაქტორები, როგორიცაა: ნაკვეთების არახელსაყრელი მდებარეობა, ნიადაგის დაბალი
ნაყოფიერება, ძველი სარწყავი და დამშრობი სისტემების გაუმართაობა, გაუდაბნოება, მეორა-
დი დაჭაობება, დამლაშება, ეროზიული პროცესები. გარდა ამისა, მიწაზე საკუთრების უფლე-

ბის რეგისტრაციის ნელი ტემპი გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ არსებული სარეგისტრაციო სისტემა ითვალისწინებდა მხოლოდ მესაკუთრეთა რეგისტრაციას, რაც არ იყო საკმარისი მიწაზე საკუთრების უფლების სრული გამოყენებისა და შემდგომი გარიგებების დასადებად. ამასთანავე მიწის რეგისტრაცია და საკუთრების უფლების დადასტურება საკმაოდ ხანგრძლივ დროსაც მოითხოვს, ვინაიდან საჭიროა ძველი მონაცემების ძალზე დეტალურად შემოწმება.

როგორც აღვნიშნეთ, ნიადაგის დეგრადაციას ხელს უწყობს ეროზია, გაჭუჭყიანება, დამარილიანება, დატბორვა, ქიმიური ნივთიერებები, აგრეთვე ნიადაგის პირდაპირი განადგურება— სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაკავება მასზე მშენებლობის, ნაგებობების და წყალსატევებისათვის.

ნიადაგის ეროზია წყლის, მდინარეებისა და ქანების მიერ ნიადაგსაფარის რღვევისა და დაშლის მრავალფეროვანი პროცესია, რომლის დროსაც ირღვევა ნიადაგის ყველაზე ნაყოფიერი ზედა ფენა. ამ ფენის 18-20 სმ სისქის წარმოსაქმნელად ბუნებას სჭირდება არანაკლებ 1400-1700 წელი, რადგან ნიადაგის წარმოქმნის პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. 100 წელიწადში 0,5-2 სმ. ამ ფენის დაშლა-კი შეიძლება მოზდეს 20-30 წელიწადში, ან ერთი კოკისპირული წვიმის, ან ქარიშხლის დროს.

არსებობს ეროზიის რამდენიმე სახე: წყლისმიერი, ქარისმიერი, ტექნიკური და ტექნოგენური. ყველაზე გავრცელებულია წყლისმიერი ეროზია. იგი ვლინდება წვიმის, თოვლის დნობის, ან ნიადვრებისას ნიადაგის ნაყოფიერი, ჰუმუსიანი ფენის გამორეცხვით. წყლისმიერ ეროზიას ხელს უწყობს მცენარეული საფარის მოსპობა, განსაკუთრებით მთის ფერდობებზე.

წყლისმიერი ეროზიის ნაირსახეობაა ირიგაციული ეროზია. მას ადგილი აქვს ძირითადად მორწყვის წესების დარღვევისას.

მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ნიადაგს ქარისმიერი ეროზია, ანუ დეფლაცია. ეროზიის ამ სახეს ექვემდებარება ნახევრად მშრალი ნიადაგები. მტვრიანი ქარიშხლის დროს ხდება ნიადაგის ნაყოფიერი ზედა ფენის გამოფიტვა და მისი ზედაპირის გადაადგილება, ასევე თესლის და ფესვგაუმაგრებელი ჯეჯილის გადატანა.

ნიადაგის გადარეცხვისაგან დასაცავად კარგი საშუალებაა ნათესი ბალახების და თავთავიანი კულტურების მონაცვლეობითი შეთესვა, სათოხნი კულტურებიუკი ნაკლებად იცავენ ნიადაგს, რაც ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითიდან. 5 გრადუსით დახრილი მცენარეებისაგან დაუცველი ფერდობის ბელტიანი ნიადაგის 18 სმ ფენის გადარეცხვას დასჭირდება 2-3 წელი, სიმინდის ნათესების შემთხვევაში — 9 წელი, თავთავიანი ნათესების შემთხვევაში — 36 წელი, ბალახოვანი საფარისას კი 10 ათასი წელი.

დაჩარებული ეროზიის მიზეზია ტყეების უკონტროლო გაჩეხვა, პირუტყვის არაზომიერი ძოვება, არასწორი ხვნა, მიწათმოქმედების არასწორი მეთოდები.

ტყე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. იგი აკავებს წვიმისა და თოვლის ნადნობ წყალს და ამით აბრკოლებს ზედაპირული ჩამონადენის წარმოქმნას.

გაანგარიშებულია, რომ 10 ათასი ჰექტარი ტყე 500 ათას კუბურ მეტრ წყალს აკავებს. ტყის გაჩეხვის შემდეგ ნიადაგი კარგავს დამცველს, ზედაპირული ჩამონადენი იზრდება 2—3 ჯერ, ნადნობი და წვიმის წყალი ჩამოვდინება ფერდობზე და თან მოაქვს ნიადაგის ნაწილაკები, რომელიც ჩააქვს მდინარეებში. ღია ნიადაგის ზედაპირიდან წყლის აორთქლება უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს და 3-ჯერ მეტია, ვიდრე ტყეში. გარდა ამისა დაუცავი ნიადაგი უფრო ინტენსიურად თბება, რაც ნიადაგის მიკროორგანიზმების ცხოველქმედების დარღვევას იწვევს. ყოველივე ამას კი თან ახლავს წყლის და ქარისმიერი ეროზიის დაჩქარებული განვითარება.

გარდა ამისა ნიადაგის დაზიანება ხდება ტრანსპორტით, მიწის სათხრელი ტექნიკით და სხვა ტექნიკური საშუალებებით. ნიადაგის ამგვარ დაზიანებას ტექნიკური ეროზია ეწოდება.

თანამედროვე მიწათმოქმედებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნიადაგის დამლაშება. როდესაც გრუნტის წყლები ცხელ და გვალვიან რაიონებში დიდ სიღრმეზე არ არის, იგი ნიადაგის კაპილარებით მაღლა ამოდის და ორთქლდება. ნიადაგის ზედაპირზე რჩება მასში გახსნილი მარილები.

მიწათმოქმედებაში ყველაზე დიდ საფრთხეს ქმნის სარწყავი მიწების მეორეული დამლაშება, როდესაც სარწყავი სისტემები შენდება და ფუნქციონირებს ჰიდროიზოლაციის გარეშე, რის გამოც გრუნტის წყლები ამოდის მაღლა, ზოგჯერ 0,5 -1 მ. სიმაღლეზე, ტბორავს ნიადაგის ზე-

დაპირს და ბუნებრივი და ხელოვნური დრენაჟის უქონლობის შემთხვევაში იწვევს მიწების დაჭაობებას და დამლაშებას (9).

ზემოაღნიშნული მიწების დეგრადაციის გამომწვევი მიზეზების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მელიორაციის და წყლის რეჟიმის გონივრული რეგულაცია, იმ ვარაუდით, რომ ნიადაგში შეიქმნას წყლის, სითბოს და კვების ოპტიმალური რეჟიმი.

უკანასკნელ ათეულ წლებში ყურადღებას იპყრობს ძირითადად სამთომოპოვებითი მრეწველობის ობიექტების, სამრეწველო ქალაქების, დიდი ქალაქების, სარკინიგზო და ავტომაგისტრალების ირგვლივ მდებარე ტერიტორიებზე ნიადაგების დაბინძურება ტექნოგენური წყაროებიდან გამოსული მავნე ნივთიერებებით, საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. ნიადაგის ძირითადი დამაბინძურებელია ლითონები და მათი შენაერთები, რადიაქტიული ნიეთიერებები, სასუქები და პესტიციდები.

ნიადაგები ბინძურდება ვერცხლისწყლით, ტყვიით, თუთიით, სპილენძით, მანგანუმით. ტყვიის შეცველობა მაღალია ნიადაგში საავტომობილი გზების გასწვრივ, სამრეწველო დიდი ქალაქების მიმდებარე ტერიტორიებზე. ტყვიისაგან ნეიტრალიზაციის მიზნით ნიადაგს ამუშავებენ კირქვით.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მიზეზები წარმოადგენს მიწის რესურსების (ნიადაგის) მდგრადი განვითარების ხელშემშლელ პირობებს და იწვევს მის დეგრადაციას, რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია როგორც სახელმწიფოს, ისე ადგილობრივ დონეზე შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ნიადაგი გექონდეს ეროზიის მიმართ მდგრად მდგომარეობაში, ე. ი. შეძლებისდაგვარად უნდა ეერიდოთ მის გაფხვიერებას, სასურველია ნიადაგი დაცული იქნას მცენარეული საფარით;
- აღვკვეთოთ წყლის ზედაპირული ჩამოდენა, ან მინიმუმამდე დავიყვანოთ მისი სიჩქარე;
- ეფექტური იქნება მრავალწლიანი ბალახების თესვა ფერდობებზე;
- არ დაეუშვათ 10 გრადუსზე მეტი დახრილობის ფერდობებზე ერთწლიანი კულტურების თესვა. ამ ტიპის ფერდობებზე სასურველია მრავალწლიანი
- ბალახების თესვა ან ხეხილ-კენკროვანი ბაღების გაშენება;
- 10-15 გრადუს დაქანების ფერდობებზე დაცული უნდა იქნეს ნიადაგის კონტურული დამუშავება, ფერდობების პორიზონტალური ხვნა, იგი აჩერებს ეროზიული ორნამენტების და ღარების წარმოქმნის პროცესს და იცავს ნიადაგს დახრამვისაგან; ასეთი ხვნა ხელს უწყობს ფერდობების დამატებით დატენიანებას და ამით ზრდის ნათესი კულტურების მოსაელიანობასაც;
- შეიქმნას მთის ფერდობებზე ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ზოლები;
- დამრეც და საშუალო დაქანების ფერდობებზე მოეწყოს ფართო ტერასები, შედარებით ციცაბო ფერდობებზე-კი ეიწრო;
- ქარისმიერი ეროზიის საწინააღმდეგოდ საჭიროა გავსარდოთ ნიადაგის აგრეგატულობა –ნიადაგში კირისა და ორგანული სასუქების შეტანით;
- ნიადაგი უმეტესად ტენიან მდგომარეობაში იმყოფებოდეს;
- რაც შეიძლება მეტი ხნით დაიტოვოს ნიადაგში ნაწვერალი;
- ქარსაცავი ზოლების გაშენება საუკეთესო საშუალებაა ქარისმიერი ეროზიის
- საწინააღმდეგოდ;
- მთავრობებმა მიიღონ მიწისა და წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების ეროვნული გეგმები;
- დაჩქარონ ტყეების დარგვის პროგრამები, სწრაფად მზარდი, გვალვაგამძლე ადგილობრივი ჯიშის ხეები და სხვა მცენარეები;
- ხელი შეუწყონ საშეშე მასალაზე მოთხოვნილების შემცირების მარეგულირებელი და ალტერნატიული ენერგორესურსების გამოყენების გზით.

. იმ რაიონებში, რომლებიც მიდრეკილია გაუდაბნოებისაკენ, ტრადიციული ფერმერული და მეცხოველეობის მეთოდები ხშირად არაადეკვატური და არარაციონალურია, რისთვისაც:

– საჭიროა საზოგადოების ინფორმირება იმ გასატარებელ ღონისძიებებზე, რაც აუცილებელია ამ პრობლემის გადასაჭრელად;

–აუცილებელია დეგრადირებული მიწების სარეალიბიტაციო სამუშაოების ჩატარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა არსებობის სხვა ალტერნატიული საშუალებებით;

–აუცილებელია შეიქმნას ექსტრემალური რეაგირების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საკვების მარაგით, სამედიცინო პერსონალითა და მედიკამენტებით, ტრანსპორტით და ფინანსებით.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული წინადადებების გათვალისწინება როგორც ფერმერების, ისე სახელმწიფოს მხრიდან მიწის რესურსების მდგრადი განვითარების და ქვეყნის სასურსათო ეკოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჰ. კოღუაშვილი, ჰ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი, სასურსათო პრობლემიდან სასურსათო უსაფრთხოებამდე, თბ. 1998, გვ. 25 .
2. თ. გელაშვილი, მდგრადი განვითარება და ეკონომიკისა და გარემოს ურთიერთზემოქმედების პრობლემები, ჟ. მიკრო და მაკროეკონომიკა, №12, 2004, გვ. 38-41).
3. უმან ეველოპმენტ ღეპორტ, 1998, ეწ- ორკ, ხფორდ, ჰ. 70.
4. ბაბუნაშვილი გ. ხუტაშვილი მ., ეკოლოგია და გარემოს დაცვა, თბ. 2003, გვ. 61.
5. აკ. ლაბარტყავა, ეკოლოგიური სამართალი, თბ. 2003, გვ. 359.
6. მდგრადი განვითარების ეროვნული შეფასების ანგარიში, ღI +10, თბილისი, 2002, გვ. 69-73.
7. თ. ურუშაძე, 2001, დღეისათვის ეს მაჩვენებელი უფრო მეტად საგანგაშოა).
8. საქართველოს სტატისტიკის წელიწლეული, თბილისი, 2001-2008
9. ვ. გულისაშვილი, თ. ურუშაძე, ბუნების დაცვის საფუძვლები, თბილისი, 1983, გვ. 144.

ვაჟა ზეიკიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
დალი ზეიკიძე
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

საქართველოს მიწის ბაზრის რეგულირების საფუძვლები

საქართველოს აგრარულ სექტორს მნისვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. იგი თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წყაროა.

საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების საქმეში ბუნებრივი გარემოს კომპონენტს – მიწის რესურსების განსაკუთრებული ადგილი უკავია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიწის გაყიდვა კერძო მესაკუთრეებზე მიწის გადაცემის იდეალური მეთოდია. მიწის ბაზრის არსებობა საჭიროებს რეგულირების გარკვეულ მექანიზმებს, რათა საგადასახადო კომპონენტმა ხელი არ შეუშალოს მიწის ბაზრის ჩამოყალიბება. 2010 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "სახელმწიფო ქონების შესახებ", რომლის საფუძველებზეც ახლებურად დარეგულირდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების საკითხები.

კანონის შესაბამისად პრივატიზაციას ექვემდებარება იჯარით გაცემული და იჯარით გაუცემელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. პრივატიზაციას არ ექვემდებარება საძოვარი, პირუტყვის გადასარეკი ტრასები, დაცული ტერიტორიების მიწა და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების ფორმებია: აუქციონი, იჯარით გაცემული მიწის პირდაპირი მიყიდვა, პირდაპირი მიყიდვა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

აუქციონის ფორმით და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანო. აუქციონზე გატანილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყის საფასურს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით ადგენს საქართველოს მთავრობა.

წარმოდგენილი კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, რომლებზეც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი, არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობები სათანადო ნორმატიული დოკუმენტაციის საფუძველზე კომისია განიხილავს საკითხს და ღებულობს სათანადო გადაწყვეტილებას.

აღნიშნული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის შეადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებას მიწაზე მოქმედ ნორმატიულ ფასს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ასმაგი ოდენობა. ფიზიკური პირებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე, ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობა.

ქვეყნის მიწის ბაზრის ფუნქციონირების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის საკითხის დარეგულირება. აღნიშნულის გათვალისწინებით კანონში "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებას და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესა-

ხებ:" მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას ექვემდებარება: სარეკრიაციო ტერიტორიების საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. ქ.თბილისის და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. მიზნობრივი დანიშნულების შეცვლაზე უფლებრამოსილი ორგანოა იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლისას გადახდილი საკომპენსაციო თანხები რჩება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ეროეულის ბიუჯეტში.

მიწის ბაზრის ფორმირებისა და რეგულირების საქმეში არსებითი ფაქტორია მიწაზე ქონების გადასახადის დაწესება, რომელსაც ადგენს საქართველოს მთავრობა ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით. მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილებით: სათიბებისა და საძოვრებისატვის ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის სახეობების მიხედვით 1,5 ლარიდან 20 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში, სხვა მიწებისათვის ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით 50 ლარიდან 100 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები გაიანგარიშება კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. გადასახადის საბაზრო განაკეეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარის ოდენობით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყეეტილებით, შესაბამისისაბაზრო განაკეეთით მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე, ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

საქართველოში სრულყოფილი მიწის ბაზრის ფუნქციონირების მიზნით ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყოს მიწის რეგისტრაციისა და აღრიცხვის სპეციალიზებული სამსახურის შექმნა. ასეთი სამსახური შეიქმნილია იუსტიციის სამისნისტროში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სახით, საკუთარი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურით, რომელიც მოიცავს უძრავი ნივთის (მიწის) თაობზე მონაცემებს.

დაზუსტებას საჭიროებს მიწის საბაზო ფასის დადგენის მექანიზმი, რადგან ფასწარმოქმნის პროცესში ცალკეული ელემენტების დახვეწა ხელს შეუწყობს მიწაზე კონკურენტული საბაზრო ფასის ფორმირებას და უფრო აქტუალურს და მოქნილს გახდის ქვეყნებში მიწის ბაზრის ფუნქციონირებას.

კონკურენტული მიწათსარგებლობის ფორმირებისათვის აუცილებელია სრულყოფილი მიწის ბაზრის ფორმირება, რაც საშუალებას მოგვეცემს, რომ მიწა გახდეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი და ბანკებმა საკრედიტო უზრუნველყოფისათვის განახორციელოს ფერმერებისაგან მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკეეობების მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონების შესახებ" თბ. 2010.
2. საქრთველოს კანონი "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკეეობებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ". თბ. 2007.
3. საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". თბ. 2005.
4. საქართველოს მიწის კადასტრი თბ. 2001წ.
5. საგადასახადო კოდექსი (ახალი რედაქცია). თბ. 2011წ.

ზურაბ რევიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილების საერთაშორისო გამოცდილება და მდგომარეობა საქართველოში

აგრარული პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტებს შეადგენენ: მიწის ბაზრის რეგულირება, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილება, საკუთრებისა თუ ფლობის ფორმების განსაზღვრა, სასოფლო მეურნეობების კუთვნილი სავარგულების მინიმალური და მაქსიმალური ზომების დადგენა[1, გვ.109-195].

მიწის ბაზარი განისაზღვრება და მოიცავს მიწის საკუთრების, მემკვიდრეობით მიღება-გადაცემის, საიჯარო და საზიარო ურთიერთობების ფორმებს და წარმოადგენს, არასრულ ეკონომიკურ და იურიდიულ კატეგორიას. იგი აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია და ასახავს ამა თუ იმ ქვეყნის მიწით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით უზრუნველყოფის ხარისხს, მიწის საკუთრებისადმი ისტორიულად ჩამოყალიბებული ცნობიერებისა და მეურნეობრივი ყოფის თავისებურებებს, ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის ტრადიციებს.

ისტორიულად არსებით ცვლილებებს განიცდიდა მიწის საკუთრებითი ურთიერთობანი, მასშტაბები, საიჯარო თუ საზიარო გარიგებანი, რენტის სიდიდე და ფორმები. განვითარებულ ქვეყნებში მიწის განაწილებისა და სარგებლობის საკითხები იძენდა მეტ საზოგადოებრივ გაჟღერებას და მეტად იზიარებდა საერთო სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებსა თუ გლობალურ პრობლემებს. შედეგად წარმოიქმნა მიწის ბაზრის, ყიდვა-გაყიდვის, იჯარის, მიწის საკუთრების შოგმიშვალობით თუ სხვა ფორმებით გადაცემის, სახელმწიფო რეგულირების განვითარებული სისტემა.

დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა ახორციელებს მიწის ბაზრის კონტროლს. მათ შორის არიან ქვეყნები მიწის ბაზრის ლიბერალური რეჟიმით, უფრო გაადვილებული მიწის ყიდვა-გაყიდვითა და საიჯარო ურთიერთობებით, თუმცა ამ ქვეყნებშიც არის შეზღუდვები. დასავლეთ ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა, ძირითადად, უარყოფითადაა დამოკიდებული იურიდიულ პირებზე მიწის გაყიდვის საკითხისადმი. უმეტეს ქვეყნებში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, შრომით გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სოფლის მეურნეობის განხორციელებისათვის სათანადო კაპიტალის ფლობას.

უმრავლეს ქვეყნებში არ არის დაპირისპირდება მიწაზე საკუთრებისა და იჯარის ფორმებს შორის. ქვეყნების გამოცდილებები ცხადყოფენ, რომ მიწათსარგებლობის ეფექტურად განხორციელება შესაძლებელია, როგორც ერთი, ისე მეორე ფორმით და ეკონომიკურად თუ იურიდიულად. არ უნდა იხლეჩებოდეს რომელიმე მათგანი. თითოეულ ქვეყანაში, ამ საკითხის გადაჭრა, უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული პირობებიდან და მეურნეობრივი მიზანშეწონილობიდან.

თანამედროვე ეტაპზე, მთლიანად მიწა და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სავარგული, წარმოადგენს, არა მხოლოდ მოცემული ქვეყნის საარსებო არეალს, არამედ კაცობრიობის სასიცოცხლო რესურსს. მსოფლიომ დააგროვა წარმატებული გამოცდილება ამ რესურსების დაცვისა და ეფექტურად გამოყენებისა. მიწათსარგებლობის სისტემისა და მიწის ბაზრის ჩამოყალიბებაში სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს.

ურბანიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პირობებში, მეტად მნიშვნელოვანი განსხვავებანი სოფლისმეურნეობრივი სავარგულების ფასებსა და საბინაო და სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწების ფასებს შორის, განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან მიწების ფუნქციონალური გადანაწილების უმეცრესი წესების შემოღებისა და გატარების აუ-

ცილებლობას. ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებაც, კერძოდ, მიწების ფუნქციონალური გამოყენების შეცვლისა და სასოფლო სამეურნეო მიწების არასასოფლო-სამეურნეო მიწების კატეგორიაში გადაყვანისას, საკომპენსაციო თანხა უნდა იყოს მეტად მაღალი და იგი უნდა ქმნიდეს რეალურ ბარიერს სასოფლო-სამეურეონ მიწის რესურსის დაცვისათვის.

სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებლების მქონე რიგი ქვეყნების აგრარულ პოლიტიკაში, აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია მსხვილი მიწათმფლობელური სისტემების დაშლისა, რაოა ცალკეულ პირების ხელში არ მოხვდეს მიწის დიდი მასივები. ხშირად მიწის ყიდვისა ან იჯარის უფლების მისაღებად მყიდველი ან მოიჯარე უნდა იყოს ადგილობრივი მაცხოვრებელი, მას უნდა ჰქონდეს პროფესიული განათლება, ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება. ასე, მაგალითად დანიაში, არენდატორისგან მიწის შეძენისას, მყიდველი იღებს პასუხისმგებლობას სასოფლო-სამეურნეო მიწის პროფილის შენარჩუნებისა და გარემოს დაცვისა. დანიის მიწის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ, პირები რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობას, საკუთარ ან საიჯარო მიწებზე, უნდა მუდმივად ცხოვრობდნენ მოცემულ ფერმაში. დანიაში განსაზღვრულია მიწათსარგებლობის ზედა ზღვარი, საკუთარი და არენდირებული მაქსიმალური მიწის ფართობი არ უნდა არ აღემატებოდეს 150 ჰა-ს. გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ფერმერი დაასაბუთებს, რომ მისი მეურნეობის სპეციფიკის გამო მას ესაჭიროება მეტი ფართობი და არავინ მეზობელი ფერმერებიდან არ იქნება ამის წინააღმდეგი. კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს მანძილებს ფერმებში მიმავალ გზებს შორის(2კმ-მდე), ნაკვეთების მაქსიმალურ რაოდენობას(არ უმეტეს 5-სა) და მათ ურთიერთ დაცილებულობის ზღვრებს (10-25 კმ). კანონი უშვებს გამონაკლისს, როდესაც ფერმერს ესაჭიროება დამატებითი ნაკვეთი ნაკელის გასატანად და შესანახად. მოიჯარე ან მყიდველი უნდა ცხოვრობდეს სასოფლო ადგილზე არა ნაკლებ 8 წელი; თუ ფერმის ზომა ამეტებს 30 ჰა-ს მან უნდა დაასაბუთოს თავისი პროფესიული კვალიფიკაცია, მას უნდა ჰქონდეს შრომითი გამოცდილება სოფლის მეურნეობაში და სათანადო განათლება; მან უნდა დადოს პირობა, რომ იმუშავებს ფერმაში არანაკლებ 8 წლისა, ე.ი. ამ პერიოდის განმავლობაში მას არ შეუძლია ამ მიწის გაყიდვა ან იჯარითა თუ ქვეიჯარით გაცემა. მიწის ყიდვა აკრძალულია თუ ესაა კაპიტალის დაბანდების ოპერაცია, ან ფასი მიწაზე არ შეესაბამება რეალურ ღირებულებას. მიწის ყიდვისას, უპირატესობა ეძლევა მეზობელს, რომელიც ცხოვრობს 1 კმ-ზე ახლოს ამ ნაკვეთიდან. იურუდიულ პირებს დანიაში არა აქვთ უფლება არც სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისა და არც მისი იჯარით აღებისა. ასეთი უფლება აქვთ მხოლოდ ფიზიკურ პირებს[აქ და შემდეგ იხ. 2]. ამრიგად, დანიის კანონმდებლობა ხელს უწყობს ამ ქვეყნისათვის ოპტიმალური ოჯახური მეურნეობების შენარჩუნებას, იგი არ უშვებს არც ლატიფუნდიების შექმნას, ან მიწებით სპეკულაციას და არც მათ არარაციონალურ დანაწევრებას. ამგვარი პოლიტიკა, მნიშვნელოვნად განაპირობებს დანიის სოფლის მეურნეობის ეფექტურად ფუნქციონირებას.

შვეიცარიაში მიიღებული "კანონი მიწის საკუთრების შესახებ" (1994წ.) განსაზღვრავს, რომ მიწა შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ მას ვინც ამუშავებს, ადგენს ერთი მეურნეობის მინიმალურ და მაქსიმალურ საზღვრებს. მინიმალურმა ზომამ უნდა უზრუნველყოს ერთი ადამიანის დასაქმება 75%-ით, ანუ 2100 საათით წლის განმავლობაში. მაქსიმალურად ითვლება ნაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალური შემოსავლების დონეს – 2,5–3 დასაქმებულისთვის. დაბლობ, ვაკე ადგილებში მინიმალური ფართობის ზომაა 5–7,5 ჰა. იჯარით აღებისას მიწის მინიმალური ზომა უნდა უზრუნველყოფდეს 1,5 მომუშავის დასაქმებას.

იტალიაში, პორტუგალიასა და ესპანეთში სასოფლო-სამეურნეო მიწის კანონმდებლობებში განსაზღვრულია ფერმერული მეურნეობების მიწის ფართობების ქვედა ზღვრები, რათა, სოფლის მოსახლეობის სიჭარბის გამო, თავიდან იქნეს აცილებული ნაკვეთების გადამეტებული დაქუცმაცება და ფრაგმენტიზაცია. მათი კანონები განსაზღვრავენ ცნებას, "მინიმალურად არსებობის უნარიანი მეურნეობა" და კრძალავენ ნებისმიერ გაყიდვას თუ საიჯარო გარიგებას, რომლითაც ირღვევა ეს მინიმალური ზომა. განსხვავებული ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გამო, ასეთი მინიმალური ზომა დგინდება რეგიონულ დონეზე. ამასთან ერთად, ესპანეთის მიწის კანონმდებლობა ზღუდავს იჯარის ზედა ზღვარსაც, რომლის მიზანია არ დაუშვას მსხვილი მამულების წარმოქმნა.

იაპონიაში მიწის კანონმდებლობა იოვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საკარგულების შეზღუდულობას და ქალაქების დიდ დაწოლას სასოფლო რაიონებზე. აქ სახელმწიფო ახორციელებს მკაცრ პოლიტიკას სასოფლო-სამეურნეო მიწების შენარჩუნების მიმართულებით. ნებისმიერი საკუთრებითი თუ საიჯარო ცვლილება მიწაზე მოითხოვს სამთავრობო თანხმობას, რომელიც იოვალისწინებს შემდგომ პირობებს: მესაკუთრე თვითონ უნდა ამუშაევებდეს მიწას, რომელიც მას ეკუთვნის ან იჯარით აქვს აღებული; გლეხი ან მისი ოჯახის წევრი მუდმივად უნდა იყოს დასაქმებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებით; საერთო ფართობი შეძენის ან იჯარით აღების შემდგომ არ უნდა იყოს 0,5 ჰა-ზე ნაკლები(ხოკაიდოზე–2 ჰა) ან მეტი; მთავრობა უშვებს მიწის შეძენისას გამონაკლისს თუ ეს ეხება განსაკუთრებით ინტენსიური ტიპის მეურნეობებს. გლეხს უნდა ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია, ფინანსური და სხვა შესაძლებლობანი წარმოების ეფექტური განხორციელებისათვის მეურნეობის მთელ ფართობზე და იგი მუდმივად უნდა ცხოვრობდეს ამ მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვის ან იჯარით აღების უფლება აქვს მხოლოდ "ფიზიკურ სასოფლო-სამეურნეო პირს".

ნორვეგიაში აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზანს შეადგენს მცირე მეურნეობების შენარჩუნება და ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის მძიმე პირობების მქონე რეგიონების(განსაკუთრებით ჩრდილოეთის და ცენტრალური სასოფლო ადგილები) მოსახლეობისგან დაცლის შეფერხება. ძირითადად პოლიტიკა ორიენტირებულია სოციალურ და ეკოლოგიურ მიზნებზე, რათა არ გაუკაცრიელდეს აღნიშნული ტერიტორიები; ორიენტაცია აღებულია მესაკუთრე ფერმერის შენარჩუნებისაკენ, კანონმდებლობა ზღუდავს ნაკვეთების დანაწევრებას, ხოლო იჯარა რეგლამენტირებულია კანონითა და ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებებით.

ნიდერლანდებში მნიშვნელოვანი ნაწილი დაშრობილი მიწებისა ეკუთვნის სახელმწიფოს და გაიცემა ხანგრძლივი იჯარების საფუძველზე. იჯარით გაიცემა ასევე სხვა სასოფლო-სამეურნეო მიწებიც. მთლიანად 30% მთლიანი მიწებისა საიჯარო მიწებია, თითქმის ნახევარი სასოფლო მეურნეობებისა მთლიანად ან ნაწილობრივ საქმიანობენ საიჯარო მიწებზე. სახელმწიფოს მხრიდან საიჯარო ურთიერთობების რეგულირებისას, ორიენტაცია აღებულია მეურნეობების დანაწევრების შეზღუდვისაკენ, ამავე დროს იზღუდება მიწის გადაჭარბებული კონცენტრაცია და ცალკეული პირების ხელში დიდი ფართობების მოქცევა. ასეთი პრინციპები ვრცელდება, როგორც იჯარის, ისე მიწის გაყიდვის შემთხვევაში. ამავე დროს მხედველობაში მიიღება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტიპი, საჭირო ნაკვეთების ზომები, რათა წარმატებით განხორციელდეს მათი კომერციული საქმიანობა. მეურნეობის ეფექტური საქმიანობა, არის საფუძველი სახელმწიფო მხრიდან იჯარის საკონტრაქტო პირობებს შეცვლისა, გაგრძელებისა თუ წყვეტისა.

ირლანდიაში, გამომდინარე ისტორიული დაპირისპირებით ინგლისელ "ლენდ-ლორდებსა" და არენდატორ ირლანდიელებს შორის, მიწის იჯარა ეროვნული სულის საპირისპირო მოვლენადაა მიჩნეული. აგრარული პოლიტიკა აქ ორიენტირებულია მესაკუთრე ფერმერზე. იჯარის მიღების უფლებას ესაჭიროება მთავრობის განსაკუთრებული უფლება.

საფრანგეთში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მიწის ბაზარზე ხორციელდება რთული კონტროლის სისტემა. კანონი მოითხოვს მიწის ყოველი ყიდვა-გაყიდვისას ან იჯარით გაცემისას განსაკუთრებულ სამთავრობო ნებართვას. აქცენტი კეთდება ფაქტიურ მიწათმოსარგებლეზე. თუ მიწის მესაკუთრე იცვლება და მოიჯარე იგივე რჩება, ამისათვის ნებართვა არ არის საჭირო, ხოლო თუ იცვლება მოიჯარე, ხოლო მესაკუთრე იგივე რჩება, ამ შემთხვევაში აუცილებელია ნებართვის მიღება. ასეთი ნებართვისათვის საჭიროა მინიმალური მიწის ფართობი, რომელიც განსაზღვრულია კანონით. მეურნეობა უნდა უზრუნველყოფდეს მინიმუმ ორი ადამიანის დასაქმებას და მათ მიერ სათანადო შემოსავლის მიღებას. ამჟამად ამგვარ მინიმალურ ზომად მიჩნეულია 25 ჰა.

გერმანიაში ხორციელდება მუდმივი კონტროლი სასოფლო სამეურნეო მიწების საკუთრების ცვლილებისას თუ იჯარით გაცემისას. თუ რამოდენიმე პირს უნდა მიწის შეძენა ან იჯარით აღება, უპირატესობა ენიჭება მას ვინც უკვე ეწევა სოფლის მეურნეობას. მიწის ფრაგმენტაციის აღკვეთის მიზნით, გასაყიდი ან იჯარით გასაცემი ნაკვეთი არ უნდა იყოს 1 ჰა-ზე ნაკლები, მაქსიმალურ ზომად მიჩნეულია 400-500 ჰა.

მიწის ბაზრისადმი უფრო ლიბერალური დამოკიდებულება განსაზღვრულია ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რესურსებით, ეროვნული და ისტორიული ტრადიციებით. ასეთ ქვეყნებს უპირველესად მიაკუთვნებიან აშშ-ს, ავსტრალიასა და კანადას. შედარებით ნაკლებ კონტროლს ახორციელებს, ასევე, დიდი ბრიტანეთი, ბელგია და საბერძნეთი. თუმცა ამ ქვეყნებშიც სახელმწიფო იტოვებს ჩარევის უფლებას, მაგალითად ეკოლოგიური პრობლემის წარმოქმნისას. ავსტრალიაში, სადაც უდიდესი ნაწილი მიწისა ეკუთვნის სახელმწიფოს, სარგებლობის უფლების ან იჯარით გაცემისას, ფერმერებს ეკისრებათ მიწათსარგებლობის სათანადო წესების დაცვის პასუხისმგებლობა. აშშ-ს სოფლის მეურნეობის მხრივ მნიშვნელოვან 13 შტატში აკრძალულია სავარგულების შეძენა იურიდიული პირებისა და არა ფერმერების მიერ, რათა სასოფლო-სამეურნეო მიწებს არ შეეცვალოს პროფილი.

სსრკ-ს დაშლის შემდგომ, საქართველოს, ისე როგორც სხვა რესპუბლიკებს, უნდა გადაეწყვიტა სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების, რეფორმირების საკითხი, რომლის სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო, პოლიტიკოსთა და მეცნიერთა შორის არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები, რაც იმ პერიოდისათვის მოითხოვდა ამ საკითხის მეცნიერულ განხილვას, პოზიციათა შეჯერებას და ქვეყნის ინტერესის მომცველი სათანადო აგრარული წესრიგის პოლიტიკის შემუშავებას. სამწუხაროდ ეს არ მოხდა და 1992 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილება დაიწყო ყოველგვარი კონცეპტუალური თუ სტრატეგიული გააზრების გარეშე.

მიწების განაწილების, მათი პრივატიზების საკითხების განხილვისას, ჩვენი აზრით, მეტად ყურადსაღებია დასავლელ მეცნიერ ეკონომისტთა ჯგუფის(30-მდე პროფესორი, სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელი და ცნობილი წამყვანი ეკონომისტი; მათ შორისაა ნობელის პრემიის ლაურეატები – ფრანკო მოდილიანი, ჯეიმს ტობინი და რობერტ სოლოუ; რომელთაც 1996 წელს შეუერთდა კიდევ კიდევ ერთი ნობელის ლაურეატი - უილიამ ვიკრი) მიერ შემოთავაზებული პოზიციაა – მ. გორბაჩოვისადმი 1991 წელს გაგზავნილ ღია წერილში. ცნობილ ეკონომისტთა ჯგუფი, სსრკ-ს დაშლის შემდგომ რეალობებს, რომ ითვალიწინებს, იძლევა რჩევებს, რომ მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, უმჯობესია მიწაზე შენარჩუნებულ იქნას სახელმწიფო საკუთრება და სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოყალიბდეს მიწის რენტის ფორმით, რომ დასავლეთის ქვეყნებს უკეთ განვითარებას დიდად აფერხებს მიწის კერძო საკუთრება, ვინაიდან კერძო სექტორი ითვისებს მიწის რენტის დიდ ნაწილს. მათი აზრით "მიწის რენტა წარმოადგენს კოლექტიური შრომის შედეგს და ის უნდა გამოიყენებოდეს ყველა მოქალაქის ინტერესებში", "ეფექტურობის და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად ყველა მიწათმოსარგებლე უნდა ყოველწლიურად უხდიდეს მიწის რენტას ადგილობრივ ხელისუფლებას, მათ მიერ გამოყენებული მიწის სათანადო სარენტო ღირებულების სიდიდეს"; "სახელმწიფო უნდა გამასაღერავდეს პერიოდულად სარენტო გადასახადების ნიხრებს და არ შეიძლება ამ უფლების გადაცემა მიწათმოსარგებლეებისათვის"[3].

მიწის შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინების საფუძველზე, ეფიქრობთ, რომ საქართველოს აგრარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, შინამეურნეობათა საშუალო ზომის ოპტიმალურად გადიდებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, იგი უნდა ზღუდავდეს ოპტიმალურ მეურნეობაზე უფრო დიდი მეურნეობების და შესაბამისად მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნასა და ფუნქციონირებას. სავარგულების პრივატიზებისა თუ ყიდვისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოფლად მცხოვრებ და სოფლისმეურნეობრივი გამოცდილების მქონე ფიზიკურ პირებს.

საქართველოს კანონის – „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ"(1996წ.)–პირველ ვარიანტში(მუხლი-4) საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობის ცნებაში შეტანილია „საკომლო (გლეხური, ფერმერული) მეურნეობები" და „სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირი"; "იურიდიული პირი, რომელიც ეწევა შერეული სახის საქმიანობას, ჩაითვლება საადგილმამულო(ფერემერულ) მეურნეობად, თუ იგი შემოსავლის ნახევარზე მეტს იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით"(პუნქტი 3,6). 2000 წლის ცვლილებებით განისაზღვრა, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს ფიზიკურ პირს, კომლს" და „საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს"(პუნქტი-2). 2007 წლის დამატებით სასოფლო სამეურნეო მიწა შეიძლება საკუთრების უფლებით ჰქონდეს ასევე უცხოელს და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, სათანადო შენიშვნით, რომ: "უცხოელი და საზვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებულნი არიან თავიანთ საკუთრება-

ში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი მათზე საკუთრების უფლების წარმოქმნიდან 6 თვის განმავლობაში გაასხვისონ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე" [4, გვ.6,7; 6, გვ.25,26].

ვფიქრობთ, რომ საქართველოში უცხოელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს ადვილად შეუძლია დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო თუ სხვა ტიპის საზოგადოება, რომელშიც მას ექნება საკონტროლო პაკეტი და არ ექნება შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო სამეურნეო მიწების შეძენასა და ფლობაში.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის სანაცვალგებო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ"(1997წ.) კანონის 2007 წლის დამატებებით, არსებითად ადვილდება სასოფლო-სამეურნეო მიწების არასასოფლო-სამეურნეო მიწებად გადაქცევის მექანიზმი. ასე, მაგალითად, ქალაქ თბილისისა და ბათუმის, ასევე ქობულეთის საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 ჰა მიწისათვის სანაცვლო საკომპენსაციო თანხა შეადგენდა 34001 ლარს, ბორჯომისათვის – 19857 ლარს, ყაზბეგისათვის – 14286 ლარს და ა.შ. [5, გვ.35-37]. ეფიქრობთ, რომ საკომპენსაციო თანხები არ არის სათანადოდ მაღალი და დიდი ქალაქებისა თუ სარეკრეაციო ადგილების მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწებს ადვილად შეეცვლებათ კატეგორია და ამგვარი ვითარება ქმნის სასოფლო სამეურნეო სავარგულების შემცირების დიდ საფრთხეს.

2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე (2002 წლის აღწერის მონაცემები) მოდიოდა 0,69 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ხოლო სოფლის მოსახლეების ერთ სულზე გაანგარიშებით ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1,4 ჰა-ს. ამავე წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწა საკუთრებაში გაუნაწილდა 1110,8 ათას კომლს(ოჯახს), მათ შორის სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლს გადაეცა 690,1 ათასი ჰა, ე.ი. 0.89 ჰა და ქალაქად მცხოვრებ 338,3 ათას ოჯახს გადაეცა 72,9 ათასი ჰა, ე.ი. საშუალოდ 0,22 ჰა. საკუთრების უფლებით სულ განაწილდა 763 ათასი ჰა, ანუ მოლიანი სავარგულების 25,2%. ამავე პერიოდისთვის, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე იჯარით გაიცა 905,1 ათასი ჰა, ანუ მთელი სავარგულების 29,9%. მათ შორის 40,2 ათასმა ფიზიკურმა პირმა იჯარით მიიღო 473,1 ათასი ჰა, ანუ საშუალოდ ერთმა ფიზიკურმა პირმა მიიღო 11,8 ჰა; ხოლო 4,2 ათასმა იურიდიულმა პირმა იჯარით მიიღო 432,0 ათასი ჰა სავარგული, ანუ საშუალოდ ერთმა იურიდიულმა პირმა მიიღო 102,9 ჰა. სახელმწიფოს განკარგულებაში, ამ დროს, რჩებოდა 1355,7 ათასი ჰა, ანუ მთელი სავარგულების 44,8% [6, გვ.1-4].

2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერამ აჩვენა რომ, სასოფლო სამეურნეო მიწების მქონე (საკუთრება და იჯარა) შინამეურნეობების 43,2%-ს ჰქონდა 0,5 ჰა-ზე ნაკლები; 0,5-0,99 ჰა მიწა ჰქონდა 32%-ს მეურნეობებისა; 1-1,99 ჰა-მდე ჰქონდა მხოლოდ მეურნეობების 18,3%-ს; 2–2,99 ჰა – 3%-ს და 3-4 ჰა ჰქონდა 1,4 %-ს შინამეურნეობებისა; საშუალოდ ერთ სასოფლო შინამეურნეოზე გაანგარიშებით 2004წ. მოდიოდა 1,21 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მცირე ზომის ფართობები დანაწევრებულია: 2-3 ნაკვეთიანი მეურნეობა ჰქონდა მეურენობების 48,8%-ს, 4-5 ნაკვეთიანი – 13%-ს, 6-9 ნაკვეთიანი 3,9%-ს და ერთ ნაკვეთიანი მეურნეობები შეადგენდნენ 33,9%-ს; ნაკვეთები მნიშვნელოვანი მანძილით არიან ერთმანეთს დაცილებულნი, რაც ქმნის მათი დამუშავების დამატებით პრობლემებს [7, გვ. 3, 55, 84]. ამრიგად, 75,2% შინამეურნეობებისა ფლობდა 1 ჰა-ზე ნაკლები ზომის სავარგულს და ეს მცირე ფართობებიც დანაწევრებულია და გაფანტულია.

შინამეურნეობების მდგრადი განვითარების აუცილებლობა საჭიროებს მიწების გადანაწილების ისეთი წესრიგის პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს მეურნეობათა საშუალო ზომების ოპტიმალურ გადიდებას და ნაკვეთების გამთლიანებას. ვფიქრობთ, რომ შინამეურნეობებისთვის, არსებული ვითარებიდან გამომდინარე ოპტიმალურია 2-3 ჰა სავარგულის ფლობა. ამავე დროს, ადგილობრივი მიწის რესურსებიდან გამომდინარე, რეგიონებისათვის დიფერენცირებულად უნდა განისაზღვროს მეურნეობების საშუალო, მაქსიმალური თუ მინიმალური ზომა, დადგინდეს იჯარით გასაცემი მიწის ზღვრული სიდიდე.

"სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ"(2005წ.) და "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში(სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების შესახებ" (2007წ.) კანონებმა, მნიშვნელოვნად გააფართოეა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პრივატი-

ზების ფორმები(სპეციალური აუქციონი, ღია აუქციონი, პირდაპირი მიყიდვა და კონკურენტული შერჩევა) და ხელი შეუწყო ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ოვითნებურად დაკავებული სახელმწიფო მიწების საკუთრების უფლებათა აღიარებასა და მათ პრივატიზებას.

უნდა აღინიშნოს, რომ "მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის" რეფორმირებამ და მიწების პრივატიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებამ, ერთი მხრივ გაადვილა მიწების საკუთრებითი თუ მათი იპოთეკით დატვირთვის საკითხების მოგვარება, ხოლო მეორეს მხრივ, გართულდა სასოფლო სამეურმეო მიწების განაწილებისა და გადანაწილების, საკუთრებითი თუ საიჯარო ფორმების ცვლილებების ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის მოკვლევა. ჩვენი აზრით, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს სათანადო სტატისტიკური კვლევები, როგორც სასოფლო შინამეურნეობებზე, ისე მიწის მესაკუთრე თუ მოიჯარე იურიდიულ პირებზე, სასოლო-სამეურნეო მიწების განაწილების, საკუთრებითი, საიჯარო ურთიერთობების ცვლილებების, მათ მიერ მიწების ეფექტურად გამოყენების თაობაზე. ეს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია მეურნეობათა ფუნქციონირების, ეფექტური ზომების დადგენისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების გადანაწილების სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოების შემუშავებისათვის. აგრარული სექტორის წესრიგის პოლიტიკამ საქართველოში, შემოქმედებითად უნდა გაითვალისწინოს განხილული ქვეყნების წარმატებული გამოცდილებები და სასოფლო-სამეურნეო მიწების სახელმწიფო რეგულირებაში უნდა დაამკვიდროს აღიარებული, პროგრესული პრინციპები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Roger D. Norton. Agricultural Development Policy: Concepts and Experiences, Published: John Willey &Sons Ltd, West Sussex, England, 2004; Cop.: FAO of the UN, 2004

2. http://www.antax.ru/doc/articles/zarubejnii_opit.htm

3. Открытое письмо президенту СССР M.C. ÃïaÁÀeãÀ³. журн. "Енергия, Экономика, Техника, Экология", №8, 2003.

4. მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული, საქართველოს მიწის მართვის სახ. დეპარტამენტი, თბ., 2001წ.

5. საქართველოს მიწის კანონმდებლობა, თბ., გამ.-ბა "RISE", 2009წ.

6. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ 01.04.2003წ. მდგომარეობით, მიწის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2004წ.

7. საქართველოს 2004წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005წ.

მერაბ ხმალაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანა ახალაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტი

მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენება საქართველოში

ქვეყნის ბუნებრივი რესურსები შედგება მიწის, ტყის, წყლის და წიაღისეულის რესურსებისგან.

მიწა წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების და ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მთავარ კომპონენტს, რომელსაც ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიწის რესურსების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. საქართველოს საერთო ფართობი 69,7 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით საქართველოს მიწის ფონდი 2005 წლის მონაცემებით შემდეგნაირად ნაწილდება (ათასი ჰექტარი)

ფართობი სულ	7 628,4
აქედან:	
არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი	4 605,1
სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	3 023,3
მათ შორის:	
სახნავი	800,0
მრავალწლიანი ნარგავები	265,0
სათიბი	143,0
საძოვარი	1795,0
საცხოვრებელი, სამეურნეო შენობები და ეზოები	20,0

როგორც ვხედავთ, საქართველოს მიწის ფონდის უმეტესი ნაწილი, 60,4% უჭირავს არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს და მხოლოდ 39,6% სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რომლიდანაც მხოლოდ 15,0%-ია სახნავით და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული სავარგულები. გამოუყენებელი მიწა საქართველოს ტერიტორიის 13,6%-ს შეადგენს.

ტყის რესურსებით საქართველო ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა. ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით 2008 წლის დასაწყისში საშუალოდ მოდიოდა 0,63 ჰექტარი ტყე და 103 კუბური მეტრი მერქანი. ამ მაჩვენებლებით საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის.[1]

საქართველოს სტატისტიკაში ტყის რესურსების დასახასიათებლად გამოყენებულია სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელთაგან უნდა აღვნიშნოთ შემდეგი მაჩვენებლები:[2]

1. ტყის ფართობი და მერქნის მარაგი;
2. ტყით დაფარული ფართობი გავრცელებული ჯიშების და ხნოვანების ჯგუფების მიხედვით;
3. მერქნის მარაგი გავრცელებული ჯიშების და ხნოვანების ჯგუფების მიხედვით;
4. ტყის ნარგავების გაშენება;
5. ტყის ჭრა;

[1] საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. თბ., 2006, გვ. 24.
[2] საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა, თბ., 2006, გვ. 24.

6. მოჭრილი ხე-ტყის მოცულობა;

7. ტყის აღდგენა;

8. ხე-ტყის უკანონო ჭრა და ა.შ.

2008 წლისათვის საქართველოს ტყის ფონდის ფართობი შეადგენდა 3005,3 ათას ჰექტარს, რომლისგანაც ტყით იყო დაფარული 2 770,0 ათასი ჰექტარი. ტყიანობის მაჩვენებელი, საქართველოში 92,2%-ის ტოლია. დანარჩენი 7,8% მოდის ტყის მასივებში არსებულ ტყის არმქონე ტერიტორიაზე. 2008 წლისთვის ტყით დაფარული ფართობი საქართველოს ტერიტორიის 39,9% შეადგენდა.

საქართველოს ტყით დაფარული ფართობიდან 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ახალგაზრდა ტყეზე მოდის ფართობის 8,1%, შუახნოვანზე – 37,3%, მომწიფარზე – 16,5%, მწიფეზე – 38,1%. საქართველოს ტყეებში ყველაზე გავრცელებულ ჯიშებს წარმოადგენენ მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ჯიშები, როგორიცაა: წიფელი, მუხა, რცხილა, წაბლი და ა.შ. 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათზე მოდის საქართველოს ტყით დაფარული ფართობის 72,9%.

საქართველოს მერქნის მარაგი 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 451,7 მილიონ კუბურ მეტრს, რომელთაგან ახალგაზრდა ტყეებზე მოდის 2,0%, შუახნოვანზე – 25,2%, მომწიფარზე – 16,4% და მწიფე ტყეზე - 56,4%. მერქნის ძირითადს მარაგს წარმოადგენენ მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ჯიშები, რომლებზეც მოდის მერქნის მარაგის 68,9%.

1990-იანი წლებიდან საქართველოს ტყეების ექსპლოატაცია მიმდინარეობს ბარბაროსულად. კერძოდ, 1990 წელს ტყე მოიჭრა 33 449 ჰექტარზე, ხოლო აღდგენა მოხდა 28 771 ჰექტარზე, ე.ი. 86,0%-ზე. 2005 წელს ტყე მოიჭრა 57 016 ჰექტარზე, ხოლო აღდგენა მოხდა 74 ჰექტარზე. 2006 წლიდან ტყის აღდგენა აღარ ხდება. 2005 წლის მხოლოდ აბსოლუტური მაჩვენებლები ისეთი თვალსაჩინოა, რომ აღარც კი საჭიროებენ "სტატისტიკურ გამადიდებელ "შუშას". ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა მკვრივ კუბურ მეტრებში 392,8 ათასიდან 1990 წელს 2005 წლისთვის გაიზარდა 810,6 ათას კუბურ მეტრამდე, ხოლო 2008 წელს 818,2 ათას კუბურ მეტრამდე. იმავდროულად გაიზარდა ხე-ტყის უკანონო ჭრის მაჩვენებელიც. 2001 წელს ხე-ტყის უკანონო ჭრა 42,3 ათასი კუბური მეტრიდან 2005 წლისთვის გაიზარდა 62,7 ათას კუბურ მეტრამდე, 2007 წელს 98,7 ათას კუბურ მეტრამდე.

საქართველო საკმაოდ მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე მიედინება 25 000-ზე მეტი დიდი და პატარა მდინარე, რომელთა საერთო სიგრძეა 59 000 კილომეტრი. ამ მდინარეების 99,4% მცირე სიგრძისაა (25 კილომეტრზე ნაკლები). ქვეყანაში არსებობს თერმული და მინერალური წყლების მრავალი წყარო, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევები, საკმაოდ დიდია გრუნტის წყლების მარაგი.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით ქვეყანას გააჩნია წყლის რესურსების შემდეგი მარაგები: 25 000-ზე მეტი დიდი და მცირე მდინარის წყლის ჩამონადენი შეადგენს წამში 61,5 კუბურ კმ-ს, 850 ტბას გააჩნია 0,7 კუბური კმ. წყლის მარაგი. მტკნარი მიწისქვეშა წყლების ჯამური ბუნებრივი დებეტი 560 კუბური მეტრია წამში. ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული რესურსების პოტენციალი აღწევს 60 მილიარდ კვტ საათს, რომელიც დღეისათვის 11 პროცენტითაა გამოყენებული. ქვეყანაში აღრიცხულია 2300-მდე მინერალური წყარო, რომლის საერთო დებეტიც 130 მილიონი ლიტრია წელიწადში. გამოყენების მაჩვენებელი აქაც ძალიან დაბალია.[3]

წყლის რესურსების გამოყენება საქართველოში შემდეგ სურათს იძლევა: 2005 წელს სულ მოხმარებული იქნა 48 374,2 მილიონი კუბური მეტრი მტკნარი წყალი, საიდანაც 358 მილიონი (0,7%) გამოყენებული იქნა საყოფაცხოვრებო-სამეურნეო საჭიროებისათვის, 208,3 მილიონი (0,4%) – საწარმოო საჭიროებისათვის და 47 807,9 მილიონი კუბური მეტრი (98,9%) სარწყავად, სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგებისა და სხვადასხვა საჭიროებისათვის.[4]

წიაღისეული რესურსები წარმოადგნს საქართველოს ეროვნული სიმდიდრის შემადგენელ ნაწილს. წიაღისეული რესურსების სტატისტიკის ამოცანაა ამ რესურსების მოცულობის და გამოყენების დახასიათება. კერძოდ, საქართველოში ცნობილია 300-მდე მინერალურ-სანედლეულო საბადო, შესწავლილია ნავთობის 11 საბადო 28 მილიონი ტონა მარაგით. ქვანახშირის დადგე-

[3] საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. თბ., 2006, გვ. 53.

[4] საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. თბ., 2006, გვ. 63-66.

ნილი მარაგი უტოლდება 400 მილიონ ტონას, ხოლო ჭიათურის მანგანუმის მარაგი – 215 მილიონ ტონას.[5]

საქართველოში 2005 წლისთვის მოპოვებული იქნა 67 ათასი ტონა ნედლი ნავთობი, 15 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, 252 ათასი ტონა მანგანუმის სასაქონლო მადანი, 5 ათასი ტონა ნახშირი.[6] შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ 1980 წლისთვის მოპოვებული იქნა 3186 ათასი ტონა ნედლი ნავთობი, ე.ი. 47,5-ჯერ მეტი, ვიდრე 2005 წელს; 280 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, ე.ი. 18,6-ჯერ მეტი ვიდრე 2005 წელს, 2 779 ათასი ტონა მანგანუმის სასაქონლო მადანი, ე.ი. 11-ჯერ მეტი ვიდრე 2005 წელს და 1860 ათასი ტონა ნახშირი, ე.ი. 372-ჯერ მეტი, ვიდრე 2005 წელს.

ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება აგრეთვე დაცული ტერიტორიები, რომელთა მიზანია ფლორის და ფაუნის და საერთოდ ბუნების დაცვა. 2008 წლისთვის საქართველოს დაცულმა ტერიტორიებმა შეადგინა 495,9 ათასი ჰექტარი, რომელთაგან ნაკრძალებზე მოდიოდა 141,5 ათასი ჰექტარი, ეროვნულ პარკებზე – 258,4 ათასი ჰექტარი, ხოლო დანარჩენზე – 96,0 ათასი ჰექტარი.[7]

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. თბ. 2011
2. გაბიძაშვილი ბ. პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ. 2008
3. საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ. თბ. 2009
4. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. თბ. 2006
5. საქართველოს სოფლის მეურნეობა. 2008. თბ. 2009
6. www.geostat.ge
7. www. newsgeorgia. ge

[5] იქვე, გვ. 53.
[6] იქვე, გვ. 54.
[7] www. statistics.ge

ლაშა გოცირიძე
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი,
სტუ-ს დოქტორანტი

მერაბ ვანიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

დღეისათვის, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურასა და საერთაშორისო დოკუმენტებში სასურსათო უსაფრთხოება უპირატესად განიხილება ინდივიდუალურ, საოჯახო მეურნეობის, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე. სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურის ამგვარად წარმოდგენა ძირითადად მისაღებია. მაგრამ, ეროვნულ დონეზე პრობლემის შესწავლის ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია საკითხის უფრო დეტალური მეცნიერული განხილვა და ანალიზი.

სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურა წარმოადგენს მრავალდონიან იერარქიას, რომლის საფუძველშიც იმყოფება სასურსათო პრობლემის გადამწყვეტი სუბიექტი თავისი ფუნქციებით.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის ცენტრში დგას ადამიანი კვებაზე მისი მოთხოვნილებებით, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელია პროდუქტიული საქმიანობისა და კეთილდღეობის განხორციელება. მაგრამ ამ პრობლემის მიკუთვნება ცალკეული ინდივიდისადმი არამართლსომიერია. უფრო მიზანშეწონილია მისი განხილება ადამიანთა განსაზღვრულ გაერთიანებასთან მიმართებით. განვიხილოთ სასურსათო უსაფრთხოების ჩვენს მიერ საორიენტაციოდ შემუშავებული იერარქიული სტრუქტურა **1-ლი ცხრილის** მიხედვით.

სასურსათო უსაფრთხოების იერარქიული სტრუქტურის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ საორიენტაციო სქემაზე სასურსათო უსაფრთხოების გადამწყვეტი სუბიექტის ქვედა დონედ გამოდის ოჯახი (საოჯახო მეურნეობა), რომლის ფუნქციას შეადგენს კვების პროდუქტების შეძენა, გამოყენება და სხვ.

სასურსათო უსაფრთხოების მომდევნო დონეს ქმნის მოსახლეობის სოციალური ჯგუფები (შემოსავლების დონის მიხედვით გაერთიანებული საოჯახო მეურნეობები), რომელთა ფუნქციებად მოიაზრება მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო ნორმების მიხედვით მოხმარების უზრუნველმყოფი შემოსავლების მიღწევა.

სასურსათო უსაფრთხოების შემდეგ დონეს შეადგენს იურიდიულად გაფორმებულ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციული რაიონი, ოლქი, მხარე) ცხოვრების ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობა. ასეთი სტრუქტურები იმართება შესაბამისი ადმინისტრაციის (ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების) მიერ, რომლის ვალდებულებებში შედის ტერიტორიის მცხოვრებთა მიერ შემოსავლების მიღებისათვის პირობების შექმნა, საკვები ქსელში სურსათის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა და კვების პროდუქტების ხარისხზე კონტროლი.

ცხრილი 1. სასურსათო უსაფრთხოების იერარქიული (ვერტიკალური) სტრუქტურის საორიენტაციო სქემა

№	დონე	პრობლემის გადამწყვეტი სუბიექტი	სუბიექტის ფუნქციები
11	გლობალური დონე	გაერო, სპეციალიზებული ორგანოები (FAO, ეაჯრობის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და სხვ.)	სახელმწიფოთა სტაბილური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, სურსათით უზრუნველყოფის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, სურსათის მსოფლიო მარაგების შექმნა და გამოყენება

22	სუბრეგიონული დონე	რეგიონთშორისი წარმონაქმნები შესაბამისი ორგანოებით, ფორუმები	რეგიონთა სტაბილური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, სურსათის ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესება
33	ეროვნებათშორისი (სახელმწიფოთშორისი) დონე	სოლიდარული შეთანხმებები სურსათით ვაჭრობის, ფასებისა და სტანდარტიზაციის სფეროებში; ფორუმები და სხვა სუსტად ორგანიზებული წარმონაქმნები	სახელმწიფოთა სტაბილური ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი სასურსათო ფონდების ფორმირების ხელშეწყობა; სურსათის ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესება
44	ეროვნული (საერთო-სახელმწიფოებრივი) დონე	მთავრობა, ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოები	ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო სასურსათო ფონდების ფორმირება, მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება
55	ადგილობრივი (ქვეყნის შიდა-რეგიონული) დონე	მმართველობისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები (მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციული რაიონი, ოლქი, მხარე)	ტერიტორიის მცხოვრებთა მიერ შემოსავლების მიღებისათვის პირობების შექმნა, საეჭრო ქსელში სურსათის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა და კვების პროდუქტების ხარისხზე კონტროლი
66	მოსახლეობის სოციალური ჯგუფების დონე	შემოსავლების დონის მიხედვით გაერთიანებული საოჯახო მეურნეობები	მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო ნორმების დონეზე მოხმარების უზრუნველმყოფი შემოსავლების მიღწევა
77	ინდივიდუალური (საოჯახო მეურნეობის) დონე	საოჯახო მეურნეობა	კვების პროდუქტების შეძენა და გამოყენება

სასურსათო უსაფრთხოების მომდევნო დონეს მიეკუთვნება ადამიანთა ყველაზე ორგანიზებული გაერთიანება – სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია სასურსაოო პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე მეტი შესაძლებლობები. მის ვალდებულებებში შედის ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო სასურსათო ფონდების ფორმირება, მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას როგორც საერთო-სახელმწიფოებრივ (ეროვნულ), ასევე ქვეყნის შიდარეგიონულ (ადგილობრივ) დონეზეც. საერთო-სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განვითარება, ცენტრსა და რეგიონებს (ავტონომიურ, სამხარეო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებს) შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა ამაღლებს ამ უკანასკნელთა როლსა და პასუხისმგებლობას სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში.

შიდარეგიონულ დონეზე გადასაჭრელი ამოცანები დამოკიდებულია სურსათის მწარმოებელი ამა თუ იმ რეგიონის არსებულ და პოტენციურ შესაძლებლობებზე, აგრეთვე სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუძემდებლური მოთხოვნების რეალიზაციის შესაძლებლობაზე. აქ ფაქტობრივად, საუბარია საერთო-სახელწიფოებრივი მასშტაბით სურსაოის წარმოების საქმეში შრომის რეგიონული დანაწილების ფორმირებაზე. ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყოს სურსათის წარმოებისა და განაწილების სისტემის მაკროეკონომიკურმა რეგულირებამ.

სასურსათო უსაფრთხოების შემდეგ დონეს ქმნის ეროვნებათშორისი (სახელმწიფოთშორისი) გაერთიანება, რომელიც, როგორც წესი, სუსტად ორგანიზებულია. მის ფუნქციებში შედის სახელმწიფოთა სტაბილური ეკონომიკური განვითარების, სახელმწიფო და ადგილობრივი სა-

სურსათო ფონდების ფორმირების ხელშეწყობა და სურსათის ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესება.

სასურსაო უსაფრთხოების მომდევნო დონედ გამოდის სუბრეგიონული (რეგიონთშორისი) გაერთიანებანი შესაბამისი ორგანოებით, რომელთა ვალდებულებებს მიეკუთვნება რეგიონთა სტაბილური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და სურსაოის ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესება.

დაბოლოს, სასურსათო უსაფრთხოების უმაღლეს, გლობალურ დონეს ქმნის სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებანი, რომელთა ფუნქციებში შედის სახელმწიფოების სტაბილური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, სურსათით უზრუნველყოფის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, სურსათის მსოფლიო მარაგების შექმნა და გამოყენება.

სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურა და იერარქიული დონეების ურთიერთკავშირი წარმოდგენილია **1-ლ ნახაზზე.**

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალურ ვარიანტთან გვექნება საქმე, მხოლოდ ყველა დონის სუბიექტის შეთანხმებული მოქმედების შემთხვევაში, თუმცა, მათ ნაწილს ასევე შეუძლია კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაც. მაგალითად, ნახევრადმოშიმშილეთა რიცხვის შემცირება და შიმშილის აღმოფხვრა დამოკიდებულია შვიდივე დონის სუბიექტის საქმიანობისაგან, მაქსიმალური თვითუზრუნველყოფისა და კვების პროდუქტების ნორმატიული მოხმარების მიღწევას კი განსაზღვრავს 4-7 დონის სუბიექტთა საქმიანობა.

სასურსათო უსაფრთხოების იერარქიულ სტრუქტურასთან ერთად, განიხილავენ მის ჰორიზონტალურ სტრუქტურასაც, განსაკუთრებით ეროვნულ დონეზე. ეს გულისხმობს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების განხილვას ეკონომიკური უსაფრთხოებისა და საერთოსისტემური ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილად [1 გვ. 50].

ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება განისაზღვრება მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანობის დონით. მაგრამ, რამდენადაც სასურსათო რესურსები ფორმირდება აგროსასურსათო სექტორში, იმდენად აგროსასურსათო კომპლექსი, სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის ზომით, გამოდის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის, სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტად.

მიუხედავად იმისა, რომ FAO, დაარსებიდან დღემდე, აქტიურ მუშაობას ატარებს მსოფლიოში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით, მაინც არამართლზომიერი იქნებოდა კარდინალური ცვლილებების მოლოდინი როგორც ამჟამად, ასევე პერსპექტივაში. მსოფლიო სასურსათო ბაზრის მკვეთრ არაერთგვაროვნებასა და სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესების განსხვავებულობასთან დაკავშირებით, გლობალურ დონეზე სასურსათო უსაფრთხოების პრაქტიკულად და კონცეპტუალურად მიუღწეველობის გამო, პერსპექტივაში კვლავ შენარჩუნებული იქნება ეროვნულ დონეზე მისი უზრუნველყოფის მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტენდენცია.

მსოფლიო სასურსათო ბაზრის მკვეთრ არაერთგვაროვნებასა და სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესების განსხვავებულობასთან დაკავშირებით, გლობალურ დონეზე სასურსათო უსაფრთხოების პრაქტიკულად და კონცეპტუალურად მიუღწეველობის გამო, პერსპექტივაში კვლავ შენარჩუნებული იქნება ეროვნულ დონეზე მისი უზრუნველყოფის მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტენდენცია.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემისადმი კონცეპტუალური მიდგომის შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოების შეფასება ხდება კრიტერიუმების[1] საშუალებით, რომლებიც ასახავენ უსაფრთხოების არსს და გარკვეული პირობების სახით მის განსაზღვრაშია ჩადებული.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და, შესაბამისად, მის კომპლექსურ მონიტორინგსა და მართვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების მაჩვენებელთა (ინდიკატორთა)[2] სისტემის ზღვრულ პარამეტრებს, რამდენადაც სწორედ მათ ქვემოთ იწყება

---

[1] კრიტერიუმი (criterion) არის ნიშანი, რომლის საფუძველზეც წარმოებს მოვლენებისა და ობიექტების კლასიფიკაცია.

[2] ინდიკატორი (indicator) უსაფრთხოების არსებითი მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც დადგენილია ზღვრული პარამეტრები. იგი სისტემის ფუნქციონირების შეფასებისათვის გამოიყენება.

ნეგატიური პროცესები და საფრთხის ქვეშ დგება უსაფრთხოების სუბიექტების ნორმალური არსებობა და განვითარება.

ნახაზი 1. სასურსათო უსაფრთხოების სტრუქტურა და იერარქიული დონეების ურთიერთკავშირი



უმაღლესი ხარისხის სასურსათო უსაფრთხოება მიიღწევა მაშინ, როდესაც ყველა მაჩვენებელი (ინდიკატორი) დასაშვებ საზღვრებშია, ხოლო თუ ეს უკანასკნელი ზღვარს აჭარბებს, საფრთხე იზრდება. საშიშროება მით მეტია, რაც უფრო იზრდება დასაშვებ ზღვარს მიღმა არსებულ მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) რაოდენობა.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული წესის თანახმად, დღეისათვის სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება ხორციელდება ორი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით: მარცვლეულის გარდამავალი მსოფლიო მარაგების მოცულობით და მისი წარმოების დონით საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

მარცვლეულის გარდამავალი მარაგების მოცულობა გაიანგარიშება მისი წლიური მსოფლიო მოხმარების მიმართ დღეებში ან პროცენტებში. ამასთან, უსაფრთხოდ ითვლება გარდამავალი მარაგების ის დონე, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში მარცვლეულის მოხმარების 60 დღეს, ანუ მთელი მისი წლიური მოხმარების 17%-ს. მარაგების დაცემა ამ დონის ქვემოთ ავტომატურად მოწმობს მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკულ მდგომარეობაზე, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში იწყება საერთაშორისო ფასების ზრდა მარცვლეულზე და იგი ხელმიუწვდომელი ხდება მრავალი დაბალგანვითარებული ქვეყნისათვის. ასეთ ვითარებას ადგილი ჰქონდა 1972-1973, 1979-1980 და 1995-1996 წლებში. 1996 წელს მარცვლეულის გარდამავალი მარაგი დაეცა მოხმარების 51 დღემდე, რაც ყველაზე დაბალ აღრიცხულ დონეს წარმოად-

გენდა. ამის შედეგად, 1996 წლის გაზაფხულისათვის მარცვლეულის ფასები გაიზარდა ოდესმე არსებული ყველაზე მაღალ დონემდე [2, გვ. 15].

სასურსათო უსაფრთხოების მეორე მაჩვენებელი – მარცვლეულის წარმოების დონე საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე დინამიკაში – ახასიათებს მსოფლიო სასურსათო მდგომარეობის განვითარების ტენდენციებს.

სასურსათო უსაფრთხოების შეფასებისათვის FAO დამატებით იყენებს შემდეგ ხუთ მაჩვენებელს: 1. მარცვლეულის ძირითადი ექსპორტიორების (არგენტინა, ავსტრალია, კანადა ევროკავშირი, აშშ) მიწოდების თანაფარდობა მთლიან მოთხოვნილებასთან; 2. მარცვლეულის გარდამავალი მარაგები მთლიანად და სახეების მიხედვით (სასურსაოო და საკვები მიზნებისათვის) ექსპორტიორ ქვეყნებში, პროცენტულად შიდა მოხმარების მიმართ; 3. მარცვლეულის წარმოების ტენდენციები ინდოეთში, ჩინეთსა და დსთ-ში (წლიური ზრდა პროცენტებში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და წინა წლის მიმართ); 4. მარცვლეულის წარმოების ცვლილებები და საერთო ტენდენციები მის იმპორტიორ განვითარებად ქვეყნებში (ინდოეთისა და ჩინეთის გამოკლებით); 5. საშუალოწლიური საექსპორტო ფასები მარცვლეულის ცალკეული სახეების მიხედვით [1, გვ. 52].

აღნიშნული მაჩვენებლები იძლევა წარმოდგენას მხოლოდ სურსათის საკმარისობის შესახებ და წარმოადგენენ სასურსათო უსაფრთხოების დონის უკიდურესად ზოგად მახასიათებლებს, რამდენადაც მათი დახმარებით შეუძლებელია განისაზღვროს, თუ როგორი ხარისხით ხდება სასურსათო უსაფრთხოების ისეთი ძირითადი ფუნქციის რეალიზება, როგორიცაა ადამიანის ფიზიოლოგიური გადარჩენის, მისი სრულფასოვანი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. არ შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ისეთი დონე, როდესაც მარცვლეულის 60 დღიანი მსოფლიო მარაგის არსებობის პირობებშიც კი 815 მლნ ადამიანი მოელ მსოფლიოში ვერ იღებს თავისი ძირითადი სასურსათო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო კვების პროდუქტებს.[3] საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების დამაკმაყოფილებელ მდგომარეობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს შიმშილისა და არასაკმარისი კვების არარსებობა მთლიანად მსოფლიოში.

საერთაშორისო სტატისტიკაში სასურსაოო უსაფრთხოებას ხშირად ზომავენ მოსახლეობის კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობის დონით. ცხადია, რომ მას, ისევე როგორც ყველა სხვა საშუალო-სტატისტიკურ მაჩვენებელს, გააჩნია ნაკლოვანებები. იგი სავსებით მისაღებია ყოველი ცალკეული ადამიანისათვის – იმ ფიზიოლოგიური დონის დასადგენად, რომლის დროსაც სასურსათო მოხმარება იმყოფება შიმშილის ან ქრონიკული არასაკმარისი კვების მდგომარეობაში. მაგრამ საერთო ეროვნული მოხმარების მიმართ ასეთი მაჩვენებლის გამოყენება ზოგჯერ არასაკმარისი ან საერთოდ გამოუსადეგარია, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მისი მეშვეობით ცდილობენ სახელმწიფოთშორისი შედარებების ჩატარებას.

ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოველი ქვეყნისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ჩვეულები კვების პროდუქტების მოხმარებაში, რაც განპირობებულია ეროვნული და რელიგიური ტრადიციებით, ბუნებრივ-კლიმატური და სხვა თავისებურებებით. მაგალითად, იაპონიამ მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო საქონლის ხორცის წარმოება და მოხმარება, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში კვების საბაზისო პროდუქტს ტრადიციულად წარმოადგენს ბრინჯი და ა.შ.

გარდა ამისა, ქვეყნის სასურსაოო უსაფრთხოების ხარისხის გასაგებად არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დიფერენცირებას სულადობრივი შემოსავლების დონის მიხედვით, რამდენადაც შემოსავლების განაწილებაში არსებული მკვეთრი უთანაბრობის პირობებში შესაძლებელია მოსახლეობის სხვადასხვა შემოსავლიანი ჯგუფების ძლიერი დიფერენციაციაც კვების კალორიულობის მიხედვით, – როდესაც კვების საშუალო ეროვნული მაჩვენებლები იქნება დასაშვებ ფარგლებში, მაგრამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდება არასაკმარისი კვების მდგომარეობაში [4, გვ. 27].

---

[3] მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების რომის დეკლარაციაში გამოთქმულია ღრმა შეშფოთება შიმშილის არსებობის გამო, რომელიც ასეთი მასშტაბურობით წარმოადგენს საფრთხეს როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მსოფლიო თანამეგობრობის სტაბილურობისათვის [3, გვ. 5].

პრინციპში, ვეთანხმებით რა მარცვლეულის მარაგების არსებობისა და მისი საშუალოსულადობრივი წარმოების მიხედვით სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებისადმი FAO-ს მეთოდურ მიდგომებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი საკმარისია მხოლოდ მაღალი (გლობალური, სუბრეგიონული და სახელმწიფოთშორისი) დონეების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. რაც შეეხება სასურსათო უსაფრთხოების შემდგომ დონეებს — ეროვნულს, ადგილობრივს, მოსახლეობის სოციალური ჯგუფების და ინდივიდუალურს (საოჯახო მეურნეობის), — მათთვის ეს მაჩვენებლები არასაკმარისია.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შეფასება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს მისი ძირითადი პირობების (კრიტერიუმების) — სურსათის საკმარისობის, ხელმისაწვდომობის, ეკოლოგიური სისუფთავის (ვარგისიანობის), და აგრეთვე თვითუზრუნველყოფის ხარისხის დახასიათების აუცილებლობას.

ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული მახასიათებლების ხარისხის უბრალო გათვლა სასურსათო უსაფრთხოების შეფასებისათვის აშკარად არასაკმარისია. ამისათვის აუცილებლად უნდა არსებობდეს გარკვეული შესადარისი ბაზა, რომელთან თანაფარდობაშიც შესაძლებელი იქნება გაკეთდეს გარკვეული დასკვნები სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონის საკმარისობის ან მიუღებლობის შესახებ. საქმე ეხება ადამიანის, (საზოგადოების, სახელმწიფოს) ცხოველქმედების მაჩვენებელთა ე.წ. „ზღვრულ" პარამეტრებს, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- კვების კალორიულობა (ენერგეტიკული ფასეულობა);
- მოხმარებული ძირითადი საკვები ნივთიერებების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები) რაოდენობა;
- სურსათის დაბინძურების ხარისხი;
- სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება (სურსათის იმპორტის წილი მის მთლიან შიდა მოხმარებაში);
- სამამულო სურსათის მწარმოებელთა დაცვა.

სპეციალურ ლიტერატურაში, ენერგიის დონის მოხმარების მხრივ, გამოყოფენ სიცოცხლისუნარიანობის სამ დონეს:

- ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა, დღე-ღამეში 2500-3500 კკალ-ის მოხმარების პირობებში;
- არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა, დღე-ღამეში 1500-2500 კკალ-ის მოხმარების პირობებში;
- კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა, დღე-ღამეში 1000-1500 კკალ-ის მოხმარების პირობებში [5, გვ. 10].

ჩვენი აზრით, უფრო მისაღებია FAO-ს კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით, ის პირები, რომლებიც იღებენ 1520 კკალ-ს დღე-ღამეში, მიეკუთვნებიან მოშიმშილეთა კატეგორიას, ხოლო ისინი, რომლებიც იღებენ 2150 კკალ-ს დღე-ღამეში — შიმშილობის ზღვარზე მყოფთა კატეგორიას.

ნივთიერებათა ცვლის, ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისათვის ადამიანს ესაჭიროება ძირითადი საკვები ნივთიერებები, რომლებიც კვების სხვადასხვა პროდუქტებშია თავმოყრილი. სპეციალისტების აზრით, ყველაზე აუცილებელი და შეუცვლელია პროდუქტთა 9 სახეობა: პური და პურპროდუქტები, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და კენკრა, შაქარი, მცენარეული ზეთი, ხორცი და ხორცის პროდუქტები ხორცზე გადაყვანით, რძე და რძის პროდუქტები რძეზე გადაყვანით, კვერცხი. ამ თვალსაზრისით, გამოიყოფა საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის ორი ძირითადი დონე: საკმარისი — 100%-მდე და კრიტიკული — 50%-ზე ნაკლები უზრუნველყოფით [1, გვ. 57].

საგულისხმოა, რომ კვების პროდუქტებში შეიძლება აკუმულირებული იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებები ნედლეულის მიღების, მისი გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესში. კვების პროდუქტების "დაბინძურების" წყარო შეიძლება იყოს: ნიადაგი, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც სამრეწველო ცენტრებთან და ავტომაგისტრალებთან ახლოს მდებარეობს; მინერალური სასუქები, ძირითადად ფოსფატები, რომლებიც შეიცავს ისეთ ტოქსიკურ ნივთიერებებს, როგორიცაა სტრონციუმი; ნაკელი, რომელშიც შესაძლოა იყოს

მძიმე ლითონები და ორგანული ტოქსინები; წყალი და ატმოსფერული ჰაერი. ამ მაჩვენებლის ზღვრული პარამეტრი დიფერენცირებულია სურსათის ცალკეული სახეების მიხედვით.

სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების მაჩვენებლის ზღვრული პარამეტრი, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, ზუსტად არ არის გარკვეული. მისი განსაზღვრა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის გაძღოლისა და განვითარების პირობების შეფასებასთან; იმ პროდუქტების ჩამონათვალის გაკეთებასთან, რომლებსაც, პირველ რიგში, უნდა იყოს ორიენტირებული თვითუზრუნველყოფა; სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროში საგარეო-სავაჭრო კავშირების შეფასებასთან. ამ კავშირების ხასიათის შეფასება უნდა მოიცავდეს იმ ქვეყნებთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ანალიზს, საიდანაც ხდება სურსათის უმეტესი ნაწილის იმპორტი. ამასთან, აუცილებელია გაირკვეს, თუ რამდენადაა ეს ურთიერთობები სტაბილური, ურთიერთხელსაყრელი, და როგორია მათი განვითარების პერსპექტივები; როგორია სახელმწიფოს პოზიციები სურსათის ექსპორტიორ ქვეყნებში; როგორია იმპორტის სტრუქტურა – შემოიტანება ნედლეული თუ მზა პროდუქცია; როგორია სავაჭრო ბალანსი ამ ქვეყნებთან და ა.შ.

სამამულო სურსათის მწარმოებელთა დაცვის მაჩვენებლის ზღვრული პარამეტრები უნდა ითვალისწინებდეს რენტაბელობის გარკვეულ დონეს ადგილობრივი საქონელმწარმოებლებისათვის. სახელმწიფო თავისი პროტექციონისტული ღონისძიებებით უნდა იცავდეს სამამულო მწარმოებელს იაფი იმპორტული სურსათის მოძალებისაგან (ცალკეული პოზიციების მიხედვით მაინც) [5, გვ. 12].

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებისადმი ამგვარი მიდგომა ზოგადად მისაღებია, მაგრამ ამ მიდგომით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და მაჩვენებლებთან ერთად, სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების დონის შესაფასებლად აუცილებელია უფრო კონკრეტულ მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება, რომელიც სასურსათო უსაფრთხოების კლების ან ზრდის ტენდენციების გამოვლენასთან ერთად, საშუალებას მოგვცემს დავსახოთ სასურსათო პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები და, რომელიც, იმავდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას შიდასახელმწიფოებრივ დონეებზე სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლადაც.

ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივ და შიდასახელმწიფოებრივ დონეებზე სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობისა და საზღვრების შეფასებისათვის ჩვენ უფრო მისაღებად ვთვლით საკმარისი, დაბალანსებული და გარანტირებული კვების პრინციპის საფუძველზე შემუშავებულ მეთოდურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიურ ნორმებს, ასაკს, პროფესიას, საცხოვრებელ ადგილს და ეროვნულ თავისებურებებს. ზოგადად, მახასიათებელთა სხვადასხვა სპექტრის მომცველი მაჩვენებლები ანუ ინდიკატორები შეიძლება წარმოვადგინოთ ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მოდელის სახით (**ნახაზი 2**).

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონკრეტულ მაჩვენებელთა სისტემის შემუშავებისადმი ჩვენეულ მეთოდურ მიდგომას საფუძვლად უდეეს სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი პირობები (კრიტერიუმები) და ამ მაჩვენებლების ფორმულირების ბაზად გამოყენებულია სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ელემენტების მოთხოვნები.

ერთ-ერთი ასეთი მთავარი მოთხოვნაა სურსათის მოხმარების საკმარისობა, რომელიც განისაზღვრება საკმარისობის ზოგადი და კერძო კოეფიციენტების დახმარებით. საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი შეიძლება გამოვიანგარიშოთ ღირებულებითი (Kსაკმ.1) და ნატურალური (K საკმ.2) გამოსახულებით.

საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი ღირებულებითი გამოსახულებით (Kსაკმ.1) გაიანგარიშება, როგორც კვების ფაქტიური დღე-ღამური (თვიური) რაციონის ღირებულების შეფარდება სამედიცინო ნორმების მიხედვით კვების დღე-ღამური (თვიური) რაციონის ღირებულებასთან, ხოლო ნატურალური გამოსახულებით (Kსაკმ.2), - როგორც კვების დღე-ღამურ (თვიურ) რაციონში შემავალი ფაქტიური კკალორიების რაოდენობის შეფარდება კვების დღე-ღამურ (თვიურ) რაციონში სამედიცინო ნორმების მიხედვით შემავალი კკალო-რიების რაოდენობასთან. მაშასადამე:

$$K_{საკმ1} = \frac{\text{კვების ფაქტიური დღე - ღამური (თვიური) რაციონის ღირებულება}}{\text{კვების დღე - ღამური (თვიური) რაციონის ღირებულება სამედიცინო ნორმების მიხედვით}}$$

$$K_{საკმ2} = \frac{\text{ფაქტიური კალორიების რაოდენობა კვების დღე - ღამურ (თვიურ) რაციონში}}{\text{კალორიების რაოდენობა კვების დღე - ღამურ (თვიურ) რაციონში სამედიცინო ნორმების მიხედვით}}$$

საკმარისობის კერძო კოეფიციენტები უნდა გაანგარიშდეს საკვები პროდუქტების ცალკეული სახეობების მიხედვით, ცალ-ცალკე – ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის.[4] ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ არა მხოლოდ სურსათის ძირითადი სახეების მოხმარების საკმარისობა, არამედ მოსახლეობის კვების სტრუქტურა და ხარისხიც, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ნორმალური ცხოველქმედებისა და ჰარმონიული განვითარებისათვის.

ნახაზი 2. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მოდელი



[4] ამ დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთებში მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, აგრეთვე შრომის ნატურით ანაზღაურების გაელენა მაოი კვების რაციონზე [6, გვ. 56].

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა სურსათზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა. ხელმისაწვდომობის დონე შეიძლება შეფასდეს ხელმისაწვდომობის ზოგადი და კერძო კოეფიციენტების საშუალებით. ხელმისაწვდომობის ზოგადი კოეფიციენტი (Kხელ.) იანგარიშება, როგორც თვეში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავლის შეფარდება სასურსათო კალათის გასაშუალებელ ღირებულებასთან. მაშასადამე:

$$K_{\text{ხელ.}} = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (თვეში)}}{\text{სასურსათო კალათის გასაშუალებელი ღირებულება}}$$

აღნიშნული მაჩვენებელი, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის შემოსავლების დიფერენციაციის გამო, შეიცვლება ხელმისაწვდომობის რიგი კერძო კოეფიციენტებით, რომლებიც გაიანგარიშება შემოსავლის სხვადასხვადონიანი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უფრო სრული სურათის შესაქმნელად შემოაქვთ ზემოთ მოტანილ მაჩვენებელთა ზღვრული მნიშვნელობები. ამასთან, გამოყოფენ მათ ზედა და ქვედა (კრიზისულ) საზღვრებს. ზედა საზღვარს სურსათის საკმარისობის კოეფიციენტისათვის წარმოადგენს სამედიცინო ნორმებით გათვალისწინებული კვების რაციონი, ხოლო სურსათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტისათვის – სასურსათო კალათის ღირებულება, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების მოთხოვნებს. საკმარისობის კოეფიციენტის ქვედა (კრიზისული) ზღვრულ მნიშვნელობას წარმოადგენს შიმშილობის საზღვარი, ანუ საერთაშორისო ნორმებით 2150 კალორიის შემცველობის სურსათის მოხმარების დონე. ამ უკანასკნელის ღირებულებითი ექვივალენტი კი მიჩნეულია ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის ქვედა (კრიზისულ) ზღვრულ მნიშვნელობად [6, გვ. 57].

$$K_{\text{ხელ.}} = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (თვეში)}}{\text{კვების თვიური რაციონის ღირებულება (დღე - ღამეში 2150 კალორიის მოხმარების გათვალისწინებით)}}$$

საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის კოეფიციენტთა ფორმულები, შესაბამისი მაჩვენებლების კრიზისული (ზღვრული) მნიშვნელობების შემოღების გათვალისწინებით, ნაწილობრივ შეიცვლება. კერძოდ, საკმარისობის კრიზისული კოეფიციენტი (Kსაკმ.2) გაიანგარიშება კვების ფაქტიურ დღე-ღამურ რაციონში შემავალი კალორიების რაოდენობის შეფარდებით კვების კრიზისულ (ზღვრულ) დღე-ღამურ რაციონში შემავალი კალორიების რაოდენობასთან (2150); ხელმისაწვდომობის კრიზისული კოეფიციენტი (Kხელ.) კი გაიანგარიშება, როგორც თვეში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავლის შეფარდება კვების თვიური რაციონის ღირებულებასთან (დღე-ღამეში 2150 კალორიის მოხმარების გათვალისწინებით). მაშასადამე:

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ასევე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა თვითუზრუნველყოფა - კვების პროდუქტებზე მოთხოვნილებათა უდიდესი ნაწილის საკუთარი წარმოების ხარჯზე დაკმაყოფილება. სურსათით თვითუზრუნველყოფის მაღალი დონის მიღწევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამამულო სურსათის მწარმოებელთა დაცვას. სურსა თის იმპორტის მხრიდან მოსალოდნელი საშიშროების შესაფასებლად და სამამულო სურსათის მწარმოებელთა დაცულობის ხარისხის განსასაზღვრავად იყენებენ "დამღუპველი კონკურენციის" კოეფიციენტს (Kდ.კ), რომელიც იანგარიშება შესაბამისი

სახეობის იმპორტირებული სურსათის საბაზრო ღირებულების შეფარდებით ადგილობრივ საწარმოთა და მეურნეობათა ანალოგიური სახეობის სურსათის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების სიდიდესთან [5, გვ. 16]. მაშასადამე:

$$K_{\text{დ.კ.}} = \frac{\text{i-ური იმპორტირებული სასურსათო პროდუქტის საბაზრო ღირებულება}}{\text{ადგილობრივი i-ური სასურსათო პროდუქტის წარმოების დანახარჯები*}}$$

$$K_{\text{საკმ.2}} = \frac{\text{კალორიების რაოდენობა კვების ფაქტიურ დღე – ღამურ რაციონში}}{\text{კალორიების რაოდენობა კვების კრიზისულ (ზღვრულ) დღე - ღამურ რაციონში - 2150 კალორია}}$$

დამღუპველი კონკურენციის კოეფიციენტის ზღვრული სიდიდე, როგორც წესი, უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ მწარმოებელთათვის რენტაბელურობის, მომგებიანობის გარკვეულ დონეს, ვთქვათ, 15-20%-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებულ კვების პროდუქტთა ღირებულება 15-20 პროცენტზე მეტად არ უნდა აჭარბებდეს ანალოგიურ სამამულო პროდუქტთა წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს. ე.ი. დამღუპველი კონკურენციის კოეფიციენტის ზღვრულმა მნიშვნელობამ უნდა შეადგინოს არაუმეტეს 0,75-ისა.

სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის გასაზომად იყენებენ თვითუზრუნველყოფის ზოგად და კერძო კოეფიციენტებს. თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი ($K_{ო.უ}$) გაიანგარიშება, როგორც საკუთარი წარმოების მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულების შეფარდება მთლიანად მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულებასთან [6, გვ. 59]. მაშასადამე:

$$K_{ო.უ} = \frac{\text{საკუთარი წარმოების მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულება}}{\text{მთლიანად მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულება}}$$

თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტები იანგარიშება ცალკეული სახეობის პროდუქტთა მიხედვით ნატურალური და ღირებულებითი გამოხატულებით. აღნიშნულ მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეები განისაზღვრება კონკრეტულად ცალკეული სახეობის ძირითადი კვების პროდუქტებისათვის.

თუ ამოვალთ სასურსაო უსაფრთხოების შიდასახელმწიფოებრივი სუბიექტების თვითუზრუნველყოფის დონის შეფასებისადმი საერთოსახელმწიფოებრივი მიდგომიდან, მაშინ მოცემულ შემთხვევაში ზოგიერთი სუბიექტის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ზღვრული მნიშვნელობა იქნება რამდენადმე მაღალი, საერთო-სახელმწიფოებრივი აგრარული პოლიტიკის ფარგლებში სასურსაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადასაწყვეტი ამოცანებისაგან დამოკიდებულებით. მოცემული მტკიცება სამართლიანია კვების პროდუქტთა ცალკეული სახეობებით თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტების მიმართაც.

ქვეყნის ან ცალკეული რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების უფრო სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელია განისაზღვროს იმ პროდუქტთა ჩამონათვალი, რომლებიც ყველაზე უფრო სარწმუნოდ ასახავენ მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების კვების რაციონის სტრუქტურას. კვების რაციონში პროდუქტებს უნდა გააჩნდეთ ყველაზე მაღალი რეიტინგი და, ამასთან, ისინი არ უნდა იყოს ურთიერთშემცვლელი. პროდუქტთა რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური, მაგრამ უნდა უზრუნველყოფდეს კალორიებზე და ძირითად საკვებ ნივთიერებებზე მოთხოვნილების 80%-ზე მეტს. ჩვენი ქვეყნის პირობებისათვის ასეთია 9 სახის პროდუქტი: პური და პურპროდუქტები, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და კენკრა, შაქარი, მცენარეული ზეთი, ხორცი, რძე და კვერცხი. ეს პროდუქტები უზრუნველყოფს მოსახლეობის კვების რაციონის კალორიულობის 90%-ს და ძირითადი საკვები ნივთიერებების 85%-ს.

ამრიგად, "ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების" ცნების შინაარსის შესაბამისად, მისი უზრუნველყოფის კრიტერიუმებს წარმოადგენენ: ენერგეტიკული და სხვა კომპონენტებით გაჯერებულ კვების რაციონზე ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხი; სურსათზე მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისათვის, სპეციალური მომხმარებლებისათვის და ცალკეული რეგიონებისათვის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დონე; სურსათით თვითუზრუნველყოფისა და კვების პროდუქტების ეკოლოგიური სისუფთავის ხარისხი. ეს კრიტერიუმები კი, როგორც ვნახეთ, აისახებიან კონკრეტულ მაჩვენებლებსა და პარამეტრებში. ეროვნული სასურსაო უსაფრთხოების შეფასების მეთოდიკა სქემატურად წარმოდგენილია **მე-3 ნახაზზე.**

ნახაზი 3. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მეთოდიკა



ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების პირდაპირი მაჩვენებლები. თუმცა, ქვეყანაში მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაზე არაპირდაპირ მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამიტომ ვითარების სრული ანალიზისათვის აუცილებელია ქვეყნის განვითარების საერთო ეკონომიკური დონის შეფასება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის მიერ გატარებულ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას. ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ასევე მნიშვნელოვანი პირობაა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების შესახებ მსჯელობისას უთუოდ უნდა იქნეს შეფასებული მისი ბიოგეოკლიმატური პოტენციალისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველ მაჩვენებელთა სრული სპექტრი.

საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასება უნდა განხორციელდეს ზემოთ განხილული კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა მთელი სისტემის გამოყენებით. ეს საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ გაირკვეს და დაფიქსირდეს სასურსათო უსაფრთხოების დონის შემცირება ან გადიდება, არამედ უშუალოდ საგნობრივად დამუშავდეს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია და განისაზღვროს მისი რეალიზაციის კონკრეტული გზები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ильина З.М., Ìèaìèè¶èÀ¿ И.В. Рынки сельско-хозяйственного сырья и продовольствия. Минск: Наука, 2000, 226 с.
2. ლესტერ რ. ბრაუნი და სხვა. სასიცოცხლო ნიშნები. თბილისი: მეცნიერება, 1998, 298 გვ.
3. FAO Report Conference. Rome. 1979, 39 p.
4. Балабанов В.С., Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность: международны и внутренные аспекты. Москва, 2002, 393 с.
5. მოდებაძე ნ., გარაყანიძე ზ. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბილისი, 1998, 30 გვ.
6. ეანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.
7. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2010, 92 გვ.
8. Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З. Россия в системе глобальной продовольственной безопасности, http://www.duel.ru/publish/burdukov/glob.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.05.2011.
9. გოცირიძე ლ. შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება – საბიუჯეტო პროცესის ნოვაცია და ხარჯების ეფექტიანობის ამაღლების ინსტრუმენტი. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო" მასალები, თბილისი, 25 მარტი, 2011 წ. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2011, სპეციალური ნომერი 1 (13), გვ. 86-89.

ნიკოლოზ ბაკაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
აუდიტური ფირმა "ბაკაშვილი და კომპანია"-ს გენერალური დირექტორი

დარეჯან მესხიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აუდიტური ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია"-ს ექსპერტი

სახელმწიფოს როლი გლობალური სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში

კაცობრიობა ახალ ათასწლეულში შეეიდა შიმშილისა და არასაკმარისი კვების სერიოზული საფრთხეებით. ამიტომ უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში აგროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც, გარემოს დაცვის, ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებისა და მრავალ სხვა აქტუალურ საკითხთან ერთად, მსოფლიოს გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

გასაგებია, რომ სურსათი წარმოადგენს ადამიანის სასიცოცხლო საშუალებათა ფონდის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომლის დეფიციტი აღიქმება უბედურებად და მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. ისიც ცხადია, რომ სურსათი არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რესურსი: ვინც მას ფლობს, იგი ბატონობს ეკონომიკასა და პოლიტიკაში; სურსათის იმპორტისაგან ძლიერი დამოკიდებულება კი არსებითად ასუსტებს სახელმწიფოს ეროვნულ ეკონომიკურ და, შესაბამისად, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სასურსათო პრობლემა მეტად მრავალმხრივი და მრავალასპექტიანია. იგი ერთდროულად ბუნებრივი მოვლენაცაა, ეკონომიკურიც და პოლიტიკურიც, რომელიც აისახება საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ პრობლემისადმი მიძღვნილია მდიდარი სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა მსოფლიოს მრავალ ენაზე.

სასურსათო პრობლემა ახალი არაა. იგი ერთ-ერთი უძველესია კაცობრიობის გლობალურ პრობლემათა შორის. შიმშილი, როგორც ამ პრობლემის უკიდურესი გამოვლენა და დიდი სოციალური უბედურება თავს ჰქონდა მოხვეული ადამიანთა ფაროო მასებს უძველეს დროშიც, შუა საუკუნეებშიც და ახალი ისტორიის ცალკეულ პერიოდებშიც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ძველი რომის, შუა საუკუნეების ევროპის, ინდოეთის, რუსეთისა და ჩინეთის მაგალითები.

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა მიზეზით განპირობებული შიმშილი ყველაზე გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ძველ დროში; ცენტრალური ამერიკის ინდიელების მითოლოგიაში შიმშილის გაღმერთებაც კი არსებობდა. შუა საუკუნეებში მოუსავლიანობის გამო მთელი რიგი რეგიონები და ქვეყნები აღმოჩნდნენ განადგურების ზღვარზე ან გადააბიჯეს კიდეც ამ ზღვარს.[1]

იგივე შეიძლება ითქვას ადრეულ ახალ ისტორიულ პერიოდსაც. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა რუსეთის შიმშილიანი წლების გახსენება მე-16 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში. აღსანიშნავია ისიც, რომ მე-18 საუკუნეში ევროპა იმყოფებოდა "ქრონიკული შიმშილის" მდგომარეობაში. ამავე საუკუნეში შიმშილმა ინდოეთში გაიყოლა 10 მლნ ადამიანის სიცოცხლე. მე-19 საუკუნეში ევროპამ კელავ გადაიტანა კარტოფილის მოუსავლიანობით გამოწვეული "დიდი შიმშილი". ინდოეთში კი იმავე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შიმშილისაგან დაიღუპა დაახლოებით 15 მლნ კაცი.

მთლიანად, მე-20 საუკუნის განმავლობაში რამდენადმე გაუმჯობესდა მსოფლიოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და კვების რაოდენობრივი მაჩვენებლები. ასეთი ზრდა,

---

[1] აღნიშნულ ისტორიულ პერიოდთან მიმართებით, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ფ. ბროდელი შენიშნავდა: „საუკუნეების განმავლობაში შიმშილმა დაისადგურა ისეთი დაჟინებით, რომ გადაიქცა ადამიანთა ბიოლოგიური რეჟიმის ელემენტად, მათი ყოველდღიური ცხოვრების წესად" [1].

რა თქმა უნდა, შემოხვევიი არ ყოფილა. იგი, უწინარეს ყოვლისა, განხორციელდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებად ქვეყნებში მომხდარი "მწვანე რევოლუციისა" და განვითარებულ ქვეყნებში დაწყებული "ბიოტექნოლოგიური რევოლუციის" საფუძველზე მარცვლეულის, ხორცისა და ზღვის პროდუქტების მსოფლიო წარმოების შესამჩნევი გადიდებით.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მოშიმშილეთა რაოდენობა თანამედროვე მსოფლიოში კვლავ უკიდურესად მაღალი რჩება, რაც ახალ საფრთხეს უქადის კაცობრიობას მე-3 ათასწლეულის დასაწყისში. შიმშილი, არღვევს რა ადამიანთა ჯანსაღი ცხოვრების წესს და ართმევს მათ მომავლის იმედებს, დიდ ზარალს აყენებს ქვეყანათა მშვიდობიანი თანაარსებობისა და კეთილდღეობის საქმეს.

შიმშილის უმთავრესი მიზეზი სურსათის ფიზიკურ უკმარისობაში კი არაა, არამედ იმაში, რომ დედამიწაზე დაახლოებით მლრდ ადამიანს არ გააჩნია საკმარისი სახსრები პროდუქტთა მინიმალური სამომხმარებლო კალათის შესაძენადაც კი. ამდენად, ცხადი ხდება, რომ შიმშილი და ქრონიკული არასაკმარისი კვება დაკავშირებულია არა იმდენად მიწის კლებადი ნაყოფიერების მალთუსისეულ თეორიასთან, რამდენადაც ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების ისეთ საერთო დონესთან, რომლის პირობებშიც მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელია ბაზარზე კონკრეტული ფასებით წარდგენილი სასურსათო პროდუქტები.

პლანეტარული მასშტაბით სასურსათო პრობლემის გადასაწყვეტად არცთუ ძალიან დიდი თანხებია საჭირო. FAO-ს ექსპერტთა შეფასებით, ამჟამად აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში "მაძღრები" ყოველწლიურად პარფიუმერიაზე ხარჯავენ ბევრად უფრო მეტ ფულს, ვიდრე აუცილებელია ყველა დამშეულის ადექვატური კვების უზრუნველსაყოფად მსოფლიოში [1].

თანამედროვე ეტაპზე სასურსათო პრობლემის სპეციფიკა განხილულ უნდა იქნას გლობალურ, კონტინენტალურ და ეროვნულ დონეებზე მისი გადაწყვეტის აუცილებლობის გათვალისწინებით. არსებული სასურსათო სიტუაცია მოითხოვს საგანგებო ზომების მიღებას როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა, ასევე მოლიანად მსოფლიო თანამეგობრობის დონეზეც; შიმშილთან და არასრულფასოვან კვებასთან ბრძოლის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, დღის წესრიგში აყენებს მსოფლიო სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი უკვე დამკვიდრებული და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენას.

საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიოში შეინიშნებოდა სახნავი მიწების სტაბილურად გაფართოების ტენდენცია, რომელმაც ამ დროისათვის 1 მლრდ ჰა-ს გადააჭარბა. სურსათის და, პირველ რიგში, მარცვლეულის წარმოების მოცულობის ზრდა ძირითადად მიიღწეოდა ექსტენსიური ფაქტორების ამოქმედების გზით. მაგრამ, უკვე 60-იანი წლების დასაწყისისათვის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, ამოწურეს რა მათ ეს რეზერვი, მთლიანი მოსავლის მატების 80%-ს აღწევდნენ უპირატესად ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე. ნათესი ფართობების გაფართოების ტენდენცია კი დამახასიათებელი გახდა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის.

80-იანი წლების დასაწყისიდან მოქმედება დაიწყო მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარების რიგმა შემზღუდავმა ფაქტორებმა: 1. ნათესი ფართობების სტაბილური შემცირება, სახნავი მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ან ეროზიის გამო მათი დიდი ნაწილის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოღებასთან დაკავშირებით; 2. სარწყავი მიწების ფართობების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი წყლის დეფიციტის წარმოქმნასთან დაკავშირებით; 3. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობათა შემცირება; 4. ხორცისა და რძის ძირითადი მოცულობის მომცემი საძოვრული მეცხოველეობის მასშტაბების შემცირება და მისი პროდუქტიულობის დაცემა; 5. ზღვის პროდუქტების ხარჯზე სურსათის შევსების შესაძლებლობათა შემცირება, მისი რეზერვების ამოწურვასთან დაკავშირებით; 6. არასასურველი ეკოლოგიური სიტუაცია, რომელიც აუარესებს საწარმოო საქმიანობის ყველა მხარეს და არ იძლევა სურსათის რესურსების არსებითად მატების შესაძლებლობას 21-ე საუკუნეში.

როგორც ვხედავთ, მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები, შემზღუდავ ფაქტორთა გათვალისწინებით, არ იძლევა სურსათისა და სანედლეულო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ეარაუდის შესაძლებლობას შორეულ პერსპექტივაშიც კი.

FAO-ს ექსპერტთა გაანგარიშებით, სასურსათო რესურსების რამდენადმე ზრდის მიუხედავად, სურსათის მიწოდება მსოფლიო მასშტაბით მაინც არასაკმარისი იქნება. კერძოდ, 2030

წლისათვის მარცვლეულის წარმოება გაიზრდება 20%-ით და მიაღწევს 2150 მლნ ტონას, ანუ მასზე მოთხოვნის 80%-ს. ხორცის წარმოება გაიზრდება 50 მლნ ტონით და მიაღწევს 230 მლნ ტონას (მოთხოვნის 76%-ს). ზღვის პროდუქტების წარმოება შენარჩუნდება 100 მლნ ტონის დონეზე (მოთხოვნის 60%). ამასთან, საპროგნოზო მაჩვენებლებით დგინდება, რომ თუ 1950-1985 წლებში სასურსათო რესურსების ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 30 მლნ ტონას, 1985-1995 წლებში კი — 12 მლნ ტონას, მაშინ 1996-2030 წლებში იგი უკვე 9 მლნ ტონას არ გადააჭარბებს [2, გვ. 21].

ამავე ექსპერტთა აზრით, უახლოეს მომავალში სურსათზე მოთხოვნა არსებითად გაიზრდება, რამდენადაც პლანეტის მოსახლეობა გაორმაგდება და 2030 წლისათვის მიაღწევს 8,9 მლრდ კაცს. კვების კალორიულობისა და ხარისხის ამაღლებისაკენ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მისწრაფება კიდევ უფრო გაამწვავებს სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სიტუაციას.

სპეციალისტთა ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, თუ ამოსავალ პუნქტად მხოლოდ პლანეტის მოსახლეობის აღნიშნული ზრდასა და კვების თანამდროვე ნორმებს მივიჩნევთ, მაშინ მარცვლეულის დეფიციტი 2030 წლისათვის 526 მლნ ტონა იქნება, ზღვის პროდუქტების - 68 მლნ ტონა, ხორცისა კი - 40 მლნ ტონა. მაშასადამე, სურსათზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის ბალანსის უზრუნველყოფა უახლოესი 20 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემატური იქნება [3, გვ. 200-201].

ამ პრობლემის გადაწყვეტა თეორიულად შესაძლებელია შემდეგი სამი ძირითადი მიმართულებით:

- წარმოების მოცულობის ზრდა (მაგრამ ეს, მრავალი ექსპერტის აზრით, განსახილველ პერიოდში არარეალურია შემზღუდავ ფაქტორთა გათვალისწინებით);
- მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება (მაგრამ ამის მიღწევა მოკლე დროის განმავლობაში რაციონალური მეთოდებით შეუძლებელია);
- სურსათის მოხმარების შემცირება (ექსპერტთა ეარაუდით, მოვლენები სწორედ ამ სახით განვითარდება).

რიგი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკა თვალსაზიერ მომავალში დიდად იქნება განსაზღვრული სასურსათო პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გამწვავებით. ამგვარი პესიმისტური ვარაუდისათვის ყველანაირი საფუძველი არსებობს:

ჯერ-ერთი, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში დაშვებულ შეცდომებთან, აგრეთვე ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევასთან დაკავშირებით, მსოფლიო შევიდა მოსახლეობის ერთ სულზე სურსათის წარმოების მოცულობის შემცირების გრძელვადიან პერიოდში. მარცვლეულით ყველაზე მაღალი უზრუნველყოფა (345 კგ მოსახლეობის ერთ სულზე) მიღწეულ იქნა 1989 წელს, მაგრამ უკვე 1993 წლისათვის იგი შემცირდა 303 კგ-მდე, 2030 წლისათვის კი მოსალოდნელია მისი დაცემა 240 კგ-მდე, ანუ 1989 წლის დონის 69%-მდე. 2030 წლისათვის ზღვის პროდუქტების მოპოვება მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 12 კგ-ს, ნაცვლად 28 კგ-ისა 1990 წელს.

მეორე, სასურსათო რესურსების წარმოების მოცულობისა და სურსათით პლანეტის მოსახლეობის უზრუნველყოფის საერთო შემცირებასთან ერთად, გაძლიერდა დისპროპორცია მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით. 1950 წლიდან 1990 წლამდე მარცვლეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე აშშ-ში გაიზარდა 32 %-ით და შეადგინა 1160 კგ, დასავლეთ ევროპაში - 2-ჯერ (500 კგ-მდე), აფრიკის ქვეყნებში შემცირდა 27 %-ით (118 კგ-მდე). ექსპერტთა ვარაუდით, 2030 წლისათვის მარცვლეულის საშუალოსულადობრივი წარმოება ჩინეთში შეიძლება სანახევროდ (164 კგ-მდე) შემცირდეს, ინდოეთში - 15%-ით (158 კგ-მდე), პაკისტანში - 30%-ით (90კგ-მდე) და ირანში - 31%-ით (140 კგ-მდე).

მესამე, მცირდება სტაბილურობის დონე სასურსათო ბაზარზე, რომელიც განისაზღვრება კონიუნქტურული რყევების შემარბილებელი და ფასების შემაკავებელი რეზერვების არსებობით. 1987 წელს მსოფლიოში მარცვლეულის მარაგებმა შეადგინა 104 დღე, 1994 წელს კი — მხოლოდ 64 დღე. წარმოების მოცულობათა საპროგნოზო შემცირება კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას სასურსათო ბაზარზე და გააძლიერებს მის კონიუნქტურულ რყევებს.

და ბოლოს, სურსათის ძირითად სახეობებზე მსოფლიო ფასების თანდათანობითი შემცირების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, დაიწყო მათი არსებითი ზრდის პროცესი. თავდაპირველად

გაძვირდა ზღვის პროდუქტები, შემდეგ ეს ტენდენცია გავრცელდა სურსათის სხვა სახეობებზეც. მეცნიერთა გაანგარიშებით, მომავალი 20 წლის განმავლობაში ფასი ხორბალზე გაიზრდება 66%-ით, სიმინდზე – 37%-ით და ბრინჯზე – 30%-ით [4, გვ. 257].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე დგება სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ყველა ქვეყნისათვის უროიერომისაღები პერსპექტივის განსაზღვრის ამოცანა. აქ გასათვალისწინებელია ორი შესაძლო ვარიანტი:

- აშშ-ში მოხმარების მიღწეულ დონეზე ორიენტაცია. შესაძლოა ასეთი იყოს ქვეყანათა უმრავლესობის არჩევანი, მაგრამ ამ შემთხვევაში სასურსათო რესურსები 2030 წლისათვის საკმარისი იქნება მხოლოდ 2,5 მლრდ კაცისათვის, რაც 3,5-ჯერ ჩამორჩება პლანეტის მცხოვრებთა საერთო რაოდენობას;
- სასურსათო რესურსების თანაბრად ყველაზე გადანაწილება. ამ შემთხვევაში პლანეტის თითოეულ მცხოვრებზე მოვა 450 გრ მარცვლეული დღე-ღამეში, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც აქვს ამჟამად ინდოეთის მცხოვრებს.

ივარაუდება, რომ გადანაწილება გარდაუვალი იქნება და მას ექნება არა მხოლოდ კომერციული, არამედ აგრეთვე პოლიტიკური ხასიათიც. ეს განპირობებულია იმით, რომ სულ უფრო იზრდება ღარიბი ქვეყნების რიცხვი: 60-იან წლებში ღარიბი და მდიდარი ქვეყნების თანაფარდობა იყო 30:1, 1990 წელს კი მან უკვე შეადგინა 64:1. მაშასადამე, სასურსათო პრობლემა შეიძლება გადაიზარდოს ღრმა საერთაშორისო კრიზისში.

ამ აზრს დღეისათვის აყალიბებს მრავალი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. ასე, მაგალითად, FAO-ს ექსპერტები თვლიან, რომ თუ არ მოხდება ტექნოლოგიური გარღვევა სურსათის წარმოებისა და ნიადაგის ნაყოფიერების ზრდაში, მაშინ 2015 წლისათვის დაიწყება უმწვავესი სასურსათო კრიზისი. ამ პერიოდისათვის, ვითარების პესიმისტური სცენარით განვითარების შემთხვევაში, დედამიწის მოსახლეობის 25% იშიმშილებს, რაც აბსოლუტური მაჩვენებლებით 2-ჯერ და მეტად გადააჭარბებს თანამედროვე დონეს და დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს რომის დეკლარაციის ოპტიმისტურ ტონს – 2015 წლისათვის მოშიმშილეთა საერთო რაოდენობის ორჯერ შემცირების შესახებ. მდგომარეობას კიდევ უფრო დაძაბავს ეკოლოგიური ვითარების გაუარესების საფრთხეც [5, გვ. 46].

ასეთ სიტუაციაში აუცილებელია ერთიანი საერთაშორისო სტრატეგია, მრავალი ქვეყნის შეთანხმებული მოქმედება და რიგი ვალდებულებების მიღება, რომელთა შესრულება, რა თქმა უნდა, მარტივი საქმე არ იქნება.

ამასთან დაკავშირებით, 1992 წელს მსოფლიოს 1500-ზე მეტმა წამყვანმა მეცნიერმა, მათ შორის ნობელის პრემიის 102 ლაურიატმა ხელი მოაწერა მემორანდუმს ("მეცნიერები აფრთხილებენ კაცობრიობას") რესურსების გამოყენებისადმი და მიწაზე ცხოველქმედების უზრუნველყოფისადმი დამოკიდებულების შეცვლის მოწოდებით.

1994 წელს ბაერო-ს ხალხთმოსახლეობის ფონდმა შესთავაზა კაცობრიობას პერსპექტივაში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, მიწის რესურსების ნგრევის აღკვეთისა და 2050 წლისათვის ხალხთმოსახლეობის 7,3 მლრდ კაცამდე სტაბილიზების გზით. ამ პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო იქნება 61,2 მლრდ აშშ დოლარი, რომლის დიდი ნაწილი უნდა წარიმართოს სახნავი მიწების დაცვისა და ტყეების აღდგენის ღონისძიებებზე.

1996 წლის ნოემბერში მსოფლიო სამიტის მონაწილეებმა რომში მიიღეს სასურსათო უსაფრთხოების დეკლარაცია და ხელი მოაწერეს მოქმედებათა გეგმას 2015 წლამდე პერიოდისათვის. ფორუმის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, რომელთა განვითარება განსაკუთრებით დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს გარესამყაროზე, ამ ზარალის კომპენსირება უნდა მოახდინონ თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0,7%-ის გამოყოფის გზით იმ ერების სასურსათო დახმარების მიზნით, რომლებიც ამას საჭიროებენ. აშშ-მა მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას, დაიკავა განსაკუთრებული პოზიცია და განაცხადა, რომ იგი, როგორც ადრე, დახმარებას გაუწევს იმას, ეისაც საჭიროდ ჩათვლის და, იმ მოცულობით, როგორსაც მიიჩნევს მიზანშეწონილად.

ამერიკელი მეცნიერები ლ. ბრაუნი და ხ. კეინი ასაბუთებენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში პრიორიტეტები გადავა არა განიარაღების, არამედ სურსათის დეფიციტის დაძლევის პრობლემაზე [6, გვ.22].

საგულისხმოა, რომ უკანასკნელ პერიოდში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისადმი სტრატეგიულ მიდგომებში. 70-იან წლებში ითვლებოდა, რომ სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის კვალობაზე სასურსათო პრობლემა გადაწყდება გლობალური მასშტაბით, შესაბამისად იგი აღარ იარსებებს ეროვნულ დონეზეც, ე.ი. იგეგმებოდა "ზოგადიდან კერძოსაკენ" მიდგომა. 1972 წელს თათბირის მონაწილეებმა სტოკჰოლმში განაცხადეს მსოფლიო მასშტაბით სასურსათო პრობლემების გადაწყვეტის განსრახვის შესახებ, რათა უკვე საუკუნის ბოლომდე ბოლო მოეღოთ შიმშილისათვის ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიმღებ 170 ქვეყანაში. შემდგომ წლებში გაჩნდა ახალი მიდგომა, რომლის თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა შეუძლებელად ითვლება მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე, ხოლო მისი მეშვეობით — გლობალური მასშტაბითაც, ე.ი. პრობლემის გადაწყვეტა მოიაზრება უკვე "კერძოდან ზოგადისაკენ." ეს დაკავშირებულია შემზღუდავ ფაქტორთა არსებობასთან, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციებს და არ იძლევიან პერსპექტივაში სასურსათო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ყარაუდის შესაძლებლობას.

სასურსათო უზრუნველყოფის სასურსათო უსაფრთხოებაში მოდიფიცირებამ მიგვიყვანა არსებით ცვლილებებთან აგრარულ პოლიტიკაში. თუ 70-იან და 80-იან წლებში სურსათით მომარაგება განიხილებოდა მიმღინარე მიზნების მიღწევის საშუალებად, 90-იანი წლებიდან უკვე პრიორიტეტები გადავიდა სტრატეგიულ მიზნებზე, წინა პლანზე წამოიწია აგრარული ეკონომიკის განვითარებისა და მსოფლიო სასურსათო მეურნეობაში ცალკეული ქვეყნების პოზიციების განმტკიცების ამოცანებმა. მაშასადამე, სასურსათო საკითხში გაძლიერდა სტრატეგიული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეულ სახელმწიფოთა მომავალ ეკონომიკურ პოტენციალს და მათ როლს მსოფლიო მეურნეობაში [7, გვ. 85].

თათბირის მონაწილეები რიო-დე-ჟანეიროში 1994 წელს, იხილავდნენ რა მომავალი, 21-ე საუკუნის პრობლემებს, აღნიშნავდნენ, რომ მდგრადი განვითარების გარანტია, სიღარიბესთან ბრძოლა, სასურსათო უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომელთა შესრულება უმჯობესია პროგრამების, გეგმებისა და სასურსათო პოლიტიკის შემუშავების გზით.

როგორც ვხედავთ, ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმების დოკუმენტები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და გადმოიცემა პრინციპით "იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად". მაშასადამე, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უკვე მოიაზრება არა გლობალურ ან კონტინენტალურ მასშტაბებში, არამედ მხოლოდ ეროვნულ დონეზე.

ამრიგად, მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარებაში სირთულეების გაღრმავებასთან, სურსათის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის ბალანსის უზრუნველყოფის გართულებასთან დაკავშირებით სასურსათო პრობლემა, მართალია, ნელა, მაგრამ სულ უფრო გამოკვეთილად იძენს უსაფრთხოების პრობლემის ნიშნებს, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მსოფლიო თანამეგობრობის შეთანხმებული პოლიტიკისა და ერთობლივი პრაქტიკული საქმიანობის პირობებში. თუმცა, ეს არც თანამედროვე პირობებში და არც უახლოეს პერსპექტივაში გლობალურ დონეზე არ მოიაზრება რეალურად. ამიტომ, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყოველმა ცალკეულმა ქვეყანამ უნდა გადაჭრას საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერისა და გარანტიების შექმნის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Максаковский В.П. Глобальная продовольственная проблема и его географические аспекты, http://geo.1september.ru/articlef.php?ID=200201908, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.12.2010.
2. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.
3. ვანიშვილი მ., ჯუღელი გ., უჯარაშვილი მ. გლობალური სასურსათო პრობლემების წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები და მისი გადაწყვეტის პერსპექტივები. – საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა", 2008, №3-4, გვ. 197-204.
4. ჯუღელი გ., ვანიშვილი მ. სასურსათო უსაფრთხოების გლობალური პრობლემები. – საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის "ინოვაციები ბიზნესში (პრობლემები, პერსპექტივები, გადაწყვეტები)" მასალები, 16-17 აპრილი, ბათუმი 2010, თბილისი: უნივერსალი, 2010, გვ. 256-258.
5. კოლუაშვილი პ., გიორგაძე ჯ., რამიშვილი ბ. საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა სასურსათო პრობლემის მოგვარებაში. – საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი "მაკრო მიკრო ეკონომიკა", 1999, №9-10, გვ. 43-46.
6. ლესტერ რ. ბრაუნი და სხვა. სასიცოცხლო ნიშნები. თბილისი: მეცნიერება, 1998, 298 გვ.
7. ვანიშვილი მ., ჯუღელი გ. გლობალური სასურსათო უსაფრთხოება: არსი, პრობლემები, გადაწყვეტის გზები. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2009, №1 (1), გვ. 81-85.

თამარ ვანიშვილი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

მერაბ ვანიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია და მისი საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება შემდეგი ძირითადი პრინციპების რეალიზაციას ემყარება:

- განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინებას;
- გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრას;
- ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას; მათი ურთიერთპასუხისმგებლობის გაძლიერებას სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან თავსებადობას.

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისადმი პრინციპული მიდგომისაგან დამოკიდებულებით, მსოფლიოს ქვეყნები პირობითად შეიძლება შემდეგ სამ ჯგუფად დაიყოს: 1. იმპორტზე ორიენტირებული ქვეყნები; 2. პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნები; 3. საკუთარი წარმოების ხარჯზე შიდა სასურსათო ბაზრის უზრუნველმყოფი ქვეყნები.

სურსათის იმპორტზე ორიენტაცია დამახასიათებელია მის წარმოებლად არახელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნებისათვის, აგრეთვე ზოგიერთი მდიდარი ქვეყნისათვის (ტიპიური წარმომადგენელია ინგლისი), რომელსაც გააჩნია ეკონომიკურად დამოკიდებული სახელმწიფოები, მაგრამ სასურსათო "იარაღს" არ იყენებს მეტროპოლიების წინააღმდეგ.

მსოფლიო ბანკი განასხვავებს სურსათის იმპორტზე ქრონიკულ და დროებით დამოკიდებულებას. ქვეყანა ქრონიკული სასურსათო დამოკიდებულების მდგომარეობაში იმყოფება მაშინ, როდესაც კვების პროდუქტების მოხმარება არასაკმარისია მუდმივად ერთი წლის განმავლობაში, სურსათის აუცილებელი რაოდენობის წარმოების ან შეძენის შეუძლებლობის გამო. დროებითი სასურსათო დამოკიდებულების მდგომარეობა ჩნდება პერიოდულად, მოუსავლიანობის, კვების პროდუქტებზე ფასების ზრდის ან შემოსავლების დონის დაცემის მიზეზით, სურსათზე ხელმისაწვდომობის სტაბილურობის დარღვევების შემთხვევაში.

სურსათის იმპორტზე ქრონიკულ და დროებით დამოკიდებულებას აუცილებელია დაემატოს პოტენციური სასურსათო დამოკიდებულება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო უძლური აღმოჩნდება გარე კრიზისებისა და რყევებისადმი. ამ შემთხვევაში პოტენციური სასურსათო დამოკიდებულების საფრთხე შეიძლება გადაიზარდოს დროებით ან ქრონიკულ სასურსათო დამოკიდებულების მდგომარეობაში.

სასურსათო დამოკიდებულების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას და რთულად წყდება დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. ასეთ პირობებში შიმშილის საფრთხისაგან თავის დასაცავად ამ პრობლემის ცნობილი მკვლევარი პ. ლინდერტი გვირჩევს შიმშილის გამომწვევი შემდეგი ვარიანტების გათვალისწინებას: დროებითი ცუდი მოსავალი; ბუნების არახელსაყრელი მოვლენებით გამოწვეული ცუდი მოსავალი; მტრულად განწყობილი სახელმწიფოს მიერ დროებითი დაპყრობა ან ბლოკადა [1, გვ. 53].

პირველ ორ ვარიანტში იგულისხმება, რომ ეროვნულ აგრარულ სექტორს არ ძალუძს საკუთარი წარმოების გადიდება. სურსათის ეროვნულ მწარმოებელთა დაცვისაგან მიღებული პირდაპირი მოგება დიდი არ იქნება, რამდენადაც არ არსებობს გარანტია იმისა, რომ მოსავლიან წლებში დამატებით წარმოებული პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი საგანგებო გარემოებათა შემთხვევებისათვის დასაწყობდება და არ წაეა მიმდინარე მოხმარებაში. ასეთი მარაგების

გარეშე ქვეყანა ვერაფერს ვერ მოიგებს ფორსმაჟორულ გარემოებათა მიზეზით მოსავლის გადაგურების პირობებში ეროვნულ მწარმოებელთა დაცვისაგან.

მხოლოდ მოსავლიანი წლების სურსათის საკმარისი მოცულობის მარაგების პირობებში შეიძლება შეიქმნას საგანგებო გარემოებებში მისი მიწოდების გარანტიები. ამ შემთხვევაში ამოსავალ მომენტს წარმოადგენს სურსათის შენახვა და არა მხოლოდ მისი შიდა წარმოება. თუ მოსავლიან წლებში ქვეყანაში იმპორტირებული სურსათი უფრო იაფია ადგილობრივ წარმოებულთან შედარებით, სახელმწიფო ზოგავს რესურსებს საიმპორტო მიწოდებათა გზით თავისი საგანგებო მარაგების ფორმირების, და არა შედარებით ძვირი ადგილობრივი წარმოების ხარჯზე.

თუ იმპორტით სურსათის შემოსვლა შეფერხდება მტრულად განწყობილი სახელმწიფოს ქმედებებით, ეროვნულ მწარმოებელთა დაცვის პოლიტიკა დამოკიდებული იქნება ჩარევის ვადების მოსალოდნელი ხანგრძლივობისაგან.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური პირობაა სასურსათო ფონდის ფორმირება და მარაგების დაგროვება საგანგებო გარემოებათა შემთხვევებისათვის საკუთარი წარმოების ხარჯზე, იმპორტისათვის ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი ხდება შიდა წარმოების მაღალი კონკურენტუნარიანობა და შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა გამოყენება.

სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების მდგომარეობა ძირითადად ყალიბდება აგროსასურსათო წარმოების დაბალი ეფექტიანობის შედეგად. ამასთან, სასურსათო დამოკიდებულების საფრთხე შეიძლება გაჩნდეს არა მხოლოდ კვების პროდუქტების დეფიციტის, არამედ აგრეთვე მათი ექსპორტის, საგარეო ვალდებულებათა შესრულების და ეროვნული ვალუტის არასტაბილური კურსის პირობებშიც.

სურსათის ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნები, როგორც წესი, ფლობენ მისი წარმოებისათვის საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს ან იყენებენ ფასობრივი რეგულირების ღონისძიებათა ისეთ კომპლექსს, რომლის დროსაც კვების პროდუქტების გატანა არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აგრეთვე ეკონომიკურად ხელსაყრელიცაა. უკანასკნელ პერიოდამდე რეგულირების ეს ფორმა, საექსპორტო სუფსიდიებთან ერთად, ძირითადს წარმოადგენდა აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობის ფინანსურ მხარდაჭერაში (შესაბამისად: 60 და 70 პროცენტი).

ძირითადად საკუთარი წარმოების ხარჯზე შიდა ბაზრის სურსათის უმნიშვნელოვანესი სახეებით უზრუნველმყოფი ქვეყნები სასურსათო უსაფრთხოების გარანტირებისათვის ატარებენ პროტექციონისტულ პოლიტიკას. სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა საკუთარი წარმოების ხარჯზე სულ უფრო მეტ გაერცელებას ჰპოვებს როგორც ცალკეულ სახელმწიფოებში, ასევე მათ ბლოკებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური უპირატესობის კრიტერიუმები ფართოდ პროპაგანდირდება მრავალი ეკონომისტის მიერ, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკაში იგი არ გამოიყენება. პრიორიტეტულად ითვლება ეროვნული ინტერესები. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყოველი სახელმწიფოს მიერ განიხილება განცალკევებულად, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები კი განისაზღვრება ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით.

მსოფლიო რესურსების ფორმირებაში თანამედროვე და მოსალოდნელი ტენდენციების სირთულეების გათვალისწინებით, სახელმწიფოთა სასურსათო უსაფრთხოება პერსპექტივაში, ისევე როგორც ამჟამად, უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი წარმოების ხარჯზე. ეს, ჯერ ერთი, მოხსნის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურისაგან დამოკიდებულებას და, მეორეც, უზრუნველყოფს ქვეყნის ხელთ არსებული აგროსასურსათო პოტენციალის უფრო სრულად და ეფექტიანად გამოყენებას. ამასთან, სურსათით თვითუზრუნველყოფა არ გამორიცხავს ამ რესურსების როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის შესაძლებლობებს, რაც იძლევა შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა სრულად გამოყენების საშუალებას.

საქართველოში ევროგაერთიანების TACIS-ის პროექტის საერთაშორისო ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად, საქართველომ აგროსასურსათო სექტორის განვითარების სამი ძირითადი მიმართულება შეიძლება აირჩიოს:

- სურსათზე მოთხოვნილების სამამულო წარმოების პროდუქციით დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული პოლიტიკა;
- სურსათზე მოთხოვნილების იმპორტული პროდუქციით დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული პოლიტიკა;
- შერეული (სურსათზე მოთხოვნილების როგორც სამამულო წარმოების, ასევე იმპორტული პროდუქციით დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული) პოლიტიკა [2, გვ. 59].

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოსთვის ყველაზე უფრო მისაღები გზაა მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე იმპორტული პროდუქციით – ამ ორი მიმართულების რაციონალური დაბალანსებით, ხოლო, პერსპექტივაში ორიენტაციის აღება თვითუზრუნველყოფასა და საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოებაზე. ეს მოსაზრება განპირობებულია მრავალი ფაქტორით: საქართველოს ჯერ-ჯერობით არ ძალუძს მთლიანად დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება ძირითად სასურსათო პროდუქტებზე - მარცვლეულზე და, აქედან გამომდინარე, ხორცისა და რძის პროდუქტებზე. ამასთან, დღეისათვის ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგიური და საწარმოო პოტენციალი, რათა მხოლოდ სამამულო წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებ ყველა სახის სურსათზე.

სასურსათო სიტუაციის სიროულე საქართველოში და მისი შესაძლო დამოკიდებულება პროდუქტების საზღვარგარეთ შესყიდვისაგან, დღის წესრიგში აყენებს პროდუქტების გარკვეული ჩამონათვალის მიხედვით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების გადაუდებელ ამოცანას. მათგან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

- აგროსასურსათო კომპლექსის სტაბილური განვითარების სტიმულირება, კვების პროდუქტების ძირითადი სახეების სახელმწიფოებრივი სასურსათო ფონდების სრულად ფორმირებისა და საექსპორტო ორიენტაციისათვის საკმარის დონემდე;
- კვების პროდუქტების მიმართ მსყიდველობით უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა 3500 კკალ/დღის მოხმარების დონემდე, საოჯახო ბიუჯეტში სურსათზე დანახარჯების 30-35%-მდე შემცირების პირობებში;
- სურსაოის დანაკლისის იმპორტისათვის აუცილებელი სავალუტო რესურსების რეზერვის შექმნა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის გაფართოებისა და მისი სტრუქტურის სრულყოფის ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, ამ პრობლემის გადაწყვეტა მოუწევს საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აგროსასურსათო კომპლექსის სტაბილური განვითარების გზით. ამ მიმართულებას ალტერნატივა არა აქვს. სასურსათო უსაფრთხოების საიმედობის მისაღწევად, საკუთარი წარმოების ხვედრითმა წილმა სასურსათო რესურსებში უნდა შეადგინოს 80-85% (უსაფრთხოების ქვედა ზღვარია – 60%).

საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა და შენარჩუნება, ე.ი. პროდუქტთა 9 უმნიშვნელოვანესი ჯგუფის მიხედვით სურსაოით თვითუზრუნველყოფამ საკუთარი წარმოების ხარჯზე უნდა შეადგინოს საერთო მოთხოვნის არანაკლებ 80%.

სასურსაოო და სანედლეულო რესურსების უმნიშვნელოვანესი სახეების რაოდენობრივი პარამეტრები, რომლებიც საკმარისია მოსახლეობის ერთ სულზე შიდა მოხმარების უზრუნველყოფისათვის, მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებიდან გამომდინარე, და აგ-რეთვე საექსპორტო პოტენციალის ფორმირებისათვის, შემდეგნაირად ყალიბდება: მარცვლეული – 1400 ათასი ტონა, კარტოფილი – 460, ბოსტნეული – 550, ხილი და კენკრა – 600, მცენარეული ცხიმები – 30, შაქარი – 180, ხორცი (ცოცხალი წონით) – 140, ძროხის რძე – 960 ათასი ტონა და კვერცხი – 600 მლნ ცალი.[1]

---

[1] აღნიშნული სტრატეგიული მიზნის რეალიზაცია მოითხოვს აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა ტექნიკურ-ტექნოლოგიურ გადაიარაღებასთან, საწარმოო პოტენციალის განმტკიცებასთან, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციასთან, სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას [3, გვ. 186].

თანამედროვე ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკული დონეც, რომლის დროსაც შიდა სასურსათო ბაზრის საერთო ბალანსი საკუთარი წარმოების ხარჯზე უზრუნველყოფილია დაახლოებით 60%-ით.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკული დონისათვის, რომლის ქვემოთაც იწყება სასურსათო და ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და დაკარგვა, საიმპორტო მოწოდებისაგან დამოკიდებულების გაძლიერება, რაოდენობრივ გამოხატულებაში სავსებით რეალურია შემდეგი პარამეტრები: 800 ათასი ტონა მარცვლეული, 240 ათასი ტონა კარტოფილი, 250 ათასი ტონა ბოსტნეული, 330 ათასი ტონა ხილი და კენკრა, 20 ათასი ტონა მცენარეული ცხიმები, 110 ათასი ტონა შაქარი, 85 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონით), 580 ათასი ტონა რძე და 360 მილიონი ცალი კვერცხი. ეს დონე უნდა იქცეს სურსათის წარმოების ზრდის ტემპებისა და სასურსათო ბაზრის გაჯერებულობის ათვლის საზღვრად.

ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის პრინციპს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე ეკონომიკური საფუძვლის უმნიშვნელოვანეს პირობას (საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებთან ერთად). თვითუზრუნველყოფაზე ყურადღების გამახვილება არ გულისხმობს ქვეყნის თვითიზოლაციას სასურსათო რესურსების ფორმირებაში. პირიქით, საუბარი მიდის ექსპორტისათვის წარმოების ზრდის და იმპორტის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ, რაც, შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებისა და ბაზრის ხელსაყრელი კონიუნქტურის გამოყენებასთან ერთად, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სასურსათო დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა, რაც იმავდროულად შექმნის ხელსაყრელ პირობებს აგროსასურსათო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

თანამედროვე პირობებში სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ არსებული თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტი ფაქტობრივად მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. ისინი იმდენად მსოფლიო თანამეგობრობის რეალურ ძალისხმევას არ ასახავენ, რამდენადაც მის სურვილებსა და მისწრაფებებს. სინამდვილე კი მთლიანად პრაგმატული მოსაზრებებით საზრდოობს და ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც მათში გაცხადებულ იდეებს. ამიტომ ამ დოკუმენტების შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებს არ მოსდევს სათანადო ეფექტი.

აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ არსებულ თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტს საკითხის გადაწყვეტის სიმძიმე გადააქვს სწორედ ეროვნულ დონეზე, რასაც საფუძველად ედება ზოგიერთი განვითარებული სახელმწიფოს მდიდარი გამოცდილება აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

სასურსათო უსაფრთხოების, როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილის, მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რიგ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებულია და მოქმედებს სასურსათო უსაფრთხოების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფის დამოუკიდებელი სისტემა.

ამ მხრივ დიდი გამოცდილება დაგროვდა აშშ-ში, იაპონიასა და ევროკავშირის ქვეყნებში. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის ირგვლივ აქ არსებული კანონმდებლობა იმ უზარმაზარი სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელსაც აღნიშნულ სახელმწიფოებში აგროსასურსათო სექტორის მარეგულირებელი სხვადასხვა საკანონმდებლო-სამართლებრივი და ფინანსურ-ადმინისტრაციული ღონისძიებები ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნისათვის იდენტურია, მათი განხორციელების გზები და მეთოდები რამდენადმე მაინც განსხვავებული და თავისებურია.

აშშ-ში სასურსათო უსაფრთხოების საკითხი უმაღლეს ეროვნულ ინტერესთა სფეროშია მოქცეული. სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია უკვე კარგა ხანია იპყრობს ქვეყნის კონგრესისა და პრეზიდენტების ყურადღებას. სწორედ ამიტომაა, რომ უკვე ორი ათეული წელია, რაც აშშ-ში სასურსათო უსაფრთხოება განიხილება ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილად. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ მათი სიძლიერე სურსათშია და მისი დაკარგვა არ შეიძლება. მართლაც, აშშ მსოფლიოში პირველ ადგილ'ზეა სურსათის წარმოებისა და ექსპორტის

მხრივ. ხელისუფლების უდიდეს ყურადღებას აგროსასურსათო კომპლექსის მიმართ ისიც განაპირობებს, რომ ეს დარგი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია. აქ პირდაპირ ან ირიბად იქმნება მშპ-ის მეოთხედი ნაწილი და მისი ფუნქციონირება სამუშაოთი უზრუნველყოფს ამერიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედს.

ყოველივე ეს არის მიზეზი იმისა, რომ აშშ-ში აგროსასურსათო კომპლექსი ყველაზე უფრო პროტექციონისტულად დაცული სფეროა. მთავრობა არ იშურებს ფინანსურ სახსრებს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და რეგულირებისათვის, რისთვისაც ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დაახლოებით 60-65 მლრდ დოლარი გამოიყოფა, რაც ფედერალური ბიუჯეტის 4-5 პროცენტია.[2] ამისათვის მიღებულია სპეციალური ნორმატიული აქტები, რომლებიც მიმართულია სტაბილური სასურსათო მომარაგების უზრუნველყოფაზე, საკუთარი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და მისი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების გზით.

ეს კურსი ტარდება ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან და იგი დაგვირგვინდა აგრობიზნესის მძლავრი, მაღალგანვითარებული სისტემის შექმნით, რომელიც ორიენტირებულია შიდა ბაზართან ერთად, მსოფლიო სასურსათო ბაზრის დაუფლებაზე და პოლიტიკური მიზნების მიღწევაზე საზღვარგარეთ.

აშშ-ში სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა, გარდა სხვა მუდმივმოქმედი კანონმდებლობისა, რეგულირდება ე.წ. "აგრარული კანონებით," რომელთაც კონგრესი 5-7 წლის პერიოდულობით იღებს, და რომლებიც მათი მოქმედების პერიოდში ქვეყნის აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტებია. ამ მიზნით 1981 წელს მიღებულ იქნა კანონი "სოფლის მეურნეობისა და სურსათის შესახებ," რომელიც მიმართული იყო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე. აღნიშნული კანონით ნავარაუდევი იყო მარცვლეულის შესყიდვა სახელმწიფო რეზერვად, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სხვა ქვეყნებისადმი სასურსაოო დახმარების გაწევის მიზნით.

საგულისხმოა, რომ 80-იანი წლების შუახანებიდან აშშ-ში გაჩნდა გარკვეული შეშფოთება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გარანტირებული უზრუნველყოფის თაობაზე. შეშფოთების ტალღა მას შემდეგ აგორდა, რაც 1982 წელს შეფასებულ იქნა აშშ-ს ნათესი ფართობების ეროზიის მასშტაბები.

წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შედეგად ქვეყანაში ნიადაგის მთლიანი დანაკარგები შეფასდა 3 მლრდ ტონით. ამასთან, წყლისმიერი ეროზიის შედეგად იკარგებოდა მიწის ნაყოფიერი ფენის 60%, ხოლო ქარისმიერის შედეგად – 40%. სახნავის ერთ ჰა-ზე, ეროზიის შედეგად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დანაკარგები წელიწადში საშუალოდ 20 ტონით შეფასდა, მაშინ, როდესაც ეროზიის დასაშვებ მაქსიმუმად აღიარებულია 12,5 ტონა ჰა-ზე.

ამის გამო აშშ-ში დაიწყო მიწის დამუშავების ახალი ტექნოლოგიების პროპაგანდა და უსწრაფესი გავრცელება, რომელიც გულისხმობს "მიწის მინიმალური დამუშავების" პრინციპს. ეს ტრადიციულ ტექნოლოგიებთან შედარებით უფრო იაფია, მაგრამ ბევრად უფრო მწარმოებლური.

1985 წლის კანონმა "სასურსათო უსაფრთხოების შესახებ", 1986 წლის კანონმა "სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების შესახებ" და 1990 წლის კანონმა "სურსათის, სოფლის მეურნეობის, კონსერვაციისა და ვაჭრობის შესახებ" გააფართოვეს და განამტკიცეს ამერიკელ ფერმერთა მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემა, მიწის ნაყოფიერების შე-ნარჩუნებაზე სუბსიდიების ჩათვლით.

90-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-ის გარანტირებული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების სასურსათო დახმარების სახელმწიფო პროგრამებს. ამ მიზნით ქვეყანაში შეიქმნა "სურსათისა და მომხმარებელთა მომსახურების სამსახური." მოცემული სამსახურის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა: ერის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მოსახლეობის იმ ფენებისათვის სასურსათო დახმარების გაწევის გზით, რომლებიც ამას საჭიროებენ; აგ-

---

[2] სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე მიმართული მრავალმილიარდიანი სახსრები უზრუნველყოფს „სასურსათო უსაფრთხოებას და სურსათის სტაბილურ ფასებს აშშ-ში."ასეთი მდგომარეობისათვის, სენატორ კენედის სიტყვებით, თითოეული ამერიკელი საშუალოდ დღიურად იხდის 14 ცენტს, რომელიც ბიუჯეტის მეშვეობით მიდის ფერმერთა დაფინანსებაზე [4, გვ. 13].

როსასურსათო სექტორის მხარდაჭერა და განმტკიცება, სურსათის მომხმარებლებთან მისი პირდაპირი კავშირების სრულყოფის გზით; მოსახლეობის ინფორმირებულობის საკმარისი დონის შექმნა რაციონალური კვების საკითხებში.

1995 წლისათვის აშშ-ში უკვე მოქმედებდა ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სასურსათო დახმარების 16 პროგრამა. მათ შესრულებაზე სახელმწიფომ მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით გამოყო 40454 მლნ დოლარი, რამაც შეადგინა ამ უწყების მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 65%. ამ პროგრამების რეალიზაციით სასურსათო დახმარება გაეწია 74.4 მლნ კაცს [5, გვ. 362].

აშშ-ში უკანასკნელი აგრარული კანონი ძალაში შევიდა 1996 წლის 4 აპრილს. მისი მოქმედებით დაიწყო ახალი ეტაპი ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაში. აღნიშნული კანონის მოქმედების ვადა განისაზღვრა 1996-2002 წლების პერიოდისათვის. მასში ასახულია ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების ფარგლებში გამაროულ ურუგვაის შეხვედრაზე ამერიკის მიერ აღებული ვალდებულებები, რაც სახელმწიფოს მიერ აგრარული სექტორისადმი გაწეული ფინანსური დახმარების შეზღუდვას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით საინტერესოა 1996 წლის ფედერალური აგრარული კანონის სპეციალური ნაწილი, რომელიც ხელს უწყობს სასურსათო პროდუქციის ექსპორტს და იმავდროულად საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება. ამ ნაწილში წარმოდგენილია ისეთი ტრადიციული პროგრამები, როგორიცაა: "სურსათი მშვიდობისათვის," "სურსათი პროგრესისათვის," "საექსპორტო კრედიტების გარანტიების პროგრამა." აღნიშნული პროგრამები მიმართულია განვითარებად, ე.წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში სურსათის ექსპორტის ხელშესაწყობად, აგრეთვე ამ სახელმწიფოების სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებისათვის კრედიტების გამოყოფისათვის სურსათის შესაძენად.

მსოფლიო სასურსათო ბაზარზე ამერიკის პოზიციების გამყარებას ემსახურება "ექსპორტის მხარდაჭერის," საგარეო ბაზარზე "აშშ-ის პოზიციების გამაგრების, გაფართოებისა და განვითარების," "ახალშექმნილი აგრარული ბაზრების მხარდაჭერის" პროგრამები. დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს "სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი რეზერვების პროგრამას," რომლის მიხედვითაც შექმნილია ხორბლის, ბრინჯის და სიმინდის 4 მლნ ტონის მოცულობის რეზერვი, საიდანაც ხდება სხვა ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარება მარცვლეულით. თვით აშშ-ში სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება აღნიშნული კანონით გათვალისწინებული დახმარება, რომელიც დაბალშემოსავლიან ფენებს გაეწევათ. მოსახლეობის ამ კატეგორიას უსასყიდლოდ ეძლევა ე.წ. "სასურსათო ტალონები," რომლითაც მათ გარკვეული თანხის სხვადასხვა სურსათის შეძენა შეუძლიათ.

აშშ-ის აგრარული პოლიტიკა ნათლად მეტყველებს, რომ აქ სასურსათო უზრუნველყოფა განიხილება არა მხოლოდ როგორც საკუთარი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება, არამედ აგრეთვე როგორც იარაღი სხვა ქვეყნების სასურსაოო დამოკიდებულების შექმნისა და მათს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის; "სასურსათო იარაღი" ეძლიერესი ინსტრუმენტია პოლიტიკური ზეწოლისა, ხოლო სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა – ეროვნული ინტერესების პრიორიტეტი.

იაპონიაში სახელმწიფოს მიერ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემით დაინტერესებას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1898 წელს იაპონიის სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მინისტრი ტანი ტატეკი ამბობდა: "სასურსაოო დამოუკიდებლობა უფრო გადაუდებელი საქმეა, ვიდრე დამოუკიდებლობა სამხედრო თვალსაზრისით" [3, გვ. 80].

საერთოდ, კვებას იაპონიაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რაც აიხსნება არა მხოლოდ ერის ჯანმრთელობაზე ზრუნვით, არამედ აგრეთვე მისი ტრადიციებითა და რეალური შესაძლებლობებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ კვებაზე საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ყოველწლიურად იაპონელები ხარჯავენ თავიანთი შემოსავლების დაახლოებით 16%-ს.

ამჟამად იაპონელები ვარაუდობენ, რომ ქვეყანამ, რომელიც თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიიჩნევს, უნდა აწარმოოს იმდენი სურსათი, რასაც მისი ბუნებრივი შესაძლებლობები იძლევა. ასეთი მიდგომა სრულად აისახა ამ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ 1942 წელს მიღებულ კანონში "სურსათზე კონტროლის შესახებ" და მთავრობის მიერ გატარებულ აგრარულ პოლიტიკაში.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის, როგორც ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველ-ყოფი დარგის, როლი უკვე მრავალი წელია, რაც საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომ შემ-თხვევითი არაა, რომ იაპონია ითვლება მსოფლიოში სრულფასოვანი სასურსათო უზრუნველ-ყოფის მაღალი დონის მქონე ერთ-ერთ განვითარებულ სახელმწიფოდ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა შეფასებით, ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფის ხარისხი ერთ-ერთი ყველა-ზე დაბალია განვითარებულ სახელმწიფოთა შორის, ეს არსებითად კომპენსირდება მარცველეულ-ის სტაბილური მარაგებით, ბრინჯისა და კვერცხის წარმოებით და თევზის პროდუქტების გარანტირებული საიმპორტო შესყიდვებით. ამის გამო იაპონიის მცხოვრებთა კვების რაციონში უზრუნველყოფილია ცხოველური და მცენა-რეული წარმოშობის ცილების ოპტიმალური თანა-ფარდობა.

იაპონია იმყოფება საკუთარი აგროსასურსათო სექტორის აქტიურად დამცავ სახელ-მწიფო-თა პირველ რიგებში. აქ ხელისუფლება არეგულირებს ბრინჯის, ქერის, ხორბლის ფასებს და ამ პროდუქციით ვაჭრობას. იაპონიის სურსათის სააგენტოს აქვს მარცველეულის იმპორტის სი-დიდის განსაზღვრის ექსკლუზიური უფლება. აქ, ფაქტობრივად, აკრძალულია ქვეყნისათვის უმ-თავრესი სტრატეგიული მარცველეულის – ბრინჯის იმპორტი და ქვეყანა მასზე მოთხოვნილე-ბას 100 პროცენტით იკმაყოფილებს, თუმცა, მას ეს მეტად ძვირი უჯდება. ინარჩუნებს რა ამ პროდუქტზე შიდა ფასებს რვაჯერ უფრო მაღალ დონეზე, ბრინჯის მსოფლიო ფასებთან შედა-რებით, იაპონიაში სახელმწიფოს მიერ დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მინი-მალური და მაქსიმალური ფასები. მინიმა-ლური ფასების გაანგარიშება წარმოებს სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გათვალისწინებით. აქ ფართოდაა დანერგილი სა-ხელმწიფო შესყიდვების სისტემა და მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო სტრუქტურები სა-სოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს უხდიან იმ თანხაზე რამდენიმეჯერ მეტს, ვიდ-რე თვითონ სთავაზობენ მომხმარებელს, აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საცალო ფასე-ბი რამდენადმე მაღა-ლია, მსოფლიოს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

გარდა აღნიშნულისა, იაპონიაში გავრცელებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-ციის მწარმოებელთა პირდაპირი დოტირების სისტემა, რაც სოფლის მეურნეობაში სახელმწი-ფოს მიერ შემუშავებული პროგრამების განხორციელებას ემსახურება, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში ბრინჯის წარმოების შემცირების ხარჯზე სხვა სახის მარცველეულის წარმოების ზრდას ისახავს მიზნად. მაშასადამე, იაპონიაში, სადაც ჭარბობს საშუალო და წვრილი ფერმე-ბი, შეინიშნება მთავრობის აქტიურად ჩარევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. კერძოდ, ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ფინანსური დახმარების სხვადასხვა სახეებმა უკანას-კნელ პერიოდამდე, ეოგო-ს სპეციალისტთა გაანგარიშებით, შეადგინა ფერმერთა შემოსაველე-ბის დაახლოებით 70 პროცენტი [3, გვ. 10]. აშშ-ში ეს მაჩვენებელი 35%-ია, ხოლო ევროკავში-რის ქვეყნებში – 50%-ს უახლოვდება [5, გვ. 368].

იაპონიაში აგრარული სექტორისადმი მიმართული მძლავრი პროტექციონისტური პოლიტი-კის მთავარი დადებითი შედეგია ის, რომ ამ ქვეყანამ, თავისი მწირი ბუნებრივ-კლიმატური პი-რობების ფონზე, სურსათით თვითუზრუნველყოფის საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. შამაგიე-როდ, სოლიდურმა ფინანსურმა დახმარებამ, კონკურენციის შეზღუდვამ, უცხოური პროდუქციი-სათვის ადგილობრივი ბაზრის დახურვამ მეტად არაეფექტური გახადა იაპონიაში სასოფლო-სა-მეურნეო წარმოება, რის გამოც იგი პროდუქციის თვითღირებულებით და ეფექტიანობის მაჩვე-ნებლებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკურად განვითარებული სხვა ქვეყნების ანალო-გიურ მაჩვენებლებს. ამიტომ უკანასკნელ წლებში იაპონიის მთავრობა ცდილობს იმგვარად წარმართოს აგრარული სექტორისადმი დახმარება, რომ ამან გაზარდოს ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა.

ამრიგად, იაპონიის ხელისუფლება, მტკიცედ ატარებს რა აგროსასურსათო სექტორის პრო-ტექციონიზმის პოლიტიკას, ღიად ცნობს იმ ფაქტს, რომ მოსახლეობის სასურსათო მომარაგე-ბის მდგომარეობისაგან დიდადაა დამოკიდებული ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

აშშ-ისა და იაპონიისაგან განსხვავებით, ევროკავშირის ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოე-ბის უზრუნველყოფის ხაზით გატარებული ღონისძიებები უფრო მრავალფეროვანი, კანონმდებ-ლობით რეგლამენტირებული და ფართომასშტაბიანია. ამ ქვეყნების აგრარული სექტორი რეგუ-ლირდება ორ დონეზე: ჯერ ერთი, – ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის მიერ მიღებული გა-დაწყვეტილებებით, და მეორე, – ოვით ევროკავშირის ერთიანი სტრუქტურების მეშვეობით. ამ-

ჟამად ამ გაერთიანებაში აგროსასურსათო სექტორისადმი გაწეული დახმარების ძირითადი სიმ-ძიმე ცენტრალურ სტრუქტურებზე გადადის.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის განსაკუთ-რებით სრულყოფილი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა გააჩნია გერმანიას, საფრანგეთსა და შვეიცარიას, რაც საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში [6].

გერმანიაში ჯერ კიდევ 1955 წელს იქნა მიღებული კანონი "გერმანიის სოფლის მეურნეო-ბის შესახებ", რომელიც მიზნად ისახავდა დარგისათვის მრეწველობის ანალოგიური მეურნე-ობრიობის პირობების შექმნას. მასში პირდაპირ იყო მითითებული, რომ სახელმწიფო ვალდე-ბულია სურსათით მოსახლეობის მომარაგებას განიხილავდეს, როგორც სტრატეგიულ ამოცა-ნას. 1979 წელს მიღებულ კანონში "სასურსათო მომარაგების შესახებ" კი კიდევ უფრო მკაცრ ფორმებში ჩაიწერა სახელმწიფოს ვალდებულებები სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში. გერმანიის ცალკეულ მიწებზე მიღებულია საკუთარი კანონები "სოფლის მეურნეობისა და სა-სურსათო მომარაგების შესახებ".

საფრანგეთში, "სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურობის უზრუნველყოფის შესა-ხებ" კანონის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს დავალებული ეროვნული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და მისი ცხოვრებაში გატარება. აქ ჯერ კიდევ 1960 წელს იქნა მიღებული კანონი "სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის შესახებ", რომელიც ითვალისწი-ნებდა მაქსიმალურად კეთილსასურველი პირობების შექმნას ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთათვის, ბაზრიდან უხარისხო სამამულო და იმპორტირებული პრო-დუქციის ამოღებას, ქვეყანაში სურსათის დემპინგური ფასებით მასობრივი შემოტანის დაუშ-ვებლობას. 1964 წელს მიღებულ იქნა კანონი "სოფლის მეურნეობის სტრუქტურის შესახებ", რომელიც მიმართულ იქნა სოფლის მეურნეობის განვითარებასა და სასოფლო-სამეურნეო პრო-დუქციის ექსპორტის სტიმულირებაზე. 1962 წლის კანონი "სოფლის მეურნეობის ორიენტაციის შესახებ" კი მოიცავს სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოებრივი რეგულირე-ბის ძირითად მიმართულებებს.

შვეიცარიაში, ჯერ კიდევ 1940 წელს მიღებული კანონის - "სოფლის მეურნეობის პროდუქტე-ბის წარმოებისა და გასაღების რეგულირების შესახებ" - თანახმად, კვების პროდუქტების კო-მისიების მიერ რეგლამენტირებულია სურსათის ხარისხი, მისი დაცვა მწარმოებლებისა და გამ-საღებლების მხრიდან. 1947 წლის კანონი "სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციის შესახებ" თავისი შემდგომი დამატებებით, მიმართულია სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მხარდაჭერაზე და სასურსათო ნედლეულის იმპორტის შეზღუდვაზე ქვოტების, ბაჟების და სხვა ინსტრუმენტების გამოყენების გზით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმუ-ლირებისას სახელმწიფო ამოდის იმ დებულებიდან, რომ ფერმეროა შემოსავლები იყოს არა-ნაკლებ კვალიფიციურ სამრეწველო მუშათა საშუალო ხელფასის დონეზე. ყოველივე ეს მიმარ-თულია ქვეყნის სტაბილურ სასურსათო თვითუზრუნველყოფასა და მისი სასურსათო უსაფ-რთხოების მაღალი დონის მიღწევაზე.

მთლიანად, ევროკავშირის ქვეყნებში აგრარული სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირე-ბის მექანიზმების ფართო სპექტრი შეიძლება შემდეგ სამ ჯგუფად გაერთიანდეს: პირდაპირი რაოდენობრივი რეგულირება, ფასებით რეგულირება და საბაჟო რეგულირება. სამივე ჯგუფის ინსტრუმენტების ეროობლიობა დაკონკრეტებულია სავაჭრო წესებში, რომლებიც ცალკეული სახის სასურსათო პროდუქტების მიხედვით დგება. ევროკავშირის წევრი ქვეყნები იყენებენ აგ-რეთვე აგრარული სექტორის რეგულირებისა და მხარდაჭერისათვის პროგრამულ მიდგომას. მა-შასადამე, სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა ის ფუნდამენტია, რომელზე დაყრდნობითაც მიიღწევა ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება და, თუ რაოდენ შთამბეჭდავი შეიძლება იყოს შედეგები, ამას ჰოლანდიის მაგალითიც ადასტურებს.[3]

---

[3] უნდა შევნიშნოთ, რომ ჰოლანდიაში, რომელიც გამოირჩევა მცირემიწიანობითა და შედარებით სოლიდური მოსახლეობით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის, ღორის ხორცის, ცხვრის ხორცის, ფრინველის ხორ-ცის, კარაქის, ყველის, კვერცხის, კარტოფილის, შაქრისა და ახალი ბოსტნეულის მიხედვით თვითუზრუნველ-ყოფის მაჩვენებელი შეადგენს შესაბამისად: 119, 279, 188, 287, 353, 252, 332, 154, 194 და 207 პროცენტს [7, გვ. 93-94].

გარკვეულ ინტერესს იწვევს ევროკავშირის სახელმწიფოთა პოზიცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ემო-ში). მათი სტრატეგია აგრარული პოლიტიკის გატარებაში, განსაკუთრებით ფერმერული მეურნეობებისადმი ფინანსური მხარდაჭრის საკითხებში არაერთხელ ქცეულა საერთაშორისო კრიტიკის მთავარ ობიექტად. ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სიდიდე ევროკავშირის ქვეყნებში ერთ ფერმერზე გაანგარიშებით დიდად არ განსხვავდება ამ მაჩვენებლისაგან აშშ-ში. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ აშშ-ში ამ მხარდაჭერის ძირითადი ვექტორი მიმართულია ექსპორტის სტიმულირებაზე, მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში პრეფერენციებს ფერმერთა პირდაპირი მხარდაჭერა. ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ ამჟამად ევროკავშირი აშშ-საგან, ავსტრალიისაგან, კანადისაგან და სხვა ქვეყნებისაგან მოითხოვს სახელმწიფო-ებრივი საექსპორტო სუბსიდიების გაცემის შემცირებას და სახელმწიფო ორგანიზაციების მეშვეობით სურსათით ვაჭრობის პრაქტიკაზე უარის თქმას.

ზემოთგანხილული მაგალითები მოტანილია იმ განვითარებული ქვეყნების მიხედვით, რომელთაც გააჩნიათ შედარებით დასრულებული კონცეპტუალური მიდგომა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის და მისი საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართ. მათგან საქართველომ ბევრი რამ უნდა ისწავლოს.

სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე არ არის შემუშავებული აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების მთლიანი კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედებოდა კომპლექსის ყველა დარგის ერთიანი სქემით განვითარებას, ქვეყნის აგროსასურსათო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების გზით სასურსათო უსაფრთხოების მისაღები დონის უზრუნველყოფას.

ერთიანი კონცეფცია, სადაც მთლიანობაში იქნებოდა გააზრებული აგროსასურსათო კომპლექსის ყველა დარგის შეთანხმებული განვითარების ამოცანები და, რომელიც იმავდროულად კოორდინირებული იქნებოდა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიასთან, ჯერ კიდევ შესამუშავებელია. შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და შემდგომ სრულყოფას საჭიროებს, ცალკეული სამართლებრივი აქტების სტრატეგიული ამოცანების ადეკვატური კანონებით შევსების თვალსაზრისით.

სასურსათო უსაფრთხოების ნორმატიულ ბაზას, კანონის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი, რომელთა სხვადასხვა თავებსა და განყოფილებებში დაფიქსირებული და განმტკიცებულია აგროსასურსათო სფეროს სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები.

თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ აგროსასურსათო სექტორის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების რეალური საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. ამის გაითვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია "სასურსათო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შემუშავება და მიღება. ამ საქმეში სხვა ქვეყნებს საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ.

დასახელებული კანონი უნდა შემუშავდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, ქმნიდეს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის აუცილებელ საკანონმდებლო გარანტიებს. კანონში საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, და ამით, საფუძველი ჩაეყაროს აგროსასურსათო სექტორის აღდგენას, მოსახლეობისათვის აუცილებელი და ხელმისაწვდომი კვების პროდუქტებით ქვეყნის ბაზრის გაჯერების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის შექმნას.

კანონმა უნდა ახსნას ისეთი ფუძემდებლური ცნებების შინაარსი, როგორიცაა სასურსათო უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასურსათო კრიზისი, კვების ფიზიოლოგიური ნორმები, სასიცოცხლო მნიშვნელოვანი კვების პროდუქტები, სასურსათო დამოუკიდებლობა, კვების პროდუქტების წარმოების აუცილებელი დონე, კვების პროდუქტების ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო სასურსათო რეზერვი.

კანონის შესაბამისად, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას და მის ადგილობრივ ორგანოებს, სასურსათო უსაფრთხოებისა და სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა მიენიჭოთ აუცილებელი უფლებამოსილებანი. კერძოდ, ეს

უნდა შეეხოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის, სახელმწიფო სასურსათო რეზერვების მართვის, აგრეთვე სურსათის წარმოების აუცილებელი და ფაქტიური დონეების ბალანსის შედგენის საკითხებს.

ამასთან ერთად, სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი კონტროლის სისტემამ უნდა მოიცვას არა მხოლოდ სურსაოის წარმოებისა და მიწოდების, მისი სასაქონლო მარაგების აღრიცხვა, სურსათის საბითუმო პარტიების მოძრაობაზე კონტროლი მისი წარმოებიდან ან ქვეყნის ტერიტორიაზე იმპორტიო შემოტანიდან მომხმარებლებისადმი მიწოდებამდე, არამედ ასევე სურსათის ხარისხის სერტიფიკაციაც ეკონომიკური და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად.

ასეთი კანონის შემუშავება და მიღება აუცილებელია იმ მხრივაც, რომ საქართველო ემზადება ევროკავშირში შესასვლელად. საქმე ისაა, რომ, ჯერ ეროი, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც 1998 წლის 1 სექტემბრიდან ქვეყანაში მიღებული ყველა ახალი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის სამართლებრივ აქტებს; და მეორეც, ევროკავშირი ატარებს ერთიან პოლიტიკას, რომელიც წევრი ქვეყნების მონაწილეობით მუშავდება და საკალდებულოა ყველა მათგანისათვის.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაღალგანვითარებული აგროსასურსათო სექტორი, ინტენსიური მეურნეობრიობის ტრადიციები, საბაზრო მექანიზმებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების შეხამების დიდი გამოცდილება და ევროკავშირის საშინაო ბაზრის გაჯერების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოს აგროსასურსათო სექტორში მოითხოვს სიტუაციის ადეკვატური საკანონმდებლო, ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას შრომის მწარმოებლურობის გადიდების, სასურსათო ბაზრის სტაბილიზების, სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის და სოფლად ცხოერების დონის ამაღლების ამოცანების შესრულების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. Илъина З.М., ÌèaîèèÈÈ¿ И.В. Рынки селъско-хозяйственного сыръя и продоволъствия. Минск: Наука, 2010, 226 с.

2. გეგენავა ლ., ლაკუეპიანი თ., შოშიაშვილი ლ. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირები ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. – რეფერირებადი სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2010, №6, გვ. 59-60.

3. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.

4. Руцкой А. Радугин Н. Продовольственная безопасность: зарубежный опыт. - Журнал `АПК: экономика, управление", Москва, 1997, №2, с. 7-14.

5. Балабанов В.С., Борисенко Е.Н. Продовольственная безопасностъ: международные и внутренные аспекты. Москва, 2002, 393 с.

6. Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З. Россия в системе глобалъной продовольственной безопасности, http://www.duel.ru/publish/burdukov/glob.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.05.2011.

7. კოლუაშვილი პ., გიორგაძე ჯ., რამიშვილი ბ. სასურსათო პრობლემიდან – სასურსათო უსაფრთხოებამდე. თბილისი, 1999, 138 გვ.

მერაბ ვანიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ვანიშვილი
სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

სურსათით უზრუნველყოფის სტაბილიზაციური პოლიტიკა და სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მყარ საფუძველს ქმნის ძლიერი და მაღალეფექტიანად ფუნქციონირებადი აგროსასურსათო კომპლექსი. ამიტომ მისი მდგრადი განვითარების სათანადო სახელმწიფოებრივ მხარდაჭერასა და სტიმულირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აგროსასურსათო კომპლექსის მაკროეკონომიკური რეგულირების მოქნილი სისტემის ქმედითი გამოყენებით, თვითრეგულირებისა და რეგულირების მექანიზმის ოპტიმალური შეთანაწყობით.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფომ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში თითქმის მთლიანად მოიხსნა საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ვალდებულებები და ეს საქმე ფაქტობრივად თვითდინებაზე იქნა მიშვებული.

თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აგროსასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი რეგული-რების ქმედითი ინსტრუმენტი უნდა გახდეს მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, რომელთა ხანგრძლივობა 3-5 წელია და მოიცავენ, როგორც საკუთრივ წარმოების სფეროს, ასევე წარმოებით ურთიერთობათა სხვა მხარეებსაც.

ასეთი პროგრამის სახით, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოგვეელინოს საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების სასურსათო ბაზრის ფორმირების პროგრამა. მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომელიც მოიცავს სასოფ-ლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოების განსაზღვრული დონის მიღწევას, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერას, სურსათზე გარანტირებული ფასების დადგენა-შენარჩუნებას, ეკოლოგიური პრობლების გადაჭრას და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც აუცილებელია სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის.[1]

სადღეისოდ აგროსასურსათო კომპლექსის მაკროეკონომიკური რეგულირების ასეთი პროგრამების არარსებობა დღის წესრიგში აყენებს მუშაობის გააქტიურების აუცილებლობას მათი შემუშავების მიმართულებით.

აქ მთავარი ორიენტირებია: დასახული მიზნების მიღწევა, სასურსაოო ბაზრის სტა-ბილურობა, რყევების თავიდან აცილება, კონკურენტული გარემოს შექმნა და შენარჩუნება, დასაქმების დონის ამაღლება, აგროსასურსათო კომპლექსის სისტემაში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილური ზრდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში სასურსათო რესურსების ფორმირება უნდა განხორციელდეს უპირატესად ეკრძო სექტორის ინტენსიური განვითარებით. ამასთან, რეგულირებისათვის სახელმწიფომ შესაძლოა გამოიყენოს რეზერვების ფორმირების მექანიზმი მწარმოებელთაგან პროდუქციის გარანტირებულ ფასებში შესყიდვით.

ამ მიზნით აოვისებულ უნდა იქნეს განვითარებულ ქვეყნებში მწარმოებელთა მხარდაჭერის აპრობირებული ფორმები და მეთოდები (სუბსიდია, დოტაცია, ექსპორტის დაკრედიტება) იმ ზომით და ფარგლებში, რაც დაშვებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დოკუმენტებით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებითა და წესდებით, საქართველოს

[1] ამასთან, პროგრამაში ასახულ უნდა იქნეს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტური დაფინანსების მოცულობები, ასევე სხვადასხვა სახის შეღავათები და სტიმულები მასში მონაწილე სამეურნეო სუბიექტებისათვის.

საერთაშორისო ვალდებულებებით. მასთან, რეგულირებისათვის ფართოდ არ უნდა იყოს გამოყენებული არაპირდაპირი სუბსიდირების მექანიზმები. ამ ფორმების გამჭვირვალობა და მიზნობრიობა განპირობებულ უნდა იქნეს შესაბამისი სახელმწიფოებრივი პროგრამებით.

ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, შესაბამისი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის ფარგლებში, შესაძლებლობათა არსებობის კვალობაზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერის, აგროსასურსათო კომპლექსის დარგებში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილურობის უზრუნველყოფის, საწარმოო და სოციალური ინ-ფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, რომელთა დაფინანსება განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

აგროსასურსათო კომპლექსის საბაზრო რეგულირების მექანიზმში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასები და ფასწარმოქმნის პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე. ფასები, ერთი მხრივ, ასტიმულირებენ მიწოდების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, გაფლენას ახდენენ მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნაზე, მისთვის მეტად ან ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიან სასურსათო საქონელს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ძირითად სახეობაზე ფასების გათავისუფლება მოხდა 1992 წლის თებერვალსა და ივლისში განხორციელებული ფასების ლიბერალიზაციის მეორე რაუნდის შედეგად. მთავრობის კონტროლის ქვეშ დარჩა მხოლოდ პური, რძის და ზოგიერთი საზოგადოებრივი მომსახურების ფასები. 1995 წლის დასაწყისისათვის სასურსათო პროდუქტებიდან მხოლოდ პური და რძე იყიდებოდა ფიქსირებული ფასებით, ე.წ. „რეკომენდებული ფასები" გამოიყენებოდა სახელმწიფო მაღაზიებში გაყიდულ ბევრ სასურსათო საქონელზე (ჩამოსასხმელი ღვინო, ლუდი, მინერალური წყალი, ძეხვის სხვადასხვა სახეობები, ხილი და დაკონსერვებული ბოსტნეული). ამასთან, აღნიშნული ფასები საზოგადოდ 30-80%-ით უფრო დაბალი იყო ანალოგიურ პროდუქტებზე კერძო მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ დადგენილ ფასებთან შედარებით.

განვითარების დღეანდელ ეტაპზე აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე ფასწარმოქმნის მკვეთრი სახელმწიფოებრივი კონცეფციის შემუშავება და გატარება. ასეთი კონცეფცია გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე გარანტირებულ, ხოლო სურსათზე კი - ზღვრული საბაზრო ფასების დადგენას. ასეთმა ფასმა უნდა დაფაროს წარმოების დანახარჯები და უზრუნველყოს გაფართოებული კვლაეწარმოების პირობები.[2]

ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სათანადო საბიუჯეტო დაფინანსებას. დღეისათვის აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა საბიუჯეტო დაფინანსება ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში წარმოების სტაბილურობას; გამოყოფილი საბიუჯეტო საშუალებები აშკარად არაკმარისია სასურსათო მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია აგროსასურსათო კომპლექსის მიმართ გატარებული საფინანსო პოლიტიკის გარდაქმნა, საბიუჯეტო საშუალებათა ძირითადი ნაწილის მიმართვა ცენტრალური და რეგიონული მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების დაფინანსებაზე. აგროსასურსათო კომპლექსის ფინანსური მხარდაჭერა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: საბიუჯეტო ასიგნებანი მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებზე; კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება; დოტაციები პროდუქციასა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე; ასიგნებანი დაზღვევაზე; ბანკების სესხების ნაწილობრივი კომპენსაცია.[3]

აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა სამეურნეო სუბიექტების დაკრედიტების დღეისათვის მოქმედი სისტემა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ახალ ეკონომიკურ გარემოში მყოფი ქვეყნის აგროსასურსათო მეურნეობის საკრედიტო მოთხოვნებს. აღნიშნული ვაკუუმის შესაფსებად საჭიროა დროებითი, მეტნაკლებად ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება აგროსასურსათო კომპლექსის საკრედიტო რესურსებით უზრუნველსაყოფად.

---

[2] ამასთან, წლის განმავლობაში უნდა მოხდეს მათი ყოველთვიური ინდექსაცია, მატერიალურ რესურსებსა და მომსახურებაზე ფასების, კრედიტისათვის სარგებლისა და სხვა პირობების ცვალებადობასთან დაკავშირებით.

[3] ამასთან, აგროსასურსათო სექტორის დაფინანსებისათვის ფაროოდ უნდა იქნეს მოზიდული არასაბიუჯეტო ფონდების სახსრები, მათ შორის საკრედიტო რესურსები.

თანამედროვე პირობებში ობიექტურად უნდა განისაზღვროს კრედიტების განთავსების წესი; შემუშავდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამის კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობათა პრინციპები, თანამშრომლობის მექანიზმები. საჭიროა სეზონურ დაკრედიტებასთან ერთად ფართოდ იქნეს გამოყენებული გრძელვადიანი დაკრედიტების ისეთი სპეციფიკური ფორმა, როგორიცაა ლიზინგი. ეს უკანასკნელი დიდ როლს შეასრულებს მოწყობილობათა ტექნოლოგიური მოძველებისაგან დაცვაში.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ინდივიდუალურ მწარმოებელთათვის კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდის დამატებით მექანიზმს წარმოადგენს ადგილობრივი საკრედიტო კავშირების შექმნა. საქართველოში მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდის დახმარებით 1995 წლიდან დაიწყო სოფლად გლეხთა საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბება. 2007 წლისათვის საქართველოში სულ რეგისტრირებული იყო 171 საკრედიტო კავშირი 1540,5 ათასი ლარის საპაიო კაპიტალით. გლეხთა საკრედიტო კავშირების ფორმირებისა და განვითარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს აგრეთვე ევროკავშირის RARP-I პროექტი, რომლის ფარგლებში უკვე შექმნილია 7 საკრედიტო კავშირი რომლებზეც ევროკავშირის საპარტნიორო ფონდიდან გაცემულია 1.9 მლნ ლარის კრედიტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებულ უნდა იქნეს საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც საჭიროებს მოსალოდნელი ნეგატიური გამოვლინებებისაგან დაზღვევის წინასწარი კონტროლის გაძლიერებას გრძელვადიან პერსპექტივაში, კონკურენტული საკრედიტო ბაზრის ჩამოყალიბების კეალობაზე, რაც ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს. ამასთან, ინტენსიურად უნდა წარიმართოს აგროსასურსათო კომპლექსში თვითდაკრედიტების სისტემის ფორმირება, საწყის ეტაპზე სასოფლო საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებით, შემდგომში კი – ეტაპობრივად ამ კავშირების რეგიონული ასოციაციების, და საბოლოოდ, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სასოფლო დაკრედიტების კოოპერაციული ორგანიზაციის შექმნით.

ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის განვითარება და ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული სადაზღვევო სისტემის მწყობრ და გამართულ მუშაობაზე. ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოში 1991 წლიდან გაუქმებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სახელმწიფო დაზღვევა და ეს ფუნქცია გადაეცა კერძო სადაზღვევო კომპანიებს. ამჟამად ფერმერული მეურნეობები არც თუ ისე ხალისით მონაწილეობენ კომერციულ დაზღვევაში ფულადი საშუალების უმარისობის, სადაზღვევო შენატანების მეტისმეტად მაღალი განაკვეთებისა და არახელსაყრელი სადაზღვევო პირობების გამო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთიანი სახელმწიფო-კომერციული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება, სადაზღვევო გასაცემლებში ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია დამკვიდრდეს საკალდებულო დაზღვევა, უწინარეს ყოვლისა, სარისკო წარმეობაში, სადაზღვევო ბაზარზე შესაბამისი კერძო კომპანიებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნით. სადაზღვევო საქმის განვითარება უნდა გახდეს გრძელვადიანი ინვესტირებისათვის შინაგანი დანაზოგების წარმართვის მნიშვნელოვანი საფინანსო არხი.

სურსათით ქვეყნის მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფის მიღწევაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება სასურსათო ბაზრის რაციონალურ სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

ზოგადად, სასურსათო ბაზრის მაკროეკონომიკური რეგულირების მიზანი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: სამამულო წარმოების ხარისხიანი სასურსათო პროდუქტებით მომხმარებელთა გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესაბამისი დონის ფასების მიხედვით ეფექტიანი, ეკონომიკურად მისაღები მომარაგებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა. ასეთი პირობები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სასურსათო ბაზრის მთავარი კომპონენტების – მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებისას.

სასურსათო ბაზრის პროდუქციის მიწოდების მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულ უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევაზე: აგროსასურსათო კომპლექსის მდგრადი განვითარებისათვის სტაბილური ეკონომიკური და სოციალური პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება; მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხარისხიან სასურსათო პროდუქტებზე სოციალურად მისაღები ფასებით; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ბაზრების დაცვა საგა-

რეო ბაზრის მხრიდან „ჩაგვრისაგან", საბაზრო სივრცის ინტეგრირება; გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, სასურსათო ბაზრის საქმიანობაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ სარეალიზაციოდ წარდგენილი მთელი სასურსათო პროდუქციის შეუფერხებელ შეძენაზე;[4] სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ ჩაბარებული სასურსათო პროდუქციის ანაზღაურებაზე გარანტირებული, წინასწარ დათქმული ფასებით; სასურსათო პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რაციონალური გამოყენების ტექნოლოგიათა სრულყოფის დაფინანსება და შეღავათიანი დაკრედიტება.

სასურსაოო ბაზრის საქმიანობაში ჩარევისათვის აუცილებელი მარაგების არსებობის შემთხვევაში თვით სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული რეზერვების დაგროვებით. იმავდროულად პროდუქციის შეძენის გარანტია განამტკიცებს მწარმოებელთა რწმენას, იცავს მათ გაკოტრებისაგან, ასტიმულირებს წარმოების განვითარებას, რაც, საბოლოო ანგარიშში, იწვევს სასურსაიო ბაზრის სტაბილურობას.

პერსპექტივაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროდუქციის გასაღებაზე სახელმწიფო გარანტიის რეალიზების შემდეგი ორი ფორმის გამოყენება:

- საკონტრაქტო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს წლის დასაწყისში ხელშეკრულების გაფორმებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვაზე, ფიქსირებული დონის გარანტირებული ფასებით;
- სასურსათო პროდუქციის მიღება გირაოდ გარკვეული ვადით და ანგარიშწორებისას საგირავნო ფასების გამოყენება.[5]

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა დაცვა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ ნებასურვილით აირჩიონ საკუთარი პროდუქციის რეალიზების ფორმები, სახელმწიფო გარანტიების შემოთავაზებული სისტემა კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა რაციონალურ ტერიტორიულ გაადგილებას და ერთიანი საბაზრო სივრცის ფორმირებას.

ამასთან დაკავშირებით, დღეისათვის არსებითად მოსაგვარებელია საკითხი პროდუქციის გასაღების სახელმწიფო გარანტიებზე ქვოტების შესახებ. აგროსასურსათო კომპლექსის ინტერესების თვალსაზრისით, პროდუქციის მიღების ნებისმიერი შეზღუდვა არასასურველია. იგი ასევე მიუღებელია სახელმწიფოებრივი პოზიციიდანაც, რამდენადაც ანელებს სახლმწიფო სასაქონლო მარაგების დაგროვების ტემპებს. თუმცა, ზოგიერთი სახეობის დოტირებული პროდუქციის მიხედვით ბიუჯეტურმა შესაძლებლობებმა შეიძლება მოითხოვოს შესაბამისი შემზღუდავი ქვოტების შემოღება. ამ შემთხვევაში აუცილებელია დავეყრდნოთ რეგიონული დიფერენციაციის პრინციპს, რომელიც ასახავს აგროსასურსათო კომ-პლექსის დარგთა რაციონალური ტერიტორიული გაადგილების მოთხოვნებს.

შრომის ტერიტორიული დანაწილების გათვალისწინებით და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური პირობების საფუძველზე ერთიანი სასურსათო ბაზრის ფორმირებისათვის აუცილებელია: საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის ერთიანი ფასწარმოქმნის სტრატეგია და მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე ფასების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება.

დღეისათვის ძირითადი ყურადღება გადატანილ უნდა იქნეს ეროიანი სახელმწიფო სასურსათო ფონდის ფორმირებაზე, რომლის სიდიდეც ეფექტურ გავლენას ახდენს ქვეყნის სასურსათო ბაზარზე. სასურსათო ბაზრის საქმიანობაში ეფექტური ჩარევისათვის სახელმწიფო უნდა ფლობდეს კრიტიკული მასის მქონე სასაქონლო მარაგებს. რუს სპეციალისტთა გაანგარიშე-

---

[4] სახელმწიფოს მიერ პროდუქციის შეძენის გარანტია არ გამორიცხავს მწარმოებელთა უშუალო გასელას ბაზარზე. გარანტია გულისხმობს, რომ თუ მწარმოებელი ამა თუ იმ მიზეზით მი-ზანშეწონილად არ ჩათელის პირდაპირ მიმართოს საბაზრო არხებს, სახელმწიფო იძლევა გარანტიას მიიღოს მისი პროდუქცია გარანტირებული (შესასყიდი ან გირავნობის ფასებით).

[5] თანამედროვე პირობებში სასურსათო პროდუქციის მიღება გირავნობის პრინციპით მთლად სასურველი არ არის, რამდენადაც ქვეყანაში გირავნობითი ურთიერთობები ჯერ კიდეე არაა სრულფასოვნად ათვისებული.

ბით, ამისათვის საკმარისია იმ პროდუქტის სასაქონლო მოცულობის 50-55%, რომლის მიმართაც ხორციელდება სახელმწიფოებრივი რეგულირება [1, გვ. 63].

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია შემუშავდეს საჭირო მოცულობებით ფონდების შეკვეთების უზრუნველმყოფი ეკონომიკური მექანიზმი. თანამედროვე პირობებში გამოირიცხება მწარმოებლებზე გარე-ეკონომიკური ზეწოლის შესაძლებლობა. სახელმწიფო და რეგიონულ ფონდებში სასურსათო პროდუქციის მიწოდების კონტრაქტი უნდა იყოს ეკონომიკურად მიმზიდველი. მისი გაფორმებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მწარმოებელთა დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, რაც, ბუნებრივია, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაზრო მექანიზმის მოქმედებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მიწოდების მხარდაჭერის პოლიტიკასთან ერთად, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მოთხოვნის მხარდაჭერასა და რეგულირებას, მომხმარებელთა შემოსავლების სტაბილიზაციისა და ამაღლებისათვის.

ფასების ლიბერალიზების შედეგად ქვეყანაში შექმნილი პარადოქსული სიტუაციის გათვალისწინებით, მოლიანად აგროსასურსათო კომპლექსის მიხედვით, მოთხოვნის რეგულირების შესაძლო ვარიანტებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საცალო ფასების შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე.[6] შესაძლოა საცალო ფასების შეზღუდვის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ცალკეული სახეობის სასურსათო პროდუქტების გაყიდვა ფიქსირებული საცალო ფასებით;
- ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის გაყიდვა რეალიზაციის ყველა არხის მიხედვით, ზღვრული საცალო ფასებით;
- სასურსათო პროდუქტების გაყიდვა „მცურავი" ფასებით (მათი მინიმალური და მაქსიმალური დონეების ფარგლებში);[7]
- საცალო ფასების რეგულირება სასურსათო ბაზარზე ინტერვენციის გზით.

სასურსათო ბაზრის რეგულირების ზემოაღნიშნული მეთოდებიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებს ყველაზე მეტად შეესაბამება სასაქონლო ინტერვენციის მეთოდი. იგი შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნდეს ნორმალური კონკურენტული გარემო და კომპენსირდეს კონკრეტულ სიტუაციაში საბაზრო ინფრასტრუქტურების არასაკმარისი სიმტკიცე და მობილურობა. სასაქონლო ინტერვენციის დროული განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს საკმარისი სასურსათო მარაგები.

განვითარებული სასურსაოო ბაზრებისა და ცხოვრების მაღალი დონის მქონე ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, აგრეთვე ჩვენი დაკვირვებანი ახლად წარმოქმნილ საკუთარ ბაზარზე შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ საცალო ვაჭრობისა და მოხმარების დონის რეგულირება მეტად როულია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საინტერვენციო მარაგებიდან (სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან) სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის წესებს. ისინი უნდა იყოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული, სადაც აუცილებელია ჩაიდოს შემდეგი ძირითადი პირობები:

- სახელმწიფოს მხრიდან სასაქონლო ინტერვენციის გასატარებლად, სასურსათო პროდუქციის საინტერვენციო მოცულობები არ უნდა იყოს მისი რეალიზაციის საერთო ოდენობის 45-50%-ზე ნაკლები;
- სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან პროდუქციის რეალიზაციის ფასები, ერთი მხრივ, უნდა იყოს გარანტირებულ ფასებზე 30-40%-ით მაღალი, ხოლო მეორე მხრივ, არ უნდა იყოს საბაზრო ფასებზე არსებითად დაბალი;
- სახელმწიფო რესურსებიდან სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობები სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს, რათა მომხმარებლები და სავაჭრო ფირმები ფლობდნენ ინფორმაციას არსებული რესურსების შესახებ.

---

[6] უნდა შეენიშნოთ, რომ საცალო ფასების დონის შეზღუდვა გამოდის წმინდა საბაზრო საშუალებათა არსენალიდან. მისი გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფრო „რბილი" საშუალებები სასურველ შედეგს არ იძლევა.

[7] „მცურავი" ფასები, ისევე როგორც ფიქსირებული და ზღვრული ფასები, რეგულარულად უნდა გადაისინჯოს და ინდექსირდეს ამა თუ იმ პროდუქტზე მოთხოვნის რეალური ცვლილების შესაბამისად.

სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან სასაქონლო მარაგების რეალიზაციის მოცულობები მიზანშეწონილია გაიზარდოს საცალო ფასების მკვეთრი ამაღლებისას, რათა დაცულ იქნეს მომხმარებელთა ინტერესები. საცალო ფასების მკვეთრი შემცირების შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა გაყიდოს პროდუქცია. ამ სიტუაციაში მიზანშეწონილია მისი შესყიდვა, რათა დაცულ იქნეს მწარმოებელთა ინტერესები. აშრიგად, სახელმწიფო მარაგებიდან სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის აღწერილი მექანიზმი არ არღვევს საბაზრო პირობებს და ხელს უწყობს სასურსაოო ბაზრის სტაბილურობას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის რეგულირება საცალო ფასების შეზღუდვის გზით გათვლილია ყველა მომხმარებელსე, როგორც მდიდრებზე, ასევე ღარიბებზე.

არ გამოვრიცხავთ რა სახელმწიფო კონტროლს საცალო ფასებზე, მათი შეზღუდვის ამა თუ იმ მეთოდების გამოყენების გზით, აუცილებლად მიგვაჩნია მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირება, მისი ნაკლებუსრუნველყოფილი ფენებისათვის დახმარების გაწევის მეშვეობით. ასეთი დახმარების გაწევის ფორმები (უფასო კვების ბარათების გაცემა, უფასო კვების ორგანიზება სკოლებში, საავადმყოფოებში და სხვა სოციალურ დაწესებულებებში და ა.შ.) საკმაოდ კარგადაა ცნობილი და დიდი ხანია გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების მხარდაჭერა, სოციალური მიმართულების გარდა, მწარმოებელთა მხარდაჭერის ღონისძიებასაც წარმოადგენს, რამდენადაც იგი ადიდებს ერთობლივ მოთხოვნას მათ პროდუქციაზე და შესაბამის გავლენას ახდენს ფასებზე.

მთლიანად, აგროსასურსათო კომპლექსისა და სასურსათო ბაზრის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების ზემოაღნიშნული მექანიზმების შეთანაწყობა და ეფექტიანი გამოყენება საშუალოვადიან პერიოდში (2012-2015 წწ.) შესაძლებელს გახდის ქვეყანაში სურსათით უზრუნველყოფის სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში (2020 წ.) კი – სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის არსებითად გადაჭრას და ქვეყნის დამოუკიდებლობის მყარი საფუძველის შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З. Россия в системе глобальной продовольственной безопасности, http://www.duel.ru/publish/burdukov/glob.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.05.2011.
2. Боев В.Р., Румянцев Е.Е., Дадалко В.А. Продовольственная безопаность СНГ: Выбор альтернативы на пороге XXI века. Москва-Минск, 1998, 444 с.
3. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.
4. კოღუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004, 280 გვ.
5. Балабанов В.С., Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность: международные и внутренние аспекты. Москва, 2002, 393 с.
6. გაგნიძე ნ., ქოქაშვილი ნ., როსტიაშვილი მ. სასურსათო უზრუნველყოფის და უსაფრთხოების გლობალური პრობლემები საქართველოში. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2010, №4 (10), გვ. 86-88.
7. სილაგაძე ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო" მასალები, თბილისი, 25 მარტი, 2011 წ. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2011, სპეციალური ნომერი 1 (13), გვ. 69-71.

დავით ბიბიჩაძე
სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი
ნინო ვანიშვილი
დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებელი,
სტუ-ს არქივის სპეციალისტი

საბაზრო რეფორმები და სურსათით უზრუნველყოფის ზოგადი ტენდენციები საქართველოში

ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის ქვეშ იგულისხმება სურსათზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც მიიღწევა პიროვნების, საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოს ნორმალური სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადი განვითარება. იმის გათვალისწინებით, რომ სურსათი მიეკუთვნება ადამიანის პირველად სასიცოცხლო საჭიროებას, სასურსათო უსაფრთხოება უტოლდება ფიზიკურ უსაფრთხოებას, რომელიც იძლევა სიცოცხლის გარანტიას. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოება საზოგადოების სოციალლურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტთაგანია.

საქართველოს წინაშე, მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ამა თუ იმ ზომით ყოველთვის იდგა სასურსათო უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების პრობლემები.

ნიშანდობლიეა, რომ საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსი ტრადიციულად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში. იგი წარმოებით ურთიერთობათა მყარ ეკონომიკურ საფუძველზე ვითარდებოდა ყოფილ საბჭოთა სისტემაში და წარმოდგენილი იყო მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისა და მისი ნედლეულის გადამამუშავებელი კვების მრეწველობის შესაბამისი დარგების მეტნაკლები განვითარებით, რომელთაგან წამყვანი ადგილი ჩაის, ღვინის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, მინერალური წყლების, თამბაქოს და ეთერზეთების წარმოებას ეკავა.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოს აგროსასურსათო სექტორის წილად მოდიოდა ქვეყნის მშპ-ის 55, ეროვნული შემოსავლის 49 და ძირითადი საწარმოო ფონდების 42 პროცენტი. ამასთან, ქვეყანას მნიშვნელოვანი წელილი შეეტანა ყოფილი საკავშირო სასურსათო ფონდის ფორმირებაში. თუმცა, საქართველო ადგილობრივი დანიშნულების კვების ძირითადი პროდუქტების (ხორცის, რძის, მცენარეული ზეთის, ხორბლის) წარმოებით სრულად ვერ უზრუნველყოფდა საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ამ პროდუქტების დიდი ნაწილი ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოდიოდა.[1]

90-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების ფონზე, მოსახლეობა მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომელთა შორის ადამიანთა განწყობაზე, ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სასურსათო უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების პრობლემები.

იმ დროისათვის, საქართველოს მიმართ გამოყენებულმა რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ჩიხში მოაქცია ქვეყნის ეკონომიკური სისტემა. ტერიტორიების დაკარგვამ, სატრანსპორტო მაგისტრალების ბლოკირებამ და სამეურნეო კავშირების მოშლამ საქართველოს პროდუქცია გამოდევნა ტრადიციული ბაზრებიდან, ფუნქციონირება შეწყვიტა ექსპორტზე ორიენტირებულმა მრავალმა მსხვილმა და საშუალო საწარმომ. ფულად-საკრედიტო სისტემის მოშლამ განაპირობა მიწოდება-მოხმარების დეფიციტი, რითაც გზა გაეხსნა ქვეყნის შიდა ბაზარზე უცხოური დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული, მაგრამ იაფფასიანი პროდუქციის შემოდინებას.

---

[1] საგულისხმოა, რომ ადგილობრივი წარმოების ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, რძითა და რძის პროდუქტებით, პურითა და პურპროდუქტებით საქართველო მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა 1985 წელს შესაბამისად: 54,5; 31,7 და 14,4%-ით, ხოლო 1990 წელს – 15,5; 32,4 და 20,5%-ით [1, გვ. 137].

აღნიშნულის შედეგად, საქართველო პირველად აღმოჩნდა მსოფლიოში დაბალი ფულადი შემოსაელებისა და სურსათის დეფიციტის მქონე 82 სახელმწიფოთა რიცხვში, მისი მოსახლეობა კი ამ ქვეყნებში მცხოვრები 800 მილიონიანი არმიის წევრი გახდა. ამასთან, ევროკავშირის მისიის ექსპერტთა შეფასებით, ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 25-30 პროცენტი იმყოფება სიღატაკის ზღვარს ქვემოთ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის არც თუ შორეული წარსულის ცხოვრების დონეს და ქართველი კაცის შეხედულებას შიმშილისა და სიღატაკის მიმართ, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა რიცხვი ქვეყანაში გაცილებით მეტი აღმოჩნდება.

საქართველოს კვების მრეწველობა 90-იანი წლების დასაწყისში არსებული მძაფრი ინფლაციის, საბრუნავი საშუალებების მწვავე დეფიციტისა და ენერგეტიკული კრიზისის ფონზე მიუმზადებელი აღმოჩნდა გარდაქმნისა და ახალ პირობებში მუშაობისათვის. მან ფაქტობრივად ეველარ შეასრულა სოფლის მეურნეობისათვის დამკვეთისა და "გამწვევი ძალის" როლი და ადგილი დაუთმო სხვა ქვეყნების მიერ შემოთავაზებულ "ველურ ბაზარს". ამასთან, სოფლად გარდაქმნების ზედაპირულად, ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების, საზოგადოებაში დამკვიდრებული ფსიქოლოგიის გაუთვალისწინებლად განხორციელებამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კატასტროფული დაცემა გამოიწვია. კერძოდ, 1995 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1986-1990 წლების საშუალო-წლიურ მაჩვენებელს 75 პროცენტით ჩამორჩა, რის გამოც მოსახლეობას დააკლდა დიდი ოდენობით სასიცოცხლო მნიშვნელობის სასურსათო პროდუქტები.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს შორის საწარმოო-ეკონომიკური კავშირის შესუსტებამ ორგანიზებული საქონელმწარმოებელი თანდათანობით გამოდეენა ქვეყნის ბაზრიდან; დაიკარგა მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე მოპოვებული პოზიციებიც. კლასიკური საქონელწარმოების რეგიონებში დაიწყო არქაულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ნატურალური მეურნეობის რეანიმაცია, რომელსაც კონკურენტულ გარემოში გრძელვადიანი წარმატების პერსპექტივა არ გააჩნია [2, გვ. 68].

90-იანი წლების პირველ ნახევარში ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მოშლის, ნედლეულისა და გასაღების ბაზრების დაკარგვისა და საერთო სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის პირობებში აღგილი ჰქონდა ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის ეკონომიკურ დაქვეითებას, რამაც 1995 წლისათვის კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

ამის შედეგად ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა ძირითადი სასურსათო პროდუქტების საშუალო-წლიური მოხმარების დონე, გაუარესდა მისი სტრუქტურა და, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა მოსახლეობამ სასურსათო პრობლემის სიმწვავე, ყველა მისი განზომილებით (სურსათის მარაგები, ასორტიმენტი, ხარისხი, ფასი და სხვა), განსაკუთრებით იგრძნო მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც რეალობად იქცა შიმშილის პრობლემა. ამაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძირითადი სახეობის კვების პროდუქტების მოხმარების მონაცემები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

ფაქტობრივი მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ 1995 წელს რძისა და რძის პროდუქტების საშუალო – წლიურმა მოხმარებამ შეადგინა 1990 წლის დონის 31,4 პროცენტი, ხოლო პურისა და პურპროდუქტების, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის, კარტოფილის, ხორცისა და ხორცპროდუქტების, კვერცხისა და შაქრის საშუალო – წლიურმა მოხმარებამ კი – შესაბამისად: 83,1; 77,8; 71,8; 34,2; 47,2 და 35,3 პროცენტი.

ფაქტობრივი მონაცემების თანახმად, სულ უფრო მცირდება კვების პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარება, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით. კერძოდ, 1990-2001 წლებში მხოლოდ პურპროდუქტების ფაქტობრივი სულადობრივი მოხმარება აღემატებოდა ფიზიოლოგიურ ნორმას (1990 წელს – 42,0; 1995 წელს – 25,8; 2000 წელს – 0,3 და 2001 წელს – 0,2 პროცენტით). რაც შეეხება ხორცისა და ხორცპროდუქტების ფაქტობრივ სულადობრივ მოხმარებას, იგი 1990 წელს შეადგენდა ფიზიოლოგიური ნორმის 50,7%-ს, 1995 წელს – 17,4%-ს, 2000 წელს – 27,5%-ს, ხოლო 2001 წელს – 27,4%-ს. რძისა და რძის პროდუქტების ფაქტობრივმა სულადობრივმა მოხმარებამ შესაბამისად შეადგინა ფიზიოლოგიური ნორმის: 88,9; 27,9; 61,0 და 61,1 პროცენტი; კვერცხის ფაქტობრივმა მოხმარებამ კი – 58,1; 27,4; 53,6 და 52,6 პროცენტი. თითქმის ანალოგიური სიტუაციაა კარტოფილის (61,1; 43,9; 79,6 და 78,3 პროცენტი), ბოსტნეულისა და ბაღჩეულის (60,1; 45,0; 38,4 და 43,3 პროცენტი), ხი-

ლისა და ყურძნის (56,2; 42,7; 59,7 და 46,6 პროცენტი), შაქრის (59,4; 19,1; 60,5 და 56,1 პროცენტი), მცენარეული ცხიმებისა (37,5; 27,5; 67,1 და 89,5 პროცენტი) და თევზის (61,5; 4,6; 9,1 და 16,0 პროცენტი) მოხმარებაშიც.

აღნიშნულ მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ საქართველოს მოსახლეობა უმეტესი სახეობის სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილებას უპირატესად იმპორტის ხარჯზე იკმაყოფილებს. ასე, მაგალითად, 1996 წელს მარცვლეულით, კარტოფილით, ბოსტნეულით, მცენარეული ცხიმებით, შაქრით, ხორცით, ძროხის რძით და კვერცხით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენდა შესაბამისად: 42; 105; 98.8; 3.2; 22.8; 75.7; 62.6 და 63 პროცენტს. შემდგომ პერიოდში, სურსათის ადგილობრივ წარმოებაში მომხდარი გარკვეული პოზიტიური ძვრების შედეგად, 2002 წლისათვის მდგომარეობა ზოგიერთ პოზიციაში რამდენადმე გაუმჯობესდა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელმა შეადგინა შესაბამისად: 50; 103; 96.6; 23.3; 25.7; 75.5; 74.8 და 69 პროცენტი. მაშასადამე, ქვეყნის მოსახლეობის მიერ მოხმარებული მარცვლეულის 50, ბოსტნეულის 3.4.76.7, შაქრის 74.3, ხორცის 24.5, ძროხის რძის 25.2 და კვერცხის 31 პროცენტი იმპორტზე მოდის [1, გვ. 158].

საქართველოში შექმნილი უმძიმესი სასურსათო მდგომარეობის დაძლევის მიზნით ქვეყნის ხელისუფლებამ 1995 წლიდან დაიწყო რადიკალური აგრარული რეფორმის კურსის გატარება, რის შედეგადაც შეჩერებულ იქნა ტოტალური დაცემის პროცესი და ცალკეული მიმართულებებით შესამჩნევი გახდა მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია.

ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის უმთავრეს მიზნად დაისახა ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება, აგროსასურსათო კომპლექსის პოტენციალის სრულად გამოყენების გზით. ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის პოტენციალის ეფექტურად გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს არა მარტო აგილობრივი წარმოების სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ აგრეთვე მათი დასაქმება, შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში საქართველოს აქტიურად ჩართვა და მისი საექსპორტო შემოსავლების ზრდა.

აგრარულ გარდაქმნებს საფუძველი დაუდო მიწის რეფორმის განხორციელებამ, რომლის ფარგლებში თანმიმდევრულად და ეტაპობრივად მიმდინარეობს ქვეყანაში მიწის ბაზრის ფორმირება და მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება. იგი უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უპირატეს განვითარებას, მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას და სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის ზრდას.

მიწის პრივატიზების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის საერთო ფართობი. ასე მაგალითად, კერძო საკუთრებაში არსებულმა მიწის ფართობმა საშუალოდ ერთ კომლზე გაანგარიშებით 2000 წელს შეადგინა 0,9 ჰა, მაშინ როდესაც იგი 1990 წელს შეადგენდა 0,26 ჰა-ს. 2000 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სოფლად მცხოვრებ 693,4 ათას კომლს საკუთრებაში ჰქონდა 717,3 ათასი ჰა მიწის ფართობი (1,03 ჰა საშუალოდ ერთ კომლზე გაანგარიშებით), ხოლო ქალაქად მცხოვრებ 326,4 ათას ოჯახს – 72,4 ათასი ჰა (0,22 ჰა საშუალოდ ერთ ოჯახზე გაანგარიშებით).

საგულისხმოა ისიც, რომ კერძო სექტორის წილი მიწისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კერძო სექტორის წილად მოდიოდა მიწის საერთო ფართობის 12,4% (944,1 ათასი ჰა) და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25,2% (763,0 ათასი ჰა), მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებლები 1991 წელს შეადგენდა 2,9%-ს (211,4 ათასი ჰა) და 6,0%-ს (195,3 ათასი ჰა) [1, გვ. 141].

ამის შესაბამისად, 1985-2002 წლებში 5,8-ჯერ (424 ათასი ჰა-ით) გაიზარდა ოჯახურ მეურნეობებში არსებული ნათესი ფართობები. 2002 წლის მონაცემებით, ოჯახურ მეურნეობათა წილად მოდიოდა მთელი ნათესი ფართობების 90,9% (513,0 ათასი ჰა), მათ შორის, მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობის 92,7%, ტექნიკური კულტურების – 95,9, კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების – 93,2 და საკვები კულტურების ნათესი ფართობის – 68,7%.

კერძო სექტორის გაბატონებული მდგომარეობა დამკვიდრდა მეცხოველეობის დარგშიც. 2002 წლის მონაცემებით, კერძო მფლობელობაშია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადო-

ბის 99.6%, ფურისა და ფურკამეჩის - 99,7%, ღორის - 99,9%, ცხვრისა და თხის - 96,1%, ფრინველის - 98.8%, ბოცვერის - 94,8% და ფუტკრის ოჯახის - 97,0%.

ქვეყანაში აგრარული გარდაქმნების დაჩქარებას, აგროსასურსათო კომპლექსის ეკონომიკური დაქვეითების შერბილებასა და გარკვეულად დასტაბილიზებას საგრძნობლად შეუწყო ხელი ისეთი მნიშვნელოვანი კანონების ცხოვრებაში გატარებამ, როგორიცაა: "სელექციური მიღწევების შესახებ", "სანაშენო მეცხოველეობის შესახებ", "ვაზისა და ღვინის შესახებ", "სურსათისა და თამბაქოს შესახებ" და ა.შ.

არსებულ სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით ქვეყანაში არსებული კოლმეურნეობების, სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო საწარმოების რეორგანიზების გზით, დაფუძნდა 67 სააქციო საზოგადოება, 265 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 398 კოოპერატივი და "მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმის 152 სამეწარმეო სუბიექტი. უკანასკნელ პერიოდში ასევე სწრაფი ტემპით წარიმართა საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა პრივატიზების პროცესი.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემამ და საწარმოთა პრივატიზების პროცესის დაჩქარებამ რეალური ბიძგი მისცა საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებას აგროსასურსათო კომპლექსში, კერძო სექტორის (ოჯახური მეურნეობების) ხვედრითი წილის გადიდებას სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში. კერძოდ, გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში კერძო სექტორის ხვედრითი წილი 1990 წლის 48.0%-დან 98.2%-მდე გაიზარდა 2000 წელს [1, გვ. 145].

საქართველოს აგრარულ სექტორში განხორციელებული პრივატიზების შედეგად მივიღეთ მსხვილი წარმოების შეცვლა წვრილით, რასაც თან მოჰყვა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის თვისებრივად ახალი მდგომარეობა, საბაზრო ურთიერთობათა პრიმატით. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის განვითარებაში ადგილობრივი პირობებისა და წარმოების ტრადიციების გათვალისწინება და საბაზრო ურთიერთობების ოპტიმალური შეთანაწყობა სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ზრდის ფაქტორთან, ფასობრივი, ფულად-საკრედიტო, საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალური და სხვა მექანიზმების ქმედითად გამოყენებით.

აღნიშნული მიმართულებით განხორციელებულმა პროგრესულმა ძვრებმა შესაძლებელი გახადა გარკვეული დადებითი შედეგების მიღწევა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში, თუმცა კვლავ სახეზეა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის საერთო ჩამორჩენა.

საქართველოში აგრარული სექტორის დაბალეფექტიანობის, ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი კვების პროდუქტის წარმოების შემცირებისა და სხვა მიზეზთა გამო, უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე და სტრუქტურა.

საქართველოში 2009 წელს, 2006 წელთან შედარებით, პურისა და პურპროდუქტების მოხმარება ერთ სულზე მცირდება 2,7%-ით (3კგ-ით), ბოსტნეულის - 3,6%-ით (3კგ-ით), ხორცისა და ხორცპროდუქტების - 1,9%-ით (0.5კგ-ით), რძისა და რძის პროდუქტების კი - 19,1%-ით (31კგ-ით). ზრდის ტენდენციით ხასიათდება კვერცხის – 50%-ით (30 ცალით), შაქრის – 5.4%-ით (2კგ-ით) და მცენარეული ზეთის – 12,5%-ით (1კგ-ით) მოხმარება.

იგივე მაჩვენებლები 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, ხასიათდება შემდეგი ტენდენციით: მცენარეული ზეთის მოხმარება დარჩა უცვლელი (9კგ-ის დონეზე); ხოლო პურისა და პურპროდუქტების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, კვერცხისა და შაქრის მოხმარება შემცირდა შესაბამისად: 2.7%-ით (3კგ-ით), 83 %-ით 94კგ-ით), 10.2%-ით (6კგ-ით), 5.4%-ით (1.5კგ-ით), 19.1%-ით (31კგ-ით), 1.1%-ით (1 ცალით) და 2.5%-ით (1კგ-ით).

მაგრამ, თუ კვების პროდუქტების საშუალო მოხმარებას ფიზიოლოგიურ ნორმას შევადარებთ, დავინახავთ, რომ პურისა და პურპროდუქტების მოხმარება - 91%-ით, კარტოფილის - 62,8%-ით, ბოსტნეულის - 37,8%-ით, ხორცისა და ხორცპროდუქტების – 32,7%-ით, რძისა და რძის პროდუქტების - 32,8%-ით, კვერცხისა - 42,9%-ით, მცენარეული ზეთის – 90%-ით და შაქრის – 97.5%ით კმაყოფილდება.

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ უმეტესი კვების პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარება, ფიზიოლოგიური ნორმის ნახევარზე ნაკლებია. ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაა ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების და კვერცხის მოხმარებაში. ტრადი-

ციულად ნორმალური ვითარებაა პურისა და პურპროდუქტების, შაქრისა და მცენარეული ზეთის მიმართ, რომელთა ფაქტობრივი მოხმარება ნორმირებულთან ახლოსაა. ამიტომ არის, რომ მოსახლეობის მიერ მოხმარებული კვების პროდუქტების კალორიულობის სტრუქტურაში პურსა და პურპროდუქტებს 46,5 პროცენტი უკავია, მაშინ როცა ხორცსა და ხორცპროდუქტებზე, რძესა და რძის პროდუქტებზე, კვერცხზე და კარტოფილზე მოდის შესაბამისად: 3,4; 10; 14,7 და 26 პროცენტი.

კვების პროდუქტების მოხმარების თვალსაზრისით, საქართველოს სომხეთსა და აზერბაიჯანს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ ჩვენ აზერბაიჯანთან შედარებით 60 კგ-ით, ხოლო სომხეთთან შედარებით 96კგ-ით მეტ რძეს მოვიხმართ, შესაბამისად: კვერცხს 17 ცალით და 39 ცალით მეტს, მცენარეულ ზეთს 4,9კგ-ით და 4კგ-ით მეტს მოვიხმართ, შედარებით მეტს მოვიხმართ აგრეთვე შაქარს. სამაგიროდ, დასახელებული მეზობლები, ჩვენთან შედარებით, მეტს მოიხმარენ ხორცს, ბოს-ტნეულსა და ბაღჩეულს, ხილს, თევზს (განსაკუთრებით აზერბაიჯანელები) [3, გვ. 76].

მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების დონე რაციონალურთან შედარებით ორჯერ დაბალია, არა მარტო იმიტომ, რომ ქვეყნის ბაზარი ამ პროდუქტების დეფიციტს განიცდის, არამედ იმიტომაც, რომ მოსახლეობის მყიდველობითი უნარი ძალიან დაბალია. მაშასადამე, ქვეყნის მოსახლეობის არასათანადო სასურსათო უზრუნველყოფაზე ძირითად გავლენას ახდენა მათი დაბალშემოსავლიანობა.

ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების საკითხის გადაჭრა მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების წარმოებას, რეალიზაციასა და მოხმარებასთან. ამჟამად საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა და მისი გამოყენების მექანიზმი სრულად ვერ უზრუნველყოფს სასურსათო ბაზრის დაცვას უხარისხო, დაბინძურებული და ფალსიფიცირებული პროდუქტებისაგან, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკანონოდაა შემოსული რეალიზაციაში და შეუძლებელია მისი დამამზადებლის დადგენა.[2] ზემოაღნიშნულს თუ დავუმატებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ მოქმედებს ეკოლოგიურად დაბინძურებული პროდუქციის წარმოებაზე, შემოტანაზე, გასაღებასა და მოხმარებაზე კონტროლის მეტ-ნაკლებად ეფექტიანი მექანიზმები, მივიღებთ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მეტად ნეგატიურ ფონს, რომლის შედეგად გავრცელებას იწყებს საშიში დაავადებები, განსაკუთრებით მოზარდ თაობაში, რაც ქმნის მოსახლეობის დეგრადაციისა და გენოფონდის გადაგვარების საშიშროებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაეკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება ბევრი მახასიათებლის მიხედვით კრიტიკულ ზღვარს მიღმა იმყოფება. მიუხედავად კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობის შედარებით საკმარისი დონისა, მისი სტრუქტურა, საკვებ ნივთიერებათა შემადგენლობის თვალსაზრისით, არადამაკმაყოფილებელია. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არა აქვს საშუალება იმისა, რომ თავისი თავი უზრუნველყოს შედარებით დაბალფასიანი პროდუქტების ანაკრებით და მისი კვების ენერგეტიკული ფასეულობა შიმშილობის ზღვარზეც კი დაბალია. იმის გამო კი, რომ არ არსებობს მოსახლეობის სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქტებით უზრუნველმყოფი დარგების, მთლიანად აგრარული სექტორის განვითარებისა და დაცვის მკვეთრად გამოკვეთილი, თანმიმდევრულად მწყობრი და ეფექტიანი სტრატეგიული კურსი, სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების ისედაც არასასურველი დონე კიდევ უფრო უარესდება.[3]

---

[2] საგულისხმოა ისიც, რომ ქვეყანაში სურსათის ხარისხის კონტროლის სისტემის მოშლამ განაპირობა ევროპისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნიდან საეჭვო ხარისხისა და წარმოშობის, ვადაგასული პროდუქციის შემოტანა, მათ შორის ისეთი პროდუქტებისაც კი (ღვინო, შამპანური, არაყი, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები და ა.შ.), რომელთა ექსპორტიორს ტრადიციულად საქართველო წარმოადგენდა. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები დღის წესრიგში აყენებს აგროსასურსათო კომპლექსის მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და მაკროეკონომიკური რეგულირების გაძლიერების საკითხს.

[3] საგულისხმოა, რომ სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების მიხედვით კრიტიკულად მიჩნეულ 0,50 მნიშვნელობაზე გაცილებით დაბალია [გამონაკლისია მხოლოდ ყურძენი (118%), კვერცხი (101%), კარტოფილი (93%), სიმინდი (92%), რძე და რძის პროდუქტები (92%) და ბოსტნეული (76%)]. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი პოზიციები, როგორიცაა ხორცალი (8%), ფრინველის ხორცი (24%), ღორის ხორცი (37%), მცენარეული ზეთი და შაქარი. დამაფიქრებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში არ შეინიშნება აღნიშნული კოეფიციენტების გაუმჯობესების ტენდენცია. პირიქით, მთელი რიგი სასურსათო პროდუქტებისათვის იგი უარესდება კიდეც [7, გვ. 81-92].

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.

2. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება). ნაწილი II. თბილისი, 1999, 315 გვ.

3. ბერიძე ზ. სასურსათო ბაზრის ფორმირება და განვითარება საქართველოში. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2010, №4 (10), გვ. 75-78.

4. ვანიშვილი მ., ქაჯაია ქ., ჯუღელი გ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები (რუსულ ენაზე). – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2009, №4 (4), გვ. 126-129.

5. Балабанов В.С., Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность: международные и внутренные аспекты. Москва, 2002, 393 с.

6. სილაგაძე ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო" მასალები, თბილისი, 25 მარტი, 2011 წ. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2011, სპეციალური ნომერი 1 (13), გვ. 69-71.

7. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2010, 92 გვ.

რამაზ ოთინაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს სრული პროფესორი

ნინო ვანიშვილი
დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებელი,
სტუ-ს არქივის სპეციალისტი

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაცია და ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მყოფი საქართველოსათვის საგარეო-ეკონომიკური სფერო მჩოლოდ შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა ხარჯზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საშუალება კი არა, არამედ – მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის ჩართვის ერთ-ერთი მიმართულებაცაა. საბაზრო რეფორმა ქმნის საგარეო-ეკონომიკური კავშირების სიღრმისეული გარდაქმნის პირობებს, რომლებიც წარმოადგენენ მისი საერთო სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და კოოპერაციაში მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია კრიზისული მდგომარეობის სწრაფად და ეფექტიანად დაძლევა და აგროსასურსათო კომპლექსის რაციონალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. თანამედროვე პირობებში ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კავშირები იქცა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად.

ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მოწესრიგება წარმოადგენს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისა და აგრარული სტრატეგიის რეფორმირების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ძირითადი სახეებით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მისაღწევად აუცილებელია მისი საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოება და ოპტიმალური გამოყენება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საგარეო ვაჭრობის ლიბერალურმა რეჟიმმა და სამამულო საქონელმწარმოებელთა ფინანსური მხარდაჭერის შემცირებამ განაპირობა ქვეყნის სასურსათო ბაზრის დაბალხარისხიანი და იაფფასიანი იმპორტული სასურსათო პროდუქტებით გაჯერება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, სადაც თავმოყრილია ძირითადი გადახდისუნარიანი მოთხოვნა. ეს ზღუდავს სამამულო სასურსათო პროდუქტების გასაღების შესაძლებლობებს და საშიშროებას უქმნის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეისათვის, თავისი ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალით, ტექნიკური შეიარაღებით, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურით საქართველოს აგროსასურსათო კომპლექსი არაკონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე. ასეთ პირობებში საჭირო ხდება ისეთი საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ფორმირება და გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანას და მისი პოზიციების განმტკიცებას მსოფლიო ბაზარზე. ამასთან, მსოფლიო სასურსათო ბაზართან საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემები უნდა დარეგულირდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, როგორც საკუთარ საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერის, ასევე შიდა სასურსათო ბაზრის გაჯერების თვალსაზრისით.

უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში სასურსათო სიტუაციის დასტაბილიზება ფაქტობრივად შეუძლებელია აგროსასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის, საიმპორტო მოწოდებათა დაფინანსების საკითხის მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და სურსათის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო რეგულირების განხორციელების გარეშე. ამასთან, აუცილებელია ამოვიდეთ იქედან, რომ საიმპორტო შესყიდვების უზრუნველყოფა სახელმწიფო სახსრების ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირებისათვის. ნედლეულის და სურსათის

დანარჩენი ნაწილის საიმპორტო შესყიდვა კი უნდა განხორციელდეს ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

პროდუქციის ამ ნაწილის იმპორტისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაფინანსების არასაბიუჯეტო წყაროები (საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ გამოყოფილი კრედიტების ჩათვლით). ამასთან, სახელმწიფო უნდა გამოვიდეს გარანტად უცხოელი პარტნიორების წინაშე სესხების დაბრუნების საკითხში. ამგვარი სახელმწიფო გარანტიების მისაღებად აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ოაეიანთი უძრაეი ქონების (იმპორტით შეძენილი საქონლის ჩათვლით) დაგირავების ფორმა.

საგულისხმოა, რომ სურსათის მრავალი სახის წარმოება საქართველოში ჯერ კიდევ იმპორტით შეძენილი ნედლეულისა და მასალების გამოყენებას ემყარება. ეს, უწინარეს ყოველისა, ეხება: ხორბალს, შაქრის ლერწამს, ყავას, რძის ფხვნილს, თევზის პროდუქტებს, ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს. ჩვენი აზრით, აღნიშნული სახის სასოფლო-სამეურნეო და სასურსაოო ნედლეულის იმპორტი კელავ მისაღები იქნება უახლოესი მომაელისათვის.[1]

ნიშანდობლივია ისიც, რომ საკუთარი ნედლეულის უკმარისობის გამო, საქართველო იძულებულია ყოველწლიურად იმპორტით შეიძინოს დიდი რაოდენობით ხორბალი და სხვა მარცვლეული, ხორცი და ხორცის პროდუქტები, შაქარი, თევზი, რძე და რძის პროდუქტები, საკვები ზეთი, ბოსტნეული, ხილი და სხვა კვების პროდუქტები.[2]

ჩვენი აზრით, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აღნიშნული პროდუქტების იმპორტით შეძენის გაგრძელება მიზანშეუწონელი იქნება. ამიტომ უკვე უახლოეს პერსპექტივაში, სურსათით თვითუზრუნველყოფის საკითხის დარეგულირებით, თანდათანობით უნდა შემცირდეს ზემოდასახელებული პროდუქტების იმპორტი, რამდენადაც ქვეყანას გააჩნია მათი ადგილობრივი წარმოების გადიდების რეზერვები და შესაძლებლობანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში საქართველოს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა მიმართულ უნდა იქნეს იმპორტირებული სურსათის მოცულობის შემცირებაზე, განსაკუთრებით იმ ასორტიმენტული ჯგუფების მიხედვით, რომელთა საკმა-რისი ოდენობით წარმოებაც ჩვენთან სავსებით შესაძლებელია. იმპორტის შემცირებისას უნდა შემუშაედეს მისგან თანდათანობით გათავისუფლების სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელება, ბუნებრივია, დაასტიმულირებს სურსათის შიდა წარმოების განვითარებას.

ამ მიზნით, ყოველწლიურად უნდა დაზუსტდეს იმპორტის მოცულობები სამამულო ნედლეულისა და სურსათის ჩამოყალიბებული ბალანსის, სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების შესრულების აუცილებლობის გათვალისწინებით. ამასთან, უნდა დაიხვეწოს იმპორტის სტრუქტურა, მასში ახალი ტექნოლოგიების, მანქანებისა და მოწყობილობების შეძენაზე ლიცენზიების ხვედრითი წილის ამაღლების მიმართულებით.[3]

ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში არანაკლები როლი განეკუთვნება სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტს, როგორც ეროვნული ინტერესების რეალიზებისა და სასურსაოო უსაფრთხოებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნის მნიშვნელოვან საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ექსპორტის მოცულობა, ბიზნეს-გარემო და ქართველი ექსპორტიორების სამუშაო პირობები კელავ გაუმჯობესებას მოითხოვს. კერძოდ, მოსაგვარებელია საბაჟო და საგადასახადო სამსა-

---

[1] ამას ორმხრივი სარგებლობა ექნება ჩვენი ქვეყნისათვის: ჯერ ერთი, შეივსება აღნიშნული სასურსათო ნედლეულის დანაკლისი; და მეორეც, სამამულო საწარმოებში იმპორტირებული ნედლეულის გადამუშაეების ეკონომიკური ეფექტიანობა უფრო მაღალია, ეიდრე იმპორტით შეძენილი ანალოგიური მსა პროდუქციისა. საწარმოთა სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფასთან ერთად, წლის განმავლობაში ბიუჯეტში შემოსაელები იმპორტირებული ნედლეულის გადამუშაეებიდან ბევრად უფრო მაღალი იქნება, ეიდრე ანალოგიური მზა პროდუქციის იმპორტით შეძენისას.

[2] საგულისხმოა, რომ საქართველოში კვების პროდუქტების იმპორტი 2003-2008 წლებში 79.1%-ით გაიზარდა [1. გვ. 70].

[3] ამ თვალსაზრისით, საქართველოსათვის გარე სამყაროსთან თანამშრომლობის ეველაზე ხელსაყრელ სფეროდ გვესახება ლიცენზიათა პაკეტის შეძენა, განსაკუთრებით მცირე მექანიზაციის საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და გადამუშაეების მოწყობილობების წარმოებაზე.

ხურებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც გარკვეულ ბარიერებს ქმნიან ქართული ექსპორტის განვითარებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ სასურსათო პროდუქტების ექსპორტის წყალობით მაღლდება აგროსასურსათო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობა და იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტიდან ამ ნედლეულისაგან სამამულო საწარმოებში გამოშვებული მზა სასურსათო პროდუქტების ექსპორტზე მასიურად გადასვლას. ამასთან, სასურსათო პროდუქტების საექსპორტო მიწოდებათა ეფექტიანობის ამაღლების, ექსპორტიორებისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ექსპორტიორთა ცენტრალური დარგობრივი გაერთიანების შექმნა. ამ გაერთიანების უმთავრეს ამოცანად გვესახება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ექსპორტის ძირითად მიმართულებათა დადგენა და საექსპორტო მიწოდებათა ეფექტურობის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოესი მომავლისათვის საქართველოს საგარეო-საჯარო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს უნდა შეადგენდეს სურსათის საექსპორტო ბაზის ეფექტიანი განვითარება. მისი საბაზრო და სასაქონლო ნაკადების ფორმირება იმ ქვეყნებში, საიდანაც შეგვეძლება მაქსიმალური მოგებისა და სარგებლის მიღება, სასურსათო უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა. მოცემულ მოთხოვნათა შესრულება ხელს შეუწყობს ისეთი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იქნება სამამულო საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერაზე, ერთი მხრივ, იმპორტირებული სურსათის ექსპანსიისაგან მათი დაცვით, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელ მწარმოებლებთან ინტეგრაციული და კოოპერაციული კავშირების სტიმულირებით, რაც პოზიტიურად აისახება ეროვნული საექსპორტო პოტენციალის განვითარებაზე.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2000 წლის ივნისში – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ემო-ში) საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღებით. ამ ორგანიზაციის წევრობა, ხელს შეუწყობს ქვეყნის სრულ ინტეგრაციას მსოფლიო სავაჭრო სისტემაში, ქართული საექსპორტო პროდუქციის პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საერთაშორისო ბაზრებზე, საქართველოსთან ვაჭრობაში დისკრიმინაციულ ქმედებათა თავიდან აცილებას, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ეფექტურ ამოქმედებას.

საქართველოს, როგორც ემო-ს სრულუფლებიან წევრ-ქვეყანას, უფლება აქვს არასამართლიანი კონკურენციისაგან თავის დასაცავად გამოიყენოს ანტიდემპინგური და ე.წ. საკომპენსაციო გადასახადების სისტემა წინასწარ გამოვლენილი და დამტკიცებული ფაქტების საფუძველზე. ეს ნიშნავს იმას, რომ დემპინგური ფასით ან სუფსიდირებული საქონლის იმპორტისას მას შეუძლია მიიღოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები და დაიცვას ეროვნული ბაზარი არასამართლიანი კონკურენციისაგან.

გარდა ამისა, სუბსიდირებულ იმპორტთან კონკურენციის გაწევის მიზნით საქართველოს შეუძლია გაატაროს სპეციალიზაციის ძირითადი დარგების მხარდამჭერი პოლიტიკა, სპეციალური სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და სუფსიდირების გზით. ასევე შეუძლია საგადასახადო შეღავათების დაწესება სასაქონლო აგრარული პროდუქციის წარმოებაზე, გააფართოოს საბაჟო შეღავათები სოფლის მეურნეობის პროდუქციის კვლავწარმოებისათვის საჭირო საშუალებების იმპორტზე, ანუ გამოიყენოს პირდაპირი სუფსიდირების მეთოდი იმ რაოდენობრივ ფარგლებში, რაც არ ეწინააღმდეგება ემო-ს რეკომენდაციებს.

საქართველოს ასევე მიეცა უფლება განახორციელოს აგროსასურსათო სექტორის კონკრეტული დარგების მიზნობრივი მხარდაჭერა, საწარმოო ხარჯების პირდაპირი სუფსიდირება, მტკიცე სახელმწიფო შესასყიდი ფასების დაწესება და ა.შ.

ემო-ს შეთანხმების თანახმად, მათ გამოყენებაზე წინასწარ დადგენილია რაოდენობრივი შეზღუდვები. ფინანსური მხარდაჭერის ზღვრული სიდიდე მიბმულია ექსპორტის მოცულობასთან, ამიტომ ამ უკანასკნელის ზრდის კვალობაზე პროპორციულად გაიზრდება კონკრეტული დარგებისადმი ფინანსური მხარდაჭერის აბსოლუტური სიდიდე. ამ კონტექსტში საყურადღებოა ისიც, რომ მხარდაჭერის საერთო ვალდებულებებში არ ითვლება ის დახმარება, რომელიც მიმართულია არა რომელიმე კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოებაზე, არამედ მოლიანად

აგრარული სექტორის განვითარებაზე. ამ შემთხვევაში დახმარების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულების 5 %-ს განვითარებულ ქვეყნებში და 10 %-ს განვითარებად ქვეყნებში.

მხარდაჭერის საერთო ვალდებულებების გამოთვლისას პოლიტიკური ზემოქმედების ზომები მრავალ კატეგორიად იყოფა და სხვადასხვა ფერის ყუთების სახელითაა ცნობილი. მათ შორისაა ე.წ. "ქარვის ყუთი", "ლურჯი ყუთი" და "მწვანე ყუთი". აგრარული სექტორისათვის განსაკუთრებით "მწვანე ყუთია" საინტერესო, რამდენადაც ის გულისხმობს პირდაპირი ანაზღაურების სხვადასხვა სისტემას, რომლის მიხედვითაც ხდება ფერმერთა სუბსიდირება წარმოებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების გარეშე. კერძოდ, ეს გადაწყვეტილებებია: საქონელმწარმოებლის პირდაპირი ანაზღაურების პროგრამა; მიწების კონსერვაციის პროგრამა; გარემოს დაცვის პროგრამა; სასურსათო დახმარება მოსახლეობის გარკვეული ფენისათვის; ფერმერთა შემოსაველების დაზღვევა; რეგიონული დახმარების პროგრამა; გარკვეული სახის საინვესტიციო დახმარებები; კვლევა, სწავლება, კონსულტირება; მარკეტინგული ინფორმაცია; სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გარკვეული სახის დახმარებები და სხვა. ასეთი პროგრამები არ გულისხმობს მწარმოებელთა პირდაპირ მხარდაჭერას, ამიტომ მათზე ვმო-ს შემზღუდავი ვალდებულება არ ვრცელდება. განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებული ვალდებულებები ითვალისწინებს ამ ქვეყნებში არსებული ჯერ კიდევ მაღალი ტარიფების შემცირებას.[4]

ვმო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ, ჩვენ ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე, ერომანეოისაგან განსხვავებული საგარეო ვაჭრობის რეჟიმი:

- ჩვეულებრივი – რომელიც ხორციელდება ვმო-ს არაწევრი ქვეყნების მიმართ;
- უპირატესი ხელშეწყობის – რომელიც ხორციელდება ვმო-ს წევრი ქვეყნების და აგრეთვე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებთანაც დადებულია შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულება;
- პრეფერენციული – რომელიც, თავის მხრივ, იყოფა: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმად და პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმად, რომელიც ვრცელდება საქართველოს ექსპორტზე ზოგიერთი ქვეყნის მიერ.

დღეისათვის საქართველო უკვე 30 ქვეყნის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) ბენეფიციარია. ეს სტატუსი საქართველოს მიანიჭა ევროკავშირის 25 წევრმა ქვეყანამ, აშშ-მა, შვეიცარიამ, კანადამ, იაპონიამ და თურქეთმა. თითოეულ ამ ქვეყანას აქვს პრეფერენციათა სისტემის საკუთარი სქემა, რომელიც ბენეფიციარებს მთლიანად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს საბაჟო გადასახადისაგან. მაგალითად, აშშ-ს პრეფერენციულ სავაჭრო რეჟიმში მოქცეული საქონელი საერთოდ თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან, რაც მნიშვნელოვანი შეღავათია. ამ ქვეყნის GSP-ის სისტემა 4600-ზე მეტი დასახელების საქონელს მოიცავს, რომელთა შორის საკმაოდაა წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო ჯგუფებიც.

ვმო-ში გაწევრიანებით საქართველომ დააფიქსირა "ბმული სატარიფო დონეები" და მომსახურებით ვაჭრობაში სპეციფიკური ვალდებულებების განრიგი. ამასთან, საქართველომ შეინარჩუნა უფლება გაზარდოს საბაჟო ტარიფები განსაკუთრებით მგრძნობიარე პროდუქტებზე (ნატურალური წვენები, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი და სხვ.). ამის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში "საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ". აღნიშნული უფლების გამოყენებით, საქართველოს მთავრობამ უკვე განახორციელა საბაჟო განაკვეთების ზრდა ქვეყანაში იმპორტირებულ ზოგიერთ სასურსათო პროდუქტზე, რაც სრულ შესაბამისობაშია ვმო-ს შეთანხმებებთან.

ვმო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების თანახმად, საქართველომ არ უნდა შემოიღოს რაიმე საიმპორტო შეზღუდვები და ამასთან, ბარიერები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ობიექ-

---

[4] დღეისათვის საქართველოს სატარიფო სისტემა მთლიანობაში საკმაოდ ლიბერალურია სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით. საბაჟო ტარიფები იმპორტზე ვარირებს 0%-დან 12%-მდე დიაპაზონში. მმო-ს მონაცემების მიხედვით, აქ მოქმედი საშუალო არიმეტიკული ტარიფი 7,2%-ს შეადგენს, მაშინ როცა მსოფლიო მასშტაბით ეს მაჩვენებელი 30-40%-ის ფარგლებში მერყეობს.

ტურად აუცილებელი ხდება მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა და ა.შ.

ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ საქართველომ მიიღო "ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი" ამ ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანასთან, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ქვეყნის მიმართ საგარეო ვაჭრობაში რაიმე ფორმით არ იქნება გამოყენებული დისკრიმინაციული პირობები. ამასთან, საქართველოზე ერცელდება ყველა ის შეღავათი, რაც მიენიჭება ნებისმიერ "მესამე ქვეყანას", ანუ "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" თანახმად, მხარეები ეალდებულებას კისრულობენ მიანიჭონ სხვა წევრი ქვეყნების პროდუქციას არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე მინიჭებული აქვს ამ რეჟიმის მიმცემ სახელმწიფოში ნებისმიერ სხვა ქვეყნის ანალოგიურ პროდუქციას.

ვმო-ში გაწევრიანების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა შიდა ბაზრის დაცვის უფრო ეფექტური სისტემა. ამასთან, ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, ქვეყანაში გაუქმებულია საბაჟო გადასახადი ექსპორტზე. ამგვარი ლიბერალური სისტემა ნოყიერ ნიადაგს ქმნის საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაციისათვის.

ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სავაჭრო ურთიერთობები ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან, როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით მაჩვენებლებში. ამაეე პერიოდში ქართულმა უალკოჰოლო სასმელებმა გზა გაიკაფა ევროპულ ბაზარზე, რასაც გარკვეული სტიმული ევროკავშირის მიერ ჩვენი ქვეყნისათვის მინიჭებულმა პრეფერენციალურმა რეჟიმმა მისცა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ვმო-ს წევრობა ავტომატურად არ ნიშნავს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიძნელეთა დაძლევას. ის არ იძლევა საექსპორტო ბაზრების მოპოვების გარანტიებს, თუმცა წევრობა იძლევა დამატებით შესაძლებლობებს რთული ამოცანების გადაწყვეტად, რომელთა რეალიზაცია ამ შესაძლებლობათა გამოყენებაზეა დამოკიდებული. მართალია, განვლილი მცირე პერიოდი არ იძლევა წევრობის შედეგის სრულფასოვანი და ყოველმხრივი ანალიზის საშუალებას, მაგრამ წევრობის ბევრი დადებითი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგი უკვე სახეზეა. კერძოდ, შეიქმნა მყარი საფუძველი მსოფლიოს ერთიან სავაჭრო სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევას არა მარტო საქართველოში, არამედ მოლიანად სამხრეთ კავკასიაში [2, გვ. 209].

აგრარულ სფეროში საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის დარგებში.

თანამედროვე ეტაპზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესი ქვეყნის აგროსასურსათო სექტორში ჯერ კიდევ დაბალი ინტენსივობით ხასიათდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ასპექტით ორგანიზაციულ-სამართლებრივი სახის მრავალი საკითხი უკვე მოგვარებულია.[5] ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საქართველო კაპიტალის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა იმპორტიორი სახელმწიფოა.

უახლოეს მომავალში საინვესტიციო აქტივობის ამაღლებამ შესაძლებელი უნდა გახადოს ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის დარგთა ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების ტემპების დაჩქარება, მორალურად მოძველებულ მოწყობილობათა რაოდენობის შემცირება, ფონდუსრუნველყოფისა და ფონდუკუგების მაჩვენებელთა გაუმჯობესება, წარმოებული პროდუქციის მთლიანი მოცულობის გადიდება.

საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების პოლიტიკა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოების გადიდებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას. ამიტომ საინვესტიციო პოლიტიკა უნდა იყოს მიზანმიმართული, რომელიც კაპიტალურ დაბანდებებს, უწინარეს ყოვლისა, მიმართავს აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების განმსაზღვრელ საწარმოო ობიექტებზე, ფერმერულ მეურნეობათა მხარდაჭერაზე.

---

[5] პრაქტიკულად უკვე შექმნილია ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს კანონებით: „უცხოური ინვესტიციების შესახებ", „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადის შესახებ".

საინვესტიციო საქმიანობის ამაღლებას სამეწარმეო სტრუქტურების მხრიდან შეიძლება ხელი შეუწყოს ფინანსური ლიზინგის გავრცელებამ, რომელიც იოვალისწინებს დროებით თავისუფალი ან მოზიდული საშუალებების მიმართვას ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსაზღვრული ვადით გადასაცემ ქონებაში ინვესტირებაზე.

საქართველოს აგროსასურსათო სექტორში ინვესტიციათა მოზიდვის გააქტიურებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს მიერ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და სურსათზე დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირება 10%-ის ფარგლებში. ამასთან, საჭიროა გარკეეული შეღავათები დაუწესდეს ფერმერებს საწვავ-საცხები მასალების, მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, კომბინირებული საკვების, თესლისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისას. ამ მიზნით, ვფიქრობთ, დადგა დრო, რათა ქვეყნის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეიმუშაოს და პარლამენტში განსახილველად შეიტანოს საკანონმდებლო აქტი "სოფლად ინვესტიციების შესახებ", რომელშიც აისახება ახალი კონცეფცია საინვესტიციო პოლიტიკის, გარანტიებისა და ინვესტიციათა დაცვის სფეროში.

საქაოველოს აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების მხარდასაჭერად, საინვესტიციო საქმიანობა აგებული უნდა იქნეს FAO-ს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო საკალუტო ფონდის, სხვა საეროაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული დონორი სახელმწიფოების (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია) საინვესტიციო საქმიანობის, მათი თანადგომისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გათვალისწინებით. ეს შესაძლებელს გახდის, არა მარტო გამოვლინდეს უცხოელ ინვესტორთა რეალური ინტერესები კონკრეტული პროექტებისადმი, არამედ აგრეთვე აქტიურად დაახლოვდეს ისინი სამამულო სურსათის მწარმოებელთა მოთხოვნებთან.

ამრიგად, საქაოველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, აგრარულ სფეროში ქვეყნის საგარეოეკონომიკური ურთიერთობები უნდა დაეფუძნოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ქვეყნებთან, რეგიონულ და სუბრეგიონულ გაერთიანებებთან დადებულ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს. ახალი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გაფორმებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ეროვნული აგროსასურსათო კომპლექსის განვითარების ინტერესები. ძირითადი ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნეს ქვეყანაში ტრადიციულად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის შემოტანის მოწესრიგებასა და თანდათანობით შემცირებაზე, საკუთარი საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებასა და გამოყენებაზე, ტრადიციულ ბაზრებზე პოზიციების აღდგენასა და ახალ ბაზრებზე გასვლა-დამკვიდრებაზე, საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებაზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერასა და განხორციელების ხელშეწყობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *სილაგაძე ა.* საქართველოს სოფლის მეურნეობის განეითარების შესახებ. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო" მასალები, თბილისი, 25 მარტი, 2011 წ. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2011, სპეციალური ნომერი 1 (13), გვ. 69-71.
2. *კოღუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ.* სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2010, 221 გვ.
3. *ვანიშვილი მ., ჯუღელი გ.* სასურსათო უსაფრთხოების გლობალური პრობლემები. – რეფერირებადი სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2010, №4, გვ. 61-63.
4. *კოღუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ.* ემო-ს რაუნდები და საქართველოს სატარიფო პოლიტიკა. – რეფერირებადი სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2010, №6, გვ. 33-38.
5. *Максаковский В.П.* Пути решения глобальной продовольственной проблемы, http://geo.1september.ru/article.php?ID=200203707, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.04.2011.
6. *Багабанов В.С., Борисенко Е.Н.* Продовольственная безопасность: международные и внутренные аспекты. Москва, 2002, 393 с.
7. Resolution of the UN Ceneral Assembly (XXIX) Session. New - York, 1977, 31 p.

თამარ ვანიშვილი
საუ-ს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
ნაზი ჭიკაიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
მერაბ ვანიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე დონის მაჩვენებელთა ფაქტორული ანალიზი და შეფასება საქართველოში

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასებისათვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მისი ისეთი ძირითადი მახასიათებლების ანალიზი, როგორიცაა სურსათის საკმარისობა, ხელმისაწვდომობა, ეკოლოგიური სისუფთავე და აგრეთვე სურსათის თვითუზრუნველყოფა. მაგრამ ზემოაღნიშნულ მახასიათებლების დონის უბრალო გათვლა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სრული სურათის შესაქმნელად აშკარად არასაკმარისია. ამისათვის აუცილებლად უნდა არსებობდეს შედარების სათანადო ბაზა, რომელთა თანაფარდობაშიც შესაძლებელი იქნება გარკვეული დასკვნის გაკეთება სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონის მიუღებლობის ან მისაღებლობის შესახებ.

აქ, უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება ადამიანთა ცხოველქმედების ისეთ „ზღვრულ" მაჩვენებლებს, როგორიცაა კვების კალორიულობა ანუ ენერგეტიკული ფასეულობა, მოხმარებულ ძირითად საკვებ ნივთიერებათა (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები) რაოდენობა და ა.შ.

საერთაშორისო პრაქტიკაში ადამიანის კვების ხარისხობრივი შეფასებისათვის ერთ-ერთ ძმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად იყენებენ ენერგეტიკულ ფასეულობას. ადამიანის მიერ მოხმარებული ენერგიის რაოდენობას ზომავენ კილოკალორიებში ან კილოჯოულებში. ამასთან, დღეისათვის უფრო მეტადაა გავრცელებული კილოკალორიების გამოყენება.[1]

ადამიანის მიერ მოხმარებული ენერგიის საშუალო მაჩვენებლის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა ე.წ. „ჟანგბადის მეთოდი."[2] ამის საფუძველზე დადგინდა, რომ ადამიანმა, ნორმალური ფიზიკური აქტივობის შემთხვევაში, უნდა მოიხმაროს დაახლოებით 2880 კკალ ენერგია. რეალურად, ადამიანის მიერ მოხმარებული ენერგიის მოცულობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სქესი, ასაკი, გაბარიტები, სასიცოცხლო ადგილის ბიოკლიმატური პირობები, შრომითი საქმიანობის სახე და ა.შ.

მოხმარებული ენერგიის შეკვების ერთადერთი წყაროა კვება. სურსათის ენერგოშემცველობა ანუ კალორიულობა ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფის უმთავრესი პირობაა. ადამიანის მიერ მიღებული საკვების ენერგეტიკული ფასეულობის მხრივ გამოყოფენ სამ დონეს: ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა (2500-3000 კკალ ენერგიის მოხმარება დღე-ღამეში); არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა (1500-2500 კკალ ენერგიის მოხმარება დღე-ღამეში); და კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა (1000-1500 კკალ ენერგიის მოხმარება დღე-ღამეში). FAO-ს მონაცემებით, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, სიცოცხლისუნარიანობის კრიტიკული დონე 1520-2150 კკალ-ის ფარგლებში მერყეობს, დღე-ღამეში 1520 კკალ-ზე ნაკლები ენერგიის მოხმარება

---

[1] ერთი კილოკალორია (კკალ) არის ენერგიის ის რაოდენობა რომელიც საჭიროა ერთი ლიტრი წყლის ერთი გრადუსით (ცელსიუსის შკალის მიხედვით) გასათბობად. ამასთან, ერთი კილოკალორია შეესაბამება 4.184 კილოჯოულს.

[2] საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ რაც უფრო აქტიურია ადამიანი ფიზიკური თვალსაზრისით, მით უფრო მეტ ჟანგბადს მოიხმარს იგი. ორგანული წარმოშობის საკვები ნივთიერებები მხოლოდ ჟანგბადთან ურთიერთქმედების შედეგად გამოყოფენ ენერგიას, ხოლო ერთ ლიტრ მოხმარებულ ჟანგბადს კი 4.8 კკალ გამოყოფილი ენერგია შეესაბამება. საშუალოდ ერთი შუახნის ადამიანი, ნორმალური ფიზიკური აქტივობისას, დაახლოებით 600 ლიტრ ჟანგბადს ხარჯავს დღე-ღამეში [1, გვ. 37-38].

კი შიმშილობის კლასიკური ფორმაა. აღნიშნული მონაცემები ზოგადი ხასიათისაა და მასზე შეიძლება მრავალმა ფაქტორმა (ადამიანის წონა, სქესი, ასაკი, შრომითი საქმიანობის სახე და ა.შ.) იქონიოს გავლენა.

ბუნებრივია, რომ ადამიანთა კვების ხარისხის შესაფასებლად მხოლოდ ენერგეტიკული მაჩვენებლების ანალიზი არაა საკმარისი. ამ მიზნით გამოიყენება კრებსითი კრიტერიუმებიც, რომლებიც დგინდება საკვები ნივთიერებების კომპლექსის მოხმარების მიხედვით.

საერთაშორისო განსაზღვრებით, კვების დარღვევად ითვლება პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე საკვები ნივთიერების უკმარისობით ან ზედმეტობით. აქ. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოთხ შემთხვევას:

- არასრულფასოვანი კვება - პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია არასაკმარისი ოდენობის საკვების ხანგრძლივი დროით მოხმარებით;
- უკმარისობის სპეციფიკური ფორმა - პათოლოგიური მდგომარეობა, გამოწვეული რაციონში ამა თუ იმ საკვები ნივთიერების ნაწილობრივი ან სრული იგნორირებით;
- ჭარბი კვება - პათოლოგიური მდგომარეობა, გამოწვეული ზედმეტი რაოდენობის საკვების მიღებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში;
- დაუბალანსებლობა - პათოლოგიური მდგომარეობა, გამოწვეული რაციონში აუცილებელი საკვები ნივთიერებების არასწორი თანაფარდობით [1, გვ. 41].

ადამიანის სრულფასოვანი კვების ძირითადი კრიტერიუმებია საკმარისობა, მრავალფეროვნება და ხარისხიანობა. იგი სხვადასხვა დასახელების სასურსათო პროდუქტების მეშვეობით, მრავალფეროვანი საკვები ნივთიერებებით მარაგდება, რომელთაც სპეციფიკური ფუნქციები აკისრიათ. კერძოდ, ადამიანი ენერგიას ძირითადად სამი სახის საკვები ნივთიერებებით იღებს. მათ მიეკუთვნება: ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები, რომელთა ენერგეტიკული ფასეულობა შეადგენს შესაბამისად: 4,0 კკალ (17,6 კჯოული), 9,0 კკალ (37,7 კჯოული) და 4,0 კკალ (17,6 კჯოული). ამასთან, ორგანიზმისათვის მთავარი ენერგომიმწოდებელია ნახშირწყლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი ენერგოდანახარჯების 55,0 პროცენტს. ცხიმები, მიუხედავად მაღალი ენერგოტევადობისა (ორგანიზმს აწვდის მთელი ენერგიის 33,0 პროცენტს), უპირატესად სათადარიგო ენერგომიმწოდებლებია და ორგანიზმში მარაგებს ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისათვის ყველაზე ნაკლები ენერგეტიკული დანიშ-ნულება ცილებს გააჩნიათ (მთელი ენერგომარაგების 12,0 %), ისინი მისთვის შეუცვლელი ნივთიერებებია; მათ გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობა. ამიტომ, ადამიანის სურსათით უზუნველყოფის დონის შეფასების უმნიშვნელოვა-ნესი მაჩვენებელი, ენერგოუზრუნველყოფასთან ერთად, მოხმარებული ცილების ოდენობაცაა. საშუალოდ, ერთი ადამიანისათვის ცილების მოხმარების დღიური ნორმა შეადგენს 80-100 გრამს.[3]

საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის ძირითად საკვებ ნივთიერებებზე ენერგიის წლიური მოთხოვნილებების და ცალკეული საკვები პროდუქტების ქიმიური შემადგენლობის ამსახველი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ცხოველური წარმოშობის ცილებით განსაკუთრებით მდიდარია ხორცისა და რძის პროდუქტები, მცენარეული წარმოშობის ცილებით კი - ლობიო. ნახშირწყლებით მდიდარია შაქარი, სიმინდის ფქვილი, ბრინჯი, მაკარონის ნაწარმი, ხორბლის ფქვილი, ხორბლის პური და ა.შ.

ზემოთაღნიშნულ სამ ნივთიერებასთან ერთად, ადამიანის ცხოველმყოფელობისათვის უდიდესია ისეთი ნივთიერებების როლიც, როგორიცაა ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები და წყალი.[4] ამიტომ ადამიანის სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად საჭიროა მისი სასიცოცხლო ნივთიერებებით კომპლექსური უზრუნველყოფა.

---

[3] ამასთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ, რომ განვითარებული სახელმწიფოები, რომელთაც გადაჭრეს სურსათის რაოდენობის საკითხი და ძირითად პრიორიტეტად ხარისხის ზრდა დაისახეს, ყოველნაირად ცდილობენ გაზარდონ ცილების წარმოება, რამდენადაც კვების რაციონში ცილების დონე ხარისხის უმთავრესი მაჩვენებელია.

[4] საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკვების გარეშე ადამიანი ძლებს 40 დღეს, ხოლო წყლის გარეშე მხოლოდ ორ კვირას. ზრდასრული ადამიანის ყოველდღიური მოთხოვნილება წყალზე შეადგენს საშუალოდ 2.5 ლიტრს, საიდანაც დაახლოებით 75% ორგანიზმში ხვდება სასმელებთან ერთად ან ნატურალური სახით, ხოლო დანარჩენი საკვების მეშვეობით და ორგანული ნივთიერებების წვის შედეგად.

საგულისხმოა, რომ ადამიანი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საჭირო საკვებ ნივთიერებებს სუფთა სახით კი არ ღებულობს, არამედ – კომპლექსურად, სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტებთან ერთად. ამიტომ, როდესაც ადამიანის კვების რაციონს ადგენენ, მასში ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მინერალური ნივთიერებების რაოდენობას კი არ მიუთითებენ, არამედ - სხვადასხვა სახეობის სასურსათო პროდუქტებისას.

ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, სასურსათო უსაფრთხოების ფიზიოლოგიური საფუძველების ჩინებული საშუალებაა, რამდენადაც კვების ნორმების დარღვევა, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებზე აისახება. ამასთან, მათი მეშვეობით ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შესახებაც შეიძლება საუბარი.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონის მაჩვენებელთა ფაქტორული ანალიზი დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, გამოყენებული ინფორმაციის ჭეშმარიტების ხარისხს ეხება. ამ მხრივ, ჩვენში ყველაზე დიდ ეჭვს იწვევს მოსახლეობის მიერ სასურსაოო პროდუქტების ფაქტიური მოხმარების მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოება განაპირობებს ჩვენს მიერ ჩატარებულ გაანგარიშებათა გარკვეული დონით სიზუსტეს, მისი შედეგები მაინც შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სასურსაოო უსაფრთხოების დონის შეფასების სრულიად მისაღებ ორიენტირად.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მეთოდიკის თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების დონის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია სურსათის საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება როგორც ღირებულებით (Kსაკმ.1), ისე ნატურალურ (Kსაკმ.2) გამოსახულებაში.

საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი ნატურალურ გამოსახულებაში გაიანგარიშება, როგორ კვების ფაქტობრივ დღე-ღამურ რაციონში შემავალი კკალ-ის რაოდენობის შეფარდება სამედიცინო ნორმების მიხედვით კვების დღე-ღამურ რაციონში შემავალ კკალ-ის რაოდენობასთან.

საგულისხმოა, რომ „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის №111/6 ბრძანების შესაბამისად, კვების დღე-ღამური რაციონის (მინიმალური სასურსათო კალათა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის)[5] ენერგეტიკული ღირებულება მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით შეადგენს 2300 კკალ-ს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის მიერ კვების დღე-ღამური რაციონის ფაქტობრივმა ენერგეტიკულმა ღირებულებამ 2009 წელს შეადგინა 2150 კკალ. მაშასადამე, საკმარისობის კოეფიციენტის სიდიდე ნატურალურ გამოსახულებაში ტოლია 0,93-ის:

$$K_{\text{საკ.2}} = \frac{2150\,\text{კკალ}}{2300\,\text{კკალ}} = 0{,}93$$

მიღებული შედეგი ლოგიკურია და ნათლად ადასტურებს, რომ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში მოსახლეობის კვების რაციონის ფაქტიური ენერგეტიკული ფასეულობა 7.0%-ით ნაკლებია მოხმარების რაციონალური ნორმებით გათვალისწინებულზე.

ამ სიტუაციაში უფრო დეტალურად გარკვევისათვის ჩვენს მიერ ჩატარდა კვების რაციონის ანალიზი მისი ქიმიური შემადგენლობის, აგრეთვე ენერგეტიკული ღირებულების თვალსაზრისით კვების რაციონის სტრუქტურის მიხედვით.

---

[5] მინიმალური სასურსაოო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას [2].

ანალიზმა გვიჩვენა, რომ კკალ-ების ენერგეტიკული ღირებულების 68,4 პროცენტი კვების ფაქტობრივ დღე-ღამურ რაციონში მოდის პროდუქტების ხუთ სახეობაზე: ხორბლის ფქვილზე (20,7%), ხორბლის პურზე (20,2%), შაქარზე (10,7%), სიმინდის ფქვილზე (8,4%) და მცენარეულ ზეთზე (8,4%). პროდუქტთა ამ სახეობებზე მოხმარების რაციონალური ნორმები ითვალისწინებენ დღე-ღამური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობის მხოლოდ 53,1 პროცენტს.

როგორც ანალიზით დადგინდა, საქართველოში 2009 წელს რძისა და ხორცის პროდუქტების ხვედრითი წონა მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით შეადგენს 28,4 პროცენტს, ხოლო ფაქტობრივი რაციონის მიხედვით - 16,5 პროცენტს. აქედან ყველაზე მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი მოუხდელი რძე და ყველი (5,0%-ით თითოეული). სწორედ ამის გამო, კვების ფაქტობრივ რაციონს აკლია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა ცილები და ცხიმები: კვების ივიერ (ფაქტობრივ) რაციონში ცილები 925,6, ცხიმები კი – 795,1 გრამით ნაკლებია მოხმარების რაციონალური ნორმებით გათვალისწინებულთან შედარებით. ყოველივე ეს მეტყველებს ქვეყანაში კვების თეიური რაციონის დაუბალანსებლობაზე და დღის წესრიგში აყენებს ცილებითია და ცხიმებით მდიდარი პროდუქტებით მინიმალური სასურსაოო კალათის შეკვეთების აუცილებლობის საკითხს.

ნიშანდობლივია, რომ კვების ფაქტობრივი რაციონის სტრუქტურა დიდადაა განპირობებული მოსახლეობის საერთო შემოსავლების დაბალი დონითა და მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობით. მიუხედავად შედარებით საკმარისი კალორიულობისა, კვების ფაქტობრივი თეიური რაციონის ღირებულება (48.4 ლარი) საგრძნობლად (2,6-ჯერ) ჩამორჩება მოხმარების რაციონალური ნორმებით გათვალისწინებულს (127,9 ლარი). ამის გათვალისწინებით, სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი ღირებულებით გამოსახულებაში ტოლია 0,38-ის:

$$K_{\text{საკმ.}1} = \frac{48.4 \text{ ლარი}}{127.9 \text{ ლარი}} = 0.38$$

Ksakm.1-is აღნიშნული სიდიდე ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დღეისათვის მოსახლეობა ვერ ახერხებს საკმარისი რაოდენობით მიიღოს ყველა აუცილებელი (მოხმარების რაციონალური ნორმების თანახმად) კვების პროდუქტი და მათში შემავალი ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერება, რადგან ეს პროდუქტები, როგორც წესი, მაღალფასიან პროდუქტთა კატეგორიას მიეკუთვნება.

საქართველოში სურსათის საკმარისობის დონის შეფასებისას აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში მოხმარებული კვების პროდუქტების რაოდენობა აღწევს 960 კგ-ს, მაშინ, როცა ჩვენთან ფაქტიური მოხმარება 2009 წლის მონაცემებით არ აღემატება 660 კგ-ს. თუ პროდუქტთა ნუსხიდან ამოვიღებთ კარტოფილსა და პურს, ამ შემთხვევაში საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების დონე შეადგენს 484 კგ-ს, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 741 კგ-ით განისაზღვრება.

კვების ამგვარი დონისა და სტრუქტურის პირობებში იწყება მოსახლეობის გენოფონდის გაუარესება, დაავადებათა დონის ამაღლებასთან დაკავშირებით. მოხმარებული კვების პროდუქტების რაოდენობის შემცირება განსაკუთრებით მწვავედ აისახება მოსარდ თაობაზე. ბავშვებში ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევათა კატასტროფული ზრდა არის ზემოაღნიშნული მდგომარეობის სამწუხარო არგუმენტი.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დონის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია სურსათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება, როგორც თვეში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავლის შეფარდება სასურსაოო კალათის გასაშუალებულ ღირებულებასთან.

ჩვენს მიერ ჩატარებული გაანგარიშების თანახმად, 2009 წლის მონაცემების მიხედვით, ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის სიდიდე ტოლია 1,14-ის:

$$K_{\text{ხელ.}} = \frac{146.4 \text{ ლარი}}{127.9 \text{ ლარი}} = 1.14$$

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსახლეობას არ შეუძლია მთელი თავისი შემოსავლები დახარჯოს სურსათის შესაძენად (საქართველოში 2009 წელს სურსათზე იხარჯებოდა მოსახ-

ლეობის შემოსაველების 53%), მაშინ აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები (0,61) იქნება.

სურსათის საკმარისობის და ხელმისაწვდომობის კოეფიციენტების მაჩვენებლები კრიზისული (ზღვრული) სიდიდეების შემოღების გათვალისწინებით მიიღებს შემდეგ სახეს:

$$K_{\text{საკ2}} = \frac{2150\ \text{კკალ}}{2150\ \text{კკალ}} = 1.0$$

$$K_{\text{ხელ.}} = \frac{146.4\ \text{ლარი}}{113.3\ \text{ლარი}} = 1.29$$

თუ გამოვალო იმ მოსაზრებიდან, რომ ქვეყანაში კვების ფაქტობრივი რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა შეადგენს 2150 კკალ დღეს, ხოლო ხელმისაწვდომობის დონეა 1,29, მაშინ შეიძლება სრულიად დასაბუთებულად ვამტკიცოდ, რომ სურსათის საკმარისობა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის არის 2773,5 კკალ დღეს დონეზე (2150X1,29) და იგი FAO-ს ექსპერტების მიერ დადგენილი სიცოცხლისუნარიანობის კრიტიკულ ზღვარს ზემოთ იმყოფება. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, ჯერ-ერთი, სურსათის შეძენაზე იხარჯება მოსახლეობის შემოსავლების 50-60 პროცენტი და, მეორე, ჩვენი გაანგარიშებები გასაშუალებულია და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლები და, შესაბამისად, მათ მიერ სურსათის მოხმარება ნაკლებია ქვეყანაში საშუალო სულადობრივ მაჩვენებელთან შედარებით, ადვილი წარმოსადგენი ხდება ის საფრთხე, რაც სიღატაკის ზღვარს ქვემოთ დარჩენილ მოსახლეობასა და მთლიანად ქვეყანას ემუქრება.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის ასევე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება, როგორც საკუთარი წარმოების მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულების შეფარდება მოლიანად მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულებასთან. ჩვენს მიერ, 2009 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ჩატარებული გაანგარიშების თანახმად, ჩვენი ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი ტოლია 0,42-ის:

$$K_{\text{თ.უ}} = \frac{567{,}6\ \text{მლნ. ლარი}}{1340{,}4\ \text{მლნ. ლარი}} = 0{,}42$$

თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტის აღნიშნული სიდიდე ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორს არის მოსახლეობის საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის მდგომარეობისაგან.

სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების მიხედვით კრიტიკულად მიჩნეულ 0,50 მნიშვნელობაზე გაცილებით დაბალია [გამონაკლისია მხოლოდ ყურძენი (118%), კვერცხი (101%), კარტოფილი (93%), სიმინდი (92%), რძე და რძის პროდუქტები (92%) და ბოსტნეული (76%)]. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი პოზიციები, როგორიცაა ხორბალი (8%), ფრინველის ხორცი (24%), ღორის ხორცი (37%), მცენარეული ზეთი და შაქარი. დამაფიქრებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში არ შეინიშნება აღნიშნული კოეფიციენტების გაუმჯობესების ტენდენცია. პირიქით, მთელი რიგი სასურსათო პროდუქტებისათვის იგი უარესდება კიდეც.[6]

ზემოაღნიშნულს თუ დავუმატებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ მოქმედებს ეკოლოგიურად დაბინძურებული პროდუქციის წარმოებაზე, შემოტანაზე, გასაღებასა და მოხმარებაზე კონტროლის მეტ-ნაკლებად ეფექტიანი მექანიზმები, მივიღებთ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მეტად ნეგატიურ ფონს, რომლის შედეგად გავრცელებას იწყებს საშიში დაავადებები, განსაკუთრებით მოზარდ თაობაში, რაც ქმნის მოსახლეობის დეგრადაციისა და გენოფონდის გადაგვარების საშიშროებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება ბევრი მახასიათებლის მიხედვით კრიტიკულ ზღვარს მიღმა იმყოფება. იუხედავად კვების ფაქტიური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობის შედარებით საკმარისი დონისა, მისი სტრუქტურა, საკ-

---

[6] მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მასალებიდან [3, გვ. 81-92].

ეებ ნივთიერებათა შემადგენლობის თვალსაზრისით, არადამაკმაყოფილებელია. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არა აქვს სა-შუალება იმისა, რომ თავისი თავი უზრუნველყოს შედარებით დაბალფასიანი პროდუქტების ანაკრებით და მისი კვების ენერგეტიკული ფასეულობა შიმშილობის ზღვარზეც კი დაბალია. იმის გამო კი, რომ არ არსებობს მოსახლეობის სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქტებით უზრუნველმყოფი დარგების, მთლიანად აგრარული სექტორის განვითარებისა და დაცვის მკვეთრად გამოკვეთილი, თანმიმდევრულად მწყობრი და ეფექტიანი სტრატეგიული კურსი, სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების ისედაც არასასურველი დონე კიდევ უფრო უარესდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოლუაშვილი ჰ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ. სასურსათო პრობლემიდან – სასურსათო უსაფრთხოებამდე. თბილისი, 1999, 138 გვ.

2. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი http://www.geostat.ge /cms/http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/saaresebominimumisgaangarisheba.pdf. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 25.01.2011.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2010, 92 გვ.

4. Ильина З.М., Мирочицкая И.В. Рынки сельско-хозяйственного сырья и продовольствия. Минск: Наука, 2010, 226 с.

5. გეგენავა ლ., ლაჭკეპიანი თ., შოშიაშვილი ლ. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირები ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. – რეფერირებადი სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2010, №6, გვ. 59-60.

6. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.

7. Руцкой А. Радугин Н. Продовольственная безопасность: зарубежный опыт. - Журнал `АПК: экономика, управление", Москва, 1997, №2, с. 7-14.

8. Балабанов В.С., Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность: международные и внутренние аспекты. Москва, 2002, 393 с.

9. Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З. Россия в системе глобальной продовольственной безопасности, http://www.duel.ru/publish/burdukov/glob.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.05.2011.

დალი ცინცქილაძე
გიორგი ბექაური
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და
ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის ხარისხის კურსდამთავრებულები

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება

საქართველო, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, სულ უფრო მეტი სირთულის წინაშე დგას 21-ე საუკუნის დასაწყისში. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, ერთი მხრივ ჩვენი დაუძინებელი მტრის, რუსეთის ამბიციები საქართველოს დაპყრობისა და მეორე მხრივ, გლობალიზაციის უკიდეგანო სივრცე, რომელიც სხვადასხვა დადებით ასპექტთან ერთად ბადებს ისეთ საფრთხეებს, როგორებიცაა თვითმყოფადი კულტურისა და ეროვნულობის დაკარგვა.

რაოდენ შემაშფოთებელიც უნდა იყოს, ჩვენ საუბრის წარმართვა გვიწევს სურსათით მოსახლეობის უსრუნველყოფაზე, არადა საქართველოს ძველმა ბერძნებმა "გეორგია" – მიწათმოქმედთა ქვეყანა უწოდეს. შესაბამისად, პრობლემაც მეტად რთულია და მრავალი განშტოება გააჩნია.

ჩვენ, როგორც ფინანსისტები, ამ პრობლემათა წარმოშობის სათავეს საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ვეძებთ და მემგონი რომ ვპოულობთ კიდეც. პირველი პრობლემა, რომელიც მეტად რთულია, უკავშირდება ფულის გაცვლით კურსებს. საერთოდ, ქვეყნები ცდილობენ ეროვნული ვალუტა უცხოურთან მიმართებაში შეასუსტონ, რათა გაზარდონ ექსპორტის მოცულობა, ჩვენთან კი პირიქით ხდება, ვალუტას ეროვნული ბანკი ხელოვნურად ამყარებს, რაც არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ადგილობრივ მეწარმეებს:



ერთი შეხედვით ეს გამართლებულია იმპორტის თვალსაზრისით, რადგან უფრო ნაკლები ლარით მეტ დოლარს ვყიდულობთ, მაგრამ სულ უფრო მეტად ვხდებით დამოკიდებულნი იმპორტზე. მაშინ როცა მსოფლიო კრიზისშია, ჩვენთვის ინფლაცია იმპორტირდება:

დიაგრამებზე კარგად ჩანს, რაოდენ დიდ გავლენას ახდენს სურსათზე ფასების ზრდა ინფლაციის საერთო დონეზე და რა საგანგაშოდ იზრდება იმპორტირებული პროდუქტის მოცულობა ბოლო წლებში. ეს გაუმართლებელია სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით, სასურსაოო უსაფრთხოების დონე გამოთვლება თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტით, რომელიც განისაზღვრება სურსათის საერთო მოხმარების მოცულობის შეფარდებით ადგილზე წარმოებული სურსათის მოცულობასთან. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს კოეფიციენტი უკანასკნელ ოც წელიწადში 99 დან 113%-მდე გაიზარდა, ხოლო განვითარებად ქვეყნებში პირიქით, შემცირდა 103 დან 98%-მდე. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბოლო ათი წლის მონაცემებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 99-დან 94%-მდე შემცირდა. საქართველოში კი 20-30%-ია. (!)

ფასების ცვლილების გავლენა წლიურ ინფლაციაზე



სურსათის იმპორტი (მილიონი აშშ. დოლარი)



ქვეყნის ბიუჯეტი და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია უნდა პასუხობდნენ ამ გამოწვევებს და აუცილებელია განისაზღვროს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების და ადგილობრივი ბაზრის მწარმოებლურობის გაზრდის სტრატეგია. პირველადი მოხმარების სურსათის ადგილობრივი წარმოება კატასტროფულად იკლებს:



პარადოქსულია, როცა პრიორიტეტულ დარგად ტურიზმია დასახელებული, ცდილობ მათგან დოლარების მოზიდვას და ამავე დოლარებით, ტურისტთა გამოსაკვებად, ახდენ სურსათის იმპორტს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს იმპორტულ საქონელზე დამოკიდებულების შემცირება და არ ვიზიარებთ აზრს, რომლის მიხედვითაც საქართველოს უახლოეს პერიოდში ექსპორტის წარმოების გაზრდა ძალუძს.

ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე საინტერესო პროექტი იყო. მაგ: იაფი სესხის პროექტი, რომელიც არ ემსახურებოდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, თუმცა ბევრმა ამ მიმართულებით აიღო სესხი. სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია და სავარაუდოა რომ ამ პროექტმა მიზნობრივი შედეგები ვერ მოიტანა, მითუმეტეს თუ გავიოვალისწინებო რამდენიმე ჟურნალისტის კვლევას და მათ უარყოფით შედეგებს. ვერც ლიბერალური ეკონომიკის პრინციპებით ვერ მოვხიბლეთ ინვესტორები ამ დარგში თანხის ჩასადებად, ეს ჩვენთვის არცაა გასაკვირი, რადგან საქართველოში უამრავი რესურსია ასათვისებელი და იქ უფრო კარგი შეტანა იშოვება. (რენტაბელურობა - შედეგები ერთ ლარზე მიღებული შემოსავლით), რისკებიც ნაკლებია და საწყისი კაპიტალის მოცულობაც არ არის მაღალი. შესაბამისად სახელმწიფო რომლის მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8.4%-ს აწარმოებს უნდა ცდილობდეს ამ დარგის განვითარებას. პრობლემათა მოგვარების წინაპირობად არც იაფი სესხი და არც დაზღვევა მიგვაჩნია, რადგან არც ერთი მათგანი არ ქმნის რეალურ მოლოდინს გლეხებში და არ ასტიმულირებს ბაზარს. აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს სახელმწიფო ხსნიდეს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხზე მოქმედი ფაქტორებია:

1. სათესლე მასალა;
2. აღმოცენების და მოყვანის პირობები;
3. მოსავლის აღების პირობები;
4. მოსავლის ტრანსპორტირება;
5. პირველადი დამუშავება;
6. მოსავლის მომზადება შესანახად;
7. გადამუშავება და სხვადასხვა სახის პროდუქტის წარმოება;

Z – კადრები.

საქონელი ბაზარზე შეიძლება მოხვდეს მე-4 საფეხურის შემდეგ. ამ ეტაპის შემდეგ საქონლის შემოწმება და მისი ბაზარზე არ დაშვება მომხმარებელს კი იცავს მოწამელისაგან თუმცა წყალში იყრება მთელი წლის განმავლობაში გაწეული შრომა. პრობლემათა სათავე პირველი ნაბიჯიდან იწყება და შესაბამისად პრევენციაც სათავიდანვე უნდა განვახორციელოთ. ამისათვის კი აუცილებელია სათესლე მეურნეობებისთვის სერთიფიკატების მინიჭება და კონტროლი. არსებობს სტანდარტების სხვადასხვა კატეგორია:

- საერთაშორისო;
- რეგიონალური;
- სახელმწიფო დარგობრივი;
- რესპუბლიკური წარმოების.

მიზნობრივი რა თქმა უნდა საერთაშორისო სტანდარტებია, თუმცა მისი მიღწევა განვითარების ამ ეტაპზე მიუღწეელად მიგვაჩნია, რადგან აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მეორეს მხრივ მის მისაღებად გადასახდელი თანხა ბევრად დიდია. შევჯერდეთ აზრზე რომ აუცილებელია სახელმწიფო ახდენდეს რესპუბლიკური სერთიფიკატების მინიჭებას რაც შეიძლება მოკლე ხანში და გამკვირვალედ.

ვინაიდან კადრები ყველა ეტაპზე აუცილებელია, აქსიომად უნდა მივიჩნიოთ მათი ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა, რომელიც ერთის მხრივ ჟურნალების დახმარებით შეიძლება მოხდეს, ხოლო მეორეს მხრივ რეგიონალურ ცენტრში გახსნილი გლეხთა მომსახურების ცენტრები, რომლებიც ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდიან ხარისხის მართვის შესახებ.

სასურსათო უსაფრთხოების (ხარისხის) შეფასების მეთოდიკა ინდექსების მეშვეობით ხორციელდება და ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის გასაანალიზებლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: სურსათის საკმარისობა, სურსათის ხელმისაწვდომობა და სურსათით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფა. თითოეული მათგანის შეფასება ხდება ზოგადი და კერძო კოეფიციენტების მეშვეობით. საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი, გაიანგარიშება, როგორც კვების ფაქტიური დღე-ღამური (თვიური) რაციონის ღირებულების შეფარდება სამედიცინო ნორმების მიხედვით კვების დღე-ღამურ (თვიურ) რაციონის ღირებულებასთან. რაც შეეხება საკმარისობის კერძო კოეფიციენტებს, ისინი უნდა გაანგარიშდეს საკვები პროდუქტების ცალკეული სახეობების მიხედვით, ცალ-ცალკე – ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის.

ხელმისაწვდომობის ზოგადი კოეფიციენტი იანგარიშება როგორც თვეში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავლის შეფარდება სასურსათო კალათის გასაშუალებულ ღირებულებასთან. კერძო კოეფიციენტები კი იანგარიშება შემოსავლის სხვადასხვადონიანი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით.


ბალანსირებული (მეტაბოლური)
ლაბილურსუფალი
ექსპორტი
ბალანსირებული ხოლოდ კოეფიციენტი
ადგილობრივი ბაზრებზე
ადგილობრივი ბაზრებზე
ადგილობრივი ბაზრებზე

4. სტრატეგიის შემუშავება; .

5. პოლიტიკის რეალიზება და მიღწეული პარამეტრების შედარება გეგმიურთან.

6. სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაკვირვებით უნდა განისაზღვროს საკვებ პროდუქტებზე სამომავლო მოთხოვნის მოცულობა, შესაბამისად, განისაზღვრება ამ მოთხოვნის საკუთარი ძალებით დაკმაყოფილების შესაძლებლობა და აუცილებლობის შემთხვევაში მომწოდებელი ქვეყნები.

7. რეზერვები უნდა შეიქმნას (სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტების – ხორბალი, შაქარი, ზეთი, კონსერვები 60 დღიანი მარაგი), რომელიც უნდა გახდეს საფუძველი ომის ან სტიქიური უბედურების დროს მოსახლეობის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის. მნიშვნელოვანია, რომ ეს რეზერვები იქმნებოდეს ყველა კუთხეში, რადგან ხშირია ისთი შემთხვევა როცა ვერ ხერხდება ტვირთის დაზარალებული მხარისთვის დროული მიწოდება. რეზერვების მიზანი არის საქონლის ფასების რეგულირებაც. ცუდმოსავლიან წლებში მოხდება ბაზრის ამ პროდუქციით შევსება.

8. რეალობაა, რომ საქართველოდან გადის ის პროდუქცია რომელიც საქართველოში იმპორტირდება (მაგ: კარტოფილი). საქართველოდან გადის უფრო იაფ ფასებში საქონელი ვიდრე ვყიდულობთ, ვაგებთ ფულს და ამის გამომწვევი მიზეზი ექპორტის გადასახადის არ არსებობაა. ე.ი აუცილებელია სოფლის მეურნეობის გარკვეულ პროდუქციაზე ექსპორტის გადასახადის დაწესება.

9. უნდა განვითარდეს სანერგე მეურნეობები. გარდა ხარისხის ამაღლების შესაძლებლობისა და ადგილობრივი წარმოების განვითარებისა, ეს შექმნის სამუშაო ადგილებსაც და უფრო იაფიც დაჯდება. ეს ეხება დეკორატიულ ნარგავებსაც, რომელიც, სამწუხაროდ, დღესდღეობით უცხოეთიდან შემოდის და ძალიან ძვირია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბესიკ ალადაშვილი - ეკონომიკური უსაფრთხოება, გვ. 88, 179, თბლისი 2011

ა. ჩაელეიშვილი - სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია, გვ. 11,12, თბილისი 1988

2. გიორგი ჯუღელი – სასურსათო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში, გვ. 16, თბილისი 2011

3. ქეთევან ლაფერაშვილი – სურსათის უვნებლობა - მეცნიერული საფუძვლები, თანამედროვე პრინციპები და სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებები, ბიულეტენი №110, გვ. 7 თბილისი 2008

4. http://www.maf.ge/ – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

5. http://nbg.ge/ - საქართველოს ეროვნული ბანკი

6. http://geostat.ge/ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

7. http://www.wikipedia.org/ - თავისუფალი ენციკლოპედია

8. http://valuta.ge/ - ვალუტის კონვერტორი

დავით ბიძინაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ნინო ორჯონიკიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

გლობალური მოუსავლიანობის პირობებში სასურსათო უსაფრთხოების გადაჭრის გზები საქართველოს აგრარულ სექტორში

გლობალური მოუსავლიანობის პირობებში, როდესაც სიმცირის გამო სურსათი სულ უფრო ძვირდება, სასურსათო უსაფრთხოება ყოველი ქვეყნისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ დროს საქართველოში ადგილობრივი მოსავალი წლიდან წლამდე მცირდება-გაღარიბებული გლეხი მიწის დამუშავებასაც ვერ ახერხებს, ამიტომ ადგილობრივი სასურსათო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმპორტის ხარჯზე ხდება.

შარშან საქართველოში 776 მილიონი აშშ დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქტი შემოვიდა, მათ შორის ხახვი, ნიორი, კართოფილი და სხვ. ადგილობრივი მოსავლის მარაგები ჯერ არ ამოწურულა და ბაზარზე უკვე იყიდება მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილი სოფლის პროდუქტი. არადა, უცხოელი სპეციალისტებიც აღიარებენ, რომ საქართველოს ხილის, ბოსტნეულისა და ციტრუსის წარმოების დიდი პოტენციალი გააჩნია. მთელი რიგი ადმინისტრაციული პროცედურების გათვალისწინებით, იმპორტის მონოპოლიზება შედარებით ადვილია. მას ემატება ადგილობრივი წარმოების მცირე მოცულობებიც.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას მთავრობა ხან ახლათახალი ტრაქტორების შემოტანით, ხან გლეხებისათვის ამონიუმის გვარჯილისა და ხანაც დიზელის საწვავის დარიგებით ცდილობდა, მაგრამ დაუმუშავებელი სავარგულების ფართობი წლიდან წლამდე იზრდებოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში პრივატიზაციის შედეგად დანაწევრებული, სეგმენტირებული მიწა სოფლის მეურნეობაში თუნდაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ნაკლებად ეფექტიანს ხდის. დარგში გათვითცნობიერებული ადამიანები გამოსავალს ორ რამეში ხედავენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებით ან უცხოელი ინვესტორები უნდა დაინტერესდნენ (ამის ალბათობა ნაკლებია. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის სუბსიდირება ხდება), ან გლეხმა და ფერმერებმა შექმნან კოოპერაციული საზოგადოებები, რასაც ზოგი მცდარად ურევს საბჭოთა კოლმეურნეობებში.

სპეციალისტების შეფასებით, ქართული სოფლის მეურნეობის გადარჩენის ერთადერთი გზა ფერმერული (კოოპერაციული) მეურნეობების შექმნაა, სხვა შემთხვევაში ამ დარგის გადასარჩენად გაღებული ნებისმიერი თანხა შესაძლოა ფუჭი ხარჯი აღმოჩნდეს.

კოოპერაციული მოძრაობა ერთ-ერთი უდიდესი არასამთავრობო ორგანიზაციაა მსოფლიოში, 160-წლიანი ისტორიით. დღეს არსებობს კოოპერაციის 120 ნაირსახეობა, კოოპერატიეთა რიცხვი 70 ათასს აჭარბებს, ხოლო წევრთა რაოდენობა 800 მილიონ ადამიანზე მეტია. ყოველი მეხუთე გერმანელი, ყოველი მეოთხე ამერიკელი, ყოველი მესამე დანიელი და ჰოლანდიელი, ყოველი მეორე კანადელი სხვადასხვა კოოპერატივის წევრია. სხვათა შორის, საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსში საქართველო ჯერ კიდევ მენშევიკებმა გააწევრიანეს. დავით სარაჯიშვილმა დააფინანსა და კოოპერაციის შესასწავლად გააგზავნა იტალიაში ნოე ჟორდანია. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციიდან 2007 წელს გამოგვრიცხეს.

ისეთი აგრარული პოტენციალის ქვეყანას, როგორიც საქართველოა, სოფლის მეურნეობის კოოპერაცია ამ უმძიმესი კრიზისიდან გამოიყვანს. მოსახლეობა თავისი ინიციატივით კოოპერატივებს ვერ ქმნის, ამიტომ კოოპერაციის ნაციონალური პოლიტიკაა შესამუშავებელი. გლეხებმა და ფერმერებმა უნდა გააერთიანონ საქმიანი იტერესები, მთავრობა კი ამ გაერთიანებებს ტექნიკით ან იაფი კრედიტით დაეხმაროს. დღეს 1 პექტარი მიწის დამუშავებისათვის 100 ლარი

უნდა გადაიხადო და დამატებით ტრაქტორისთვის 50 ლიტრი საწვავიც შეიძინო. ამის საშუალება ბევრ გლეხს არა აქვს და მიწას დაუმუშავებელს ტოვებს. ოპერაციულ გაერთიანებას კი თავისი ტექნიკა ეყოლება და სხვისგან ქირაობა არ დასჭირდება. რატომღაც ზოგი კოოპერაციას კოლმეურნეობებთან აიგივებს, რაც სრულიად მცდარი წარმოდგენაა. კოლმეურნეობაში მიწა სახელმწიფოს ეკუთვნოდა, კოოპერაციის შემთხვევაში იმას მიიღებ, რასაც მოიყვან, კოლმეურნეობის დროს კი შენი მხოლოდ ის იყო, რასაც მოიპარავდი. ოპერაციული მეურნეობების ამოქმედების შემთხვევაში ადგილობრივი წარმოება მოთხოვნის მნიშვნელოვან ნაწილს დააკმაყოფილებს.

კოოპერაციული არამარტო წარმოება, არამედ შუალედური სადისტრიბუციო რგოლიც უნდა შეიქმნას. აქ პროდუქციას შეისყიდიან და შემდეგ საცალო ქსელში განაწილდება. სასურველია ქალაქად კოოპერაციული მაღაზიების შექმნაც, სადაც პროდუქცია ოპტიმალურ ფასში გაიყიდება.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტმენტს აქვს კოპრანის ყოველწლიური პროგრამა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებიდან სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა 2-3 კვირიან სტაჟირებას ითვალისწინებს. პროგრამაში საქართველოდან სტაჟიორებს 1993 წლიდან იწვევენ, საელჩოს მეშვეობით. შაინტერესოა, რომ 2011 წლის პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები პირველ ნომრად არის დასახელებული.

ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია და ეს ობიექტური მიზეზებითაც არის განპირობებული, მაგალითად, გლობალური ინფლაციით; მეორეც, - ქვეყანასი არსებობს გამოუყენებელი ინტელექტუალური პოტენციალი. შპეციალისტის მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ყველა საკითხი სეისწავლოს და შემდეგ აუხსნას გლეხს საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

გლეხებს, პირველ რიგში, პროფესიონალის კონსულტაცია სჭირდებათ. რამდენიმე პრობლემაა თავმოყრილი სოფლის მეურნეობაში: ერთი, რომ ტრადიციული მიდგომები დაკარგულია. ამას დაემატა ის, რომ გარემოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები ძალიან ცუდად აისახა მოსავლიანობაზე. არაპროგნოზირებადი ხდება ამინდი და შესაბამისად, მოსავალი. საჭიროა ამ ყველაფრისადმი მოსახლეობის ადაპტირებაზე ზრუნვა. სავეგეტაციო პერიოდიც კი შეცვლილია და ამასაც მეცნიერული პროგნოზირება სჭირდება-რა და როდის დაითესოს.

თანამედროვე გლეხი ორიენტირებულია პროდუქციის რაოდენობრივ მაჩვენებელზე და არა ხარისხობრივზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ხარისხობრივი მაჩვენებელი და რა თქმა უნდა რაოდენობრივიც, რათა ჩვენი თავის გამოკვება შეეძლოთ. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი სიმდიდრე – ნიადაგი. მაგრამ მას თუ სათანადოდ არ მივხედეთ, მალე გამოიფიტება.

ართველ გლეხს ძირითადად არასტანდარტული პროდუქტი მოყავს, მაგრამ თუ გვინდა, რომ ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს და გასაყიდად გავიტანოთ, ის განსაზღერულ ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს. ტყუილად გვგონია, რომ გლეხის მოყვანილი პროდუქტი შესაძლოა უსაფრთხო იყოს. ჩვენ არ ვიცით, მოსავლიანობის გასაზრდელად იმ გლეხს ნიადაგში რა შეაქვს. გონიერული მენეჯმენტის პირობებში გლეხი სტანდარტული პროდუქციის მოყვანას შეძლებს და მოსავლის რაოდენობასაც გაზრდის.

ახლა კი, გლეხი თავისი ერთი ჰექტარი ვენახით ვერ გაუწევს კონკურენციას ღვინის ქარხანას, ჯობია, რომ რამდენიმე ადამიანი გაერთიანდეს ამ საქმეში. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც გლეხი უსახსრობის გამო საერთოდ ვერ ახერხებს ვენახის მოვლას. განუვითარებელია ინფრასტრუქტურა, ამასაც თავისი მიზეზები აქვს, მათ შორის ჩინოვნიკების არაკომპეტენტურობა, რომლებიც თავის უფლებამოვალეობებშიც ვერ ერკვევიან. მათ გამო, ხშირად, კარგი ინიციატივა ხალხთან ვერ აღწევს.

მოლიანად სისტემაა შესაცვლელი, რადგან ახლანდელი გლეხური მეურნეობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს დარგი თვითდინებაზეა მიშვებული. გლეხური მეურნეობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს ფერმერული (კოოპერაციული) მეურნეობით.

გლეხი აწარმოებს მხოლოდ იმდენს, რამდენიც საარსებოდ სჭირდება. ის თანხები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში უსისტემოდ იხარჯება და საერთო ჯამში არაფერი კეთდება, მიზანმიმართულად – ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებას უნდა მოხმარდეს.

ჩვენში არსებული საოესლე მასალის ხარისხიც, რომელსაც ძირითადად თაეად გლეხები აწარმოებენ, წლიდან წლამდე ქვეეითდება. მას განახლება სჭირდება, რისოეისაც სათესლე მეურნეობებია საჭირო, რაც ჩვენთან არ არის.

არასწორი ურბანული დაგეგმარების გამო, სავარგულები დაეკარგეთ. ამ ადგილებში კი ქალაქის ნაწილი გაშენდა.

სახელმწიფოს საბაეო დაბეგვრის პოლიტიკაც უნდა შეიცვალოს და იმ პროდუქტებზე, რომელთა წარმოება ჩვენთანაც ხდება და ვაკმაყოფილებთ ადგილობრივ მოთხოვნებს, საბაეო ტარიფები უნდა გაიზარდოს, რათა ადგილობრივმა პროდუქციამ კონკურენციას გაუძლოს.

ფერმერი და ფერმერული მეურნეობა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, გლეხების მიერ სწორად არ არის გაგებული: ამ შემთხვევაში მიწაც მისია, შრომაც, მოსავალიც და შემოსავალიც.

აუცილებელია, ჩამოყალიბდეს ფერმერული მეურნეობები, რომლებსაც კოოპერატივებსაც უწოდებენ. გაერთიანება უნდა მოხდეს ძირითადად ფინანსების, ტექნიკისა და შემოსავლების. ასეთ გაერთიანებებს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს შეღავათიანი, მრავალწლიანი კრედიტებით, ანუ უნდა მოხდეს ტრანსფორმაცია გლეხიდან ფერმერამდე. მაგრამ ჯერ უნდა მოხდეს სავარგულების პასპორტიზაცია, რათა გავიგოთ, რა რესურსები გვაქვს ქვეყანაში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, პირველი ნაბიჯი უნდა იყოს საკანონმდებლო ინიციატივა. უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ ფერმერული მეურნეობის მოდელის აღიარება კანონის საფუძველზე. უნდა განისაზღვროს ფერმერის სტატუსი და ა.შ. საქართველოში სავარგულების 80% დაუმუშავებელია. ანუ, იმხელა რესურსი გვაქვს, რომ საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც შეეძლებთ და ექსპორტზეც გაეიტანთ პროდუქციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.maf.ge
2. http://geostat.ge
3. www.nbg.gov.ge
4. www.found.ge
5. გ. ბუცხრიკიძე – *„უძრავი ქონების ადმინისტრიაციული მართვის პრინციპები", 2010*

თამარ დუდაური
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების გლობალური ასპექტი არ შეიძლება არ შეიცავდეს უსაფრთხოების სისტემას, რომელიც დაიცავდა მას მსოფლიოს ჰეგემონებისაგან, რომლებიც აკონტროლებენ სასურსათო რესურსებს, და რომელთაც ყოველთვის ექნებათ იმის ცდუნება, რომ გამოიყენონ სასურსათო ბაზარზე თავისი დომინირებული მდგომარეობა საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. მსოფლიო სასურსათო ბაზარი და მსოფლიო სასურსათო მეურნეობა – არ წარმოადგენენ საქველმოქმედო ორგანიზაციას, არამედ არიან იმ ძალების ცენტრები, რომლებიც ბუნებრივია ხელმძღვანელობენ თავისი ინტერესებით.

ნაციონალურმა სასურსათო პოლიტიკამ, FAO-ს განმარტებით, უნდა მიაღწიოს თვითუზრუნველყოფის მაღალ ხარისხს, ვინაიდან მოხმარებული სასურსათო პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზეა დამოკიდებული ერის ჯამთელობა, ადამიანის შრომისუნარიანობა და ცხოვრების ხანგრძლივობა, მისი ინტელექტი.

სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმები შემდეგია:

1. მოხმარებული სასურსათო პროდუქციის მთელი მოცულობის 75-80% უნდა იწარმოებოდეს სამამულო საქონელმწარმოებლების მიერ;

2. მოსახლეობა უნდა მოიხმარდეს ბიოლოგიურად სრულფასოვან პროდუქტს, კალორიულობის რეკომენდირებული დონით – საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით საქართველოში დღე-ღამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა, მოხმარების რაციონალური ნორმის მიხედვით, არანაკლებ 2500 კ.კალ. უნდა შეადგენდეს;

3. სასურსაოო მარაგების შექმნა უნა განხორციელდეს მთელი მოხმარებული პროდუქციის მოცულობის 20%-ის დონეზე. [1].

საქართველო დიდი ხანია ჩამოცდა სასურსათო უსაფრთხოების ზღვარს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ძირითადი სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე წლითიწლობით მცირდება, ხოლო იმპორტი იზრდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულია.

ყველა ქვეყანა ცდილობს წინასწარ დაიჭიროს თადარიგი და საგანგებო სიტუაციებს მომზადებული შეხვდეს, ანუ კრიზისულ სიტუაციებში მინიმალურ დონეზე მაინც შეინარჩუნოს სასურსათო უსაფრთხოება. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა ხორბალი, ბოსტნეული და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოში მიმდინარე პროცესები. საქსტატის მონაცემებით 2003 წელთან შედარებით ნათესი ფართობები, შემცირდა დაახლოებით ორჯერ, ხორბლის წარმოება შემცირდა ოთხჯერ, 2003 წელს იწარმოებოდა 225 ათას ტონა ხორბალი, ხოლო წელს იგი 54 ათას ტონამდე შემცირდა, კარტოფილის წარმოება შემცირდა ორჯერ, ხილისა 50%-ით, ყურძნის 30%-ით, ჩაის 5-ჯერ, ბოსტნეულის 2,5-ჯერ, სამაგიეროდ, კარტოფილის იმპორტი გაიზარდა იმაეე სიდიდით, ბოსტნეულის იმპორტი კი 10-ჯერ, ხორცის იმპორტი 2-ჯერ და დღესდღეობით სასურსათო ბაზარზე ხორცის 60% იმპორტირებულია. მცენარეული ცხიმების მთლიან მოცულობაში 85% არის იმპორტიტებული, რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვანს ხორბალს მის იმპოტზე 92%-ით ვართ დამოკიდებულნი. ზოგადად მთელს სასურსათო პროდუქციაში იმპორტის წილი 76%-ია.[4].

ასევე, ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის უხარისხო და გენმოდიფიცირებული პროდუქცია, რისი შემოწმების საშუალებაც სახელმწიფოს არ გააჩნია. ვინაიდან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სურსათის უვნებლობის სამსახურის ფუნქციები შეზღუდულია, რის

გამოც როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული პროდუქცია ხშირად ადამიანის ჯამრთელობისათვის საშიშიც ხდება.

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ“. რომელიც 2007 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ 2006 წლის დეკემბერში ამ კანონის მთავარი მუხლების მოქმედება შეჩერდა, რის გამოც მათი ამოქმედების ვადა ორჯერ გადაიდო და ქართულ ბაზარზე უკონტროლო პროდუქციას არსებობის პერსპექტივა კიდევ ხუთი წლით 2013 წლამდე გაუხანგრძლივდა.

2004 წელს ევროპაში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც გენმოდიფიცირებულმა პროდუქტებმა ნიშანდება მიიღო და მოსახლეობას მიეცა არჩევანის საშუალება გენმოდიფიცირებულ და ნატურალურ პროდუქტს შორის, რაც ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით პრობლემად რჩება. საქართველოს მიმართ ევროკავშირის მოთხოვნა ბიოუსაფრთხოების შესახებ მარეგულირებელი კანონის არსებობას ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც ის პროდუქტები, რომლებშიც 0,9%-ზე მეტი ხელოვნურად შეყვანილი გენია, აუცილებელად უნდა იქნენ მარკირებულნი. საქართველოში ნატურალური და გენმოდიფიცირებული პროდუქციის განმასხვავებელი ნიშანი დღემდე არ არსებობს.

ჩვენს ქვეყანაში მექანიზმიც არ არსებობს უხარისხო და გენური ინჟინერიით მოყვანილი პროდუქტებისაგან თავდასაცავად, ეს ფაქტი კი მსგავსი პროდუქციის არალეგალური იმპორტის რისკს გაცილებით ზრდის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იძულებულია, რაც შეიძლება იაფი პროდუქტი შეიძინოს, ხოლო იაფი პროდუქტების შეძენის გარდაუვალობა ქმნის ჯანმთელობისათვის მავნე პროდუქტების იმპორტირების წინაპირობას, რასაც ჩვენს სასურსათო ბაზარზე დაფიქსირებული ფაქტებიც ადასტურებენ.

საქართველოში უხარისხო და გენმოდიფიცირებული პროდუქციის იმპორტის დიდი წილი თურქეთსა და რუსეთზე მოდის. ქართულ ბაზარზე საქონლის უმრავლესობა, ხორციდან დაწყებული და ჩაით დამთავრებული, გენმოდიფიცირებულია და ნაწილი უხარისხოც.

ბოლო პერიოდში ხელისუფლება ლაპარაკობს სოფლის მეურნეობაში სტაბილიზაციისა და ნაწილობრივ განვითარების შესახებაც. მაგრამ რომელ განვითარებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი. როდესაც ქვეყანაში მოხმარებული სასურსათო პროდუქციის 76%-ი იმპორტირებულია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ყველა ფაქტორი აგრძელებს დეგრადაციას, ხოლო ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სავაჭრო სალდო კატასტროფულია და 2010 წლის შედეგების მიხედვით 3 მილიარდ 511 მილიონი დოლარი შეადგენა.[3]

მიმდინარეობს დარგის საწარმოო ძალების ნგრევა. ამ სფეროში ინვესტიციების მოცულობა მიზერულია და არ შეესაბამება დარგში შექმნილ სიტუაციას. ძირიოადი ფონდების განახლების კოეფიციენტი შეადგენს მხოლოდ 3%-ს. მკვეთრად გაიზარდა მათი ცვეთის ხარისხი, მატერიალურ-ტექნიკურმა რესურსებმა გამოიმუშავეს თავიანთი საამორტიზაციო ნორმატიული ვადის 75-80%. ფერმერებს გააჩნიათ მცირე მიწის ფართობები, აუცილებელია მათი გაერთიანება კოოპერატივებსა და ამხანაგობებში, რაშიც მათ დახმარება სახელმწიფომ უნდა გაუწიოს, პირველ რიგში საოანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნითა და სოფლად საკონსულტაციო ბიუროების ჩამოყალიბებით. საჭაროდაა მისაღები კანონი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ", რომელიც სტიმულს მისცემს წვრილ სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლებს გაერთიანდნენ და აწარმოონ უფრო მეტი და კარგი ხარისხის პროდუქცია.

სოფლად წარმოების მკვეთრ ვარდნასთან ერთად ხდება გლეხობის დეგრადაცია, ახლოვდება დემოგრაფიული კატასტროფა, მიმდინარეობს მოსახლეობის მკვეთრი შემცირება, უკვე წარმოიშვა სოფლები, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც 1-დან 5 მოსახლემდეა დარჩენილი, ხოლო ზამთრის პერიოდში კი საერთოდ არავინ ცხოვრობს. ეს რეგიონები ძირითადად საზღვრისპირა რეგიონებს წარმოადგენენ და მათი დაცლით საქართველო აღმოჩენდება მცოცავი ანექსიის წინაშე. აგრარულ სფეროში კრიზისმა მიაღწია მაშტაბებს, როდესაც მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დახმარების გარეშე.

განვითარებულ ქვეყნებს ესმით, რომ წარმოების სპეციფიკური პირობების გამო სოფლის მეურნეობა არაკონკურენტუნარიანია ეკონომიკის სხვა სფეროებთან შედარებით, და ამიტომაც გამოყოფენ სოლიდურ სახელმწიფო დახმარებას ამ დარგის გამართული ფუნქციონირებისათვის. მაგალითად, ევროპაში, ხარჯები გაწეული ფერმერების მხარდასაჭერად შეადგენს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების 40%-ს, ხოლო 1 ჰა სახნავზე გაანგარიშე-

ბით ნორვეგიაში ფერმერი სუბსიდიის სახით იღებს 3,5 ათას დოლარს. საქართველოს მოსახლეობამ თავის თავზე იწვნია თუ რას ნიშნავს სასურსათო უსაფრთხოება, ამიტომაც სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები ხელისუფლებამაც უნდა გაითავისოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ვინაიდან ქვეყნის იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულების ნებისმიერი ფორმა, განსაკუთრებით სასურსათო დამოკიდებულება, უქმნის საქართველოს ნაციონალურ უსაფრთხოებასა და მის სუვერენიტეტს საფრთხეს. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოების ოპტიმალური დონის უზრუნველყოფა არის გლობალური ნაციონალური პრობლემა, იგი ზემოქმედებს ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების მრავალ ასპექტზე და ასევე მომავალი თაობების აღწარმოებაზე.

ამრიგად, ქვეყნის აგრარული სექტორი განიცდის თავისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ძნელ პერიოდს. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სასურსათო დამოკიდებულების გაღრმავება, ასუსტებს ნაციონალურ უსაფრთხოებას, ზრდის შიდა ბაზრის დაპყრობის საშიშროებას უცხოელი საქონელმწარმოებლების მიერ. ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გაითავისოს შექმნილი მდგომარეობის სიმძიმე და გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები, რათა შეაჩეროს სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგის საბოლოოდ დანგრევა. რის გარეშეც შეუძლებელი იქნება, როგორც დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტა, ასევე ქვეყნის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა. ჩვენი აზრით აუცილებელია მიღებულ იქნეს ცალკე კანონი "სასურსათო უსაფრთხოების" შესახებ, რომლის მდგომარეობა დამუკიდებელია, პირველ რიგში, აგროსაწარმოო კომპლექსისა და მთლიანად სასურსათო მეურნეობის განვითარების დონეზე. ქვეყანაში უნდა შეიქმნას პირობები მისი გარე ზემოქმედებებისაგან მაქსიმალურად დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქტების წარმოების გარანტირებულ დონეს.

პირველ ნაბიჯს ამ გზაზე წარმოადგენდა 2005 წელს მიღებული კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის" შესახებ, რომლის ძირითადი დებულებები, რაც ჩვენ უკვე ავღნიშვეთ, ჯერაც არ ამოქმედებულა. ამიტომაც, ამ კანონმა საქართველოს მოსახლეობის იმედები ჯერჯერობით ვერ გაამთლა. ასევე 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო "ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია", რომელშიც არ არის თავი სასურსათო უშიშროების შესახებ, ხოლო სასურსაოო უსაფრთხოებამ საქართველოს სასურსათო დამოუკიდებლობის სისტემა უნდა მოიცვას. არ არის ჩამოყალიბებული საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, ის რომ საქართველოს აგრო-სასურსათო სექტორმა უნდა უზრუნველყოს ქართველი ხალხის სასურსაოო დამოუკიდებლობა. საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისა, რომ მან 80-90%-ი სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა შესძლოს.

საზოგადოდ, დღესღეობით მსოფლიოში შეიქმნა ვითარება, რომ ვინც ფლობს სურსათს, ის ბატონობს პოლიტიკაში. მაგალითად, რომის 1996 წლის დეკლარაციაში სიტყვა-სიტყვით ჩაიწერა, რომ სურსათის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება აკრძალულია.

საქართველო, რომლის ბიოპოტენციალი აბსოლუტურად საკმარისია 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად, დღეს მძიმე მდგომარეობაში იმყოფება სოფლის მეურნეობისადმი არასერიოზული დამოკიდებულების გამო. 21-ე საუკუნემ პასუხი უნდა გასცეს უმნიშვნელოვანეს გლობალურ პრობლემებს, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი მთავარი იქნება, შეძლებენ თუ არა სახელმწიფოები მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით დაკმაყოფილებას.

კაცობრიობა სერიოზულად დგას სასურსათო პრობლემების წინაშე, პროგნოზები კი ძალიან მძიმეა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით 2050 წლისათვის კაცობრიობა 9-10 მილიარდი იქნება, მაგრამ დედამიწის ბიოპოტენციალი გაცილებით მეტია, მას დაახლოებით 35 მილიარდი ადამიანის გამოკვება შეუძლია, ამ საკითხს გადაწყვეტას კი უსერიზულესი მუშაობა ესაჭიროება. რაშიც სწორედ განვითარებულმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომ ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში მოხდეს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა. არ მოხდეს ისე, რომ რამდენიმე ქვეყანასე, რამდენიმე ტრანსნაციონალურ კომპანიაზე იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყნები. მაგალითად, როგორც ეს ხდება მარცვლეულის თესლთან მიმართებაში, როდესაც ჰიბრიდული თესლი ინერგება მსოფლიოში და წელს საქართველოშიც შემოვიდა. მაგრამ საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ჩვენი ადგილობრივი ჯიშები არათუ შენარჩუნებულ

იქნეს. არამედ გაუმჯობესებულიც, რასაც გაცილებით უკეთესი შედეგის მოტანა შეუძლია, ვიდრე ჰიბრიდულ თესლს. ჰიბრიდული თესლის დათესვა დასავლეთ საქართველოში დაუშვებლად მიგვაჩნია, ვინაიდან დამტვერიანების გამო სავარაუდოა იქ ნეგატიური პროცესები განვითარდეს.

ამრიგად, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისათვის საშიშროება გამომდინარეობს სისტემური კრიზისიდან, რომელშიც აღმოჩნდა ნაციონალური სოფლის მეურნეობა. გლობალიზაციის პროცესების განვითარება მოითხოვს საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქციით დაკმაყოფილების დონის ამაღლებისათვის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქვეყნის მოსახლეობა სრულფასოვანი და ჯანსაღი საკვებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *FAO. The High Level Panel of Experts. http://www.fao.org/cfs/ru/*
2. *Georgia, Food Security Portal. http://www.foodsecurityportal.org/news/georgia*
3. ეროვნული ბანკის 2010 წლის ანგარიში. თბ. 2011. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=348
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). კვარტალური და წლიური ბიულეტენები. თბ. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=661&lang=geo

ცირა ჭორჭოლიანი
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ემზარი გორდაძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ცხვების პროდუქტების ეკოლოგიური უსაფრთხოება საქართველოში

ადამიანის დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობისა და ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიში სურსათისაგან თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. სამომხმარებლო ბაზარზე ყოველწლიურად იზრდება უხარისხო და ფალსიფიცირებული სურსათის რაოდენობა, რომლის მოხმარება მნიშვნელოვან და შეუქცევად ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. იგი ახდენს დაავადებათა გრძელი ჯაჭვის პროვოცირებას (საჭმლის მომნელებელი სისტემით დაწყებული დამთავრებული მემკვიდრული დაავადებებით). შეიძლება ითქვას, რომ XXI საუკუნე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების წინაშე აყენებს საკითხს უხარისხო და ფალსიფიცირებული პროდუქციის სამომხმარებლო ბაზრიდან განდევნასა და მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვას.

საკითხი აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ FAO-ს მონაცემებით მილიონობით ადამიანია დაავადებული ფალსიფიცირებული მავნე სასურსათო პროდუქტების მოხმარების გამო. საერთაშორისო სავაჭრო პალატის შეფასებით ფალსიფიცირებული სასურსათო პროდუქცია შეადგენს სურსათით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის 10%-ს, მისი დიდი წილი მოდის განვითარებად ქვეყნებზე.

ჯანმოს ევროპის რეგიონალური კომიტეტის მიერ 2000 წ. დამტკიცებული იქნა სასურსათო პროდუქტების უვნებლობისა და ჯანსაღი კვების პოლიტიკის სამოქმედო გეგმები. კერძოდ, ა) სასურსათო პროდუქტების უვნელობის უზრუნველყოფის სტრატეგია; ბ) ჯანსაღი კვების სტრატეგია; გ) სასურსათო პროდუქტების მდგრადი მიწოდების სტრატეგია. ქვეყნების ინტეგრაცია მსოფლიო სავაჭრო სისტემაში დადებით გავლენას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობას, პოზიტიურად აისახება მომხმარებელთა ჯანმრთელობის და უფლებების დაცვაზე, შემოსავლის დონესა და ცხოვრების ხარისხზე.

მსოფლიო სავაჭრო სისტემის ძირითადი პრინციპი მავნე სურსათი არ მოხვდეს ბაზარზე, თუ მოხვდა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსალოდნელი ზიანის მინიმალიზაცია მოხდეს. (RASFF - სწრაფი შეტყობინების სისტემა სურსათის და ცხოველთა საკვების შესახებ, HACCP - საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული წერტილების გამოვლენის სისტემა).

უხარისხო და ფალსიფიცირებული პროდუქციის მზარდი მასშტაბები საფრთხეს უქმნის არა მარტო ეროვნული უსაფრთხოებას, არამედ მსოფლიო მრავალი სახელმწიფოს მოსახლეობის არსებობასაც. საქართველოში სურსათის ფალსიფიკაციის ხელშემწყობი მიზეზებია: მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა, ბაზარზე მხოლოდ ფასისმიერი კონკურენცია; სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი ლიბერალიზმის პოლიტიკა; ბაზრის კონტროლის არარსებობა.

საქართველოში დღეს სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული იაფი პროდუქტების ბუმია. ეს პროდუქცია იაფი ნედლეულით მზადდება და ხშირად ეკოლოგიურადაც დაბინძურებული და ჯანმრთელობისათვის საშიშია. ჩატარებული გამოკვლევით დადგენილია, რომ სანიტარულ-ქიმიურ და ჰიგიენურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს ხორცისა და ორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, თევზის, საკონდიტრო ნაწარმის, მყარი და თხევადი ცხიმების, კონსერვების, პურ-ფუნთუშეულის, ბავშვთა კვების პროდუქტების, აღკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და სხვა პროდუქციის საკმაოდ მაღალი პროცენტი (10-დან 21 %). არაერთგზის შემოწმებით დადგენილია, რომ საქართველოში სახღვარგარეთიდან შემოსული პროდუქტების უმრავ-

ლესობა ვადაგასული და უხარისხოა, რაც მოწამვლების, მწვავე ინფექციური დაავადებებისა და კონცეროგენული ეფექტიების მატარებელია. სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგის (2010 წ.) შედეგად გამოვლინდა, რომ რეალიზაციის პირობები დარღვეული ჰქონდა შემოწმებული პროდუქციის 68%-ს, არაქართულენოვანი ეტიკეტით - 38%-ს, ვარგისიანობის ვადის დარღვევა 27%-ს. საქართველოში 2007 წ. საკვების მიერ ინფექციები და ინტოქსიკაციების მონაცემები ასეთ სურათს იძლევა: სალმონელოზი - 326; ბოტულიზმი 17; შიგელოზი - 191; ბრუცელოზი - 169; ბაქტერიული საკვებისმიერი ინტოქსიკაციები 2035 შემთხვევა.

საქართველოში და მის რეგიონებში გენმოდიფიცირებული პროდუქტების შემოდის (სოიო, კარტოფილი, წიწიბურა, სიმინდი, პომიდორი, ბრინჯი, ყავა, ბანანი და სხვ.), გმ (გენმოდიფიცირებული) ორგანიზმების საერთაშორისო რეგულირება ხორციელდება "ბიომრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმით (ძალაშია 2003 წ. 11 სექტემბრიდან), რომელსაც საქართველო მიუერთდა 2008 წ. 26 სექტემბერს, თუმცა დღემდე მას არა აქვს მიღებული გმო (გენმოდიფიცირებული ორგანიზმები) მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში კანონი სურსათის უვნებლობისადმი ხარისხის შესახებ მიღებული იქნა 2005 წ. 27 დეკემბერს. შემდგომ კანონში განხორციელდა ცვლილებები 2006 წ. 29 დეკემბერს; მიღებული ცვლილებების შესაბამისად 2011 წლის იანვრიდან ინტენსიურად იწყება სურსათის უვნებლობის საკითხებზე ინტენსიური საკონტროლო პოლიტიკის გატარება, რომლის სრული განხორციელება გაგრძელდება 2017 წლის იანერამდე.

იმისათვის, რომ სურსათის უვნებლობა განხორციელდეს (საქართველოში) საჭიროა სასურსათო პროდუქციას ჰქონდეს რიგი სავალდებულო მაჩვენებლები: კერძოდ, პროდუქციის ხარისხი და უვნებლობა. პროდუქციის უვნებლობა თავის მხრივ გულისხმობს მეწარმის სამოქალაქო პასუხისმგებლობას და სახელმწიფოს მიერ სავალდებულო მოთხოვნების დადგენას და კონტროლს მის შემოწმებაზე. სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია განხორციელდეს:

- "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" საქართველოს კანონის სრული ამოქმედება;
- სასურსათო ბიზნესში დაკავებული სუბიექტური პირების ცოდნის დონოის ამაღლება (ტრენინგების, მოკლევადიანი კურსების გავლის საშუალებით). მათი დაფინანსება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ;
- პასუხისმგებლობის გამკაცრება პროდუქციის წარმოებაზე, ტრანსპორტირებასა და დროულ რეალიზაციაზე;
- პროდუქციის იმპორტირების პასუხისმგებლობის გამკაცრება სასურსათო პროდუქტების ხარისხსა და უვნებლობაზე;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და შესაბამისი სასწავლო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოშვებით მოსახლეობის სამომხმარებლო ცოდნის ამაღლება.

ამ უკანასკნელ პუნქტს დღეს ქუთაისში ახორციელებს "ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდიფიცირებული კვების პროდუქტების წარმოებაზე მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევის ეკოენული ცენტრი ქუთაისში". ორგანიზაციის ხელმძღვანელი პროფ. ო. კერესელიძე პროექტის დირექტორი, პროფ. შ. მელქაძე, რომელთა თაოსნობით ტარდება ყოველკვირეული სატელევიზიო გადაცემები, ტრენინგები, მოსახლეობის გამოკითხვა, კომპეტენტურ პიროვნებებთან შეხვედრები, დისკუსიები, ბროშურებითა და სათანადო ლიტერატურით მოსახლეობის გათვითცნობიერება და სხვ. ღონისძიებები. აღნიშნულმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ამ მიმართულებით მომხმარებელთა ცოდნის დონე და მწარმოებელთა პასუხისმგებლობა; რაც სათანადო ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე გამოვაქვეინეთ.

ანკეტური გამოკითხვა ჩატარდა აღნიშნული საქმიანობის დაწყებამდე, და საქმიანობის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ. ამ საქმიანობის გავრცელება სხვადასხვა რეგიონში ხელს შეუწყობს მოსახლეობის გათვითცნობიერებას სასურსათო პროდუქტების უვნებლობაზე, მომხმარებელთა უფლებებში გათვითცნობიერებას, პროდუქციის ფალსიფიკაციის დონის შემცირებას, მწარმოებელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი გარანტი იქნება.

სურსათის უვნებლობა უმნიშვნელოვანესი საკითხია. იგი მოითხოვს სახელმწიფოს, მომხმარებლების, მწარმოებლების, ფერმერების, მეცნიერთა და მკვლევართა ძალისხმევასა და მხარდაჭერას. საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ შექმნას საიმედო ქვეყნის რეპუტაცია, როგორც ადგილობრივი მომხმარებლის, ასევე ევროპული და განვითარებული მსოფლიო ბაზრისათვის, მითუმეტეს, რომ დღეს შეიმჩნევა ამ უკანასკნელთა მოთხოვნა ქართულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოში იმპორტირებული პროდუქციით გამოწვეული რისკი, მისი შემცირებისა და თავიდან აცილების აქტუალური პრობლემები. ც. ჟორჟოლიანი, ე. გორდაძე. თბ., 2005
2. სამედიცინო ეკოლოგია. ც. ჟორჟოლიანი, ე. გორდაძე. ქუთ., 2006
3. გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები. ეკო და ბიოუსაფრთხოება. ც. ჟორჟოლიანი, ე. გორდაძე. ქუთ., 2010
4. მომხმარებელი და სურსათის უვნებლობა საქართველოში. დ. წულაია. თბ., 2011
5. სურსათის ფალსიფიკაცია საქართველოში. ე. სარქველაძე. თბ., 2011
6. სურსათის უვნებლობა, ევროპული კანონმდებლობა და საქართველო. ჟურნალი "აგროინფო", № 6. თბ., 2009

თამარ ბერიძე
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ვანიშვილი
სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება: არსი, მიზანი, ამოცანები

უსაფრთხოება ადამიანის (საზოგადოების, სახელმწიფოს) უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. მისი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის არსებობა და ნორმალური განვითარება. წარმოშობის დღიდან კაცობრიობა ცხოვრობს ისტორიული გამოწვევებისა და კონკრეტული მუქარების მუდმივი საფრთხის ქვეშ. მზადყოფნა ისტორიული გამოწვევებისა და კონკრეტული მუქარების საპასუხოდ, და, მაშასადამე, უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება და მოვალეობაა. მგვარად გაგებული უსაფრთხოება არის სისტემის შემადგენელი ინსტიტუტების მიერ პიროვნების (საზოგადოების, სახელმწიფოს) სასიცოცხლოდ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაცვა ისტორიული გამოწვევებისა და კონკრეტული მუქარების საფრთხისაგან. საფრთხე კი სოციალურ ორგანიზმზე ნეგატიური ზემოქმედების ობიექტურად არსებული ან პოტენციური შესაძლებლობაა, რის შედეგადაც იგი შეიძლება დაზარალდეს.

მსოფლიო პრაქტიკაში უსაფრთხოების ტერმინი მე-12 საუკუნიდან გამოიყენება და ადრეულ პერიოდებში იგი საფრთხისაგან დაცული ადამიანის მშვიდ სულიერ მდგომარეობას ნიშნავდა. თუმცა, შუა საუკუნეებამდე აღნიშნული გაგებით უსაფრთხოების ცნება მყარად ვერ დამკვიდრდა მოწინავე ქვეყნების საზოგადოებრივ ლექსიკონში. მე-17 საუკუნიდან წამყვან ქვეყნებში წარმოიშვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მთავარი მიზანია საერთო კეთილდღეობა და უსაფრთხოება. აქედან მოყოლებული აღნიშნული ტერმინი ახალ შინაარსს იძენს, ხოლო უფრო მოგვიანებით, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მთელ მსოფლიოში პოულობს გავრცელებას [1, გვ. 295].

ეროვნული უსაფრთხოების მრავალი განმარტება არსებობს. მათი შეჯერებით სახელმწიფოს უსაფრთხოების არსი განისაზღვრება სასოგადოებისა და ხელისუფლების ინსტიტუტების ისეთი მდგომარეობით, როდესაც უზრუნველყოფილია ეროვნული ინტერესების გარანტირებული დაცვა, ქვეყნის სოციალურად ორიენტირებული განვითარება, სახელმწიფოებრიობა და ტერიტორიული მთლიანობა, შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე უფრო არახელსაყრელ პირობებშიც კი [2, გვ. 71].

ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს შემდეგ ქვესისტემებს: იდეოლოგიურ-კულტურული და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება; პოლიტიკური უსაფრთხოება; ეკონომიკური უსაფრთხოება; სოციალური უსაფრთხოება; დემოგრაფიული უსაფრთხოება; ეკოლოგიური უსაფრთხოება; მეცნიერულ-ტექნოლოგიური უსაფრთხოება; ინფორმაციული უსაფრთხოება; სამხედრო უსაფრთხოება.

უსაფრთხოების აღნიშნული ქვესისტემებიდან ცენტრალური ადგილი უჭირავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რომელიც გამოხატავს ეკონომიკური სისტემის უნარს, უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური პირობები, ეროვნული მეურნეობის განვითარების მდგრადი მომარაგება რესურსებით და სახელმწიფოებრივი ინტერესების თანმიმდევრული განხორციელება.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს მისი ეკონომიკური განვითარების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციას, პიროვნებისა და საზოგადოების არსებობისათვის ღირსეული პირობების შექმნას და წინ აღუდგება ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების შემაფერხებელ შინაგან და გარეგან მუქარებს.

ეკონომიკური უსაფრთხოება, თავის მხრივ, მოიცავს გარკვეულ ქვესისტემებს: სანედლეულო უსაფრთხოება; ენერგეტიკული უსაფრთხოება; ინდუსტრიული უსაფრთხოება; სასურსათო

უსაფრთხოება; ინვესტიციური უსაფრთხოება; ინფორმაციულ-კომუნიკაციური უსაფრთხოება და ა.შ. ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემებიდან მოიაზარია სასურსათო უსაფრთხოება, რომელიც სასურსათო დამოუკიდებლობას, ანუ სურსათის ძირითად სახეებზე მოსახლეობის მოთხოვნილებების საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილების უნარს გულისხმობს. მაგრამ, ეს მხოლოდ ზოგადად. ახლა საჭიროა სასურსათო უსაფრთხოების არსის უფრო დეტალურად გარკვევა. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დასუსტდეს საკვანძო ცნება – სასურსათო უსაფრთხოება.

ამოსავალი ინგლისური ტერმინი – food security ითარგმნება ორგვარად: სასურსათო უსაფრთხოება ან სასურსათო უსრუნველყოფა. აქედან, ჩვენი აზრით, თარგმნის მეორე ვარიანტი უფრო სუსტად ასახავს სურსათზე მოსახლეობის გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის განმსაზღვრელ ცნებას. ხშირად, თარგმნის პროცესში სურსათზე ხელმისაწვდომობის საკითხს ცელიან მისი ხარისხის საკითხით და ამით სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა დაჩეთ ჯანმრთელობისათვის სურსათის უსაფრთხოების პრობლემამდე. სინამდვილეში სურსათის ხარისხი (მისი ვარგისიანობა) სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი პირობაა, რომელიც ინგლისურად გამოითქმის როგორც food safety. ამიტომ არ შეიძლება ამ რთული და კომპლექსური პრობლემის ერთ-ერთი მხარის მიჩნევა პრობლემად მთლიანად.

უსაფრთხოების ფუნდამენტური გაგებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, როდესაც საუბარია სასურსათო უსაფრთხოებაზე, იგულისხმება გარკვეული საფრთხეები, რომელთა ნეგატიური ზემოქმედების ნეიტრალიზება და დაძლევა აუცილებელია. სასურსათო უსაფრთხოება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სურსათის უკმარისობის თავიდან აცილებას. ამასთან, სურსათის უკმარისობა განიხილება, როგორც ადამიანთა ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხე. კაცობრობის დაცვა სურსათის უკმარისობისაგან ნიშნავს ცალკეულ ინდივიდთა ფიზიოლოგიურ გადარჩენას. ამდენად, სასურსათო უსაფრთხოების საფუძველი ფიზიოლოგიურია და ელინდება ცალკეული ინდივიდისათვის სასურსათო საფრთხის დაძლევაში, რომელიც მას შეიძლება დაეშუქროს სურსათის უკმარისობის ან დაბალხარისხიანობის შემთხვევაში.

საერთოდ, სურსათის უკმარისობა ნიშნავს სურსათით მომარაგების დეფიციტს. ამიტომ სურსათის უკმარისობის საფრთხის ლიკვიდაცია განმარტებულ უნდა იქნეს უფრო ფართედ, ვიდრე უბრალოდ ფიზიოლოგიური გადარჩენა. სასურსათო უსაფრთხოების პირობებში სურსათით მომარაგება უნდა იყოს ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების შესაძლებლობას. მაშასადამე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფუძემდებლური პირობაა სურსათის ისეთი საკმარისობა, რომელიც შესაძლებლად აქცევს ადამიანთა აქტიურ და ჯანსაღ ცხოვრებას. ამით მიიღწევა ფიზიოლოგიური სასურსათო უსაფრთხოება.

საგულისხმოა, რომ საჭირო ოდენობისა და ასორტიმენტის სურსათით მომარაგება ჯერ კიდევ არასაკმარისი პირობაა სრული სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად. ადამიანის სიცოცხლის დაცვის, მისი სრულფასოვანი ფიზიოლოგიური არსებობის შენარჩუნების პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი შესაძლებელი იქნება არსებული სურსათის ფაქტობრივი მოხმარება. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნას, მოსახლეობის შესაძლებლობისა და სურსათზე ფასების ისეთი დონის უზრუნველყოფას, რომლის დროსაც გარანტირებული იქნება მასზე ხელმისაწვდომობა [3, გვ. 45-46].

ხელმისაწვდომობის ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვებაზე ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით. გამოყოფენ მის ორ ასპექტს - ეკონომიკურსა და ფიზიკურს. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ვარაუდობს, რომ სურსათის სრულფასოვანი რაციონის შექმნაზე გაწეული ფინანსური დანახარჯები ხასიათდება ისეთი დონით, რომელიც საფრთხის წინაშე არ დააყენებს და არ დაარღვევს სხვა ძირითად მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ამასთან, იგი წარმოადგენს საკმარის კვებაზე ადამიანის უფლების რეალიზების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაჩვენებელს. ფიზიკური ხელმისაწვდომობა ვარაუდობს საკმარისი კვების ხელმისაწვდომობას ყოველი ადამიანისათვის, ფიზიკურად უმწეო იმ პირთა ჩათვლით, როგორიცაა ახალშობილი და უმცროსი ასაკის ბავშვები, ხანდაზმულები, ფიზიკური ნაკლის მქონენი და განუკურნებელი ავადმყოფები. მაგრამ კვებაზე უფლება (ფიზიკური ხელმისაწვდომობა) ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასზე ფაქტობრივ ხელმისაწვდომობას. ამის მისაღწევად აუცილებელია კვებაზე უფ-

ლების შეხამება მისი რეალიზებისათვის საჭირო რესურსებზე საკუთრების უფლებასთან (ეკონომიკურ ხელმისაწვდომობასთან).

ამრიგად, ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხისაგან დაცვა, ამ საფრთხის ნეიტრალიზება და დაძლევა შესაძლებელია სურსათით საკმარის დონეზე უზრუნველყოფისა და მასზე ხელმისაწვდომობის საოანადო პირობების შექმნის გზით. სწორედ ეს ორი მთავარი პირობა – საკმარისობა და ხელმისაწვდომობა არის დაფიქსირებული საერთაშორისო დოკუმენტების უმრავლესობაში სასურსათო უსაფრთხოების განმარტებისას.

ასე, მაგალითად, გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებუ-ლი რეზოლუცია "საერთაშორისო ვალდებულებები მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად" (1974 წ.) სასურსათო უსაფრთხოებას განმარტავს, როგორც "მსოფლიოს ყოველი მცხოვრების მუდმივი, გარანტირებული ხელმისაწვდომობის უსრუნველყოფას მსოფლიოს სასურსათო რესურსებსე იმ მოცულობებით, რომელიც აუცილებელია აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის". გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტის – "საკმარის კვებასა და შიმშილისაგან თავისუფლებაზე უფლება" – განახლებულ გამოცემაში (1999 წლის ივნისი) კი სასურსათო უსაფრთხოებაში იგულისხმება "ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ყოველ ადამიანს ხელეწიფება ნებისმიერ დროს გარანტირებულად მიიღოს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელი სურსათი" [4].

ზემოაღნიშნული კომპაქტური განმარტებები, მართალია, სრულად ვერ ასახავს მოცემული პრობლემის არსს, მაგრამ, იძლევა რა მისი მეცნიერული შეცნობის ძირითად მიმართულებას, შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების დეფინიციად. სურსათით უზრუნველყოფის პრობლემის უფრო სრულად ასახვისათვის აუცილე-ბელია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების განსაზღვრაც.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ძირითად პირობებს. აქაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმთავრესი ფაქტორებია სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა. თუმცა, ამ შემთხვევაში სასურსათო უსაფრთხოება უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს. ეს, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა ეროვნულ დონეზე "მუშაობს" აგრეთვე სახელმწიფოს, როგორც ასეთის, ამოცანების გადაწყვეტაზე [5, გვ. 12].

ამიტომ ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება უნდა გულისხმობდეს აგრეთვე სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას, საგანგებო გარემოებებში (საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამწვავება, ომები, ეკონომიკური ბლოკადა, ანთროპოგენური თუ ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ.) არაორდინალური ზომების მიღებით (საბარათო სისტემის შემოღება და სხვ) შეინარჩუნოს სურსათით საკუთარი მოსახლეობის გარანტირებული (უფასოდ ან შეღავათიან ფასებში) უზრუნველყოფის მინიმალური დონე [6, გვ. 33].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, მართალია, გარკვეულწილად ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორებია, მაგრამ მხოლოდ მათი ზემოქმედებით არ შეიძლება შემოიფარგლოს მოცემული პრობლემის არსი. სასურსათო უსაფრთხოების შინაარსის არსებით შემავსებელს წარმოადგენს დებულება თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის არსებობისა და ამის ხარჯზე სასურსათო უზრუნველყოფის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების შესახებ, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ამ ხაზით შესასრულებელი პროგრამა-მინიმუმია [3, გვ. 74; 7, გვ. 33].

საგულისხმოა, რომ სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ წამოჭრილ პოლემიკაში, ამ საკითხის განხილვის ადრეულ ეტაპზე, პრივალირებდა კონცეფცია, რომლის თანახმადაც ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპტიმალური საშუალება იყო სასურსათო დახმარება და იმპორტი. იმ ხანებში თვითუზრუნველყოფა არ იყო აქტუალური თემა, რადგან მსოფლიო სასურსათო ბაზარსე სურსათის მიწოდება შედარებით მრავალფეროვანი არხებით ხდებოდა. მაგრამ შემდგომ, მსოფლიოს მოსახლეობის ზრდამ და ქვეყნების არათანაბარმა ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია სასურსათო ბაზრის მონოპოლიზება. ამასთან, სურსათის ძირითად ექსპორტიორებსაც გაუჩნდათ გარკვეული პრობლემები საკუთარი მოსახლეობის გამოკვებაში, რამაც სურსათის მიწოდების არასტაბილური ტენდენცია წარმოშვა. ამან სურსათის

იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებს უბიძგა შეექმნათ და აქტიურად განეხორციელებინათ "თვითუზრუნველყოფის" ეროვნული კონცეფციები [8, გვ. 37].

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პროცესში, შეიძლება სხვადასხვა პრიორიტეტი არსებობდეს. ეს დამოკიდებულია ეკონომიკური განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიღწეულ დონეზე. დაბალი ეკონომიკური განვითარებისა და სურსათის დეფიციტის პირობებში სახელმწიფოს ყურადღებიანი ამოცანაა სურსათზე გადახდისუნარიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რის შემდეგაც განიხილება კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისი მოთხოვნილების უზრუნველყოფა. ასეთ ვითარებაში ჯერ არაა საუბარი თვითუზრუნველყოფის შესახებ. ხოლო როცა პირველი და მეორე საფეხური მიღწეული იქნება, რაც გულისხმობს საერთო ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს და სურსათზე კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამის მოთხოვნას, მხოლოდ ამის შემდეგ წამოიწევს წინა პლანზე თვითუზრუნველყოფის რაც შეიძლება მაღალი დონის მიღწევის ამოცანა.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომლებმაც უკვე გადაჭრეს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა საკმარისობის, ხელმისაწვდომობის და თვითუზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგრამ ადამიანის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის კვლავ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს კვების პროდუქტების დაბინძურების საკმაოდ მაღალი ხარისხი. სურსათის ვარგისიანობა სულ უფრო აქტუალური თემა ხდება ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავებისა და სოფლის მეურნეობის მზარდი ქიმიზაციის პირობებში.

ამრიგად, სურსათის საკმარისობა და მასზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა, სხვა პირობებთან (თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონე, ეკოლოგიური სისუფთავე) ერთად, უზრუნველყოფს ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას, რაც თავის მხრივ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის, სახელმწიფოს ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცების საწინდარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გაანზოგადებით, მართებულად მიგვაჩნია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების შემდეგნაირი ფორმულირება: – ეს არის ქვეყნის ეკონომიკისა და მისი ეკონომიკური ინსტიტუტების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც მიიღწევა საკუთარი მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სტაბილური საკმარისობა და გარანტირებული ხელმისაწვდომობა იმპორტისაგან დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის პირობებში.

უფრო კონკრეტულად, *ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება* არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც, მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურისაგან დამოუკიდებლად, მიიღწევა საკუთარი მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სურსათის სტაბილური საკმარისობა (მიწოდება), ერთი მხრივ, და მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო ნორმების დონეზე გარანტირებული ხელმისაწვდომობა (მოთხოვნა), მეორე მხრივ, იმპორტისაგან დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის პირობებში. ამასთან, სისტემამ უნდა უზრუნველყოს ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება პერსპექტივაშიც.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების არსის გაგებისადმი ასეთი მიდგომის თანახმად, მისი მიღწევის ძირითადი *მიზანია* სურსათის სტაბილური საკმარისობისა და გარანტირებული მისაწვდომობის უზრუნველყოფა, შინაგანი და გარეგანი ფაქტორების გაელენისაგან დამოუკიდებლად.

ამ მიზნის მიღწევის უმნიშვნელოვანეს *პირობებს* მიეკუთვნება:

- ქვეყნის თითოეული მცხოვრებისათვის კვების პროდუქტებზე პოტენციური ფიზიკური ხელმისაწვდომობა;
- მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის მიერ სურსათის შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობა, ცხოვრების დონის ამაღლების ან სოციალური დაცვის აუცილებელი ზომების მიღების გზით;
- მაღალი ხარისხის კვების პროდუქტების მოხმარება, რაციონალური კვებისათვის საკმარისი ოდენობით.

აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს რიგი *ამოცანების* გადაწყვეტას:

- სტაბილური ეკონომიკური პირობების შექმნა;
- ეფექტური აგრარული პოლიტიკის გატარება;
- თანაბარი პირობების შექმნა მეურნეობრიობის სუბიექტებისათვის;
- სიღარიბისა და სრულფასოვანი კვების მისაწვდომობის უთანაბრობის აღმოფხვრაზე მიმართული სოციალური პოლიტიკის განხორციელება;
- გააზრებული ეროვნული პოლიტიკის გატარება მოსახლეობის დასაქმების სფეროში;
- აგროსასურსათო სექტორის განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა რეალიზაცია, სურსათის წარმოების ადგილობრივ შესაძლებლობათა გადიდების მიზნით;
- მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა სასურსათო რესურსების წარმოების, გადამუშაებისა და შენახვის სფეროებში;
- შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა მაქსიმალურად გამოყენება;
- ეფექტიანი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობის ოპტიმიზაცია და აქტიური მონაწილეობა მსოფლიო შემოსაელების განაწილებაში.

ამრიგად, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური პირობების მთელი ერთობლიობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოთინაშვილი რ. ეკონომიკური უსაფრთხოება: ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005, 440 გვ.

2. ჩიკვაიძე თ. საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსი, ძირითადი პრობლემები საქართველოში. – შრომების კრებული "საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში". I ტომი. თბილისი, 1996, გვ. 61-85.

3. Ильина З.М., Мирочицкая И.В. Рынки сельско-хозяйственного сырья и продовольствия. Минск: Наука, 2000, 226 с.

4. Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З. Россия в системе глобальной продовольственной безопасности, http://www.duel.ru/publish/burdukov/glob.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.12.2010.

5. მოდებაძე ნ., გარაჯანიძე ზ. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბილისი, 1998, 30 გვ.

6. ეანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.

7. Боев В.Р., Румянцев Е.Е., Дадалко В.А. Продовольственная безопаность СНГ: Выбор альтернативы на пороге XXI века. Москва-Минск, 1998, 444 с.

8. კოლუაშვილი ჯ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004, 280 გვ.

გულიკო ქათამაძე
ეკონომიკის დოქტორი
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ქართულ ბაზარზე არსებული სასურსათო პროდუქტების უსაფრთხოება
(პრობლემები და მათი დაძლევის გზები)

უხარისხო და ჯანმრთელობისათვის მავნებელი სურსათის მოხმარების პრობლემა მთელ მსოფლიოში აქტუალურია. გამაკაცრებული კანონმდებლობის და შეზღუდვების მიუხედავად, მსოფლიოს სასურსათო ბაზარზე დაბალი ხარისხის და გენმოდიფიცირებული პროდუქციის მოცულობა იზრდება. ამ ფონზე ადამიანის ჯანმრთელობა უარესდება. უხარისხო პროდუქციის მოხმარების პრობლემა საქართველოშიც მწვავედ დგას. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში პროდუქციის 80 პროცენტი იმპორტირებულია. საქართველოში 2005 წელს მიიღეს კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", რომელიც 2007 წლის პირველი იანვრიდან უნდა შესულიყო ძალაში, მაგრამ 2006 წლის 29 დეკემბერს პარლამენტმა ცვლილებები განახორციელა და ბევრი მუხლის ამოქმედება შეაჩერა. 2010 წელს პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ ამ მუხლების ნაწილი 2011 წლიდან ამოქმედებულიყო, შემდეგ კი მათი ამოქმედება 2013 წლისთვის გადადდო. საქართველოში სურსათის უვნებლობაზე სრულფასოვანი სახელმწიფო ზედამხედველობა არ არსებობს და იმპორტირებული პროდუქციის ხარისხი არ კონტროლდება. ბაზარზე ძირითადად გენმოდიფიცირებული პროდუქცია ჭარბობს, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

მეცნიერული კვლევების საფუძველზე მტკიცდება, რომ გენმოდიფიცირებული საკვების მიღება არ შეიძლება უსაფრთხო იყოს. გენური ინჟინერიისა და ბუნებრივ კულტურაში უცხო გენის გადატანის გამო გენმოდიფიცირებულმა მცენარემ თავის უჯრედებში შეიძლება დაიწყოს ახალი პროდუქტების გამომუშავება. ეს ახალი პროდუქტები შეიძლება შხამიანი იყოს, გამოიწვიოს ალერგიები, დაასნაოს ქსოვილები ან დაარღვიოს იმუნური სისტემა. უკვე დიდი ხანია, რაც გენმოდიფიცირებულმა პროდუქტებმა ქართული ბაზარი დაიპყრო. მომხმარებელს, თითქოს იმედი აქვს რომ ნატურალურ პროდუქტს ყიდულობს, მაგრამ ხშირად გენური ინჟინერიის ხერხით დამზადებული საკვები პროდუქტების მოხმარება უწევს. სასურსათო პროდუქციის მომხმარებელი ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქტების მომრავლებამ გაურკვეველ ეითარებაში ჩააგდო, რადგან ისინი არაჯანსაღ საკვებად არის მიჩნეული. გენური ინჟინერია, როგორც მეცნიერება, 1970-ian წლებიდან განვითარდა და უკვე ყოველდღიურ ცხოვრებაშია შემოჭრილი: საკვები, რომელსაც მოიხმარს მომხმარებელი, წამალი, რომლითაც მკურნალობს პაციენტი, ტანსაცმელიც კი - რაც აცვია ადამიანებს, შესაძლოა ამ ტექნოლოგიის გამოყენებით იყოს მიღებული.

გენმოდიფიცირებული კულტურები მიიღება გენური ინჟინერიის გზით. ასეთ მცენარეებში ჩანერგილია უცხო გენი, რომელიც მოცემულ მცენარეთა სახეობებს ჩვეულებრივ არ გააჩნიათ. მცენარის უჯრედებში უცხო გენის ჩანერგვა "გენის თოფით", ან მცენარეული უჯრედის ბაქტერიით ინფიცირების საშუალებით ხდება. ამ მეთოდით თვეზის გენის პომიდორში ჩანერგვა, ღორის გენისა კი კარტოფილშია შესაძლებელი, ანუ გენური ინჟინერიით ამა თუ იმ მცენარისთვის ისეთი თვისების მინიჭება შესაძლებელია, რაც ბუნებრივად არ გააჩნია. გენმოფიცირებული პროდუქტები მრავალნაირია - გარკვეული ვაქცინები, წამლები, საკვები დანამატები და მრავალი გადამუშავებული თუ დაკონსერვებული საკვები პროდუქტი შეიცავს არაცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველ კომპონენტებს. ასეთი კომპონენტები კი შეიძლება ისეთ საკვებ პროდუქტებში შეგვხვდეს, როგორიცაა იოგურტი, ძეხვი, შოკოლადი და სხვა. ლუდსახარშებში და პურის საცხობებშიც ხშირად გენმოდიფიცირებულ საფუარს იყენებენ. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სასურსათო ბაზარი შესაბამისი ზემდგომი ორგანოებით არ კონტროლდება, ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული მრავალნაირი საკვები პროდუქტებით, სპეციალისტები მოსახლეობას ურჩევენ, რომ არ შეიძი-

ნონ ისეთი იმპორტირებული საკვები პროდუქტები, რომლის შემცველობაშიც შედის სოიო, სიმინდი, კარტოფილი ან პომიდორი, რადგან მოსალოდნელია, რომ ეს საკვები გენმოდიფიცირებული იყოს.

გენმოდიფიცირებულ კულტურებს უარყოფით თვისებებთან ერთად ბევრი დადებითი მხარეებიც აქვს. მოსახლეობის ზრდამ და მსოფლიოში გაძლიერებულმა ურბანიზაციამ აუცილებელი გახადა მოსავლიანობის მკვეთრი ზრდა. მაგალითად, ხორბლის მოსავლიანობა 2020 წლამდე ორნახევარჯერ უნდა გაიზარდოს. ხორბლის კულტურას კი მისი გენეტიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს არ შეუძლია, ამიტომ ადამიანებმა მოახერხეს სხვადასხვა კულტურიდან გადაეტანათ და ერთ კულტურაში მოექციათ დადებითი ნიშან-თვისებები, რაც საშუალებას მისცემს ხორბალს, რომ ქვეყნის მოსავლიანობა ორნახევარჯერ გაზარდოს. თანამედროვე სელექცია ძირითადად მუშაობს გენმოდიფიცირებული აღდგენებით ახალი კულტურების მიღებაზე, სადაც მონათესავე კულტურების დადებითი ნიშან-თვისებები იქნება შეტანილი. გენეტიკურ ინჟინერიაში მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით, ერთ-ერთი არის უჯრედული ინჟინერია, სადაც მეცნიერები ცდილობენ მცენარეული და ცხოველური უჯრედების გაერთიანებას. მათი მიზანია ცხოველურ უჯრედებს შესძინონ ალტოტროპულობა (ალტოტროპები, ანუ მცენარეები) და არა მცენარისა და ცხოველის უჯრედებში მოახდინონ ჩვეულებრივი სინთეზი, ან მცენარისა და ცხოველის უჯრედში შეიტანონ ცხოველის თვისებები. თანამედროვე ეტაპზე ამ ნაბიჯის გადადგა მართებულია. თუმცა რა მოხდება მომავალში, ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

იქიდან გამომდინარე, რომ 2050 წლამდე მოსახლეობა სავარაუდოდ 10 მილიარდამდე გაიზარდება, ამდენი ადამიანის დაკმაყოფილება თანამედროვე რესურსით შეუძლებელია. ამიტომ გენური ინჟინერიის განვითარება ამ კუთხით მისასალმებელია და ამასთანავე, ძალიან დიდი მიღწევაცაა. მსოფლიოში გავრცელებულია სიმინდის, სოიოს და ბამბის გენმოდიფიცირებული კულტურები, თუმცა თუ სხვა კულტურების გენური ინჟინერიით ტრანსგენების ჩანერგვით მივიღებთ ახალ გენმოდიფიცირებულ კულტურებს, ამაში საშიში არაფერია. ასეთი გზით მიღებული მცენარეების საკვებ პროდუქტებად გამოყენება ჯანმრთელობისთვის საზიანო არ არის. გენმოდიფიცირებულ კულტურებს აქვს სხვადასხვა მახასიათებლები, მაგალითად, სიმინდში იმიტომ შეჰყავთ უცხო გენი, რომ მაღალმოსავლიანი იყოს, დაავადებების მიმართ კი გამძლე. კარტოფილში არის ისეთი გენები, რომლებიც კოლორადოს ხოჭოსგან იცავს მას. სოიოს - მაღალცილიანობისა და ცხიმიანობის ადვილადმოსანელებელ ნივთიერებებს უმატებენ. მცენარეებში შესაბამისი გენის ჩანერგვა ჩალპობისადმი გამძლეობას, მოსავლიანობის ხარისხის ამაღლებას, პროდუქტიულობის გაზრდას, ნაყოფიერების, ფორმის, ფოთლების მოცულობის გაზრდას და სხვა მრავალ დადებით თვისებებს მატებენ მას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კარტახენას ოქმს მიუერთდა, არ არსებობს გზა, რომლის მეშვეობითაც დარწმუნებით გვეცოდინება, შეიცავს თუ არა იმპორტირებული საკვები გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს. კომპანიათა უმრავლესობა ამ ინფორმაციას არ იძლევა, თანაც, საქართველოს კანონმდებლობით, მათ ასეთი ინფორმაციის მოწოდება ჯერჯერობით არც მოეთხოვებათ. "კარტახენას ოქმი" 2000 წელს ქალაქ მონრეალში მიიღეს. იგი წარმოადგენს კონვენციას ბიოუსაფრთხოების შესახებ. ოქმის მიზანია, უზრუნველყოს იმ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების უსაფრთხო გადაცემა, მოპყრობა და გამოყენება, რომლებიც მიღებულია თანამედროვე ბიოტექნიკის მეთოდების გამოყენებით და შეუძლიათ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებაზე მავნე ზეგავლენა მოახდინონ.

"კარტახენას ოქმი" არის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ქვეყნებში და საბაჟოებზე გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქციის გატანა-შემოტანის და მარკირების საკითხს არეგულირებს. "კარტახენას ოქმის" მიხედვით, ყველა იმ პროდუქციას, რომელიც ქვეყანაში შემოდის, თუ ის გენური ინჟინერიით არის მიღებული, აუცილებლად ეტიკეტი უნდა გაუკეთდეს. კონვენცია მხარეებს ავალდებულებს, შეიმუშაოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და თანაბარზომიერი გამოყენების ეროვნული სტრატეგია, გეგმები და პროგრამები, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. აღნიშნული ოქმი ჯერჯერობით ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს განსხვავებულ მიდგომას და უაღრესი სიფრთხილით უდგება ნებისმიერი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას. საგულისხმოა ისიც, რომ "კარტახენას ოქმი" არ არის სავალდებულო, ის სარეკომენდაციო სახეს ატარებს, ამიტომ ქვეყანამ გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან საკუთარი მოსახლეობის დაცვაზე თავად უნდა იზრუნოს. საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქტის გარდა, გენური ინჟინერიით შექმნილი საოესლე მასალაც შემოდის, რაც

საფრთხეს უქმნის ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას. რადგან თუ გენმოდიფიცირებული ორგანიზმი ერთხელ შეიჭრა ქვეყნის ტერიტორიაზე, ის დამტვერვის შედეგად გადადის სხვა კულტურაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით საქართველო შეუერთდა "ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმს", საქართველო კონვენციით გაოვალისწინებულ მოთხოვნებს და ვალდებულებებს მაინც არ ასრულებს. სპეციალისტების შეფასებით, საქართველოში არ არის კანონმდებლობა, რომელიც მეწარმეს პროდუქციის შემოწმებას აიძულებს. ახლახან სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომ პროდუქტზე მითითებული უნდა იყოს, გენმოდიფიცირებულია თუ არა პროდუქტი. რადგან პროდუქტის შემოწმება სავალდებულო არ არის. საქართველოში არის ორი ლაბორატორია, რომელიც პროდუქციაში არსებულ გენს ადგენს. ამ ეტაპზე ეს ლაბორატორიები არ მუშაობენ, რადგან მათ სახელმწიფო არ აფინანსებს. გენზე პროდუქციის ერთი პარტიის შემოწმების ფასი 700 დოლარია, რაც საკმაოდ ძვირია.

სასურსათო ბაზრის პრობლემის გადაჭრის მიზნით ჩვენს ქვეყანაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის ძველი ტრადიციული დარგების განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით მთავარ პრობლემას წარმოადგენს სახნავ-სათესი საკარგულების ეფექტიანად გამოყენება, რაშიც იგულისხმება სხვადასხვა კულტურების მოშენების მიზნით ნიადაგის სწორად შერჩევა. ნიადაგის არასწორად შერჩევის შემთხვევაში აუცილებელი რჩება სხვადასხვა სასუქებისა და ქიმიური კომპონენტების დამატება, რაც აბინძურებს მოსავალს. სასურსათო ნედლეულისა და ხილ-ბოსტნეულის ყველაზე გავრცელებულ და საშიშ დამაბინძურებელ კომპონენტებს ნიტრატები და ნიტრიტები (მომწამელელი ნივთიერებები) წარმოადგენენ, რომლებიც ძირითადად აზოტიანი და ზოგჯერ ორგანული სასუქების ჭარბი რაოდენობით გამოყენებისას და მათი შეტანის წესებისა და ვადების დარღვევისას გროვდებიან. ნიტრატებით ჭარბი კვება ამცირებს პროდუქციის სასაქონლო და კვებით ღირებულებებს, აუარესებს მის გემურ თვისებებს და ლპობის პროცესს აჩქარებს. ნიტრატებით დაბინძურებული ხილ-ბოსტნეული ადამიანის, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობას დიდ საშიშროებას უქმნის. ნიტრატების დასაშვები ნორმა ადამიანის ყოველ 1 კგ წონაზე 5 გრამია. ამიტომ 10 კგ წონის ბავშვებისთვის ნახევარი კილოგრამი საზამთროთი ან ნესვით მიღებული 100 მილიგრამი ნიტრატული აზოტი შესაძლებელია ძლიერი მოწამელის მიზეზი გახდეს. ზოგადად ნიტრატები არატოქსიკურები არიან (ტოქსიკური ნიშნავს მომწამელელს), მაგრამ ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმში, კერძოდ კუჭში მოხვედრისას ტოქსიკურებად ხდებიან.

მომხმარებელი, დაბალი გადახდისუნარიანობის გამო, არაჯანსაღ საკვებ პროდუქტებში იხდის ფულს. სწორედ ეს განაპირობებს სასურსათო ბაზარზე კონკურენციის არასწორი ფორმის დამკვიდრებას. პროდუქტის ფასზე ორიენტირებული კონკურენცია მეწარმეს ბაზარზე შედარებით დაბალი ხარისხის საქონლის გამოტანისაკენ უბიძგებს. ამით კი იკარგება უკეთესი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა. მართალია ბოლო დროს სურსათის უვნებლობის სამსახურები გააქტიურდნენ და ეს აუცილებელიცაა, მაგრამ მოსახლეობა მათ საქმიანობას მაინც ეჭვის თვალით უყურებს, რადგანაც მომხმარებელს მიაჩნია, რომ არაჯანსაღი პროდუქტი მაინც მოხვდება სურსათის ბაზარზე კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე და ნებისმიერ პროდუქტზე შეიძლება ატყდეს ყალბი განგაში ამა თუ იმ საწარმოს ჩაძირვის მიზნით. სურსათის უვნებლობის სამსახურების ფორმალურ გააქტიურებას კი შეიძლება აიხსნას უცხოელი ინვესტიციების მიერ ბაზრის ათვისების მიზეზით.

უკანასკნელ ხანს მსოფლიოში ფართოდ დაიწყეს პროდუქციის ეკოლოგიური დაბინძურების კოეფიციენტის კვლევა, რაც კვების პროდუქტების სამომხმარებლო თვისებებზე დიდ გავლენას ახდენს. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ასევე ეფექტურად მიგვაჩნია ეკოლოგიური დაბინძურების კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც გაანგარიშებული უნდა იქნას მავნე ნივთიერების არსებული რაოდენობის დასაშვებ ნორმასთან შეფარდებით. იგი გამოითვლება ფორმულით:

$$Kd = Q_i / N_i$$

სადაც , Kd - ეკოლოგიური დაბინძურების კოეფიციენტია;

Q_i - პროდუქციაში i სახის მავნე ნივთიერებების რაოდენობაა;

N_i - i სახის მავნე ნოვთიერებების დასაშვები ნორმა;

ამრიგად, სასურსათო პრობლემის გამწვავება განპირობებულია მისი ბაზრის არასაკმარისად განვითარებით, ინფრასტრუქტურის დაბალი დონით, საბითუმო ბაზის, სასაქონლო ბირჟების, გამოფენა-დაოვალიერებების ქსელის განუვითარებლობით, საბანკო და მარკეტინგული სტრუქტურების

სათანადო დონეზე ჩამოუყალიბებლებობით. ქვეყნის სასურსათო ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

- უნდა შეიქმნას სასურსათო ბაზრების ფართო ქსელის, რაც ქმნის მოსახლეობის საჭირო პროდუქტებით დროული მომარაგების გარანტიებს;
- სასურსათო ბაზრის წარმატებული ფუნქცინირებისათვის აუცილებელია მისი სახელმწიფო რეგულირება, რომელშიც ძირითადი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებაა, სამამულო წარმოების ზრდისათვის ხელშეწყობის მიზნით;
- პროტექციონისტული ღონისძიებები საკვებ პროდუქტებზე მაინც უნდა გატარდეს, შემოტანილი იაფფასიანი, უხარისხო, ეკოლოგიურად დაბინძურებული და ჯანმრთელობისათვის ხშირად საშიში საკვების მიღებისაგან მოსახლეობის დასაცავად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიქელაძე გ. წულაია დ. სასურსათო პროდუქტების სამომხმარებლო თვისებები და ექსპერტიზა. თსუ. გამომცემლობა. თბ. 2005 წ;

2. ბახტაძე დ. ქართული ტრადიციული პროდუქტები და სასურსათო უსაფრთხოება. გამომცემლობა „თსუ", ტბ. 2004 წ;

3. ნატროშვილი ნ. „უხარისხო და ჯანმრთელობისათვის მავნებელი სურსათის მოხმარების პრობლემა მთელ მსოფლიოში აქტუალურია", გაზეთი 24 საათი, 29.05.2011წ.

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www. geostat. ge.

რამაზ აბესაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
იეანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი

ვახტანგ ბურდული
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
იეანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე

სასოფლო სამეურნეო წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა მისი გამოცოცხლების და მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა

გრძელვადიან პერსპექტივა'ში ქვეყნის სასურსაოო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად პირობას სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება წარმოადგენს. მიუხედა-ვად ამისა, უკანასკნელ წლებ'ში საქართველო'ში შეიმჩნევა ნატურალურ გამოსახულებაში სა-სოფლო-სამეურნეო პროდ'უქციის წარმოების დონის დაქვეითაბა. ასე, მაგალითად, ხორბლის წარმოებამ 2002 წ. შეადგინა 199,7 ათასი ტონა, 2009 წ. კი მხოლოდ – 53,9 ათასი თონა, სი-მინდის წარმოებამ. შესაბამისად, – 400,1 ათასი და 291,0 ათასი ტონა, კართოფილისა – 415,3 ათასი ტონა და 216,4 ათასი ტონა (არსებითად გაიზარდა მხოლოდ ყურძნის წარმოება); მცირ-დება პირუტყვის სულადობაც. ასე, მაგალითად, 2002 წ. ქვეყანაში იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 1216,0 ათასი, 2009 წელს კი – 1014,7 ათასი სული, ღორების სულადობა იმავე პერი-ოდ'ში შემცირდა 446,1 ათასიდან 135,2 ათასამდე; 2002 წ. გამოყენებაში იყო ნათესი ფართობე-ბის 577,0 ათასი, 2009 წ. კი – მხოლოდ 308,3 ათასი ჰა [1; 2]. საკვები პროდ'უქტებისა და ცოცხ-ალი ცხოველების იმპორტის მოცულობა გაცილებით უფრო დიდია ვიდრე ექსპორტის მოცუ-ლობა და, ამასთან, იგი იზრდება უფრო სწრაფად. ასე, მაგალითად, ხსენებული საქონლის იმ-პორტი გაიზარდა 361546 ათას დოლარიდან 2005 წ. 584679 დოლარამდე 2009 წ., ექსპორტი კი, შესაბამისად, 134286 ათასიდან 168451 ათას დოლარამდე [2]. მაშასადამე, მოსახლეების სასურ-საოო პროდ'უქტებით უზრ'უნველყოფაში იზრდება იმპორტის ხვედრითი წილი.

ცხადია, რომ სოფლის მეურნეობის პროდ'უქციის მოცულობის შემცირების ტენდენცია ახ-დენს გავლენას იმ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ხარისხზე, რომლებიც ახასიათებენ ქვეყ-ნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეს. მაგალითად, უარესდება ექსპორტ-იმ-პორტის სალდო, რაც მომავალში აუცილებელს გახდის ახალი საგარეო სესხების აღებას, გა-ამძიელებს უკვე არსებული სახელმწიფო და კერძო ვალდებულებების მომსახურებას. არასათა-ნადო შემოსავლები სოფლის მეურნეობასა და სასოფლო-სამეურნეო პროდ'უქციის გადამ'უშავე-ბის სფეროში ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობაზე, შიდა საქონელბრუნვისა და საბიუჯეტო შემოსავლების მოცულობაზე, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამსახველ თითქმის ყველა მაჩვენებელზე.

არსებობს შიდა და საგარეო ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სა-სოფლო-სამეურნეო პროდ'უქციის დონის შემცირებაზე.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: ა) სოფლის მეურნეობისა და მისი პროდ'უქციის გასაღების ინფრასტრ'უქტ'ურის ინსტიტ'უციური და საწარმოო-ორგანიზაციული არასრ'ულყოფილება, ასევე, ზოგიერთი იმ საწარმოს ჩამორჩენილობა და დაბალი კონკ'ურენტ'უნარიანობა, რომლებიც ახდე-ნენ სასოფლო-სამეურნეო პროდ'უქციის გადამ'უშავებას. აგალითად, ინსტიტ'უციური და ორგა-ნიზაციული სტრ'უქტ'ურების არასრ'ულყოფილება აისახება იმაში, რომ მცირეა კოოპერატივები-სა და შედარებით დიდი ფერმების რიცხვი, რეალ'ურად არ არსებობს მცირე ფერმებისა და სოფლად საშინაო მეურნეობების ტექნიკური და საკონსულტაციო მხარდაჭერის ორგანიზაციე-ბი და საწარმოები (ასევე მაი მხარდაჭერის სხვა ელემენტები). გასაღების ინფრასტრ'უქტ'ურის განვითარებისას საკმაო დონით არ ითვალისწინებენ იმ სასურსაოო პროდ'უქტების რეალიზაცი-

ის შესაძლებლობებს, რომლებიც წარმოებულია ქვეყნის ფარგლებში. საწარმოების ნაწილი, რომელიც ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას, არაა საკმარისად კონკურენტუნარიანი (ფასების, ტექნოლოგიების დონის მიხედვით) იმ საგარეო ფირმებთან შედარებით, რომლებიც აწარმოებენ ანოლოგიურ საქონელს, ნაწილი კი ორიენტირებულია უფრო იაფი იმპორტული ნედლეულის გადამუშავებაზე; ბ) სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობის დაბალი დონე. იგრძნობა არა მარტო იმ ტექნიკის მწვავე უკმარისობა, რომელიც საჭიროა მიწის დამუშავებისათვის, არამედ იმ ტექნიკისაც, რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო მოსავლის მოწევისა და პირველადი დამუშავებისათვის; გ) სოფლის მეურნეობის სუბსიდირების განუვითარების დაბალი დონე იმ შეზღუდვების ფარგლებშიც კი, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო საეაჭრო ორგანიზაციის მიერ გარკვეული ხასიათის სუბსიდიების გაცემაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ. სუსტია სასოფლო სამეურნეო წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა იმ მიმართულებებით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეისათვის, საწვავის და სასუქების გაძვირებისა და საწარმოების სუსტი ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში; დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინოვაციური მხარდაჭერის სისუსტე (მაგალითად, შემცირდა მოთხოვნა სანაშენო და სასელექციო მეურნეობების პროდუქციაზე, რაც გამოიწვია მათი მუშაობის ხარისხის ვარდნა, საფინანსო სახსრების დეფიციტის პირობებში), კერძოდ, სოფლად ინოვაციური საქმიანობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის უკმარისობა (მაშინ, როდესაც ასეთი ხასიათის მხარდაჭერას მსოფლიო საეაჭრო ორგანიზაციის წესები მწვანე შუქს აძლევენ); ე) სოფლის მეურნეობაში რეალური ინვესტიციების სიმცირე.

საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც გამოიწვიეს სოფლის მეურნების პროდუქციის გამოშვების ჩავარდნა და აფერხებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შიდა წარმოების განვითარებას, მიეკუთვნება: სასურსათო პროდუქციის იმპორტის ზეწოლა შიდა ბაზარზე; საგარეო ბაზრებზე სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წაწევის სისტემის განუვითარებლობა. არასაკმარისიანება სახელმწიფო რეგულირების ის ზომებიც კი, რომლებიც ხელმისაწვდომია შიდა ბაზრის დაცვისა და ექსპორტის მხარდაჭერისათვის, იმ შეზღუდვების ფარგლებში, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო საეაჭრო ორგანიზაციის მიერ.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა იმიტომაც წარმოადგენს უკიდურესად აქტუალურ ამოცანას, რომ მსოფლიოში 2005 წლიდან დაიწყო ფასების სწრაფი ზრდა მცენარეული და მეცხოველეობის პროდუქციის რიგ სახეობაზე. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ორი გარემოებით. პირველი, ბევრ ქვეყანაში იზრდება ბიოსაწვავის წარმოების მოცულობა, რისთვისაც გამოიყენება რიგი მარცელეული და სხვა კულტურა, ძირითადად საკვები, რის გამო იზრდება ფასებიც ხორცზე და ხორცის პროდუქტებზე. მაგალითად, ბრაზილია საკუთარი ნავთობით ფარავს თავის მოთხოვნების ნახევარს, მოთხოვნების მეორე ნახევრის უზრუნველსაყოფად კი იყენებს ეტილის სპირტს, რომელსაც ღებულობს სიმინდიდან [3, გვ. 51]. სხვა ქვეყნებიც (აშშ, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, შვედეთი, ჩინეთი, მალაიზია, ინდონეზია, ინდოეთი, სამხრეთი ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა) ასევე ზრდიან ბიოსაწვავის წარმოებას, ამასთან, ამისათვის იყენებენ სხვადასხვა კულტურას – შაქრის ლერწამს (რომლისაგან აწარმოებენ ყველაზე იაფ ბიოსაწვავს), სიმინდს, ხორბალს, შაქრის ჭარხალს და სხვას [3, გვ.51]. მეორე, მოსახლეობის საშუალო ფენების ზრდამ ზოგიერთ სწრაფად განვითარებად ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთში და ინდოეთში, განაპირობა მათ'ში მაღალხარისხიანი შედარებით ძვირი კვების პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა და ამ ქვეყნების მიერ მსოფლიო ბაზრებზე ასეთი პროდუქციის სულ უფრო მზარდი მოცულობით შესყიდვა. ეს პროცესი ასევე ახდენს გავლენას საკვები პროდუქციის გაძვირების ტენდენციაზე.

განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოებისა და სასურსაოო კომპლექსის რეგულირებისათვის გამოიყენება მრავალი სხვადასხვა ზომა და სხვადასხვა მექანიზმი, თუმცა სოფლის მეურნეობის პირდაპირი სუბსიდირების დონემ, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის სუბსიდირების დონემ, მსოფლიო საეაჭრო ორგანიზაციის მიზანდასახულობების შესაბამისად, საგრძნობლად დაიკლო. ამასთან არსებობს არა მარტო სახელმწიფო რეგულირება, არამედ კოორდინაცია მეწარმეების მხრიდან.

საერთაშორისო საეაჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებულ ფარგლებში პირდაპირი სუბსიდირებისა და ზოგიერთ სხვა ფორმასთან ერთად ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებულში, არსებობს სოფლის მეურნეობაში და მისი პროდუქციის ბაზრებზე წაწევის ქსელში მე-

წარმეობის რეგულირების (მხარდაჭერის) სხვადასხვანაირი ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფორმა. ასე, მაგალითად, სასურსათო ბაზრის რეგულირებას კანადაში ახორციელებს მწარმოებელთა 330 ასოციაცია (ხორბლის, შვრიის, კართოფილის, რძის, ხორცის და მრავალი სხვა) და აკონტროლებს 120 პროვინციალური საეჭრო დეპარტამენტი. ამასთან, ერთი და იგივე ფერმერი შეიძლება იყოს რამდენიმე მწარმოებელთა ასოციაციისა და საეჭრო გაერთიანების წევრი. ასოციაციების მეშვეობით ნაწილდება (მიიმართება) სუბსიდიები და დოტაციები. ასოციაციებს სამინისტრო აძლევს გარანტიებს კრედიტებზე სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის [5, გვ. 25].

სხვა ქვეყნებში სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ხელშეწყობისათვის ასევე გამოიყენება სხვადასხვა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმა. ესპანეთში, საფრანგეთში და სხვა ევროპულ ქვეყანაში ამ ამოცანის გადაწყვეტა ხდება საბითუმო სასურსათო ბაზრების მეშვეობით [5, გვ. 26]. ნიდერლანდებში სასურსათო ბაზრის რეგულირება ხორციელდება ორ დონეზე: ევროკავშირის საერთო სასურსათო ბაზრის ჩარჩოებში და ეროვნულ დონეზე. რეგულირებას ძირითადად ახორციელებენ დარგობრივი აგროსამრეწველო ორგანიზაციები (კავშირები), რომლებშიც წარმოდგენილია სასურსათო კომპლექსის კველა რგოლის ინტერესი – მწარმოებლიდან მომხმარებლამდე [5, გვ. 27].

საერთაშორისო საეჭრო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად სასურსათო სექტორის სამამულო მეწარმეების სახელმწიფო მხარდაჭერის შიდა ზომები რეგლამენტირდება ეგრეთ წოდებული "ყვითელი", "ცისფერი" და "მწვანე კალათების" დებულებების მეშვეობით (იხ., მაგ., [6, გვ. 127-128]).

"ყვითელი კალათა" მოიცავს სამამულო მეწარმეების საფინანსო სახელმწიფო მხარდაჭერის იმ ზომემს, რომლებიც დაქვეითებას ექვემდებარება. ძირითადად ესაა სუბსიდიები და დოტაციები, რომელიც მიმართულია კონკრეტული პროდუქტების წარმოების ზრდაზე. საერთაშორისო საეჭრო ორგანიზაციის სხვა წესებით განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის სუბსიდიების უკიდურესი დონეც, რომელიც შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 10%.

"ცისფერი კალათა", რომელიც აქტუალურია მხოლოდ ყველაზე განვითარებული ქვეყნებისათვის, სახელმწიფოს ნებას აძლევს, რომ მან არ შეუზღუდოს სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს იმ თანხების გადახდა, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების მოცულობის შესღუდვის პროგრამებთან, ფიქსირებული საბაზო დონეების მიხედვით.

"მწვანე კალათა", რომლის მოცულობა მსოფლიო საეჭრო ორგანიზაციის წესებით არ იზღუდება და დამოკიდებულია მხოლოდ ქვეყნის შესაძლობებზე, მოიცავს სახსრებს, რომლებიც მიიმართება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამეცნიერო გამოკვლევებზე, განათლებაზე და სწავლებაზე, საკონსულტაციო მომსახურებაზე, რეგიონული განვითარების პროგრამებზე და სხვა. ამავე "კალათაში" შედის მწარმოებლებისათვის იმ თანხების გადახდა, რომლებიც არაა დაკავშირებული წარმოების მიმდინარე მოცულობასთან.

მდგომარეობა საქართველოს სოფლის მეურნეობაშო ამჟამად ისეთა რომ არ შეიძლება უარის თქმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სუბსიდირების იმ ხერხების მაქსიმალური ზომით გამოყენებაზე, რომლებიც დაშვებულია მსოფლიო საეჭრო ორგანიზაციის ყვითელი კალათით. ასეთი ზომების გამოყენება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას მოკლევადიან პერიოდში. ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და მისი გადამუშაევების პროდუქტების შიდა ბაზრის დასაცავად უნდა გამოყენებულ იქნეს მსოფლიო საეჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებული ყველა სტარიფო და არასტარიფო მეთოდი და, ასევე, ის მეთოდები, რომლებიც მსოფლიო საეჭრო ორგანიზაციის მიერ არ რეგლემენტირდება.

როგორც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შიდა გასაღებისა და ექსპორტის ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულირების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმების განვითარებას.

სასოფლო-სამეურნო წარმოების მოკლევადიან პერიოდში გამოცოცხლებისა და, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გრძელვადიან პერიოდში მდგრადი განვითარების, მოდერნიზაციისა და შიდა და საგარეო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საფინანსო ღონისძიებების გამოყენებას, რომლებსაც მოიცავს მსოფლიო საეჭრო ორგანიზაციის "მწვანე კალათა".

ასეთი მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები, ჩვენი აზრით, უნდა იყოს: სოფლის მეურნეობის ყველა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმის მოდერნიზაციის სტიმულირება; ინოვაციების, მეცნიერების, განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების დაფინანსება; კონსალტინგური საქმიანობის მხარდაჭერა; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა (ან მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობა); სახელმწიფოსა და კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა ისეთი საწარმოების ორგანიზაციაში, რომლებიც უსრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ მომსახურებას; სახსრების გამოყოფა მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით; სახსრების გამოყოფა ცხოველების ავადმყოფობებთან და მცენარეების მაუნებლებებთან ბრძოლისათვის; სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2009.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2010.
3. Архипов В. К вопросу о мировом продовольственном кризисе. – Экономист, 2009, №3.
4. Горбачева А. А., Меринов М. А. Макроэкономические императивы обеспечения продовольственной безопасности России. – Экономический вестник Ростовского государственного университета. – 2008, т. 6, №4, ч. 4.
5. Добросоцкий В. Государственное регулирование продовольственного рынка (зарубежный опыт). – МЭиМО, 2000, №9.
6. Резникова О. С., Ермаков А. Е. Интеграция Украины в ВТО, как процесс глобализации, затрагивающий продовольственную безопасность страны. – Труды одиннадцатой международной конференции студентов и молодых ученых «Управление развитием социально-экономических систем: глобализация, ïaåÄïaèíèÀgâë¼bgÂî, устойчивый экономический рост». Часть 4. Донецк: ДонНУ, 2010.

ლარისა ყორღანაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აგროტურიზმის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში

ისტორიულად სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგია და მის განვითარებას პრიორიტეტი ენიჭება. მიუხედავად ამისა, მან ქვეყნის ეკონომიკაში სათანადო ადგილი ვერ დაიკავა და აღმავლობის ნაცვლად კრიზისში იმყოფება. ამაზე მეტყველებს მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის შემცირდების ტენდენცია: 2005 წელს იგი 14.8 % იყო, ხოლო 2009 წელს – 8.3 %. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მშპ-ში სოფლის მეურნეობის მცირე წილის მიუხედავად, 2009 წელს სოფლად დასაქმებული იყო საქართველოს აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) 57 % (2010 წელს – 56,4%), ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის 63.2 %, დაქირავებით მომუშავეთა 30.6 % და თვითდასაქმებული მოსახლეობის 81.5 %. დასაქმების დონე სოფლად მნიშვნელოვნად აღემატება ქალაქისას, რის შედეგად ბევრად დაბალია უმუშევრობის დონე. სოფლის მოსახლეობის უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა 2010 წელს და მან 7.9 % შეადგინა, რაც ქალაქთან შედარებით 3.5-ჯერ ნაკლებია (ცხრილი 1).

ცხრილი 1. უმუშევრობის, აქტიურობისა და დასაქმების დონეები ქალაქად და სოფლად, 1998-2010 წწ., % [1]

წლები	უმუშევრობის დონე	აქტიურობის დონე	დასაქმების დონე	უმუშევრობის დონე	აქტიურობის დონე	დასაქმების დონე
1998	22,1	56,6	44,1	3.8	75.8	72.9
1999	22,0	55,0	42,9	4.6	74.6	71.2
2000	18,4	56,0	45,7	3.9	75.1	72.2
2001	22,3	55,5	43,2	2.7	77.5	75.4
2002	24,2	55,0	41,7	3.9	75.2	72.3
2003	22,1	56,4	44,0	4.1	75.3	72.3
2004	24,3	55,3	41,9	4.2	74.1	70.9
2005	26,3	54,3	40,1	5.0	73.4	69.7
2006	26,1	52,3	38,7	4.8	71.7	68.2
2007	23,9	53,1	40,4	5.4	73.9	70.0
2008	28,9	54,4	38,7	7.1	70.7	65.7
2009	28,8	56,2	40,0	7.8	70.7	65.1
2010	27,2	57,1	41,6	7.9	71.1	65.5

წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

ცხრილი 2. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ქალაქისა და სოფლის ჭრილში, 2006-2010 წწ., ლარი [2]

	2006		2007		2008		2009		2010	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	86,0	51,7	104,3	57,3	134,2	72,9	150,3	80,0	168,9	96,3
დაქირავებული შრომიდან	44,8	13,0	56,1	15,6	72,3	18,7	78,9	22,2	86,5	26,5
თვითდასაქმებიდან	15,1	6,7	16,6	6,2	21,5	7,4	22,9	7,2	23,1	7,8
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	0,6	16,3	0,5	14,6	1,2	15,2	1,1	14,5	1,5	19,2
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	0,5	0,3	1,8	0,3	1,4	0,5	3,2	0,3	3,3	0,6
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	8,6	8,7	10,8	11,7	16,1	18,3	17,7	22,7	20,8	24,8
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	6,2	1,9	7,1	2,5	7,4	3,5	9,2	3,0	10,1	3,8
სარეალურად მიღებული ფული	10,3	4,9	11,4	6,4	14,4	9,3	17,4	9,9	23,6	13,6
არაფულადი შემოსავლები	6,3	36,6	6,0	35,0	7,7	40,4	7,3	37,0	7,1	37,6
შემოსავლები, სულ	92,3	88,3	110,3	92,3	142,0	113,3	157,7	117,0	176,1	133,9
სხვა ფულადი სახსრები	13,3	11,6	14,6	12,9	24,0	15,4	21,5	13,5	28,4	19,5
ქონების გაყიდვა	2,6	1,1	2,0	1,2	4,6	1,1	3,1	0,6	5,2	1,1
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	10,7	10,5	12,7	11,7	19,5	14,3	18,3	12,9	23,3	18,5
ფულადი სახსრები, სულ	99,3	63,3	118,9	70,2	158,3	88,4	171,8	93,5	197,4	115,8
ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ	105,5	99,9	124,9	105,2	166,0	128,7	179,1	130,4	204,5	153,4
წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=181&lang=geo										

დასაქმების მაღალი დონისა და უმუშევრობის დაბალი დონის პირობებში სოფლად შემოსავლები (მათ შორის ფულადი შემოსავლები) ნაკლებია ქალაქთან შედარებით. მაგალითად, 2010 წელს სოფლად თვითდასაქმებული მოსახლეობის საშუალო თვიურმა შემოსავალმა 7,8 ლარი შეადგენა, დაქირავებული შრომიდან მიღებულმა – 26,5 ლარი. სოფლის მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი შემოსავლების 24,8 % პენსიები, სტიპენდიები და დახმარებებია (ცხრილი 2). ასეთ სიტუაციაში სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე სოფლად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად. 2010 წელს სიღარიბის დონემ მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ ქალაქად 17.6 და სოფლად 24.3 % შეადგინა, ხოლო 40 პროცენტის მიმართ – შესაბამისად 7.3 და 10.2 % (ცხრილი 3).

ცხრილი 3. სიღარიბის მაჩვენებლები ქალაქისა და სოფლის ჭრილში [3]

	2005		2006		2007		2008		2009		2010	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
სიღარიბის დონე												
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	23.0	26.2	22.1	26.0	22.8	23.7	17.9	24.9	18.0	26.2	17.6	24.3
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	8.9	12.8	8.8	11.3	8.1	107	6.5	12.1	7.0	11.9	7.3	10.2
სიღარიბის სიღრმე												
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	6.8	9.4	6.5	8.6	6.4	7.9	5.0	8.8	5.3	8.7	5.4	7.8
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	2.4	4.4	2.3	3.8	2.2	3.5	1.6	4.0	1.8	3.6	2.0	3.2
სიღარიბის სიმწვავე												
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	3.0	4.9	2.9	4.3	2.7	3.9	2.1	4.4	2.3	4.2	2.5	3.7
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	1.0	2.3	1.0	1.9	0.9	1.7	0.6	1.9	0.7	1.7	0.9	1.5
წყარო: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/mcg/Saqartvelo%20cifrebshi_Geo.pdf												

სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე სოფლის მეურნეობაში დაგროვილ პრობლემებთანაა დაკავშირებული. 2010 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიშში, რომელიც საქართველომ ევროპასთან სამეზობლო ურთიერთობის პოლიტიკის ფარგლებში შეიმუშავა, ნათქვამია, რომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოცულობა ისევ შემცირდა. ამის გამომწვევ ფაქტორებად ევროკავშირი სექტორის პოლიტიკაში თანმიმდევრობის არარსებობას, ცუდად განვითარებულ საჯარო მომსახურებას, კრედიტის შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, მოძველებულ ტექნიკას და სხვა მიზეზებს ასახელებს. ევროკავშირს მიაჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების არაოთანამიმდევრული სტრატეგია აქვს [4]. შესაბამისად, საქართველოს სჭირდება სოფლის მეურნეობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის ეფექტიან და მდგრად განვითარებას ქვეყნის მასშტაბითა და რეგიონების მიხედვით, სურსათზე მოთხოვნა-მიწოდების სტაბილიზაციასა და სურსათის ბაზრის დაბალანსებას, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას და ექსპორტის მოცულობის ზრდას, სოფლების სოციალურ განვითარებას, მიწის რესურსების ეფექტიან მართვასა და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვას.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის ის სამი პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა საფუძველზე მომავალი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი გაორმაგდება. აღნიშნული სამი პრიორიტეტული მიმართულება მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ურთიერთზემოქმედებას განიცდის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურიზმის, მათ შორის აგროტურიზმის მულტიპლიკაციური ეფექტი, რომელიც ასტიმულირებს მასთან დაკავშირებულ ისეთ დარგებს, როგორებიცაა: ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა, სამომხმარებლო საქონლის წარმოება, სოციალური სფერო და ა. შ. სწორედ ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში განსა-

კუორებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგროტურიზმს, რომელიც სოფლის მოსახლეობას არასასოფლოსამეურნეო საქმიანობის განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

საქართველოში აგროტურიზმი ტურიზმის შედარებით ახალი, მაგრამ პერსპექტიული სექტორია. იგი ორიენტირებულია ქალაქგარე ადგილების (სოფლების) ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა რესურსების გამოყენებასა და კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შექმნის სპეციფიკაზე. აგროტურიზმი, ერთი მხრივ, არის დამხმარე სასოფლო წარმოების სახე და, მეორე მხრივ, ეკონომიკური, ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული ტურისტული სექტორი, რომელიც ხელს უწყობს თანამედროვე ინდუსტრიულ სამყაროში ცხოვრების სწრაფი ტემპისაგან დაღლილი ქალაქის მოსახლეობის მშვიდ, მეუღრო გარემოში დასვენებასა და გართობას, სუფთა ჰაერით სუნთქვას, ლამაზი პეიზაჟებით გახალისებას და ა.შ. აგროტურიზმი არის სოფლების განვითარების კარგი შესაძლებლობა და მოსახლეობის შემოსავლის ალტერნატიული წყარო.

იგი მოიცავს სოფელში ქალაქელების დროისტარების ყველა სახეს: დასვენების ელემენტებსა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. მასში შეიძლება შედიოდეს ნაკვეთში მუშაობასთან შეხამებული დასვენება, სოფელზე ორიენტირებული ეთნოგრაფიული ექსკურსიები, რეკრეაციული ღონისძიებების ჩარჩოდან გამომდინარე აგროსამრეწველო სამუშაოებში ნებაყოფლობითი დროებითი მონაწილეობა და ა. შ.

არსებობს აგროტურიზმის მოდელის ფორმირების ორი კონცეფცია [5]. პირველი კონცეფციის თანახმად აგროტურისტულ ბიზნესს აწარმოებენ მცირე ფერმერული და პირადი დამხმარე მეურნეობები საკუთარი ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენებით. რა თქმა უნდა, ასეთი დაფინანსების პირობებში ტურისტთა დიდი ნაკადის მოზიდვა ფაქტობრივად გამორიცხულია, მაგრამ ეს მოდელი ქმნის აგროტურიზმის განვითარების საფუძველს. მეორე კონცეფცია ითვალისწინებს აგროტურიზმის კომპლექსურ განვითარებას ანუ სოფელში აგროტურიზმი ხდება ბიზნესის წამყვანი სახე, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტის რეკრეაციულ მომსახურებას სოფლის რესურსების გამოყენების საფუძველზე. ხშირად ეს ორი კონცეფცია ერთი და იმავე პროცესის ორი ეტაპის სახით განიხილება. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში აგროტურიზმი სწორედ ასეთი ეტაპების სახით ვითარდებოდა და მისი განვითარების საწყისი მოტივები ძირითადად სოციალურ ხასიათს ატარებდა, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკა ლოკალური აგროტურიზმის მხარდაჭერაზე იყო გათვლილი. ამის გამო ევროპაში დღესაც აგროტურიზმის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებზეა ორიენტირებული. ასეთი პოლიტიკის აუცილებლობა, როგორც წესი, განპირობებულია ადგილობრივი აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაკარგვითა და სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებაზე გამიზნული რესტრუქტურიზაციის აუცილებლობით. შესაბამისად, აგროტურიზმი განიხილებოდა და ახლაც განიხილება როგორც ეკონომიკური საქმიანობის ალტერნატიული სახე, რომელსაც ჩამორჩენილი რეგიონების შემოსავლების უსრუნველყოფა შეუძლია.

აგროტურიზმის განვითარების უცხოური გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში მისი განვითარების შედეგად შესაძლებელია:

- ტურიზმის სფეროს დივერსიფიკაცია და პერსპექტიული ტურისტული სეგმენტის ფორმირება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სოფლის მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლება;
- ადგილობრივი ბიუჯეტების შევსება, სოფლის მოსასლეობის შემოსავლების ზრდა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;
- სოფლიდან მიგრაციის შემცირება და სოფელში ახალგაზრდების დამკვიდრება, ნაკლებად დასახლებული სოფლების შენარჩუნება და აღორძინება;
- ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ხალხური რიტუალების შესწავლის სტიმულირება, ტრადიციული ქართული ფასეულობებისა და ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
- გამოყენებითი ხელოვნებისა და რეწვის სხვადასხვა სახეების განვითარება, სოფლის მოსახლეობის კულტურულ-შემეცნებითი დონის ამაღლება;

- სოფლებისა და საკარმიდამო ტერიტორიების კეთილმოწყობა, სოფლების საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სოფლად მცირე მეწარმეობის განვითარება, ფერმერული და პირადი დამხმარე მეურნეობების პროდუქციის წარმოების გაფართოება და ადგილზე მისი რეალიზაციის შესაძლებლობა;
- სოფლების განვითარებისათვის ინვესტიციების მოზიდვა, ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და სოფლის მოსახლეობის საქმიანობის დივერსიფიკაცია;
- პოპულარული ტურისტული ცენტრების განტვირთვა, ტურიზმის სეზონურობის შერბილება, ინტენსიური სამეურნეო საქმიანობის ნეგატიური ეკოლოგიური შედეგების შემცირება და გარემოს დაცვა.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივები არსებობს, მაგრამ საწყის ეტაპზე მას სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება და ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში უნდა აისახოს. აგროტურიზმის სახელმწიფო მხარდაჭერა შეიძლება ითვალისწინებდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის შესწავლას, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოთხოვნილებების შესწავლას, აგროტურიზმის განვითარებით დაინტერესებული ოჯახების ინფორმაციულ უზრუნველყოფასა და მათ მომზადებას ტურისტების მისაღებად, ტურისტების მისაღებად აუცილებელი პირობების გაცნობას, საერთაშორისო ბაზარზე ტურისტული პროდუქტის რეკლამირებას და სხვა.

გამოყენებული წყაროები

1. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo
2. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=181&lang=geo
3. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/mcg/Saqartvelo%20cifrebshi_Geo.pdf
4. http://www.kakhetinews.ge/en/home/latest-news/agriculture/saqartvelos-soflis-meurneobis-ganvitarebis-aratanmimdevruli-strategia-aqvs
5. http://www.dem-admin.ru/turizm/turselo/

ნინო ვანიშვილი
დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებელი,
სტუ-ს არქივის სპეციალისტი

მერაბ ვანიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და სასურსათო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური რეგულირება ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირების აუცილებლობა ნაკარნახევია მთელი რიგი ფაქტორებით.

საქმე იმაშია, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო (სასურსათო) პროდუქციაზე შედარებით დაბალელასტიკურია: აღნიშნულ პროდუქციაზე ფასების მომატებისას მოსახლეობა მაინც სტაბილურად შეიძენს და მოიხმარს კვების აუცილებელ პროდუქტებს, მათზე ფიზიოლოგიური მოთხოვნის გამო. ამასთან, მოსახლეობას კიდევაც რომ გავზარდოს შემოსავლები ან სურსათზე ფასები დაეცეს, მოთხოვნა ადექვატურად არ გაიზრდება, რადგან აქ, გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, მოქმედებს ბუნებრივ-ფიზიოლოგიური ფაქტორიც, რომელიც არსებითად ზღუდავს მოთხოვნას და, შესაბამისად, მოხმარებას.

ამის საპირისპიროდ, სასოფლო-სამეურნეო (სასურსათო) პროდუქციის კვლავწარმოებისათვის საჭირო სამრეწველო პროდუქციაზე (საწვავი, კომბინირებული საკვები, მინერალური სასუქები და ა. შ.) და მომსახურებაზე მოთხოვნა ხასიათდება მაღალი ელასტიკურობით. ამ მდგომარეობას ობიექტურად მივყავართ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის გარდუვალ დარღვევასთან. ასეთ ვითარებაში საჭიროა ეგზოგენური ფაქტორი სახელმწიფოს სახით, რომელმაც თავისი ჩარევით უნდა გამორიცხოს ფასების მერყეობა და დისპარიტეტი, ანუ არ დაუშვას არც მომხმარებლის და არც მწარმოებლის ინტერესების შელახვა [1, გვ. 198].

ზემოაღნიშნულ და სხვა თავისებურებათა გამო, აგროსასურსათო სექტორი პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერის ობიექტია. გასული საუკუნის 90-იან წლებში აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერა მომხმარებლებს (გადასახადის გადამხდელებს) მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 350 მლრდ დოლარი უჯდებოდათ. ყველაზე მეტი ოდენობით ეკონომიკური მხარდაჭერა ჰქონდათ (და დღესაც აქვთ) ევროკავშირის ქვეყნებს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, იაპონიას, არაბულ სამყაროსა და სხვა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

აგროსასურსაოო სექტორის მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირებისათვის გამოიყენება წარმოების მოცულობათა კვოტირების სისტემა (განსაკუთრებით, ევროკავშირის ქვეყნებში), მიწის სავარგულების დროებითი გამოყვანა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან (განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში), სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საქონელმწარმოებელთა პირდაპირი სუბსიდირება ფასების მეშვეობით, საგარეო ვაჭრობის რეგულირება. (იმპორტზე ან ექსპორტზე ტარიფის აწევით/ან დაწევით), სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგების სუბსიდირება, სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელება, სასოფლო დასახლებებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.

ჩამოთვლილი ღონისძიებები, უპირატესად, ხორციელდება სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მიწოდების გადიდებისათვის. ამასთან ერთად, ტარდება ისეთი ღონისძიებებიც, რომლებიც ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნას ასტიმულირებს. ესაა, უწინარეს ყოვლისა, უფასო სახელ-

მწიფო (ან არასახელმწიფო) კვების ობიექტების გახსნა, ბავშვთა უფასო კვება სკოლებში და ა.შ.

აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, მიზნობრივი ნიშნის მიხედვით, შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

- საკომპენსაციო დანახარჯები, ანუ წარმოების ფაქტორების შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ხარჯების სრული ან ნაწილობრივი კომპენსირება;
- პრიორიტეტულ მიმართულებებზე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დამუშავება, დაფინანსება და განხორციელება;
- საექსპორტო და საიმპორტო ტარიფების რეგულირებით შიდა სასურსათო ბაზარზე ფასების სტაბილურობის შენარჩუნება;
- სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის, ასევე წარმოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსაცია;
- საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საქონელმწარმოებლები ძირითადად უნდა საქმიანობდნენ თვითდაფინანსების პრინციპით, მაკროეკონომიკური რეგულირება და მხარდაჭერა კი უნდა გამოიყენებოდეს წარმოების დამატებითი ეკონომიკური პირობების უზრუნველსაყოფად;
- საქონელმწარმოებელია მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერისათვის გამოყენებული დოტაციები, სუბსიდიები, სუბვენციები[1] და სხვა მარეგულირებელი ბერკეტები უნდა ასტიმულირებდეს მეურნეობრიობის უფრო მაღალ ეფექტიანობას;
- მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა გამოიყენებოდეს დიფერენცირებულად, თითოეული საწარმოს კონკრეტული საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, და უნდა ატარებდეს მკაცრად გამოკვეთილ მიზნობრივ-პროგრამულ ხასიათს [1, გვ. 201].

აგროსასურსაოო პოლიტიკის განხორციელებაზე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ძირითად მიმართულებას ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში წარმოადგენს საბაზრო ფასების მხარდაჭერა (75-80%). სოფლის საქონელმწარმოებლებისათვის პირდაპირი გადასახდელები შეადგენს სოფლის მეურნეობის დაფინანსების მთლიანი მოცულობის 18-20%-ს, ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმები კი – 15-20%-ს.

პროდუქციის სახეების მიხედვით, სახელმწიფოს დანახარჯების ძირითადი ნაწილი მოდის აგრეთვე ფასების მხარდაჭერის სისტემაზე. იმავდროულად, მზესუმზირისა და მატყლის წარმოება საშუალოდ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) წევრ ქვეყნებში უპირატესად სტიმულირდება პირდაპირი სუბსიდირებისა და ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმების, და არა ფასების მეშვეობით.

იმის გამო, რომ მოტანილი მაჩვენებლები ასახავენ ფინანსური მხარდაჭერის მხოლოდ ერთ მიმართულებას – პირდაპირ სუბსიდიებს და არ ითვალისწინებენ არაპირდაპირი მხარდაჭერის ფორმებს, ჯერჯერობით ძნელია მათი ჩვენი ქვეყნის მონაცემებთან შედარება. თუმცა, ისინი ნათლად მოწმობენ აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის აუცილებლობის შესახებ.

თითოეული ქვეყანა აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერისათვის იყენებს იმ მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც ამა თუ იმ პერიოდში მას გააჩნია კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად.

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის რაოდენობისა და ხარისხის გასაზომად სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მხარდაჭერა უნდა გაიზომოს აგროსასურსაოო სექტორის მიმართ სახელმწიფოს მიერ გაწეული ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით, მაგრამ, მეცნიერთა მეორე ნაწილის სამაროლიანი მტკიცებით, ბიუჯე-

---

[1] *დოტაცია* – სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებაა, რომელიც გამოიყოფა საწარმოთა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ზარალის დასაფარავად; *სუბსიდია* – ფულადი დახმარებაა, რომელსაც გასცემს სახელმწიფო დანახარჯების დაფარვის დამატებითი წყაროს სახით; *სუბვენცია* – სახელმწიფო სახსრების ფიქსირებული ოდენობაა, რომელიც გამოყოფილია მკაცრად მიზნობრივი დანიშნულებით.

ტიდან გაწეული სოლიდური დახმარება არ ნიშნავს პროდუქციის მწარმოებლებისათვის რეალურ დახმარებას, თუ იმავდროულად სახელმწიფო აწესებს აკრძალვებს ან შეზღუდვებს ქვეყნის გარეთ პროდუქციის გატანაზე (ექსპორტზე).

ამდენად, სახელმწიფოს მიერ აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერის რაოდენობრივი აღრიცხვისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობათა დადგენა, არამედ ყველა სხვა ღონისძიების ეკონომიკური შეფასება, რომლებიც ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დაცვას უკავშირდება. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის ამა თუ იმ ღონისძიების შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, აანალიზებენ ქვეყნის შიდა და გარე ბაზრებზე არსებულ ფასებს.

ადგილობრივი ფასების სიდიდის ობიექტურობის დასადგენად მას, როგორც წესი, მსოფლიო ფასებს უდარებენ და იმის მიხედვით, თუ როგორია შეფარდება მათ შორის, აკეთებენ დასკვნას. კერძოდ, თუ ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასისა და მსოფლიო ფასის შეფარდება ერთზე მეტია – მაშინ ადგილობრივი მწარმოებელი იღებს უფრო მაღალ შემოსავალს თავისი პროდუქციიდან, ანუ წარმოების სუფსიდირებას არ აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში მომხმარებელი იძულებულია გადაიხადოს მაღალი ფასი, ანუ ადგილი აქვს მის დაბეგვრას გადასახადით.

საპირისპირო მდგომარეობის დროს (ანუ როცა ადგილობრივ და მსოფლიო ფასს შორის შეფარდება ერთზე ნაკლებია), თავად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელია დაბეგრილი, მომხმარებელი კი – სუბსიდირებული.

რაც შეეხება მესამე შემთხვევას (ანუ, როცა ადგილობრივ და მსოფლიო ფასს შორის შეფარდება ეროის ტოლია), იგი აჩვენებს, რომ სახელმწიფო ახორციელებს ნეიტრალურ პოლიტიკას. რაც მეტადაა შეფარდების მაჩვენებელი გადახრილი ერთიდან, მით მაღალია სახელმწიფოს მონაწილეობა ცალკეული პროდუქტის თუ დარგის მხარდაჭერასა და რეგულირებაში.

აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის ზომა და ხარისხი სხვადასხვაგვარია მსოფლიოს ქვეყნებში. ცალკეული ქვეყნები გამოირჩევა ამ მიმართულებით ლიბერალური პოლიტიკის გატარებით (მაგალითად, ახალი ზელანდია), ზოგი ქვეყანა კი მხარდაჭერის მეტად მაღალი დონით გამოირჩევა (მაგალითად, იაპონია). თუმცა, ასეთი პოლიტიკა მუდმივი არაა და ის თითოეულ ქვეყანაში იცვლება შიდა თუ გარე ფაქტორების ზემოქმედებით [1, გვ. 202].

წარმოების ნომინალური სახელმწიფოებრივი ფინანსური მხარდაჭერის კოეფიციენტი (CNS) წარმოადგენს რაოდენობრივი შეფასების სპეციალურ ფორმას, რომლის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მსოფლიო სასურსათო ბაზრისაგან ამა თუ იმ ქვეყნის იზოლაციის ხარისხის შესახებ; რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით მეტია იზოლაციის ხარისხი.

მთლიანად ეთგო-ს წევრი ქვეყნების მიხედვით, 1990 წლიდან მოყოლებული, CNS შეესაბამება 1,7 მნიშვნელობას, რაც რამდენადმე აჭარბებს 1986-1988 წლების დონეს. ეს იმას ნიშნავს, რომ შიდა ფასების დონე საშუალოდ ეთგო-ს მიხედვით 1,7-ჯერ აჭარბებს მსოფლიო დონეს. პროდუქციის სახეებიდან ყველაზე მეტი ფინანსური მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზრისაგან დაცვის ხარისხი გაანნია ბრინჯს (6,9) და რძეს (2,5), ყველაზე ნაკლები – მატყლს (1,5) ქათმის ხორცსა და კვერცხს (1,3) [2, გვ. 80].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები მსოფლიო ბაზრის ფასების რყევებისაგან ყველაზე მეტად დაცულნი არიან ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შვეიცია (4,8), ნორვეგია (4,5), ფინეთი (3,5) და იაპონია (3,3). ექსპორტზე ორიენტირებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მიისწრაფის ერთისაკენ (ახალ ზელანდიაში – 1,0, ავსტრალიაში – 1,1, აშშ-ში – 1,2, კანადაში – 1,3). უნდა აღინიშნოს, რომ ეთგო-ს წევრ ქვეყნებში (ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნების ჩათვლით) სურსათის შიდა ფასები აჭარბებს მსოფლიო დონეს. ამიტომ აქ შიდა ფასებით მსოფლიო დონის მიღწევა სერიოზულ სირთულეს არ წარმოადგენს მათი შემდგომი ზრდისათვის.

აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირება და მხარდაჭერა დღევანდელ მსოფლიოში ცალკე აღებული რომელიმე ქვეყნის პრობლემა და საზრუნაი არაა, რამდენადაც ის განსაზღვრავს სურსათის სიჭარბეს ან დეფიციტს მსოფლიოში, სურსათის ფასებს, ქვეყნებს შორის სუბსიდიების ირიბი გადანაწილების ზომას და ა.შ.

ამ საერთაშორისო პრობლემის დარეგულირებას მიეძღვნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ე.წ. "ურუგვაის რაუნდი." ქვეყნებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეხვედრის

დასკვნით დოკუმენტს, ივალდებულეს არ გაზარდონ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის მოცულობა, პირიქით, შეამცირონ ის. ამ მხრივ, განვითარებული ქვეყნებისთვის დაწესდა უფრო მკაცრი გრაფიკი, ვიდრე განვითარებადისათვის. განვითარებულ ქვეყნებს, დაწყებული 1995 წლიდან, 6 წლის განმავლობაში უნდა შეემცირებინათ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის მოცულობა 20 პროცენტით, ხოლო განვითარებად ქვეყნებში კი – 10 წლის განმავლობაში მხოლოდ 13 პროცენტით. მოგვიანებით, ვმო-ს 2005 წლის "ჩინეთის სისტემა" განვითარებად ქვეყნებში აგროსასურსაოო სექტორისადმი მხარდაჭერის შეზღუდვის ეადა გააგრძელა 2013 წლამდე.

ამასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა შესაძლებელი იქნება ძირითადად იმ ქვეყნებში, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის აქვთ ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და არგენტინა. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობის სოფლის მეურნეობა ძირითადად დაზარალდება ფინანსური მხარდაჭერის შემცირებასთან დაკავშირებით.

მოყვანილების ამგვარი სცენარით განვითარებას ისიც შეუწყობს ხელს, რომ ტრადიციულად სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფა მაღალი იყო არაკეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნებში[2] და ზემოაღნიშნული პროცენტული შემცირება მათთვის უფრო მნიშვნელოვანი თანხებით აისახება. მაშასადამე, ურუგვაის შეხვედრის ფონზე განსაკუთრებით დაზარალდება იმ ქვეყნების სოფლის მეურნეობა, რომელნიც მანამ სოლიდური ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

პრობლემის აღნიშნული თვალსაზრისით ანალიზის დროს მიზანშეწონილია ცალკეულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით გამოანგარიშებული ფინანსური დახმარების მაჩვენებელთა ურთიერთშედარება. მაგალითად, ავსტრალიაში, სადაც ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე დახმარების ოდენობა 3 დოლარს შეადგენს, სოფლის მეურნეობას ბევრი არაფერი დააკლდება, თუკი ეს თანხა, ურუგვაიში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 36%-ით შემცირდება. სამაგიროდ, სახელმწიფო ფინანსური დახმარების ანალოგიური პროცენტული განაკვეთით შეკვეცა საკმაოდ სოლიდურ თანხას დააკლებს ზოგიერთი ქვეყნის სოფლის მეურნეობას. მაგალითად, ნორვეგიაში ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაწეული სახელმწიფო ფინანსური დახმარება შეიკვეცება 1080 დოლარით, ხოლო იაპონიაში კი - 3240 დოლარით.

FAO-ში სასაქონლო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირის – ჯეიმს გრინფილდის პროგნოზით, ურუგვაის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემთხვევაში, სასურსათო პროდუქციის ექსპორტის სფეროში, მსოფლიოში წამყვან პოზიციებს დაიკავებს ავსტრალია, არგენტინა, ახალი ზელანდია, აშშ და კანადა. ამ მხრივ ეს ქვეყნები მნიშვნელოვნად შეავიწროებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და აზიის ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორად გადაიქცევა [4, გვ. 14]. ამასთან, სასურსაოო ბაზარზე, პროტექციონიზმის შესუსტების შესაბამისად, ეთგო-ს წევრი ქვეყნები გაზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტს, რომელიც 1992 წლის 7%-იანი დონიდან 20%-ს მიაღწევს 2020 წელს [5, გვ. 46].

მსოფლიო მასშტაბით სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შეზღუდვა უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოებაზე, რამდენადაც ასეთი პროცესების განვითარება, ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად შეამცირებს მსოფლიოს სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალს, რაც დასცემს წარმოებული სასურსაოო პროდუქციის მოცუ-

---

[2] აღსანიშნაეია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ყველა ფორმა ეთგო-ს წევრ ქვეყნებში ერთ სრულად დასაქმებულ ფერმერზე (არანაკლებ 2,2 ათასი საათი სეზონში) წელიწადში საშუალოდ შეფასებული იყო 11-14 ათასი დოლარით. ამასთან, ცალკეული ქვეყნების მიხედვით ეს მონაცემი ვარირებდა 2-3 ათასი დოლარიდან – შეეიცარიაში, 33 ათას დოლარამდე – ნორვეგიაში. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 8-10 ათას დოლარს შეადგენდა, ხოლო აშშ-ში – 20-27 ათას დოლარს. ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გადაანგარიშებით, სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ეთგო-ს წევრ ქვეყნებში აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ შეადგენდა 140-160 დოლარს [3, გვ. 67].

ლობებს; და მეორე, საგრძნობლად (საშუალოდ 8%-ით) გაზრდის ფასებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც შეამცირებს მასზე ხელმისაწვდომობას.

მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურს გახდის ცალკეული ქვეყნების (უწინარეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების) საერთო ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას, რამდენადაც სასურსათო საფრთხის ძირითადი მიზეზები ძევს არა საკუთრივ აგროსასურსათო სექტორში, არამედ მის ფარგლებს გარეთ – მაკროეკონომიკური პროცესებისა და მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროში. მაშასადამე, განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებასთან.

ზოგადად თუ ვიტყვით, მარტოოდენ ეროვნული აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარება ვერ წყვეტს ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის სურსათზე ხელმისაწვდომობის პრობლემას.

თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები, თავიანთი ექსკლუზიური პროდუქტების საგარეო ბაზარზე გატანით, ეუფლებიან გარკვეულ საშუალებებს და ახდენენ სურსათის იმპორტს, რომელიც მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დაბალი შემოსავლების გამო, ვერ სარგებლობს სათანადო მოთხოვნით შიდა ბაზარზე. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს, რომლებიც ქრონიკულად აწყდებიან შიმშილის პრობლემას, აქვთ ეროვნული ეკონომიკის სხვაგვარი სტრუქტურა, რომელშიც აბსოლუტურად ჭარბობს აგრარული სექტორი. ამიტომ ამგვარი ქვეყნებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა იმავდროულად ნიშნავს მაკროეკონომიკური დინამიკის გაუმჯობესებასაც, მოსახლეობის შემოსავლების დონის ამაღლებასაც და, შესაბამისად, ერის კვების ხარისხის გაუმჯობესებასაც.

სწორედ ამგვარი ლოგიკით, ეკონომიკის აგრარული სტრუქტურის მქონე ქვეყნებში მიწის რეფორმის გატარება – მიწის რესურსისადმი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის (ე.ი. სოფლის მოსახლეობის) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც წესი, სწრაფ ეფექტს იძლევა სურსათის მოხმარების დონის ამაღლების თვალსაზრისით, ორი გარემოების გამო: ჯერ – ერთი, სუსტადგანვითარებულ ეკონომიკაში მიწა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად რესურსს, რამდენადაც არ არსებობს ინდუსტრიული ტექნოლოგიები, და საწყის სტადიებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება მაღალელასტიურია მიწის მიხედვით, ე.ი. წარმოების ზრდა წარმოებაში მიწის რესურსის ჩართვის ზრდის პირდაპირპროპორციულია; და მეორეც, საკუთრივ სოფლის მეურნეობაში წარმოების გადიდება მოასწავებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მიერ სურსათის მოხმარების პირდაპირ ზრდას.

წარმოების ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებით ასეთი კავშირი მიწის განაწილებასა და სურსათის მოხმარებას შორის სულ უფრო ნაკლებად აშკარა ხდება. ეკონომიკის ინდუსტრიულ-აგრარული სტრუქტურის მქონე უფრო განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი შემდგომი ზრდისათვის საჭირო ხდება სულ უფრო მეტი არასასოფლო-სამეურნეო კაპიტალის ჩართვა წარმოებაში, რაც, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს მიწის უფრო სამართლიანი გადანაწილების თვით ფაქტიდან. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ხდება წარმოების ეფექტიანი საშუალებები, განვითარებული მატერიალურ – ტექნიკური და საფინანსო ინფრასტრუქტურა, უახლესი ტექნოლოგიების უნარიანად გამომყენებელი კადრები და ა.შ. სხვანაირად თუ ვიტყვით, საჭირო ხდება უფრო მაღალი მიჯნების მიღწევა მთელი ეკონომიკის მასშტაბით.

და, რაც მთავარია, სურსათის მოხმარების ზრდა ეკონომიკის ინდუსტრიულ-აგრარული სტრუქტურის მქონე ქვეყნებში პირდაპირ არაა დაკავშირებული წარმოების ზრდასთან, რამდენადაც ამ პროდუქციის მწარმოებელი და მისი მომხმარებელი აქ ერთმანეთს არ ემთხვევა. ამასთან, წარმოების ზრდას აგროსასურსათო სექტორში შეიძლება წინ ეღობებოდეს ორი ძირითადი პრობლემა – მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა და მომხმარებლამდე პროდუქციის დამყვანი განვითარებული ინფრასტრუქტურის არარსებობა.

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა სრულიად სხვადასხვაგვარად დგას და წყდება განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკების პირობებში. 1940-იან წლებში FAO-ს მიერ ფორმულირებული სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია კარ-

გად ესადაგებოდა, უწინარეს ყოველისა, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის პირობებს. დღეისათვის კი მის გამოყენებას თითქმის უცველელი ფორმით ცდილობენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის მიმართაც, რაც, ეფექრობთ, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში ტრანზიტულ (გარდამავალ) პირობებში მყოფ პრაქტიკულად ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში მოხდა საბაზისო კვების პროდუქტების მოხმარებისა და კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობის მკვეთრი დაცემა. ამან ბიძგი მისცა დისკუსიებს აღნიშნული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების საზღვრებისა და წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტის გზების თაობაზე.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა ასეთი დაცემა. ცნობილია, რომ ყოველ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში აგროსასურსათო სექტორის, ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანობა აშკარად ჩამორჩებოდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ანალოგებს. აგრამ, ძალიან ხშირად სულადობრივი მოხმარების მაჩვენებლები აქ იყო დასავლეთევროპული და ჩრდილოამერიკული ანალოგების დონეზე ან მათზე ზევით.

ეს ხდებოდა იმ ცნობილი მიზეზით, რომ სურსათის ფასების რეალურ (წონასწორობით) დონესთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ დონეზე დაფიქსირებისა და კვების პროდუქტების მოხმარების, განსაკუთრებით ე.წ. სოციალურად მნიშვნელოვანი (უფრო ზუსტად "პოლიტიკური") პროდუქტების (ხორცისა და რძის) მოხმარების სუბსიდირების გზით შენარჩუნებული იყო მოსახლეობის ხელოვნურად აწეული მოთხოვნა. მაშინ, როდესაც ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარება ფაქტობრივად არცერთ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში არ შეესაბამებოდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების რეალურ დონეს.[3]

სხვა სიტყვებით, სოციალისტური ეკონომიკის ფარგლებში სურსათზე ხელოვნურად აწეული მოთხოვნა და მოხმარების მაღალი დონე შენარჩუნებული იყო ეროვნული სიმდიდრის განიავების, მომავალ თაობათა რესურსების გაფლანგვის, ბიუჯეტური დეფიციტის ზრდის, ადამიანის ცხოველქმედებისათვის სხვა არანაკლებ აუცილებელი საქონლისა და მომსახურების მოხმარების შემცირების ხარჯზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ცნობილ რეფორმატორულ ღონისძიებათა გატარების შედეგად, სასურსათო პროდუქტებზე სუბსიდიების გაუქმებამ (ან შემცირებამ), სურსათის რეალურ (წონასწორობით) ფასებზე გადასვლამ გამოიწვია სულადობრივი მოხმარების დონის დაცემა, ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა.

ამიტომ, თუ სასურსათო უსაფრთხოების საკითხს მივაკუთვნებთ გარდამავალი (ტრანზიტული) პერიოდის ქვეყნებს, მაშინ უთუოდ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ აქ ეს პრობლემა წარმოიშვა არა ეკონომიკის ლიბერალიზაციით, არამედ მნიშვნელოვნად უფრო ადრე.

ბუნებრივია, ადამიანმა შეიძლება გაყიდოს მთელი თავისი უძრავი ქონება და ამ გზით უზრუნველყოს საკუთარი ცხოვრება "მილიონერის სტანდარტით" გარკვეული დროის განმავლობაში, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც დადგება მისი ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის დღე. შურსათის მოხმარებისა და ცხოვრების დონის სწორედ ასეთი დაცემა მოხდა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ არარეალურად არსებული "საკუთარი საშუალებებით."

ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაცემის შესაბამისად დაიწყო ეკონომიკის აგროსასურსათო სექტორის დაქვეითებაც. ამდენად, აგროსასურსათო სექტორის დაცემა, რამაც აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში თითქმის 70 პროცენტს მიაღწია, – მეორადი, წარმოებული მოელენაა მოსახლეობის მოთხოვნის დაცემასთან მიმართებით.

როგორც ვხედავთ, თუ გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსოციალისტურ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებში სურსათის მოხმარების უფრო დაბალი დონის ბუნება (მოსახლეობის

---

[3] საგულისხმოა, რომ აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკური გამოკვლევების სამსახურის ბოლოდროინდელი გაანგარიშებების თანახმად, მტკიცე კავშირი ფიქსირდება ხორცის პროდუქტების სულადობრივ მოხმარებასა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის დონეს შორის. გამონაკლისს შეადგენენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებშიც ხორცის პროდუქტების მოხმარების უკანასკნელ პერიოდამდე არსებული მაღალი დონე არ შეესაბამებოდა მათს საერთო ეკონომიკურ განვითარებას [3, გვ. 72].

დაქვეითებული მსყიდველობითუნარიანობა) მეტნაკლებად ერთნაირია (პრობლემის სიმწვავის აბსოლუტურად სხვადასხვა დონის პირობებში), მაშინ ამ პრობლემის ფორმირების გზები პრინციპულად განსხვავებულია და, მაშასადამე მიდგომებიც მისი გადაწყვეტისადმი არ შეიძლება იყოს დასესხებული უკვე გამომუშავებული არსენალიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განვითარებად ქვეყნებში უღარიბესი გლეხობისათვის მიწის გამოყოფა რიგ შემთხვევებში იწვევს წარმოებისა და მოხმარების ზრდას. რეფორმის ასეთი ვარიანტი გარკვეულად შესაძლებელი გახდა ჩინეთსა და ალბანეთში. ორივე ქვეყანაში გლეხებისათვის მისაწვდომი გახდა თავისი შრომის ძირითადი საშუალება – მიწა (პირველ შემთხვევაში პრივატიზაციის გარეშე, ხოლო მეორეში – პრივატიზების გზით), და ეს "გადმოიღვარა" ამ ქვეყნებში სურსათის წარმოებისა და მოხმარების მკვეთრი ზრდით.

ეს სავსებით კანონზომიერი შედეგია, რამდენადაც ორივე ქვეყნის ეკონომიკას აქვს უპირატესად აგრარული მიმართულება, გლეხები ჭარბობენ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში და მიწა იკავებს ძირითად ადგილს სასოფლო-სამეურნეო ფონდების სტრუქტურაში. ამასთან, მიწის მიღებით გლეხებმა გაადიდეს წარმოება, უწინარესად, საკუთარი მოხმარებისათვის. გარდა ამისა, სასურსათო ბაზრის მაღალგანვითარებულ ინფრასტრუქტურას მიუნვეველი ქალაქის მოსახლეობის დაბალი ხვედრითი წილის წყალობით, სასურსათო მოხმარება ქალაქადაც რამდენადმე ამაღლდა.

სრულიად სხვაგვარი იყო ვითარება რეფორმების მომენტისათვის ინდუსტრიულ-აგრარული მიმართულების ეკონომიკის მქონე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, და კერძოდ, საქართველოში. აქ სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობამ მიწისადმი და აგრარული ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, მართალია, შესაძლებელი გახადა სოფლის მცხოვრებთა სასურსათო მოხმარების დონის ამაღლება, მაგრამ, ამის პარალელურად შემცირდა ქალაქის მცხოვრებთა მიერ საბაზისო კვების პროდუქტების საშუალო მოხმარება.

ასეთ სიტუაციაში სასურსათო მოხმარების ზრდის საკითხის გადაწყვეტა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, და მათ შორის, საქართველოში არ შეიძლება დამოკიდებული იყოს არც მიწის შემდგომი გადანაწილებისა და არც აგროსასურსაათო სექტორის სახელმწიფოებრივი სუბსიდირების გაძლიერებისაგან. საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების განუხრელი ზრდის პირობებში. მაშასადამე, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და განვითარება არის ქვეყნის სასურსაათო უსაფრთხოების ზრდის ერთადერთი გზა, რამდენადაც ეკონომიკის ზრდა განაპირობებს მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და, შესაბამისად, გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს აგროსასურსათო სექტორის განვითარებას.

ამრიგად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზების ვითარებაში, უმთავრესია ქვეყნის საერთო მაკროეკონომიკური განვითარება და, როგორც ლოგიკური შედეგი, – მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და, შესაბამისად, სურსათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. სწორედ ხელმისაწვდომობის ზრდა უნდა გახდეს ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მთავარ ფუნქციას იტვირთებს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უსრუნველყოფის საქმეში.

საქართველომ, როგორც ევრ-ს წევრმა სახელმწიფომ, საჭიროა, სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მსგავსად, სრულად გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული ვითარება და რეკომენდაციები, ეროვნული აგრარული პოლიტიკის გადასინჯვისა და სასურსათო უსაფრთხოების უსრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისას. ამასთან, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს კვების პროდუქტების წარმოების ზრდისა და სურსათით მოსახლეობის უსრუნველყოფის ამაღლების ყველა საკუთარი შესაძლებლობა და რეზერვი.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. კოღუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2010, 221 გვ.

2. Ильина З.М., Мирочицкая И.В. Рынки сельско-хозяйственного сырья и продовольствия. Минск: Наука, 2000, 226 с.

3. ვანი'შვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.

4. Руцкой А. Радугин Н. Продовольственная безопасность: зарубежный опыт. - Журнал „АПК: экономика, управление", Москва, 1997, №2, с. 7-14.

5. კოღ'უაშვილი პ., გიორგაძე ჰ., რამი'შვილი ბ. საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა სასურსათო პრობლემის მოგვარებაში. – საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი "მაკრო მიკროეკონომიკა", 1999, №9-10, გვ. 43-46.

ალექსანდრე თურმანიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აგრარული წარმოების თავისებურებები და აგრობიზნესსაქმიანობის შეფასების ზოგიერთი საკითხი საქართველოში

ეკონომიკური განვითარების სხვა დარგებიდან აგრარულ წარმოებას გამოარჩევს ორი ძირითადი ნიშანი. პირველი მდგომარეობს წარმოების ციკლურ ბუნებაში, რომელსაც განაპირობებს ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორები. მეორე უკავშირდება ფასების არამდგრადობას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასზე გავლენას ახდენს სხვადასხვა დაავადებები, მაგნებლები და ბუნებრივ კლიმატური პირობები; გარდა აღნიშნულისა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასზე გავლენას ახდენს მეწარმეთა (ფერმერთა) გადაწყვეტილებები პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის, როგორიცაა, ჩაი, ციტრუსი, ხეხილი, ყურძენი და სხვ., სარეალიზაციო ბაზარი ჩვენს ქვეყანაში შეზღუდულია და გამომდინარე აქედან, პრობლემატურია. სოფლის მეურნეობა წარმოების კონკურენციულ პირობებს გულისხმობს. ასეთი კონკურენცია გამოწვეულია იმით, რომ ერთი და იგივე პროდუქციის მრავალი მწარმოებელი, ინდივიდუალურად მუშაობის დროს არ აწარმოებს საქონლის იმ რაოდენობას, რომელსაც ბაზარი მოითხოვს და თანაც მეწარმეს (ფერმერს) სასოფლო–სამეურნეო წარმოების ბუნებიდან გამომდინარე ყოველთვის არ შეუძლია შეცვალოს თავისი პროფილი და დროულად დაიწყოს სხვა, ახალი, მომგებიანი საქმე.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების არამდგრადობას, რომელიც აისახება აგრობიზნეს'ში შემოსავლების მკვეთრ ცვალებადობაში.

სოფლის მეურნეობის კვლავწარმოების პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული კვლავწარმოების ბიოლოგიურ პროცესთან, ამის გამო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ბუნებრივ ბიოლოგიურ პროცესთან.

აგრარული წარმოების ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასთან, სადაც ჩვენ გვიწევს არჩევანის გაკეთება. ეკონომიკის დანიშნულებაა ერთმანეთს შეუადაროთ შესაძლებელი ,რათა დადგინდეს გაკეთებული არჩევანის სისწორე. ბუნება და საზოგადოება ერთიანად მოქმედებენ იმ მიმართულებით თუ რა, რისთვის რამდენად, და როგორ ვიყიდოთ ყველაზე სარგებლიანად. აქვე უნდა აღინიშნოს,რომ ცოტაა ისეთი ადამიანი ვისაც მოეპოვება საკმარისი ფულად–მატერიალური სახსრები, იმისათვის, რომ არსებული რესურსების რაოდენობა ბევრად ჩამორჩება სასურველს.

აგრობიზნესის მაღალეფექტიანად წარმართვისათვის საჭიროა არა მარტო განსაზღვრული კაპიტალის ქონება, არამედ არსებული ფულადი სახსრების რაციონალური გამოყენება მაქსიმალური მოგების მისაღებად, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს წარმოების სეზონურობა, ბუნებრივი პირობების ზეგავლენა და შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება. აგრობიზნესის წარმოების ოპტიმალური გადაწყვეტილება შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ა)აგრობიზნესის საქმიანობის იდეის დასახვა; ბ) დასახული იდეის შეფასება; გ) აუცილებელი გაანგარიშების ჩატარება და დ) სამეწარმეო, სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღება.

–აგრობიზნესის ეკონომიკური საქმიანობის შეფასების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მისი რენტაბელობის გაანგარიშება რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა სფეროს (ინვესტიციები, სამეწარმეო საქმიანობა, დაფინანსება) შემოსავლიანობას.

მოგება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია; საერთოდ წარმოების და კერძოდ აგრობიზნესის საქმიანობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს, რომლის

შექმნაში მონაწილეობს წარმოების ყველა ფაქტორი: მიწა, კაპიტალი, შრომა და სამეწარმეო უნარი, ამიტომ მაქსიმალური მოგების მიღება და დამოკიდებული საწარმოო ფაქტორების რაციონალურ გამოყენებაზე. საწარმოოს დონეზე იანგარიშება მთლიანი (საბალანსო) მოგება, წმინდა მოგება და წმინდა ეკონომიკური მოგება. მთლიანი მოგება მოიცავს ყოველგვარი საქმიანობიდან მიღებულ და ბალანსში ასახულ მოგების თანხას. მასში შედის წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, ძირითადი ფონდების რეალიზაციიდან მიღებული მოგება და არასარეალიზაციო ოპერაციებიდან (ფასიანი ქაღალდების დივიდენდები, სხვა საწარმოოს საქმიანობაში წილის პროცენტები და სხვა) მიღებული მოგება.

საწარმოოს წმინდა მოგება არის საწარმოოს საბალანსო მოგებას გამოკლებული სავალდებულო გადასახადები, რომელიც საწარმოოს სრულ განკარგულებაშია. აგრობიზნესის ეფექტიანობის შესაფასებლად შეიძლება გამოიყენოთ შემდეგი მაჩვენებლები:

- დამატებითი ღირებულება – პროდუქციის მოლიან ღირებულებას გამოკლებული მოხმარებული ნედლეული და მომსახურება;
- მთლიანი მოგება – დამატებულ ღირებულებას გამოკლებული პერსონალის ხელფასის ხარჯები;
- საექსპლოატაციო მოგება – მთლიან მოგებას გამოკლებული ამორტიზაცია;
- მიმდინარე მოგება – საექსპლოატაციო მოგებას გამოკლებული ფინანსური ხარჯები;
- საბალანსო მოგება – პროდუქციის რეალიზაციიდან სამუშაოებიდან მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული მათი თვითღირებულება და არარეალიზებულ ოპერაციათა ფინანსური შედეგების ჯამი;
- წმინდა მოგება - საბალანსო მოგებას გამოკლებული გადასახადები.

მაჩვენებელთა ასეთი მრავალპეროვნება ურთულებს ბიზნესმენს რენტაბილობის სასურველი მაჩვენებლის გაანგარიშებას ოპერატიული გადაწყვეტილების მისაღებად. ჩვენი აზრით, რენტაბელობის გაასანგარიშებლად შეიძლებს გამოიყენოთ ინვესტირებული კაპიტალის და გაყიდვების რენტაბილობის მაჩვენებლები.

- ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობა= $\frac{\text{დამატებითი ღირებულება}}{\text{ინვესტირებულ კაპიტალთან}}$ x 100 %
- გაყიდვების რენტაბელობა = $\frac{\text{ინვესტირებული კაპიტალი}}{\text{გაყიდვების მოცულობასთან}}$ x 100 %

საწარმოს რენტაბელობის ნორმა - განისაზღვრება საწარმოოს მთლიანი (საბალანსო) მოგების შეფარდებით ძირითადი ფონდებისა და საკუთარი საბრუნავი საშუალებების ჯამთან.

საწარმოოს რენტაბელობის დონე – განისაზღვრება წმინდა მოგების შეფარდებით პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებთან.

პროდუქციის რეალიზაციის შედეგად ამონაგებ თანხასა და მის წარმოებაზე გაწეულ ცელად
დანახარჯებს შორის სხვაობას ერთეულ პროდუქციაზე გაანგარიშებით ეწოდება მარჟინარული მოგება ("გროსმარჟინი" – GROSS MARGIN).

განვიხილოთ მაგალითი მარჟინარული მოგების გაანგარიშების ციტრუსების წარმოებაზე, 0,25 ჰა-ზე.

მარჟინარული მოგების გაანგარიშება ციტრუსებზე

ცხრილი 1.

ცელადი ხარჯების გაანგარიშება (0,25 ჰა-ზე).

№	მაჩვენებელთა დასახელება	თანხა (ლარი)
1.	მანდარინის მოსავალი (0.25 ჰა) კგ-ში	5000
2.	1 კგ-ის საშუალო სარეალიზაციო ფასი	0,4
3.	მანდარინის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები (1X2)	2000
4.	ცელადი ხარჯები	1210

ა.	სასუქების ღირებულება (ორგანული და მინერალური)	420
ბ.	შხამქიმიკატების ღირებულება (90X3)	270
გ.	საწვავის ღირებულება (3X20)	60
დ.	დროებით დაქირავებული მუშახელის ხელფასი	160
ე.	მექანიზატორების ხელფასი (40X3)	120
ვ.	სხვა ხარჯები	180
ზ.	მარჟინარული მოგება (3-4)	790

მარჟინარული მოგების გაანგარიშების ძირითად მიზანს შეადგენს:

1. მარჟინარული მოგების შედეგები ფერმერებმა უნდა შეუდარონ მეზობელი ფერმერული მეურნეობების შესაბამის მანეულებლებს, რათა მიიღონ გადაწყვეტილება სამეწარმეო საქმიანობის მიზანშეწონილობასე.

2. მარჟინარული მოგების შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს მოთავრობის მიერ სუბსიდიების გამოსაყოფად.

ავთანდილ ლაფაჩი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი

ივანე ოქრომჭედლიშვილი
თსუ-ის დოქტორანტი

დაზღვევა, როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობა

დღესდღეობით საბაზრო ურთიერთობები საკმაოდ დინამიურად ვითარდება და როგორც საზოგადოება, ისე საბაზრო ეკონომიკის აგენტები თანდათანობით რწმუნდებიან, რომ დაზღვევა საბაზრო ეკონომიკის განვითარების განუყოფელი ნაწილია და მხოლოდ დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით შეიძლება დანაკარგის კომპენსირება, მიღწეულის შენარჩუნება და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

მხოლოდ დაზღვევის საფუძველზეა შესაძლებელი მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესების შეუფერხებელი წარმართვა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოსა და დამოუკიდებელი მეწარმეების ქონებრივი ინერესების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევის მეშვეობით. უფრო საიმედო და მყარი დამცავი მექანიზმი ჯერჯერობით საზოგადოებაში არ არსებობს.

საქართველოში გამეფებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება დაზღვევას, როგორც ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. დაზღვევა არის ორგანიზაციულ-საზოგადოებრივი მექანიზმი, რომელიც მოწოდებულია ადამიანის სიცოცხლეში გაუთვალისწინებელი მოვლენების შერბილებით, დანგრეული სისტემის აღდგენის გზით, უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობა და მინიმუმამდე დაიყვანოს შიშის ფაქტორი. იგი ასახავს საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო ურთიერთობათა განსაკუთრებულ სფეროს, რომელიც დაფუძნებულია რისკულ ხასიათთან. დამზღვევი სადაზღვეეო მექანიზმის მეშეეობით იშორებს რისკებს და გადააქვს იგი სადაზღვეეო კომპანიაზე სადაზღვეეო პრემიის საფასურად. სადაზღვეეო რისკი არის შესაძლებელ შემთხვეევათა ერთობლიობა, რომელთა დადგომისას მზღვეველმა უნდა შეასრულოს თავისი ძირითადი ვალდებულება, გადაიხადოს სადაზღვეეო თანხა ან სადაზღვეეო საზღაური.

ცნობილია, რომ სადაზღვეევ საქმიანობის სფერო წარმოადგენს კონფლიქტურ წინააღმდეგობებს, რომლებიც ბუნებრივი და საზოგადოებრივი ხასიათისაა – ერთი მხრივ, წინააღმდეგობა ადამიანსა და ბუნებას შორის, ხოლო მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი წინააღმდეგობები. ეს ორივე მომენტი იწვევს ნეგატიურ შედეგებს, რომლებიც შემთხვევითი ხასიათისაა და იწვევს ზარალს. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება რისკის ფაქტორი, რომელიც აუცელებლობას ქმნის, რომ დამყარდეს ურთიერთობები დაზღვევასა და მზღვეველს შორის, რაც გამოიხატება სადაზღვეეო დაცვის სახით. ჩნდება შესაძლებლობა სადაზღვეეო რისკის წინასწარ განსჯვრეტისა და თავიდან აცილებისა.

დამოუკიდებელ საქართველოში სადაზღვეეო კანონმდებლობის, სისტემისა და სადაზღვეეო ბაზრის ჩამოყალიბება ფაროო მასშტაბით საოავეს იღებს 1997 წლიდან. ამ დროს დაწყებული სადაზღვეეო რეფორმა ქვეყანაში ცივილისებულ პრინციპებზე დაფუძნებულ სადაზღვეეო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ისახავდა მიზნად. ხოლო, დაზღვევის სფეროს სამართლებრივი ბაზის შექმნა დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო ჯერ კიდევ 1991 წლიდან, რაც ადასტურებს იმდროინდელი მთავრობის დაინტერესებას სადაზღვეევ სფეროს განვითარებაში. ამ დროისათვის საქართველოში ღრმა ეკონომიკური კრიზისი იყო და ბუნებრივია, რომ სახელმწიფო ცდილობდა სავალდებულო ფორმების განვითარებას. 2010 წლის მდგომრეობით საქართველოში მოქმედებდა საქართველოს დაზღვევის სახლმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული 16 სადაზღვეევ კომპანია და 13 სადაზვეევ ბროკერი.

ჩვენი ქვეყნის სადაზღვევო ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ლიდერის პოზიციებს ამ უკანასკნელ წლებში ინარჩუნებს სადაზღვევო კომპანია "ალდაგი". სადაზღვევო კომპანია "ალდაგი" საქართველოში პირველი კერძო სადაზღვევო კომპანიაა. აღნიშნული კომპანია, გარდა სადაზღვევო ოპერაციებისა, აწარმოებს გადაზღვევებს და ამ მიმართულებით საკმაოდ წარმატებით თანამშრომლობს უცხოეთის მსხვილ გადამზღვეველ კომპანიებთან. "ალდაგი" წლების მანძილზე საკმაოდ წარმატებით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას.

მეორე სადაზღვევო კომპანია, რომელიც ეროვნული დაზღვევის ერთ-ერთ ლიდერს წარმოადგენს, არის სადაზღვევო კომპანია "იმედი ". აღნიშნული კომპანია 1995 წელს ჩამოყალიბდა ბერმუდის კომპანიასთან ერთად. 1998 წლიდან კომპანიის მფლობელია ქართულ-გერმანული საფინანსო ჰოლდინგური ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფუნქციონირებად სადაზღვევო კომპანიებს შორის საწესდებო კაპიტალის მოცულობით "იმედი L" უდიდესია და მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,5 მილიონ აშშ დოლარს. პირველად საქართველოში აღნიშნულმა კომპანიამ მოჰკიდა ხელი საბანკო და საფინანსო რისკების დაზღვევას, რომელიც ითვალისწინებს ბანკების დაცვას ძარცვისა და თაღლითობისაგან. აღნიშნულმა კომპანიამ ასევე ფაროოდ დაიწყო საქმიანობა სიცოცხლისა და საპენსიო დაზღვევის მიმართულებით. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას კონკურენტუნარიან და ძლიერ მზღვეველად.

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ასეთ მაღალ დონეზე განვითარების მიუხედავად სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო საქმიანობაზე თითქმის ყველა სადაზღვევო კომპანია თავს იკავებს. საეროოდ სოფლის მეურნეობაში ცნობილია დაზღვევის ორი ფორმა მოსავლის დაზღვევა და ხარჯების დაზღვევა (საბანკო სესხების, კრედიტების და ა.შ.). ქართული სადაზღვევო კომპანიები სოფლის მეურნეობაში საქმიანობისას ძირითადად მეორე ფორმას ირჩევენ, დაბალი რისკების გამო, აღნიშნული კი ძალზედ უშლის ხელს ამ დარგის განვითარებას.

მას შემდეგ, რაც ასე თუ ისე მოწესრიგებული იქნა სადაზღვევო კანონმდებლობა და სადაზღვევო სისტემის მოწყობა, საქართველოში დაიწყო მოზიდული ჯამური პრემიის თანდათანობით მატება და შესაბამისად ანაზღაურებული ზარალის მოცულობის ზრდის ტემპებიც შედარებით გაიზარდა, ასევე გაიზარდა დაზღვევის სახეობის სტრუქტურა, დასაქმებულთა რაოდენობა და ამ ყველაფერ სიკეთესთან ერთად ჩამოყალიბებული იქნა დაზღვევის სახელმწიფო რეგულირების სამსახური, რომელმაც ამ მოკლე დროში საკმაოდ მოცულობითი და უაღრესად დიდი ორგანიზაციულ-მეთოდური სამუშაოები შეასრულა და მოხდა დაზღვევის შედარებითი გამოცოცხლება. მაგრამ იმის დანახვა, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებობს უამრავი პრობლემა, შეუიარაღებელი თვალითაც კი შეიძლება, აღნიშნულის გამოსწორება კი ძალზედ წარადგება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ამ მიმართულებით ინვესტიციების მოზიდვას. ეს პრობლემები შემდეგია:

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს მზღვეველთა საკუთარი სახსრების არასაკმარისობა, რაც უდიდეს ბარიერს წარმოადგენს სადაზღვევო ბაზრის განვითარების და აღნიშნული პრობლემა თავად განაპირობებს უამრავ პრობლემას როგორც სადაზღვევო კომპანიათათვის, ისე სახელმწიფოსთვისაც.

ის გარემოება, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე, სადაზღვევო კომპანიების გაკოტრების შემთხვევაში, დაზღვეულთა დანაკარგების გამოთვლის მეთოდების შერჩევა და მათი გადაფარვის წყაროების გამოძებნის ხერხები არ არსებობს, ხელს უშლის როგორც სადაზღვევო კომპანიების განვითარებას, ისე ფერმერებისა და აგროფირმების ნდობის გაძლიერებას სადაზღვევო კომპანიების მიმართ, რაც თავისთავად უაღრესად დიდ პრობლემას წარმოადგენს და აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ნაბიჯები არ იდგმება ამ პრობლემის დაძლევად.

სახელმწიფოს მხრიდან ასევე არ ექცევა სათანადო ყურადღება ინვესტირების წესებს და ფულადი სახსრების განთავსების დივერსიფიკაციის პრინციპებს, რამაც უნდა განაპირობოს სადაზღვევო კომპანიების სტაბილური შემოსავლებით უსრულველყოფა, ხოლო ზემოთ აღნიშნულის მოუწესრიგებლობა განაპირობებს სადაზღვევო ბაზრის ქაოსურ მდგომარეობას.

იმ ფონზე, რომ სადაზღვევო კომპანიები ვერ უსრულველყოფენ მასობრივი შემთხვევების სადაზღვევო დაცვას და მაღალი რისკების დაზღვევას, სადაზღვევო პორტფელის დასაბალანსებლად ისინი მიმართავენ გადამზღვეველ კომპანიებს, რაც იწვევს გადამზღვეველის მიერ გადამ-

ზღვეველზე სადაზღვევო პრემიის გარკვეული ნაწილის გადაცემას, ეს კი აშკარად უარყოფითად მოქმედებს სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ მაჩვენებელზე.

ქვეყანაში რაიმე სახის დესტაბილიზაცია ადეკვატურ რეაგირებას იწვევს ეკონომიკის ყველა დარგში და მათ შორის დაზღვევაშიც, განსაკუთრებით აღსანიშნავია ვალუტის არასტაბილურობა, რომელიც ძირს უთხრის არა მარტო დაზღვევას, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას სტაბილური და მდგრადი პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო სადაზღვევო საქმის შესაბამისი განვითარებისათვის.

იმისათვის, რომ აღმოფხვრილ იყვეს პრობლემები სადაზღვევო სფეროში, აუცილებელია ასევე სახელმწიფოს ხელშეწყობა ეროვნული დაზღვევისადმი. მართალია, დღეანდელ დაზღვევაში ბევრი პრობლემაა, მაგრამ მისი თანამედროვე სახის შექმნაში უდიდესი როლი შეასრულა სახელმწიფომ და მის შემდგომ განვითარებაშიც აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა.

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ჯერჯერობით შორსაა სრულყოფისაგან, იგი ჯერ კიდევ იმყოფება დირექტიული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი უარყოფითი სადაზღვევო მენტალიტეტის ზეგავლენის ქვეშ. საუბარია იმაზედ, რომ ჯერჯერობით ყველა სადაზღვევო კომპანია ვერ უზრუნველყოფს სადაზღვევო შემთხვევის სრულ ანაზღაურებას, ადგილი აქვს არაჯანსაღ კონკურენციას სადაზღვევო კომპანიებს შორის.

სადაზღვევო სისტემაში არსებული პრობლემების დაუძლეველობის ძირითად მიზეზებს შორის უნდა გამოიყოს საერთოდ ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები, საზოგადოების მხრიდან ნდობის დაბალი ხარისხი სახელმწიფოსა და საბაზრო სტრუქტურებისადმი. გარკვეულ ნეგატიურ როლს თამაშობს საფინანსო-საბანკო სისტემაში ადრე არსებული ქაოსი და არასტაბილურობა.

როგორც ჩანს, საზოგადოების სადაზღვევო დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა, სადაზღვევო ბაზრის გარკვეული ფორმირება და გადანაწილება. სადაზღვევო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ერთის მხრივ, სადაზღვევო მომსახურებაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების არსებობა, ხოლო მეორეს მხრივ, მზღვეველთა მხრიდან ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, შეინიშნება წინსვლა სადაზღვევო სფეროში. მითუმეტეს, თუ გადავხედავთ ბიზნესის სხვა დარგებს, დაზღვევა შეგვიძლია მივაკუთვნით ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ბიზნესის დარგს, მაგრამ არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას და საერთოდ, კონკურენტუნარიან ფუნქციონირებას. ყველაზე მთავარი პრობლემა, ალბად არის აღმასრულებელი ხელისუფლების უხეში ჩარევა სადაზღვევო საქმიანობაში. მთავრობა ითხოვს სადაზღვევო კომპანიებისაგან გარკვეული პოლიტიკის წარმოებას, ხოლო იქნება თუ არა ეს მომგებიანი სადაზღვევო კომპანიისა და ზოგადად ბაზრისათვის, მას არ აინტერესებს. ხელისუფლების ამგვარი ქმედება ბიძგს აძლევს სადაზღვევო კომპანიებს მიმართონ სხვადასხვა, რიგ შემთხვევებში კანონით აკრძალულ ქმედებებსაც კი. თუმცა, იყო შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის სადაზღვევო კომპანია თავისი სურვილისამებრ აწესებდა საკმაოდ დაბალ ფასს სადაზღვევო პროდუქტებზე და ზარალის თავიდან ასაცილებლად გარკვეულ ხრიკებს იყენებდა ხელშეკრულებებში. ეს ყველაფერი ხელს უშლიდა კონკურენტული გარემოს შექმნას. ამგვარი ქმედებებიც აუცილებლად აღსაკვეთია. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც საქართველოს სადაზღვევო ბაზარს გააჩნია, არის ქართული საზოგადოების დაზღვევისადმი არასწორი მიდგომა, დაზღვევის კულტურის განუვითარებლობა. ქვეყანაში არ არსებობს რეალურად დაზღვევის თეორიული ბაზა. დაზღვევა საკმაოდ თავისებური დარგია და თუნდაც ხელშეკრულების ბოლომდე და ყურადღებით არ წაკითხვამ, შეიძლება საეალალო შედეგამდე მიგვიყვანოს. საქართველოში დაზღვევისადმი არასწორი მიდგომა არსებობს. საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დაზღვევის შეძენის შემთხვევაში ის აუცილებლად უნდა გამოიყენოს. ზოგს კი საეროოდ არ უღირს თვეში თუნდაც 20-25 ლარის გადახდა ჯანმრთელობის დაზღვევაში, როდესაც ხელფასი დაახლოებით 500-600 ლარი აქვს, ყოველივეს შემდეგ კი ალბად ზედმეტია საუბარი სოფლის მეურნეობაში დაზღვევის პრობლემების მოგვარებაზე, საკმაოდ დიდი სამუშაოა განსახორციელებელი, რათა ქართველი ფერმერი თუ აგრარული მეწარმე დავაჯეროთ დაზღვევის აუცილებლობაში.

დღეანდელი მდგომარეობით, საქართველოში სადაზღვევო ბიზნესი არსებობს, მეტ-ნაკლებად ვითარდება. მართალია განვითარების ტემპები მოითხოვს უფრო სწრაფ წინსვლას, თუმცა ბიზნესის სხვა სფეროს თუ შევადარებთ სადაზღვევო ბიზნესში საგანგაშო სიტუაცია და პანიკის საფუძველი არ არსებობს. აღმასრულებელი ხელისუფლება სულ უფრო და უფრო დიდ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა სადაზღვევო პროგრამებს, აცხადებს ბევრ ტენდერებს, რაც ხელს უწყობს სადაზღვევო ბიზნესის განვითარებას. ეს ტენდენცია აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და გაიზარდოს კიდევაც. მიმდინარე წელი სოფლის მეურნეობის განვითარების წელიწადად იქნა გამოცხადებული, რაც სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო სისტემის განვითარების აუცილებელ წინაპირობადაც უნდა გადაიქცეს. საქართველოში ნელ-ნელა შემოდის სადაზღვევო კულტურა და მალე ალბათ მივუახლოვდებით საერთაშორისო სტანდარტებს და ქართული საზოგადოება მიხვდება, რომ დაზღვევა საკმაოდ საჭირო, გამოსადეგი და გონივრული პროდუქტია.

დავით ბიძინაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული მიზანი დარგის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაა

საკვებ პროდუქტებზე შექმნილი დეფიციტის გამო, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა და აგრარული სექტორის მაქსიმალურად განვითარების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. მათ შორისაა საქართველოც, რომელსაც დიდი აგრარული პოტენციალი გააჩნია. სტრატეგიის მიზანი დარგის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაა. ამით მიღწეული იქნება აგროსამრეწველო პროდუქციის სტაბილური ზრდა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლად სიღარიბის დაძლევა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოფლის მეურნეობის სამინისტროში იმ ახალი იდეებით წარდგა, რომელთა განხორციელებით საქართველოს ხელისუფლებამ გლობალური სასურსათო კრიზისის მოსალოდნელ გამოწვევას უნდა უპასუხოს. პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს მოაერობასთან შეიქმნება გაფართოებული შტაბი, რომელიც აგრარული კომპლექსის გაძლიერებაზე, საწარმოების შექმნაზე, დასაქმებასა და სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციაზე იზრუნებს.

როგორც ჩანს, ხელისუფლება სოფლის მეურნეობის სფეროში პოლიტიკის გადახედვას იწყებს. უახლესი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობა სახელმწიფოსაგან სუბსიდირებას მიიღებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ხელისუფლებაში აქამდეც ხშირად ლაპარაკობდნენ, მიიჩნევდნენ, რომ ეს სფერო საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლელია, მაგრამ ხელისუფლება აქამდე ნაკლებად ახორციელებდა უშუალოდ სოფლის მეურნეობის სტიმულირების პროგრამას. ახლა, როდესაც სოფლის მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა, ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება სურს. ვფიქრობ ეს ანტიინფლაციური ზომა არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ინფლაციის სოციალური შედეგების განეიტრალების ერთ-ერთი საშუალებაა. ჩვენი აზრით, თავისთავად ის, რომ სოფლის მეურნეობაში ფული შევა და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს შეხვდება, ხელს შეუწყობს სოფლად სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) საქართველოს აგრარული სექტორით და აგრობიზნესის დაფინანსების საკითხებით დაინტერესდა.

საწყის ეტაპზე IFC-მ, საქართველოს მთავრობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, კონფერენცია მოაწყო, რომლის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების პერსპექტივების განხილვა, სოფლის მეურნეობის პოტენციალის სრულად ამოქმედებისათვის აგრარული სექტორის განვითარებაში მონაწილე ყველა მხარის ძალისხმევის გაერთიანება და აგრობიზნესის სფეროში IFC-ის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ასევე, დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის, სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გაუმჯობესების, აგრობიზნესის სექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ IFC-ის ინვესტიციებმა საქართველოს სხვადასხვა სექტორის 36 პროექტში 500 მილიონამდე აშშ დოლარი შეადგინა. გარდა ამისა, IFC-ი თავისი საკონსულტაციო პროექტების ფარგლებში მუშაობს საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების მიმართულებით და კომპანიებს სურსათის უვნებლობის სტანდარტების ამაღლებაში ეხმარება.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში მოქმედ ბანკებს, დღეისათვის აგროსესხებს მომხმარებლებს მხოლოდ რამდენიმე ბანკი სთავაზობს. პირობები სტანდარტულია და რიგ კონ-

კრეტ'ულ შემთხვევაში ინდივიდ'უალურ ცვლილებებს ექვემდებარება, რაც დამოკიდებ'ულია პოტენციური მსესხებლის საკრედიტო ისტორიასა და სექტორში მუშაობის გამოცდილებაზე.

აგროსესხს ბანკები განიხილავენ, როგორც მოკლევადიან ან გრძელვადიან კრედიტს, რომელიც სამეურნეო მიზნებისათვის იურიდი'ულ და ფიზიკურ პირებზე გაიცემა. აგროსესხი საშუალებას იძლევა, განავითარონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, დააფინანსონ საბრუნავი საშუალებები და საწარმოს სხვა ხარჯები. დაფინანსებისათვის ნებადრთული საქმიანობებია: აგროდამ'უშავება, დაკალიბრება, შეფუთვა და დახარისხება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი მასალების წარმოება და სხვა, გარდა იმ საქმიანობებისა, რომელ'საც შეიძლება რაიმე 'უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეს გარემოზე. პროექტს პირდაპირი ზეგავლენა აქვს სოფლის სოციალური დონის ამაღლებაზე. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები აგროსესხებს გასცემენ 100 ლარიდან 500 000 აშშ დოლარამდე (ექვივალენტი დოლარი/ევრო), სესხის ვადა 3-დან 60 თვემდე განისაზღვრება. საპროცენტო განაკვეთი 13%-დან აითვლება. 'უზრ'უნველყოფად გამოიყენება მსესხებლის ან მესამე პირის ნებისმიერი სახის მოძრავი და 'უძრავი ქონება: ბინა, სახლი, აგარაკი, მიწის ნაკვეთი, არასაცხოვრებელი ფართი, მარაგები, ძირითადი საშუალებები, აეტომანქანა, ძვირფასეულობა, თავდებობა. სესხი შეიძლება დაიფაროს ყოველთვიური თანაბარი შენატანებით ან ინდივიდ'უალური, ბიზნესზე მორგებ'ული გადახდის გრაფიკით. იმისათვის, რომ დაგიმტკიცდეთ სესხი, როგორც წესი, აუცილებელია, ამ სექტორში ბიზნესის წარმოების მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება გქონდეთ.

„პროკრედიტ ბანკი" აგროსესხებს გასცემს აგრარ'ულ სექტორში დასაქმებ'ულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. ლარში სესხის მოცულობა 100-დან 150000ლარამდეა, ხოლო აშშ დოლარში 50-დან 100 000-მდე მერეყობს. მაქსიმალური ვადა ლარში 36 თვეა, ხოლო აშშ დოლარში 60 თვე.

„ბანკი ქართუ" საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირებს სოფლის მეურნეობის პირველადი ან მეორადი წარმოების დასაფინანსებლად სთავაზობს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების პროგრამას. სესხის მოცულობა 50 000 – 500 000 აშშ დოლარია (რეგიონებისათვის მინიმალური თანხა – 5 000 აშშ დოლარი). წლიური საპროცენტო განაკვეთი 13-16%-ით განისაზღვრება. სესხის მაქსიმალ'ური ვადაა 10 წელი. დამატებით, სოფლის მეურნეობის დაკრედიტების პროგრამით სარგებლობისას, ბანკისაგან მიიღებთ საჩუქარს VIZA GOLD ბარათს ოვერდრაფტის ინდივიდ'უალური ლიმიტით.

„საქართველოს ბანკი" აგროსესხებს სთავაზობს 350 ლარიდან, მაქსიმუმ 60 თვემდე, 14%-ად.

„ვითიბი ბანკი ჯეორჯია" აგროსესხებს სთავაზობს 200-დან 50 000 აშშ დოლარამდე მოცულობით (ექვივალენტი ლარი/ევრო), სესხის ვადა 24 თვემდე, წლიური საპროცენტო განაკვეთი 20%-დან აითვლება. რიგ შემთხვევებში ბანკი საშეღავათო პერიოდს 12 თვითაც განსაზღვრავს.

„კორ სტანდარტ ბანკი" აგრარულ სექტორში საბრუნავი საშ'უალებების დასაფინანსებლად 1 000-დან 500 000 აშშ დოლარამდე მოცულობის სესხებს სთავაზობს, 16%-დან, 3-დან 18 თვემდე. სექტორში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დასაფინანსებლად ბანკი 5 000-დან 250 000 ა'შშ დოლარამდე გამოყოფს., 16%-დან, 12-დან 36 თვემდე ვადით. გრძელვადიანი აქტივების დასაფინანსებლად სესხი გაიცემა 10 000-დან 500 000 აშშ დოლარამდე, საპროცენტო განაკვეთი აითვლება 16%-დან, ხოლო მაქსიმალური ვადიანობა 60 თვით განისაზღვრება.

„ბაზისბანკი" საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით გასცემს კრედიტებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამ პროგრამის სესხის მიღება შე'ეძლიათ იურიდიულ პირებს. სესხის ვადაა 1-დან 10 წლამდე (საშეღავათო პერიოდი 3-6 თვე), სესხის მოცულობა – 25 000 ა'შშ დოლარიდან 300 000 ა'შ'შ დოლარამდე. საპროცენტო განაკვეთი წლიური 15%-დან. დაფინანსების განხილვისას უპირატესობა მიენიჭება პროექტებს, წარმოდგენილს იურიდიული პირების მიერ, რომელთაც შემოსავლის ალტერნატიული წყაროც გააჩნიათ.

„ბანკი კონსტანტა" აფინანსებს სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ წვრილი და მცირე ბიზნესის მფლობელ ინდიეიდ'უალურ მეწარმეებსა და კომპანიებს. საკრედიტო პროდ'უქტის - „საბარაქო სესხის" სა'შ'უალებით შეგიძლიათ შეიძინოთ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მანქანა-დანადგარები, სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი მასალა, გაარემონტოდ ან გააფართოოთ საწარმოო ფართი. სასესხო თანხა აითვლება 1000-დან 50 000 ლარამდე (ან მისი ექვივალენტი ა'შ'შ დოლარ'ში). სესხის ვადა კი 18-დან 60 თვემდე განისაზღვრება.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის მიზანი დარგის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაა. ამით მიღწეული იქნება აგროსამრეწველო პროდუქციის სტაბილური ზრდა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლად სიღარიბის დაძლევა.

აუცილებელია გლეხური და ფერმერული მეურნეობების გაერთიანების ხელშეწყობა და სოფლად კოოპერატივების ჩამოყალიბება, ასევე აგრარული სექტორის საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა, ინვესტიციების მოზიდვა, საფინანსო რესურსების ხელმისაწვდომობა, შიდა ბაზრის დაცვა, აგროსასურსათო გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება და სასოფლო-საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის, სარწყავი და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, სასუქებითა და შხამქიმიკატებით უზრუნველყოფა.

ჩვენი აზრით, ამ სტრატეგიის განხორციელება გაზრდის სოფლად დასაქმებას, ალტერნატიული არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე, აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდას, საექსპორტო პროდუქციის მოცულობის მატებასა და მის დივერსიფიცირებას.

ეს ის პირობებია, რომელთა შესრულებასაც სახელმწიფომ უნდა იფიქროს. მხოლოდ ამის შემდეგ განვითარდება სოფლის მეურნეობა. რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთი პოლიტიკის გატარებით მივაღწევთ იმას, რომ სოფლად მოსახლეობის შემოსავალი გაზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.maf.ge
2. http://geostat.ge
3. www.nbg.gov.ge
4. www.found.ge
5. **გ. ბუცხრიკიძე** – „უძრავი ქონების ადმინისტრიაციული მართვის პრინციპები", 2010

დალი სეხნიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნაზი ჭიკაიძე
ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ახალი სასურსათო გეოპოლიტიკა

ახალი ეკონომიკის პირობებში ფასების მატება ყველა ქვეყნის მცხოვრებზე ერთნაირად არ მოქმედებს, მაგ., ამერიკელები შემოსავლების მეათედს ტოვებენ სუპერმარკეტებში. მათთვის სურსაოზე ფასების მატება არასასიამოვნო ფაქტია და არა ტრაგედია. მაგრამ მსოფლიოს 2 მლრდ უღარიბესი მოსახლისათვის, რომლებიც საკვებზე შემოსავლების 50-70%-ს ხარჯავენ, ეს მეტად სერიოზული პრობლემაა.

გაეროს მონაცემებით, 2011 წელს კვების პროდუქტებზე ფასების ინდექსმა ბოლო წლებში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია. მოსაელიანობის მკეეორად დაცემამ, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ბაზრებზე გამეფებულმა სიძვირემ და არამყარმა სიტუაციამ, სურსათი ახალი მსოფლიო პოლიტიკის განხორციელების ფარულ ბერკეტად აქცია. დეფიციტი დღეს ცხოვრების ნორმად იქცა, ხოლო ახალი სასურსათო გეოპოლიტიკა უფრო არამყარად გამოიყურება.

აქამდე ფასების უმნიშვნელო მერყეობას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მათი სწრაფად რეგულირება ხდებოდა. ამ გარემოებამ მე-20 საუკუნის ბოლოს დედამიწის უდიდეს ნაწილზე პოლიტიკური სტაბილურობა განაპირობა. თუმცა, ამჟამად, მიზეზებიც და შედეგებიც მეტად საშიშად იცვლება.

ფასების ამჟამინდელი ზრდა ამინდის, ან კატასტროფების გავლენით კი არა, მოთხოვნის ზრდითა და წარმოების სირთულეებით განპირობებულია, კერძოდ: მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდით, გლობალური დათბობით, ირიგაციული ჭების დაშრობით, სხვადასხვა მცენარეული კულტურის გაქრობით და სხვ.

ამასთან, უფრო საგანგაშო ის ფაქტია, რომ მსოფლიო თანდათან კარგავს დეფიციტზე ზემოქმედების უნარს. ფასების ბოლო მომატებისას, აშშ, როგორც მარცველეულის უმსხვილესი მწარმოებელი, პოტენციურ მსოფლიო კატასტროფას მედგრად აღუდგა წინ. მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან 1995 წლამდე აშშ-ს მარცელეულისა და სახნავი მიწების საკმაოდ დიდი მარაგები ჰქონდა. ცნობილია, რომ 1965 წელს პრეზიდენტ ჯონსონის ადმინისტრაციამ ინდოეთში მუსონის დამანგრეველი შედეგების დაძლევისათვის ამ ქვეყანაში ხორბლის მოსავლის მეხუთედი გააგზავნა და ამით მას გარდაუვალი შიმშილი ააცილა თავიდან. ამჟამად კი ამერიკას ამის შესაძლებლობა უკვე არა აქვს.

2007 წლიდან მარცელეულზე მსოფლიო ფასების გაორმაგება ორმა მიზეზმა გამოიწვია, კერძოდ: მოთხოვნის ზრდამ და წარმოების სწრაფად გაფართოების შეუძლებლობამ. შედეგად, ახლანდელი სამყარო საოცრად განსხვავდება გასული საუკუნის მარცველეულით მდიდარი მსოფლიოსაგან. საინტერესოა, როგორი იქნება სამყაროს ახალი სასურსათო გეოპოლიტიკა, იქნება თუ არა აქ კელავ დეფიციტი გამეფებული? ამ ადრეულ ეტაპზეც შესაძლოა ახალი სასურსათო გეოპოლიტიკის საერთო დამახასიათებელი ნიშნების დანახვა.

მოთხოვნის ზრდის თვალსაზრისით, ფერმერები უკვე განიცდიან მზარდ ზეწოლას, რის მიზეზიც მოსახლეობის რიცხოვნობის მატებაა. მსოფლიოს მოსახლეობა 1970 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და საუკუნის შუა პერიოდისათვის, სავარაუდოდ, 9 მლრდ-ს მიაღწევს. სულ უფრო ბევრი ოჯახი გადადის საშუალო კლასის რანგში და გაუმჯობესებული კვების შესაძლებლობა უჩნდებათ. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ხორცზე, რძესა და კვერცხზე მოთხოვნა. მეცხოველეობის პროდუქციაზე მსოფლიო მოთხოვნის ზრდა განაპირობებს ცხოველების კვებისათვის აუცილებელ სიმინდზე, სოიასა და სხვა პარკოსნებზე მოთხოვნაც.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს ცალკეულ ქვეყანაში მოუსაელიანობის დროს აშშ გლობალური ბუფერის როლში გამოდიოდა. ახლა კი იგი მარცელეულის დიდ ნაწილს ავტომობილების სათბობად გარდაქმნის. მარცელეულის მსოფლიო მოხმარება დაახლოებით 2,2 მლრდ მეტრულ ტონას შეადგენს წელიწადში. აიი წლის უკან მოხმარების ზრდა ყო-

ველწლიურად მხოლოდ 20 მლნ ტონას შეადგენდა. ამჟამად კი იგი 400 მლნ ტონამდე გაიზარდა. თუმცა, მარცვლეულის ეთანოლად გარდაქმნის სიჩქარე კიდეე უფრო მეტია. 2010 წელს აშშ-ში 400 მლნ ტონა მარცვლეული მოიწიეს, საიდანაც 126 მლნ ტონა სათბობის მწარმოებელ ქარხნებში გადაიგზავნა. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ახლა მარცვლეულის ფასები მჭიდროდ უკავშირდება და განპირობებულია ნავთობის ფასებით. ასე, რომ თუ ბარელი ნავთობის ფასი 150 დოლარს მიაღწეეს, პურზე ფასები მის შესაბამისად აიწევს, რამდენადაც სულ უფრო მეტი მარცელეული წარიმართება ნავთობის შემცველი საობობის წარმოებისათვის.

ეს მხოლოდ ამერიკული ფენომენი არაა: ბრაზილია აქტიურად ახდენს შაქრის ლერწმის გადამუშავებას ეთანოლად, ევროკავშირი კი 2020 წლისათვის სატრანსპორტო ენერგიის 10%-ის მიღებას განახლებადი წყაროებიდან, ძირითადად ბიოსათბობიდან გეგმავს. ეს ფაქტები სასურსაათო კულტურების დეფიციტს განაპირობებს.

ზემოადნიშნული ფაქტები სერსათზე მოთხოვნის ზრდის უბრალო ისტორია არაა. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ კვების პროდუქტების მსოფლიო ნაკადები ნეენი მზარდი მოთხოვნილებების კვალდაკვალ არ გაიზრდება. ამის მიზეზი მრავალია, კერძოდ: მიწისქვეშა წყლების დონის დაცემა, ნიადაგების ეროზია, გლობალური დათბობის შედეგები და სხვ. მაგალითად, კლიმატის ცვლილება. ეკოლოგებისათვის ცნობილია, რომ ოპტიმალური სავეგეტაციო პერიოდისათვის საჭირო ტემპერატურასე ზევით ერთი გრადუსით ტემპერატურის აწევა მარცველეული კულტურების მოსავლიანობის 10%-ით შემცირებას იწვევს. ეს ფაქტი ნათლად დაადასტურა 2010 წელს რუსეთში არსებულმა სიცხემ, რის შედეგადაც ქვეყანაში მოსავალი 40%-მდე შემცირდა.

ტემპერატურის ზრდას მორწყვისათვის საჭირო მიწისქვეშა წყლების დონის შემცირება ახლავს თან. მორწყვის ეფექტური სისტემის დანერგვამ საუდის არაბეთს საშუალება მისცა 20 წლის განმავლობაში ხორბალზე საკუთარი მოთხოვნა თავადვე უზრუნველეყო. ამჟამად ხორბლის წარმოება იმის გამო შემცირდა, რომ მორწყვისათვის აუცილებელი წყალმზიდი ჰორიზონტი ქვეყანაში, ფაქტობრივად, ამოწურულია. საუდის არაბეთს მალე ქვეყნის საჭიროებისათვის აუცილებელი ხორბლის სრული იმპორტი მოუწევს.

დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი იმ ქვეყნებში ცხოვრებს, სადაც მიწისქვეშა წყლების დონის შემცირება აღინიშნება. პოლიტიკურად არამდგრადი ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთი გეოგრაფიული რეგიონია, სადაც მარცვლეულის წარმოებამ პიკს მიაღწია და ახლა, წყლის უკმარისობის გამო, მნიშვნელოვნად მცირდება. თუმცა, მოსახლეობის რაოდენობა კელავინდებურად იზრდება. მარცვლეულის წარმოება ქვეითდება სირიაში, ერაყსა და იემენში. ინდოეთში ფერმერებმა დაახლოებით 20 მლნ ჭაბურღილი გათხარეს და მათ აქტიურად იყენებენ მიწების სარწყავად. თუმცა, მიწისქვეშა წყლების დონე აქაც ეცემა და ჭაბურღილები საოცრად სწრაფად შრება. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 175 მლნ ინდოელი წყლების ამოქაჩვის მეთოდის დანერგვით მიღებული მარცველეულის ხარჯზე ცხოვრობს. ჩინეთში ეს მეთოდი განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება. დაახლოებით 130 მლნ მოსახლე აღნიშნული გზით მოწეული სიმინდით იკვებება. რა ელით ამ ქვეყნებს სამომაელოდ, როცა წყალმზიდი ჰორიზონტები რეალურად ამოიწურება?

ჭაბურღილების დაშრობით იცვლება თვით ნიადაგიც, ჩნდება ახალი უდაბნოები. დედამიწის თანამგზავრიდან გადაღებულ მტვრის ორი უახლესი კრატერის სურათებზე ნათლად ჩანს, რომ ერთი მათგანი გადაჭიმულია ჩინეთის ჩრდილოეთისა და დასავლეთის გასწვრივ, მეორე კი - მთელი ცენტრალური აფრიკის თავზე. უდაბნოების წამყვანი ჩინელი მკვლევარი ვან ტაო აღნიშნავს, რომ ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში ყოველწლიურად 1400 კვადრატული მილი იქცევა უდაბნოდ.

მონგოლეთსა და ლესოტოში ბოლო ათწლეულში მარცვლეულის მოსავლიანობა ორჯერ შემცირდა. ნიადაგების მკაცრ ეროზიას განიცდიან ჩრდილოეთ კორეა და გაინეა. მათ საერთაშორისო სასურსათო დახმარებასაც ადარ უწევენ, რის გამოც ისინი შიმშილის მწვავე პრობლემის წინაშე დგანან. ცნობილია, რომ ცივილიზაციას შეუძლია ნავთობის მარაგების შემცირება გადაიტანოს, მაგრამ მას ნიადაგების დაკარგვა არ ძალუძს.

გარემო პირობების ცვლილება უდავოდ იწვევს ადამიანთა მოთხოვნის დაკმაყოფილების სირთულეებს, თუმცა არსებობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი არამატერიალური ფაქტორი, რომ-

ლის გაუთვალისწინებლობაც არ შეიძლება. წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა აქტიურად განაპირობებდა მიწების პროდუქტიულობის ამაღლებას. 1950 წლიდან ერთ აკრზე (4 კვ.მ.) მოსავლიანობა სამჯერ გაიზარდა. თუმცა, ამჟამად სოფლის მეურნეობის მხრივ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ეს ეპოქა დასასრულს უახლოდება. იაპონიაში მოსაულიანობა ყველა შესაძლო ტექნოლოგიის გამოყენებით ასწლეულის განმავლობაში იზრდებოდა, ხოლო ბოლო 16 წელიწადია, იგი არ იცვლება. მალე ჩინეთიც იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდება. როგორც ცნობილია, ეს ორი ქვეყანა ბრინჯზე მსოფლიო მოთხოვნის მესამედს აკმაყოფილებს.

თანამედროვე სამყაროში სურსათის მსოფლიო მიწოდების შემცირება გეოპოლიტიკური გადანაწილების ახალ ბერკეტად გვეელინება და ქვეყნები მთელი ძალისხმევით ცდილობენ უზრუნველყონ საკუთარი ვიწრო ინტერესების დაკმაყოფილება.

მსოფლიოსათვის პირველი საგანგაშო სიგნალი გახდა 2007 წელი, როცა ფერმერები გლობალური მასშტაბით მარცვლეულზე მოთხოვნის დაკმაყოფილების პრობლემის წინაშე დადგნენ. მარცვლეულსა და სოიაზე ფასები გაიზარდა და 2008 წელს სამჯერ მოიმატა. მრავალმა ექსპორტიორმა ქვეყანამ შიდა ბაზრებზე სურსათის ფასების ზრდის შეზღუდვა სცადა და ექსპორტი შეამცირა. მათ შორის იყო ხორბლის ორი ძირითადი მწარმოებელი ქვეყანა: რუსეთი და არგენტინა. 2008 წელს ვიეტნამმა, მსოფლიოში ბრინჯის №2 ექსპორტიორმა, რამდენიმე თვით შეაჩერა ექსპორტი. ანალოგიურად მოიქცა სხვა, შედარებით წვრილი ექსპორტიორიც.

2007-2008 წწ. მსოფლიოს ძირითადმა ექსპორტიორმა ქვეყნებმა შეამცირეს ექსპორტი, იმპორტიორები კი შეეცადნენ უშუალოდ ექსპორტიორ ქვეყნებთან დაედოთ გრძელვადიანი შეთანხმებები მარცვლეულის მიწოდების თაობაზე. მაგ., ფილიპინებმა სამწლიანი ხელშეკრულება დადო ვიეტნამთან ყოველწლიურად 1,5 მლნ ტონა ბრინჯის მიწოდების შესახებ. ზოგიერთმა უფრო მდიდარმა ქვეყანამ (ავარია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი) სრულიად არასტანდარტული ნაბიჯები გადადგა: სხვა ქვეყნებში იჯარით აიღო მიწის ნაკვეთები, რათა თავად დაეთესათ მარცვლეული. მიწის განსაკუთრებით დიდი ნაკვეთები გაიცა იჯარით აფრიკის კონტინენტზე, სადაც ფასი ერთ აკრზე წელიწადში 1 დოლარია. მიწებს იჯარით გასცემდა ძირითადად ეთიოპია და სუდანი, სადაც მილიონი ადამიანი მხოლოდ გაეროს სასურსათო პროგრამის დახმარებით ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას.

2009 წელს მიწების იჯარის თაობაზე ასობით გარიგება დაიდო, რომლებიც წყლის რესურსებზე უფლებების შეძენასაც ითვალისწინებდა. ამასთან, ეს გარიგებები ხშირად საიდუმლოდ იდებოდა. 2007 წელს, როდესაც სურსათზე ფასები იზრდებოდა, ჩინეთმა ფილიპინებთან დადო ხელშეკრულება 2,5 მლნ აკრი მიწის იჯარის თაობაზე. ჩინელები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას და საკუთარ ქვეყანაში გადატანას აპირებდნენ. როგორც კი ეს ფაქტი საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, მოსახლეობის პროტესტმა აიძულა ხელისუფლება ხელშეკრულებაზე უარი ეთქვა.

თუმცა, მხოლოდ გარიგებების დადება არაა საკმარისი. მოშიმშილე ხალხით დასახლებული ქვეყნებიდან მარცვლეულის გატანაც მეტად რთული პრობლემაა.

2011 წელს სურსათის ექსპორტიორი ქვეყნების ბრძოლა ახალ ფაზაში შეეიდა. სამხრეთ კორეამ, რომელიც ხორბლის 70%-ის ექსპორტს ახორციელებს, სახელმწიფო-კერძო ორგანიზაციის შექმნა გამოაცხადა. სავარაუდოდ, აღნიშნული ორგანიზაცია მსხვილი საერთაშორისო საკვაჭრო კომპანიების გვერდის აელიო იმუშავებს და პირდაპირ ამერიკელი ფერმერებიდან შეეცდება მარცვლეულის შეძენას.

ამგვარად, სამხრეთ კორეა ბაზარზე გამოსელამდე ცდილობს მიიღოს ამერიკული მოსავლის ნაწილი. სავარაუდოდ, სხვა მსხვილი ექსპორტიორებიც, კერძოდ: ჩინეთი, იაპონია და საუდის არაბეთიც შეეცდებიან იგივე გზის გამოყენებას. მსგავსი კონტაქტების დამყარება შესაძლებელია ისეთ მსხვილ ექსპორტიორებთან, როგორებიცაა კანადა, ავსტრალია, არგენტინა და სხვ.

არავინ იცის სურსათის მიწოდებისათვის ასეთი გამძაფრებული ბრძოლა საბოლოოდ რა შედეგებამდე მივა, მაგრამ, როგორც ჩანს, მსოფლიო თავს არიდებს საერთაშორისო ურთიერთქმედებებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და კონცეფციის – "ყველა ქვეყანა თავისთვის" მომხრეა. სურსათის წარმოების ნაციონალიზაციამ შესაძლოა უშველოს ზოგიერთ მდიდარ ქვეყანას, მაგრამ მსოფლიოს საერთო სასურსათო უსაფრთხოებაზე, სავარაუდოდ, ნაკლე-

ბად იმოქმედებს. ქვეყნები, რომელთაც შემოსავლების დაბალი დონე აქვთ, შეეცდებიან იჯარით გასცეს მიწები ან მოახდინონ მარცვლეულის იმპორტი, ამას კი სასურსათო პრობლემის კიდევ უფრო გაუარესება მოჰყვება.

თანამედროვე სამყაროში მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაეროს ფარგლებში არსებული ორგანიზაციები, კერძოდ: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (ფაო) და სხვ. ისინი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას უწყობენ ხელს.

ფაო მთელ მსოფლიოში აგროვებს მონაცემებს სოფლის მეურნეობის შესახებ, იკელევს მათ და ტექნიკური საშუალებებით ეხმარება სხვადასხვა ქვეყანას. აღნიშნული ორგანიზაციის გარდა არავინ ეწევა სტაბილურ ძალისხმევას საკმარისი სასურსათო მარაგების შექმნისათვის. წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ეაჭრობის სფეროში წარმოთული მოლაპარაკებების დიდი ნაწილი ბაზრებზე ხელმისაწვდომობის საკითხებისადმი იყო მიძღვნილი. აშშ, კანადა, ავსტრალია და არგენტინა ზეწოლას ახდენდნენ ევროპასა და იაპონიაზე იმისათვის, რომ მათ გაეხსნათ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ბაზრები. ახალი ასწლეულის დასაწყისში სურსათის მიწოდება მთავარ საკითხად იქცა. განვითარების ძირითადი ვექტორი სასაურსათო კეთილდღეობიდან მსოფლიო სურსათის უკმარისობის ახალი პოლიტიკისაკენ გადაადგილდა. ამასთან, სასურსათო დახმარების ამერიკული პროგრამა შეცვალა გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამამ, სადაც მთავარი დონორი კვლავ აშშ არის. საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის აზრით, სურსათზე ფასების მატების პრობლემის გადაწყვეტა სასაქონლო ბაზრებზე სპეკულაციის შეჩერებით შეიძლება. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მოსალოდნელი სარგებლისა, იგი მხოლოდ სიმპტომებს კურნავს და არა მიზეზებს, კერძოდ კი, კლიმატის ცვლილებასა და მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას. დღეს მსოფლიო ფოკუსირებული უნდა იყოს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაზე, არამედ იმ გარემოებებზე, რომლებიც მას აყალიბებენ, კერძოდ: ენერგეტიკაზე, მოსახლეობის რიცხოვნობაზე, წყლის პოლიტიკაზე და სხვ. აღნიშნული ფაქტორები არსებით გავლენას ახდენენ სასურსათო უსაფრთხოებაზე. მიუხედავად ამისა, ნაყოფიერი მიწების გამოფიტვის, გლობალური დათბობის, წყლის უკმარისობისა და სასურსათო უსაფრთხოების გაუარესების გამო, წარმოჩინდება სურსათის უკმარისობის სრულიად ახალი და სახიფათო გეოპოლიტიკა: მიწების, წყლების მიტაცება და მარცვლეულის შესყიდვა ექსპორტიორი ქვეყნების უშუალოდ ფერმერებიდან დღევანდელი მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოებისათვის საყოველთაო ბრძოლის განუყოფელი ნაწილია.

რისკები იზრდება მარცვლეულის მწირი მარაგებისა და კლიმატური პირობების ცვალებადობის გამო. სასურსათო სისტემის შეფერხება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. მაგ., გასული წლის მოსკოვის სიცხეები ჩიკაგოში რომ დამდგარიყო, მარცვლეულის მსოფლიო ბაზრებზე საშინელი ქაოსი გამეფდებოდა, ფასები საოცრად აიწევდა, ზოგიერთი ექსპორტიორი ქვეყანა შეეცდებოდა შიდა ფასების შენარჩუნებას და ექსპორტის შეჩერებას.

დღეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად ძალუძს მსოფლიოს შეაჩეროს სიმპტომებთან ბრძოლა და წარმატებით ებრძოლოს სასურსათო სიტუაციის გაუარესების მიზეზებს. თუ იგი ვერ შეძლებს ნაკლები წყლითა და ნაყოფიერი მიწებით მოსავლიანობის ამაღლებას, მრავალი სასოფლო-სამეურნეო რაიონი ცხოველმოქმედებას დაკარგავს. ამის გამო, აუცილებელია კლიმატის სტაბილიზაციისათვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელება და სურსათზე ფასების კატასტროფული მატების შეჩერება. თუ მსოფლიო მალე ვერ გადავა მცირერიცხოვანი ოჯახების შექმნაზე და ვერ შეძლებს მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაციას, უსათუოდ გაიზრდება მოშიმშილეთა რაოდენობა. ქმედებების განხორციელება კი სწორედ ახლაა საჭირო და არა მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The New Geopolitics of Food, 2011
2. Продукты питания, Международная политика, Мировой финансовый кризис, www.km.ru

ლინა დათუნაშვილი
აკადემიური დოქტორი, თსუ-ს პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

საქართველოში უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე სხვადასხვა სახის კატაკლიზმების ფონზე აგრარული სფერო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მოთხოვნა სურსათზე და მრეწველობისა – ნედლეულზე, ჯერ კიდევ არ არის გამოსული კრიზისული მდგომარეობიდან, რაც მთელი რიგი მიზეზით ობიექტურია: სოფლად მეურნეობები დაქუცმაცებული, ექსტენსიური და ნატურალური ხასიათისაა; შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე და ფინანსური სიდუხჭირის გამო არსებული ტექნიკის გამოყენების დაბალი დონე, ამის გამო მაღალია ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებისა და ხელით შრომის ხვედრითი წილი; დაბალია სოფლად მიკროსესხებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი და სახეზეა სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სისტემის განუვითარებლობა. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია ქართველი მეურნისათვის იმ მიზეზის გამო, რომ უკანასკნელ წლებში კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლილების გამო (ხშირი წვიმები, წყალდიდობა, გვალვა, ცხოველებისა და ფრინველების ეპიდემიური დაავადებები და სხვა) გვიან გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში მასიურად ნადგურდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის რეგიონებში როგორც ერთწლიანი კულტურების ნაოესი ფართობები, ასევე ადგილი აქვს პირუტყვისა და ფრინველის დახოცვის ფაქტებს. ამის გამო ამ სფეროში დასაქმებული შინამეურნე და ფერმერი დიდ მატერიალურ დანაკარგს განიცდის, რისი ანაზღაურებაც სადაზღვევო სისტემის განუვითარებლობის გამო სრულად ვერ ხერხდება.

ზემოთ აღნისნული მიზეზების გამო ბოლო წლებში სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები არასტაბილურია და შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-თან მიმართებაში წლების განმავლობაში მცირდება (2000წ – 20,6%; 2006წ – 11,2%; 2009წ – 8,3%). ამ პერიოდში იკლო როგორც სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობამ (51 ათასი კაცი), ისე სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობამ (47 ათასი კაცი); შემცირდა სასოფლო მეურნეობების რაოდენობა 802 ათასი ერთეულიდან 796 ათას ერთეულამდე და სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული, როგორც მიწის მთლიანი ფართობი, ისე მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების მაჩვენებელი; იკლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილმა ოჯახური მეურნეობების ფულად 'შემოსავალ'ში 15,5%-დან 6,75-მდე.

2000-2009 წლებში მნიშვნელოვნად იზრდება სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასი, ხოლო მცირდება თითქმის ყველა ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე.

სოფლის მეურნეობაში მემცენარეობის პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში 2000-2009 წლებში 47%-დან 44%-მდე შემცირდა. მეცხოველეობაში 51%-დან 53%-მდე გაიზარდა. ასევე ზრდა დაფიქსირდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურებაში 2%-დან 3%-მდე. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობის სტრუქტურაში აღნიშნულ წლებში მარცვლოვანსა და პარკოსნებს 63,3%-70,3% ეკავა, ტექნიკურ კულტურებს 11,4%; კარტოფილსა და ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებს 15,2%-14,4%; საკვებ კულტურებს 10%-5,5%. 2009 წელს ტექნიკური კულტურების ნათეს ფართობს სხვა კულტურებთან ერთად 9,8% ეკავა.

საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლასთან ერთად იზრდება სოფლად ოჯახური მეურნეობების ხვედრითი წილი 90,4%-დან 97,2%-მდე და მნიშვნელოვნად მცირდება სასოფლო–სამეურნეო საწარმოების ხვედრითი წილი 9,2%-დან 2,8%-მდე კულტურათა სხვადასხვა ჯგუფების ნათეს ფართობებ'ში.

ქვეყანაში ერთწლიანი კულტურების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობა'ში 2000-2009 წლებში ასეთ სურათს იძლევა: მცირდება ხორბლის წარმოება 25,6 ათასი ტონით; კარტოფილის – 82,1 ათასი ტონით; ბოსტნეულის – 179,3 ათასი ტონით; ბაღჩეული კულტურებისა – 35,5 ათასი ტონით; ხოლო იზრდება მრავალწლიანი ბალახების თიბვა 2 ათასი ტონით.

ამავე პერიოდ'ში ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობა ტოლი იყო შესაბამისად: ხორბლისა – 1,0 და 1,1 ტონა; კარტოფილისა 8,9-11,5 ტონა; ბოსტნეულისა 9,3-6,8 ტონა; ბაღჩეულისა 9,8-14,8 ტონა; მრავალწლიანი ბალახების თიბვა 1,1-2,3 ტონა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდ'ში დაფიქსირდა ზოგიერთი ერთწლიანი კულტურის (ხორბალი, კარტოფილი, ბაღჩეული) მოსავლიანობის მინიმალური ზრდა, ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა ვერ იქონია ერთწლიანი კულტურების წარმოების ზრდაზე, რადგან აღნიშნული კულტურების ნათესი ფართობის შემცირებამ უფრო დიდი გავლენა იქონია ერთწლიანი კულტურების წარმოების შემცირებაზე.

აღნიშნულ წლებ'ში ქვეყანა'ში დაფიქსირდა მეცხოველეობის თითქმის ყველა ქვედარგის შემცირების ტენდენცია. მაგ.: იკლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 162,7 ათასი სულით. მათ შორის, ღორის – 308,2 ათასი სულით; ფურ-კამეჩისა – 108,7 ათასი სულით; გაიზარდა ცხვრისა და თხის სულადობა 46,2 ათასი სულით; ამ პერიოდ'ში იკლო ფრინველის რაოდენობამ 2230,4 ათასი ფრთით; მინიმუმამდე დაეცა აბრეშუმის პარკის წარმოება; შემცირდა რძის წარმოება 53,1 ათასი ტონით; უკანასკნელ წლებ'ში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფუტკრის ოჯახების რაოდენობა – 158,9 ათასი სკით.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებ'ში 2000-2009 წლებ'ში შემცირდა: ხორცი დაკლული წონით – 107,9 ათასი ტონიდან – 54,3 ათას ტონამდე; რძე – 618,9 ათასი ტონიდან – 551,4 ათას ტონამდე; მატყლის წარმოება – 1,9 ათასი ტონიდან – 1,8 ათას ტონამდე; გაიზარდა მხოლოდ კვერცხის წარმოება 361,4 მილიონი ცალიდან – 430,6 მილიონ ცალამდე.

ციფრობრივი მასალა აღებულია შესაბამისი წლების საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაციიდან – "საქართველოს სოფლის მეურნეობა, სადაც 2006 წლიდან ინფორმაციის ძირითად წყაროს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა წარმოადგენს, რომლის პირველი რაუნდი 2007 წლის თებერვალ'ში ჩატარდა. შერჩევის ზომა (დაახლოებით 5 ათასი მეურნეობა) არ არის საკმარისი რაიონის დონეზე სარწმუნო შეფასების მისაღებად.[1] როგორც მოტანილი ამონარიდიდან ჩანს ინფორმაცია არ არის საკმარისი რაიონის დონეზე (შესაბამისად ქვეყნის მასშტაბითაც) სარწმუნო შეფასების მისაღებად და საკვლევი პერიოდის (2000-2009 წლები) მონაცემთა შესადარებლად, მაგრამ სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების: მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების და მასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზით ირკვევა, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი პარამეტრები დაბალია და წლების განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც გვაძლევს იმის აღნიშვნის საშუალებას, რომ საქართველოში სასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის პროდუქტების წარმოებას, რომელიც დააკმაყოფილებდა მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1992წ.) თანდათან დაიწყო საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება სოფლად. ეს პროცესი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაშლისა და პრივატიზაციის გზით მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემით დაიწყო. განხორციელდა მიწის რეფორმა, ქონების პრივატიზაცია და საწარმოთა რეორგანიზაცია. აგრარულმა რეფორმამ ხელი შეუწყო და დაჩქარა სოფლად საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებას; დაიწყო და სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა გადამამუშავებელი საწარმოების განსახელმწიფოებრიობის პროცესი; მოსახლეობისათვის დამატებითი საკარმიდამო, საბაღე და საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფა. მიწის რეფორმა რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ სწრაფად წარიმართა, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით შედეგები არადამაკმაყოფილებელია, რადგან დანაწევრდა მიწის ფართობები, განხორციელდა სოფლად საზოგადოებრივი მეურნეობების (კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები) ნაჩქარევი რეორგანიზაცია

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია 2009. თბილისი 2010. გვ. 9.

მათი გარდაქმნისა და გაუქმების გზით. ამ პროცესს შეეწირა საზოგადოებრივი მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ათეული წლების მანძილზე შექმნილი და დაგროვილი ქონება, რომელიც მოკლე პერიოდში დატაცებული და განადგურებულ იქნა. იმის მაგიერად, რომ რეფორმის პირველ ეტაპზე სოფლად საზოგადოებრივი მეურნეობების საფუძველზე შექმნილი და ჩამოყალიბებული ყოფილიყო კოოპერატივები, გლეხთა გაერთიანებები და სააქციო საზოგადოებები, ხოლო შემდგომ შექმნილიყო საბაზრო მეწარმეთა მეურნეობრივად გამართული ფენა, რომელიც უზრუნველყოფდა საბაზრო პირობებში ეფექტიან მეწარმეობას; – სახეზე გვაქვს ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებული წვრილი და არასასაქონლო ფერმერული მეურნეობა, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში აგრარული კრიზისის გახანგრძლივებას. სოფლის მეურნეობის სტიქიურმა ნგრევამ შეაფერხა ქვეყანაში სასურსათო რესურსების ფორმირების ადგილობრივი ბაზა.

მომავალში ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება მხოლოდ დახმარებებზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, რადგან ეს პროცესი სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე და საერთაშორისო ორგანიზაციებზე ჩვენი ქვეყნის ფინანსურ დამოკიდებულებას კიდევ უფრო გააღრმავებს. ეს ტენდენცია თანდათან უნდა შეიცვალოს ქვეყნის საექსპორტო პროდუქციით (ღვინო, თხილი, კაკალი, ნატურალური თაფლი, ბოსტნეული, ხილი, საზამთრო, კომში, დაფნის ფოთოლი, სუნელები და სხვა) შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიურ მონაწილეობაზე და ადგილის დამკვიდრებაზე. კიდევ უფრო უნდა გამახვილდეს ყურადღება სოფლის მეურნეობაში ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების შემოტანაზე, ერთობლივ საწარმოთა ქსელის ჩამოყალიბებასა და გაფართოებაზე, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაიონებში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების დაჩქარებული ტემპით ჩამოყალიბებაზე და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. დათუნაშვილი – მეცხოველეობის ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი საქართველოს რეგიონებში. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი 2010.
2. ლ. დათუნაშვილი – აგრარული სფეროს განვითარების რეგიონული თავისებურებები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I. თბილისი, 2008.
3. ე. ხარაიშვილი – აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და მიკროეკონომიკური რისკები. ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი 2010.
4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული 2006. თბილისი 2007.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული 2009. თბილისი 2010.

თამაზ გამსახურდია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

თეიმურაზ ფესტვენიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

მევენახეობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

საქართველო მეტად კარგი ბუნებრივი კლიმატური და წიაღისეული სიმდიდრით ქებული ქვეყანაა. თითოეულმა ჩვენგანმა მეტი ინტერესი და მონდომება უნდა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ ხელიდან არ გაუშვათ შანსი, ეიშრომოთ და ეაწარმოოთ მეტი დოლათი. ამით გარკვეულწილად დაკმაყოფილებული იქნება მოსახლეობის მოთხოვნილება.

დროა განეავითაროთ და ხელი შეეუწყოთ სოფლის მეურნეობაში არსებული კულტურების უფრო მაღალი ტემპებით აღორძინება-განვითარებას, რომელიც საწინდარია ქვეყნის ეკონომიკის პოტენციალის ამაღლებისათის, როგორიცაა მევენახეობა, რომელიც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მევენახეობის პროდუქცია, გამოყენების მიხედვით, იყოფა ოთხ საწარმოო მიმართულებად: 1. სუფრის ყურნის წარმოება; 2. საქიშმიშე ყურძნის წარმოება; 3. სხვადასხვა ტიპის ღვინის და კონიაკის წარმოება; 4. საკონსერვო ნედლეულის ბაზა. ყურძნის წვენის, ბადაგის, კომპოტის, მურაბის, მარინადისა და სხვა უალკოჰოლო პროდუქტების წარმოებისათვის.

საქარველო მევენახეობის ერთერთი უძველესი კერაა. აქ მევენახეობა ცნობილი იყო ჩვ.წ.-მდე რამდენიმე ათასეული წლის წინათ. ადგილობრივი მევენახეობის სიძველეზე მიუთითებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები, მდიდარი ხალხური ტერმინოლოგია და სხვა. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა მოწმობს, რომ ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის ბოლოს მევენახეობა საქართველოში უკვე საკმაოდ დაწინაურებული იყო. ამას ადასტურებს კახეთში აღმოჩენილი ვაზის ნამგლისებრი სასხლავი, რომელიც ბრინჯაოსაგან იყო დამზადებული. სოფ. ნინოწმინდის სამაროვანზე ნაპოვნი წიაწები, რაც რქაწითელის და მწვანე ვაზის ჯიშის არსებობაზე მიუთიებთ და სხვა (ქ.ს.ე. ტ. 6 გვ.644).

1980 წლისათვის მსოფლიოში ვენახების ფართობი 10,0 მილიონ ჰა. აღწევდა, აქედან (ათჰა-ობით). ევროპაში 7200, აზიაში - 1300, აფრიკაში - 800, ამერიკაში - 900, ავსტრალიაში 100. ევროპაში მევენახეობის ძირითადი ქვეყნებია ესპანეთი (1600 ათჰა) იტალია (1400 ათჰა), საფრანგეთი (1300 ათჰა).

ვენახების ფართობის მიხედვით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო მე-5 ადგილზე იმსოფებოდა და მისი ფართობი 146 ათასს ჰა-ს შეადგენდა. საქართველოში გაშენებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ვენახების 10-14% და ყურძნის მთლიანი მოსავლის 9-10% აწარმოებდა.

ამჟამად მსოფლიოში 4 ათასამდე ვაზის ჯიშია, მათ შორის 500-მდე ქართული. საქარველოს ვაზის სტანდარტული სორტამენტში შეტანილი იყო 41 ჯიში, აქედან 27 ტექნოლოგიურ-საღვინე ჯიშისა იყო, 14 სუფრისა. გადასამუშავებულად იყენებდნენ მოელი ფართობიდან მიღებული მოსავლის 96-97%-ს ხოლო სასუფრედ 3-4%. საქართველოში ვაზის ჯიშებიდან უფრო ეაერცელებულია: რქაწითელი - 55%, ცოლიკაური 10,2%, ჩინური - 7%, საფერავი - 4%, კახური მწვანე - 3,3%, გორული მწვანე - 2,1%, დანარჩენი ჯიშები შედარებით მცირე ფართობზე იყო გაშენებული.

საქართველოში ვენახების ფართობით და ყურძნის წარმოებით პირველ ადგილზე ყოველთვის კახეთი იდგა. აქ გაშენებული იყო ქვეყნის ვენახების მთელ ფართობის 44%-ი, მეორე ადგილზე კი იმყოფებოდა იმერეთი შესაბამისად 14-26% მესამეზე - ქართლი 12-15%-ი.

დღესდღეობით ძნელია იმის თქმა, თუ რამდენ ათას ჰა. ვენახის ფართობს ფლობენ აღნიშნული რეგიონები. უკანასკნელ წლებში შესაბამისი აღრიცხვიანობა აღარ განხორციელებულა.

საქართველოში მევენახეობა მეტად შემოსავლიანი დარგი იყო ამიტომ მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მევენახეობისა და ვაზის ჯიშთმცოდნეობის საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო 1930-იანი წლებიდან. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკური ისტორია (წიგნი 2. 1934) განხილულია საქართველოში გავრცელებული ვაზის აბორიგენული ჯიშები. მათი წარმოშობა, გავრცელება და მათი ძირითადი მაჩვენებლები, რამაც დიდი სამსახური გაუწია საქართველოში ვაზის ჯიშების აღდგენასა და შემდგომ შესწავლას. 1931 წ აკად. ს. ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით თელავში დაარსდა ყოფილი საკავშირო მევენახეობა - მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მევენახეობის განვითარების საქმეში, ხოლო შემდგომში საქარველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის ინიციატივით დიღმის სასწაილო მეურნეობაში გაშენდა დიდი საკოლექციო ნარგაობა, სადაც თავმოყრილი იყო 120-მდე დასახალების ქართული და უცხოური ვაზის ჯიშები, ამამთა სიავემ აღნიშნული ნარგაობა აღგავა მიწისაგან პირისა. გაქრა უნიკალური ვაზის ჯიშები. იმ ადგილას დღეს წამოჯიმულია მრავალსართულიანი სახლები და ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის მარკეტები და მომსახურე ობიექტები. რა თქმა უნდა დასანანია მაგრამ სინამდვილეს ვერ გავექცევით.

საქარველოში მევენახეობის განვითარების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით: ლ. ჯორჯაძეს, ი. წინამძღვრიშვილს, პ. იოსელიანს, ი. გუნცაძეს, ე. ნაკაშიძეს, ნ. ჩახნაშვილს, ვ. ქანთარიას, ტაბიძეს, მ. რამიშვილს და რ. რამიშვილს.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართული ვაზის უნიკალური ხიხვის, კრახუნას, ალადასტურის, უსახელაურის, ქისის ოცნანურის, საფერავის, გრძელმტევანას, ჩხავერის და სხვა ჯიშების ფართოდ გავრცელებას. დიდი მუშაობა მიმდინაგრეობდა საქარველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც გამოჰყავდათ ყინვაგამძლე, მავნებლებისა და და

ლებლობა და საშუალება შეავსოს გამეჩხერებული და გააშენოს ახალი ვენახები. მეტი დაფიქრება და ძალისხმევა გემართებს გადავარჩინოთ ვენახი გადაშენებისაგან, მოვოძიოთ ფინანსები და შეექმნათ მევენახეობის განვითარების სპეციალური ფონდი, რაც წაადგება მევენახეობის სიცოცხლის უნარიანობის გახანგრძლივებას და რომ ვაზის ნაკური მარად ამშვენებდეს ნაქებ ქართულ სუფრას.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ქართული შუშხუნა ღვინო მთელ რიგ ქვეყნებში მაღალი რეპუტაციით სარგებლობს. ის გამოიყენება როგორც ცალკე ალკოჰოლური სასმელად, ასევე კვების პროდუქტებში – ერთ-ერთ ინგრედიენტად, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია და დამზადებულია უძველესი ქართული ტრადიციების სრული დაცვით.

ქართული ცქრიალა ღვინო დამზადებულია ადგილობრივი ყურძნის ჯიშებისაგან – რქაწითელი, თეორა, ცოლიკაური და სხვა. რომლებიც გაშენებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. მისთვის დამახასიათებელია ღია ყვითელი ფერის, დახვეწილი სუფთა და ჰარმონიული გემო, შეიცავს 9-14% ალკოჰოლს, ხოლო მჟავიანობა 6,7% შეადგენს.

დაკვირვებამ გვიჩვენა, როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში იზრდება მოთხოვნილება ქართულ შუშხუნა ღვინოზე ამიტომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს შუშხუნა ღვინოების წარმოების გადიდებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს, თუ რა მდგომარეობაა მსოფლიოში ღვინის იმპორტ-ექსპორტის მხრივ, დღესდღეობით მსოფლიოში იმპორტირებული ღვინის ღირებულება 5 576 752 მილიონი დოლარი შეადგინა, იმპორტირებული ღვინის რაოდენობამ 444 725 ტონა შეადგინა.

ბოლო 5 წლის მანძილზე ღვინის იმპორტი გაიზარდა 3%-ით ღირებულება კი გაიზარდა 17%-ით, ქართული ღვინოზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება.

საინტერესო ფაქტია, რომ ღვინის იმპორტს მსოფლიოში ეწევა 196 ქვეყანა აქედან ყველაზე უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნებია: დიდი ბრიტნეთი, აშშ და ბელგია, მათი წილი მსოფლიო იმპორტში შესაბამისად შეადგენს 15,3; 12,0 და 12,2%-ს. ხოლო ღვინის ექსპორტს ეწევა 105 ქვეყანა ყველაზე უმსხვილესი ქვეყანაა საფრანგეთი, მისი წილი ექსპორტში 59,6%-ს შეადგენს, ხოლო იტალიისა და ესპანეთის ხვედრითი წილი საფრანგეთთან შედარებით ნაკლებია და შესაბამისად 11,1 და 10,9 %-ს აღწევს.

როგორც აკვლინშნეთ საფრანგეთი არის ის ქვეყანა, რომელიც ექსპორტის მხრივ ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა. მაგალითად ბელგიაში, სადაც კონკურენტი ქვეყნებია საფრანგეთი, ესპანეთი და ჰოლანდია, მათი ექსპორტის წილი, შესაბამისად. შეადგენს 86,4%, 4% და 3,1%-ს, ხოლო უკრაინაში საფრანგეთის ექსპორტის წილი ბელგიასთან შედარებით მცირეა და შეადგენს 32,1%-ს, იტალიისა 25,8% და მოლდავეთისა 21,9%-ს, ბულგარეთში საფრანგეთის ექსპორტის წილი უკრაინასთან შედარებით გაიზარდა და მიაღწია 82,5%-ს, ხოლო იტალიის ექსპორტის წილი ბულგარეთში შემცირდა და შეადგენს 7,6 %-ს, აგრეთვე ბულგარეთში ექსპორტის წილი უკრაინასთან შედარებით შემცირდა და შეადგინა 3,4%-ი.

ანალიზიდან ირკვევა რომ ჩვენს მიერ შერჩეულ ქვეყნებში გამორჩეულად ლიდერობს საფრანგეთი, რადგან მისი ღვინოები სხვებთან შედარებით გამოირჩევა მაღალი საგემოვნო თვისებებით, ასორტიმრნტით, შეფუთვით, დიზაინითა და მრავალი სხვა საუკეთესო თვისებებით.

საინტერესოა, რომ ქართული ღვინისათვის მიმზიდველი ქვეყნებია ბელგია, უკრაინა და ბულგარეთი. 2004-2008 წლებში ბელგიაში ქართული ღვინის წლიური ზრდის მაჩვენებელი ღირებულებაში შეადგენს 39%-ს, ხოლო რაოდენობრივემა ზრდამ 15%-ი. შესაბამისად უკრაინაში 93%-94%-ი და ბულგარეთში 29% და 9%-ი. ყოველივე ეს მეტყველებს, რომ ქართულ ღვინოზე მოთხოვნილება იზრდება და დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

ქართული ღვინის მწარმოებლებისა და ექსპორტიორების მიერ უკრაინა დასახელდა ყველაზე სტრატეგიულ ბაზრის მქონე ქვეყნად. ის საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის მესამე ადგილზეა. საქართველო უკრაინაში ღვინის იმპორტით მეოთხე ადგილზე იმყოფება.

ბოლო პერიოდში უკრაინასთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 73,8 მლნ. აშშ. დოლარი (მოლიანი ბრუნვის 9,1%) შეადგინა. აღსანიშნავია რომ 2010 წლის იანვარ-თებერვალში უკრაინასთან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2009 წლის იანვარ-ოებერვალთან შედარებით 21%-ით გაიზარდა. უკრაინაში საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი 11,4 მლნ. აშშ დოლლარს (მოლიანი ექსპორტის 5,3%) გაუტოლდა: ეთილის სპირტი 25,1%, ღვინოები 17,3%, მი-

ნერალური წყლები 15.9%, ფეროშენადნობები 14%, კომბოსტო 7.4%, სხვა პროდუქცია 20,3%. ყოველივე ეს მეტყველებს ორი ქვეყნის კარგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარტნიორობაზე.

ღვინის მოხმარება – წარმოება უკრაინაში 1991-2006 წლებში იზრდება, მასთან ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში მოხმარება 3 ლიტრს შეადგენს რაც ძალიან მცირეა, თუ შეეადარებთ სხვა ევროპულ ქვეყნებს, იტალიას, საფრანგეთს ან ესპანეთს, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება შეადგენს 30 ლიტრს.

მსოფლიოს იმ ყველაზე სადაც მეეენახეობაა განვითარებული ღვინის წარმოება და მოხმარება 2004-2008 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც დადებითად უნდა მივიჩნიოთ.

ქართული შუშხუნა ღვინოს მაღალი ღირსებები და თვისებები გააჩნია, ამიტომ უკრაინაში მოთხოვნილების ტემპები იზრდება, რაც ოვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე.



საქართველო უკრაინასთან გამარტივებული ტარიფებით სარგებლობს, ხოლო უცხოელი კონპანიებისათვის გადასახადი მოგებიდან შეადგენს 15%. ეს განპირობებულია იმით, რომ ქვეყნებს შორის არსებობს მეგობრული ურთიერთობა და ტერორორიული სიახლოვე, მარტივი ტრანსპორტირება, ქართული ღვინის ცნობადობა, კულტურათა სიახლოვე და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა. ქართული შუშხუნა ღვინოს მსა პროდუქციის პარტიის იდენტიფიცირება, შეფუთვა და ეტიკეტირება შეესაბამება სტანდარტებს. უმჯობესია ტვიროთის საზღვაო ტრანსპორტირება (მისი სიიაფის გამო) რადგან უკრაინა და საქართველო წარმოადგენს შავი ზღვის აუზის ქვეყნებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა პოტენციური ბაზარი (უკრაინა) სადაც ქართული შუშხუნა ღვინოზე მოთხოვნა გაიზარდა, რაც გვაძლევს საფუძველს ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

მეტად საჭიროა ღვინის იმპორტით დაკავშირებული ფირმებთან მჭიდრო კავშირი, რაც იწვევს ღვინის იმპორტის ზრდას, შუშხუნა ღვინის წარმოებისა და მისი ექსპორტის გაფართოებას მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან.

ბოლო პერიოდში შეიმჩნევა გლეხური ტრადიციული წესით დამზადებულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდის ტენდეცია, განსაკუთრებით ჩამოსული უცხოელი ტურისტების მხრიდან. აქედან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა ხელისუფლებამ პრაქტიკული ქმედითი ღონისძიებები, საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად, გაატაროს ფერმერული-გლეხური მეევენახეობის განვითარების სფეროში. გადაუდებელ პრობლემად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, კერძოდ მეევენახეობის დაზღვეევის მოგვარების მეტად აქტუალური საკითხი.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, აჭარაში დიდი პერსპექტივები ისახება მეევენახეობის აბორიგენული ჯიშების განვითარება-აღორძინების საქმეში. ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში აჭარული ღვინოები ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ბაზარზე კონკურენტუნარიან ბრძოლაში.

ჩვენი ღრმა რწმენით საქართველოში მეევენახეობის მაღალი ტემპებით განვითარება შესაძლებელი იქნება გააზრებული და მაღალ ეფექტური სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღე-

ბის შედეგად, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ქვეყნის ბიუჯეტის შეესების მნიშვნელოვან წყაროდ მიგვაჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოს სოფლის მეურნეობა სტატისტიკური პუბლიკაცია, 2009წ.
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6
3. ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიკური ისტორია" (წიგნი 2.) 1934 წ.

გიული გიგუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
გორის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ვლადიმერ ციცაგი, ამირან ხაბაზიშვილი
ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სწავლების
პირველი წლის სტუდენტები.

სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

ისტორიულად საქართველო ყოველთვის აგრარულ ქვეყნად მოიაზრებოდა. ჩვენი ქვეყანა უძველესი აგროკულტურის, ვაზისა და ხორბლის ქვეყანაა, ამიტომ მიწა, სასოფლ-სამეურნეო წარმოება და სოფელი ქართველი კაცისათვის განსაკუთრებული ფასეულობებია. ეს ფასეულობები უდიდეს გავლენას ახდენენ მისი ცხოვრების წესზე, მენტალიტეტზე, ქართველთა ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ათასწლეულების მანძილზე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა. როგორც დიდი ილია აღნიშნავდა: "მანამ ქვეყანა ქვეყანას ჰგავდა და ჭკუის მომკითხავი პატრონიცა ჰყავდა, ჩვენ მიწა-წყალს ჩვენთვის სარჩო-საბადებელი არ დაჰკლებია". [1]

სოფლის მეურნეობა აგრარული ქვეყნის ხერხემალია. მისი მთავარი ამოცანა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და აგრობიზნესის ნედლეულით მომარაგებაა. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ სოფლის მეურნეობამ განვითარების მაღალ დონეს ძირითადად იმ ქვეყნებში მიაღწია, სადაც ამ დარგისადმი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ზრუნვისა და სტიმულირების დონე მაღალია. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, საექსპორტო ბაზარზე პოზიციების განმტკიცება, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება, წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭებისა და მასზე მუდმივი ზრუნვის გარეშე.

მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა ძნელბედობამ და არასწორმა პოლიტიკამ რა თქმა უნდა, ძლიერ დააზარალა ქართული სოფელი, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, იგი ბოლო დრომდე ინარჩუნებდა საზოგადოების ფუძე-ერთეულის სოციალურ ფუნქციას – გადარჩა და შეიძლება ითქვას ქვეყანაც გადაარჩინა.

ოფიციალური მონაცემებით, დღეს საქართველოს მოსახლეობის 47% (ორ მილიონზე მეტი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3/5-ზე მეტი (mosaxleobis 60%). ბოლო წლებში ეს მონაცემები პრაქტიკულად უცვლელი რჩება, სამაგიეროდ კატასტროფულად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და მისი წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან ეროვნულ დოვლათში 8,3 %-ს არ აღემატება, ყოველწლიურად იზრდება იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ქვეყნის სასურსათო კალათში, იგი უკვე 2/3-ს აღწევს, დედაქალაქში კი გაცილებით მეტს - დაახლოებით 80%ს. [1]

სოფლის მეურნეობის თვისობრივი განვითარება შეუძლებელია მრავალმხრივი სახელმწიფო მხარდაჭერის, სწორი დარგობრივი პოლიტიკის გატარების გარეშე. ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის ევროპასა და იაპონიაშიც, სასოფლო-სამეურნეო მიწა აღიარებულია ეროვნულ სიმდიდრედ, რომლის გონივრული განკარგვა სახელმწიფოს კეთილდღეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ ევროპის მაგალითი. ის განვითარების გზა, რომელიც გაიარეს ამ კონტინენტის ქვეყნებმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დღემდე, ყველაზე მეტად ესადაგება საქართველოს, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს სტაბილურ განვითარებას, სოციალურად სამართლიანი საზოგადოების მშენებლობას.

ევროპის ქვეყნების შთამბეჭდავი მიღწევები სოფლის მეურნეობაში საყოველთაოდ არის ცნობილი. ეს თავისთავად არ მომხდარა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ (1957 წელს

რომში) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას გაატარებდნენ. მაშინვე გამოცხადდა ამ პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები: სურსათის მისაღებ ფასებში სტაბილური მიწოდება, სოფლის მოსახლეობისათვის ცხოვრების ღირსეული სტანდარტის უზრუნველყოფა, ტექნიკური პროგრესის მიღწევების სოფლის მეურნეობაში დანერგვა და ამის ხარჯზე შრომის ნაყოფიერების ზრდა და სხვა. დროთა განმავლობაში, ახალი გამოწვევების შესაბამისად, ეს პოლიტიკა ნაწილობრივ იცვლებოდა, იხვეწებოდა და ივსებოდა ახალი შინაარსით. დღესდღეობით ევროკავშირის ყოველწლიური ბიუჯეტის თითქმის ნახევარი (დაახლ. 50 მილიარდი ევრო) კვლავ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლის განვითარებაზე იხარჯება. ყოველივე ამის საბოლოო მიზანი კი სასოფლო ცხოვრების შენარჩუნება, მისი ქალაქის დონესთან დაახლოვებაა, ვინაიდან ეს სოციალური სტაბილურობისა და ნაციონალური იდენტობის გადარჩენის აუცილებელ პირობად არის მიჩნეული.

თანამედროვე ქართული სოფლის სოციალური მდგომარეობის ყველა ასპექტის განსახილველად და დასკვნების გასაკეთებლად მრავალმხრივი კვალიფიციური სამეცნიერო კვლევებია ჩასატარებელი, თუმცა, ზოგი რამ საგანგებო კვლევა-ძიების გარეშეც ცხადად ჩანს. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდი დაახლოებით 3230 ათას ჰექტარს შეადგენს. მოსახლეობის ბოლო აღწერით (2002 წ), სასოფლო კომლების რაოდენობა 773 ათასს აღწევდა ე.ი. სოფლის ერთ კომლზე დაახლოებით 4,18 ჰექტარი სავარგული მოდიოდა (აქედან 1,47 - სახნავი და მრავალწლიანი ნარგავი და 2,68 სათიბ-საძოვარი). 2003 წლის მონაცემებით, მიწა საკუთრებაში გადაეცა დაახლოებით 1.1 მლნ კომლს (აქედან 338 ათას ქალაქად მაცხოვრებელ ოჯახს). სულ გაიცა სავარგულების 25,2%. შედეგად თითოეულ სასოფლო კომლს დაახლოებით 0,89 ჰექტარი ერგო, ხოლო ქალაქელო - 0,22 ჰექტარი. გრძელვადიანი იჯარით გაიცა სავარგულების 29,9% აქედან 11,8% გადაეცათ ფიზიკურ პირებს, დანარჩენი კი გადანაწილდა იურიდიულ პირებზე. მაგრამ, საშუალო სტატისტიკური მონაცემები ვერ გვაძლევენ შექმნილი მდგომარეობის ნამდვილ სურათს. საქმე იმაშია, რომ კომლთა მხოლოდ 25% ფლობს 3-4 ჰექტარ მიწას, რაც ექსპერტთა აზრით, საქართველოს პირობებში წარმოებისათვის ოპტიმალურ რაოდენობად უნდა ჩითვალოს. ოჯახთა 43% კი უკიდურესად მცირემიწიანია. მათ 0,5 ჰექტარზე ნაკლები ფაროობი აქვთ. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ეს მცირე ზომის მიწაც კი, ხშირად, ერთიან საზღვრებში არ არის მოქცეული და დანაწევრებულია ორ და მეტ ნაკვეთად. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. [1]

საქართველოს ხელისუფლებამ სოფლის მეურნობა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად აღიარა, მუშავდება სახელმწიფო სტრატეგიაც. ახალი „სასოფლო-სამეურნეო" კურსის შედეგებზე ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს. ვარაუდობენ, რომ საქართველო სიმინდის ექსპორტიორი ქვეყანა მიმდინარე წლიდანვე გახდება, უკვე არსებობს რამდენიმე დაინტერესებული ქვეყანა, მათ შორის აზერბაიჯანი და თურქეთი, სადაც საქართველოდან სიმინდის ექსპორტი განხორციელდება. საქართველოს სხვა საექსპორტო ამბიციებიც აქვს: ზეთისხილის, ბროწეულის, ნუშის, მოცვისა და სხვა პროდუქტების სახით.

ქართული სახელმწიფოს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნაბიჯს, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემის გაუმჯობესებისათვის, წვეთოვანი მორწყვის სისტემის დანერგვა წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში სტაბილურად მაღალი მოსავლისა და ხარისხიანი პროდუქციის მიღება კომპლექსური მიდგომის გარეშე შეუძლებელია. წვეთოვანი მორწყვა უზრუნველყოფს ვენახს, ხეხილს, ბოსტნეულს, სანერგე და საჩითილე მეურნეობებს საჭირო რაოდენობის წყლით და მნიშვნელოვნად ამცირებს წყლის დანაკარგსა და ხარჯს.

მსოფლიოს წამყვან კომპანიებში დიდი ხანია აპრობირებულია წვეთოვანი მორწყვის სისტემები - ღია ნაიდაგის, სათბურებისა და რთული რელიეფისათვის, თავისი უპირატესობებით: წყლის ეკონომია 30%; აოროქლებაზე და ინფილტრაციაზე ტენის დანაკარგის კოეფიციენტი 5%-ზე ნაკლები; წყლის დანაზოგი წვიმისებრ მორწყვასთან შედარებით 2,5-3-ჯერ უკეთესი; მცენარისათვის კვების ელემენტების მიწოდება ხდება უშუალოდ ფესვთა სისტემასთან, რაც არ იწვევს მწკრივთაშორისებში სარეველების ზრდას; მორწყვისას მცენარე რჩება მშრალი და ავადმყოფობების განვითარებისათვის არ იქმნება ხელსაყრელი პირობები; სასუქის ათვისების კოეფიციენტი 80%-მდე აღწევს; ნიადაგში მუდმივად ნარჩუნდება მიზანშეწონილი რაოდენობის ტენი; გამორიცხავს ნიადაგის წყლით გაჯერებას და მარილების დაგროვებას; მორწყვა შესაძლებელია ყველაზე ცხელ დღეებშიც კი, გამორიცხავს მზისაგან ფოთლების დაწვის საშიშროე-

ბას: ნარჩუნდება ნიადაგის შემადგენლობა და არ ზიანდება იგი; შრომის დანახარჯი მცირდება რამდენჯერმე; სხვადასხვა კულტურაში მოსავლიანობა იზრდება საშუალოდ 3-ჯერ.

მრავალი წლის განმავლობაში, შეკეთების გარეშე, გამოიყენება წვეთოვანი მორწყვის სისტემები ღია ნაიდაგზე, ფირის სათბურებში და რთულ რელიეფზე: ბოსტნეულის, მრავალწლიანი მცენარეებისა და მინდვრებისათვის. თითოეული მცენარეული კულტურა, თავისი თვისებისა და ადგილმდებარეობის (ღია/დახურული გრუნტი) მიხედვით შესაბამის მორწყვის სისტემას მოითხოვს. [2]

ბოლო წლებში განსაკუთრებით გახშირდა ბუნებრივი კატაკლიზმების: სტიქიური უბედურებების, წყალდიდობების, მეწყერების, გვალვების შედეგად სასოფლო სამეურნეო სავარგულებისა და მოსავლის დაზიანება-განადგურების შემთხვევები. ფერმერთა დასაცავად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის განვითარებას, როგორიცაა დაზღვევა, რომელზე უკეთესიც ჯერ არ გამოუგონიათ გაუთვალისწინებელი ბუნებრივი მოვლენების შედეგად შესაძლო დანაკარგების რისკების შესამცირებლად.

რამდენადაც სოფლის მეურნეობის დარგი საკმაოდ სპეციფიკურია, კერძოდ, დიდი სიძნელეებია რისკების შეფასების, კონტროლისა და ზარალის დაანგარიშების და ამ ყველაფრის გამო სადაზღვევო პრემია სოლიდურ ციფრამდე ადის, ქართული სადაზღვევო კომპანიები ვერ ახერხებენ (და არ ახერხებენ) ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებას და დანერგვას. ალბათ, დროა, რომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს ამ პროცესების სტიმულირება, გადადგას ქმედითი კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით, ჩართოს პროცესებში სადაზღვევო კომპანიები, ბანკები, დონორები, კერძო კომპანიები და მათი დახმარებით სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს. ამასთან, სახელმწიფომ შესაძლოა, მოლიანად (ან ნაწილობრივ, თანადაფინანსებით) იკისროს მომავალი წლის მოსავლის დაზღვევა ისეთი რისკებისგან, როგორიცაა გვალვა, ხშირი წვიმები, სეტყვა და ა.შ. და ეს თანხები უკვე 2012 წლის ბიუჯეტშიც გაითვალისწინოს.

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010–2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიით, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა შეიმუშავოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია;

მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი; სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მეკვნახეობა-მეღვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ საოანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად.

საჭიროა, განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორილებული ფართობების ინვენტარიზაცია.

უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების ხელშეწყობა, მანქანა-ტრაქტორების სადგურების შექმნა და/ან შეღავათიანი პირობებით დაკრედიტება.

საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა.

საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების ინვესტირების წახალისება. საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე ორიენტირებული და სხვა სამეწარ-

მეო ინიციატიეების მხარდაჭერა, რომელიც ადგილობრიეი საკადრო და სამეწარმეო რესურსების გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული. [4]

სახელმწიფოსთან ერთად, მეცნიერები და ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ დარგის განვითარებისთვის აუცილებელი კონცეფციის შექმნაზე, რომელშიც გაწერილი იქნება ის, თუ რა მდგომარეობაა ამ სფეროში, რა პრობლემები არსებობს და რა გვსურს, გვქონდეს უახლოეს მომავალში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს როლს, როგორ დაეხმაროს გლეხებს, რომ მათ მაღალ ტექნოლოგიებსა და ცოდნაზე მიუწვდებოდეთ ხელი. მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაც. მარტო სომხეთის მაგალითს თუ გადაეხედეთ, სადაც კოოპერაციის პრაქტიკაა გავრცელებული და თანამედროვე ტექნოლოგიებია დანერგილი. აღმოჩნდება, რომ თუ საქართველოში ერთ ჰექტარზე 8-10 ტონა კარტოფილის მოყვანა კარგ შედეგად ითვლება, სომხეთში იგივე ტერიტორიაზე 25-30 ტონა მოსავალი მოდის. „სომხეთში ფერმერები ერთიანდებიან, თესავენ კარტოფილს დიდ ფართობებზე, შედეგად მოსავლიანობა იზრდება და თვითღირებულება მცირდება. ამიტომ სომხეთიდან შემოტანილი კარტოფილი ჩვენს ბაზარზე ქართულ პროდუქციაზე იაფი ღირს." [3]

აუცილებელია გლეხებისთვის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, რომელიც დაეხმარება მათ მიიღონ გადაწყვეტილება რა მიმართულებით განავითარონ მეურნეობები, რა ტექნოლოგიები გამოიყენონ, როგორ გაყიდონ და ა.შ. ამ ცენტრების საშუალებით უნდა მოხერხდეს მიწების და ყველა სხვა რესურსის უფრო ეფექტური გამოყენება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. უაღრესად მნიშვნელოვანია კადრების მომზადება და გადამზადების სისტემის სრულად ამოქმედება, აგრარულ პროფესიათა სახელობო სასწავლებლების სისტემის შექმა.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დარგის დაფინანსების სისტემის შექმნაზეც: დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი კრედიტები, სპეციალური ფონდები და სხვ.. 2011 წლის ბიუჯეტით სოფლის მეურნეობას 69 მილიონი ლარი აქვს გამოყოფილი, რაც საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ მაინც არასაკმარისი ქართული სოფლის აღორძინებისათვის.

საჭიროა ჩამოყალიბდეს საკონტრაქტო ურთიერთობების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასურსაათო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთებს და ფერმერული პროდუქციის გარანტირებულ შესყიდვას.

ხელისუფლებამ რეალურად უნდა შეუწყოს ხელი სოფლად ფერმერული მეურნეობის, კოოპერატივებისა და ასოციაციების შექმნა-განვითარებას.

სახელმწიფომ უნდა წაახალისოს სოფლის სოციალური მდგომარეობის ყოველმხრივი მეცნიერული კვლევა და ამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შექმნას გრძელვადიანი პროგრამები.

ამრიგად, სახელმწიფო სტრატეგიითა და ცალკეულ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები უმეტეს ნაწილში ერთმანეთს ემთხვევა. უდაოა ისიც, რომ სოფლის და აგრობიზნესის გადარჩენა-განვითარებას საგანგებო როლი აქვს ქვეყნის განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალის სრულყოფილი რეალიზაციით და სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, რეალური შანსი არსებობს საქართველოს მზარდი, სტაბილური ეკონომიკური განვითარებისათვის, თუნდაც სოფლის მეურნეობაზე დაყრდნობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://european.ge/?page=statistics&id=61
2. http://www.agroinvest.com.ge/index.php?option=com_virtuemart&page=shop.browse&category_id=6&Itemid=1
3. http://commersant.ge/index.php?id=1803
4. http://www.cegstar.ge/files/_1909_814272_STATESTRATEGY2010-2017GEO.pdf

მირანდა წეროძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ნიკოლოზ მესხი
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია

საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე და მოსახლეობის კეთილდღეობა. მიუხედავად მცირემიწიანობისა, საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები იმის საშუალებას იძლევა, რომ დააკმაყოფილოს მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტებით შიდა ბაზარი და მსოფლიო ბაზარზე გაიტანოს პროდუქცია.

საქართველოს მოქალაქეთა 53%, დღეს სოფლად ცხოვრობს, 40% უშუალოდ ჩაბმულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, თუმცა ადგილზე შექმნილი აგროპროდუქციის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 8%-ია. შიდა ბაზრის მოთხოვნა მხოლოდ 12%-ით კმაყოფილდება. ამდენად ჩანს, რომ სოფლად ჭარბად არის თავმოყრილი მშრომელთა ძალა, რომელიც ან არ ვერ იყენებს საკუთარ შესაძლებლობებს.

ევროკავშირის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევების შედეგებში ნათქვამია, რომ „მთავარი ფაქტორი, რის გამოც ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა დღემდე ვერ ხერხდება სწორედ სოფლის მეურნეობის განუვითარებლობაა. მწარმოებლურობის დონე კვლავ დაბალია, არასაკმარისია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისი დაფინანსებაც. აგროსექტორი რომ განვითარდეს, საჭიროა მისი მოცულობა სულ მცირე სამჯერ მაინც გაიზარდოს".

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობისა და სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, ერთ - ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ფორმულირება, რაც მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართული ეკონომიკური წყობის დამყარებისათვის დასაგეგმავი სამუშაოების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ამ ჭრილში სასოფლო-სამეურნეო სექტორის მნიშვნელობის გათვალისწინებით შეეცადეთ შეგვესწავლა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში დღეს არსებული პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები და ჩამოგვეყალიბებინა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი.

მართალია, სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებად განვითარებულია, მაგრამ ის კვლავ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სექტორს და მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში, თუმცაღა 2009 წლამდე კლებულობდა უკვე ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში %

ნახ.1



სოფლის მეურნეობას ახასიათებს დუალური სისტემა და წარმოდგენილია შინამეურნეობებითა და კომერციული მეურნეობებით. პროდუქციის ძირითადი ნაწილი, 90 პროცენტზე მეტი, მაღალ ფრაგმენტაციის მქონე მცირე ზომის შინამეურნეობებშია კონცენტრირებული. შინამეურნეობების ზომა საშუალოდ 1.22 ჰა-ია, რომელიც, როგორც წესი, წარმოდგენილია, საშუალოდ, 0.45 ჰა ფაროობის მქონე 2-3 მიწის ნაკეეთით. შინამეურნეობების დაახლოებით 82 პროცენტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას საკუთარი მოხმარებისთვის მისდევს, ხოლო დანარჩენი 18 პროცენტისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, თუმცაღა სოფლის მეურნეობიდან მიღებული თვიური შემოსავლები სხვა შემოსავლებისაგან განსხვავებით შედარებით დაბალია. (ცხ.1)

საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე წლების მიხედვით

ცხრილი 1

	2007 წ.	2008 წ.	2009 წ.
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	27.2	30.4	29.2
დაქირავებული შრომიდან	132.8	166.1	184.8
თვითდასაქმებიდან	42.2	52.7	55.1
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	41.3	63.2	74.6

სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი (მათ შორის საძოვრები და მდელოები) მთლიანი ფართობის დაახლოებით 44 პროცენტს შეადგენს. დანარჩენი ფართობი დაფარულია ტყეებით, წყლითა და დასახლებული ადგილებით. სოფლის მეურნეობის წარმოება მრავალფეროვანია და მოიცავს მევენახეობას, მემარცვლეობას, მებოსტნეობას, მეხილეობას, მესაქონლეობას, მეციტრუსეობას და მეჩაიეობას. კლიმატური ზონების შესაბამისად განსხვავდება მეურნეობების სპეციალიზაცია. დასავლეთის სუბტროპიკული კლიმატი ხელს უწყობს მრავალფეროვანი პროდუქტის წარმოებას, მათ შორის ჩაის და ციტრუსისას. ამავდროულად, მევენახეობა და მეხილეობა ფართოდ არის გავრცელებული ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. მეცხოველეობას კი მისდევენ ყველა რეგიონში. მიუხედავად ამისა მემცენარეობა და მეცხოველეობა დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩევა და ექსტენციური ხასიათისაა. მათი წილი მთლიანი სოფლის მეურნეობის წარმოებაში ცვალებადია.

მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ინდექსი

ნახ. 2



როგორც გრაფიკიდან ჩანს, მემცენარეობის წილის თვალსაზრისით შემცირების ტენდენცია შეინიშნებოდა, ხოლო მეცხოველეობის წილის თვალსაზრისით ზრდის. წელს კი შეფარდებითი წილი გათანაბრდება.

დაბალი პროდუქტიულობის გარდა, სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებს ის, რომ წარმოება დაუცველია და მის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს ამინდის არახელსაყრელი პირობები, მცენარეების და ცხოველებისა სხვადასხვა დაავადებები და მავნებლები; მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული სირთულეები; აგროინდუსტრიის და მოსახლეების სასოფლო-სამეურნეო განათლების დაბალი დონე.

აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად ამონაცებად უნდა ჩაითვალოს წვრილი საოჯახო მეურნეობების გამსხვილება, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლობის გაზრდა, სოფლის მოსახლეობის დამაკმაყოფიებელი ცხოვრების დონის მიღწევა. ექსპორტ – იმპორტის თანაბარდობის დამყარება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერა ბოლო წლებია საგრძნობლად გაიზარდა. საბიუჯეტო რესურსები მიმართულია შემდეგი პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელებაზე: მემცენარეობის და მეცხოველეობის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების განახლება, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, ფალსიფიკაციის წინააღმდეგ მიმართული ზომები მევენახეობასა და მეღვინეობაში, სურსათის უვნებლობისა და უზრუნველყოფის გაუმჯობესება და სხვ. გეგმიური ღონისძიებების გარდა მნიშვნელოვანი რესურსები იქნა მობილიზებული სოფლად სხვადასხვა გაუთვალისწინებელი არახელსაყრელი ფაქტორების შესამცირებლად.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში ეგულისხმობთ: ფერმერული და სახელმწიფო მეურნეობის ეკონომიკურ-ტექნიკური ორგანიზაციის გაუმჯობესებას; ახალი ტექნოლოგიების დანერგვას; სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის და ვაჭრობის სწორი ორგანიზაციას; საფინანსო-საკრედიტო სისტემის სრულყოფას, ბუნებრივი რესურსების განვითარებას და რეგულირებას; გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებას; ექსპორტ-იმპორტის ბალანსს; რისკების მართვის სტრატეგიის განხორციელებას და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. შაეგულიძე - „სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება" 2010 წელი
2. ს. ყამარაული „წარმოების ორგანიზაცია და მათეა ფერმერულ მეურნეობებში 200 წელი
3. გ. კიასონია „ფერმერულ მეურნეობათა ფუნქციონირების საერთაშორისო გამოცდილება" 1996 წელი
4. ს. ყამარაული „მარკეტინგი" 2002 წელი
5. გ. კილასონია „ფერმერულ მეურნეობათა ფუნქციოირების საეროაშორისო გამოცდილება. 1996 წელი
6. www.geostat.ge

ნიკოლოზ ჯიანაველიძე
ი. ლომოურის სახ. მიწათმოქმედების ინსტიტუტი
ნათია ჯვიჟინაძე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებანი საქართველოში

ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა სოფლის-მეურნეობის მდგრადი განვითარების ზოგიერთი საკითხები. წარმოვაჩინეთ თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებების როლი მოსავლიანობის გადიდებისა და სამამულო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების პროცესებში. დავსახეთ გზები რათა ქვეყანაში გაიზარდოს კომერციულად მომგებიანი ფერმერული მეურნეობები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, სამომავლოდ გავზარდოთ ადგილობრივ ბაზარზე სამამულო პროდუქციის ხვედრითი წილი იმპორტირებული პროდუქციის შემცირების ხარჯზე.

ისეთი მცირემიწიანი ქვეყნებისათვის როგორიც საქართველოა, აგროტექნიკური ღონისძიებების გაუმჯობესებასა და მოსაელიანობის გადიდებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. რადგან, ადგილობრივი ბაზრის კონიუქტურულმა ანალიზმა ცხადყო რომ, ისეთი ბოსტნეული კულტურები რომლებიც ყოველდღიური მოხმარების პროდუქტს შეადგენს (პომიდორი, კიტრი, კარტოფილი, ხახვი) მეტი წილი იმპორტირებულ საქონელზე მოდის [1].

პრობლემების აქტუალობიდან გამომდინარე აუცილებელია ქვეყანაში დაიწყოს წერილი ფერმერული მეურნეობების მოდერნიზაციის პროცესები, რაშიც ეგულისხმობთ გლეხური მეურნეობების ეკონომიურ დაგეგმარებასა და თანამედროვე ტიპის კომერციულ ფერმერულ მეურნეობებად, კოოპერატივებად, ერთიანი ნიშნის ქვეშ ჩამოყალიბების სისტემას. რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ერთის მხრივ მოსაელიანობის გაზრდას მეორეს მხრივ სამამულო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

2009 წლის განმავლობაში საქართველოში იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ცხრილი №1

საქონლის დასახელება	საქონლის კოდი 4	რაოდენობა დამატებით ერთეულებში	რაოდენობა კგ. ნეტი	საქონლის ღირებულება ლარებში	იმპორტიორი ქვეყანა
კარტოფილი	701		17 637300	4 740694	თურქეთი, სომხეთი, ირანი, ნიდერლანდები, გერმანია, უზბეკეთი, ბელორუსია
პომიდორი	702		6 965721	6 334743	ნიდერლანდები, თურქეთი, სომხეთი, სირია
ხახვი	703		24 784096	6 119388	ნიდრელანდები, თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უკრაინა, ირანი
კიტრი	707		3 066100	2 686374	თურქეთი, ირანი, სირია, იორდანია

2009 წლის განმავლობაში საქართველოში ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ცხრილი №2

საქონლის დასახელება	საქონლის კოდი 4	რაოდენობა დამატებით ერთეულებში	რაოდენობა კგ. ნეტი	საქონლის ღირებულება ლარებში	იმპორტიორი ქვეყანა
კარტოფილი	0701		688 011	229 874,4	აზერბაიჯანი
პომიდორი	0702		52 800	120 500,0	ბელორუსია
ხახვი	0703		477 800	183 875,4	სომხეთი
კიტრი	0707		0	0	0

სამწუხაროდ ღღეისათვის საქართველოს სახნავ-საოესი ფართობების 30-35% აუთვისებელია. ხოლო დანარჩენი ფართობების უმეტესი ნაწილი ფერმერულ მეურნეობებში დაგეგმარებისა და სტრატეგიის არ არსებობის გამო არამიზნობრივადაა გამოყენებული. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალაინ ცოტაა ისეთ ფერმერთა რიცხვი, რომელებიც თანამედროვე ტიპის აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებს იყენებს. თანამედროვე ტიპის აგროტექოლოგიურ ღონისძიებებში ეგულისხმობთ მულჩირების ტექნოლოგიის ფართო გამოყენებასა და წვეთოვანი საირიგაციო სისტემების (ეროობლიობას) სინოეზს. მოგახსენებთ რომ, ახალი მეთოდოლოგიური მიდგომების სწორად წარმართვის შემთხვევაში შესაძლებელია სასოფლო-სამეურნაო კულტურათა მოსავლიანობა 2-2,5 ჯერ იქნას გაზრდილი. ხოლო, ბოსტნეულ კულტურებში როგორებიცაა: კიტრი, პომიდორი, ხახვი და კარტოფილი სრულიად შესაძლებელია საექტარო მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელი წლიურად დაეგეგმოთ 50-70 ტონის ფარგლებში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უახლოეს წლებში მინიმუმამდე დავიყვანოთ ადგილობრივ ბაზარზე აღნიშნული პროდუქციის საიმპორტო წილი.



წვეთოვანი საირიგაციო სისტემისა და მულჩის გამოყენება კიტრის კულტურაში



ᲬᲕᲔᲗᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲘᲠᲘᲒᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲚᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲞᲝᲛᲘᲓᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲨᲘ



საქართველოში ყველა პირობა არსებობს, ფერმერული მეურნეობების სწორი განვითარებისათვის. აქ არსებული რბილი კლიმატი, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ნალექების ოპტიმალური რაოდენობა, მწის ნათების ხანგრძლივობა და ნაყოფიერი ნიადაგები, მრავალი ღირშესანიშნავი როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ასევე სამკურნალო და არომატიული მცენარეების მოყვანის საშუალებას იძლევა. ბოსტნეულ კულტურებში (პომიდორი, კიტრი, ხახვი) თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებების სწორად დაგეგმვისა და უდანაკარგოდ მოსავლის აღების შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია 1 ჰექტარი ფართობიდან ფერმერმა 15 000-დან – 20 000 ლარამდე მოგება ნახოს, რაც სამომავლოდ ზოგიერთი ფერმერისათვის იქნება მასტიმულირებელი ფაქტორი წარმოების გასაზრდელად [1, 2].

მიუხედავად დიდი პოტენციალისა, აგრარული სექტორის განვითარება საქართველოში შესამჩნევად არ ხდება, რომლის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი არ გახლავთ მხოლოდ თანხების უქონლობა. მიზეზი მრავალმხრივია და ყურადსაღები.

1. აგრარული მეცნიერებისა და ფერმერების ურთიერთკავშირი 2. ფერმერთა ინფორმაციული უზრუნველყოფა 3. ფერმერთა შორის ურთიერთკავშირი (გამოცდილების გაზიარება) 4.

ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება (ტრეინინგები, გადამზადება) 5.სტრატეგიის შემუშავება, მეურნეობის ეკონომიკური დაგეგმვა. მოტივაცია (მიზანდასახულობა) 7. იაფი აგრო-სესხები საშეღავათო პერიოდის გათვალისწინებით

პირველ რიგში, ფერმერი რომელსაც სურს აგროსფეროში მოღვაწეობა, უნდა გაეცნოს აგრარული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებსა და წარმატებულ ინოვაციურ პროექტებს, გაითვალისწინოს რაიონის დამახასიათებელი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები. დარგის სპეციალისტების დახმარებით შეარჩიოს რამოდენიმე კულტურა, რომლის წარმოებასაც სამომავლოდ გადაწყვეტს თავის მეურნეობაში (**სასურველია *თუ ფერმერი 3-4 კულტურაზე შეაჩერებს არჩევანს, რათაც გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს შეამცირებს მეურნეობის არა რენტაბელურობის რისკს***). შემდგომ უნდა გაეცნოს იმავე რაიონში მოღვაწე ფერმერებს, გაითვალისწინოს მათი მოსაზრებები, დაკვირვებები და შეხედულებები, მიღებული ინფორმაცია კარგად გადაამუშაოს. დიდი მნიშვნელობა აქვს შერჩეული კულტურების აგრობიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებას, ნიადაგის მომზადებას, თესვას, მავნებლებისა და დაავადებების შესწავლას. სასურველია დაესწროს იმ ტრეინინგებსა და გადამზადების სპეციალურ პროგრამებს სადაც აღნიშნულ საკითხებს სიღრმისეულად გაეცნობა კონკრეტულ კულტურათა მიმართებაში [3, 4, 5]. **სტრატეგიის შემუშავება** – ფერმერისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოპერაციაა, რადგან კარგი გეგმის მომზადებას რამდენიმე კვირა სჭირდება. თუ რა თქმა უნდა ფიზიკური პირი ახლა აპირებს აგრო სფეროში ფეხის მოკიდებას და მისი წინა საქმიანობა არ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან ან მისი წინა ბიზნესი მკვეთრად განსხვავდებოდა აღნიშნულ საქმიანობისგან, ეს არის პოზიცია რომელიც ბიზნესში „სტარტაფის" (სტარტუპ) სახელითაა ცნობილი და უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიღებული ინფორმაციის, იდეებისა თუ ვარაუდების ხელახალ შეჯერებასა და დამუშავებას, რაზეც საკმაოდ დიდი დრო იხარჯება. მაგრამ შემდგომ ეს არის პროცესის ღირებულება. მაშასადამე დრო უნდა დაუთმოთ საქმის სწორად შესრულებას, რადგან ის, ვინც ასე იქცევა, არასოდეს ნანობს. მეურნეობის ეკონომიკურ დაგეგმის პროცესში აუცილებელია ზუსტად შევაფასოთ აღნიშნული ხარჯები და შემდეგ დაგეგმოთ. რაც უფრო სიღრმისეულად მიუდგებით აღნიშნული პროექტის განხორციელებას მით მეტია შანსი რომ არ გამოგვეს რომელიმე მნიშვნელოვანი ხარჯი და რაც მოავარია მინიმუმამდე იქნება დაყვანილი შეცდომების რაოდენობა. თუმცა, აქვე მინდა ავღნიშნო რომ საუკეთესო პროექტების შემთხვევაშიც, ახალი ბიზნესის წამოწყებას მოსალოდნელზე მეტი ხარჯი ახლავს ხოლმე თან. მოულოდნელი ხარჯების თავიდან ასაცილებლად არსებობს ორი გზა: 1) მცირე თანხების დამატება თითოეულ მუხლს ბიუჯეტში (პადდინგ). თუმც, პრობლემის ასეთი მიდგომა ჩვენის მხრივ გაუმართლებლად მიმაჩნია. რადგან სტრატეგიული გეგმა რომელიც გულდასმით შევადგინეთ, ზუსტი აღარ არის. 2) თითოეულ პროცესს, ინვენტარს ან ხაზს ბიუჯეტში მიუმაღოთ ე. წ. გაუთვალისწინებელი ხარჯები, რათა მოულოდნელი ხარჯების ცალკე დაჯამება იყოს შესაძლებელი. თუ აღნიშნული შემოთავაზება გარკვეულ სირთულეს გიქმნით, მაშინ სასურველია გაუთვალისწინებელმა ხარჯებმა „სტარტაფის" (სტარტუპ) შემთხვევაში საერთო ბიუჯეტის 20 % შეადგინოს [3]. **მოტივაცია** – აგრობიზნესის წამოსაწყებად, აუცილებელია ფერმერი იყოს მიზანდასახული. გარემოს არახელსაყრელი პირობების დროს მოტივირებული, რადგან ხშირია შემთხვევა როდესაც ფერმერები პირველივე წელს დაგეგმილ მოგებით ვერ ამთავრებენ ან მოგება იმდენად მცირეა რომ თავს ანებებენ აღნიშნულ საქმიანობას, რაც ერთის მხრივ გაუმართლებელია. რადგან აგრობიზნესში მოტივაციასთან ერთად დიდ როლს თამაშობს ადამიანის ფსიქოლოგია და ნებისყოფა. თუ აღნიშნული სიძნელეები დაძლეული და დამუშავებული აქვს პიროვნებას მაშინ იგი აუცილებლად იპოვის პარტნიორს (კერძო ***პირი, ორგანიზაცია, ბანკი რომელიც აგრო სესხს გასცემს)*** თავისი გეგმების განსახორციელებლად [3].

ამრიგად, ჩვენი მიზანი იყო წარმოგვეჩინა სოფლის-მეურნეობის განვითარების ზოგიერთი თავისებურებანი. დღევანდელი პრობლემები რომელიც დგას აგროსფეროში მოღვაწე მეცნიერების წინაშე, მათი გადაჭრის ხერხები და მეთოდოლოგიური მიდგომები.

შენიშვნა: *ცხრილში მოყვანილი ციფრობრივი მონაცემები, მოწოდებულია სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის მიერ.*

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. კიკნაველიძე – აგრარული მეცნიერების პრობლემები. 37-ე ტ. „საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი" ISSN 1512-200X თბილისი, 2006 წ.

2. ნ. კიკნაველიძე სასუქებისა და თესვის ვადების გავლენა სამკურნალო გულყვითელას (calendula officinalis L.) მოსავლიანობაზე მცხეთისა და ზემო იმერეთის ზონებში. გამომცემლობა შ.ბ.ს. „დანი" ISBN 978-9941-0-11-41-2 თბილისი 2009 წ.

3. დ. ქემფბელი – ბიზნესი (არაბიზნესის *სპეციალობის სტუდენტებისათვის)* „ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია"ISB 99928-884-8-2 თბილისი 2006 წ.

4. ა. კორახაშვილი, ქ. მიქაია, ნ. მიქაია, მ, ჯყონია – საქართველოს ფერმერთა პროგრამული უზრუნველყოფა. „საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი" ISSN 1512-200X თბილისი, 2006 წ.

5. ს. ტეტებაია, ი. ქუცურა – დასავლეთ საქართველოს პირობებში ორი მოსავლის მიღების შესაძლებლობები. სსიპ საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, ISSN 1987-6599 თბილისი, 2008 წ.

ნიკოლოზ ჯიჯნაველიძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ი. ლომოურის სახ. მიწათმოქმედების ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი
მირანდა წეროძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ზოგიერთი ღონისძიებები

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული სოფლის მეურნეობის პრობლემების წარმოჩინება, მათი სწორად შეფასება და გაანალიზება, რათა უახლოს მომავალში აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები და ხელი შეუწყოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე ეკოსისტემებისა და ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

იმისათვის რომ, ქვეყანაში გაიზარდოს სამამულო პროდუქტების წარმოების ხვედრითი წილი აუცილებელია რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე დაიწყოს პროექტების სუფსიდირება ფერმერული მეურნეობების მოდერნიზაციის კუთხით, რაც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყანაში კომერციულად მომგებიანი ფერმერული მეურნეობების გაზრდას, მეორეს მხრივ სამამულო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების პროცესებს. მიუხედავად იმისა რომ საქართველოს გააჩნია საკმაოდ მაღალი პოტენციალი მემცენარეობის, მეცხოველეობისა და მეთევზეობის განვითარების ჩვენ ამ ეტაპზე შევისწავლეთ მემცენარეობაში (კერძოდ მებოსტნეობაში) არსებული პრობლემები და დავსახეთ მათი გადაჭრის გზები.

ისეთი მცირემიწიანი ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა, მემცენარეობის, მეცხოველეობისა და მეთევზეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან საქართველოში არსებული ეკოგარემოს მრავალფეროვნება ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. აქ არსებული რბილი კლიმატი, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, მზის ნათების ხანგრძლივობა, ნაყოფიერი ნიადაგები, რელიეფის ზონალური თავისებურება და ბუნებრივი წყალსატევები ყველა მიმართულების თანაბარად გეგმაზომიერად განვითარების საშუალებას იძლევა. მიუხედავად ამისა საქართველოში დღემდე სოფლის მეურნეობა ინერციით ქაოტურად ვითარდება და იმდენად ცოტაა იმ ფერმერთა რიცხვი რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებით ცდილობენ მოსავლიანობის გაზრდასა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას რომ ადგილობრივ ბაზარზე მათი წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი 10%-საც არ აღემატება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე პირველადი ბოსტნეული კულტურების ძირითადი ნაწილი რომლებიც საზოგადოების ყოველდღიური მოხმარების პროდუქტს შეადგენს იმპორტირებულ საქონელზე მოდის, რაც ფულის გადინებასა და ეროვნული ვალიუტის ინფლაციას ერთ-ერთი წინაპირობაა.

2009 წლის განმავლობაში საქართველოში იმპორტირებული პირველადი მოხმარების ბოსტნეული პროდუქტები

ცხრილი №1

საქონლის დასახელება	საქონლის კოდი 4	რაოდენობა დამატებით ერთეულებში	რაოდენობა კგ. ნეტო	საქონლის ღირებულება დოლარებში	იმპორტიორი ქვეყანა
კარტოფილი	701		17 637300	4 740694	იურქეთი, სომხეთი, ირანი, ნიდერლანდები, გერმანია, უზბეკეთი, ბელორუსია
პომიდორი	702		6 965721	6 334743	ნიდერლანდები, თურქეთი, სომხეთი, სირია
ხახვი	703		24 784096	6 119388	ნიდერლანდები, თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უკრაინა, ირანი
კიტრი	707		3 066100	2 686374	თურქეთი, ირანი, სირია, იორდანია

2009 წლის განმავლობაში საქართველოში ექსპორტირებული პირველადი მოხმარების ბოსტნეული პროდუქტები

ცხრილი №2

საქონლის დასახელება	საქონლის კოდი 4	რაოდენობა დამატებით ერთეულებში	რაოდენობა კგ. ნეტო	საქონლის ღირებულება ლარებში	იმპორტიორი ქვეყანა
კარტოფილი	0701		688 011	229 874,4	აზერბაიჯანი
პომიდორი	0702		52 800	120 500,0	ბელორუსია
ხახვი	0703		477 800	183 875,4	სომხეთი
კიტრი	0707		0	0	0

შენიშვნა: *ცხრილში მოყვანილი ციფრობრივი მონაცემები მოწოდებულია სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის მიერ.*

საქართველოში 2009 წლის მონაცემებით იმპორტით შემოვიდა პირველადი ბოსტნეული კულტურებიდან, კარტოფილი 17 637 300 კგ; პომიდორი 6 965 721 კგ; ხახვი 24 784 096 კგ; კიტრი 3 066 100,კგ; [იხილეთ ცხრილი №1], ხოლო საქართველოდან იმავე წელიწადს ექსპორტზე გავიდა კარტოფილი 688 011,კგ; პომიდორი 52 800 კგ; ხახვი 477 800 კგ; {იხილეთ ცხრილი №2]. ზემოთ აღნიშნული მონაცემების მიხედვით პირველადი ბოსტნეული კულტურებიდან 2009 წელს გექონდა კარტოფილის 16 949 ტონის (16 949 289 კგ.), პომიდორის 6 913 ტონის (6 912 921 კგ.), ხახვის 24 306 ტონის (24 306 296 კგ.), კიტრის 3 066 ტონის (3 066 100 კგ.) დეფიციტი.

წვეთოვანი საირიგაციო სისტემებისა და თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებების სწორად დანერგვის შემთხვევაში, ფართომასშტაბიან წარმოების პირობებშიც თავისუფლად შესაძლებელია მივიღოთ 1 ჰა-ზე უმაღლესი ხარისხის კარტოფილის საშუალოდ 30-40 ტონა მოსავალი, პომიდორის 50-60 ტონა , ხახვის 40-50 ტონა, კიტრის 45-55 ტონა გარანტირებული მოსავალი (აგროტექნიკური *ღონისძიებებისა სწორად წარმართვისა და აგროვადების ზუსტად დაცვის შემთხვევაში მიიღება 75% უმაღლესი ხარისხის მოსავალი, საშუალო და დაბალი ხარისხის პროდუქცია არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს*). მაშასადამე პირველადი ბოსტნეული კულტურების დეფიციტის აღმოსაფხვრელად დაგეჭირდება კარტოფილისათვის 424-565 ჰექტარით ნათესის, პომიდორით დაკავებული ფართობების 115-140 ჰექტარით, ხახვით დაკავებული ფართობების 486-608 ჰექტარით, ხოლო კიტრის ნათესი ფართობების 55-70 ჰექტარით გაზრდა და თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებებითა და შესაბამის ტექნიკით აღჭურვა. ამასთანავე გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტების დონეზე ამ კულტურებით ნათესი ფართობების სწორად გადანაწილება ნიადაგობრივ კლიმატური პირობებისა და ზონალურ რელიეფური მდგომარეობის გათვალისწინებით, რადგან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა ძირითადად დამოკიდებულია ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებზე.

იმისათვის რომ ქვეყანაში უახლოეს მომავალში აღმოიფხვრას პირველადი მოხმარების ბოსტნეული კულტურების დეფიციტი (კარტოფილი, ხახვი, კიტრი, პომიდორი), საჭიროა ქვეყნის მასშტაბით 1080 – 1400 ჰექტარი ფართობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აღჭურვა. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნული ფართობის წვეთოვანი საირიგაციო სისტემით აღჭურვა ქვეყნის მასშტაბით დაჯდება დაახლოვებით 5 346 000-დან 6 930 000-ლარამდე (3 240 000$ – 4 200 000 $), ხოლო ბოსტნეული კულტურების წარმოების ფასი 1 ჰა-ზე ვარეაბეჭურია და მერყეობს 8 000-დან თითქმის 11 000-ლარამდე კულტურების და მიხედვით. მიუხედავად იმისა რომ ამ კულტურების წარმოების ტექნოლოგიური რუკა განსხვავებულია მათ მოსაჟვანად გაწეული დანახარჯებში დიდი სხვაობით არ გამოირჩევა.

თუ ხახვისა და კარტოფილის წარმოებას ერთ ტექნოლოგიური პროცესად მივიჩნევთ, სათესლე მასალის დათესვიდან, მოსავლის აღების ჩათვლით, მაშინ პომიდერისა და კიტრის წარმოების ტექნოლოგიური პროცესები შესაძლოა დავყოთ ორ ტექნოლოგიურ დონედ: პირველ

ეტაპად მივიჩნიოთ ჩითილის გამოყვანის პროცესი, ხოლო მეორე ეტაპად ჩითილის გადარგვიდან მოსავლის აღებამდე მიმდინარე პროცესები, ეს მოგვცემს იმის საშუალებას რომ მაქსიმალურად დავაახლოვოთ მათი წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, თუმც მათი ერთმანეთთან გაიგივება თითქმის შეუძლებელია. მაშასადამე მათი დიფერენცირების შედეგად მივიღებთ ერთ დონიან და ორ დონიან წარმოების ტექნოლოგიურ რუკებს.

ერთდონიანი და ორდონიანი წარმოების ტექნოლოგიური რუკა წვეთოვანი საირიგაციო სისტემებით აღჭურვილ სამეურნეო ნაკვეთზე

ცხრილი №3

ერთდონიანი წარმოების ტექნოლოგიური რუკა				ორდონიანი წარმოების ტექნოლოგიური რუკა			
სასოფლო სამეურნეო კულტურები (დანახარჯები ლარებში)				სასოფლო სამეურნეო კულტურები (დანახარჯები ლარებში)			
№	მიმდინარე სამუშაოები	კარტოფილი	ხახვი	№	მიმდინარე სამუშაოები	პომიდორი	კიტრი
1	ნიადაგის მოხვნა	110 ლ.	110 ლ.	1.1	216-იანი კასეტები	960 ლ. 120 ც.	960 ლ. 120 ც.
2	სასუქი	150 ლ.	150 ლ.	1.2	შავი მიწა	100 ლ. 2 კუბი.	100 ლ. 2 კუბი
3	სასუქის შეტანა	20 ლ.	20 ლ.	1.3	დამწვარი ნაკელი	100 ლ. 2 კუბი.	100 ლ. 2 კუბი.
4	კულტივაცია	50 ლ.	50 ლ.	1.4	ძვიშა (ლაბი)	50 ლ. 2 კუბი.	50 ლ. 2 კუბი
5	ტოტალური ჰერბიციდი	80 ლ.	80 ლ.	1.5	ნიადაგის მიძსის მოგზადება	100 ლ. 4 კუბი	100 ლ. 4 კუბი
6	ჰერბიციდის შეტანა	15 ლ.	15 ლ.	1.6	გაცრა	50 ლ.	50 ლ.
7	ნიადაგის შრეზირება	0 ლ.	140 ლ.	1.7	კასეტებში ჩაყრა	30 ლ.	30 ლ.
8	თესვის წინა კულტივაცია	40 ლ.	40 ლ.	1.8	სათესლე მასალა	850 ლ.	700 ლ.
9	სათესლე მასალა	5 600 ლ. 2 800 კგ.	2600 ლ. 1500000ც.	1.9	კასეტებში თესვა	40 ლ.	40 ლ.
10	თესვა	120 ლ.	50 ლ.	1.10	სათბურის გათბობა 35 დღე	1 540 ლ. 100 კვ. [700 ლიტ]	1 540 ლ. 100 კვ. [700ლიტ]
11	წვეთოვანის მილი (ლენი)	1 680 ლ.	1680 ლ.	2.1	ნიადაგის მოხვნა	110 ლ.	110 ლ.
12	მილის გაშლა	20 ლ.	20 ლ.	2.2	სასუქი	150 ლ.	150 ლ.
13	თხევადი სასუქი (ბრისტალონი)	2 000 ლ. 400 კგ.	2000 ლ. 400 კგ.	2.3	სასუქის შეტანა ჩაძეთებით	20 ლ.	20 ლ.
14	ჰერბიციდი	50 ლ.	50 ლ.	2.4	ტოტალური ჰერბიციდი	80 ლ.	80 ლ.
15	კულტივაცია 2 ჯერ	80 ლ.	0 ლ.	2.5	ჰერბიციდის შეტანა	15 ლ.	15 ლ.
16	გამარგვლა, გათოხნა 3 ჯერ	0 ლ.	1050 ლ.	2.6	ნიადაგის შრეზირება	140 ლ.	140 ლ.
17	შუნგიციდი ინსექტიციდი	120 ლ.	275 ლ.	2.7	მულჩი	1000 ლ.	1000 ლ.
18	შესხურება	60 ლ.	100 ლ.	2.8	წვეთოვანის მილი (ლენი)	1 680 ლ.	1680 ლ.

19	მორწყვა (წყლის ბადასახადი)	100 ლ.	100 ლ.	2.9	ფულჩის დაბება, ლინის გაშლა	100 ლ.	100 ლ.
20	მოსავლის აღება	170 ლ.	170 ლ.	2.10	ჩითილის დარგვა	300 ლ.	300 ლ.
21	ჯამი	10 465 ლ.	8 700 ლ.	2.11	ფუნგიციდი ინსეკტიციდი	275 ლ.	275 ლ.
				2.12	$N_{20}P_{20}K_{20}$ კოსტალონის საუკი	2500 ლ. 500 კგ.	2500 ლ. 500 კგ.
				2.13	მორწყვა (წყლის ბადასახადი)	100 ლ.	100 ლ.
				2.14	მოსავლის აღება	350 ლ.	350 ლ.
				2.15	ჯამი	10 640 ლ.	10 390 ლ.

სუფსიდირებისათვის საჭირო ფულადი დანახარჯები
პირველადი ბოსტნეული კულტურების წარმოების გასაზრდელად

ცხრილი №4

საქონლის დასახელება	დანახარჯები 1 ჰექტარზე	წარმოების მინიმალური ზღვარი (ჰა.)	მთლიანი დანახარჯები 1000 ლარებში	წარმოების მაქსიმალური ზღვარი (ჰა.)	მთლიანი დანახარჯები 1000 ლარებში
კარტოფილი	10 465.0	424	4 437 160.0	565	5 912 725.0
პომიდორი	10 640.0	115	1 223 600.0	140	1 489 600.0
ხახვი	8 700.0	486	4 228 200.0	608	5 289 600.0
კიტრი	10 390.0	55	571 450.0	70	727 300.0
ჯამი	40 195.0 4 ჰა-ზე	1080	10 460 410.0	1383	13 419 225.0
გაუთვალისწინებელი ხარჯები 10%	4 019.5	—	1 046 041.0	—	1 341 922.5
მთლიანი ჯამი	44 214.5	1080	11 506 451.0	1383	14 761 147.5

პირველადი ბოსტნეული კულტურების ფართომასშტაბიანი წარმოებისათვის დაახლოვებით საჭიროა 11 506 451 ათასი ლარიდან 14 761 148 ათასი ლარამდე. პირველადი ბოსტნეული კულტურების მთლიანი დეფიციტის ჯამი შეადგენს 51 224 ტონას, კილოგრამებზე გადაანგარიშებით 51 244 000 ათას კილოგრამს. საშუალოდ მთლიანი პროდუქტის 1 კილოგრამის 0.50 ლარად რეალიზების შემთხვევაში მიიღებთ რეალიზებული პროდუქტიდან 25 622 000 ათას ლარს, ხოლო სუფთა მოგება პირველ წელიწადს 10 860 852 ათასი ლარიდან 14 115 549 ათასი ლარით განისაზღვრება. მოგების გაზრდა სრულიად შესაძლებელია მომდევნო წლებში, საპექტარო მოსავლიანობის გაზრდის შემთხვევაში, რომელიც მიიღწევა სწორი აგრომენეჯმენტის პირობებში. რაც შეეხება წვეთოვანი საირიგაციო სისტემის დანერგვისათვის საჭირო დანახარჯები უნდა განვიხილოთ როგორც ინვესტიცია და არ შეიძლება მივაკუთვნოთ პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ყოველწლიურ სამეურნეო ხარჯებს.

ამრიგად, ჩვენი მიზანი იყო წარმოგვეჩინა სოფლისმეურნეობის მდგრადი განვითარების ზოგიერთი საკითხები. დღევანდელი პრობლემები რომელიც დგას აგროსფეროში მოდგაწე მეცნიერების წინაშე, მათი გადაჭრის ხერხები და მეთოდოლოგიური მიდგომები. ჩვენი რეკომენდაციით, აუცილებელია ქვეყანაში დაიწყოს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე პროექტე-

ბის სუფსიდირება რაც ერთის მხრივ დააჩქარებს ფერმერული მეურნეობების მოდერნიზაციის პროცესებს, მეორეს მხრივ გაიზრდება სამამულო პროდუქციის წარმოების ხვედრითი წილი ადგილობრივ ბაზარზე, რაც დაასტაბილურებს მის ფასს და მისაწვდომს გახდის მომხმარებლებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. კიკნაველიძე – აგრარული მეცნიერების პრობლემები. 37-ე ტ. „საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი" ISSN 1512-200X თბილისი, 2006 წ.
2. ნ. კიკნაველიძე – სასუქებისა და თესვის ეადების გავლენა სამკურნალო გულყვითელას (ცალენდულა officinalis L.) მოსავლიანობაზე მცხეთისა და ზემო იმერეთის ზონებში. გამომცემლობა შ.პ.ს. „დანი" ISBN 978-9941-0-11-41-2 თბილისი 2009 წ.
3. დ. ქემფბელი – ბიზნესი (არაბიზნესის *სპეციალობის სტუდენტებისათვის)* „ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია"ISB 99928-884-8-2 თბილისი 2006 წ.
4. ა. კორახაშვილი, ქ. მიქავა, ნ. მიქავა, მ, ჭყონია – საქართველოს ფერმერთა პროგრამული უზრუნველყოფა. „საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი" ISSN 1512-200X თბილისი, 2006 წ.
5. ზ. ტყებუნავა. ი. ქუცურია – დასავლეთ საქართველოს პირობებში ორი მოსავლის მიღების შესაძლებლობები. სსიპ საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი ISSN 1987-6599 თბილისი, 2008 წ.
6. ნ. კიკნაველიძე. ნ. კვიკინაძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ზოგიერთი ღონისძიებანი. სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი (საერთაშორისო სემინარი) „აგრობიომრავალფეროვნების დაცვა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება" თბილისი 2010 – წ.

ნუნუ ქისტაური
ემკ, მეცნიერი თანამშრომელი
თსუ, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
მედეა მელაშვილი
ემკ, მეცნიერი თანამშრომელი
თსუ, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ინოვაციების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში

თანამედროვე მსოფლიო მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ ხასიათდება არა როგორც "ინდუსტრიული", არამედ უკვე როგორც "პოსტინდუსტრიული" ან "ინფორმაციულ-ინდუსტრიული". დღევანდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების თუნდაც ზედაპირული ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ XXI საუკუნეში საკუთარი ეკონომიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებას და წარმატებით განვითარებას ის ქვეყნები შეძლებენ, რომლებიც იყენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებზე დამყარებულ მოწინავე საინოვაციო და საწარმოო კაპიტალს.

სახელმწიფოები, რომლებიც ირჩევენ ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ მოდელს, ეფექტურად იყენებენ სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის ნაწილს და გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ინოვაციური საქმიანობისადმი. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ინოვაციური პროცესების აქტივიზაციაზე ეკონომიკის ყველა სფეროში, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ხელსაყრელი პირობების შექმნაზე საბაზრო მექანიზმების ეფექტიანი გამოყენებისათვის; ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე; სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის შესაბამისი უნარების შესწავლასა და ეფექტიან გამოყენებაზე და ა.შ.

მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები გონიერული ინოვაციური პოლიტიკის მეშვეობით, აღწევენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას,ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში იგი წარმოადგენს კონკურენციის უმნიშვნელოვანეს იარაღს. აუცილებელია სწორედ სახელმწიფომ შექმნას ინოვაციური სფეროს განვითარებისათვის საჭირო ხელსაყრელი გარემო: საგადასახადო, საკრედიტო, საპატენტო, საბირჟო, სალიცენზიო, ექსპორტის, იმპორტის და სხვა სფეროებში. პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა გამოყოს მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები ამ მიზნით, ხოლო შემდეგ – "სარისკო" ორგანიზაციებმა, საპენსიო ფონდებმა, ცალკეულმა პიროვნებებმა, სადაზღვეო კომპანიებმა და სხვ. მიზანშეწონილია ვენჩურული (სარისკო) ფირმების შექმნა და მომძლავრება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დაფინანსება ბიუჯეტიდან და სპეციალური ფონდებიდან. სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო სამართლებრივი ბაზა სარისკო ფირმების ფორმირება-განვითარებისათვის.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოწინავე ქვეყნებმა აღმავლობას სახელმწიფოს აქტიური ჩარევით მიღწიეს. მაგალითად, თავის დროზე აშშ-ში ტექნოლოგიური განვითარება გახდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საფუძველი და ამ სფეროში დაისახა და განხორციელდა შემდეგი ძირითადი მიზნები: შეიქმნა სამეწარმეო კლიმატი ინოვაციური საქმიანობის გაფართოებისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მოხდა სკსსს-ების (სამეცნიერო-კვლევითი საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) სტიმულირება ახალ ტექნოლოგიათა ბაზაზე, შეიქმნა საუკეთესო ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ინვესტიციები მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების მიზნით, ხელი შეეწყო მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსების ჩამოყალიბებას, რომლებიც მონაწილეობენ ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში და ა.შ. იაპონიაში მიმდინარეობს ინოვაციური პროგრამების სახელმწიფო მხარდაჭერა. საფრანგეთში ხორციელდება გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო პროგრამები. რუსეთში ჩამოყალიბდა ინოვაციური სტრუქტურები (საწარმოო, ანალიტიკური, კონსალტინგური), შეიქმნა სარისკო ფირმები, დაწესდა შეღავათები (საგადასახადო) ინოვაციებზე, განხორციელდა ინოვაცი-

ური პროექტების საკონკურსო წესით დაფინანსება, შეიქმნა ინოვაციური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის იაპონური მოდელი გვთავაზობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას ტექნოპოლისების სახით, რომლებიც შეესაბამებიან სკსსს და სამეცნიერო წარმოებას. იაპონიაში ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირება ხასიათდება სკსსს-ის ინდიკატური დაგეგმვით, მაღალი საიმპორტო საბაჟო ტარიფით, სკსსს-ის დაფინანსებაში საგადასახადო და საკრედიტო შეღავათებით, ასევე ახალი სამეცნიერო საქონლის მოძრაობისას პროტექციონისტული პოლიტიკით. ინოვაციური საქმიანობის აქტიურობის შედეგებით იაპონია პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში. იაპონური კომპანიები მნიშვნელოვნად თელიან საქონელს, რომლებიც დამზადებულია მოწინავე ტექნოლოგიების შედეგად.

ამჟამად მეცნიერებატევადი პროდუქციის 80-90%-ზე მეტს მაღალგანვითარებული ქვეყნები აწარმოებენ. ბოლო წლების მონაცემებით, მაგალითად, მთლიან შიდა პროდუქტში სკსსს-თა ხარჯების წილის მიხედვით პირველ ადგილზეა იაპონია – 2.9%, შემდეგ აშშ – 2.8%, გერმანია – 2.7%, საფრანგეთი – 2.4%. უკანასკნელ პერიოდში ამ მაჩვენებლის მიხედვით, ზოგიერთი ახალინდუსტრიული ქვეყანა (ჩინეთი, ჰონ-კონგი,სინგაპური, ტაივანი) მოწინავე ქვეყნების მაჩვენებელს მიუახლოვდა და საშუალოდ 2.7%-ის ტოლია. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქვეყნებმა განვითარების მაღალ დონეს სწორედ მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარებით მიაღწიეს და ეს განხორციელდა სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკის გამოყენებით.

მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წილი მთლიანად ექსპორტის მაჩვენებელში უდრის: აშშ-ში – 32%-ს, დიდ ბრიტანეთში – 31%-ს, იაპონიაში – 26%-ს, საფრანგეთში – 23%-ს. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მეცნიერებატევადი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ყოველწლიური მოგება კოლოსალურია: აშშ-ში – 700 მლრდ, გერმანიაში – 530 მლრდ, იაპონიაში – 420 მლრდ აშშ დოლარი.

ამჟამად საქართველოში ძირითადად ხდება ან ტექნიკა-ტექნოლოგიების უცვლელად გადმოტანა საზღვარგარეთიდან ან იქ უკვე აპრობირებული სამეცნიერო პროდუქციის წარმოება ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალით. ჩვენმა ქვეყანამ ორიენტაცია უნდა აიღოს ინოვაციების შექმნასა და გამოყენებაზე.მას ამისათვის საკმარისი ინტელექტუალური პოტენციალი გააჩნია.

ჩვენი ქვეყნის მთავარი სიმდიდრე ინტელექტუალური პოტენციალია, რომლის გამოყენებისაკენ მიმართულ ღონისძიებაოა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ინოვაციური საქმიანობის სწრაფი ტემპებით განვითარებას და ინტელექტუალური ეკონომიკის ჩამოყალიბებას უკავია.

ინტელექტუალური საკუთრება საკუთრების თავისებური სახეობაა, რაც გამოხატავს საკუთრების უფლებას ინტელექტუალურ პროდუქციაზე (მაგ., გამოგონება) ნებისმიერ სფეროში.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმი გულისხმობს ინოვაციებისადმი მხარდაჭერის ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი მეთოდებისა და საშუალებების სისტემის არსებობას.

საბჭოურ პერიოდში ინტელექტუალური საქმიანობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან შედეგზე საკუთრების უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ჰქონდა (მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალური პროდუქტის მესაკუთრეებად (ავტორებად) სწორედ ინდივიდები (კერძო პირები) გეველინებიან). ხვედრითი წილის მიხედვით, კერძო ინტელექტუალურ საკუთრებას პირველი ადგილი უჭირავს, მეორე ადგილზე გამოდის ავტორთა კოლექტივის ერთობლიეი გონებრივი შრომის ნაყოფი (კოლექტიური ინტელექტუალური საკუთრება), ყველაზე ნაკლები ხვედრითი წილით ხასიათდება სახელმწიფო ინტელექტუალური საკუთრება, რამდენადაც საკუთრების ასეთი ფორმის ობიექტები (მაგალითად, საბრძოლო ოპერაციებთან დაკავშირებული ინოვაციები და სხვ.) შედარებით მოკრძალებული ოდენობით იწარმოება.

საქართველოში ინოვაციურ საქმიანობას ძირითადად ახორციელებდა სახელმწიფო, უმაღლესი განათლების სფეროს, სამეწარმეო და კერძო არაკომერციული ორგანიზაციები. ბოლო წლების მონაცემებით სამეცნიერო-კვლევეთი სამუშაოებს ასრულებდა 129 ორგანიზაცია, მათგან მცირე ფირმების წილი შეადგენდა 3%-ს. დღეისათვის მათი რიცხვი საკმაოდ შემცირებულია, ვინაიდან როგორც სახელმწიფოს, ასევე მეწარმეებს, რომელთაც შეეძლოთ ინოვაციური მეწარმეობის განვითარება, არ გააჩნიათ თავისუფალი ფულადი სახსრები ახალი სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების ჩასატარებლად და დასაფინანსებლად.

ინოვაციური საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 3 აპრილის 150 ბრძანებულებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, შეიქმნა საქართველოს ინოვაციური ეროვნული სამსახური „საქინოვაცია" და დამტკიცდა მისი დებულება, შემუშავდა „საქართველოს ინოვაციური პოლიტიკის კონცეფციის" პროექტი. მაგრამმალევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ სტრუქტურის ლიკვიდაციის შესახებ. ამით სახელმწიფო კვლავ ინოვაციური პოლიტიკის და მისი გამტარებელი სტრუქტურის გარეშე დარჩა.

საქართველოში მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მოლიანი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობაში ბოლო წლებში 0.3%-ს შეადგენდა. რაც 8.3-ჯერ ჩამორჩება მსოფლიოს შესაბამის საშუალო მაჩვენებელს (16.6-ჯერ ისრაელის, 15.3-ჯერ შვედეთის, 11.3-ჯერ ფინეთის, 10,3-ჯერ იაპონიის, 10-ჯერ ისლანდიისა და სამხრეთ კორეის, 9.3-ჯერ აშშ-ს, 8.6-ჯერ შვეიცარიის, და 8.3-ჯერ გერმანიის შესაბამის მაჩვენებელს).

მეცნიერულ-კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე გაწეული დანახარჯები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, საქართველოში ბოლო წლებში 1.5 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც აშშ-ს შესაბამის მაჩვენებელს 460-ჯერ ჩამორჩებოდა, იაპონიისას - 390.6-ჯერ, გერმანიისას - 289.3-ჯერ, საფრანგეთისას - 288,6-ჯერ, დიდი ბრიტანეთისას - 233.3-ჯერ. გარდა ამისა, საქართველოში მეცნიერების სფეროში მთელ რიგ განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით, გაცილებით ნაკლები ადამიანია დასაქმებული, ერთ მილიონ კაცზე გაანგარიშებით, საშუალოდ ეს მაჩვენებელი, უკანასკნელი წლების მონაცემებით, 2421 კაცს შეადგენს, მაშინ, როდესაც ფინეთში - 7110, ისლანდიაში - 6639, იაპონიაში - 5321, შვედეთში -5186, ნორვეგიაში - 4377, აშშ-ში - 4099, სინგაპურში - 4052, შეეიცარიაში - 3592, რუსეთში - 3494, დანიაში - 3476 და ა.შ.

საქართველოში ინოვაციური საქმიანობის განვითარებას ხელს უშლის ინოვაციური ინფრასტრუქტურის - ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, სასწავლო-საქმიანი ცენტრები, სალიზინგო კომპანიები, კონსალტინგური და ინჟინირინგული საწარმოები და სხვა - განვითარების უაღრესად დაბალი დონე. არასრულყოფილი, დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზა, ვენჩურული ფონდებისა და ინოვაციური საქმიანობის რისკების დაზღვევის სისტემის არარსებობა, ინოვაციური მეწარმეობის ხელშემწყობი სტარიფო პოლიტიკის გაუტარებლობა და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია ინოვაციური საქმიანობის განეითარებაში სათანადო წარმატებათა მიღწევა.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის აღიარებამ და ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესმა დღის წესრიგში დააყენა ეროვნული საპატენტო უწყების შექმნის აუცილებლობა.1992 წლის 16 მარტს საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა დებულებები გამოგონების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ.ამავეწლის მაისიდან დაიწყო ფუნქციონირება საქართველოს საპატენტო უწყებამ „საქპატენტმა".

ინოვაციური სფეროს განვითარება უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი.ფაქტია, რომ პოსტკომუნისტურ პერიოდში ქართული მეცნიერება სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. კატასტროფულადაა შემცირებული მოთხოვნა მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებებზე, მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო შრომაზე; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მკვეთრად ჩამორჩება მსოფლიო დონეს (ბოლო წლებში მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა 1.5-ჯერ შემცირდა, მიმდინარე მეცნიერულ-ტექნოლოგიური სამუშაოები 10-ჯერაა შემცირებული; თითქმის 20%-ით შემცირდა სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა). მიუხედავად ამისა, არსებული მდგომარეობის გამოსწორების შანსი ჯერ კიდევ არსებობს. საქართველოში მეცნიერება ჯერ კიდევ აგრძელებს განვითარებას. აქ ჯერ კიდევაა შენარჩუნებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. დღეს ჩვენს ქვეყანას, განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნისაგან, სადაც მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შექმნა (მაგალითად, ე.წ. ახალინდუსტრიული ქვეყნები: ჩინეთი, ჰონ-კონგი, სინგაპური, ტაივანი), ესაჭიროება აღნიშნულის არა ჩამოყალიბება, არამედ არსებულის განვითარება და ამისათვის სახელმწიფოს დიდი მხარდაჭერა. საქართველოში არსებული ინტელექტუალური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი მყარი საფუძველია ციენლიზებული თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სიახ-

ლეთა ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. საქართველომ უნდა გაიზიაროს სხვა ქვეყნების პრაქტიკაში არსებული გამოცდილება. მან ორიენტაცია უნდა აიღოს მეცნიერებატევად პროდუქციაზე, განახორციელოს საპატენტო და სალიცენზიო პროგრამები. ამ მხრივ სამაგალითოა იაპონია, სადაც მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარება დაიწყო და განხორციელდა ევროპიდან და ამერიკიდან პატენტებისა და ლიცენზიების შეძენის გზით. არსებული მდგომარეობის ღრმა მეცნიერული ანალიზის შემდეგ, იქ მოხდა ახალი და ძველი ტრადიციული დარგების უნივერსალური სინთეზი, რამაც წარმოშვა სრულიად ახალი მაღალტექნოლოგიური დარგები. სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური ტრანსფორმაციის საერთო ეროვნული პროგრამა. მთავრობამ აუცილებლად უნდა იზრუნოს მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალზე, ხელი უნდა შეუწყოს ნიჭიერ და უნარიან ადამიანებს, მოახერხოს მათი სტიმულირება. ამ აზრით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში სახელმწიფო ინოვაციური ფონდის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერულ-ტექნიკური, ინოვაციური პროცესების განვითარებას, რისკიანი პროექტების დაფინანსებას და ა.შ. ეს ფონდი შეიძლება დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებთან ერთად სამინისტროების, ბანკების, საწარმოების, ფირმების, საერთაშორისო ორგანიზაციების და კომპანიების შენატანებით, ასევე გრანტებით და ა.შ.

სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს იმას, რომ კაპიტალის მფლობელმა სექტორმა ინვესტიციები ჩადოს ინოვაციური სფეროს განვითარებაში, ვინაიდან ინვესტიციები ინოვაციებში – ეს მომავლის ინვესტიციებია. ეს ის ინვესტიციებია, რომლებიც შედეგს მოგვცემს ერთი, ორი, იქნებ ათი წლის შემდეგ ან კიდევ უფრო გვიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიღებული შედეგი მრავალჯერ გადაწონის მასზე გაწეულ დანახარჯებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბილისი: "მერიდიან", 2006.
2. ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში. გაეროს გამოცემა, თბილისი: 2004.
3. ბაუჩაძე ბ. "მეცნიერულ-ტექნოლოგიური ინოვაციების როლი საქართველოს ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესში". ჟ."ბიზნესი და მენეჯმენტი". 2009. №1. გვ. 46-51.
4. ქისტაური ნ. მელაშვილი მ. ინოვაციური განვითარების აუცილებლობა საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009
5. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა თბილისი: "სიახლე", 2008

თათია გუგუტიშვილი,
ნინო ტრამაკიძე
სსიპ – გორის უნივერსიტეტი, ბიზნესის ორგანიზაციისა და
მართვის სპეციალობის III კურსის სტუდენტები

სოფლის მეურნეობა და ტყის ეკოლოგიური პრობლემები

ბიბლიის მიხედვით, ტყე ღმერთმა მესამე დღეს შექმნა და ყოველი უნაყოფო ხის ძირას ცული მიაყუდა. აქედან მოყოლებული. ადამიანი ტყეს უყურებდა, როგორც მერქნის მოხმარების წყაროს. თანდათანობით მოსახლეობის ზრდასა და ტექნიკურ პროგრესთან ერთად, ტყეზე მოთხოვნილებაც გაიზარდა და დღეს ტყე უკვე დიდი ხანია ეველარ ასრულებს მასზე დაკისრებულ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ფუნქციებს. გამომდინარე აქედან, ტყის მოხმარების განუწყვეტელი ზრდისა და შესაბამისად, ეკოლოგიური გარემოს ბალანსის დარღვევის გამო, სატყეო მეცნიერება წინა პლანზე აყენებს „ტყიდან უწყვეტი, თანაბარი სარგებლობის" პრინციპის განხორციელებას. ტყეებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება კიდევ უფრო მწვავედ გამოიკვეთა ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში, როცა იგი დადგა პირისპირ თავისი საკუთარი ტყის რესურსების წინაშე. ნაცელად იმისა, რომ ეზრუნათ, ტყეში მეურნეობის წარმოების დონე დაიყვანეს „ჭრასა და გაყიდვამდე," ამოქმედდა ტყეში მეურნეობის წარმოების პრიმიტიული პრინციპი „რასაც მინდა იმას ვჭრი," სადაც მინდა იქაც ვჭრი, რითაც მინდა იმით ვჭრი" და ხე-ტყე არა მარტო საწვავ შეშად იჭრებოდა, არამედ უმოწყალოდ იზიდებოდა საზღვარგარეთაც, რამაც საეალალო შედეგი გამოიღო, თვალნათლივ დაირღვა გარემოს ეკოლოგიური ბალანსი, გამოიწვია: წყალდიდობები, მეწყერები და სხვა. რომ არა ამ ბოლო პერიოდში გატარებული ღონისძიებები, ძნელი წარმოსადეგენი არ არის რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საქართველოს ტყეები, თუმცა გასაკვირველი, ჯერ კიდევ ბევრია. ასეთ ვითარებაში სატყეო მეცნიერებისა და პრაქტიკის გადაუდებელი ამოცანაა-ტყეების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე დაინერგოს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ტექნიკური და ტექნოლოგიური გამოცდილებები.

ტყე და მეცნიერული საფარი უზრუნველყოფენ ტენის დაგროვებას სათესი მინდვრის კულტურებისათვის, არეგულირებენ წყლის ჩამონადენს, აუმჯობესებენ მიკროკლიმატს. ხელს უწყობენ ფრინველების, ცხოველების და სხვა ცოცხალი ორგანიზმების ნორმალურ არსებობას. იმასთან დაკავშირებით, რომ ბუნებრივი პირობები ყველგან ერთნაირი არ არის, ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული ადგილის პირობები და ასე განავითაროთ სატყეო ან სხვა სახის მეურნეობა.

დედამიწაზე ადამიანის გაჩენის მომენტიდან მისი გავლენა ბუნებაზე, შედარებით უმნიშვნელო იყო და იცელებოდა საზოგადოებრივი ფორმაციების განვითარების შესაბამისად და მაქსიმუმს მიაღწია XX საუკუნის II ნახევრიდან. ამჟამად ჩვენს პლანეტაზე ძნელია ვიპოვოთ რომელიმე თანასაზოგადოება, რომელსაც არ განეცადოს პრაქტიკულად ადამიანის ესა თუ ის ზემოქმედება. უნდა განვსაზღვროთ ბუნებაზე ადამიანის გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი ზემოქმედება.

გათვალისწინებული ზემოქმედებაა ტყის გონიერული ჭრა დასაშვები ნორმის ფარგლებში, მათ ნაცვლად ახალი ნერგების გამორგვა, ახალი ტყეების და ქარსაფარების გაშენება, ამა თუ იმ სახის ახალი ჯიშების გაუმჯობესება და სხვა. წარსულში ტყე ადამიანისათვის წარმოადგენდა შეშის მიღების ერთ-ერთ ძირითად წყაროს, რომელიც წვის შედეგად იძლევა სათბობს. შემდგომში ადამიანმა დამოკიდებულება ტყეზე თანდათანობით შეცვალა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის გარდაქმნასთან დაკავშირებით ხის მასალა გადახდა ძირითადი შემადგენელი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღების დამზადებისა და გამოყენებისათვის. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ კიდევ უფრო გაზარდა ხის მასალის როლი, მისი გამოყენების სფერო გაფართოვდა, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში, რკინიგზის ტრანსპორტში, ქვანახშირის წარმოებაში და სხვა. ერთი სიტყვით ხის მასალის გამოყენებამ დღეს ისეთ დონეს მიაღწია, რომელიც წარსულში ადამიანს აზრადაც არ შეიძლება მოსელოდა.

ტყის მნიშვნელობა მარტო ზემოთ აღნიშნულით არ შემოიფარგლება, იგი განუზომლად დიდია. მაგალითად, ტყის როლი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაში უმეტესწილად აღემატება იმ სარგებლობას, რომელსაც ადამიანი ხის მასალის ხარჯზე იღებს. შიუი დისინი წერს, რომ თუ ყველა სარგებლობას, რომელიც მოაქვს ტყეს ადამიანისათვის, მივიღებთ ერთ ერთეულად, მაშინ მისი ნაწილი მოდის ხის მასალაზე. ხოლო გარემომცველი გარემოს დაცვაზე, კლიმატის რეგულირებაზე და ნიადაგში ტენის დაგროვებაზე – 3/4. ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყნის ამა თუ იმ წარმოებისათვის ყოველწლიურად საჭიროა დიდი რაოდენობით ხის მასალა. ამიტომ გარდაუვალი პროცესია ტყის მოჭრა. მაგრამ ტყეში ხეები ისე უნდა იჭრებოდეს, რომ მისი განახლება ხდებოდეს ახალი ნერგების შეესებით. ეს აუცილებელი პირობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალში წარმოება ვერ იქნება უზრუნველყოფილი ხის მასალით.

დიდია ტყის როლი ეკოლოგიურ სისტემაში. ტყე ეკიოლოგიური სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. იგი ახდენს მზის ენერგიის აკუმულაციას, ხელს უწყობს ბიოსფეროში ნივთიერებათა წრებრუნვას, რითაც ამდიდრებს და აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, ახდენს მიკროკლიმატის ფორმირებას. გარდა ამისა, ტყე აგროვებს ნიადაგში ტენს, დიდხანს ინარჩუნებს თოვლის საფარს, რომელიც წარმოადგენს წყლის მარაგს, ამაგრებს ნიადაგს, სილას, რომლებზეც შეიძლება გაელენა იქონიოს ეროზიამ, დიდი როლი აქვს კლიმატის რეგულირებაში, ასევე შეუძლია მნიშვნელოვნად შეასუსტოს ძლიერი ქარების, გვალვების და წყალდიდობის მოქმედება.

ტყეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებთან ერთად გააჩნია ფართო მაშტაბით ფოტოსინთეზის უნარი, რომლის შედეგად ქმნის დიდი რაოდენობით ბიომასას, ამ პროცესის დროს შთანთქავს ნახშირორჟანგს და გამოყოფს ჟანგბადს, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ადამიანებისათვის და საერთოდ ცოცხალი არსებებისათვის. ტყის გარეშე დღევანდელი ცივილიზირებული მსოფლიოს შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია, რადგან იგი ჰაერს ასუფთავებს და ამცირებს გაჭუჭყიანებას. ყოველივე ამით ხელს უწყობს ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლის გახანგრძლივებას.

კვლევარების მიერ დადგენილია, რომ ტყეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მზის ინსოლაციაზე, წყლის ბალანსზე და კერძოდ მთელი დედამიწის კლიმატის ცვლილებაზე. ტყე შთანთქავს რა ტენს და ხელახლა უბრუნებს მას ატმოსფეროს ნალექების შემდგომი ფორმირებისათვის. ტყის როლი მიწათმოქმედებაში განუსაზღვრელია, მიწათმოქმედება რომ ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველია, ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ამიტომ მისი შემდგომი განუხრელად, განვითარება უნდა წარმიართოს კომპლექსურად. ცხადია მიწათმოქმედებასთან პირდაპირ კავშირშია წყლის ფაქტორი, რომელსაც ძირითადად ნიადაგში აგროვებს და ინარჩუნებს ტყე. რადგან ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე, დადგენილია, რომ ატმოსფერული ნალექების მეტი რაოდენობა მოდის, ვიდრე იმ ადგილებში, სადაც არა არის ტყეები. იმ ტერიტორიაზე, რომელიც ტყეს, მოდის 31%-ით მეტი ნალექი, ვიდრე უტყეო რაიონში. უხვი ატმოსფერული ნალექებისას ტყე ავლენს ჰაეის მარეგულირებელ ფუნქციას. თავსხმა წვიმების შემდეგ წყლის ნაკადი ველზე 23,8-ჯერ მეტია, ვიდრე ტყეში, ხოლო ნიადაგის გადარეცხვა იმავე ფართობზე, ტყესთან შედარებით გაცილებით უფრო მეტია.

ტყის მიერ ტენის გაცელის რეგულირება გამოიხატება იმაში, რომ იგი თავის გარჯით 30%-მდე აკავებს მოსულ ნალექს, 10%-მდე ითვისებს ტოტები და ფოთლები, რომლებიც განლაგებულია ხეების ქვემოთ, დანარჩენი 50-80%-მდე ჩაიჟონება ნიადაგში, რომელიც ამარაგებს ნიადაგის წყლებს, ხოლო ზედაპირის ჩამდინარე წყლები არ აღემატება 1-25-ს. მაშასადამე ტყე მნიშვნელოვნად ამცირებს ეროზიას და ზარალს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს თავსხმა წვიმებმა, იგი ზრდის ჰაერის ტენიანობას ტრანსპირაციის ხარჯზე. როგორც აღინიშნა, ტყე ზედმიწევნით მნიშვნელოვან როლს ასრულებს წყლის დაგროვებაში. მაგალითად, წყლის რაოდენობა, რომელსაც იჭერს 3 ათას ჰექტარზე მეტი ტყის ფართობი, შეიძლება შეუდაროთ 100 კვადრატული მეტრ მოცულობის წყალსაცავს, ეს ამტკიცებს იმას, რომ მსგავსად ამ უკანასკნელისა, ტყეს შეუძლია დააგროვოს წყლის გარკვეული რაოდენობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამა თუ იმ მეურნეობაში და მათ შორის მიწათმოქმედებაში.

ტყის როლი მეცხოველეობაში საკმაოდ დიდია. მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საფუძველია საძოვარი ველები. თუ არ არის ეს უკანასკნელი და წყლის წყაროები, შეუძლებე-

ლია მეცხოველეობის არსებობა. ამიტომ საძოვრების დაცვა, მასზე ზრუნვა წარმოადგენს ამ დარგის უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გვაზავა ლ. ხეტეის დამზადება. თბილისი 2007
2. ბუბავა ე. მელაძე ე. მცენარეთა ეკოლოგია. თბილისი 2003
3. ბუბავა ე. ბოტანიკა I ნაწილი. თბილისი 2005
4. ჯაფარიძე თ. მეტყეველობა. თბილისი 2003

გიული გიგუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
გორის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თამარ ბედოშვილი,
ქეთევან ფაცინაშვილი
ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სწავლების
მეორე წლის სტუდენტები

სოფლის მეურნეობის სტრატეგიული საექსპორტო პროდუქტები საქართველოში

საქართველო უძველესი სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაა. ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მთავარი ხერხემალი ოდითგანვე აგრარული მეურნეობა იყო, მეურნე კაცი კი - ჩვენი ეროვნული სიძლიერის სიმბოლო.

საქართველოში სოფლის მეურნეობის უპირატესობას სხვა ფაქტორებთან ერთად ისიც განაპირობებდა, რომ ეს დარგი ყოველთვის უკავშირდებოდა მეურნის სულიერ სამყაროს. რამდენადაც ახლოს იყო იგი ზნეობითა და ცხოვრების წესით უფალთან, იმდენად წარმატებული იყო მისი საქმიანობა. მიწათმოქმედება არა უბრალოდ სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურება იყო. იყო დრო, როცა გლეხი კაცი ვაზს "სიცოცხლის ხეს,, უწოდებდა და როგორც უძვირფასეს საუნჯეს, ისე უფრთხილდებოდა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, გარდა ბუნებრივი პირობებისა, გარკვეულ გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები, რაც განსაზღვრავს სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და მასთან დაკავშირებით წარმოების სპეციალიზაციისა და გადაადგილების ხასიათს. ამჟამად, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მწარმოებლის ნაცვლად ასრულებს მომხმარებლის ფუნქციას. არსებულ რეზერვებთან შედარებით მინიმუმამდეა დასული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების რაოდენობისა და ხარისხიანობის მაჩვენებელი. არ მიმდინარეობს შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობების აღჭურვისათვის რაიმე რადიკალური ღონისძიებების განხორციელება.

დამოუკიდებელი საქართველოს ძლიერების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია აგრარული პოლიტიკის გონივრული გაძღოლა, რომელიც ეფუძნება სოფლის მოსახლეობის თანამედროვე მოწყობის სოციალურ სტრუქტურას. შიდა და გარე პოლიტიკურმა მოვლენებმა და სუბიექტურმა თუ ობიექტურმა ფაქტორებმა ჩიხში მოაქცია ქვეყნის მარჩენალი – სოფელი. მდიდარი სამეურნეო ტრადიციების მქონე, ოდესღაც პროდუქციის მწარმოებელი გლეხობის ძირითადი ნაწილი ბოლო პერიოდში მომხმარებლის როლში აღმოჩნდა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისას აუცილებელია გაითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის გაძღოლის ტრადიციები. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ- ეკონომიკური რეფორმების პარალელურად აუცილებელია ეფექტიანი აგრარული ურთიერთობების ჩამოყალიბება, საჭიროა ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვით საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობის მეცნიერულ დონეზე შესწავლა, ტრადიციებისა და ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე, კარგი იქნება სადღეისოდ მივიწყებული სოფლის მეურნეობის დარგების აღდგენა. ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიგვაჩნია მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების აღდგენის ხელშეწყობა. დღესდღეობით ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ერთმანეთისაგან მკვეთრადაა გამიჯნული. იმისათვის რომ ქვეყანაში განვითარდეს სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოება და არ ვიყოთ დამოკიდებული მხოლოდ გარე ბაზრებზე, მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობასთან მჭიდრო კულტურული და სოციალურ – ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება.

სოფლის მეურნეობაში სხვა დარგებთან შედარებით, დიდი შუალედია საწარმოო პროცესსა და საბოლოო შედეგს შორის. ეს განაპირობებს წარმოების ციკლის ხანგრძლივობას, ეფექ-

რობთ ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას. გარდა ამისა, მიზანშეწონილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური განლაგება, მისი სწორი სპეციალიზაცია და სხვადასხვა დარგების ოპტიმალური შეთავსება. საქართველოში სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია რეზერვების გამოვლენა და მათი ჩაყენება ხალხის სამსახურში.

საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო თვითუზრუნველყოფისათვის. ამასთან ის გამოირჩევა იმითაც, რომ აქ ადამიანის კვებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა და საკმარისი რეზერვია. მეურნეობის სწორად გაძღოლის შემთხვევაში საქართველოს შეუძლია გამოკვებოს ქვეყანაში დღეს არსებული მოსახლეობა, ასევე 10 - 12 მილიონი ადამიანი. ეს ნიშნავს, რომ რაციონალური აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შეგვიძლია თავად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა საჭირო პროდუქციით. აღსანიშნაია ისიც, რომ ქართული პროდუქცია, მცირე გამონაკლისის გარდა, არაკონკურენტუნარიანია როგორც შიგა, ისე, გარე ბაზარზე. საქმე იმაშია, რომ ქართველ აგრომეწარმეს დაკარგული აქვს სურსათის წარმოების ეკონომიკური სტიმული.

შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრობლემათა გადაწყვეტა მოხერხდება კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავების და განხორციელების გზით.

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებსა და აღგენს უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობებს ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. მდგრადი რეგიონული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კადრების ეფექტიანი მართვა და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა. ეფექტიანი რეგიონული მართვისათვის მნიშვნელოვანია ელექტრონული მმართველობის სისტემის დანერგვა, რომელიც უსრუნველყოფს მთავრობასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მრავალგვარი ფორმის რეალიზაციას. ელექტრონული მმართველობის საინფორმაციო ბაზები მოქალაქეებს, ბიზნესწრეებს საშუალებას აძლევს ეფექტიანად გამოიყენონ ინფორმაციული რესურსები.

სოფლის მეურნეობა ისტორიულად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მისი დიდი როლი იმითაც გამოიხატება, რომ მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 25% - ია. ამ სფეროში დასაქმებულია ერომილიონზე მეტი კაცი, ანუ ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 48.5%, რაც, სამწუხაროდ ჩამორჩენილი ქვეყნების მახასიათებელია. ამ სფეროში დასაქმებული ერთი მუშაკი 2 – 3 ადამიანს კვებავს, მაშინ, როცა დანიაში - 170 კაცს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა სტრუქტურის ჩამოყალიბებამ, ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნამ (ფერმერული მეურნეობები), სასოფლო - სამეურნეო წარმოების კერძო სექტორში გადანაწილებამ და თავისუფალი ვაჭრობის პირობებში სამომხმარებლო ბაზრის ახლებურად წარმოჩენამ, დარგი აუცილებელი რეფორმების წინაშე დააყენა. აგრარული რეფორმების მიმდინარეობას ხელი შეუწყო საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონებმა „მეწარმეთა შესახებ", „სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შესახებ" და ა.შ. ამასთანავე განხორციელდა სასოფლო - სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმატებული სასოფლო - სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია აგრომარკეტინგის ღრმად შესწავლა, გაანალიზება და შესაბამისად გამოყენება. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მეღვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. მიზანშეწონილია სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ზუსტი აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორილებული ფართობების ინვენტარიზაცია. ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა, სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების ხელშეწყობა, მანქანა-ტრაქტორების სადგურების

შექმნა და/ან შეღავათიანი პირობებით დაკრედიტება. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომლთა კოორდინაცია უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამწარმეო ინიციატივების ინვესტირების წახალისება. საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე ორიენტირებული და სხვა სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც აღგილობრივი საკადრო და სამეწარმეო რესურსების გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიზნად ისახავს ისეთი საექსპორტო პროდუქციის წარმოებას რომელზეც დიდი მოთხოვნაა და მისი პოტენციალი საქართველოში არსებობს. ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის ღვინის, თხილისა და ციტრუსის გვერდით განიხილება ზეთისხილის, ნუშის, ბროწეულის, კივის და სხვა პროდუქტების პლანტაციების გაშენება. ამ მხრივ. ერთ – ერთ ხელსაყრელ რეგიონს წარმოადგენს კახეთი. წელს პირველად გაშენდა ზეთისხილისა და ბროწეულის პლანტაციები ყვარლის, სიღნაღის და საგარეჯოს რაიონებში.

2011 წლის ბოლომდე იგეგმება საქართველოში 500 ჰექტარზე ზეთისხილის პლანტაციების გაშენება. სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, ზეთისხილის წარმოებით, თურქ ინვესტორებთან ერთად დაინტერესებულები არიან ისრაელი ინვესტორებიც. თურქეთის მხარემ 2009 წელს საფუძვლიანი კვლევა ჩაატარა, რის შედეგადაც დაფიქსირდა, რომ კახეთში, იმერეთში, მარნეულსა და გურიის რეგიონში ზეითუნის წარმოებისათვის შესაბამისი კლიმატი არსებობს. თურქმა ბიზნესმენებმა საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადების სურვილი კიდევ ერთხელ გამოთქვეს.

ზეთისხილის სამშობლოა ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნები. სამრეწველო პლანტაციები ასევე გაშენებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში. ზეთისხილი საქართველოში ოთიდგანვე იყო გავრცელებული, განსაკუთრებით დღეს თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე. მე - 19 საუკუნის დასაწყისში ზეთისხილის პლანტაციები 70 ტონა ნაყოფს იძლეოდა, რაც აკმაყოფილებდა საქართველოს მაშინდელ მოთხოვნილებას. გავრცელებული იყო აფხაზეთსა და კახეთის მშრალ სუბტროპიკულ ზონაში. სოფელ ზემო ბოდბეში უცხოელებსაც ჰქონდათ პლანტაცია, რომლის ნარჩენები მე 19 საუკუნის 70 - იან წლებშიც უნახავთ.

ზეთისხილის მოშენება ბერებმა 1879 წელს ახალ ათონში დაიწყეს და დიდი პლანტაცია შექმნეს. გასაბჭოების შემდეგ, ეს პლანტაცია საბჭოთა მეურნეობად გადააკეთეს. ამჟამად პლანტაციები შენდება კახეთში, იმერეთში და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. ხშირად შეხვდებით ბოსტნებსა და ბაღებში, როგორც დეკორატიულ და საკვებ მცენარეს. გავრცელებულია ზღვის დონიდან 450 მ სიმაღლეზე. იგი არის სიმშრალის ამტანი, სითბოს და სინათლის მოყვარული მცენარე. განეკუთვნება ხეხილოვან მცენარეთა გვარს, ზეთისხილისებრთა ოჯახს. გვარში 60 - მდე სახეობა შედის. აქვს ხშირი, ტყავისებური, მოკლეყუნწიანი და მუქი მწვანე ფოთლები, რომლებსაც 3 წელიწადში ერთხელ იცელის. წვრილი, ორსქესიანია, ყვავილები მოთეთრო ან მომწვანოთ, 15-30 ცალის ოდენობით შეკრებილია ცოცხისმაგვარ მტევნებად. ნაყოფი არის 2-3-დან 5 სმ-მდე სიგრძის, ოვალური ან მომრგვალო. სრული სიმწიფისას შავდება და ფიფქს იკიდებს. ნაყოფიანობს სექტემბერ-ნოემბერში. იზრდება ნელა. ხარობს 300 - 400 წელი, მაგრამ ლიტერატურაში აღწერილია 2 000 წლამდე ასაკის მცენარეები.

ზეთისხილის რამდენიმე ასეული ჯიში არსებობს. ზოგი ჯიში გამოიყენება ნედლად საჭმელად, ზოგი საკონსერვოდ, ზოგიც ზეთის გამოსახდელად. სხვადასხვა ჯიშებისაგან სხვადასხვა ხარისხის ზეთი, ე.წ. ზეითუნის ზეთი მიიღება. სამედიცინო მიზნებისათვის მხოლოდ მწიფე ნაყოფს აგროვებენ და სწრაფად ამუშავებენ. კულინარული და სხვა მიზნებისათვის შეიძლება უმწიფარი ნაყოფის დამზადება.ზეთისხილის ზეთი ჯიშებისა და სხვა ფაქტორების გამო სხვადასხვა ხარისხისაა და სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ზეითუნის ზეთი, ხის ზეთი, პროვანსული ზეთი და ა.შ.

მაღალხარისხოვანი ზეთისხილის ზეთს მხოლოდ სრულად მომწიფებული ნაყოფისაგან ამზადებენ. ცივი წესით, არასრული მექანიკური გამოწნეხვით მიიღება უმაღლესი ხარისხის ე.წ.

პროვანსული ზეთი. დარჩენილი მასის (კოფტონის) ციკი წესით ან გაცხელებით, ეტაპობრივად გამოხდის გზით, სხვადასხვა, უფრო დაბალი ხარისხის ზეთები მიიღება. ბოლო გამოხდით, აგრეთვე, თესლების გამოხდით ღებულობენ ტექნიკურ ზეთს. საჭმელად მოუმწიფებელ ნაყოფებს აგროვებენ და აწნილებენ. ზეთისხილის ნაყოფის რბილობში ცხიმის რაოდენობა, საზეთე ჯიშებში, 70 % აღწევს. თესლი 30 პროცენტზე მეტ ზეთს შეიცავს. იგი შედარებით ნაკლები ხარისხისაა. ნაყოფი შეიცავს ეთეროვანი ზეთს - ეგენოლი და კამფენის ტიპის ნივთიერებებს და სხვა სამკურნალო და სასარგებლო ვიტამინებს.

ზეთისხილის კულტურის მოსაყვანად კარგი პირობებია აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ სუბტროპიკებში, თუმცა ხარობს დასავლეთ საქართველოს ნესტიან სუბტროპიკებშიც. ამჯობინებს კარბონატულ, ყავისფერ, ალავიურ ნიადაგებს. ვერ ეგუება ჭარბ ტენს. არის ქარმოშიში და პლანტაციის ჩაყრისას, გასათვალისწინებელია ქარსაფარი ზოლის გაშენება. მშრალი ჰაეის პირობებში უძლებს 15 - 20 გრადუს ყინვას.

არანაკლებ სასრგებლო და მოთხოვნადია ბროწეულიც. იგი 6 მეტრამდე სიმაღლის დეკორატიული, ფოთოლმცვივნი მცენარეა ბროწეულისებრთა ოჯახიდან. მისი სამშობლოა ჩრდილოეთი აფრიკა, შუა აზია. იგი ძირითადად გავრცელებულია სუბტროპიკულ ქვეყნებში: ყირიმში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ირანში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ეელური ფორმით გეხვდება კაკკასიაში და შუა აზიაში. იზრდება მშრალ ქვა-ღორღიან ფერდობებზე, კულტურაში ფარიოდაა დანერგილი, როგორც აღმოსაელეთ, ისე დასაელეთ საქართველოში. ბუნებრივად 600-900 მეტრამდე გეხვდება, მაგრამ არსებობს კულტურული ჯიშები, რომლებიც 1200 მეტრს აღწევს. ბროწეული ნიადაგისადმი დიდად მომთხოვნი არაა. ამჯობინებს ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ღრმა ოიხნარ ან ქვა - ღორღიან ნიადაგებს. საქართველოში გავრცელებულია შემდეგი ჯიშები: ვარდისფერი გულოშა, სალავათური, ყირმიზი - ყაბუხი, შაჰ - ნარი, ყირმიზი - ყაბუხი. ბროწეული მდიდარია სამკურნალო თვისებებით. შეიცავს ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, მიკროელემენტებს: კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, ნატრიუმი. ნაყოფი იძლევა 60-%-მდე წვენს ანტოციანების მაღალი შემცველობით. წვენი შეიცავს ასევე 8-20% შაქარს (გლუკოზა და ფრუქტოზა), 10%-მდე ლიმონის, ვაშლის და სხვა ორგანულ მჟავეებს, ფიტონციდებს, ტანინებს, აზოტის შემცველ ნივთიერებებს, მარილებს. ნაყოფის გარსში და ფუსეებში არის 32%-მდე მთრიმლავი ნივთიერებები. ბროწეულის ყვავილისაგან, რომელიც შეიცავს მეეეთრი წითელი ფერის პიგმენტ – ანტოციან-პუნიცინს, აწარმოებენ საღებავებს, რომლითაც ღებავენ აბრეშუმის, ბამბისა და ზალის ქსოვილებს. სამკურნალო ნედლეულია ბროწეულის წვენი, კერძოდ ცინგის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის დროს. ასევე ის აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს. ბროწეულის კანის შემადგენლობაში არესებული პოლიფენოლი ზემოქმედებს დიზენტერიულ ჩხირებზე. ნაყოფისაგან დამზადებული ჩაი ამშვიდებს ნერვულ სისტემას და ხსნის აღგზნებულობას. გამოიყენება სისხლნაკლულობისას. ნაყოფის კანისაგან ღებულობენ მოყვითალო-წითელ ფხვნილს - ექსტრაქტს, რომელსაც იყენებენ ენტეროკოლიტის სამკურნალოდ, ბროწეულს იყენებენ გაციების, ხველის, ბრონქიალური ასთმის, ანგინას და მალარიის დროს. ჰორმონალური დარღვევის დროს თესლის შემადგენლობაში შემავალი ცხიმი აღადგენს ორგანიზმში ჰორმონალურ ბალანსს. ხსნის თავის ტკივილს.

ამგვარად, ზეთისხილი და ბროწეული წარმოადგენს პერსპექტიულ საექსპორტო პროდუქტებს და მათი პლანტაციების გაშენებით, შემდგომ რეალიზაციისა და გადამუშავების ხელშეწყობით საქართველო შესძლებს გახდეს ამ პროდუქტების კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი. ეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის წინსელას.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მიიჩნევს, რომ სახელმწიფოსთვისაც და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და, რა თქმა უნდა, მიწისადმი ხალხის ინტერესის დაბრუნება. კარგი იქნება, თუ ამ პროცესს მთავრობა მხარს დაუჭერს და დოტაციური და მრავალწლიანი შეღავათიანი კრედიტებით გაამაგრებს, რაც დასავლეთის ქვეყნებში (მიუხედავად განვითარებისა) დღესაც ხორციელდება", - ნათქვამია პატრიარქის 2011 წლის საადღგომო ეპოსტოლეში.

დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, „...აუცილებელია შრომა... შრომით უნდა მოიპოვოს ადამიანმა პური არსობისა... ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია ბუნებასთან, მიწასთან

სიახლოვე. ბუნება, მიწა, მცენარე კურნავს ადამიანის სულს" - საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.mrdi.gov.ge/?page=lawv&id=4&lang=1
2. http://agro.ge/index.php?m=957
3. http://www.ghn.ge/news-40469.html
4. http://24saati.ge/index.php/category/news/2011-05-04/16427
5. http://ecopharm.sangu.ge/teqn/MEDPL/zeTisxili.htm
6. http://ecopharm.sangu.ge/teqn/MEDPL/broweuli.htm
7. http://www.ick.ge/ka/rubrics/economics/4936--500---.html
8. სულიკო ყამარაშვილი, „მარკეტინგი". გამომცემლობა „მეცნიერება" 2008.
9. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები - დეკანოზი ბასილ ახელედიანი, გიორგი შიხაშვილი
10. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული №3, 2006
11. ჟურნალი - "ბიზნესი და კანონმდებლობა", ივლისი – აგვისტო. 2010.

თენგიზ ქავთარაძე
ემკ, თსუ, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
ლაბორატორიის გამგე

სასოფლო წარმოების ოპტიმიზაციისა და დასაქმების დონის ზრდის საკითხები შიდა ქართლის მეხილეობის ზონის საწარმოებში

შიდა ქართლის მეხილეობის ზონაში შემავალი რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციას მეხილეობა განსაზღვრავს. მისი ხვედრითი წილი საშუალოდ 33%-ის ტოლია, მეცხოველეობის პროდუქციისა 29.3%, მარცვლეულისა 17%, ყურძნის 7%, ბოსტნეულის 4% და ა.შ. ფულად შემოსავალში ხილზე მოდის 39,9%, მეცხოველეობის პროდუქციაზე 25,8%, მარცვლეულზე 15,4%, ყურძენზე 13,1%, ბოსტნეულზე 5,8%.

ხეხილის ბაღების ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მთელ ფართობში 29,9 პროცენტით არის შემცირებული (დაახლოებით 15 ათასი ჰექტარი) და ტრანსფორმირებულია სახნავში, რის გამოც შესაბამისად გაიზარდა ნათესების ფართობები თავთავიანი მარცვლეულის ქვეშ, რადგან მარცვლეულის წარმოების გადიდება, ქვეყნის მოსახლეობის საკუთარი წარმოების ხორბლით დაკმაყოფილება დღეისათვის ყველაზე პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული სახელმწიფოს მიერ.

დღეისათვის ზონის სოფლის მოსახლეობა ძირითადად შემდეგი სახის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებშია წარმოდგენილი; გლეხური, ოჯახური მეურნეობის, მოყვარულ მოქალაქეთა ხეხილის ნარგაობა; სამომხმარებლო დანიშნულების ნარგაობა სხვადასხვა წერილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში; სამრეწველი დანიშნულების ბაღები, მსხვილ სახასინო საწარმოებში, შუსდუდული პასუხისმგებლობის საწარმოებში, კოოპერატივებში, სააქციონერო სასოგადოებებში, მეხილეობის აგროფირმებში.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში მოლიანად წარმოებული ხილის (ციტრუსების გამოკლებით) 16,8% იწარმოება შიდა ქართლის ზონაში, მათ შორის ვაშლის 38,6%, ქლიავის 27,7%, ბალის და ალუბლის 15,8 და ა.შ.

ამ მონაცემებით დასტურდება დარგის სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებაც — თესლოვანი ხილის წარმოება კურკოვნებთან შეთანაწყობაში, თუმცა გარკვეული მონაცემებით კვლავ იწარმოება ატამი და მსხალიც, ამ უკანასკნელთა წარმოების შემცირება დაკავშირებულია საკონსერვო ქარხნების გაჩერებასთან, ისინი არატრანსპორტაბელურ პროდუქციათა კატეგორიას განეკუთვნებიან და საჭიროებენ სასწრაფო გადამუშავებას.

ხილის წარმოების ეფექტიანობაზე სპეციალიზაციის და ინტენსიფიკაციის დონის გავლენა კვლავ ძალაში რჩება. სპეციალიზაციის გაღრმავებას თან სდევს ხილის მოსავლიანობის გადიდება. იზრდება ერთ ჰექტარზე გაწეული დანახარჯებიც, მაგრამ მცირდება პროდუქციის თვითღირებულება, რაც დადებით გაკვლენას ახდენს მოგების ზრდაზე. ეს უკანასკნელი საანგარიშო წლისათვის ძალზე მცირეა, მაგრამ მაინც ახასიათებს ზემოთ აღნიშნულ კანონზომიერებას.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს კვლევები, რომლებიც შესრულებულია მებაღეობა-მევენახეობის და მერვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ. მათი შედეგების ანალიზი იძლევა შემდეგი განსჯის საშუალებას; მეხილეობაში ჩვენს პირობებში ოპტიმალურ მეურნეობად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი სპეციალიზებული მეურნეობა, რომელშიც მცხმოიარე ხეხილიხ ბაღები იქნება არანაკლები 400 და არაუმეტესი 600 ჰექტარი წარმოების ინტენსიფიკაციის მაღალი დონით. ასეთი სპეციალიზებული მეურნეობა სამრეწველო ტიპის საწარმოს უნდა წარმოადგენდეს. დანარჩენი დარგები მასში მხოლოდ დამხმარე ხასიათს უნდა ატარებდნენ, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უნდა უწყობდნენ ძირითადი დარგის განვითარებას.

დღეისათვის რეგიონში გვხვდება სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმის ისეთი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომელთა ფულად შემოსავლებში მეხილეობას მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა უკავია, მაგრამ მათი საწარმოო მიმართულება, სტრუქტურა და განვითარების სხვა

მაჩვენებლები ჯერ ფორმირების პროცესშია. გორის რაიონში ასეთ საწარმოებს განეკუთვნება: შპს "ახრისი", მებოსტნეობის საიბური, ნაწრეთის მეთესლეობის ექსპერიმენტული საწარმო, შპს გგგ (საქაშეთში), შპს "ყელქცეული", ტირძნისის სახაზინო საწარმო "ბეღელი", და სხვ. ქარელში: ქარელის ფერმერული მეურნეობა, ქვეინატკოცის სახელმწიფო საწარმო "ქარელი", ფცის სახაზინო საწარმო, ხვედურეთის მეცხოველეობის კომპლექსი და სხვა. კასპის რაიონში ზემო ხანდაკის კოოპერატივი, შპს "გიორგი საკაძე", შპს "ტიფონა", ალიონის სახაზინო მეურნეობა, შრომის ს/ს კოოპერატივი, ბრის სახაზინო ს/ს საწარმო და სხვა.

ასეთ საწარმოებში მეხილეობა წარმოდგენილია 10-დან 100 ჰა-მდე ხეხილის ბაღებით და ძალზე დაბალეფექტიანია, ანიტომ ზონაში კვლავ დაწყებული უნდა იქნას ასეთი წვრილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და განსაკუთრებით გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობათა აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესი ხილბოსტნეულის საკონსერვო ქარხნებთან კონტრაქტაციის და ნებაყოფილობითი სახელშეკრულებო პრინციპებით. პროდუქციის შესყიდვის ფასები დიფერენცირებული უნდა იყოს ზონალური, სეზონური, სიმწიფის პერიოდების, ჯიშების და ხარისხების მიხედვით, ის რომ, ისინი არავითარ შემთხვევაში საბაზრო ფასზე ნაკლები არ იყოს.

ზონაში ამჟამად შექმნილია 67 ათასი წვრილი გლეხური (ოჯახური) მეურნეობა. ასეთი მეურნეობის მიწის ფართობი არ აღემატება 1,15 ჰა-ს, მათში მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წონა კიდევ უფრო მცირეა (0,6 ჰა), მართალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღწეული გლეხის შემოსავლის ხვედრითი წონა 1990 წელთან შედარებით 2010 წლისათვის, მიწის პრივატიზაციის განხორციელების მერე 9,5%-დან 38,3%-მდე გაიზარდა, მაინც იგი ჯერ არ გამხდარა მათი შემოსავლის ძირითადი წყარო, ამიტომ ისინი კვლავ დასაქმებულნი უნდა იქნან მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში (ცხადია ნებაყოფილობის პრინციპის დაცვით).

საკვლევ ზონაში 1988 წლისათვის წარმოებული იქნა 204 ათასი ტონა ხილი, რაც ქვეყანაში წარმოებული ხილის 41%-ს შეადგენდა, საანგარიშო 2010 წელს წარმოებულ იქნა რესპუბლიკაში მოკრეფილი ხილის 23,4%-ი.

დარგის შემდგომი თვისობრივი გაჯანსაღებისა და აღდგენისათვის, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დასაქმებულობის დონის ამაღლების მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანას და ინტენსიური ნარგავების ზრდას. ექსტენსიური ხილის ნარგაობის ხვედრითი წონა ამჟამად 80%-ს აღემატება, ინტენსიური ტიპის ბაღები 15 ათას ჰა–მდეა, ანუ მთელი ნარგაობის მხოლოდ 16-18%, ასეთი ბაღების გაშენება ბოლო 15 წლის განმავლობაში საეროოდ არ განხორციელებულა, კერძო სექტორში ამჟამად იწარმოება ზონაში მოკრეფილი ხილის 90%, ამიტომაა მნიშვნელოვანი კერძო სექტორის აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესში ჩართვა, გაერთიანება უზრუნველყოფს მათი პროდუქციის გადამუშავებას და რეალიზაციას, ეროობლიობაში გლეხური მეურნეობები და საკონსერვო ქარხნები მიზნობრივი პრინციპებით წარმოქმნიან ხილისა და ბოსტნეულის წარმოებას, გადამუშავების და რეალიზაციის ქეეკომპლექსს, რომლის გამოცალკევება საშუალებას მოგვცემს შრომითი რესურსების გამოყენების გადიდებას.

ყურადსაღებია შემდეგი მდგომარეობა, 1990 წლის შემდეგ ზონაში შეწყდა ბაღების რეკონსტრუქციის პროცესი, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (32%) გაცვდა და ამოიძირკვა, რადგან მოსავალს აღარ იძლეოდნენ, იმ დროს როცა მარტივი რითმული კვლავწარმოებისათვის იგი 15-20 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, ამიტომ ახლა მაინც უნდა დაჩქარდეს ბაღების რეკონსტრუქცია, რათა განახლდეს ნარგაობათა სასურველი ასაკობრივი სტრუქტურა, რადგან ამჟამად ხნიერი ხეხილიხ ნარგავებს ბაღებში 68,6% უკავია, რაც სრულიად დაუშვებელია, მსხმოიარე ბაღებში ზამთრის ჯიშებზე 82%-მდე მოდის, იმ დროს როცა კომერციული თვალსაზრისიდან გამომდინარე მათ მრავალფეროვნებასთან უნდა იქნას შესაძლებელი მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მიწოდების პერიოდის გახანგრძლივებისათვის საჭიროა დაჩქარდეს ხილის შესანახი თანამედროვე ტექნიკით და კლიმატის დაცვის ავტომატიზირებული სისტემებით აღჭურვილი საცავების მშენებლობა, რომელშიც უნდა ჩაეროვნენ კერძო სავაჭრო ფირმები.

სოფლად მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლების თვალსაზრისით, ხილის წარმოების, გადამუშავების და რეალიზაციის დარეგულირებაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარკეტინგს, ანუ პროდუქციის გასაღების მართვას. ამ

დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მარკეტინგის რიგი თავისებურებები, რომელთაგან ძირითადია ნიადაგობრივ - კლიმატური და ბიოლოგიური ფაქტორები; ხეხილის ბაღების სტრუქტურა; მეწლეულობა; მეურნეობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა; ამ პროდუქციაზე მოთხოვნილების, ფასის და მისგან მიღებული შემოსავლის დაბალი ელასტიურობა; მოსავლის დანაკარგების მაღალი დონე კრეფის, შენახვის, გადამუშავებისა და ტრანსპორტირების დროს; ხოლო მარალფუჭადი თავისებურება, რომელიც განაპირობებს მის მაქსიმალურ შემჭიდროებულ ეადებში რეალიზაციას და დიდი ნაწილის სამრეწველო გადამუშავებაზე გაშვებას; მუშაკთა შედარებით დდიდი რაოდენობის დასაქმებას მთელ სამარკეტინგო ჯაჭვში და სხვ. ყბელაფერი ეს მოითხოვს მარკეტინგის სპეციალური სტრატეგიის დამუსავებას, პროდუქციის მოთხოვნილების და გასაღების პროგნოზს, წარმოების სრდის ზღვარის დადგენას.

კელევის შედეგად შეიძლება დავასკვნაო: მეხილეობის პროდუქციის ბაზარი ზონაში დაბალი გაჯერებისაა და ხასიათდება მოთხოვნილების დაცემით, თუ არ შეიცვალა მარკეტინგის შიდა და გარე ფაქტორები (პირობები), მაში რეალიზაციის დაცემის ტემპები უახლესი მომავლისათვის შენარჩუნებული იქნება. სასწრაფოდ საჭიროა მისი რეალიზაციის სფეროს გაფართოება ექსპორტით.

სოფლად დასაქმების დონის სრდის რეგულირების თვალსაზრისით სახელმწიფომ შენობები უნდა მისცეს თითოეულ რეგიონის ხელმძღვანელობას სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური კოლეჯების ქსელის შესაქმნელად. ისინი გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ზონის სოფლის მეურნეობის დარგში კელევითი მუშაობისა და ფერმერთა შემდგომი თაობების მომზადების საქმეში.

ზონის სოფლის მეირნეობის მოწინავე მუშაკებს აწუხებთ, რომ სახელმწიფოს მეცნიერული კელევის შედეგების შესახებ მონაცემებს ფერმერები ვერ იგებენ. ფერმერებისადმი სახელმწიფოს დახმარება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით მოსავლიანობის ამაღლებაში უნდა მდგომარეობდეს რამდენიმე "საჩვენებელი" ფერმის შექმნაში, რომელიც ჩაებმებოდა ადგილობრივ ბიზნესში, დაუკავშირდებოდა ფერმერთა ჯგუფებს და დაიქირავებდა რეკლამის აგენტებს. ამ იდეას უნდა მიეცეს ეროვნული მასშტაბი, "სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურების" შექმნით. ეს სამსახური, რომელსაც დააფინანსებდა როგორც სახელმწიფო, ისევე კოლეჯები, დაიქირავებდა აგენტებს და შექმნიდა ოფისებს, რომლებიც რჩევებს მისცემდნენ ფერმერებსა და მათ ოჯახებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. "სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა ჯერ-ჯერობით არ გვაქვს" "სახელმწიფოს დახმარების გარეშე მცირე მეწარმეობა ვერ განვითარდება" გაზ. "ბანკები და ფინანსები" 12 აგვისტო 2003.
2. ჟღენტი პ. ქვშელაშვილი ო. საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ხაზით ჩატარებული ახალი გამოკვლევების შედეგები. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები ტ. XIII, 1982.
3. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო "მეცნიერება" თბილისი 2003.

ვაჟა ზეიკიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
დალი ზეიკიძე
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

საქართველო საერთაშორისო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში

საქართველოს აგრარული სფეროს თანამედროვე პრობლემები გამომდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციებიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელია გლობალიზაციის მიმართულება, თავისი პოზიტიური და ნეგატიური შედეგებით.

მსოფლიო სასურსათო პრობლემების გადაწყვეტის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც წესი უმეტესწილად გვეელინებიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ინტერესების გამომხატველად, მაგრამ ისინი იმავდროულად განვითარებად ქვეყნებსაც უქმნიან ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელ პირობებს. გასცემენ მათზე კრედიტებს, გრანტებს. სამეურნეო ორგანიზაციებიდან მეტად ნიშვნელოვანია: გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (FAO), მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WEP) და სოფლის მეურნეობის განვითარებას საერთაშორისო ფონდი (IFAD).

გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია შეიქმნა 1945 წლის ოქტომბერში კვებებში (კანადა), რომლის დღის წესრიგში დადგა კვების პროექტების წარმოებისა და გადანაწილებისადმი ეფექტური მიდგომის ღონისძიებების შემუშავება. დღეისათვის FAO-ს შემადგენლობაში შედის 183-ზე მეტი ქვეყანა (ევროკავშირის ჩათვლით)(მისი სამდივნოს შტაბბინა მდებარეობს ქ. რომში.

FAO-ს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კონფერენცია, რომელიც მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ. კონფერენცია განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიას და პოლიტიკას, ამტკიცებს ბიუჯეტს ორწლიანი პერიოდისათვის. კონფერენციებს შორის პერიოდში FAO-ს ხელმძღვანელობს საბჭო, რომელშიც შედის კონფერენციის მიერ არჩეული 49 ქვეყნის წარმომადგენელი. საბჭოს სესიები ტარდება წელიწადში ორჯერ. FAO-ს თავისი წარმომადგენლობა ყავს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. ამ ორგანიზაციის სტრატეგიულ ამოცანას შეადგენს შემდეგი ორი მთავარი მიზნის მიღწევა:

– სასურსათო უსაფრთხოებისა და ნორმალური, დაბალანსებული კვების უზრუნველყოფა.

– სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კონცეფციის რეალიზაციის უზრუნველყოფა.

FAO ახორციელებს ოთხ ძირითად ფუნქციას:

– წარმოადგენს საერთაშორისო ფორმებს კონსულტაციებისათვის მის წევრ სახელმწიფოებს შორის;

– კონსულტაციებს უწევს მთავრობებს სასურსათო პოლიტიკის საკითხებზე;

– აგროვებს, აანალიზებს და ავრცელებს ინფორმაციას;

– ახორციელებს ტექნიკურ თანამშრომლობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

FAO დიდ ძალისხმევას მიმართავს სურსათის წარმოების ზრდასა და საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობაზე, იყენებს რა ამისათვის საერთო კონსულტაციებს და ქმედებებს საათანადო საერთაშორისო შეთანხმებებისა და მექანიზმების შესაქმნელად. FAO-ს ეგიდით 1974 წელს მოწვეული იქნა პირველი მსოფლიო სასურსათო კონფერენცია, მისი გადაწყვეტილებების შესაბამისად შექმნილი იქნა მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების ახალი კომიტეტი, ამასთან კონფერენციამ მიიღო საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე სასურსათო მდგომარეობის ნორმალიზაციის გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ღონისძიებების კომპლექსური პროგრამა. კონფერენციის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ "შიმშილის ლიკვიდაცია წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა ქვეყნის საერთო ვალდებულებებს." [1; გვ.2] საერთოდ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების განმავლობაში FAO-ს მონაწი-

ლეობით ჩატარებული იქნა კონფერენციათა სერია, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებული იყო სასუსრსათო უსაფრთხოების პრობლემებთან. ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა გაეროს კონფერენციას გარე სამყაროსა და განვითარების საკითხებზე, რომელმაც მიიღო რეზოლუცია სოფლის მეურნეობისა და სურსათის პრობლემებზე, სახელწოდებით "XXI საუკუნის დღის წესრიგი" აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პროგრამათა რეალიზაციის სფეროში და სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. 1999 წელს FAO-მ ორგანიზაციის ყველა წევრთა კონფერენციაზე მიიღო თავისი საქმიანობის სტრატეგია 2001-2015 წლებისათვის. სტრატეგიაში განსაზღვრულია ძირითადი მიმართულებები და ამოცანები საქმიანობის ყველა განყოფილების მიხედვით და შემუშავებულია მათი შესრულების კონფერენციული ღონისძიებანი.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს FAO-სთან, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტებიც, რომ ქვეყანაში ჩატარდა FAO-ს მიერ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. 2000 წლის დეკემბერში FAO-ს ეგიდით საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში ჩატარდა მე-10 საერთაშორისო სემინარი თემაზე "რესურსებისა და გამოყენების ანგარიშგება და სასურსათო ბალანსები", ხოლო 2002 წლის აპრილში მე-4 საერთაშორისო სემინარი თემაზე "სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ვაჭრობის სტატისტიკა" აღნიშნული სემინარების შემაჯამებელი დოკუმენტების შესაბამისად საქართველოში დაინერგა სასურსათო ბალანსების შემუშავების ახალი მეთოდიკა, რომელიც საფუძვლად უდევს ახალ საბალანსო გაანგარიშებებს. გაერო-ს სოფლის მეურნეობისა და სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით 2006-2010 წლებში საქართველოში განხორციელდა ფრინველის გრიპის საგანგებო პროექტი, რომლის ფარგლებში ფრინველის გრიპის მონიტორინგისათვის ლაბორატორია და ვეტერინარიის სამსახური აღჭურვა საჭირო მასალებითა და მოწყობილობებით, ვეტერინარულ ლაბორატორიასთან ერთად განხორციელდა დაკვირვება ქვეყანაში ფრინველის გრიპზე. FAO-ს აქტიური დახმარებით განხორციელდა ქვეყნის მოსაზღვრე რაიონებში ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა, მეთვალყურეობა და გავრცელებაზე კონტროლის ღონისძიებები, ასევე აფრიკული ღორის ცხელების დაავადებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის საკითხები. FAO-ს ტექნიკური დახმარებით გადაიჭრა სურსათის უვნებლობის კონტროლის, საერთაშორისო სისტემებთან ადგილობრივი სასურსათო სტანდარტების ჰარმონიზაციის საკითხი.

დღეისათვის მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს მსოფლიო სასურსაოო პროგრამა (WFP), რომელთანაც ასევე აქტიურად თანამშრომლობს საქართველო. მსოფლიო სასურსათო პროგრამამ თავისი საქმიანობა დაიწყო ექსპერიმენტულ საფუძველზე 1961 წელს და მუდმივ საფუძველზე გადაყვანილი იქნა 1966 წლიდან. პროგრამა დაფუძნებული იქნა გაერო-ს გენერალური ასამბლეისა და FAO-ს კონფერენციის პარალელური რეზოლუციების მიღების საფუძველზე, გაერო-ს სისტემაში სასურსაოო დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციის სტატუსით, მისი შტაბბინა მდებარეობს ქრომში. იგი ფაქტიურად წარმოადგენს სურსათისა და ფულადი საშუალებების ფონდს, რომელიც ეძლევა ცალკეულ სახელმწიფოებს და დანიშნულია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საჭიროებენ მოცემულ დახმარებას.

პროგრამის რეგულარული საბიუჯეტო რესურსები ყალიბდება ქვეყნების ნებაყოფლობითი შენატანებისაგან, შესაბამისი პროდუქტების, მასალები მომსახურებისა და ფინანსური საშუალებების ფორმით. ამასთან, ნაღდი ფულადი საშუალებები და მომსახურება უნდა შეადგგენდეს მოლიანი შენატანების არანაკლებ ერთ მესამედს.

პროგრამაში შეტანილი წელილის მიხედვით ძირითად დონორ ქვეყნებს წარმოადგენენ: აშშ, იაპონია, ევროკავშირის სახელმწიფოები და დიდი ბრიტანეთი. მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ განვითარების ხაზით დახმარებათა გაწევა სწარმოებს პროდუქტების საფუძველზე, რომლებიც ხორციელდება თეით განვითარებადი ქვეყნების მოაერობების მიერ. თავისი ოპერაციების დაწყებიდან პროგრამამ გამოყო 6,1 მილიარდი აშშ დოლარზე მეტი თანხის სასურსათო დახმარება, განვითარების 125-ზე მეტ პროექტზე 120 განვითარებად ქვეყნებში. ამ დახმარების 70%-ზე მეტი მოდის შემოსაელების დაბალი დონის მქონე ქვეყნებზე, რომლებიც სხვებზე მეტად განიცდიან სურსათის უკმარისობას.

მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროდუქტების განხორციელების მსვლელობაზე კონტროლი დაკისრებული აქვს პოლიტიკისა და სასურსათო დახმარების პროგრამების კომიტეტს, რომელიც შეიქმნა 1973 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციისა და FAO-ს კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში გაიხსნა 1993 წელს, რომელიც ამ დროდან მოყოლებული მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს. თავდაპირველად იგი ახორციელებდა "გადაუდებელი სასურსათო დახმარების იძულებით გადაადგილებულ პირთათვის და საქართველოს მოსახლეობის სხვა ღარიბი ფენებისათვის". 1997 წლის მაისიდან მან დაიწყო ახალი პროგრამის – "სურსათი სამუშაოსათვის" განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს დახმარების აღმოჩენას სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური ორგანოებისათვის, რათა მათ ეფექტურად განახორციელონ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში შესრულებულმა სამუშაოებმა მოიცვა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, სარწყავი სადრენაჟო სისტემები და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ობიექტები. ამავე დროს პროექტი ითვალისწინებს მასში ჩართულ რეგიონებში მცხოვრებ ყველაზე ღარიბ და უმუშევარ პირთა დასაქმებასა და მათთვის როგორც ფულად, ისე სასურსათო კომპენსაციის გაცემას. 2003-2010 წლებში მსოფლიო სასურსათო პროგრამის ფარგლებში საქართველოში სასურსათო დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ პირებს, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აქტივების რეაბილიტაცია განხორციელდა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

სოფლის მეურნეობის განვითარების საეროაშორისო ფონდი (IFAD) წარმოადგენს გაეროს სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსის მქონე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელმაც 1977 წელს გაეროსთან გააფორმა შეთანხმება. ამ ორი ორგანიზაციის ერთობლიობების შესახებ, გაეროს წესდების 57-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად. ფონდი შექმნილია მსოფლიო სასურსათო კონფერენციის რეკომენდაციით. გაეროს გენერალური ასამბლეის XXIX სესიის რეზოლუციის საფუძველზე და წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დაწესებულებას, რომელიც მოწოდებულია "დამატებითი რესურსების მობილიზაციისაკენ, მათი განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის". (2) ფონდის პოლიტიკა ძირითადად ორიენტირებულია სოფლად სიღარიბის დაძლევაზე, მისი რესურსების ძირითადი ნაწილი გაიცემა მაღალშეღავათიანი სესხების ფორმით, რომელიც იფარება 50 წლის განმავლობაში, 10 წლიანი გადავადებით და მომსახურებისათვის 1%-იანი სარგებლის საფასურით. ფონდი ასევე იძლევა სესხებს ჩვეულებრივი პირობებით, რაც ითვალისწინებს, 8%-იანი განაკვეთის დაფარვას 15-18 წლიანი პერიოდის განმავლობვაში და შუალედური პირობებით, რაც ითვალისწინებს დაფარვას 20 წლის განმავლობაში 4%-იანი წლიური განაკვეთით.

ფონდის საწყისი რესურსები (დაახლოებით 1 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით) შედგებოდა ნებაყოფლობითი შენატანებისაგან, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 567,3 მლნ აშშ დოლარი – ეოგო-ს წევრი განვითარებული ქვეყნებისაგან (I კატეგორია), 435,5 მილიონი აშშ დოლარი წევრი განვითარებული ქვეყნებისაგან (II კატეგორია) და 19,3 მლნ აშშ დოლარი – სხვა განვითარებული ქვეყნებისაგან (III კატეგორია). ამრიგად განვითარებული ქვეყნების წილად მოდის ფონდის საწყისი რესურსების დაახლოებით 45%. ხოლო ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების წილად – 42%-ზე მეტი.

ფონდს გააჩნია სამმხრივი სტრუქტურა, რაც ასახულია მის საწყის რესურსებში და აგრეთვე აღმასრულებელ საბჭო'ში მმართველთა საბჭოს ხმის მიცემის სისტემაში. მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ყველა წევრი – ქვეყნის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებულ მმართველთა საბჭოს. აღმასრულებელი საბჭო შედგება მმართველთა საბჭოს მიერ არჩეული 18 წევრისა და 18 მოადგილისაგან, რომლებიც პასუხს აგებენ ფონდის ოპერაციის განხორციელებაზე, კერძოდ სესხების და სუბსიდიების დამტკიცებაზე.

საქართველო სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის წევრი გახდა 1995 წლის თებერვლიდან. ფონდი მსოფლიო ბანკთან და საქართველოს მთავრობასთან ერთად 26,5 მლნ აშშ დოლარის საერთო თანხით მონაწილეობს "სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტში", რომლის სტრატეგიულ მიზანსაც წარმოადგენს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა განვითარების ხელშეწყობა. პროექტი ასევე ითვალისწინებდა საქართველო'ში ორი კომპონენტის დაფინანსებას: 1. საკრედიტო კავშირების ქსელის შექმნა და განვითა-

რება, საკრედიტო განვითარების ცენტრის მეშვეობით. 2. მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია, რომელიც დაიწყო 1997 წლიდან გარდაბნისა და მცხეთის რაიონებში და შემდგომ მოიცვა მთელი საქართველო.

აღნიშნული ფონდის ხელშეწყობით დამუშავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა მაღალმთიანი რეგიონებისათვის, რომელიც ითვალისწინებდა სოფლებისა და ოემების მაშტაბის მოქნილი საშემნახველო და საკრედიტო მექანიზმის შექმნას და ამის მეშვეობით სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ამ მიზნით პროექტის ფარგლებში შეიქმნა მთიანი რეგიონების განვითარების სააგენტო.

საქართველო სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ატიურად თანამშრომლობს მსოფლიო ბანკთან, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (SIDA) და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GTZ). ამ ორგანიზაციების დახმარებით უკანასკნელ ათწლეულში წარმატებით განხორციელდა: სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა კონსულტაციებისა და სწავლების პროექტი, ასევე სოფლის გავნითარების პროექტი, რომლის მიზანი იყო საქართველოში კერძო კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის განვითარება და ფერმერთა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა. გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოების (GTZ) მხარდაჭერით განხორციელდა მთელი რიგი პროექტებისა, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწია ქეყანას სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურების სტრუქტურული და ფუნქციონური მოწყობის საქმეში, ამავე საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოში ღვინის ხარისხის მართვის სისტემა, შეიქმნა ღვინის კომპანიათა ფონდი, რომელშიც გაერთიანებულია 24 ღვინის ქარხანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. FAO Report Conference. Rome. 2007. 39p.
2. vw General Assembly Buolgetazy Commi Atee Current Session – New-York. 1996. 62p.
3. Доклад сесии Всемирного продовольственного совета ООН – Нью-Йорк. 1979. 27с.
4. FAO: Статистический бюлетень, - Рим. 2009, -110с.
5. FAO: Agriculture Towardz 2010.- Rome, 1993. 39p.

ბესიკ ბაუჩაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის პრობლემური საკითხები

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდში მიმდინარეობს თავისი ბუნებით უნიკალური და ყოვლისმომცველი სტრუქტურული ცვლილებები, რომლის არსიც გამოიხატება: წარმოების საშუალებების წარმოების ხვედრითი წილის შემცირებაში და სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქციის წარმოების წილის ამაღლებაში; მწარმოებელზე ორიენტირებული ეკონომიკის გარდაქმნაში და მომხმარებელზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში; საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელებული რეფორმების შედეგად ვერ მოხერხდა კერძო საკუთრების მთლიანი სიმძლავრით ამოქმედება, მოხდა სოფლის მეურნეობის დეინდუსტრიალიზაცია, რეგიონებში მიმდინარეობს არქაულ ტექნოლოგიებზე და ხელის შრომაზე დაფუძნებული ნატურალური მეურნეობების რეამინაცია, მსხვილი ორგანიზებული მეურნეობები დაიშალა წვრილ ერთპიროვნულ მეურნეობებად, რამაც შეაფერხა ამ სექტორში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა,. რეგიონის და მთლიანად ქვეყნის სოფლის მეურნეობის სფეროში რეფორმების შედეგად შეიცვალა ტექნიკური სერვისის სისტემა, სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტამ სოფლის ტექნიკური უზრუნველყოფა ჩიხში მოაქცია.

აგროსამრეწველო კომპლექსის საფუძველია საფუძველია წამოების სტრუქტურა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გადახდისუნარიან მოთხოვნას და სწრაფად რეაგირებდეს მის უმცირეს ცვლილებებზე. ჩვენ კი ა.ს.კ.-ს სფეროში ვეწევით წარმოებას წარმოების გულისთვის, ამიტომაც ეროვნული მეურნეობა განიცდის ინფლაციურ ზეგავლენას.

ძალზე სუსტია სახელმწიფოს რეგულირების მექანიზმები, როგორც პროდუქციის წარმოებაში, ისე რესურსებით უზრუნველყოფისა და რეალიზაციაში.(შესამუშავებელია აგროსასურსათო სექტორის განვითარების ხელშემწყობი და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა). ფაქტიურად სრულყოფილად არ მოქმედებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრები. ქვეყანაში მაკროეკონომიკური გარდაქმნები ორგანულად არ არის შერწყმული ქვეყნის მიკროეკონომიკურ გარდაქმნებზე. რამაც აგრარული სექტორის ეფექტურად ამოქმედებას მკვეთრი ზიანი მიაყენა.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, მინიმალური სოციალური და ეკონომიკური დანახარჯებით ეკონომიკური რეფორმების ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს გარდუალიზმის კონცეფციის გამოყენება, რადგანაც იგი უპირატესობას ანიჭებს რეალური „ფიზიკური" ეკონომიკის აღორძინებას. ეკონომიკის ეფექტიანი რესტრუქტურიზაცია ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებისა და ნორმალურად ფუნქციონირებადი საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფორმირების აუცილებელ პირობას

– ყურადღება უნდა მიექცეს და ხელი შეეწყოს სოფლად საწარმოთა ახალი ფორმების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას; უნდა მოხდეს დარგთაშორისი და შიგადარგობრივი კავშირების ამოქმედება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონულ პროდუქტთა ქვეკომპლექსის ამოქმედებასა და მუშაობას

– უპირველეს ყოველისა უნდა გაიზარდოს მატერიალური წარმოების სფეროში შემოსავლიანობა, რისთვისაც აუცილებელია დემპინგური იმპორტული საქონლის აკრძალვა და საგადასახადო წნეხის შემცირება, წარმოების წამახალისებელი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება, სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ფორმირება.

– იმისათვის, რომ აგროსასურსათო სექტორს ჰქონდეს უნარი უპასუხოს ქვეყნის საჭიროებებს, ის უნდა იყენებდეს საერთაშორისო სამეცნიერო ტექნოლოგიურ სიახლეებს, ამისათვის საჭიროა სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება, გამოყენები-

თი სამეცნიერო კვლევებისა და ცოდნის გაფართოების სისტემის შექმნა. შეზღუდული რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის აუცილებელია საზოგადოებრივ და კერძო საწყისებზე სამეცნიერო კვლევების გამიჯვნა. აუცილებელია სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებას საფუძვლად დაედოს: მეცნიერული პოლიტიკა, ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოლიტიკა, ინდუსტრიული პოლიტიკა, ნაციონალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა.

– საჭიროა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე ქვეყნის მოთხოვნიების დაკმაყოფილებას. თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მრავალი გზა არსებობს, მათშორის მნიშვნელოვან გზად შეიძლება მივიჩნიოთ ლიზინგი, საკრედიტო კავშირების შექმნა, სახელმწიფო მხარდაჭერა და სხვა.

– ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელოვან გზად მიგვაჩნია საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესის გაღრმავება მიკრო დონეზე, კერძო ინვესტიციებზე დაფუძნებული სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანების, ხოლო რეგიონის დონეზე – საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ჩამოყალიბება. სწორედ ისინი მოახდენენ სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმას. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ გზით მიიღწევა ეფექტიანად მოქმედი ინვესტირების მექანიზმების ფორმირება და მოქნილი სამრეწველო პოლიტიკის გატარება.

– საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სფეროში სამეზობლოთაშორისო კოოპერაციის ფართოდ გავრცელებას უნდა შეეწყოს ხელი.

– მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროდუქციის წარმოების, რესურსებით უზრუნველყოფისა და რეალიზაციის სახელმწიფო რეგულირების თვალსაზრისით განხორციელდეს ზემოქმედება მარეგულირებელ და საბაზრო ფასების თანაფარდობაზე.

– აუცილებელია იმპორტირებული ტექნოლოგიურ სიახლეთა გამოყენების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ყველა მიმართულებით გამახვილდეს ყურადღება აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის პროცესის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებაზე და შემუშავდეს ახალი, დროისა და ვითარების ადეკვატური აგრარული პოლიტიკა.

ტიტე არაშიძე
ქ. ბაოუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოადგილე,
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი
ჰაატა არაშიძე
შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მიწის რეფორმის გავლენა აგროსამრეწველო სექტორის განვითარებაზე

თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიზანს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენს; ეკონომიკური ზრდის ტემპი დამოკიდებულია. ერთის მხრივ, ბუნებრივი რესურსების (მიწა, წყალი, ტყე, წიაღისეული და ა. შ.), შრომითი რესურსებისა და კაპიტალის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ხოლო მეორეს მხრივ, ოვით ქვეყნის ხელისუფლების (მთავრობის) ეკონომიკურ უნარზე, გამოიყენოს აღნიშნული რესურსები კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საწარმოო რესურსები და მათი გამოყენების უნარი განსაზღვრავს არა მარტო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, არამედ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობის ისეთ განზოგადებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა დასაქმების დონე, ეროვნული ვალუტის სიმყარე და საგარეო ეკონომიკური წონასწორობა.

დადგენილია, რომ კორელაციური კავშირი ქვეყნის ნივთობრივ-მატერიალურ სიმდიდრესა და ერთობლივი შიდა პროდუქტის წარმოების პოტენციურ დონეს შორის. მიჩნეულია, რომ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს ერთობლივი შიდა პროდუქტი ნივთობრივ-მატერიალური სიმდიდრის დაახლოებით ერთი მესამედის დონეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბაზრო ფასებით გამოსახული ბუნებრივი რესურსების ღირებულების (რომელიც ფართო გაგებით მიწასთან ერთად მოიცავს მინერალურ რესურსებს, ფლორას, ფაუნას) და ფიზიკური კაპიტალის ფულადი ღირებულების ჯამი დაახლოებით სამჯერ უნდა აღემატებოდეს ქვეყანაში წლის განმავლობაში წარმოებული ერთობლივი შიდა პროდუქტის ღირებულებას.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მინერალური რესურსების (წიაღისეულის) მარაგი დაახლოებით 90 მლრდ აშშ დოლარად არის შეფასებული, ქვეყანას მარტო ამ მონაცემით გააჩნია 30 მლრდ დოლარის ღირებულების მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების ეკონომიური პოტენციალი. ბუნებრივია, ეკონომიკური პოტენციალი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ ქვეყნის ნივთიერ-მატერიალურ სიმდიდრეს დამატება მიწის სავარგულების, ტყეებისა და სხვა ბუნებრივი რესურსის საბაზრო ღირებულებაც.

მიუხედავად მაღალი ეკონომიკური პოტენციალის საქართველო კვლავ რჩება განვითარებადი ქვეყნების ჩამონათვალ'ში, რაც სრულიადაც არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ ვნახავთ, რომ ისედაც მცირემიწიან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,24 ჰა დამუშავებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (გაცილებით ნაკლები, ვიდრე მეზობელ რუსეთის ფედერაციაში, ვიდრე თურქეთში, ვიდრე აზერბაიჯანში და ა.შ.), დამუშავებაში მყოფი მიწების დაახლოებით 1/3 ანუ საშუალოდ 300,0 ათასი ჰა, ბოლო წლებში საერთოდ არ გამოიყენება.

იმპორტის ერთ-ერთ მსხვილ სასაქონლო ჯგუფს მარცვლოვანი და ზეთოვანი კულტურების მზა პროდუქცია და ნედლეული, აგრეთვე შაქარი წარმოადგენს, რომელთა საერთო ღირებულება 200 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს. მნიშვნელოვანი ოდენობითაა წარმოდგენილი ასევე ხორცი და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სახის სურსათის იმპორტი. საყურადღებოა, რომ 2006 -2010 წლებში სურსათის იმპორტმა 2,5-ჯერ გადაამეტა სურსაოის ექსპორტს და ეს თანაფარდობა ყოველწლიურად იზრდება სურსაოის იმპორტის სასარგებლოდ, ასეთ პირობებში გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლიდან ტრადიციულად უარყოფითია, რაც სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად დიდი რაოდენობის სურსათის იმპორტითაა განპირობებული.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ გაატარა იყო აგრარული რეფორმა, რომლის I ეტაპი ქვეყანაში გატარდა 1992-1998 წლებში. მისი უმთავრესი მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებზე კერძო საკუთრების დამკვიდრება, მიწაზე მეურნეობრიობის ძველი საწარმოო ორგანიზაციული ფორმების ახალი სამართლებრივ-ორგანიზაციული სტრუქტურებით ჩანაცვლება. აღნიშნულ ტრანსფორმაციას შედეგად უნდა მოჰყოლოდა დადებითი ძვრები როგორც საწარმოო-ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით, კერძოდ: მიწის რაციონალური გამოყენება და დაცვა ეროზიული და სხვა სახის არასასურველი პროცესებისაგან, მიწების პროდუქტიულობის ამაღლება, გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა შემოსავლების ზრდა, სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება და სხვ.

რეფორმირების პროცესში მართლაც გაუქმდა მიწაზე სახელმწიფოს მონოსაკუთრება, გლეხობამ (აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის ნაწილმა), გარკვეული ნორმის ·ფარგლებში, მიწა მიიღო უფასოდ და ამით თითქოს წერტილი დაესვა მიწისაგან გლეხის გაუცხოების პროცესს (რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო). განხორციელდა ასევე ყოფილი საზოგადოებრივი მეურნეობის დემონტაჟი და სექტორის ცენტრალიზებული მართვის სისტემა შეიცვალა საკანონმდებლო და ეკონომიკური ბერკეტებით, მაგრამ რეფორმა ქვეყანაში ნელი ტემპით ხორციელდებოდა. არასწორმა რეფორმებმა საწარმოო-ფინანსური თუ ტექნიკურ-ტექნოლოგიური პრობლემის წარმოშვა, რომელთა დაძლევას დღემდე ვერ ხერხდება.

1997-2003 წლებში განხორციელებულმა აგრარულმა რეფორმამ სასურველი სოციალური და ეკონომიკური შედეგები ვერ გამოიღო, რასაც ზემოაღნიშნულთან ერთად ადასტურებს აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის გამოყენების მეტად დაბალი დონე და სურსათით თვითუზრუნველყოფის არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი, სამომხმარებლო ბაზარზე სამამულო და უცხოური წარმოების სასურსათო პროდუქციის დარღვეული თანაფარდობა (დაახლოებით 1:3-თან)

ერთ-ერთი არსებითი ხასიათის პრობლემა, რომელიც მიწის რეფორმამ წარმოშვა ქვეყანაში მიწების დანაწევრება-პარცელაცია, წვრილკონტურიანობა და მრავალნაკვეთიანობაა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2004-2005 წლებში ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ 285.3 ათასი გლეხური მეურნეობა ანუ მათი საერთო რიცხოვნობის (802 ათასი) 35% ფლობს 0,5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს. მათ საერთო მფლობელობაშია სულ 67ათასი ჰა, ხოლო 27% ფლობს 0,5-დან 1,0 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთს. რომელთა საერთო მფლობელობაშია 160 ათასი ჰექტარი. მარტო ამ მონაცემებიდანაც ნათლად ჩანს მიწის რეფორმის არასასურველი შედეგი, რაც იმაში გამოიხატება, რომ გლეხურ მეურნეობათა აბსოლუტური უმრავლესობა (62%) ფლობს მხოლოდ 1 ჰა-მდე მიწის ფართობს. მათზე მოდის რეფორმირებული მიწის ფონდის 23,8% ანუ 228 ათასი ჰექტარი, მაშინ როცა დანარჩენ 38% მოდის 730 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.

ერთ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთზე (მით უფრო 0,5 ჰექტარამდე) რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება, კულტურათა რაციონალური შეთანაწყობა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების სხვა ღონისძიებების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ასეთი მეურნეობები ძირითადად თვითუზრუნველყოფაზე არიან ორიენტირებულნი და მათი საქონლიანობის დონე სხვა თანაბარ პირობებში ყოველთვის დაბალი იქნება ოპტიმალური სიდიდის მეურნეობებთან შედარებით.

პრობლემის მოგვარების აუცილებელ პირობაა, როგორც ხელისუფლებაში, მეწარმეებში, ასევე გლეხებში მოხდეს გაცნობიერება იმისა, რომ მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით, ეროდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფოს ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული, სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოკულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.

მიწის საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა კანონების არსებობის თვალსაზრისით დღეს დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნორმატიული ბაზის შექმნა არა იმდენად შიდასაუწყებო საქმიანობისათვის არამედ, მომხმარე-

ბელოან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნორმებისა და პროცედურების ჩამოყალიბების მიზნით.

საქართველოს მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან (GTZ, WB, IFAD, USAID, KFW, SIDA). რამდენადაც, საქართველოში არ არსებობდა მიწის პოლიტიკის განხორციელების მკვეთრი კონტურები, საერთაშორისო დახმარება მიმართული იყო არსებული პრობლემური სფეროს მიმართ. ასეთ პრობლემატურ სფეროდ აღიარებული იქნა კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემა. ლეგალური და ინსტიტუციონალური რეფორმა მხარდამჭერილი მხოლოდ საწყის ეტაპზე მოხდა. სახეზეა მნიშვნელოვანი პროგრესი მონაცემთა მოგროვებისა და მათი სისტემატიზების მიზნით.

მიწის და მასთან არსებული პრობლემების მოგვარება პირდაპირპროპორციული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და აგროსასურსაოო კომპლექსის ეფექტურ გამოყენებასთან. აღნიშნული სექტორის საწარმოო პოტენციალის სრული გამოყენებისა და ქვეყნის სასურსაოო უშიშროების გადაჭრის მიზნით კი უნდა შეიქმნას ისეთი საწარმოო-ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს:

– სოფლად საქონელმწარმოებელთა მოტივაციის ამაღლებას;

– სასურსათო პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას;

– სოფლის მეურნეობის პროდუქციის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გადამმუშავებელი საწარმოების ამოქმედებას.

ამ ამოცანის რეალიზაცია გულისხმობს ძირითადი პრიორიტეტების გამოყოფას და მათ თანმიმდევრულ განხორციელებას. მათგან მთავარია:

– ერთიანი აგრარული სისტემის შექმნა;

– კოოპერაციათა დანერგვა და კოოპერაციულ მეურნეობაზე აქცენტის გაკეთება;

– საქონელმწარმოებელთა უზრუნველყოფა ფინანსური რესურსებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს კრედიტებისა და წარმოების საშუალებების ხელმისაწვდომობის გაზრდას, სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნას;

– ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება ქვეყნის შესაბამის რეგიონებში;

– გლეხურ მეურნეობათა საკონსულტაციო (სასწავლო) ინფორმაციული მომსახურების, როგორც სისტემის შექმნა და ამოქმედება;

– სასოფლო-სამეურნეო და აგროპროდუქციის გადამმუშავებელ საწარმოთა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია;

– აგროსასურსათო სექტორის განვითარების ხელშემწყობი და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, რომელშიც პრაქტიკულად მოიაზრება ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტის გააქტიურება აგროსექტორის განვითარების მიმართულებით;

– მომხმარებელთა და მწარმოებელთა ინტერესების ჰარმონიული შეთანაწყობა, შეზღუდული საწარმოოო რესურსების გამოყენება ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მდგრადობის ძირითადი ფაქტორები". - ჟურნალი „ეკონომიკა", 2005 წ 2, გვ 119-122;

2. „სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის რიგი საკითხები". - ჟურნალი „ეკონომიკა", 2006 წ 4, გვ 130-135;

3. „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ინოვაციური პროექტებისა და შიდა რეზერვების ოპტიმიზაციის საკითხები". - სსსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული, „აგრარული მეცნიერების პრობლემები";

4. „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მდგრადობის ზოგიერთი თეორიული საკითხი". - სსსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული, „აგრარული მეცნიერების პრობლემები";

5. ეოლფგანგ მიულერი; იორგ ლიბერაი; ვახტანგ ლეჟავა - საქართველოს მიწის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებული მიწის მართვის სტრატეგიის "წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.

6. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/census/ganyofileba2.pdf

თინა ჩხეიძე
ჯ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სმმდ, პროფესორი.
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

ქეთევან ქველაძე
ჯ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

მიწის რეფორმის შედეგი საქართველოში

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოში ჩატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები. მათ შორის იყო აგრარული რეფორმა, 1992 წელს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რითაც დაიწყო მიწის რეფორმის პერიოდი (1992-1998 წ.წ.), რომელმაც აამოქმედა მიწის პრივატიზებით მიწაზე კერძო საკუთრების, ოჯარის, გირავნობის კანონები და რომელმაც გაანადგურა ათეული წლების მანძილზე შექმნილი უნიკალური სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საჩვენებელი, სასელექციო სადგურები, საჯიშე-სანაშენე და სანერგე მეურნეობები, სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო კომპლექსები, ირიგაციული ქსელები და სხვ. მათ მფლობელობაში არსებული სავარგულები კი დაიყო პატარ-პატარა ნაკვეთებად და დაექვემდებარა პრივატიზებას. 1992 წლამდე საქართველოს მოქალაქეთა ოჯახებზე (კომლებზე) სარგებლობაში გაცემული სბალე, საბოსტნე, სააგარაკე, სამოსახლო, საკარმიდამო ნაკვეთები მათ საკუთრებად გამოცხადდა. მილიონამდე ოჯახმა უსასყიდლოდ მიიღო მიწის ნაკვეთები. 1998 წლის მდგომარეობით სოფლის მცხოვრებ 693,4 ათას კომლს საკუთრებაში გადაეცა 717,3 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. საშუალოდ (1.03 ჰა), ხოლო ქალაქში მცხოვრებ 326,4 ათას ოჯახს 72,4 ათასი ჰა. საშუალოდ (0,22 ჰა) ანუ მთლიანად გაიცა 918 ათასი ჰა მიწა. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულმა 789,7 ათასი ჰა. შეადგინა, რაც მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 26,4%, სახნავის საერთო მოცულობის 55%, მრავალწლიანი ნარგავების 66,9%, სათიბის 33,9% და საძოვრის 7.0%-ია. გლეხებს, რომლებსაც ჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთები, ნაკვეთის ფართობი გაუდიდდათ 1,2 ჰექტრამდე. სასოფლო—სამეურნეო დანიშნულების მიწების საშუალო სულადობრივი ნორმა საქართველოსათვის 0,5 ჰა-ს შეადგენს, ერთ მცხოვრებზე დამუშაევებისათვის ვარგისი 0,2 ჰა. მიწა მოდის (სოფლის ერთ მაცხოვრებელზე 0,4 ჰა). მიწით უზრუნველყოფის ეს მაჩვენებელი მეტად დაბალია და ჩამოუვარდება მრავალი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელს.

მიწის პრივატიზება საქართველოში ჩატარდა ნაჩქარევად და ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, როგორც წესი მიწის პრივატიზებას წინ უნდა უსწრებდეს მიწების საკადასტრო სამუშაოები, (რისთვისაც მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ ნავარაუდევია 20-25 წელიწადი). რის გარეშეც შეუძლებელია მიწის კატეგორიის დადგენა, ეკონომიკური ნაყოფიერების შეფასება, მიწის ფასის განსაზღვრა.

მიწაზე კერძო საკუთრება მოითხოვს მიწის ბაზრის არსებობას, ხოლო მიწის ბაზარი თავის მხრივ საჭიროებს პრივატიზებული მიწების შესახებ აუცილებელ საინფორმაციო სისტემას, რომელიც უსრუნველყოფს პრივატიზებული მიწის ყოველი ნაკვეთის ყოველმხრივ აღრიცხვას და მის დიფერენცირებულ შეფასებას, რადგანაც მიწას, როგორც გაყიდვის ობიექტს უნდა გაჩნდეს გასაყიდი ფასი.

კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ" საქართველოს პარლამენტმა მიიღო მხოლოდ 1996 წელს, როდესაც მიწის პრივატიზება თითქმის დამთავრებული იყო.

აღნიშნული კანონის თანახმად გაგრძელდა დაჩქარებული ტემპით საქართველოს მიწაწყლისა და ტყეების სპეციალური და ღია აუქციონის წესით ნებისმიერ მყიდველზე (მიუხედავად საქართველოს მოქალაქეობისა) გაყიდვა-გასხვისება. ამრიგად საქართველოს ასობით ჰექტარი საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო სავარგული აღმოჩნდა არა სოფლის მეურნეთა ხელში.

საქართველოში ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმამ სოფლის მეურნეობა გაანადგურა. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლის თავზე საქართველოს აგრარული სექტორი ასე გამოიყურება: 2003 წლის ოფიციალური მონაცემებით სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში საგრძნობლად შემცირდა (იხ. გრაფიკი 1). სოფლის მეურნეობის წარმოება შემცირდა 15%-ით (ეკონომიკის დანარჩენ დარგებში საშუალოდ გაიზარდა 40%-ით). ასევე შემცირდა შრომის მწარმოებლურობა. არ შეინიშნება ეკონომიკური ზრდა. გაიზარდა სოფლად უმუშევრობა და სიღარიბე (თუმცა ითვლება, რომ დასაქმებულთა დიდი წილი სოფლის მეურნეობაზე მოდის, რადგან მათ გააჩნიათ მიწის ნაკვეთები).

სოფელში მცხოვრებ მოსახლეობის ძირითად დამსაქმებლების კოლმურნეობების და საბჭოთა მეურნეობების გაუქმებით მოსახლეობამ დაკარგა სამუშაო ადგილები. კერძო სტრუქტურებმა როგორიც არის მაგ. ფერმერული მეურნეობები რომლებმაც ფეხი ვერ მოიკიდა სოფლის მეურნეობაში მოსახლეობა ვერ დაასაქმა. ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც სოფლად აგრობიზნესი ფერმერული მურნეობის სახით ვერ განვითარდა არის სოფლის მეურნეობის წარმოების რისკიანობა. (სოფლის მეურნეობის მაღალი რისკიანობის გამო ყველა ქვეყნის აგროსექტორი მთავრობის პროტექციონიზმით სარგებლობს, რისი თქმა საქართველოს აგროსექტორზე არ შეგვიძლია). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საწარმოთა რაოდენობა რომელმაც საანგარიშო წელი დაამთავრეს ზარალით სოფლის მეურნეობაა.

გრაფიკი 1
მთლიან მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი და
უმუშევრობა სოფელში (%) [3]



— სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში

— უმუშევრობა სოფელში

შექმნილი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალი სოფლის მოსახლეობამ სხვადასხვაგვარად გამონახა, ზოგმა მიატოვა საერთოდ სოფელი და მიაშურა ქალაქს (რასაც ხელი შეუწყო ურბანიზაციის გლობალურმა პროცესმა) განსაკუთრებით ქალებმა დატოვეს ოჯახები და გავიდნენ საზღვარგარეთ, საიდანაც ეხმარებიან ოჯახის წევრებს. შედეგად მიეღეთ დაცარიელებული ან უკეთეს შემთხვევაში "დაბერებული" სოფელი.

უმუშევრობა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვა გურია-სამეგრელოს რეგიონმა. ამ რეგიონში მოსახლეობის ძირითადი დამსაქმებელი ჩაის კულტურა იყო. ჩაის კულტურის მოელა, მოყვანა-კრეფით დასაქმებული მეჩაიეები ეკონომიურად უზრუნველყოფილნი იყვნენ. მაგრამ მას შემდეგ რაც აიჩეხა აკადემიკოს ქსენია ბახტაძისა და სხვა გამოჩენილი სელექციონერების მიერ რუდუნებით გამოყვანილი უნიკალური ქართული ჩაის პლანტაციები, ჩაის ფოთლის მკრეფაველები აღარ იყო საჭირო. ასეთივე ბედი ეწია საქართველოში მეაბრეშუმეობასაც. მეაბრეშუმეობას, როგორც უნიკალურ და შემასავლიან დარგს საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერ-

ოერთი წამყვანი ადგილი ეკავა. განსაკუთრებით იმერეთის რეგიონის მოსახლეობას დაეტყო მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის სოფლის მეურნეობის წარმოებიდან ამოღება. იმერეთის თითქმის ყველა ოჯახი დასაქმებული იყო მაღალ ანაღღაურებადი აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობით და ოჯახი ღებულობდა დამატებით შემოსავალს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის ერთერთი გზა ჩაის კულტურისა და მეაბრეშუმეობის აღდგენაა, რომელიც დაასაქმებს მოსახლეობას, ქალებს დააბრუნებს ოჯახში, ხოლო ქვეყანას გაუჩენს ძვირად ღირებულ საექპორტო ნედლეულს, რაზედაც მიგვითითებდა ჯერ კიდევ წინა საუუნეში ილია ჭავჭავაძე.

"მიწის და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისთვის, როგორიც მაგალითად პურია (კონკრეტულ შემთხვევეში სიმინდი) ჩვენი ფიქრით, დიდი შეცდომაა, პურს თუ უწინ, როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი ყოველ წელიწადს სულ უფრო და უფრო იკლებს და მცირდება, რასაც განაპირობებს სხვადასხვა სახის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ერთერთი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაყოფიერების დაცემაა, რის გამოც ისინი დაბალი კატეგორიის მიწის ფონდში ხვდებიან. (ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის არავითარი ღონისძიება არ ტარდება). საქართველოსათვის ერთ-ერთი საჭირბოროტო პრობლემა, რომელიც იწვევს ნიადაგების დეგრადაციას და მათი სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოღებას, ეს არის ეროზია. ეროზიის ანთროპოგენური და სხვა ბუნებრივი პროცესებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 3 მილიონი ჰექტარიდან 1 მილიონზე მეტი ე.ი. 35% დეგრადირებულია, აქედან სახნავი მიწები 380 000 ჰექტარს შეადგენს (დეგრადირებული ნიადაგი 30-50%-ით ნაკლებ მოსავალს იძლევა). უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის მიწების ფონდს ეროზიის გამო 50 ათასი ჰექტარი გამოაკლდა. იმის გამო, რომ ნიადაგი ბუნებრივ-ისტორიული სხეულია და მისი ფართობის გაზრდა სამაგიერო მიწის ფართობის ყიდვით ან იმპორტით შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა დეგრადირებული (ეროზირებული, დამლაშებული, დაჭაობებული, გაუდაბნოებული) მიწების რეკულტივაცია და მათი ისევ სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა (უკანასკნელ ათწლეულში მსგავსი სამუშაოები არ ჩატარებულა).

სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობის შემცირების შემდეგი მიზეზი მათი არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებაა (მშენებლობები, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების, ნავთობსადენების ფართობების გაზრდა და სხვა საქმიანობისათვის გამოყენება). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში საქართველოს დიდ ქალაქებს, როგორიც არის თბილისი, ბათუმი და სხვ. შემოუერთდა მომიჯნავე სოფლის ტერიტორიები, რითაც ასეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გადაეიდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფონდში, რითაც კიდევ უფრო შემცირდა ქვეყნის სახნავ-სათესი ფართობები (ამჟამად ოფიციალურ სტატისტიკურ მასალებში არ არის ნაჩვენები თუ რა რაოდენობის სახნავ-სათესი ფართობი მოდის საქართველოს 1 სულ მოსახლეზე, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის). საუბედუროთ, ის რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა რაც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით არის ცნობილი სრულად არ არის გამოყენებული. სოფლის მეურნეობის 2006 წლის სტატისტიკური კრებულის მიხედვით 2006 წლისათვის საქართველოს სასოფლო—სამეურნეო დანიშნულების სახნავი მიწების 40% დაუმუშავებელია. (იხ. ცხ. 1)

ნათესი ფართობების შემცირებასთან ერთად საქართველოში აღინიშნება ძირითადი მარცელეული კულტურების ნათესი ფართობების წილითი ნორმით შემცირების ტენდენცია. (იხ. ცხრ. 2) და რაც მთავარია ძირითადი კულტურების მოსავლიანობის დაცემა (იხ. ცხრ. 3) რის შემდეგადაც ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის შემცირება აღინიშნება.

ცხრილი 1.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენება

	სულ სახ. სამ. სავარგული			მათ შორის											
				დაუმუშავებელი			დამუშავებული			საძოვარი			მრავალწლიანი ნარგავები		
წლები	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008
სულ	865	854	838	132	166	130	330	297	329	287	247	264	116	114	115
	სულ სახ. სამ. სავარგული			მათ შორის											
				დაუმუშავებელი			დამუშავებული			საძოვა-რი			მრავალწლიანი ნარგავები		
წლები	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008
სულ	865	854	838	132	166	130	330	297	329	287	247	264	116	114	115
	სულ სახ. სამ. სავარგული			მათ შორის											
				დაუმუშა-ებელი			დამუშავებული			საძოვარი			მრავალწლიანი ნარგავები		
წლები	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008
სულ	865	854	838	132	166	130	330	297	329	287	247	264	116	114	115

წყარო – საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008 წ.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2006 წლის მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ძირითადი სახის სასოფლო–სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე წლითი წლობით მცირდება. (იხ. ცხ. 1) მაგალითად, თუ ხორბლის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 1999 წელს იწარმოებოდა 51კგ, 2006 წელს იგი შემცირდა 16 კგ-მდე. შესაბამისად შემცირდა სიმინდის წარმოება (110კგ.-49კგ.), კარტოფილის (100კგ.–38კგ.), ბოსტნეულის (94კგ.-41კგ.) და აშ., რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქაროველოს მოსახლეობა შიმშილობს. იგი ვერ იკმაყოფილებს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს ადგილობრივი სამამულო წარმოების საკვებზე საშუალოდ 50%-თაც კი.

ცხრილი 2

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობებში ათასი ჰა.)

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
ნათესი ფართობი სულ	577.0	561.7	534.0	539.6	330.2	297.2	329.8
ხორბალი	139.1	117.3	104.8	97.4	58.7	45.4	48.6
მემცენარეობის პროდუქტების წარმოება (ათასი ტონა)							
ხორბალი	199.7	225.4	185.8	190.1	69.7	74.9	80.3
სიმინდი	400.1	461.9	410.6	421.3	217.4	295.8	328.2
სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა (ცენტნერი 1 ჰექტრიდან)							
ხორბალი	17.0	19.3	18.2	19.9	12.4	16.7	16.8
სიმინდი	20.5	24.2	22.0	21.8	18.4	24.1	22.9
ოჯახური მეურნეობების წილი მემცენარეობის პროდუქციის წარმოებებში (%)							
ხორბალი	91	88	89	96	81	86	86
სიმინდი	96	97	97	99	99	99	99

წყარო – სტატისტიკური წელიწდეული 2009 წ.

მოსახლეობის ზრდასა და სასურსათო უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით კარგად ვლინდება, როდესაც ვეხებით მიწის რესურსების გამოყენების საკითხს. ქვეყნის მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენებას და სასურსათო უსაფრთხოებას ბაზარი ვერ დაარეგულირებს, ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა, რასაც არ სცნობს "მიწის პრივატიზების" კანონი.

სიღარიბის დონის შემცირების და მოშიმშილე მოსახლეობის დაპურების აუცილებლობა მოითხოვს სასურსათო პროდუქციის გაზრდის მიზნით, გაზარდოს ნიადაგის ნაყოფირება და ფართობის ერთეულზე პროდუქციის მოსავლიანობა, რისთვისაც საჭიროა სპეციალური აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება. რასაც ვერ ახერხებს მცირე მეწარმე (ფერმერი).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ძირითადი ხარვეზი რაც დაშვებული იქნა მიწის რეფორმის დროს ეს არის სახელმწიფოს როლის შეუფასებლობა და მიწის ფონდის მთლიანად განსახელმწიფოებრიობა.

ცხრილი 3

ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება
მოსახლეობის ერთ სულზე (კგ.)

წლები / პროდუქტები	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
ხორბალი	51	20	70	46	52	43	44	16
სიმინდი	110	67	66	92	106	95	98	49
კარტოფილი	100	69	96	96	98	97	101	38
ბოსტნეული	94	80	91	93	99	93	102	41
ხილი	67	57	46	40	60	37	62	35
ყურძენი	50	48	34	21	46	42	58	37
ხორცი	23	25	23	25	25	25	26	23
რძე	157	146	166	173	176	181	184	163
კვერცხი	88	82	94	94	105	115	118	82

წყარო – საქართველოს სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი, 2006 წ.

ჩვენ ვფიქრობთ, მიწა არ უნდა გაიყიდოს, მიწა არის სახელმწიფოს საფუძველი, ერის სიმდიდრე, ჩვენ თაობას მისი გასხვისების უფლება არა აქვს, იგი ჩვენ უნდა გადაეცეთ მომავალ თაობას, ისე როგორც ჩვენმა წინაპრებმა შეგვინარჩუნეს და დაგვიტოვეს. მიწა უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრებაში და გაიცეს მხოლოდ იჯარით დასამუშავებლად (ისე როგორც მაგ. ისრაელში).

კაპიტალურ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, როგორიც არის მაგ. საირიგაციო ქსელის გაყვანა, ეროზია და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ჭაობების დაშრობა და ა.შ. რომელსაც ვერ ჩაატარებს მიწის კერძო მესაკუთრე (ფერმერი) უნდა ხელმძღვანელობდეს სახელმწიფო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქ. კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ" 1996 წ. 22 მარტი
2. თ. ჩხეიძე – მიწის გაყიდვა დღესდღეობით დამღუპველია, გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" 2003წ.
3. თ. ჩხეიძე – მიწის რესურსის ოპტიმალურად გამოყენება როგორც სიღარიბის დაძლევის საწინდარი, პ. გუგუშვილის ეკ. ინ-ის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები თბ. 2010 წ.
4. თ. ჩხეიძე – უმუშევრობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში – პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინ-ის სამეც. შრომების კრებული ტ. II, თბ. 2009 წ.
5. თ. ჩხეიძე – სიღარიბის დაძლევის ეკოლოგიური ასპექტები, პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინ-ის სამეც. შრომების კრებული ტ. III, თბ. 2010 წ.
6. თ. ჩხეიძე, ლ. დათუნაშვილი, ქ. ქველაძე – მიწის რესურსის ოპტიმალურად გამოყენების საკითხისათვის საქართველოში – ჟ. "სოციალური ეკონომიკა", №6, 2006წ.
7. თ. ჩხეიძე, ნ. არევაძე, ლ. დათუნაშვილი – სასურსათო უსაფრთხოება და მიწის პრივატიზება საქართველოში – ჟ. "სოციალური ეკონომიკა" 2003წ. №5.
8. თ. ჩხეიძე, ქ. ქველაძე – მიწის პრივატიზება საქართველოში – საქ. ეკონომიკის და სამართლის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტთაშორისო სამეც. კონფერენციის შრომების კრებული თბ. 2010 წ.
9. გ. ძნელაძე – საქართველოს ანტიკრიზისული რეფორმების 2010წლის კურსი - შეიცვალა თუ არა მიმართულება ეფექტორმა? – სსკგც-ს ბიულეტენი №118, 2011წ.

ანზორ მესხიშვილი
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი,
აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი,
ბიზნეს უნივერსიტეტის სრული პროფესორი

პაატა ყოლუაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს სრული პროფესორი,
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა და მისი შედეგები

ქონება არის ყველა ნიეთი და არმატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს და რომლის შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. ნიეთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი. უძრავ ნიეთს მიეკუთვნება მიწის ნაკეეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეებით.

მიწის ნაკეეთი გულისხმობს მიწის ნაკეეთს მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით (აშენებარე ან აშენებული) ან მის გარეშე. რომლებიც მყარად დგას მიწაზე

მიწა არის ადამიანის ყველა სახის საქმიანობის საწყისი და საფუძველი, მიწისგან ვიღებთ საკეებს, თავშესაფარს, ადგილს სამუშაოდ, ოთახს დასასვენებლად. მიწას განსაკუთრებული მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბუნებრივი რესურსებს შორის. ის წარმოადგენს საზოგადოების წევრების სასიკეთო მდგომარეობის მატერიალურ საფუძველს, საწარმო ძალების და ადამიანების განთავსების სივრცობრივ და ეკონომიური ზრდის ყველა ფაქტორის აღწარმოებითი პროცესების ნორმალური მიმდინარეობის საფუძველს. გავიხსენოთ ე. პეტის სიტყვები: "შრომა არის ნივთიერებითი სიმდიდრის მამა, ხოლო მიწა მისი დედა"

წინდახედულად და დაკვირებით მიწის მართვის აუცილებლობა, მისი რესურსების უფრო ინტესიურად გამოყენება და მართვა ქმნის ერთიანი საერთო გლობალურ საზრუნავს.

ჩვენი პლანეტის საეროო ფართობი შეადგენს 510 მლნ.კვ.კმ, მისი უმეტესი ნაწილი დაფარულია წყლით-361 მლნ. კვ.კმ (71%), ხმელეთს უკავია 149 მლნ. კვ.კმ.

საქართველოს ტერიტორიის ფართობია 7628400 ჰა, აქედან 30263009 ჰა (39,67%) სასოფლო–სამეურნეო სავარგულია, მათ შორის სახნავია 802100 ჰა(10.51%), მრავალწლიანი ნარგავებია 26400 ჰა,(3.46%) სათიბი 143500 ჰა(1.88%), საძოვარი 1796600 ჰა(23.55 %). არასასოფლო-სამეურნეო სავარგულია 3857200 ჰა(50.57 %), მათ შორის ტყე 2838300 ჰა (37.23%), მდინარეები და ნაკადულები 91300 ჰა(1.19%).

საქართველო მეტწილად მთიანი ქვეყანა. მისი ტერიტორიის 53,6% მთაზე მოდის, 33,4% კი – მთის წინებზე, ხოლო საქართველოს ბარს ტერიტორიის მხოლოდ 13 % უჭირავს. ამიტომ საქართველოში მიწის დასამუშავებელი ხვედრითი წილი ძალიან დაბალია. საქართველო მცირე მიწიანი სახელმწიფოა. ერთ სულ მოსახლეზე მოდის სასოფლო–სამეურნეო სავარგულების 0,64 ჰა და სახნავის 0,14 ჰა. მთლიანი მიწის ფონდიდან საქართველოში სახნავ-სათესი მიწებია მხოლოდ 9,26%, 3,97% –მრავალწლიანი ნარგავებისაა, ნასვენი და სათიბ–საძოვარი მიწები 28,7%. სულ საქართველოში სასოფლო–სამეურნეო სავარგულებს უჭირავს მიწის ფონდის 41,7%, ამასთანავე საქართველოს ნიადაგები საგრძნობლად ეროზირებულია და ასეთი მიწები 33% შეადგენს, ქვეყნის სპეციკიური თავისებურებაა ის, რომ სახნავის უმეტესი ნაწილი განლაგებულია სხვადასხვა დაქანების ფერდობებზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახნავების 9% განლაგებულია 10–გრადუსზე მეტ დაქანებაზე, 1 მილიონ ჰა –მდე დაზიანებულია მეწყერებით, ღვარცოფებით და თოვლის ზვავებით. ამჟამად საქართველოში აღრიცხულია 10 ათასზე მეტი მეწყერი და 1000-მდე ღვარცოფიანი აუსი. სოფლის მოსახლეობის 25 ათასამდე მეტი სახლი დაზიანებულია ან იმყოფება მეწყერის გაელენის ზონაში. საქართველოში საერთო ფარ-

ოობიდან ტყის და მოა – მდელოს ნიადაგებზე მოდის 68%, მიწამოქმედებისთვის ეარგისი ტენიან სუბტროპიკულ ტყესტეპების ნიადაგებზე მოდის 24%, ხოლო დამლაშებული და დაჭობებული ნიადაგზე – 8%.

საქართველოში 1921 წელს "ბოლშევიკების" გამარჯვების შემდეგ, მიწაზე გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრება. 1930-37 წლებში, კოლმეურნეობების ჩამოყალიბების პერიოდში, სახელმწიფო მიწის ნაწილი კოლმეურნეობებს გადაეცა მუდმივ სარგებლობაში. კოლმეურნეობების (არტელების) გამგეობა კოლწევრებს აძლევდა მიწას სარგებლობაში (ე.წ საკარმიდამო მიწები). საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბების პერიოდში საბჭოთა მეურნეობების დირექტორის ბრძანებით, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს ეძლეოდათ მიწის ნაკვეთები სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად. სახელმწიფოს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი კომლისათვის (ოჯახისთვის) შეეძლო მიწის ჩამორთმევა და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა.

1965-72 წლებში დაიწყო და გრძელდებოდა ქალაქების მოსახლეობისთვის უფასოდ საბოსტნე ნაკვეთების დარიგება 600 კვ.მ ფარგლებში. 1972 წელს დაიწყო დარიგებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა. შეშინებულმა ბევრმა თბილისელმა ჩამორთმევის გარეშე მიატოვა კანონიერად მიღებული მიწის ნაკვეთი და დაწყებული სახლის მშენებლობა. ეხლაც თბილისის საგარეუბნეო ზონაში მცხეთა, თეთრწყარო, დუშეთი, თიანეთი, გარდაბანი, მარნეული და სხვა რაიონებში მიტოვებულია და გაპარტახებულია მიწის ნაკვეთები ნახევრად აშენებული სახლებით. სულ სხვა სურათი იქნებოდა ქ. თბილისის გარეუბნებში, საქართველოს იმ დროინდელ ხელმძღვანელობას რომ არ დაეწიოკებია ქ. თბილისის მოსახლეობის ნაწილი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არის საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის (მეფრინველეობის, მეთევზეობის) პროდუქციის წარმოებისათვის მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავებით ან/და შენობა-ნაგებობებით ან მათ გარეშე. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას მიეკუთვნება:

1. სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები;

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სასოლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლისა და ტყის ფონდის მიწები;

3. საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო ნაკვეთები;

4. დასახლებული პუნქტების ფარგლებს გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგამბულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება;

5. ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახლებათა ფარგლებში მდებარე მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ არის შეცვლილი და რომელთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. სამელიორაციო ქსელით დაკავებული მიწები;

7. სხვა მიწა, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.

საოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის პირველი ეტაპი

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1992 წელს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო სამი დადგენილება 18 იანვარს, 7 თებერვალს, და 10 მარტს. ეს სამი დადგენილება, "საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ". შეიძლება ითქვას ისტორიული და რევოლუციური დადგენილებებია. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილზე გამოცხადდა კერძო საკუთრება.

საქართველოს საოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გაიყო ორ ნაწილად: ერთი ნაწილი გადაეცა რეფორმის ფონდს და კომლებს (ოჯახებს) დაურიგდა უფასოდ კერძო საკუთრებად, ხოლო მიწის მეორე ნაწილი სახელმწიფომ თავად დაიტოვა საკუთრებაში და მისი იჯარით გაცემა დაიწყო. საქართველოს კანონი: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯა-

რის შესახებ", რომელიც მიღებული იყო 1996 წლის 28 ივნის №504 და გაუქმდა 1997 წლის 25 ნოემბერს ახალი სამოქალაქო კოდექსი მიღების შედეგად. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემა ხდებოდა სამოქალაქო კოდექსის თავი მეექვსე (მუხლები 592-606) შესაბამისად. 1998 წლის 2 აგვისტოს მიღებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 446 "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ". საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა თავისი 1998 წლის 20 აგვისტოს №2-372 ბრძანებით დაამტკიცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის ხელშეკრულების ტიპიური ფორმა.

მიწის რეფორმის პერიოდში საქართველოს კომლები (ოჯახები) დაიყო მიწის მიმღებთა 3 კატეგორიად და განისაზღვრა მიწის ზღვრული მაქსიმალური ნორმა. მიწები საკუთრებაში გადაიცა ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. მიწის მიმღებთა პირველ კატეგორიას მიეკუთვნენ სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები და სოფლად მუდმივად მცხოვრები სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მათთვის მიწის გასაცემი ფართობი განისაზღვრა ბარისა და ზეგნის რაიონებში 1 ჰექტარამდე, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო – 1,25 ჰექტარამდე, მთის რეგიონებში – 5 ჰექტარამდე.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნენ სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეები. მათ განესაზღვრათ გასაცემი მიწის ფართობი ბარის და ზეგნის რაიონებში 0,75 ჰექტარამდე, ხოლო მთის რაიონში 5 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები 0,75 ჰექტარამდე)

მესამე კატეგორიას მიეკუთვნენ ქალაქად და დაბად მცხოვრებნი, რომელთაც საკუთრების უფლებით მიღებული ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი და ქალაქად და დაბაში მცხოვრები ის მოქალაქეები, რომელთაც სურდათ სოფლად მიეღოთ საკარმიდამო მიის ნაკვეთები მათ განესაზღვრათ 0,25 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი, ხოლო თბილისის საგარეუბნო ზონებში 0,15 ჰექტრამდე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა გამოიწვია ისედაც დაქუცმაცებული სასოფლო-სამეურნო დანიშნულების მიწების დაქუცმაცება.(პარცელაცია) ასე მაგალითად: დედოფლისწყაროს რაიონში მიწის რეფორმამდე ირიცხებოდა 46 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა, რომელიც წარმოდგენილი იყო 560-მდე მიწის ნაკვეთზე, რეფორმის შედეგად 46 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი დანაწევრდა 26000 მიწის ნაკვეთად, რის შედეგადაც დედოფლისწყაროს რაიონში მარცვლეულის წარმოება შემცირდა ოთხჯერ. ანალოგიური მდგომარეობა სხვა რაიონებშიც.

სამოქალაქო კოდექსის 1460 მუხლში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილება მემკვიდრეთა შორის რეგულირდება აღნიშნულია: „თუ მესაკუთრემ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელზედაც საადგილმამულო მეურნეობაა მოწყობილი, ანდერძით რამოდენიმე მემკვიდრეს დაუტოვა. ან თუ ანდერძი არ იყო დატოვებული და კანონით მემკვიდრე რამდენიმეა, მაშინ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზე მოწყობილი საადგილმამულო მეურნეობა შეიძლება დაიყოს მემკვიდრეთა შორის, თუ ამგვარი დაყოფის შედეგად თითოეული მემკვიდრეზე მოსული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფს სიცოცხლისუნარიან მეურნეობის არსებობას "მიუხედავად **ამისა, საჭიროა ანდერძის არ არსებობის შემთხვევაში მემკვიდრეობის თანაბრად გაყოფის საკითხზე ყურადღების გამახვილება. სხვაგვარად, მემკვიდრეობა სასოფლო-სამეურნეო მიწის შემდგომ ფრაგმენტაციამდე მიგვიყვანს**

ეს უძრავი ქონების გაყოფის იმგვარ საშუალებას იძლევა, რომ ანდერძის არ არსებობის შემხვევაში ჩნდება თითოეული ნაკვეთის გარკვეული რაოდენობით მემკვიდრეებზე განაწილების შესაძლებლობის საშიშროება, რაც მომავალში მიგვიყვანს მიმდინარე, სასოფლო-სამეურნეო მიწის სახელმწიფო მასშტაბის ფრაგმენტაციამდე.

"სასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აკრძალული იყო მიწის ნაკვეთის გასხვისება, თუ გასხვისების შედეგად დარჩენილი ფართობი 5 ჰექტარზე ნაკლები იქნებოდა. სამწუხაროდ კანონიდან ეს პუნქტი ამოღებული იქნა. გარკვეული პერიოდის შემდეგ აღსდგა ეს წესი, მაგრამ შემდეგ ისევ გაუქმდა, რის შედეგადაც ხელი შეეწყო მიწების დანაწევრებას.

რეფორმის დროს, მიწა განაწილდა კომლებზე. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს "კომლის" ზუსტი განსაზღვრება. ამ უზუსტობამაც გარკვეული როლი ითამაშა მიწების დანაწევრებაში.

ასეთმა მდგომარეობამ არა მარტო ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას არამედ საქართველო უკან დასწია და ღარიბ, არსებობაზე ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია.

საოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის მეორე ეტაპი

1996 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნიწის საკუთრების შესახებ", რომლის საფუძველზე 1992 წლიდან საქართველოს მოქალაქეთა კომლებისათვის (ოჯახებისათვის) გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე საბოსტნე, სააგარაკო, სამოსახლო, საკარმიდამო ნაკვეთები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად. მედიცინის, განათლებისა და კულტურის სფეროს მიკუთვნებული მუშაკების კომლები(ოჯახები) გაუთანაბრდა მიწის მიმღებთა პირველ კატეგორიას. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ კომლებს(ოჯახებს), რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკუთვნოდა მიწის ნაკვეთი, მაგრამ არ გადასცემიათ, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემის ვადა 2006 წლის 31 დეკემბრამდე განხარგძლივდა.(საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უფასო გადაცემა(მიწის რეფორმის პერიოდი) დამთავრდა 1998 წლის 31 დეკემბერს.

სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის, მაღალი სოციალური ფუნქცია განაპირობებს მათი სამართლებრივი რეჟიმის სიმკაცრეს. სწორედ ამ მიზეზით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების შეძენისაგან განსხვავებით. ასე მაგალითად, თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შეუძლია ყველა ქმედუნარიან ფიზიკურ (მოქალაქეობის მიუხედავად) და იურიდიულ პირს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ მხოლოდ, საქართველოს მოქალაქეებს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, იმის მიუხედავად თუ ვინ არის მისი დამფუძნებელი (საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, თუ მოქალაქეობის არ მქონე პირი). რაც შეეხება უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს მათ საკუთრების უფლება კანონით განსაზღვრული დროით (6 თვე) აქვთ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც მათ მიიღეს მემკვიდრეობით და ასევე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც უცხოელი მართლზომიერად ფლობდა როგორც საქართველოს მოქალაქე ("სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონი). ამ შემთხვევაში უცხოელი და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებული არიან თავიანთ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისონ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე. კანონის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლო გადაწყვეტილებით და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმევათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ამ დროს გამოიყენება "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები.

ახალი **კონსტიტუციით**, ასევე დიდი პროგრესი გაკეთდა მიწის კანონმდებლობასთან მიმართებაში. მიწათსარგებლობის უსაფრთხოება და ქონების უფლებები დაცულია კონსტიტუციის **21 მუხლით**. ქონება მიჩნეულია ხელშეუხებლად. უნივერსალური უფლებები მოიცავს საკუთრებას, შესყიდვას, ტრანსფერს/გადაცემას და მემკვიდრეობას. კონსტიტუცია, უზრუნველყოფს იმასაც, რომ საზოგადოების საჭიროებების გამო ამგვარი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს. რასაც კანონი შესაბმისი პროცესის მეშვეობით და სათანადო კონპენსაციის გადახდით უზრუნველყოფს: "აღნიშნული უფლებათა შეზღუდვები.. დასაშვებია საზოგადოებრივი საჭიროებისთვის, კანონით განსაზღვრულის მიხედვით და დადგენილი უფლებით. კონფისკაცია საზოგადო-

ებრიეი საჭიროებისთვის დასაშვებია კანონით განსაზღვრულ ეითარებებში, სასამართლოს დადგენილებით ან ორგანული კანონის თანახმად გადაუდებელი საჭიროებისთვის, მაგრამ, მხოლოდ სრული კომპენსაციის გზით."

საქართველოს კონსტიტუციის **21-ე მუხლი** მიწის მესაკუთრეობისა და მიწის გადაცემის ფუნდამენტური უსრუნველყოფაა. სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში არ სრულდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საფუძველს, რომ გავაკეთოთ დასკვნა: საქართველოში დადგა ის პერიოდი, რომ აუცილებლობას წარმოადგენს დაეიწყოთ მუშაობა მიწების კონსოლიდაციის საკითხებზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია დღესაც აქტუალური თემაა. პრივატიზებას ექვემდებარება იჯარით გაცემული და იჯარით გაუცემელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის მესამე ეტაპი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია დაიწყო 2005 წლის 8 იელისიდან, როდესაც მიღებული იქნა საქართველოს კანონი: "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" ეს კანონი გაუქმდა 2010 წლის 21 ივლის, ახალი კანონის: "სახელმწიფო ქონების შესახებ" მიღების შედეგად. ახალი კანონის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება შესაბამისი სასყიდლის გადახდით აუქციონისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით. თავის მხრივ პირდაპირი მიყიდვა შეიძლება განხორციელდეს ა) პირდაპირი მიყიდვა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე; ბ) პირდაპირი მიყიდვა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით კონკურენტული შერჩევის საფუძველზე და გ) იჯარით გაცემული მიწის პირდაპირი მიყიდვა (კანონი "სახელმწიფო ქონების შესახებ" მუხლი 7 პუნქტი 1).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია

აუქციონის ფორმით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების ინიცირების უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, სამინისტროს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) და მესამე პირს. (კანონი "სახელმწიფო ქონების შესახებ" მუხლი 8, პუნქტი 1). მესამე პირებში მოიაზრებიან ფიზიკური ან იურიდიული პირები ან პირთა გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ქონების პრიეატიზების მსურველთა მოძიებას და პრივატიზაციის ინიცირების გზით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ხელშეწყობას და რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

როდესაც პრივატიზაციის ინიცირებისათვის საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, აგრეთვე მესამე პირს სურთ აუქციონის ფორმით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება, საქართველოს კანონის სახელმწიფო ქონების შესახებ მუხლი 8 პუნქტი 4-ის შესაბამისად ისინი ვალდებულნი არიან:

- შეარჩიონ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ნაკვეთები) და საჭიროების შემთხვევაშიო დაყონ ოპტიმალური ზომის ნაკვეთებად, მაგრამ არანაკლებ 3 ჰექტრიან ნაკვეთებისა. ეს შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ შერჩეული ნაკვეთის ფართობი 3 ჰექტარზე ნაკლებია;

- დაამზადონ შერჩეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დეტალური აზომვითი საკადასტრო ნახაზი, აგრეთვე მათ უნდა მოიკვლიონ ინფორმაცია ამ ნაკვეთის კატეგორიისა და ხარისხის თაობაზე;

- პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს წარუდგინონ განცხადება აუქციონის ფორმით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების ინტერესის გამოხატვის შესახებ.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფასები კატეგორიების მიხედვით ლარებში

	სახნავი	სათიბი	საძოვარი
მინიმალური ფასი	300	120	60
მაქსიმალური ფასი	1000	120	60

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება ხორციელდება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, რომლის აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფოსა და მოიჯარეს შორის გაფორმებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საიჯარო ხელშეკრულების არსებობა. ზემოაღნიშნული პრივატიზაცია ხორციელდება საიჯარო ხელშეკრულების, საჯარო რეესტრიდან ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე.

დაუშვებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილის პრივატიზება, როდესაც ის ერთ ნაკვეთად არის რეგისტრირებული. თუ იჯარით გაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი შედგება რამდენიმე, ერთმანეთისაგან სივრცობრივად დამოუკიდებელი მიწის ნაკვეთისაგან, მოიჯარეს უფლება აქვს, გამოისყიდოს მისთვის სასურველი მიწის ნაკვეთი/ნაკვეთები. ამ შემთხვევაში დარჩენილი იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთზე/ნაკვეთებზე საიჯარო ხელშეკრულება უქმდება და ის ექემდებარება სახელმწიფოს მხრიდან გაყიდვას, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზაციისათვის დადგენილი წესით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2010 წლის 21 ივლისის საქართველოს კანონის "სახელმწიფო ქონების შესახებ" შესაბამისად თუ მოიჯარე 2011 წლის 1 მაისამდე არ მიმართა შესაბამის ორგანოს (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანო ან სამინისტროს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი აფხაზეთის/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო) მისი იჯარის ქვეშ მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მოთხოვნით, მაშინ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, "სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, გაიყიდება, როგორც, იჯარით გაუცემელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული კანონის მიღების შესახებ სოფლის მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული, რამაც გამოიწვია მოიჯარების უკმაყოფილება, რადგან მათ დროულად ვერ გაიგეს კანონის წესების შესახებ და შეექმნათ პრობლემები იჯარით აღებული მიწის გამოსყიდვაზე. დროულად ვერ გადაიხადეს მიწის გამოსყიდვის საფასური, ხოლო ზოგიერთებმა დაკარგეს გამოსყიდვის უფლება დროულად განცხადების წარუდგელობის გამო.

პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყის ფასს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით ადგენს საქართველოს მთავრობა. თუ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები ან/და მრავალწლიანი ნარგავები, ასეთი მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული ნაგებობები/მრავალწლიანი ნარგაევები, გაიყიდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საფასურად. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას და იჯარით გაცემული სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მიწის ნაკვეთის საწყისი საფასურის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის ფასები კატეგორიების მიხედვით ლარებში

	სახნავი	სათიბი	საძოვარი
2011 წლის 1 იანვრამდე			
მინიმალური ფასი	80	25	15
მაქსიმალური ფასი	570	60	30
2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 მაისამდე			
მინიმალური ფასი	300	120	60
მაქსიმალური ფასი	1000	120	60

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის გამონაკლისი შემთხვევები

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სხვა პირზე იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენს საქართველოს სამოქიქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის და უსახლკაროდ დარჩენილი საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება ხორციელდება უსასყიდლოდ (კანონი "სახელმწიფო ქონების შესახებ" მუხლი №3, მუხლი № 11)

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის საკითხები

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ძირითადი ნაწილი რეგისტრირებული არ არის. ეს რამოდენიმე გარემოებებით არის გამოწვეული, პირველი ეს არის სოფლის მოსახლეობის თვითშეგნების საკითხი, მათ იციან თავიანთი ნაკვეთების ადგილმდებარეობა, და ვერ ხედავენ რეგისტრაციის აუცილებლობას; ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პირველადი რეგისტრაცია ფასიანია და საქართველოს კანონით "საჯარო რეესტრის შესახებ" აღნიშნული საფასური შეადგენს 50 ლარს თითო ნაკვეთზე, ერთი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვა რეგისტრაცის საფასურის ჩათვლით სულ ცოტა 100-200 ლარი ჯდება. კომლების დიდ უმრავლესობას მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები წარმოდგენილია სიერცობრივად დაშორებული 3-5 ნაკვეთად, ზოგიერთ შემთხვევაში (განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში) 7 და მეტ ნაკვეთად. ასეთი მიწის ნაკვეთების საკუთრებაში რეგისტრაცია კომლს 1000 ლარამდე უჯდება, რის გამოც სოფლად მაცხოვრებელი კომლების (ოჯახების) დიდ უმრავლესობას არ აქვთ საშუალება მოახდინონ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში რეგისტრაცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 5 ივნისამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირველადი რეგისტრაცია იყო უფასო, ხოლო შემდგომი 7 ლარი.

მიწის დანიშნულების შეცვლა

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დანიშნულების შეცვლას, ხოლო რაც შეეხება სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაყვანას არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დანიშნულებით, ხდება საქართველოს კანონის "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულები-

სა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ" შესაბამისად, რომელიც მიღებულია 1997 წელს.

ამ კანონის თანახმად მიწის მიზნობრივ დანიშნულების შეცვლას ექვემდებარება: სარეკრეაციო ტერიტორიების (გუდაური, ბაკურიანი, ურეკი და ბახმარო) საზღვრებში და ქალაქ თბილისის და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომელთა კატეგორის შეცვლა ფასიანია და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომელთა კატეგორიის შეცვლა უფასოა

კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე კატეგორიის შეუცველად შესაძლებელია აშენდეს პირადი საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით. ეს ნორმა არ მოქმედებს სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრებში მოქცეულ მიწებზე.

მიწის მიზნობრივ დანიშნულების შეცვლას ქალაქებში თბილისსა და ბათუმში, ასევე სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრებში ახორციელებდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ხოლო 2011 წლის 11 მარტიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. სხვა რეგიონებში კი, საკომპენსაციო თანხის გარეშე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახური. სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრებში მოქცეული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო საკომპენსაციო თანხა შეადგენს 100 000 ლარს ჰექტარზე, ხოლო ქალაქ თბილისისა და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწებისათვის 34 001 ლარი ჰექტარზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დანარჩენ ტერიტორიაზე მიწის კატეგორიის შეცვლა ხდება არა უბრალოდ უფასოდ, არამედ მას არ ჭირდება სახელმწიფო ინსტიტუტის თანხმობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახური შესაბამისი განცხადების საფუძველზე ახდენს მის რეგისტრაციას.

მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება

უკანასკნელი სამ-ოთხი წელია, რაც საქართველოში ძალზედ აქტუალური გახდა სახელმწიფო საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარების საკითხი, რომლებიც ამ პირებს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) აქვთ, აგრეთვე თვითნებურად არის მათ მიერ დაკავებული გარკვეული პერიოდის მანძილზე. ეს საკითხები რეგულირდება საქაროველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონით "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის 27 ივლისს და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის ბრძანებულებით. ზემოაღნიშნული აქტების მიღების საკითხი დღის წესრიგში დადგა იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობის გამო, რის წინაშეც უკვე რამოდენიმე ათწლეული იდგა საქართველოს სხვადასხვა რაიონები და ქალაქები, მაგალითად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, არის მთელი დასახლება (ნახალოეკა) სადაც ძირითად ნაწილს არანაირი საბუთი არ გააჩნდა (ურბანულ) მიწის ნაკვეთზე და შესაბამისად მასზედ აღმართულ შენობა-ნაგებობებზე. ყოველივე ეს დიდ პრობლემებს უქმნიდა როგორც ასეთ უბნებში მაცხოვრებლებს, ვინაიდან მათ არ შეეძლოთ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების მართვა და განკარგვა, ასევე სახელმწიფოს, ვინაიდან იყო მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვის პრობლემა, უძრავი ქონების აღრიცხვის რეალური პრობლემა და ა.შ.

საკუთრების უფლების აღიარებას დაქვემდებარებული მიწები

დაკანონებას ექვემდებარება ორი კატეგორიის მიწა: მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული და თვითნებურად დაკავებული მიწა.

მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწად ითვლება სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზეც ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა 2007 წლის ივლისამდე, ასევე ტექნიკური ინვენტარი-

ზაციის არქივში, რომელიც დღეს საჯარო რეესტრს ეკუთვნის, 1994 წლამდე აღრიცხული თვითნებურად დაკავებული მიწა ("ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქ. კანონის მე-2 მუხლის ა პუნქტი) თვითნებურად დაკავებულ მიწად ითვლება ფიზიკური პირის მიერ 2007 წლის იელისამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული)ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა, ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართლმზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე,თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა, რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული, გარდა მართლზომიერ მფლობელობის შემთხვევებისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისის ტერიტორიაზე საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება საქ. პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით განსაზღვრული მაგისტრალური მილსადენების დაცვის III და IV ზონებში თვითნებურად დაკავებული სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა.

მიწის ნაკვეთები, რომლებიც არ ექვემდებარება დაკანონებას

დაკანონებას არ ექვემდებარება შემდეგი მიწები: პირუტყვის გადასარეკი ტრასა, წყლის ფონდის მიწები, დაცული ტერიტორია, რეკრეაციული დანიშნულების პარკი, ტყე-პარკი, სკვერი და სხვა, ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო რელიგიური ძეგლები, საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთი (მოედანი, ქუჩა, გასასვლელი, გზა, ტროტუარი, სანაპირო) და დასასვენებელი ადგილის (პარკი, ტყეპარკი, სკვერი, ხეივანი) მიწები, თუ მასზე განთავსებულია წყალსაცავი, ჰიდროტექნიკური ნაგებობა და ამ ობიექტის სანიტარულ დაცვითი ზონები; წყლები, რომელზეც განლაგებულია საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციების, წყლმომარაგების, კანალიზაციის, კავშირგაბმულობისა და ელექტრო გაყვანილობის) ობიექტები; სპეციალური დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მაგალითად ოავდაცვის და მობილიზაციისთვის განკუთვნილი; სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ობიექტებით დაკავებული მიწის ნაკვეთები, სასაფლაო და პანთეონი; სანიტარული და დაცვის ზონები; მიწები, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის მაგისტრალური მილსადენების მშენებლობისათვის.

ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებას

ქ. თბილისის საკრებულოსთან აგრეთვე, ყველა ქალაქის და რაიონის საკრებულოებში შექმნილია მუდმივმოქმედი კომისიები, რომლებიც განიხილავენ მოქალაქეთა განცხადებებს თვითნებურად დაკავებული მიწის დაკანონების საკითხებზე. რაც შეეხება, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას აღნიშნული ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში მართლმზომიერი მფლობელის (მოსარგებლის) საკუთრების უფლების რეგისტრაციით. ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრის შესაბამისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური განცხადების განხილვისას ეყრდნობა ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის მონაცემებს, სადაც რეგისტრაციის განცხადებით მოთხოვნილი ობიექტი აღრიცხული უნდა იყოს 1994 წლამდე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე.

მართლზომიერ მფლობელოში არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების დაკანონება (აღიარება)

მართლზომიერ მფლობელოში არსებული მიწა დაინტერესებულ ფიზიკურ პირს საკუთრებაში გადაეცემა უსასყიდლოდ. ასეთი მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია ფიზიკურ პირებზე ხორცი-

ელდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 300 ლარიანი, ხოლო სასოფლო სამეურნეო მიწაზე 50 ლარიანი ქვითრის გადახდით, (გარდა ქ. თბილისისა და ქ. ბაოუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწებისა), იურიდიულ პირზე და იმ შემთხვევაში როდესაც მიწის მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებობა დგინდება ამ მიწაზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ხუთმაგ ოდენობას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე - საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ხუთმაგ ოდენობას.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის შეადგენს: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე მოთხოვნის დროისათვის შესაბამის მიწაზე მოქმედ ნორმატიულ ფასს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ასმაგ ოდენობას. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხონის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ათმაგ ოდენობას, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე - საკუთრების უფლების აღიარების მოთხონის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ოცმაგ ოდენობას, მაგრამ თუ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ოცმაგი ოდენობა მეტია მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე მოქმედ ნორმატიულ ფასზე, მა'შინ თვითნებურად დაკავებული მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს მოთხოვნის დროისათვის შესაბამის მიწაზე მოქმედ ნორმატიულ ფასს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაადგინოს თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასურისაგან გათავისუფლების შემთხვევები.

კერძო სამართლის იურიდიული პირის მართლმზომიერ ფლობელობა'ში(სარგებლობა'ში) არსებული მიწებზე 2011 წლის იელისიდან საკუთრების უფლების აღიარების საფასური გაუთანაბრდა კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწაძე საკუტრების უფლების აღიარების საფასურს.

2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიული პირი კარგავს მართლმზომიერ ფლობელობა'ში(სარგებლობა'ში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებას. აღნიშნული თარიღის შემდეგ საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია სახელმწიფო ქონების პრიეათიზაციისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

გამონაკლისი შემთხვევები

რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლად მცხოვრებ კომლებს (ოჯახებს), რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრება'ში არ გადასცემიათ მიწის ნაკვეთები, მართლზომიერ მფლობელობა'ში არსებულ მიწის ნაკვეთებთან ერთად 2007 წლის ივლისამდე თვითნებურად დაკაებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან 0,30 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთები საკუთრება'ში გადაეცემათ უსასყიდლოდ.

გამონაკლის შემთხვევებს მიეკუთვნება ასევე წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2009 წლის 1 ივნისის მდგომარეობით ჩასახლებული კომლების (ოჯახებს) საკითხი, რომლებ-

საც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წალკის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საკუთრებაში არ გადასცემიათ მიწის ნაკვეთები ან/და რომელსაც თვითნებურად აქვთ დაკავებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრის ფარგლებში 0,03-დან 1 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთები საკუთრებაში გადაეცემათ უსასყიდლოდ.

მიწის/უძრავი ქონების ექსპროპრიაცია

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს 1) საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას და 2) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას მიწის/უძრავი ქონების ექსპროპრიაციას

ექსპროპრიაცია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევას ექსპროპრეაციის გზით (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი) 1997 წლის 11 ნოემბერს მიღებულია საქართველოს ორგანული კანონი "საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ". კანონი მკაცრად განსაზღვრავს იმ წესსა და პირობებს, როდესაც დასაშვებია, პირს შეეზღუდოს კანონიერი საკუთრების უფლება. გადაუდებელ აუცილებლობას განეკუთვნება ეპიდემია, რომლის დროსაც ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის გამო, საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახლმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას. ამ შემთხვევაში, საკუთრების უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი, აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დაწესებულება ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება სამოქმედო ობიექტი. ჩამორთმეული საკუთრების ობიექტის შეფასება ხდება საბაზრო ფასის მიხედვით, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. საკუთრების ობიექტის საფასური მესაკუთრეს მიეცემა საკუთრების ჩამორთმევამდე. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით. გადაწყვეტილება საკუთრების ჩამორთმევისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ექსპროპრიაცია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას

1999 წლის 23 ივნისს მიღებულ იქნა კიდევ ერთი კანონი "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ". ამ კანონის მიზანია, განსაზღვროს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებისა და ექსპროპრიაციის განხორციელების წესი. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება.

რა შემთხვევაში ხორციელდება ექსპროპრიაცია

კანონის თანახმად, კერძო საკუთრების უფლების ჩამორთმევა შესაბამისი ანაზღაურებით, ანუ ექსპროპრიაცია ხორციელდება მხოლოდ შემდეგი სამუშაოების წარმოების მიზნით:

ა) გზის და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობისათვის;

ბ) რკინიგზის ხაზებისგაყვანისათვის;

გ) ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების მილსადენებისგაყვანისათვის;

დ)ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობისათვის;

ე)წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ატმოსფერული ნალექების კოლექტორული ხაზების გაყვანისათვის;

ვ) სატელეფონო ხაზების გაყვანისათვის;

ზ) სატელევიზიო კაბელების გაყვანისათვის;

თ)საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობის და ობიექტის მშენებლობისათვის;

ი) ეროვნული თავდაცვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის;

კ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის.

ორგანო, რომელიც იღებს ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილებას და ექსპროპრიაციის პროცედურა

ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილებით დგინდება სახელმწიფო ორგანო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან და საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება. სასამართლოს გადაწყვეტილება აგრეთვე უნდა შეიცავდეს საექსპროპრიაციო ქონების დეტალურ აღწერას და შესაბამის მითითებას მესაკუთრისათვის სათანადო კომპენსაციის გადაცემის აუცილებლობის თაობაზე.

ყველა მესაკუთრე, რომლის ქონება საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევას ექვემდებარება ინფორმირებული უნდა იყოს ამის შესახებ. ინფორმაციას მას აწედის მინისტრის შესაბამისი ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ ექსპროპრიაციის უფლების მოპოვებით დაინტერესებული პირი. აგრეთვე, ქვეყნდება ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში.

გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს პროექტისა და მისი განხორციელების ფარგლებს, აგრეთვე ტერიტორიისა და სავარაუდო საექსპროპრიაციო ქონების მოკლე აღწერას. საექსპროპრიატორმა უნდა განახორციელოს ყველა სათანადო ღონისძიება, რათა ქონება მიიღოს მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე. იგი წინასწარ უთანხმდება ქონების მესაკუთრეს კომპენსაციის შესახებ.

ქონების შეძენაზე მოლაპარაკების დაწყებამდე ექსპროპრიატორი ქონების მესაკუთრეს წარუდგენს წინადადებას ქონების შეძენის და ამ ქონების კომპენსაციის წესის შესახებ. იგი თავისი ხარჯით, დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით, აფასებს ქონებას და განსაზღვრავს მესაკუთრისათვის გადასაცემ სავარაუდო საკომპენსაციო თანხას ან სხვა ქონებას, საექსპროპრიაციო ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად. მესაკუთრე უფლებამოსილია, თავისი ხარჯით ისარგებლოს სხვა დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით. მოწვეულ დამოუკიდებელ ექსპერტს უფლება აქვს, ქონების შეფასების მზინით და მესაკუთრის თანხმობით დაათვალიეროს ქონება, ჩაატაროს კვლევა, აიღოს ნიმუშები და განახორციელოს სხვა მოქმედებები. საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ მესაკუთრისათვის კომპენსაციის სახით სხვა ქონების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით. ექსპროპრიატორი მესაკუთრეს შეფასებას წარუდგენს წერილობითი ფორმით, სადაც აღნიშნულია კომპენსაციის განსაზღვრის საფუძველი. კომპენსაციის სახით შეთავაზებული სხვა ქონების საბაზრო ღირებულება ან საკომპენსაციო თანხა არ უნდა იყოს ექსპერტის შეფასების შედეგად განსაზღვრულ თანხაზე ნაკლები.

საექსპროპრიაციო ქონების კომპენსაციის შესახებ შეთანხმების დადებისას, აკრძალულია ექსპროპრიატორის მიერ საკომპენსაციო თანხის ან სხვა ქონების გადაცემისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე, სხვა რაიმე ძალდატანებითი მოქმედება ქონების მესაკუთრის მიმართ. ქონების შესახებ წინადადება უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე იმ ქონების კომპენსაციას, რომლის ზომა, ფორმა და მდგომარება უმნიშვნელოა ან ნაკლებად ღირებულია, მაგრამ დაკავშირებულია შესაძენ ქონებასთან და ამ ქონების გარეშე გამოუსადეგარია.

დავა და მისი გადაწყვეტა ექსპროპრიაციისას

თუ ექსპროპრიატორი და ქონების მესაკუთრე ვერ თანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებაზე და საკომპენსაციო თანხაზე, ან კომპენსაციის სახით შეთავაზებული ქონების გადაცემაზე, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს, სარჩელი შეიტანოს სასამართლოში. თუკი საქმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლო უფლებამოსილია, ქონების შეფასების მიზნით დანიშნოს დამოუკიდებელი ექსპერტი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. დამოუკიდებელი ექსპერტი განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს სასამართლოს საექსპერტო დასკვნას ქონების, ასევე ამ ქონების სანაცვლოდ მესაკუთრისათვის კომპენსაციის სახით შეთავაზებული სხვა ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის, აგრეთვე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე, საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ, ქონების მესაკუთრისათვის გადასაცემი კომპენსაციის საბოლოო შეფასებას ახორციელებს სასამართლო. ექსპროპრიატორი ვალდებულია, გადაიხადოს მხარეთა

მიერ გაღებული ყველა ხარჯი, მათ შორის, სამართალწარმოების, ქონების შეფასებასთან და მის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ექსპროპრიაციის თავისებურებანი

თუკი ექსპროპრიაცია ეხება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, გასათვალისწინებელია აგრეთვე მათზე არსებული ნათესების ღირებულება. გამოთანგარიშება ხდება იმ შემოსავლის მიხედვით, რომელსაც ქონების მესაკუთრე სამეურნეო წლის განმავლობაში მიიღებდა, თუკი მიწაზე თესვა განხორციელდებოდა. თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე თესვა განხორციელდება ქონების შეფასების შემდეგ, მათი ღირებულება არ გაითვალისწინება კომპენსაციის განსაზღვრისას.

საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევა

საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტების შესწავლა ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ასეთები ძირითადად სახელდება ტურისტულ და ინფრასტრუქტურის განვითარების ზონებში. ასე მაგალითად საკუთრების უკანონო ჩამორთმევის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შესწავლილი იყო გონიოს (შავი ზღვის ტურისტული ზონა) ტერიტორიაზე 271 ოჯახისთვის ორი წლით ადრე დაკანონებული მიწის ნაკვეთების კომპენსაციის გარეშე ჩამორთმევის ფაქტი, (დაკანონების საფუძველი იყო მათ მიერ ამ ნაკვეთებით ტრადიციული სარგებლობა), საკუთრების ბათილობის ძირითად მიზეზად მთავრობის მიერ ჩაითვალა ის რომ ნაკვეთები მოქცეული იყო კულტურული მემკვიდრეობის ზონაში.

მიწაზე ქონების გადასახადი

ქონება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით არის დასაბეგრი ქონება (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა შეუზღუდავი შეძენა, ფლობა, განკარგვა და სარგებლობა შეუძლიათ პირებს) და მიწა.

მიწაზე ქონების გადასახადი მიეკუთვნება ადგილობრივ გადასახადს, რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

ფიზიკური პირი გადასახადს იხდის მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწაზე) მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, შენობა-ნაგებობაზე ან მათ ნაწილზე, იახტებზე, კატარღებზე, შვეულმფრენებზე, თვითმფრინავებზე, არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არა უმეტეს 0,2 პროცენტისა;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

საქართველოს მთავრობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის ზღვრული ოდენობის ფარგლებში ადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთს. სათიბებისა და საძოვრებისათვის- ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის სახეობების მიხედვით 1,5 ლარიდან 20 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში. სხვა მიწებისათვის ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის სახეობების მიხედვით 50 ლარიდან 100 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს. იხილეთ დანართი 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, მიწის ხარისხისა და სახეობების მიხედვით

ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიურ საბაზისო განაკვეთს ლარებში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ადგენს საქართველოს

მთავრობა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 20 ლარიდან 50 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ წლიური საბაზისო განაკვეთის 50 პროცენტს.

ცხრილი 7. ინფორმაცია მიწაზე ქონების გადასახადის შესახებ, ლარი

მიწის კატეგორია	სათიბი	გაკულტურებული სათიბი	საძოვარი	გაკულტურებული საძოვარი	სახნავი		მრავალწლიანი ნარგავი		ტყის მიწა
					კარგი	მწირი	კარგი	მწირი	
მინიმალური	2.5	16	1.5	10	56	51	56	51	20
მაქსიმალური	18	20	15	16	100	74	100	74	50

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარის ოდენობით. ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5 მეტი. საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მიწაზე ქონების გადასახადისგან ფიზიკური პირებისათვის შეღავათებს.

ფიზიკური პირი ვალდებულია ქონების გადასახადის დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 მაისისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

ფიზიკური პირის ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.

მზია ფუტკარაძე
რსუ-ს სამართლის მაგისტრი

საკუთრების უფლების, როგორც ძირითადი უფლების დაცული სფერო და მასში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

ადამიანის ძირითადი უფლებების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები და მათი განხორციელების გარანტიები განმტკიცებულია ქვეყნის ძირითად კანონში კონსტიტუციაში.

ადამიანის ძირითად უფლებათა შორის უმნიშვნელოვანესია საკუთრების უფლება, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლის სრულფასოვანი განხორციელება, ეროი მხრივ ინდივიდის ღირსეული არსებობის და მეორე მხრივ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების არსებობის წინაპირობაა.

საკუთრების უფლება აღიარებული და დაცულია როგორც საერთაშორისო სამართლით, ისე ეროვნული კანონმდებლობით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ეროად. არავის არ ენდა ჩამოერთვას მისი ქონება თვითნებურად". საკუთრების დაცვაზე ამახვილებს ყურადღებას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი პირველი ოქმის პირველი მუხლი „ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში".

წინამდებარე საერთაშორისო ნორმები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც საკუთრების უფლების რეალიზაციას დაარეგულირებენ, მათ შორის დასაშვებად არის მიჩნეული საკუთრების უფლების, როგორც შეზღუდვა ასევე ჩამორთმევა.

ნაშრომში ავტორისეული ხედვის ჩამოყალიბებასა და ნორმათა შეფასებაში დიდი წვლილი მიუძღვის სასამართლო პრაქტიკას. საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში კონკრეტულად განმარტავს და განავრცობს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლების შინაარსს. „საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალი და უსენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედია. საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 იელისის №1/51 გადაწყვეტილება). „საკუთრების უფლებაც ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას. იმავდროულად კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად ის არის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ ასევე დემოკრატიულ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა". (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 იელისის №1/2/384 გადაწყვეტილება). „საკუთრება არის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. საკუთრების უფლების დაცვა უცხოა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, ხოლო დემოკრა-

ტიული, სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ერთი მხრივ, საკუთრების, როგორც ინსტიტუტის, კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტირება, ხოლო მეორეს მხრივ მესაკუთრისათვის, როგორც სუბიექტისათვის უფლების სამართლებრივი და საკმარისი საშუალებების მინიჭება, მისი ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, გულისხმობს არა მხოლოდ მესაკუთრისათვის უფლების დაცვის სამართლებრივი შესაძლებლობების მინიჭებას, არამედ საკუთრების დაცვას ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც არ თავსდება ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით დადგენილ ფარგლებში." (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის 2/1-370 გადაწყვეტილება).

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში საკუთრების უფლებას ძალზედ მაღალ სამართლებრივ ღირებულებას ანიჭებს, თუმცა ამ უფლების ფართოდ წარმოჩენისთვის უპირველეს ყოვლისა უნდა განიმარტოს თავად საკუთრების ცნება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში საკუთრების ცნება განისაზღვრება საკმაოდ ვრცლად და ეკონომიკური ინტერესების განსხვავებულ სახეებს მოიცავს. საქართველოს კანონმდებლობაში კი საკუთრება განიმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170 მუხლით, რომლის მიხედვით საკუთრებაში მოიაზრება ქონების (ნივთის) ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთობლიობა. ამავე კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით ქონება არის „ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს". ამდენად ქონების ცნებაში მოიაზრება, როგორც „სხეულებრივი ნივთები" ანუ უძრავ-მოძრავი ქონება ასევე „არასხეულებრივი ნივთები" ანუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (უფლებები), კერძოდ წილები, აქციები, პატენტი, ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და სხვა. შესაბამისად საკუთრების უფლების დაცულ სფეროში ხდება, როგორც მატერიალური ისე არამატერიალური კაპიტალი.

რაც შეეხება საკუთრების უფლების სუბიექტს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ უფლებით თანაბრად სარგებლობენ როგორც ფიზიკური პირები ასევე იურიდიული პირები. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია ყველასათვის ერთიანი და თანასწორი საკუთრების უფლება. ძველი საბჭოთა რეჟიმისაგან განსხვავებით ამჟამინდელ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში აღარ არსებობს პრივილეგირებული მესაკუთრის ინსტიტუტი სახელმწიფოს სახით.

მიუხედავად არსებული სამართლებრივი გარანტიებისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც საკუთრების უფლება ირღვევა ინდივიდ-სახელმწიფოს შორის წარმოშობილი გარკვეული კერძო თუ ადმინისტრაციული ურთიერთობისას. ზოგიერთ შემთხვევაში უფლების დარღვევა სათავეს იღებს არსებული საკანონმდებლო ხარვეზებიდან. ზოგჯერ კი ამის მიზეზი მოქმედი კანონმდებლობის არასწორად შეფარდება ხდება.

ბოლო წლებში საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არსებობს ფუნდამენტური ხასიათის პრობლემები, რომლებიც სათავეს კანონმდებლობიდან ან მისი არასათანადო შესრულებიდან იღებს.

თავდაპირველად განვიხილოთ თუ როგორ არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია საკუთრების უფლებას და შემდგომ განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით უზრუნველყოფილია თავისუფალ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის არსებობის საფუძველი–საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები გარკვეული დოზით საკუთრების უფლებასაც შეეხო. 21-ე მუხლის პირველ პუნქტში, სადაც საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების აღიარებასა და უზრუნველყოფაზეა საუბარი, დაემატა, რომ ეს უფლებები ამავდროულად არის გარანტირებული. ეს ნორმა ერთდროულად არის კერძო საკუთრების ინსტიტუტის და ადამიანის ძირითადი უფლების გარანტია. უზრუნველყოფს რა კერძო საკუთრების ინსტიტუტის ხელშეუხებლობას, ის მიმართულია კანონმდებლისადმი და ავალდებულებს მას, შექმნას ნორმათა ისეთი სისტემა, რომელიც ეჭვქვეშ არ დააყენებს ამ ინსტიტუტის არსებობას. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების გარანტია პირველ რიგში ნიშნავს

თითოეული მესაკუთრის უფლებას, თავი დაიცვას სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისაგან. კერძოდ კი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. მაგრამ საკუთრების გარანტირებულობა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე დაცვის უფლებით არ ამოიწურება, ის იმავდროულად ავალდებულებს სახელმწიფოს დაიცვას ეს უფლება, რაც ნიშნავს კანონმდებლობაში საკუთრების შინაარსის კონსტიტუციის შესაბამის რეგლამენტაციას.

მეორე პუნქტში, რომელიც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას საკუთრების უფლების შეზღუდვის საკითხს აწესრიგებს, დაზუსტდა, რომ ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ იმგვარად არის შესაძლებელი, რომ არ დაირღვევს საკუთრების უფლების არსი. საკუთრების დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტიები მუხლის მესამე პუნქტმა გაითვალისწინა. განსაზღვრა, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში საკუთრების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ასევე ამგვარი ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან. აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილება უდავოდ მყარ გარანტიას უქმნის საკუთრების ძირითად უფლებას და საშუალებას აძლევს მესაკუთრეს, რომელსაც ჩამოერთვა საკუთრება წინასწარ მიიღოს ანაზღაურება, რაც ადრე უდიდეს სირთულეს წარმოადგენდა და ეს პროცესი საკმაოდ გაჭიანურებული იყო. მესაკუთრეს რამდენიმე თვიანი, ზოგჯერ რამდენიმე წლიანი ლოდინი სჭირდებოდა იმისათვის რომ საკუთრების ჩამორთმევის შედეგად გათვალისწინებული ანაზღაურება მიეღო.

საკუთრების უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის თავისუფლებასთან, რადგან სწორედ საკუთრება არის ადამიანის არსებობისა და საქმიანობის ქონებრივი საფუძველი, რაც თავის მხრივ საკუთარი ცხოვრების თავისუფლად, საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. მიუხედავად საკუთრების უდიდესი მნიშვნელობისა, როგორც ავღნიშნეთ იგი არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუცია საკუთრებას გარკვეულ სოციალურ ფუნქციებს ანიჭებს. „საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, ხოლო საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას." თუ ეს მოთხოვნები არ სრულდება ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო გარემოებები, მაშინ კონსტიტუცია, 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე დასაშვებად მიიჩნევს ამ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას. თუმცა საყურადღებოა რომ კონსტიტუციით გამიჯნულია ჩარევის ორი სახე: საკუთრების შეზღუდვა და საკუთრების ჩამორთმევა.

საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი უფლება. საკუთრებას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს. მესაკუთრე საზოგადოების ნაწილია და არა მხოლოდ უფლებამოსილია მიიღოს გარკვეული სიკეთეები საზოგადოებისაგან, არამედ ვალდებულია რომ თავისი საკუთრება საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის გამოიყენოს. მესაკუთრემ უნდა გაითავისოს რომ არა მხოლოდ მას ეკუთვნის ინტერესები არამედ ის იმყოფება სხვა ინტერესთა გარემოცვაში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2/1-370,382,390,402,405 ქ.თბილისი, 2007 წლის 18 მაისი). „საქართველოს კონსტიტუცია საკუთრებას გარკვეულ სოციალურ ფუნქციას ანიჭებს. საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, ხოლო საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას. თუ ეს მოთხოვნები არ სრულდება ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო გარემოებანი, მაშინ საქართველოს კონსტიტუცია არ გამორიცხავს საკუთრების უფლების შეზღუდვას-თანახმად 21-ე მუხლის მე2 პუნქტისა და საკუთრების ჩამორთმევის – შესაბამისად 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა". (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/51).

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საკუთრების უფლების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს: მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი, რომელიც ჩარევის (შეზღუდვის) საფუძველს წარმოადგენს, უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს. იგი უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი.

კანონმდებელმა კანონით შეიძლება განსაზღვროს რა არის საკუთრება; შესაბამისად კანონით შეიძლება შეიზღუდოს ან გაფართოვდეს „საკუთრების" ცნება. საკუთრების ძირითადი უფლების შეზღუდვას წარმოადგენს ყოველი კანონი, რომელიც დააკონკრეტებს საკუთრების ნებას. შესაძლოა კანონით საკუთრება სხვაგვარადაც შეიზღუდოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში შეზღუდვას საფუძვლად უნდა ედოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და იგი უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით. საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ასეთ ჩარევას ზოგად-აბსტრაქტული ხასიათი აქვს. მაშასადამე, საკუთრების უფლების შეზღუდვის დასაბუთების ფორმალურ-იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს: ა) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევების კანონით გათვალისწინება; ბ) შეზღუდვის წესის კანონით დადგენა.

ეს პუნქტი კანონმდებელს აძლევს საკუთრების უფლების შინაარსის განსაზღვრის უფლებამოსილებას, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ კანონმდებლის ნება კონსტიტუციური მოთხოვნის ადეკვატური იქნება. სწორედ აქ იჩენს თავს შეზღუდვის მატერიალური კრიტერიუმი, რომელიც კანონმდებელს ავალდებულებს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრულ დაბალანსებას.

საკუთრების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრისას კანონმდებელმა ორიენტირად უნდა აიღოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, რომელიც წარმოადგენს არა მარტო მესაკუთრის მიმართ შეზღუდვის დაწესების საფუძველს, არამედ ასევე ამ შეზღუდვების ზღვარს.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების ჩამორთმევა კონკრეტულ-ინდივიდუალური ხასიათისაა და შეიძლება განხორციელდეს: მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუმცა ამ დროსაც ჩამორთმევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. ნებისმიერი სხვა მიზნით, კანონქვემდებარე აქტით და ანაზღაურების გარეშე ან ზემოაღნიშნულ პირობათაგან ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში საკუთრების შეზღუდვა ან ჩამორთმევა წარმოადგენს გაუმართლებელ, უსაფუძვლო ჩარევას საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად დღეს საქართველოში მოქმედებს კანონები, რომლებიც ითვალისწინებს საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევებს. ეს კანონები სრულად შეესაბამება საკუთრების ჩამორთმევისათვის კონსტიტუციით დადგენილ პირობებს. ეს ნიშნავს, რომ ამ კანონების საფუძველზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედება თუმცა საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს, მაგრამ ეს ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია, რადგან ეყრდნობა კონსტიტუციისა და კონსტიტუციის შესაბამისი კანონის ნორმებს.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევები განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 11 ნოემბრის ორგანული კანონით „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას სათანადო ანაზღაურებით საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ". გადაუდებელ აუცილებლობას განეკუთვნება ეპიდემია, რომლის დროსაც ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის გამო საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას. საკუთრების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი, აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე იმყოფება საკუთრების ობიექტი. ყველა შემთხვევაში აუცილებელია მესაკუთრისათვის საკუთრების ობიექტის საფასურის გადახდა. ობიექტის შეფასება ხდება საბაზრო ღირებულების მიხედვით ამისთვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" განსაზღვრავს აღნიშნული მიზნით საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევებს და ადგენს ჩამორთმევის განხორციელების წესს. კანონის მიხედვით აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სათანადო კომპენსაციის გადახდით საკუთრების ჩამორთმევის ერთჯე-

რადი უფლება, ანუ ექსპროპრიაციის უფლება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფო ორგანოს ანდა საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს. ექსპროპრიაცია შეიძლება განხორციელდეს კანონში მითითებული კონკრეტული მიზნით.

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული კანონების საფუძველზე საკუთრების ჩამორთმევა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხორციელდება მას ადმინისტრაციულ ჩამორთმევას უწოდებენ.

საკუთრების უფლების შეზღუდვის დროს, პირველ რიგში, ხაზი ესმება იმას, თუ რამდენად აუცილებელია საკუთრების შეზღუდვა. თუკი შესაძლებელია იგივე მიზნის მიღწევა სხვა გზებით, მაშინ სხვა საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული. ამდენად, საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. უნდა დადგინდეს დაცული იყო თუ არა სამართლიანი წონასწორობა (თანაზომიერება) საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნებსა და პიროვნების ძირითადი უფლებების აუცილებელ პირობებს შორის. მოკლედ, ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსი უნდა დამყარდეს. ნებისმიერი ჩარევა საკუთრების უფლებით სარგებლობაში უნდა პასუხობდეს თანაზომიერების პრინციპს. სათანადო და სამართლიანი ბალანსი უნდა იქნეს მიღწეული საზოგადოების ზოგად ინტერესებსა და პიროვნების ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნების შორის. ასეთი ბალანსი ვერ მიიღწევა, თუ შესაბამის ფიზიკურ პირსე არ არის დაკისრებული ინდივიდუალური და თანაზომიერი ტვირთი. ამრიგად, საკუთრების უფლებას უნდა შეეძლოს აღნიშნული ტვირთის ტარება ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მისი გაუქმება. უფრო მეტიც, საკუთრება მინიმალური სახით უნდა დამძიმდეს. როგორც ჩანს, თანაზომიერების პრინციპის დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი მოთხოვნაა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება, მიიღოს ისეთი კანონი რომელიც უვარგისია დასახული მიზნის მისაღწევად. თავად ნორმატიული აქტის მიღება აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს აქტი, როგორც რაღაც მიზნის მიღწევის საშუალება, პროპორციული (თანაზომიერი) უნდა იყოს საკუთრების შეზღუდვასთან.

საინტერესოა საკუთრების ძირითად უფლებასთან დაკავშირებული კონკრეტული სასამართლო საქმეები. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი. ამ საქმეში საყურადღებოა საკუთრების ჩამორთმევასა და საკუთრების უფლების შეზღუდვას შორის განსხვავებისა და გასაჩივრებული კანონის ზომიერების პრინციპთან შესაბამისობის დადგენის მეთოდიკა.

გამომცემლობა „მნათობი" მცირე ტირაჟით გამოსცემს წიგნებს ეკლესიებისათვის. კონკრეტულად საქმე ეხება ბიბლიის მეტად ძვირფას, ხელნაკეთ გამოცემას, რომელიც გარედან შემოსილია სპეციალური ტყავისა და ხის მასალით. თითოეული ეგზემპლარი შეფასებულია 800 ევროდ. ეროვნული ბიბლიოთეკა შესაბამის კანონზე დაყრდნობით გამომცემლობისაგან მოითხოვს ბიბლიის აქტუალური გამოცემისა და ნებისმიერი სხვა გამოცემის თითო ეგზემპლარის გადაცემას ბიბლიოთეკისათვის. აღნიშნული კანონის მიხედვით ყოველი გამომცემლობა ვალდებულია ეროვნულ ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ მიაწოდოს ყოველი ახალი გამოცემის ერთი ეგზემპლარი, რათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებულ იქნეს ეს გამოცემები. გამომცემლობა „მნათობი" თვლის, რომ კანონის აღნიშნული ნორმით ირღვევა მისი საკუთრების ძირითადი უფლება და თავის ადვოკატს სთხოვს წინასწარი სამართლებრივი დასკვნის მომზადებას ამ საკითხზე, რათა შემდეგ შესაბამისი სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

კანონის ნორმა ეწინააღმდეგება საკუთრების ძირითად უფლებას, თუ ხდება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, რომელიც არ არის გამართლებული კონსტიტუციურ-სამართლებრივად.

1. დაცული სფერო:

საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულია ფიზიკური და იურიდიული პირების როგორც უძრავ-მოძრავი ქონება, ისე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე–უფლებები. არ არის დაცული ქონებისაგან რაიმე შემოსავლისა თუ მოგების მიღების შესაძლებლობები. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს გამომცემლობის ქონებრივ საკუთრებასთან–ბიბლიის მცირეტირაჟიან გამოცემასთან. შესაბამისად, აშკარა ხდება კანონის ნორმის კავშირი საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროსთან.

2. დაცულ სფეროში ჩარევა:

ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა კანონის ნორმით ხდება საკუთრების შეზღუდვა ან ჩამორთმევა. საქმის არსიდან ირკვევა, რომ კანონის კონკრეტული ნორმა ავალდებულებს გამომცემლობას ყოველი გამოცემის ერთი ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადასცეს ეროვნულ ბიბლიოთეკას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კანონის ეს ნორმა ნიშნავს „მნათობისათვის" საკუთრების ჩამორთმევას სათანადო ანაზღაურების გარეშე. შედეგად გვაქვს ჩარევა საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი:

უპირველეს ყოვლისა აუცილებლად უნდა შემოწმდეს და გაირკვეს ჩარევის ნამდვილი შინაარსი: საქმე გვაქვს მართლაც საკუთრების ჩამორთმევასთან თუ მხოლოდ საკუთრების უფლების შეზღუდვასთან. ამისათვის თავდაპირველად უნდა დადგინდეს: ხომ არ ხდება სხვებისაგან განსხვავებით მხოლოდ გამომცემლობა „მნათობის" უფლებაში ჩარევა და ამის გამო ხომ არ არის იგი იძულებული რაიმე განსაკუთრებული მსხვერპლი (ერთი კონკრეტული ეგზემპლარის სავალდებულო გადაცემა) გაიღოს. ამ თვალსაზრისით განსახილველი საქმის არსის მიხედვით კანონის აღნიშნული ნორმა მხოლოდ „მნათობს" არ ეხება. იგი თანაბრად ავალდებულებს ყველა გამომცემლობას თითო ეგზემპლარის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის გადაცემას. შედეგად კანონი მიმართულია არამხოლოდ „მნათობის" არამედ ასევე ყველა სხვა გამომცემლობის საკუთრების უფლებისაკენ.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ მოქმედებს მიზანმიმართულად, ინდივიდუალურად და კონკრეტულად, ეს არის საკუთრების ჩამორთმევა, ხოლო როცა კანონმდებელი ზოგადად და აბსტრაქტულად ადგენს რაიმე უფლებებსა და ვალდებულებებს—საკუთრების უფლების შეზღუდვა.

განსახილველ საქმეში ზემოხსენებული კრიტერიუმების გამოყენების საფუძველზე ირკვევა, რომ კანონმდებელი არ მოითხოვს მხოლოდ გამომცემლობა „მნათობისათვის" ბიბლიის აქტუალური გამოცემის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის გადაცემას. კანონმდებელმა გარკვევით მიუთითა, რომ არა კონკრეტულად ერთი, არამედ ზოგადად ყველა გამომცემლობა ვალდებულია გადასცეს ეროვნულ ბიბლიოთეკას ყოველი გამოცემის თითო ეგზემპლარი. ამდენად, აქ ხდება არა საკუთრების ჩამორთმევა, არამედ საკუთრების უფლების შეზღუდვა.

საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ნამდვილი შინაარსის განსაზღვრის შემდეგ უნდა შემოწმდეს ჩარევის შესაბამისობა ზომიერების პრინციპთან ანუ რამდენად ზომიერია კანონის მოცემული ნორმა.

1. კანონის მიზანს წარმოადგენს ყოველი გამოცემის თითო ეგზემპლარის მომავალი თაობებისათვის შენახვა. მიზნის მისაღწევი საშუალებაა ყოველი გამოცემის თითო ეგზემპლარის სავალდებულო გადაცემა ეროვნული ბიბლიოთეკისათვის.

2. საშუალება გამოსადეგია იმ შემთხვევაში, როცა მისი გამოყენებით მიიღწევა სასურველი მიზანი. სავალდებულო გადაცემა ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილია ყოველი გადაცემის თითო ეგზემპლარის არქივირება. ამიტომ ზემოაღნიშნული საშუალება გამოსადეგია.

3. აღნიშნული საშუალების გამოყენება აუცილებლად საჭიროა, თუ არ არსებობს იმავე მიზნის მისაღწევი რაიმე სხვა, ნაკლებად რადიკალური, შედარებით „რბილი" საშუალება. ამ თვალსაზრისით საფიქრებელია, ხომ არ შეიძლებოდა არა გამოცემის ეგზემპლარის, არამედ მხოლოდ გამოცემის ასლის ბიბლიოთეკისათვის გადაცემის მოთხოვნის დადგენა. თუმცა ბევრი გამომცემლობისათვის ეს შესაძლოა უფრო შრომატევადი და ძვირი ყოფილიყო, ვიდრე ეგზემპლარის უბრალოდ გაგზავნა. ამდენად არ არსებობს კანონით დადგენილზე უფრო „რბილი" საშუალება და მიზნის მისაღწევად კანონით დადგენილი საშუალების გამოყენება აუცილებელია.

4. კანონის ნორმა ზომიერია იმ შემთხვევაში თუ გამიზნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგი გაცილებით მნიშვნელოვანია ამ შედეგით გამოწვეულ ვისიმე უფლებების შეზღუდვაზე. გამომცემლობებისათვის, რომლებიც დიდი ღირებულების მქონე, ძვირფას წიგნებს მცირე ტირაჟით გამოსცემენ, ამ გამოცემათა თუნდაც ერთი ეგზემპლარის უსასყიდლო სავალდებულო გადაცემა ეროვნული ბიბლიოთეკისათვის შემოსავლის სერიოზულ შემცირებას ნიშნავს. კანონით გამიზნული სასარგებლო შედეგი, რომ ყოველი გამოცემის თითო ეგზემპლარი შენახულ იქნეს მომავალი თაობებისათვის, ვერ ამართლებს საკუთრების უფლების ასეთ

მძიმე დარღვევას. ამდენად, აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა არ არის ზომიერი. შესაბამისად, საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში განხორციელებული ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლება შეუძლებელია. კანონის ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლით უზრუნველყოფილ საკუთრების ძირითად უფლებას.

ამდენად, იმისათვის, რომ მოხდეს საკუთრების უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა, აუცილებელია ჩარევა გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობით, ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს, იყოს პროპორციული მისაღწევი კანონიერი მიზნისა და განხორციელდეს სამართლიანი კომპენსაციის საფუძველზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში ხშირია საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები, რომელნიც აისახება, ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველისა და მეორე მხრივ – საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიშებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას სათანადო ანაზღაურებით საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ"–1997 წლის 11 ნოემბერი;
3. საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ"–1999 წლის 23 იელისი;
4. ზაზა რუხაძე, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი", ბათუმი, 1999 წელი;
5. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, „კონსტიტუციური სამართალი", თბილისი, 2008 წელი;
6. პაატა ცნობილაძე, „კონსტიტუციური სამართალი", თბილისი, 2004 წელი;
7. ომარ მელქაძე, „კონსტიტუციონალიზმი", თბილისი, 2005 წელი;
8. „საკუთრების უფლება საქართველოში", ავტორთა ჯგუფი, საია, 2007 წელი;
9. „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში" (სტატიათა კრებული) თბილისი 2002;
10. „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები" რედ. კ. კორკელია, 2009 წელი;
11. ჟურნალი "ადამიანი და კონსტიტუცია", 2002 წელი;
12. ჟურნალი „ალმანახი" №16. თბილისი 2001 წელი;
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 1996-1997 წლები. თბილისი;
14. ბესიკ ლოლაძე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მოკლე კომენტარებით", ბათუმი, 2010 წელი.

თამარ ბერიძე
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
თამარ როსტიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

ტყის მიწების მნიშვნელობა და ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში

ცნობილია, რომ საქართველო მცირემიწიან ქვეყნად ითვლება, მაგრამ ეს ტყის მიწებზე არ ითქმის, რადგანაც იგი ტერიტორიის 40%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ფართობისა და მარაგების მიხედვით საგანგაშო მდგომარეობა არ იგრძნობა (იხ. ცხრ.1), სტრუქტურული ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ ფართობის 50%-ე მეტი დაბალპროდუქტიულია.

როგორც ცნობილია, ტყის მიწების მერქნულ და არამერქნულ პროდუქტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მათი ეფექტურად მართვის პირობებში.

ცხრ. 1. საქართველოს ტყის მიწების ფართობი და მარაგები

	ფართობი (ჰა)	ტყის ფართობი (ჰა)	ზეზემდგომი მერქნის მოცულობა ($მ^3$ ქერქით)
საქართველო	6,950,481	2,760,858	438,884.0
აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკა	863,950	418,912 15,2%	87,188.8
სამხრეთ ოსეთის ავტ. რესპუბლიკა	282,711	93,471 3,4%	11,540.8
საქართველოს ყოფილი ავტ. რესპუბლიკების გარეშე	5,803,820	2,248,475	336,154.2
დაცული ტერიტორიები		147,300 6,5%	31,600.0
სატყეო დეპარტამენტის მიერ მართული		1,623,893 71,4%	263,523.4
ყოფილი საკოლმეურნეო		433,882 19,2%	31,430.8
სამეო მეტყევეობის ინსტიტუტი		43,400 1,9%	4,600.0

ტყის მიწების ძირითად რესურსს მერქანი წარმოადგენს. მისი დამზადება ხე-მცენარეთა ჭრის შედეგად ხდება, რაც უკანასკნელ პერიოდში, საგრძნობლად შემცირდა. რასაც ვერ ვიტყვით საწვავ შეშა'ს.

საუკუნეების განმავლობაში შეშა იყო საქართველოს ტყეებიდან ძირითადი მოთხოვნილების პროდუქტი. ოჯახების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სოფლის მოსახლეობა ყოველწლიურად მოიხმარს 10-15 კბმ საწვავ შეშად. უკანასკნელ ხანებში მოთხოვნილება ადგილობრივ ხის გადამამუშავებელ მრეწველობაზე საგრძნობლად შემცირდა, იქ, სადაც საქმიანობა, ჯერ კიდევ ხორციელდება, მოხმარება ძალზე დაბალია. ამის გამომწვევ მიზეზად რამდენიმე ფაქტორი შეიძლება დასახელდეს:

- ენერგეტიკული კრიზისი;
- ხე-ტყის დამზადებისა და მიწოდების პრობლემები;
- ბაზრის ნაკლებობა;
- არაადეკვატური აღჭურვილობა და სხვა.

საქართველოში სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ხე-ტყის გადამამუშავებელ სექტორზე ძალიან რთულია. უფრო მეტიც, მისი მოპოვების შემთხვევაშიც კი მონაცემებში ხშირად შეუსაბამობას აქვს ადგილი. საქართველოში ხე-ტყის გადამამუშავებელი დაახლოებით 500 კომპანია არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ზომითაც და საქმიანობის დონითაც.

კომპანიები, რომლებიც გაერთიანებული არიან *Georgian Hardwood Association-Si*, მათივე მონაცემების მიხედვით, აწარმოებენ პოტენციურ პროდუქციას, რაც შეადგენს დახერხილი მერქნის 430000m^3 წლიურად. ეს გულისხმობს 12-თიან სამუშაო წელიწადს. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სახერხი მოხმარების უფრო დაბალ სიმძლავრეზე მუშაობს, ზოგიერთ შემთხვევაში ეს მონაცემი შეადგენს სულ 40%-ს.

ნებისმიერი მიზნით მრგვალი მორების სრული მოხმარება დაახლოებით 2,55 მლნ კბმ-ს შეადგენს. სატყეო დეპარტამენტის მონაცემებით იგი ტოლია 420000m^3. დახერხილი მერქნის ოფიციალური ექსპორტი შეადგენს 37 ათას m^3-ს ან 80-90,000 m^3-ს მრგვალი მორის ეკვივალენტებში, რაც საბოლოოდ მოგვცემს მრგვალი მორების მთლიან შიდა მოხმარებას დაახლოებით 1,17 მლნ m^3-ს ფარგლებში.

გარდა მერქნისა, საქართველოს ტყის მიწებს გააჩნიათ მრავალფეროვანი პროდუქტები და მომსახურეობები:

- ტყის არამერქნიანი პროდუქტები (თესლები, ადამიანის მიერ მოხმარებული თხილი, კენკროვნები და სოკო, ფურაჟი შინაური საქონლისათვის, სამკურნალო მცენარეები);
- საძოვრები საქონლისათვის;
- ნადირობა;
- მეთევზეობა;
- სულიერი, კულტურული და რეკრეაციული გამოყენება;
- ტურიზმი;
- წყალშემკრები აუზის დაცვა;

არამერქნითი ტყის პროდუქტები

ყველაზე გავრცელებული არამერქნითი პროდუქტი (კომერციული თვალსაზრისით) არის *Abies nordmaniana-s* მაღალი ხარისხის სოჭის თესლი, რაც გამოიყენება დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში საექსპორტოდ საახალწლო ნაძვის ხეების გამოსაზრდელად. ყოველწლიურად 20-22 ტონა თესლის ექსპორტირება ხდება 35-40 აშშ დოლარად 1 კგ-ზე; აქედან მიღებული შემოსავალი შეადგენს 700000 და 880000 აშშ დოლლარს. არსებობს 10 კერძო კომპანია, რომელიც ამ სფეროში მუშაობს.

წინასწარი კვლევისას აღინიშნა (*URS Corporation 2002b*), რომ სოფლის ყველა მოსახლეს თავისი საქონელი საძოვარზე ტყეში გაჰყავს. არც ერთ რესპონდენტს არ გააჩნდა ნებართვა ან ლიცენზია სატყეო დეპარტამენტიდან. ყოველწლიურად ეკონომიკური ღირებულება ძოვებისა, რომელიც არ არის ნებადართული, შეფასდა როგორც 1052326 ლარი; ეს მაჩვენებელი არის სამჯერ მეტი სამასალე მერქნის პოტენციური ღირებულებისა და ექვსჯერ მეტი საშშე მერქნის ეკონომიკურ ღირებულებაზე; ძოვების მდგრადი ეკონომიკური ღირებულება შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე შეფასებული ღირებულება, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია სოფლის მაცხოვრებლებისათვის.

სამონადირეო მეურნეობა კარგად იყო ორგანიზებული საქართველოში. არსებობდა ორგანიზაცია „მონადირეთა კავშირი", რომელშიც გაერთიანებული იყო 80 ათასი წევრი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებული ქსელი მილიანად განადგურდა. ამის მიზეზია სახელმწიფოსაგან შესაბამისი დაფინანსების შეწყვეტა და ახალი კანონების („დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ" და „ცხოველთა სამყაროს შესახებ" (1996)) შექმნა. ამ კანონების მიხედვით, ყოფილი სამონადირეო მეურნეობების ტერიტორიები მიჩნეულია დაცული ტერიტორიის აღკვეთის კატეგორიად.

წინასწარი კვლევის ანგარიშში (*in URS Corporation)* აღნიშნულია, რომ ტყის ტბებსა და მდინარეებში ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად თევზაობს აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ამ პროდუქტის წლიური ეკონომიკური ღირებულება შეადგენს 56194 ლარს.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოს ყოველწლიურად დაახლოებით 4 მლნ ტურისტი სტუმრობდა. საქართველოს გააჩნდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა ტურიზმისათვის – 102 კურორტი, 15 ათასი ისტორიული ძეგლი (მაგრამ 4 შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხაში). მხოლოდ ერთ რეგიონში სახელმწიფო ყოველწლიურად 90000 რუბლს ხარჯავდა და ტურიზმს მილიონ რუბლზე მეტი შემოსავალი შემოჰქონდა. ამ მონაცემებთან შედარებით, ახლანდელი 905000 ლარი. ასეთივე პერსპექტივა გააჩნია თითქმის ყველა ტყით დაფარულ ტერიტორიას საქართველოში.

საქართველოს ტყეებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკაში წყალშემკრების დაცვითა და ნიადაგის ეროზიის თავიდან აცილებით.

საქართველოში მოლიანი პოტენციური ეკონომიკური ღირებულების მხოლოდ მცირე პროპორცია არის მოჭრილი შეშად, არამერქნითი ტყის პროდუქტებს და მომსახურეობებს გამოიყენებს პრაქტიკულად უფასოდ.

წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ტყის მიწების გამოყენების ამჟამინდელი წვლილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტზე მნიშვნელოვნად დაბალია დამოუკიდებლობის მოპოვებამდელ პერიოდთან შედარებით.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოში ხდებოდა მერქნის მნიშვნელოვანი იმპორტი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან. ამდენად, ხდებოდა გადასახადების ჯანსაღი დაბალანსება ტყის პროდუქტებიდან სხვადასხვა ნაკეთობების ექსპორტისა და ყოფილი სსრკ-დან ჩამოსული ტურისტების საშუალებით მდგრადი სატურისტო მრეწველობიდან.

საქართველოში ჯერ კიდეე ხდება მერქნის იმპორტი. ცხრილი 2-ში ასახულია იმპორტისა და ექსპორტის მონაცემები სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტიდან ბოლო 5 წლის გამავლობაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ნომენკლატურის ორი კოდის მიხედვით:

- 44 მერქანი და მერქნის ნაწილები, სათბობი ბრიკეტები;
- 47 საბალანსე მერქანი და ცელულოზის სხვა მასალები;
- 48 ქაღალდი და მუყაო, მათი ნაწილები.

მერქნისა და მერქნითი პროდუქტების ვაჭრობის ბალანსი უმეტესწილად უარყოფითია და უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვნად მეტი. 48 კოდის პროდუქტების იმპორტი იზრდება, რაც ლოგიკურია აღმავალი ეკონომიკის პირობებში. მთლიანობაში ექსპორტის შემცირება შეიმჩნევა.

უკანონო ქმედებები

ამ ნაწილში ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოში უკანონო ქმედებების რაოდენობისა და ტიპის შეფასებას. ეს ინფორმაცია შესულია სრული ეკონომიკური შეფასების ნაშრომში *(URS Corporation 2002a)*.

ცხრ. 2. ტყის მიწების მერქნითი რესურსების და პროდუქციის იმპორტი და ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)

	2000	2001	2002	2003	2004 (6თვე)
იმპორტი					
მერქანი და მერქნის ნაწილები, სათბობი ბრიკეტები	3,293	2,901	2,706	2,857	1,223
საბალანსე მერქანი და ცელულოზის სხვა მასალები	0,143	0,136	0,065	0	0
ქაღალდი და მუყაო, მათი ნაწილები	10,056	8,914	11,814	14,748	8,668
სულ	13,492	11,951	14,585	17,605	9,891
ექსპორტი					
მერქანი და მერქნის ნაწილები, სათბობი ბრიკეტები	5,785	5,606	7,154	4,206	1,849
საბალანსე მერქანი და ცელულოზის სხვა მასალები	0	0	0	0	0

ქაღალდი და მუყაო, მათი ნაწილები	0,653	0,463	0,69	0,25	0,114
სულ	6,438	6,069	7,844	4,456	1,963
ბალანსი (ექსპორტს გამოკლებული იმპორტი)					
ბალანსი					
მერქანი და მერქნის ნაწილები, სათბობი ბრიკეტები	2,492	2,075	4,448	1,349	0,626
საბალანსე მერქანი და ცელულოზის სხვა მასალები	0,143	0,136	0,065	0	0
ქაღალდი და მუყაო, მათი ნაწილები	-9,403	-8,451	-11,124	-14,498	-8,554
სულ	-6,768	-6,24	-6,611	-13,149	-7,928

ტყის მიწების მართვის დეპარტამენტის ოფიციალური სტატისტიკა მოიცავს მთლიანი კანონიერი ჭრების ინფორმაციას 1998-2004 წლებში (იხ. ცხრ. 2).

2003 წლის განმავლობაში კანონიერი ჭრების მოცულობის რაოდენობა 13%-ით ნაკლები იყო 2000 წელთან შედარებით. მოჭრილი მოცულობების რაოდენობის შემცირება გამოიწვია საქმიანობის უკუსვლამ დასავლეთ საქართველოში. 2003 წელს მოჭრილი მოცულობა იყო 31%-ით ნაკლები 2000 წელთან შედარებით. მის საპირისპიროდ, ჭრის მოცულობა აღმოსავლეთ საქართველოსა და აჭარაში გაიზარდა 9.5% და 18%-ით.

უკანონო ჭრების შეფასება ძალიან ძნელია საქართველოს სინამდვილეში. რთულია ამ საქმიანობის მასშტაბის განსაზღვრა. დეპარტამენტის რეგიონების ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, უკანონო ჭრების დონე 2004 წელს შეადგენდა 500000m^3. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ოფიციალურად აღნუსხული ინფორმაციის მიხედვით, უკანონო ჭრების რაოდენობა ერთი მესამედით გაიზარდა. სატყეო დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით, ეს უკანონო ქმედებები ჩადენილია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეშის მოპოვების მიზნით. ენერგიის ალტერნატიული წყაროების არარსებობისა და, აქედან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის დაუკმაყოფილებლობამ, პრობლემა უფრო მწვავე გახადა, რამაც ბევრ ადგილას ტყის მიწების დეგრადაცია გამოიწვია. პრობლემას უფრო ართულებს რეალური მაკონტროლებელი მექანიზმების არარსებობა ტყეში.

მერქნის უკანონო მოპოვების გარდა დანაკარგები შედგება ზეზემდგომი ხეების დაზიანებისაგან და შესაბამისად მომავალი წარმოების პროდუქტიულობის შემცირებისაგან (უკანონო ქმედებები თავისი ბუნებით მეტი ზიანის მომტანია სუსტი აღჭურვილობისა და პროფესიული გაუნათლებლობის გამო). ბევრი კანონიერი გადამამუშავებელი საწარმო განიცდის პრობლემებს სახერხი მორის ნაკლებობის გამო, რაც გამოწვეულია ნაწილობრივ დაუფინანსებლობით, აგრეთვე არაადეკვატური ხარისხის მორების ეკონომიკურად არახელსაყრელი მანძილებიდან მიწოდებით. ეს დამატებითი ხარჯები განაპირობებს წარმოების შემცირებას და, შესაბამისად, ნაკლებ შემოსავლებს და ეკონომიკურ ეფექტურობას.

ამრიგად, მხოლოდ ტყის მიწების მრავალმიზნობრივი პოტენციური რესურსების ეფექტურად გამოყენების პირობებშია შესაძლებელი დარგის განვითარებისათვის საჭირო სახსრების მოპოვება, შიდა რესურსების ხარჯზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზედგენიძე ა. სატყეო მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის კავშირურთიერთობების ეკონომიკური საფუძვლები. თბ., სსი, 1988.
2. თარგამაძე კ., ჩიხლაძე ე. საქართველოს სამთო ტყის მეურნეობის განვითარების გზები. თან. საქ. სახალხო მეურნ. 1969.
3. კანდელაკი თ. საქართველოს და მსოფლიოს ტყის რესურსები. ჟ. "მეცნიერება და ტექნიკა". 1999.
4. კანდელაკი თ., უჩანეიშვილი ი., კანდელაკი ა. საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები. თბ. სსაუ-ს სამეცნ. შრომ., 1992.
5. ჭრის წესები საქართველოს ტყეებში. თბ., 2000.
6. Гусев П.П. – лесо-сады проблема освоения дикорастущих плодовых расстений ,,Сельхозгиз,, М. 1933.
7. Лавренко Г.М. Научные основы повышения продуктивности полесья. М. 1965.
8. Петров В.А. Финансовые основы государственного управления лесным хозяйством. Пушкино. 1996.
9. Debbert S. – Economics of Landscapcand Wildlije Conservstion, 1998;

მიხეილ ჩიქოვანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
მარიამ სოსელია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თამარ როსტიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

ტყის მიწების გამოყენების პროცესის რეგულირება, როგორც ბუნებათსარგებლობის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი

საქართველოს ტყის მიწები გამოირჩევა თავისი ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით, სადაც წარმოდგენილია თითქმის ყველა ბუნებრივი სარტყელისათვის (გარდა ტროპიკულისა) დამახასიათებელი მცენარეული საფარი, რაც შესაბამისად ბუნებათსარგებლობის პრობლემებსაც მრავალფეროვანს ხდის. გამომდინარე აქედან, იქმნება იმის საჭიროება, რომ თითოეული ზონისა და რეგიონისათვის, და რაიონისთვისაც კი შეიქმნას ბუნებით სარგებლობის ინდივიდუალური სქემები.

ტყის მიწების გამოყენების ეკოლოგია არ უნდა იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ბუნების დაცვის ღონისძიებები. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მისგან მიღებული სამეურნეო მოგებას, მისი გაანგარიშების თეორიულ და პრაქტიკულ მხარეებს. დღეისათვის შემუშავებული ტყის მიწების რესურსების სარგებლობის ნორმები და სტანდარტები, ამასთან ეკონომიკური ეფექტისა ან ზარალის გაანგარიშების მეთოდები ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. დღეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დგება ამ საკითხისადმი რიგი მიდგომისა და მეთოდების შეცვლის აუცილებლობა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნებრივი რესურსების მარაგები შეზღუდულია და აუცილებელია მათი გონივრული გამოყენება.

ტყის მიწების რესურსებით თანამედროვე სარგებლობის ეკონომიკას საფუძვლად უდევს მდგრადი ეკოლოგიური განვითარების პრინციპი. თუმცა წარმოების გაფართოებასთან ერთად, ბევრი ეკოლოგიური სისტემა კარგავს ეფექტური ფუნქციონირების უნარს. ამის ტიპიური მაგალითია: ტყის მიწების მერქნული რესურსების გადაჭარბებული ჭრა.

გარემოს მდგრადი განვითარების კონცეფცია წარმოიქმნა სამი ძირითადი თვალსაზრისის – ეკონომიკურის, სოციალურისა და ეკოლოგიურის გაერთიანების შედეგად, ხოლო ჩვენს შემთხვევაში, უნდა დაემატოს, ტყის მიწების რეკრეაციულ-ტურისტული დანიშნულებით გამოყენება, რადგანაც მდგრადი მეურნეობის განვითარებას უშუალოდ განაპირობებს ამ ფართობების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების ხარისხობრივი ფაქტორები. ტყის მიწების გამოყენებისა და რეგულირების ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ძირითად პრინციპს წარმოადგენს:

- ❖ ამ მიწებზე გავრცელებული რესურსული სარგებლობის ეკოლოგიზაციის აუცილებლობა;
- ❖ სარგებლობისა და გამოყენების პროცესში, ძირითადი ეკოლოგიურ-ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობებისა და ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფა;
- ❖ სხვადასხვა დონის (ჩვენს შემთხვევაში, მიწების ეკოლოგიურ-რეკრეაციულ-ტურისტულ-ეკონომიკური) მრავალმიზნობრივი ერთგვაროვანი და მდგრადი ტერიტორიული კომპლექსების სისტემების დამუშავება სათანადო ნორმატივების მოთხოვნათა პირობების გათვალისწინებით;
- ❖ შემუშავებულ უნდა იქნეს ტყის მიწების ეფექტურ გამოყენების ეკოლოგიურ-რეკრეაციულ-ტურისტული და ეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთიანი მეთოდოლოგიური სისტემა შესაბამისი კრიტერიუმების გამოთვლით.

ტყის მიწების ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას საფუძვლად უნდა დაედოს ისეთი ეკონომიკური პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს დანახარჯების შემცირებას და ზრდის მოგებას, საზოგადოებრივ წარმოებაში და ამავდროულად მაქსიმალურად უნდა იყოს გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის უზრუნველყოფის გარანტი.

დღეს ადამიანს მუდმივად უხდება ბრძოლა როული და სახიფათო მოვლენების წინააღმდეგ, რომელთა დიდი ნაწილი ჩამოყალიბებულია ადამიანსა და ბუნებას შორის ათასწლოვანი ურთიერთობის პირობებში მდგრადი ეკოლოგიური გარემო სისტემის დარღვევის შედეგად; ბუნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება უნდა იყოს აგებული ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპზე. „ბუნებისაგან ჩვენ უნდა წამოვიღოთ იმდენი, რამდენიც მას შეუძლია, რათა არ დაირღვეს წონასწორობა და უკან უნდა დაუბრუნოთ იმდენი, რამდენსაც ის საჭიროებს, დარღვეული წონასწორობის მდგრადობის აღსადგენად".

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადამიანი არასოდეს არ „ქაჩავდა" ბუნებიდან იმდენს, რამდენსაც დღეს. ამან განსაკუთრებით თავი იჩინა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ. როცა ქვეყანა პირისპირ აღმოჩნდა თავისი საკუთარი რესურსების წინაშე. დღეს მწვავედ ისმის კითხვა: რა ელოდება კაცობრიობას. ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის არსებული ტემპების ფონზე, ეყოფა კი ადამიანს სიბრძნე და გონიერება, თანამედროვე მოთხოვნილებისა და რესურსებით დაკმაყოფილების დეფიციტის პირობებში გადაარჩინოს დედამიწა ეკოლოგიურ კატასტროფას? ეს კითხვა, რა თქმა, უნდა ერთმნიშვნელოვნად ეხება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ყოფასაც.

სამეურნეო საქმიანობის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ იქნეს გადაწყვეტილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ბუნებრივი მოვლენების ცირკულაციას და მათ მოაქცევს ისეთ ჩარჩოებში, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს წარმოების მოთხოვნილებებს და, ამავე დროს, არ შეიტანს დისონანსს ბუნებრივ ეკოლოგიურ პროცესთა საქმეში. ეკოლოგიური პრობლემების ანალიზის საფუძველზე, დადგენილ იქნა სამეურნეო საქმიანობის გაელენის მაჩვენებლები ბუნებაზე, ყოველივე ეს კი შესაძლებლობას იძლევა, დროულად იქნეს შემუშავებული ეკოლოგიური წონასწორობის რეგულირებისა და აღდგენის მექანიზმები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დღევანდელ პირობებში, სამეურნეო საქმიანობის პროგნოზირების მეთოდოლოგიური ჩარჩოები, მისი შეფასების ოპტიმალური ტექნიკა არაა სრულყოფილი. ამის მიზეზი კი მრავალია, თუმცა პირველ რიგში შეიძლება გამოყოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უსწრაფესი განვითარება, მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, რის გამოც ყოველთვის დროულად ვერ ხდება გაცნობიერება ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების შედეგად წარმოშობილ ეკოლოგიური პრობლემებისა. ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით ბუნებათსარგებლობის საქმიანობის დაწყებამდე უნდა შეიქმნას ბუნებათსარგებლობის ეკონომიკურ-ეკოლოგიური მოდელი, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ბუნების დაცვის მოთხოვნები და სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი. ამისათვის კი საჭირო იქნება, სამეურნეო საქმიანობის ეფექტური წარმოების მიზნით, წინასწარ განისაზღვროს ბუნებათსარგებლობის ეკონომიკურ-ეკოლოგიური ნორმატივები, რაც ადამიანებს გარკვეულ ჩარჩოებში ჩააყენებს და გაუადვილებს წინასწარ და დროულად განსაზღვროს, თუ რა სახის საქმიანობაა დასაშვები და რა სახის საქმიანობა უნდა შეიზღუდოს.

გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა თხოულობს სათანადო რეგულირებულ ნორმატიულ ბაზას, რომლის დროსაც მდგრადი გარემოს დაცვის რეგულირების ღონისძიებებს პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.

რამდენად არადამაჯერებლადაც შეიძლება მოგვეჩვენოს, სოციალისტურ სისტემასთან შედარებით, საბაზრო ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბუნებათსარგებლობაში ახალი პარამეტრების შემოღებას. დღეს მთელ რიგ ქვეყნებში შემუშავებულია მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტები, რომელიც ყველა მწარმოებლისათვის სავალდებულოა შესასრულებლად.

ამასთან, ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველსაყოფად დაწესებულია გადასახადები, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ რეგულატორს თანამედროვე პირობებში.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის დაწყებამდე ხდება რეგიონის ან რაიონის რესურსების ეკონომიკური პოტენციალის დადგენა, რომელსაც საფუძვლად უდევს, რესურსებით სარ-

გებლობის მუდმივობის პრინციპის დაცვა და ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნების პირობებში მაქსიმალური ეკონომიკური შედეგების მიღება. იგი შედგება ფულადი შემოსავლებისა და მის განხორციელებაზე გაწეული დანახარჯების სხვაობისა და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური ეფექტიანობით გათვალისწინებული წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდებას კაპიტალდაბანდებებთან და სხვა სახის დანახარჯების ჯამთან. არსებობს ეფექტურობის განსაზღვრის სხვა მეთოდებიც, რომლებიც გამოიყენება ყოველი კონკრეტული პირობებისათვის ცალ-ცალკე.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური უსრუნველყოფის წყაროები მოძიებული უნდა იქნეს სამუშაოს დაწყებამდე, ჯერ კიდევ პროექტის შედგენის დროს. მისი მოცულობა დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასა და ხასიათზე, მის ხარისხზე. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების დაფინანსება ხდება სახელმწიფისო სახსრებით, საკუთარი შემოსაველებით, ინვესტიციებით და სხვა. ხოლო კერძო მესაკუთრეთა საქმიანობა დაფინანსებული უნდა იქნეს, პირველ რიგში მათი ფულადი სახსრებით, შემოწირულობებით, კრედიტებითა და სხვ.

დღეს საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ ეკონომიკური სტაბილურობის პროცესების ძიებაშია, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო გრანტებისა და მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური ფონდების სახსრების მოზიდვასაც. ამის დადასტურებაა ჯერ კიდევ 1996 წელს მსოფლიო ბანკის მიერ, ტყეების მოვლა-პატრონობის ეფექტურ ღონისძიებათა გატარების მიზნით, 20 მლნ დოლარის გამოყოფა. თანამედროვე მსოფლიოში ბუნებათსარგებლობის დროს სულ უფრო ფართოდ იყენებენ სუფსიდიებს, რომლებიც უმთავრესად ხორციელდება საინვესტიციო კრედიტების, მათი საპროცენტო გადასახადის შემცირების და სხვათა სახით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, ტყის მიწების პროდუქტიულობის ამაღლებას, მათ დაცვასა და ეფექტურ გამოყენებას. ტყის მიწების რაციონალურად გამოყენებისა და რეგულირებისათვის, საჭიროა:

1. ტყის მიწების პროდუქტიულობის მაჩვენებლების განსაზღვრა, პოტენციური რესურსების დადგენისა და აღრიცხვის მექანიზმის სრულყოფა;

2. ტყის მიწების ეკოლოგიურ-რეკრეაციულ-ტურისტული თვალსაზრისით გამოყენების მეთოდების დადგენა.

ტყის მიწების პროდუქტიულობის ამაღლება მათი ეფექტური გამოყენების განუყოფელი ნაწილია, რომლის მიღწევა შეიძლება ამ ფართობზე გავრცელებული ტყემცენარეული საფარის რეკონსტრუქციის გზით.

ტერიტორიის რაციონალურ გამოყენებაში იგულისხმება მისი მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობა, მათი გამოყენება მიზნობრივი დანიშნულებით, რაც ჩვენს შემთხვევაში, პირველ რიგში გულისხმობს მიწების ძირითადი რესურსის-მერქნული რესურსების ეფექტიურ გამოყენებას, გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის დადგენილი ნორმატივების ფარგლებში, რაც დღევანდელ პირობებში, არცთუ იშვიათად ირღვევა, სათანადო ფინანსური და საწარმოო რესურსებისა და ბაზის უქონლობის გამო. შექმნილი მდგომარეობა უდავოდ აყენებს საკითხს, ამ მიწების რეკრეაციულ-ტურისტული თვალსაზრისით გამოყენებისას, არაპირდაპირი და დამხმარე სარგებლობის პოტენციური შესაძლებლობების ეფექტურ გამოყენებასთან ერთად. თუმცა პრაქტიკაში ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის. მიხეზებს, რომლებიც მიეკუთვნებიან გარემოს ეკოლოგიური დისბალანსის დარღვევას, წარმოადგენს ტყიდან მერქნით სარგებლობის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატიული მაჩვენებლების დარღვევა, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, მერქანზე მოთხოვნილებისა (განსაკუთრებით ეს ეხება საწვავ შეშას) და, მეორე მხრივ, რესურსების შესაძლებლობებს შორის შეუსაბამობას, რომ აღარაფერი ვთქვათ საწარმოო ბაზისა და საწარმოო საშუალებების დაბალ დონეზე. საქართველო თავისი რესურსებით მხოლოდ მოთხოვნილების 15%-ს იკმაყოფილებდა, ხოლო დანარჩენი შემოჰქონდა რუსეთიდან. დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ ქვეყანა, აღმოჩნდა თავის რესურსებთან პირისპირ, რომელსაც დაემატა, იმავდროულად, მრგვალი მორების საზღვარგარეთ უმოწყალოდ გაზიდვაც, საიდანაც მცირე ნაწილი შედიოდა ბიუჯეტში, რადგანაც მოშლილი იყო აღრიცხვა და საგრძნობლად დაბალი იყო გასაყიდი ფასებიც. ცხადია, ყოველივე ამან, დიდი დაღი დაასვა ტყის მიწების პროდუქტიულობას, რომელმაც ასახვა ჰპოვა გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზეც: გაძლიერდა წყალდიდობები, კოკისპირული წვიმები, ღვარცოფები და სხვა.

დღეს დარგის წინაშე დგას უმძიმესი ამოცანა, რაც ტყეების პროდუქტიულობას გულისხმობს. ძირითადად დაბალპროდუქტიული ტყეების ხარჯზე, რომელთა ოდენობაც საერთო ფართობის 50%-ზე გაცილებით მეტია. ასეთი გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა, პირველ რიგში, ცხადია, დიდ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვს, რომელსაც დარგი ბიუჯეტიდან ვერ ღებულობს. ტყის მიწების რესურსების თავისებურებებიდან გამომდინარე, რესურსები განუწყვეტლივ საჭიროებს უწყვეტ დანახარჯებს, მათ მოვლა-პატრონობასა და აღდგენას.

მნიშვნელოვან თავისებურებათა შორის, შეიძლება გამოვყოთ ტყის მიწების მრავალმიზნობრივი გამოყენების შესაძლებლობები, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას. უპირველეს ყოვლისა, ეს იმას ნიშნავს, რომ გარდა მერქნისა, შესაძლებელია მივიღოთ სხვა მრავალი, არამერქნული რესურსი, რომელთაც მიეკუთვნება: სოკო, სხვადასხვა ნაყოფი, სამკურნალო მცენარეები და სხვა მარავალი. ამასთან ტყის მიწების როლი და დანიშნულება არ შემოიფარგლება მხოლოდ მარტო მერქნიული და არამერქნული რესურსებით, არამედ იგი ასრულებს უდიდეს ეკოლოგიურ-რეკრეაციულ და ტურისტული მომსახურეობის ფუნქციებსაც. მათი დაცვითი და რეკრეაციულ ფუნქციათა გონივრული გამოყენება, ტყის მიწების ეფექტურობის უტყუარი საფუძველია, ტყის მიწების ლანდშაფტურ-ესთეტიკური თავისებურებები განაპირობებს ტურისტებისა და დამსვენებლების ფართო მასების მოზიდვას. ასეთი მრავალმიზნობრივი დანიშნულების ფუნქციების რაციონალური გამოყენება გვავალდებულებს მათ მოვლა-პატრონობასა და აღდგენაზე ზრუნვას. მისი ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობის სისტემის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტყის მიწების რესურსებით სარგებლობის ხასიათის მიხედვით, შესაძლებელია წამოიჭრას მრავალმიზნობრივი ხასიათის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა მრავალკრიტერიუმიანი ოპტიმიზაციის მეთოდების გამოყენებას მოითხოვს.

ტყისგან სარგებლობის სტრუქტურა რთული მოელენაა და შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: გამოყენება, რეგულირება, მიზანმიმართული წარმოება და გარემოს ეკოლოგიური ბალანსის დაცვა. პირველი ორი შინაარსობრივად გამოდის ადამიანისა და ბუნებას შორის ურთიერთკავშირიდან, ხოლო დანარჩენი კომპონენტები შედარებით ახალია და იგი დამოკიდებულია თანამედროვე ტექნიკური პროცესის დონეზე. ეს უკანასკნელი კი შესაბამისად დაკავშირებულია ადამიანისა და ბუნების ინტენსიფიკაციის პროცესზე. ასეთი მოვლენების წარმოშობის დროს ბუნება კარგავს ეკოლოგიურ წონასწორობას და აღარ შესწევს აღდგენის ისეთი უნარი, როგორც ბუნებრივი პირობების დროს. გამომდინარე აქედან, საზოგადოება ვალდებულია, ბუნების ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენისათვის გაიღოს სათანადო ხარჯები. აქედან გამომდინარე, საჭიროა, გაიზარდოს ტყის მიწების რესურსების გამოყენების სფერო და მასშტაბები. ასეთი კომპლექსური მიდგომა, ტყის მიწების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის შემთხვევაში, განაპირობებს ამ მიწების ფასეულობათა გაზრდას, რაც თავისთავად არა მარტო ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის უტყუარი საფუძველია, არამედ დარგის განვთარების საფუძველიცაა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ტყის მიწების ფონდის სამართლებრივი მდგომარეობის შემადგენლობისა და გამოყენების შესახებ ინფორმაციათა ერთობლიობა არის ტყის მიწების კადასტრი, რომელიც შედგება ტყის მიწების რუკების ან გეგმების მწკრივისაგან (რომლებიც მიწის ყველა მაჩვენებლის აღწერას გვიჩვენებს თითოეული უბნის მიხედვით). ამ ცნობების შეგროვება და სისტემატიზაცია ხორციელდება ერთიანი მეთოდებითა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად განსაზღვრული სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ტყის მიწების ფონდის დახასიათებას მათი ფუნქციური დანიშნულების ძირითადი ნიშნების მიხედვით (ტყის მიწების ფართობების კატეგორიები და ტყის მიწების ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და პროდუქტიულობის სიდიდეთა დადგენა).

ტყის მიწების აღრიცხვის მასალებით ირკვევა, რომ მათი ფუნქციური მრავალმიზნობრივი დანიშნულების მიხედვით სრულყოფილად არც აღრიცხვა მიმდინარეობს და არც გამოყენება. ტყის მიწების რესურსების გამოყენების ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება, რომლის მიხედვით მისი რაციონალური მრავალმიზნობივი გამოყენება გამოიწვევს დანახარჯების შემცირებას, ფართობის ერთეულზე მოგების გადიდების საფუძველი გახდება და ამ შემთხვევაში, როგორც სახელმწიფო, ისე ინვესტორი და კერძო მესაკუთრე დაინტერესებული იქნება ასეთი რესურსების ათვისებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რინკიაშვილი ნ. ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობა. თბ. სტუ-ს შრომები, 1998, №4.

2. საქართველოს სატყეო მეურნეობის ალორძინებისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა. თბ., 1997.

3. საქართველოს საუყეო მეურნეობის დარგის ალორძინებისა და მისი შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამა (1997-2005). თბ., 1997.

4. წერეთელი გ. გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემები, „ცნობ. მეცნიერება". თბ., 1987.

5. Махатадзе Л.Б. Типы горных лесов и их применение при организации л/х тр. тб. института леса. т. Х1У изд-во л/п 1965.

6. Мешерский И.Г. Народная школа и сельское хозяйство . «сборник статей» изд-во з-с 1912 .

თამარ როსტიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი
თამარ ბერიძე
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ტყის მიწების ეფექტურად გამოყენების შეფასების კრიტერიუმები

ტყის მიწების გამოყენების ეკოლოგიურ-რეკრეაციული-ტურისტულ, ეკონომიკური განვითარების მიზნების იერარქია პირობით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: I. ტყის მიწების პოტენციური, მრავალმიზნობრივი რესურსების მდგრადი მართვის მიღწევა, რომლისთვისაც საჭიროა: სტრატეგია და მართვის გეგმები; ტყის მიწების რესურსების მართვისათვის საჭირო სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამის არსებობა და II. ტყის მიწების არსებობის გამოყენების ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსური უსრუნველყოფის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების დამუშავება და რეალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ტყის მიწების ეფექტურად გამოყენების წელილის გაზრდას საქართველოს ეკონომიკაში და შეამცირებს დანახარჯების დონეს. ამ მიზნის მისაღწევი გზები და შესაბამისად, მოსალოდნელი შედეგებია:

- რესურსების ერთეულიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა, რაც იქნება ტყის მიწების მიზნობრივი გამოყენების ეფექტურობის შედეგი;
- ტყის მიწების ტერიტორიების იმ ფართობის გაზრდა, რომელსაც მოიცავს ტყეების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ინვენტარიზაცია და მრავალმიზნობრივი მართვის გეგმები და რომელთა მართვასაც სათანადოდ მომზადებული და აღჭურვილი მართვის ერთეულები განახორციელებენ;
- ტყის მიწების დეგრადირებული ფართობის შემცირება, რაც ტყის მიწების აღდგენის, პროდუქტიულობის ამაღლების პროგრამების განხორციელების საშუალებით მიიღწევა;
- ტყის მიწების როგორც მერქნული, ასევე არამერქნული რესურსების მრავალმიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისა და რეგულირების სამუშაოთა მასშტაბების გაზრდა.

ტყის მიწების გამოყენების ეკოლოგიურ-რეკრეაციული-ტურისტულ ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედს მისი ფინანსური უზრუნველყოფა წარმოადგენს (ტყის მიწების ეფექტურად გამოყენების ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები უზრუნველყოფს მის განვითარებასა და ფინანსური რესურსების მობილიზაციას) და მოიცავს შემდეგს:

- ტყის მიწების რესურსებზე ფასების დადების ადმინისტრაციულიდან სრულ საბაზრო მეთოდებზე გადასვლა;
- ტყის მიწებიდან მიღებული შემოსავლების ნაწილის გარანტირებული რეინვესტირება ტყის მიწების მართვის საქმეში;
- ტყის მიწების პროდუქტიულობის ამაღლების სამუშაოების კრედიტებისაგან დამოუკიდებელ სისტემაზე გადასვლა, რომელიც სახელმწიფო სექტორის მიერ იქნება დაფინანსებული.

ასეთი მიწების გამოყენების ფინანსური უზრუნველყოფა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ:

- ათეულობით წელიწადს მოიცავს – ტყის მიწების კელავწარმოების ციკლის ხანგრძლივობა;
- დანახარჯების შეუსაბამობაა – ტყის მიწებიდან ყოველწლიურად სარგებლობის ღირებულებასა და მისი რესურსების პროდუქტიულობის ამაღლებას შორის;
- ეკოლოგიურ-რეკრეაციულ-ტურისტულ და ეკონომიკურ ასპექტებში – მრავალმიზნობრივად გამოიყენება ტყის მიწების რესურსები და მისი ყველა სარგებლობის შეფასება ფულადი ღირებულებით ხდება.

ეს თავისებურებები განაპირობებს ტყის მიწების რესურსების გამოყენების, გაძღოლის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ სისტემებს, რომელთა საფუძველს – დაფინანსების წესი და ბაზარი წარმოადგენს. ცნობილია, ტყის მიწების გამოყენების დაფინანსების სამი მთავარი მიმართულება, რომელთა გადაწყვეტის შედეგად შესაძლებელი იქნება დარგის ეფექტური განვითარება: დაფინანსების მდგრადი წყაროების, ცენტრალიზებული ფინანსების და დაფინანსების მექანიზმის ოპტიმალური ვარიანტის დადგენა და დაფინანსების ახალი სისტემის ფორმირების ეტაპების განსაზღვრა.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე რეალურად მიჩნეულია ტყის მიწების გამოყენების შემოსავლების დაფინანსების წყარო (იხ. სქემა 1) დაფინანსების ამ წყაროს უპირატესობა იმით აიხსნება, რომ ტყის მიწების მფლობელებს უჩნდებათ საკუთარი შემოსავლების გაზრდის ინტერესი. თუმცა, დაფინანსების ეს სისტემა საქართველოში დაკავშირებულია მთელ რიგ პრობლემებთან, მ.შ. სამართლებრივ მხარესთანაც. კერძოდ, ფინანსირების შემოთავაზებული სისტემა თხოულობს ტყის მიწების რესურსების სახელმწიფო მართვის ორგანოების რესტრუქტურიზაციას, ტყის მიწების შემოსავლების ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამოღების მექნიზმის დამუშავებას და, შესაბამისად, საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას.

ნახ. 1. ტყის მიწების გამოყენების ფინანსური მოდელი მისი რესტრუქტურიზაციის პირობებში



დიდი პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს დაფინანსების ისეთ შერეულ სისტემას, როცა დაფინანსება ხდება, როგორც ბიუჯეტიდან, ასევე საკუთარი შემოსავლებიდან (იხ. სქემა 2).

მოტანილი სქემის მიხედვით, ფინანსური შემოსავლები, ძირითადად, ყალიბდება ყველა სახის მოსარგებლეებისაგან, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის დანახარჯებს. დაფინანსების ყარიანტების შერჩევა დამოკიდებულია რეგიონალური პოლიტიკის პირობებზე. ძირითადი მიზანია – საკუთარი შემოსავლების ზრდა, ბიუჯეტთან ერთად.

ტყის მიწების ეფექტურად, მრავალმიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების ეკონომიკური განყოთარების შედეგების შეფასების კრიტერიუმები შესაძლებელია სამი მიმართულებით:

1. ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, ტყის მიწების რესურსებს, მრავალმიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების წელილის გაზრდის ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულ უნდა იქნეს ტყის მიწების რესურსების ეროვნულიდან შემოსული თანხების (შემოსავლების) ზრდა, რაც, თავის მხრივ, შემოსავლების შეფასებისა და აკრეფის ამოქმედებითა და ტყის მიწების რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების შედეგად იქნება მიღებული;

ნახ. 2. ტყის მიწების გამოყენების ფინანსირების არხები



2. საქართველოს ტყის მიწების შემოსავლების წელილის გაზრდა, სოფლის ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში, კრიტერიუმად მიღებული უნდა იქნეს ტყის მიწების მრავალმიზნობრივი გამოყენებით მიღებული მიმდინარე აქტივიზაციის შედეგად სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, მათი დასაქმების გზით;

3. საქართველოს ტყეების გარემოსდაცვითი მდგრადი ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებადობის გაზრდის კრიტერიუმად მიჩნეული უნდა იქნეს, ქვეყნის ტყის მიწების რესურსების პროდუქტიულობის ამაღლების ეფექტურად მართვის სისტემების გაძლიერება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ტყის მიწების ეფექტურად გამოყენებისათვის საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსური უზრუნველყოფის შესატყვისი ეკონომიკური მექანიზმი, რომლის საფუძველსაც განისაზღვრა ტყის მიწების მრავალმიზნობრივი-მრავალფუნქციონალური დანიშნულებით რეგულირების ეფექტური ბაზა.

ტყის მიწების რესურსების პროდუქტიულობის ამაღლების და კელავწარმოების სამუშაოების დაფინანსების წყაროდ საკუთარი შემოსავლები მოიაზრება, ამასთან ტყის მიწების, როგორც გარემოს მდგრადი ეკოლოგიური ბალანსის გარანტია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაც სავალდებულოა. ხოლო ინვესტიციების მოზიდვა დამოკიდებულია არა მარტო საკუთარ შემოსავლებსა და ბიუჯეტზე, არამედ ამ მიწების პოტენციური რესურსების მრავალმიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობებსა და დონეზე, ყოველივე ეს კიდევ ერთხელ აყენებს საკითხს, ტყის მიწების ეკოლოგიურ-რეკრეაციულ-ტურისტულ-ეკონომიკურ ასპექტში გამოყენების ეფექტურობის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეგეზავა ლ. დაბალპროდუქტიული ტყეების რეკონსტრუქციის შეფასების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმები. სსიუ. შრომათა კრებული XXI. აგრ. მეც. პრობლ. 2003.
2. გიგაური გ. საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება. თბ., 2000.
3. კანდელაკი თ. საქართველოს და მსოფლიოს ტყის რესურსები. ჟ. "მეცნიერება და ტექნიკა". 1999. № 10-12.
4. Марков В.А. Об оценке лесовостоновления и повышения его эфективности. Ж. «Лесное хозяйство». 1998.
5. Debbert S. – Economics of Landscapcand WildliJe Conservstion, 1998.

მარიამ სოსელია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ჩიქოვანი მიხეილ
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თამარ ბერიძე
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

აგრო-ეკო-სატყეო ტურიზმის განვითარების როლი ტყის მიწების გამოყენების საქმეში

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს და მისი როლი თანამედროვე ეკონომიკაში განუწყვეტლივ იზრდება და იცვლება. დღეს საქართველოში ტურიზმი ფართოდ ვითარდება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიების საქმიანობის შედეგად. ქვეყანაში ფეხს იკიდებს აგრო-ეკო-სატყეო-ტურიზმი, რომელიც ხუთ სტრუქტურულ ერთეულს მოიცავს: სპორტულ, კულტურულ-შემეცნებით, ფერმერულ, საქმიან და ეკოლოგიურს. დადგენილია, რომ რაც უფრო მეტ ტურისტს მიიღებს ქვეყანა, მით მეტია კაპიტალამოგება, მისი ინვესტიციებიდან. ტურიზმის, როგორც საევალუტო შემოსავლის წყაროს, მოსახლეობის დასაქმებულობის უზრუნველყოფისათვის, მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. ტურიზმიდან შემოსავლების საშუალო წლიურმა ტემპმა 1996-2000წწ. 10,7% მიაღწია და მან რამდენიმე მილიარდ დოლარს გადააჭარბა. მეცნიერების ეარაუდით, ეს მონაცემები შემდეგ წლებში უფრო მოიმატებს.

ტურისტული მოგზაურობები 1995 წლიდან შედარებით განსაზღვრულია, 2010 წლისათვის 80%-ით, ღამის მოთეველები 89%-ით, ხოლო რაც შეეხება ტურიზმის დანახარჯებს, იგი დაახლოებით გაიზრდება შესაბამის წლებში 1,34%-ით. ტურიზმი არის ბიზნესის სფერო, რომელიც დინამიურად ვითარდება. ტურიზმით ბიზნესმენთა დაინტერესებას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს. უპირველესად ტურისტული ბიზნესისათვის საჭირო არ არის დიდი ინვესტიციები, ტურისტულ ბაზრებზე საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებენ, როგორც მსხვილი, ასევე მცირე და საშუალო ფირმები, ამასთან ამ ბიზნესში კაპიტალი სწრაფად ბრუნავს, რაც საევალუტო ოპერაციების ხარჯზე შესაბამის სარგებელს განაპირობებს.

მსოფლიოს მრავალი განვითარებადი ქვეყნისათვის ტურიზმი ეკონომიკის ფუნდამენტურ დარგს წარმოადგენს და მათ შორის ჩვენი ქვეყნისათვისაც. თუმცა ჩვენს ქვეყანაში ტურიზმისათვის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ობიექტი, როგორიცაა ტყის მიწები, ტურიზმის საქმიანობის სამეურნეო ბრუნვაში ჩართული, შეიძლება ითქვას, თითქმის არ არის. რაც, თავის მხრივ, დიდ ზარალს აყენებს, არა მარტო დარგს, არამედ ქვეყნის ეკონომიკასაც.

განვიხილოთ საქართველო'ში ტყის მიწების ტურიზმისათვის ეფექტურად გამოყენების პოტენციური შესაძლებლობები და განვსაზღვროთ მისი სახეები.

საექსპერიმენტო ობიექტად შეეარჩიოთ თბილისისა და მწვანე ზონის ტყის მიწების ფართობებზე ტურიზმისათვის გამოსადეგი ობიექტები. ის, რომ დღეს საქართველოს ადგილობრივ ტურიზმ'ში ჯერ კიდევ დომინირებს ორი ტიპის ტურისტული პროდუქცია, პირველი – ზაფხულის დასვენება, შავი ზღვის სანაპიროზე ან მთის ზონა'ში განლაგებული კურორტები (ბორჯომი, ბაკურიანი) და მეორე – ზამთრის დასვენება: ბაკურიანსა და გუდაურში. მესამე ტიპის პროდუქტმა – სამკურნალო ტურიზმმა, თავისი ფუნქცია მინიმუნელოვნად დაკარგა. თუმცა ცნობილია ფაქტები, რომ ზოგიერთი სანატორიუმი და კურორტი იშვიათად გამოიყენება. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ აგროეკო-სატყეო ტურიზმის განვითარება, შესაძლებელია განვითარების ორი მიმართულებით: პირველი: როგორც დამოუკიდებელი სფერო და როგორც თანმდევი, არსებული ტურისტული ობიექტების თანმდევი სფერო, ანუ ისინი მოემსახურებიან იმ ტურისტებს, რომლებიც ისვენებენ უკვე არსებულ საკურორტო ობიექტებზე (დუშეთის დასასვენებელი სახლი-ბაზალეთის ტყის ბაზა). ეს ობიექტები ასევე წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურეობის მიზნითაც.

აღენიშნოთ ის გარემოებაც, რომ სათანადოდ ორგანიზებული ტურიზმის ინდუსტრიის არსებობისათვის არ არის საკმარისი საზღვარგარეთიდან ქვეყნის შიგნით მიმართული ტურისტების ნაკადი. აუცილებელია ქვეყნიდან გარეთ გაყვანაც, ხარისხიანი ტურისტული საქმიანობის არსებობაც, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სავალუტო შემოსავლების ზრდას, მოსახლეობის უზრუნველყოფასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

აგრო-ეკო-სატყეო ტურიზმის კარგად დაგეგმილ პოლიტიკას, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობამდე მივყავართ, რისთვისაც საჭიროა ამ სამსახურის კეთილმოწყობა. წინააღმდეგ შემთხვევაში – ტურიზმში ჩავდებთ იმაზე მეტს, ვიდრე ამოვიღებთ. ამისათვის კი საჭიროა – ტურისტულ მომსახურეობაში მომზმარებელია მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება, საერთაშორისო ნორმებისა და წესების საოანადო ცოდნა, ტურისტული მენეჯმენტისა და მარკეტინგის სწორად წარმართვა.

გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს აგრო-ეკო- სატყეო ტურიზმი, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტების მოზიდვას, სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების მიზნით, მოწინაეე გამოცდილების ურთიერთგაზიარების საშუალებით.

დღეს ქვეყანა საბაზრო ეკონომიკის გზას დაადგა, ამასთან, ტყის მიწების ეფექტურად გამოყენება – ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებაა, მაგრამ ის თავისი თანამედროვე დონით ვერ პასუხობს, არა მარტო ქვეყნის, არამედ ბაზრის მოთხოვნებსაც.

საქართველოში, პოსტსაბჭოურ პერიოდში, ყველაზე მეტად განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა მეხილეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და სხვ. საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თაობაზე ამ მიმართულებით

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგრო-ეკო-სატყეო ტურიზმის განვითარება – პირველი ცდაა, ამიტომ ცხადია, მოითხოვს ქვეყნის ტერიტორიის შესწავლას, სათანადო რესურსების გამოვლენას, სათანადო აგრო-ეკო სატყეო ტურისტული, სქემატური რუკებისა და ბუკლეტების შედგენას – პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. კერძოდ, თუ რომელ რეგიონში, რა მიმართულების სპეციფიკური დარგების განვითარებაა შესაძლებელი – ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ყოველივე ამასთან ერთად შესწავლილი უნდა იქნეს, მთიან რეგიონებში დასახლებული მოსახლეობის შესაძლებლობები მათ რეგიონში განსაკუთარებელ დარგში დასაქმების თაობაზე. ასევე, ცალკე შესწავლის ობიექტია – მთაში დასახლებული მოსახლეობის ნება-სურვილი და შესაძლებლობები საოჯახო ტურიზმის განვითარების თაობაზე. რა სახის მომსახურეობის გაწევა შეუძლიათ მოსახლეებს, - ღამის გათევა, კვება, გადაადგილება – სათანადო სანიტარული ნორმების გათვალისწინებით. ამასთან, მჭიდროდ დასახლებული მთის სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე სასურველია შეიქმნას სპეციალიზირებული ეეროპული ტიპის კომპლექსური ფერმერული მეურნეობები, რომლის მიერ წარმოებული პროდუქცია და ნედლეული ადგილზე შედარებით დაბალ ფასებში შეძენა შეეძლებათ. გარდა კულტურული, სამეურნეო დანიშნულებისა და სუბტროპიკული მცენარეებისა – შეიქმნება მეფუტკრეობის, შინაური და გარეული ცხოველებისა და ფრინველების ფერმები და სხვ.

ტურიზმის დეპარტამენტის მიერ დაწყებულია მარკეტინგული ძიება საქართველოს კურორტების შესაძლებლობების გამოკვლევის შესახებ. ასეთი სამუშაობის ჩატარება, საჭიროა ტყის მიწების ტერიტორიაზე არსებული მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებისა და ლანდშაფტური ობიექტების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობის გამოვლენისა და გათვალისწინების მიზნით.

ქალაქგარეთ დასვენება-გასეირნება, კლასიფიცირებული, როგორც ტურიზმის მრავალსახეობა დაკავშირებულია მეტ-ნაკლებად ბევრად ბუნების წიაღში ხანგრძლივ ყოფნასთან – ტყე, პიზაჟი, ჰაერი, წყალი, გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, სამეურნეო საქმიანობა და კულტურულ-ისტორიული ძეგლების დათვალიერება. ყოველივე აღნიშნულ ფუნქციათა რეალიზაცია – მათი კეთილმოწყობა შესაძლებელი იქნება ე.წ. მომხმარებლის ანუ დამსვენებლებთან გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმებითა და, სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, ადგილობრივი საყოფაცხოვრებო ტრადიციების გათვალისწინებით.

ბაზალეთის ტბის ტერიტორიაზე გაშენებული ტურისტული დასასვენებელი კომპლექსი, რომელიც ყოველწლიურად მიიღებს დაახლოებით 15 ათ. დამსვენებელს, თავისთავად დააყენებს

საკითხს. მიმდებარე დუშეთის და მცხეთა-თიანეთის სარეკრეაციო ტყის მიწების ტერიტორიის, ტურიზმის განვითარებისათვის, სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის თაობაზე. სასურველია, ამ ტერიტორიებზე შეიქმნას ყოველდღიური ხანმოკლე ვადიანი დასვენების უბნები, შესაბამისი ტურისტული მარშრუტებით, რომლის საფუძვლადაც გაითვალისწინება, ტყის მიწების ლანდშაფტურ-რეკრეაციული, ტურისტულ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების კრიტერიუმები, დადგენილი იქნება მასივების მისადგომობა – სიახლოვე, გაადგილების რეკრეაციულ-ტურისტული შინაარსი და ტევადობის ანგარიში, ეკოლოგიური გარემოს წონასწორობის ფაქტორების კვალობაზე. გამოყოფილ უნდა იქნეს, სასეირნო-ესთეტიკური ადგილები – ყოველდღიური სეირნობის მოსაწყობად. აქ შეიძლება გავითვალისწინოთ: ხილკენკროვნებისა და სოკოს შეგროვება, თევზაობა, ნადირობა, ცხენებით გასეირნება ესთეტიკურ ადგილებში, სათანადო ეროვნული სამზარეულოების გაითვალისწინებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა დაეთმოს ისტორიული ადგილების და არქიტექტურული ძეგლების გაცნობას, რისთვისაც შესაძლებელია, შედგეს დათვალიერების მარშრუტები არა მარტო მიმდებარე ტერიტორიაზე, არამედ მთელს მწვანე ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

უკანასკნელ პერიოდში, დიდი პოპულარობით სარგებლობს დასვენება და გასეირნება ბუნების წიაღში კერორტებზე, საგარაკო დასვენებასთან ერთად. დღეს დასვენება უფრო მოძრაი ხდება, რაც ძირითადად სატრანსპორტო საშუალებებისა და საგზაო ქსელის ინტენსივობამ განაპირობა. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს დროებითი ნაგებობების მოწყობას, რაც ნაკლებ კაპიტალურ დაბანდებასაც მოითხოვს, ხოლო ამ ობიექტებზე მოაში მცხოვრები სოფლის მოსახლეობის დასაქმება, ხელს შეუწყობს სოფლად სიღარიბისგან თავის დაღწევას. ამავდროულად, ყურადსაღებია ადგილობრივი მოსახლეობის თვალთახედვის სათანადოდ გაცნობიერება, რაც გულისხმობს ტურისტთა მომსახურების კულტურის ამაღლებას.

საჭიროა გამოვიყენოთ ბუნებრივი ლანდშაფტები და ისტორიული ძეგლები, რომლებიც დღეისათვის უამრავია არა მარტო მთელს საქართველოში, არამედ უშუალოდ მცხეთის რაიონშიც, სადაც თვალნათლივაა გამოკვეთილი კომპაქტური ტერიტორია, ერთის მხრივ, წარმოდგენილია გეობოტანიკურად მეტად საინტერესო მცენარეული ფორმაცია – ნაირფეროვანი დაჯგუფებები და საქართველოს ტყემცენარეულობის უმთავრესი ცენოზები, რელიქტები, კოლხური ფლორის ელემენტებით და, მეორე მხრივ, მათ ფონზე განლაგებული ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლები, არქიტექტორული ანსამბლებითა და არქეოლოგიური ნამარხებით. ყოველივე ეს, ერთად აღებული, უდავოდ წარმოადგენს არა მარტო მეცნიერულ-ისტორიულ შემეცნებით ფასეულობას, არამედ მას აქვს უდიდესი რეკრეაციულ-ტურისტულ ფასეულობათა დატვირთვაც. სწორედ ამ ბუნებრივ და ისტორიული ძეგლების აღდგენა-დაცვასთან ერთად, შეხამებული უნდა იქნეს დამთვალიერებელთა და დამსვენებელთა მოზიდვისა და მომსახურეობის სფეროს. სრულყოფის სამუშაოთა ეფექტურად წარმოება, რაც უდავოდ არა მარტო ტყის მიწების ეფექტურად გამოყენების, არამედ ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყაროც იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩიქოვანი ტ. გ. "საქართველოს სარეკრეაციო ტყეები". თბ. 1996.
2. ციციაშვილი რ. თანამედროვე ბიზნესი. თბ., „მეცნ." 1996.
3. ძნელაძე დ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები. თბ. საქართველო, 1992.
4. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკს მოდელის ფორმრების პრობლემები პოსტსოციალისტურ საქართველოში (მოხსენებითი თეზისები). თბ. საქ. მეცნ. აკადემია. 1995.
5. Мудрецов А.Ф. – Экономические продлемы рационального использования лесных ресурсов. В-кн: проблемы природопользования. М.л/п. 1995.

თამარ ლაზარიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

მიწის რეფორმის შედეგები კახეთის რეგიონში

მიწის რესურსების ეფექტურად გამოყენების მეცნიერული გამოკვლევის პრობლემა დღეისათვის მეტად აქტუალურია და მის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა. ბოლო პერიოდში უარყოფითი გეოლოგიური პროცესების სიხშირემ და მათ მიერ გამოწვეულმა სტიქიურმა შედეგებმა, მსოფლიოში ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვნად შემცირებამ და გარკვეულწილად სურსათის დეფიციტმა კიდევ უფრო გაამძაფრა მოთხოვნილება ბუნებრივი რესურსების ყაირათიანად ხარჯვისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისადმი. განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოს ტერიტორიაზე საშიში ეკოდინამიკური მოვლენები, ხშირ შემთხვევაში კატასტროფული შედეგებით – მიწისძვრები, მეწყერები, ღვარცოფი, წყალდიდობა, მიწების გაჭუჭყიანება, დამლაშება, ნიადაგების ჩარეცხვა-განადგურება და დაბინძურება. მიწის რეფორმამ, რომელიც მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩატარდა, გარკვეული უარყოფითი გავლენა იქონია მიწის საკარგულების ტერიტორიული მოწყობის ხარისხზე – დაიჭრა და დაქუცმაცდა სამექანიზაციოდ ვარგისი მრავალი მიწის ნაკვეთი, დაიშალა შემოღებული თესლბრუნვები, გაიჩეხა მინდორსაცავი ტყის ზოლები, მოიშალა სარწყავ-დამშრობი არხები, საკმაოდ დიდძალი სასარგებლო ფართობი დაიკავა საველე-საგზაო ქსელმა. შედეგად საგრძნობლად შემცირდა დამუშავებადი მიწის ფართობები, იკლო სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობამ და საერთო მოსავლის მოცულობამ. ეერ ხერხდება ბევრ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება. მეცნიერულად დასაბუთებულია,რომ თუ საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებზე მოხმარების ნორმა 30%–მდე შემცირდა, ქვეყანა სასურსათო უსაფრთხოებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას. საქართველოს სასურსათო სექტორი დღეისათვის ეერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის პროდუქტების წარმოებას, რაც დააკმაყოფილებდა მოსახლეობის როგორც კვების ფიზიოლოგიური ნორმებიით გათვალისწინებულ, ასევე გადახდისუნარიან მოთხოვნასაც. 2008 წელს 2003 წელთან შედარებით შემცირებულია უმეტესი პროდუქტების მოხმარების დონე, დაბალია თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტებზე. ქვეყანაში სურსათის დეფიციტი არ აღინიშნება, რადგან ბალანსის შევსება იმპორტულიპროდუქტებით ხდება. 2009 წლის მონაცემებით იმპორტის მოცულობა დაახლოებით 4-ჯერ აღემატება ექსპორტს.[8] ერთგვარი დისბალანსია კერძო საკუთრებაში წარმოებული პროდუქტების მოცულობასა და მიწის ფართობებს შორის. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 0,2 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი და 0,1 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო საკარგული მოდის.[9] აგრარულ სექტორში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მიწის რეფორმით იწყება, რამდენადაც მის სწორად განხორციელებაზე არის დამოკიდებული მთელი აგრარული რეფორმის ჩატარება. მიწა საკუთრებაში გადაეცა ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მათი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სულ მიწა მიიღო 1110,8 ათასმა კომლმა, ანუ 4623,1 ათასმა სულმა. დიდი ცვლილებები მოხდა როგორც სამართლებრივი თვალსაზრისით, ისე რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების მხრივ. მაგალითად, 2008 წლის მონაცემებით მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი საქართველოში 925 ათასი ჰექტარია. მ.შ. კახეთში 360 ათასი ჰექტარი ანუ სავარგულების 38,9 პროცენტი. აქედან საკუთრებაში გადაცემულია 121 ათასი ჰექტარი. მიწის რეფორმის შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში გაუცემელი დარჩა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობი, რომელიც 1353,4 ათას ჰექტარს, ანუ მთელი სავარგულების 44,7 %-ს შეადგენს. მათ შორის

[8] http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo
[9] საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2009, გვ. 23.
[3] www.agro.ge

სახნავი – 140.6 ათასი ჰექტარი (17,5%), მრავალწლიანი ნარგავები – 52,2 ათასი ჰექტარი (19.8%), სათიბი – 33,5 ათასი ჰექტარი (23,3%), საძოვარი – 1185,9 ათასი ჰექტარი (66,0%). კახეთის მხარეში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 61300 ჰექტარი სარწყავია, რაიონებში კერძო საკუთრებაშია 121 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო საკარგული. საოჯახო მეურნეობებზე საკუთრებაში არსებული საშუალო ფართობი შეადგენს 0,96 ჰექტარს, ოჯახით აღებული სავარგულების საერთო ფართობი შეადგენს 229 ათას ჰექტარს. მიწების უმეტესობა ეკონომიკურად ხელმოკლე გლეხების და ფერმერების მიერ ვერ მუშავდება. საქართველოში 2008 წელს დაუმუშავებელი დარჩა 166 ათასი ჰექტარი სახნავი, აქედან 74 ათასი ჰექტარი მოდიოდა კახეთის რეგიონზე3 უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეფორმის შედეგად ზოგიერთმა პირმა დაისაკუთრა ასობით ჰექტარი იმ დროს, როდესაც სოფლის ძირითადი მოსახლეობა მიწის დეფიციტს განიცდის. მაგ: თელავის რაიონში ერთ კომლზე საკუთრებაში გაცემულია ერთი ჰექტარი, ახმეტის რაიონში 0,75 ჰექტარი მიწა .მიწის რეფორმა პოტენციურ მიწის მესაკუთრეს სამ კატეგორიად ყოფდა და განსაზღვრავდა მათთვის მიწის სხვადასხვა კვოტას. პირველ კატეგორიაში მოხვდნენ ის პირები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავებულნი. მათ შეხვდათ დიდი ნაკვეთები. მეორე კატეგორიაში მოხვდნენ სოფლის ის მაცხოვრებლები, რომლებიც არ ეწეოდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, მესამე კატეგორია მოიცავდა ქალაქად მცხოვრებ მოსახლეობას (0.16 ha).

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების მდგომარეობა კახეთის რეგიონში 2008 წ.[1]

ცხრილი 1

რაიონი	საპრივატიზაციო მიწის ფართობი ჰექტარი	პრივატიზებული მიწის ფართობი ჰექტარი		აქედან პირდა პირი მიყიდვით სულ (ha)	მ.შ 2007 წელს	სპეც. აუქციონით სულ (ha)	მ.შ. 2007 წელს	ღია აუქციონით სულ (ha)	მ.შ. 2007 წელს	პრივატიზების %
		სულ	მ.შ. 2007 წელს							
თელავი	9000	3009	2400	2728	2119	181	181	100	100	33,4
ახმეტა	4076	1346	1021	1346	1021	-	-	-	-	3,3
საგარეჯო	15162	2010	1990	1811	1791	199	199	-	-	13,3
დედოფლის წყარო	34200	2431	2330	2247	2146	-	-	184	184	6,6
სიღნაღი	16696	3652	3321	3611	3280	-	-	41	41	21,9
გურჯაანი	3947	1002	900	899	797	-	-	103	103	25,4
ლაგოდეხი	11416	3763	3657	2923	2817	-	-	840	840	33
ყვარელი	7049	3489	3239	3429	3179	6,0	6,0	54	54	48,5
სულ	101546	20702	18858	18994	17150	386	386	1322	1322	20,4

ცხრილი შედგენილია. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალების საფუძველზე

2008 წლის მდგომარეობით, კახეთის რეგიონის საპრივატიზაციო მიწის ფართობი შეადგენს 10 1546 ჰექტარს, (ცხრილი 1). პრივატიზებული მიწის ფართობი -20 702 ჰექტარს. რაიონების მიხედვით საპრივატიზაციო მიწის ფართობის 50 %-ც კი ვერ აითვისა ვერც ერთმა რაიონმა. ყველ-

ლაზე დაბალი პრივატიზების პროცენტი (6,6%) აქვს დედოფლისწყაროს რაიონს, ხოლო მაღალი ყვარლის რაიონს (48,5 %), როცა დედოფლისწყაროს რაიონის საპრივატიზაციო მიწის ფართობი 34200 ჰექტარია, ხოლო ყვარლის რაიონის მხოლოდ 7049 ჰექტარი. ახმეტის რაიონში 4076 ჰექტარი საპრივატიზაციო მიწის ფართობიდან პრივატიზებულია 33 % (1346 ჰექტარი), ლაგოდეხის რაიონში 33 % (3763 ჰექტარი), გურჯაანის რაიონში 25,4 % (1002 ჰექტარი), სიღნაღის რაიონში 21,9 % (3652 ჰექტარი), საგარეჯოს რაიონში პრივატიზებულია 13,3 % (2010 ჰექტარი).

აგრარულ რეფორმას საქართველოში ორი ძირითადი ამოცანა უნდა გადაეჭრა: მიწების გადანაწილება კერძო, კოოპერატიულ და სახელმწიფო საკუთრებაში და საადგილმამულო ურთიერთობართა მოწესრიგება შესაბამისი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მეშვეობით. ასევე უნდა მოეხდინა არსებულ მეურნეობათა რეორგანიზაცია ახალი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების დასამკვიდრებლად. ქვეყანაში ჩატარებულ მიწის რეფორმას და საწარმოთა რესტრუქტურიზაციას, წვრილი ნატურალური და ნახევრადნატურალური გლეხური მეურნეობების შექმნა მოჰყვა, რომელსაც არა აქვს დიდი პერსპექტივა მოსახლეობის სურსათით უსრულველყოფაში. ამ მეურნეობებს არ გააჩნიათ სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის გამოც ვერ აწარმოებენ საჭირო რაოდენობის და ხარისხის პროდუქციას. დღეს მიწათმფლობელთა აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ ნატურალურ მეურნეობას ეწევა, რაც პოსტსაბჭოურ პერიოდში გამოდევნილი ნატურალური გლეხური მეურნეობის რეაბილიტაციის მცდელობას არ სცილდება. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე საქმიანობის საბოლოო შედეგით გლეხი ვერ იმყოფილებს საარსებოდ აუცილებელ მოთხოვნის მინიმუმსაც. მიწის საკუთრება აქ ჯერ კიდევ მხოლოდ უფლებრივ კატეგორიად რჩება, რადგან უმეტეს შემთხვევაში ეკონომიკური სარგებლობის მიღწევა ვერ ხერხდება.

გარეგნულად ჩანს, რომ ბაზარი გაჯერებულია სასურსათო პროდუქტებით, მაგრამ ეს წარმოების შედეგი კი არ არის, იგი განპირობებულია მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის დაბალი დონით. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური პროცესები ნეგატიური მიმართულებით განვითარდა და ჯერ-ჯერობით არ არის შექმნილი ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის პირობები. რეგიონში არსებულ ბაზრობებზე გასაყიდად წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტესი წილი მარცლეული, ღვინო, ხილ-ბოსტნეული, ბალეული, თაფლი, ხორცი ადგილობრივი წარმოებისაა. გარდა ამისა, კახეთი მეზობელი რეგიონებისთვის ამ პროდუქციის მსხვილი მიმწოდებელია. მიუხედავად ღრმა კრიზისული სიტუაციისა კახეთის რეგიონში აგრარული წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად რეზერვები არსებობს. ამასთან რეფორმის საწყის ეტაპთან შედარებით, რესურსები შემცირებულია, ხშირ შემთხვევაში კი რეზერვების დიდი ნაწილი ამოწურულია თუმცა, პროგნოზირებისას, უპირველეს ყოელისა ვეყრდნობით წარსულის გამოცდილებას. მნიშვნელოვანი რეზერვის სახით წარმოგვიდგება: 1. ადამიანური რესურსები, თუმცა აგრარულ სექტორში ქვეითდება შრომის კულტურა და იგი პრიმიტიული ხდება. 2. როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური ზრდის რეზერვებია სასოფლო-სამეურნეო საკარგულებში, მაგრამ რეზერვები, უპირველეს ყოელისა რეგიონულ მრავალფეროვნებაში, ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ინსტიტუციონალურ ცელილებებში უნდა ვეძებოთ. კახეთში არსებული ხელსაყრელი რესურსების მაქსიმალური პრიორიტეტული მიმართულებებია: მევენახეობა-მეღვინეობა, რომელიც განმსაზღვრელი და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი დარგია. აქ დასაქმებულია მოსახლეობის 70 %; მარცლეული კულტურების წარმოება, მ.შ. ხორბალი და ტექნიკური კულტურების, მ.შ. მზესუმზირა და ამასთანავე მნიშვნელოვანია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

მიგვაჩნია, რომ სწორედ სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის გზით უნდა გადაიჭრას რეგიონის აგრარულ სექტორში არსებული პრობლემები. განვითარების მოცემულ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია პოტენციურად კონკურენტუნარიანი დარგების განვითარება, ხელსაყრელი მიკრო და მაკროგარემოს შექმნა მაღი ხანგრძლივვადიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. აღნიშნულისათვის აუცილებელია აგრარული სექტორის რესტრუქტურიზაციის პროგრამის შემუშავება, ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება, კრედიტების ხელმისაწვდომლობის მექანიზმის გამარტივება, სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელება როგორც ქვეყნის, ისე კახეთის მხარის და მისი რაიონების თავისებურებათა გათვალისწინებით ისე, რომ აგრარული მეურნეობა ყოველგვარ ბუნებრივ პირობებში იყოს მაღალრენტაბელური.

ნინო სამჭუაშვილი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მასწავლებელი,
დოქტორანტი

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

მიწა ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების საფუძველია. ამდენად, იგი საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. მიწა ამოუწურავი სახალხო სიმდიდრეა. მის რეგიონალურად გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მიწაზე სოფლის მეურნეობის პრიორიტეტი განპირობებულია მისი ეკონომიკური როლით. ამასთან, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტი მიწაზე, უპირველეს ყოვლისა, იმითაც არის განპირობებული, რომ სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწები განსაზღვრულია. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად ვარგისი მიწის შენარჩუნება, მისი ნაყოფიერების ამაღლება და დაცვა, მიწის რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრონციპია.

მიწის რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობას თავისი სპეციფიკური ნიშნები და თავისებურები გააჩნია.

მიწის რესურსების გამოყენების თავისებურებებიდან გამომდინარე, მიწების მართვა რთული სისტემაა. მიწების გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაცია მოითხოვს მართვის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მიწების ეფექტინად გამოყენებასა და დაცვას უზრუნველყოფს. ამ სისტემის რეალიზაცია ხორციელდება არა მხოლოდ მიწის ფონდების მართვით, არამედ ეკონომიკური მექანიზმის საშუალებითაც. ამასთან თუ მიწის ფონდების მართვა ძირითადად მიმართულია მათი გამოყენების ორგანიზაციის სრულყოფისაკენ, ეკონომიკური მექანიზმის ძირითადი ამოცანა საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირებაა.

მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას სასოფლო--სამეურნეო სავარგულების გამოყენების თვალსაზრისით, წარმოადგენს ის, რომ ამ დარგის სასაქონლო პროდუქციაში დიდი ადგილი უკავია არა პირველადი მოთხოვნილების სასურსათო პროდუქციას, არამედ ტექნიკურ ნედლეულს კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის.

2009 წლის მონაცემებით მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა შეადგენდა 92946. მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტში – 29246; თიანეთში – 13500; მცხეთაში – 45000; ყაზბეგში – 5200. რეგიონის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მთელი მოსახლეობის 62,4% (58000). მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტში 66,7% (19500); თიანეთში 37,0% (5000); მცხეთაში 66,7% (30000); ყაზბეგში 67,3% (3500).

რეგიონი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს, მისი მთლიანი ფართობი შეადგენს 5729,25კვ.კმ. ყველაზე დიდია დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომელზედაც მოდის მთლიანი ფართობის 52,0% (2981,5 კვ.კმ). რეგიონში სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე და მათ განაწილებაზე საკუთრების ფორმების მიხედვით წარმოდგენას გვაძლევს პირველი და მეორე ცხრილი.

პირველი ცხრილიდან ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში საკელეი რეგიონის მუნიციპალიტეტებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია საძოვრები (გამონაკლის წარმოადგენს მცხეთის რაიონი, აქ ეს მაჩვენებელი 30,7%-ის ტოლია), დუშეთში საძოვრებს უკავიათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 88,3%, თიანეთში – 65,4%, ხოლო ყაზბეგის რაიონში კი – 92,7%. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ მუნიციპალიტეტებში მიზანშეწონილია მეცხოველეობის განვითარება.

ცხრილი 1

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საავარგულები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2009 წლისათვის

	მუნიციპალიტეტი	ს/ს საავარგული სულ.		აქედან							
				სახნავი		მრავალ-წლიანი ნარგავი		სათიბი		საძოვარი	
		(ჰა)	%	(ჰა)	%	(ჰა)	%	(ჰა)	%	(ჰა)	%
1	დუშეთი	136 493	100	10 240	7,5	1 050	0,8	4 610	3,4	120 593	88,3
2	თიანეთი	30 853	100	9 448	30,6	522	1,7	709	2,3	20 174	65,4
3	მცხეთა	23 598	100	12 196	68,2	3 905	16,3	271	1,1	7 226	30,7
4	ყაზბეგი	45 548	100	62	0,1	–	–	3 274	7,3	42 212	92,7
	სულ რეგიონში	236 492	100	31 946	13,5	5 477	2,3	8 864	3,8	190 205	80,4

* ცხრილი შედგენილია მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამმართველოსა და რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების მონაცემების მიხედვით.

მე-2 ცხრილი კი გვიჩვენებს, რომ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო საავარგულების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია (85,9%), კერძოდ, საძოვრები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია, მხოლოდ 161 ჰა არის კერძო საკუთრებაში თიანეთის მუნიციპალიტეტში. იჯარით კი რეგიონში გაცემულია საძოვრების მხოლოდ 3,4%. საძოვრების დაბალი პრივატიზების ხვედრითი წილი განპირობებულია ჯერ ერთი იმით, რომ მისი უდიდესი ნაწილი მოქცეულია ალპურ და სუბალპურ ზონაში, რომელთა გამოყენება წლის მეორე ნახევარშია შესაძლებელი. მეორეს მხრივ, საძოვრების კერძო საკუთრებაში გადაცემა, გამოიწვევს საძოვრების გამოყენებაზე საფასურის წარმოშობას, რაც უფრო დაამძიმებს ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას რეგიონში შემავალ მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში.

ცხრილი 2

სასოფლო-სამეურნეო საავარგულების განაწილება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საკუთრების ფორმების მიხედვით 2009 წლისათვის

№	მუნიციპალიტეტი	ს/ს საავარგული სულ		მათ შორის					
				კერძო		სახელმწიფო			
						სულ		მ.შ. იჯარით გაცემული	
		(ჰა)	%	(ჰა)	%	(ჰა)	%	(ჰა)	%
1.	დუშეთი	136 493	100	13 500	9,9	122 993	90,1	5 249	4,3
2.	თიანეთი	30 853	100	7 950	25,77	22 903	74,23	4 202	18,34
3.	მცხეთა	23 598	100	11 264	47,7	12 334	52,3	4 484	19
4.	ყაზბეგი	45 548	100	752	1,6	44 796	98,4	11	0,02
5.	სულ რეგიონი	236 492	100	33 466	14,1	203 026	85,9	13 946	6,9

* ცხრილი შედგენილია მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამმართველოსა და რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების მონაცემების მიხედვით.

რეგიონის მიწათსარგებლობა წვრილ კონტურიანობით ხასიათდება. 2009 წლის მონაცემებით საკუთრებაში გადაცემული მცირემიწიანი ნაკვეთების რაოდენობა დუშეთის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 8500 ერთეულია, თიანეთში 4000, მცხეთაში 12900, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 1600. 2005-2009 წლებში საიჯარო ფართობების პრივატიზების შედეგების მიხედვით (საიჯარო სიებით) დადგინდა, რომ რეგიონში 10 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო საავარგულები მოდის

635 მოწათმოსარგებლეზე, მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტში 183; თიანეთში – 65; მცხეთაში – 385; ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 2. ხოლო 10 ჰა-ზე მეტი ფართობი სულ რეგიონში მოდის 188 მიწათმოსარგებლეზე. მ.შ. დუშეთის მუნიციპალიტეტში – 58; თიანეთში – 35; მცხეთაში – 94; ყაზბეგის მუნიციპალიტეტში – 1. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში (2008-2009) გამოიკვეთა ფართობების გამასიეების დადებითი ტენდენცია. კერძოდ, ხდება ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა მიერ რამდენიმე მომიჯნავე ნაკვეთის შესყიდვა, რაც გაზრდის რეგიონში 10 და მეტი ჰექტარი ფართობის მიწათმოსარგებლეთა რაოდენობას. პერსპექტივაში რეგიონში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ოჯახური (ფერმერული) მეურნეობების სარგებლობაში არსებული დაქუცმაცებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამასიეება და წერილი, ოჯახური მეურნეობების გამსხვილება.

მიმდინარე ეტაპზე რეგიონის სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები კომპლექსურ შესწავლასა და განხილვას მოითხოვს. მიწათმოქმედების დიდი პოტენციალის მიუხედავად რეგიონში დაბალია ინტენსიური სავარგულების ათვისების მაჩვენებლები. სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ტრადიციული და სხვა კულტურების წარმოება მინიმალურია, რაც ნათლად ჩანს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, კერძოდ სახნავის ათვისების საგანგაშოდ დაბალი მაჩვენებელიდან, რაზეც წარმოდგენას გვაძლევს მე-3 ცხრილი.

ცხრილი 3

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ათვისების %-ული მაჩვენებელი და ნაოესი ფართობები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2009 წელს

მუნიციპალიტეტი	თავთავიანები სულ	სიმინდი	კარტოფილი	ბოსტნეული	მრავალ.წ-ნი. ბალახები	ნათესი ფართობები სულ	სახნავი მიწები სულ	%-ული შეფარდება
	ჰა	ჰა	ჰა	ჰა	ჰა	ჰა	ჰა	%
დუშეთი	654	405	142	200	140	1541	10240	15
თიანეთი	6	480	700	150	–	1336	9448	14
მცხეთა	835	470	15	300	83	1703	12196	14
ყაზბეგი	–	–	62	–	–	62	62	100
სულ რეგიონი	1495	1355	919	650	238	4642	31946	14,5

* ცხრილი შედგენილია მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამმართველოსა და რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების მონაცემების მიხედვით.

ცხრილიდან ჩანს, რომ რეგიონის მიწათმოქმედების ზონებში ათვისებულია სახნავის მხოლოდ 14-15%. რის გამოც შემცირებულია ნათესი ფართობები. თუ რეგიონში 2005 წლისათვის სულ ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგენდა 20408 ჰა-ს, 2009 წლისათვის მან შეადგინა 4642 ჰა. ე.ი. შემცირდა 77,3%-ით. ბოლო წლებში რეგიონში საგრძნობლად იკლო თავთავიანი კულტურების ნათესებმა. მთავარ მიზეზად კი სახელდება სოფლის მოსახლეობის ფინანსური სიძნელეები. ხელმოკლეობის გამო იყენებენ დაბალი ხარისხის სათესლე მასალას, რეგიონში არ არის კომბაინი, მის დაქირავებას კი ყველა ვერ ახერხებს, ან ხშირად დაქირავებას აზრი არა აქვს, რადგან მოსახლეობის უმეტესობას მარცვლოვანი კულტურები ძირითადად მცირე ფართობებით აქვთ წარმოდგენილი. რეგიონში ასევე არ არის სრულფასოვანი აგროტექსერვისი. არსებული სატრანსპორტო პარკი მოძველებულია, სადაც ტექნიკა ან გამოსულია მწყობრიდან ან მორალურად მოძველებულია, რაც ზრდის ისედაც ძვირი საწვავის ფასს.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონში წლების განმავლობაში დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გაყამირებულია, შეცვლილი აქვს სტრუქტურულ-აგროქიმიური მახასიათებლები, იგი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით საჭიროებს საფუძვლიანი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას.

რეგიონს მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოების მოცულობის შემდგომი მკვეთრი გადიდებისათვის მრავალი რეზერვი გააჩნია, რომელთა შორის ძირითადია სახნავის მთლიანი ფარ-

ოობის მაქსიმალური გამოყენება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ერთეულ ფართობზე მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება, მათი მაღალ აგროტექნიკურ პირობებში წარმოების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Давлетшинович Х. В. Проблемы социально-экономического развития сельского района. http://www.lib.ua-ru.-net/diss/cont/91542.html.
2. მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის საიტი. http://www.mtskheta-mtianeti.gov.ge/.
3. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული. თბ. 2005–2006.
4. მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამართველოს სტატისტიკური ანგარიშები. 2008–2009
5. ლუშეთის, თიანეთის, ;ანზეგის და მცხეთის რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების სტატისტიკური ანგარიშები. 2008–2009.

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.12.2011
ქაღალდის ზომა 60X84 1/8
ფიზიკური თაბახი 17.5
ტირაჟი 80

ფასი სახელშეკრულებო

<u>დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში</u>
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35